ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ტერმინოლოგიის საკითხები

IV

კრებული ეძღვნება ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის
პირველი ლექსიკონის 100 წლისთავს

2020

სარედაქციო საბჭო:

ავთანდილ არაბული – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე);

შუქია აფრიდონიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი;

ოთარ გამყრელიძე – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

გელა გელაშვილი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ელ. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გურამ გოგიშვილი – მათემატიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;

გიორგი გოგოლაშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

დარეჯან თვალთვაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

გუჩა კვარაცხელია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

ელგუჯა მეძმარიაშვილი – გენერალ-მაიორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

ვლადიმერ პაპავა – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

რამაზ შენგელია – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

გიორგი ძიძიგური – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სარედაქციო კოლეგია:

ლინდა გიორგაძე, ნინო დათეშიძე, თამარ ვაშაკიძე, თეონა ლაფაური, ნათელა მუზაშვილი, მარინე ოსაძე, რუსუდან პაპიაშვილი, სარა სლაი, ნინო სხირტლაძე, ინგა ჯიბუტი.

რედაქტორი ლია ქაროსანიძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Arnold Chikobava Institute of Linguistics

Terminology Issues

IV

The volume is dedicated to the centenary of the first Georgian dictionary for technical terminology

2020

Editorial Committee:

Avtandil Arabuli – Doctor of Sciences in Philology, academician and chairman of the editorial committee

Shukia Apridonidze – Doctor of Sciences in Philology, professor emeritus at Ilia State University

Otar Gamkrelidze – Doctor of Sciences in Law, chairman of the Scientific Board of the Tinatin Tsereteli Institute of State and Law

Gela Gelashvili – Doctor of Sciences in Physics and Mathematics, director of the Elephter Andronikashvili Institute of Physics

Guram Gogishvili – Doctor of Mathematics, St. Andrews Georgian University

Giorgi Gogolashvili – Doctor of Philological Sciences, chairman of the scientific committee at the Arn. Chikobava Institute of Linguistics

Darejan Tvaltvadze – Doctor of Sciences in Philology

Gucha Kvaratskhelia – Doctor of Sciences in Philology, academician

Elguja Medzmariashvili – Major-General, doctor of Military Sciences, doctor of Technical Sciences, academician

Vladimer Papava – Doctor of Sciences in Economics, academician

Ramaz Shengelia – Doctor of Sciences in Medicine, academician

Giorgi Dzidziguri – Doctor of Technical Sciences, professor

Editorial Board:

Linda Giorgadze, Nino Dateshidze, Tamar Vashakidze, Teona Laphauri, Natela Muzashvili, Marine Osadze, Rusudan Papiashvili, Sarah Slay, Nino Skhirtladze, Inga Jibuti.

Editor Lia Karosanidze

ლია ქაროსანიძე
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
L.karosanidze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: სიტყვარი, ქართული ტერმინოლოგია, ნიკოლაძეები, პურიზმი, ნეოლოგიზმი.

სიტყვარი – ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი – 100 წლისაა

„ქართული ტექნიკური სიტყვა ითქვა,
ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას
დასაბამი მიეცა“
ვუკოლ გერიძე

„სახელმწიფოებრივი და საშვილიშვილო“

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და პირველი ქართული რესპუბლიკის დაარსება თითოეული ქართველი მამულიშვილისთვის უდიდეს სიხარულთან ერთად უმძიმესი პასუხისმგებლო-

ბაც იყო. ურთულესი სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური საკითხები დადგა ქართველი საზოგადოების წინაშე; „რაც ჩვეულებრივ რამდენიმე თაობის და საუკუნის ნაშრომს წარმოადგენდა, იმის განხორციელება ცხოვრებამ ერთბაშად მოგვთხოვა, – წერს 1918 წელს რუსუდან ნიკოლაძე, – „ჩვენი ერი რაც შეიძლება მოკლე ხანში მოწინავე ქვეყნების დონემდის უნდა აგვემაღლებინა და მთელი ჩვენი ცხოვრება ევროპიულ პირობებში ჩაგვეყენებინა“ (ნიკოლაძე 1918). თავისუფლების შესანარჩუნებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გონივრულ და დაუღალავ შრომას. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავად ქართული ენა გამოცხადდა „უეცრად, მოულოდნელათ და მოუმზადებლათ ყოვლად საშინაო პოლიტიკურ პირობებში გავჩნდით. ამის შესანარჩუნებლად უზომო და დაუსვენარი შრომაა საჭირო. ამ საპასუხისმგებლო ჯაფაში პირველი ადგილი ქართული სამეცნიერო ენის შემუშავებას უჭირავს“ (ნიკოლაძე 1918, №234), საქართველოს ისტორიისა და იმდროინდელი ევროპის მაგალითითაც დასტურდებოდა ერთი ჭეშმარიტება: ძლიერ სახელმწიფოს ძლიერი, განვითარებული სამეცნიერო ენა აქვს. „სამეცნიერო ტერმინოლოგია ჩვენს საუკუნეში იმ ღერძს წარმოადგენს, რომელზედაც მთელი თანამედროვე კულტურული ცხოვრება ტრიალებს უმაღლესი პარლამენტარიზმიდან ქვანახშირის თიხამდე, უზენაესი მათემატიკა-ფილოსოფიიდან წვრილფეხას მოშენებამდე“ (სიტყვარი 1920: 2).

ეროვნული ტერმინოლოგია არ გულისხმობდა უცხო სიტყვების მარტივ ტრანსკრიფციას ან „ჩვენებური თავ-ბოლოს წაბმით“ გაფორმებული ინდოევროპული ძირების ენაში შემოტანას, ერთი სიტყვით, „უცხო სიტყვების თოვლ-ჭყაპს“. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საოცარი შემართებითა და თავისუფლებამოპოვებული ხალხის სილაღით თამამად მსჯელობენ ქართული ძირების გამოყენებაზე ტერმინოლოგიაში: „თუ ხალხს თავის სახის და დამოუკიდებლობის დაკარგვა არ სურს, მას საკუთარი და თანამედროვე კულტურის დონეზე მდგარი ენა უნდა ჰქონდეს“ (სიტყვარი 1920: 22). საჭირო იყო ეროვნული და არა „საერთაშორისო“ ტერმინოლოგია.

საქართველო საკმაოდ ჩამორჩა კაცობრიობის განვითარებას. „მეცნიერებამაც და ჯარ-იარაღის ტეხნიკამაც მეტად დიდი ნაბიჯები წარსდგა წინ სწორედ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში, ე.ი. იმ ხანაში, როდესაც ჩვენი თავი ჩვენ არ გვეყუდნოდა“ (სამხედრო 1920: 1). შეფერხდა ქართული სამეცნიერო ენის განვითარებაც: „მეოცე საუკუნის

პირველი მეხუთედი ილევა, მოწინავე ქვეყნების მეცნიერება და კულტურა თითქმის გაჭაღარავებულია და თვალუწვდენელ სიმაღლეზე სდგას; ჩვენი განათლება-კი მხოლოდ ეხლა იბადება, მას ჯერ ენა არც-კი ამოუდგამს და ამნაირად ჩვენი მეცნიერული ენა თითქმის tabula rasa-ს წარმოადგენს“ (კაკაბაძე 1918).

1918 წელი, „საქართველო“, №221, *განცხადება:*

1918 წელს გზათა მინისტრმა სახაზინო უფროსს შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა: „მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმეჯერ მოვახდინე განკარგულება, რათა მთელ საქართველოს რკინის გზის სადგურებზე რუსული ასოებით წარწერანი მოსპობილიყო და ქართულად შეცვლილიყო, განკარგულებანი სისრულეში მოყვანილი მაინც არ არის, მოვითხოვ, რომ სამი დღის განმავლობაში საქართველოს გზათა სადგურებზე რუსულად წარწერები ქართულად შეიცვალოს“.

სამწლიანმა დამოუკიდებლობამ საოცარი ეროვნული ძალა აამუშავა. ჩქარობენ, იბრძვიან დაკარგული დროის ასანაზღაურებლად. ეს ეტყობა იმდროინდელ გაზეთებსაც.

1918 წლიდანვე იწყება დარგობრივ ტერმინოლოგიაზე მუშაობა, რასაც საქართველოს ტექნიკური საზოგადოება უდგება სათავეში. „ტექნიკური საზოგადოება აკადემიური და სამეცნიერო დაწესებულებაა; მისი უმთავრესი მიზანია საქართველოს გამოკვლევა და შესწავლა, მისი ტეხნიკური დაწინაურების და მრეწველობის შექმნის და აყვავების საქმეში თავისი წვლილის შეტანა, როგორც ასეთი დაწესებულება, ის სდგას პარტიის და პოლიტიკის გარეშე“ (კაკაბაძე 1918). საზოგადოების წევრთა შეკრების დრო და განსახილველი საკითხები გაზეთებში ქვეყნდება.

„საქართველო“, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 11, №237:

ქართულ ტექნიკურ საზოგადოების კრება შესდგება დღეს, 11 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩა, №11.

განსახილველია: გამგეობის მოხსენება წლიური სამოქმედო პროგრამის შესახებ.

1918 წელსვე საქართველოს ტექნიკურმა საზოგადოებამ ვასილ კაკაბაძის თხოვნით გამოყო სატერმინო სექცია, რომლის შემადგენლობა პირველ ხანებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, „მაგრამ გამოირკვა რა ტერმინოლოგიის შემუშავების სირთულე და სიძნელე, როგორც გარეშე პირებმა, ისე საზოგადოების ბევრმა წევრთაგანმა მუშაობას თავი დაანება“; დარჩა მხოლოდ საზოგადოების რამდენიმე წევრი: *გიორგი გედევანიშვილი,* სამხედრო ინჟინერი, არტილერისტი, იმ დროისათვის ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე და სატერმინო სექციის თავმჯდომარის მოადგილე, *ვასილ კაკაბაძე* – ინჟინერ-ტექნოლოგი, ქიმიკოსი, სატერმინო სექციის თავმჯდომარე და ტექნიკური საზოგადოების მდივანი; ინჟინერ-მშენებელი *ირაკლი მჭედლიშვილი* და იმ დროისათვის თბილისში გახსნილი რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სატერმინო სექციის მდივანი *დავით ბერეკაშვილი* (კაკაბაძე 1935: 448).

ქართულ ტერმინოლოგიაზე ამავე დროს მუშაობს სხვა ჯგუფიც: პეტროგრადში კურსდამთავრებულები: ქიმიკოსი, იმჟამად ჯიხაიშის გიმნაზიისა და ოთხწლედის მასწავლებელი – *რუსუდან ნიკოლაძე,* ინჟინერ-ტექნოლოგი, მათემატიკოსი – *გიორგი ნიკოლაძე,* ინჟინერი *ივანე ბერიძე* და ქიმიკოს-ორგანიკოსი, ლაიფციგიდან ახლად დაბრუნებული *მიხეილ შალამბერიძე.*

1918 წელს გაზეთ „შრომის“ რამდენიმე ნომერში ვასილ კაკაბაძე აქვეყნებს სექციის მიერ შერჩეულ ქართულ შესატყვისებს (კაკაბაძე 1918), იმავე წელსვეა გამოქვეყნებული რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევკტოვისას წერილები ქიმიის ქართული ტერმინების შესახებ (ნიკოლაძე 1918).

1919 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ეს ორი დამოუკიდებელი ჯგუფი ერთიანდება, რამაც წარმოაჩინა მათი ჩამოყალიბებული, გააზრებული და შედეგის მომტანი სახელმწიფოებრივი ხედვა. მათ ნათლად დაგვანახვეს არსებითი განსხვავება „მწყობრივ“, ანუ სახელმწიფოებრივად მართულ ტერმინოლოგიასა და კერძო მუშაობას შორის. ამ უკანასკნელს კი ყველა დროში მოაქვს ის, რაც იმ ეპოქისთვისაც არ იყო უცხო, კერძოდ:

1. სხვადასხვა პირი ტერმინებს სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს;
2. მეორე მხრივ, ერთსა და იმავე ცნებას ხშირად რამდენიმე სხვადასხვა სახელი აქვს მითვისებული ავტორების შეუთანხმებლობის გამო;

3. მიმდინარეობს კერძო, შეუთანხმებელი მუშაობა.

„ჩვენს ეხლანდელ ენაში იმდენი კერძო ტერმინოლოგიაა ჩართული, რამდენიც ახალი ქართული წიგნია გამოსული ამ უკანასკნელ დროში და ადამიანმა აღარ იცის, რომელი ამოირჩიოს სახმარებლად“ (სიტყვარი 1920: 21). ამით კი ყველაზე მეტად სკოლა ზიანდება, „ყოველ კლასს თავ-თავისი სახელმძღვანელოები აქვს დანიშნული და ამიტომ ყველა ცნებებს ყოველ წელიწადს სახელები ეცვლება. ბუნების მეტყველების და მათემატიკის სწავლება სახალხო სკოლებში ტერმინების მრავალსახეობის მორევში სცურავს“ (სიტყვარი 1920: 21).

ცხადია, შეთანხმებული მუშაობის გარეშე ვერ მოაგვარებდნენ ტერმინოლოგიურ სიჭრელეს: „არევ-დარევა დასაგმობია ყოველდღიურ ცხოვრებაში, მით უფრო დასაგმობი და შეუწყნარებელია ის მეცნიერულ და სპეციალურ საკითხებში, სადაც აზრების და ცნებების გადმოცემაში გარკვეულობას, სიმარტივეს, სიცხადეს და სიმტკიცეს უაღრესი მნიშვნელობა აქვს“ (სიტყვარი 1920: 29).

ვასილ კაკაბაძე ნიკოლაძეების ჯგუფთან გაერთიანებას სატერმინო სექციის მეორე ხანას უწოდებს. „სწორედ ამის შემდეგ მუშაობის საქმე სულ სხვა ნიადაგზე დადგა როგორც თავისი მიზნებით, ისე თვით ტერმინოლოგიის ასაგებ პრინციპებით“ (კაკაბაძე 1935: 448). დაიწყო თავგანწირული, თავდაუზოგავი შრომა. მუშაობდნენ დღისითა და ღამით, თბილისში, ეკ. ნიკოლაძის ბინაში, პოლიტექნიკურ სასწავლებელში ან დიდ ჯიხაიშში, ნიკოლაძეების სახლში. მუშაობა სწორად დაგეგმილი და თანმიმდევრული იყო. უპირველესად, შეუდგნენ არსებული ტერმინოლოგიის შესწავლას, „მასალების გარჩევას, დაწყობასა და გამოსადეგი სიტყვების თავ-თავის ადგილას ჩაყენებას“ (სიტყვარი 1920:22). ერთი სიტყვით, თავს უყრიდნენ ქართულ ენაში უკვე არსებულ სიტყვებსა და ტერმინებს.

1919 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში საქართველოს ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექციამ მუშაობა დაასრულა და 1920 წელს გამოსცა ტექნიკურ ტერმინთა პირველი ქართული ლექსიკონი, ანუ სიტყვარი („სიტყვების კრებული“), რუსულ-ქართული, ლექსიკონს დამატების სახით ერთვის გიორგი ნიკოლაძის მიერ შედგენილი ათგვერდიანი სატანვარჯიშო ტერმინები შემდეგი სათაურით: „საშევარდნო ტანვარჯიშის ტერმინოლოგია“ – წინასიტყვაობით.

სიტყვარის მეორე, შევსებული გამოცემა (რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული) დაიბეჭდა 1921 წელს. ეს არ იყო რომელიმე ენიდან თარგმნილი პრიმიტიული, არამეცნიერული ტერმინოლოგიური

ლექსიკონი. სიტყვარს საფუძვლად ედო:

„ყოველი დარგის ახლანდელი მეცნიერული შინაარსი;

ყველა მოწინავე ქვეყნის ტერმინოლოგია,

თანამედროვე პედაგოგიის მოთხოვნილებანი და სამერმისო გეგმები;

ახლანდელი მეცნიერული და პედაგოგიური კრიტიკა, რომელიც ყველა დარგში ცალ-ცალკე გვიჩვენებს, თუ რა არის მოძველებული და შესაცვლელი თანამედროვე ტერმინოლოგიებში;

მომავალი საყოველთაო განათლების საჭიროებანი და ჩვენი ენის ხასიათი, კანონები და თავისებურებანი და ჩვენი ფილოლოგიის ნაკვლევი.

ყველა ჩვენი ლექსიკონი (საბა-სულხან ორბელიანის, რაფიელ ერისთავის, ჩუბინაშვილის და სხვ.),

ჩვენი ძველი მეცნიერული ენის ნიმუშები (იოანე პეტრიწის და სხვ.);

ყველაფერი, რაც აქამდის ქართულად გამოქვეყნებული იყო ჩვენს დარგებში: ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სახელმძღვანელოები, ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული სტატიები, საკითხავი წიგნები და სხვ.,

ხალხური კილოკავები; ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ნახმარი ხალხური სიტყვები; ჩვენი ძველი მწერლობა და სასულიერო წიგნები“ (სიტყვარი 1920: 23).

სატერმინოლოგიო სექციის წევრებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ტერმინოლოგიური მუშაობის სახელმწიფო მნიშვნელობა:

„ტერმინოლოგია ყოველ წელიწადს ვერ გამოიცვლება; ეს საშვილიშვილო საქმე თავიდანვე რაც შეიძლება მრავალმხრივ მოფიქრებულად და მტკიცე საფუძვლიანად უნდა იყოს შემუშავებული“ (სიტყვარი 1920:23).

„ტერმინების ცენტრი“

ვფიქრობთ, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს ქართველმა მეცნიერებმა დასვეს, *ტერმინოლოგიური ცენტრის* იდეა იყო. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ სიტყვარის ავტორებმა ჩამოაყალიბეს საქართველოში მართული ტერმინოლოგიური მუშაობის პროგრამა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მე-19 საუკუნეშიც იყო ამის შესახებ

მსჯელობა[1].

ტერმინოლოგია სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა და მას უნდა ქმნიდეს ერთი სახელმწიფო დაწესებულება, ტერმინოლოგიური ცენტრი. ჯერ კიდევ 1918 წელს რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევკტოვისა მსჯელობს *ტერმინოლოგიური ცენტრის* დაარსების აუცილებლობაზე: „მანამ ახალი ენა ჯერ არ გამორკვეულა და გამოქვეყნებული არ არის, სახელებისა და ენების რევის ასაშორებლად საჭიროა ტერმინების საერთო ცენტრის დაარსება. რაკი ცხოვრება არ იცდის და უენოთაც წინ გარბის“ (ნიკოლაძე 1918, №237).

ასეთ ცენტრად რუსუდან ნიკოლაძეს მხოლოდ უნივერსიტეტი ესახება, „ჩვენი პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც თვით ისტორიულ პირობებით დანიშნულია გადაიქცეს მთელ ჩვენ განათლების შემოქმედებით ძალათ“. უნივერსიტეტის სახელი სულ სხვა სხივს მოჰფენს „ამ შინჯვას და სულ სხვა ღირსებასაც მიანიჭებს მას“ (ნიკოლაძე 1918, №237).

უნდა დაარსდეს ისეთი დაწესებულება, ცენტრი, რომელიც „ყველა დარგების სატერმინო კომისიებს განუყოფელ მჭიდრო ორგანიზაციად გადააქცევს, მას თავში ჩაუდგება და ყველა კომისიების მუშაობას განუწყვეტლივ თვალს ადევნებს“ (ნიკოლაძე 1918, №237).

ცენტრისა და სატერმინოლოგიო კომისიების თანამშრომლობის მეშვეობით ტერმინოლოგიურ მუშაობა ერთ დიდ სახელმწიფო საქმედ იქცევა საქართველოში: „კომისიების ნამუშევრების გარდა, ცენტრი მუდამ უნდა აგროვებდეს გაზეთებში მოთავსებულ კერძო სახელწოდებებს და მათ შესახებ გამოწვეულ ნაწერებს“ (ნიკოლაძე 1918, №237).

ტერმინოლოგიური სიჭრელე მთავარი სირთულეა, რომლის გამო „ენის ზრდა“ ფერხდება. უმეტესი მათგანი არამეცნიერულია, თუმცა „საჭირო ტერმინების ჯერ კიდევ თავისუფალ ალაგს იჭერენ“. ტერმინების ცენტრს უნდა მიენიჭოს უფლება „ახალ გამოსაცემ სასწავლო ან სამეცნიერო საკითხავ წიგნების ტერმინოლოგიის მხრივ წინდაწინ გაშინჯვისა და შესწორებისა“ (ნიკოლაძე 1918, №237).

ტერმინოლოგია უნდა იყოს შეთანხმებული, საერთო: „რამდენადაც პოეზია და სიტყვა-კაზმული მწერლობა უნდა თავისუფალი იყოს, იმდენად სამეცნიერო ენა მტკიცე კალაპოტში უნდა იყოს ჩაყე-

[1] იხ. ამავე კრებულში: იამზე ვაშაკიძე, XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესა ტერმინთშემოქმედების შესახებ.

ნებული“ (ნიკოლაძე 1918, №237). ყველამ თავისი ნამუშევარი ამ კომისიას უნდა წარმოუდგინოს. თვითნებობა ტერმინოლოგიურ მუშაობას კერძო საქმედ აქცევს. თვითნებური ტერმინოლოგიური მუშაობის თავიდან ასაცილებლად გასათვალისწინებელია: „თუ ვინმე საკუთარ სახელწოდებას აღადგენს, რაც მეტად სასურველია, მას ნება როდი უნდა ჰქონდეს ამ სახელებზედ დამყარებული წიგნები გაავრცელოს, სასწავლოთ ან საკითხავად“. ავტორმა ტერმინები გაზეთში უნდა გამოაქვეყნოს, კამათის საგნად აქციოს, კომისიას წარმოუდგინოს და, თუ კომისია მოიწონებს, „გამოსადეგად სცნობს და სატერმინო ცენტრს გადასცემს, ავტორს შეეძლება ამ სიტყვის ვრცელება“ (ნიკოლაძე 1918, №237).

ამგვარი მუშაობის მიზანი მხოლოდ ისაა, რომ „ხალხმა მზად შემუშავებული სამეცნიერო სახელები უნდა მიიღოს და არა ხან ერთი, ხან მეორე და ისიც უვარგისი ან შეცდომითი“ (ნიკოლაძე 1918, №237).

ტერმინოლოგიის ცენტრი

ტერმინოლოგიის დარგობრივი კომისიები
(დარგის სპეციალისტები და ფილოლოგები)

ტერმინოლოგიის გასამართავად მნიშვნელოვანია დარგის სპეციალისტებისა და ფილოლოგების თანამშრომლობა. „ამორჩეული სიტყვის საბოლოო შემუშავება ჩვენი ენის ფილოლოგიის მტკიცე ნიადაგზე უნდა იქნეს დაყენებული, რადგან მხოლოდ ამ გზით შესაძლო იქნება ყოველი ტერმინის თვითოეული მარცვლის შეუცდომლად არჩევა, სხვებთან შეკაზმვა და მთელი ენის სიანკარის დაცვა“ (ნიკოლაძე 1918, №237).

მაშასადამე, ტერმინების შესაქმნელად აუცილებელია:

1. დარგთა შორის მჭიდრო თანამშრომლობა;
2. დარგის სპეციალისტებისა და ფილოლოგების თანამშრომლობა;
3. შემუშავებული მასალის ცენტრისთვის მიწოდება.

ასე მართული და შეთანხმებული საქმე თავის მიზანს აუცილებლად მიაღწევს და „ცხოველ სიტყვებიდან შემდგარ ტერმინოლოგიას შექმნის; ყოველი სახელი სწორედ ისეთი იქმნება, როგორიც მის ცნების გამოსასახავად არის საჭირო“ (ნიკოლაძე 1918, №237).

შესაძლოა, ეს ტერმინოლოგიური მართვის ერთადერთი სწორი

გზა ვინმეს ცენზურად მიეჩნია: „წინანდელ ცენზურასთან ამ შინჯვას საერთო არა ექნება რა: მისი მიზანი პირდაპირ წინააღმდეგიცაა, რადგანაც ის დარაჯათ იდგება, ხალხის გონებისგან, ბნელ და მავნე სიტყვების ასაცდენათ“ (ნიკოლაძე 1918, №237).

სწორად შერჩეულ ახალ ტერმინებს რამდენიმე ხანში მიიღებს ენა, ამისათვის კი „საკმაო იქნება თითო-ოროლა ახალი წიგნის გამოცემა ან ძველის გასასწორებლად გადაბეჭდვა. ამ გზით კი ვერც კი შევამჩნევთ, რა მალე შევეჩვევით ახალ სახელების ხმარებას“ (სიტყვარი 1920: 25).

ამ წლებში ტერმინთა შემუშავებაც მოასწრეს და მისი დანერგვაც. საყურადღებოა ამ დროის სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებშიც სატერმინოლოგიო სექციის ჯგუფის მიერ დადგენილი ტერმინოლოგიაა ასახული[1].

პურისტებად წოდებული ქართველი ტერმინოლოგების თვალსაზრისების შესწავლამ განსხვავებულად შეგვაფასებინა მათი ნამუშევარი. ხშირად აღგვინიშნავს ის, რომ იშვიათია ასეთი მეცნიერული მიდგომა ტერმინთშემოქმედებისადმი, როგორიც ჰქონდათ ქართული ტექნიკური საზოგადოების სატერმინოლოგიო სექციის წევრებს. უმთავრესი კი ის იყო, რომ მათი წამოწყება არ დარჩენილა ერთ პატარა კერძო საქმედ (ქაროსანიძე 2014: 176-185). გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის ხედვა ზუსტად შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ მეცნიერულ ტერმინოლოგიურ მუშაობას

„პურის მაგიერ ქვა“

1918-1921 წლებში უფრო გამწვავდა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის დროს დაწყებული კამათი იმის შესახებ, თუ როგორი ტერმინები უნდა დაემკვიდრებინათ ქართულში. საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ტერმინების შექმნა საჭირო არ არის, არაფერია იმაში ცუდი, თუ საერთაშორისო ტერმინებს შემოვიღებთო. „საერთაშორისო

[1] «საშევარდნო სახელსახება ქართულად 1911-1913 წლებშია გადმოთარგმნილი, ხოლო შემდეგ 1918-ში ტბილისის საზოგადოება „შევარდენის“ წურთნელთა კრებულის მიერ შესწორებული და შევსებული. ამ ჟამად ეს სახელსახება მიღებულია ყველა ქართულ „შევარდენის“ საზოგადოებებში და საქართველოს ყველა სასწავლებლებში, როგორც ტანვარჯიშის სავალდებულო სახელსახება“, – წერს გიორგი ნიკოლაძე (სიტყვარი 1920: 99).

ტერმინოლოგია პირდაპირი საფრთხე იქნება ქართული ენისთვის“ – ასეთი იყო სიტყვარის ავტორთა უცვლელი შეხედულება, რომელიც ვრცლადაა განხილული მათს შესავალ წერილში; ვფიქრობთ, ამ თანმიმდევრულ და დასაბუთებულ თვალსაზრისებს, რომლებიც დაწვრილებითაა განხილული ლექსიკონისთვის წამძღვარებულ საგანგებო წერილში, დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა (სიტყვარი 1920:1-106)[1].

ამ წერილს, მართალია, ყველა ავტორი აწერს ხელს, თუმცა აქ უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: მიუხედავად იმისა, რომ ვასილ კაკაბაძე ეროვნული ტერმინთშემოქმედების მომხრე იყო, 1918 წელს მის საგაზეთო წერილებში გამოქვეყნებულ ტერმინოლოგიურ მასალაში მრავალი სიტყვა უთარგმნელადაცაა გადმოტანილი, მაგალითად: *ფოსფორი, კარბოლო, ოლეინი, აზოტი* და სხვ.; ნიკოლაძეების მიდგომა კი სრულიად განსხვავებულია: ჯერ კიდევ 1912-1913 წლებში გიორგი ნიკოლაძემ თარგმნა საშევარდნო ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომელშიც არცერთი არაქართული სიტყვა არ შედის[2]. რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეები სიღრმისეულად იცნობდნენ ევროპულ ტერმინოლოგიურ მუშაობას და იცოდნენ ევროპული ენები, შესაბამისად, 1918-1921 წლებში ეროვნული ძირებით ქართული ტერმინთშემოქმედება და-ძმა ნიკოლაძეებს უკავშირდება, მათმა პრინციპულობამ, მტკიცე არგუმენტებმა განაპირობა უდიდესი საქმის ბოლომდე მიყვანა – პირველი ქართული ტექნიკური ლექსიკონის გამოცემა. სავარაუდოდ, სწორედ ამ სიმტკიცეს გულისხმობდა ვასილ კაკაბაძე, როცა სატერმინოლოგიო სექციისა და ნიკოლაძეების ჯგუფის გაერთიანებას სექციის ტერმინთშემოქმედების მეორე ხანა უწოდა.

რა იყო „ქართველი პურისტების“ ხედვის საფუძველი?

1. საერთაშორისო, ესე იგი ყველა ქვეყნისთვის საერთო სრული ტერმინოლოგია არც არსად არის, ვერც გაჩნდება, და კი-

[1] წინასიტყვაობა ორნაწილიანია, პირველს „ჩვენი დედა-აზრი“ ეწოდება, მეორეს – „ ჩვენი სისტემა“. ლექსიკონის ავტორები უმორჩილესად სთხოვენ მკითხველებს, ლექსიკონის გამოყენებამდე აუცილებლად გაეცნონ წინასიტყვაობას, რათა გაიგონ მათი ტერმინთშემოქმედების არსი, საფუძველი. ისინი მზად არიან, გაითვალისწინონ ნებისმიერი თვალსაზრისი, წინადადება. საინტერესოა ისიც, რომ თავად შესავალი უცხო სიტყვების გამოყენებით დაწერეს იმის საჩვენებლად, თუ როგორ „უცხო სიტყვათა მორევს“ წარმოადგენს ქართული ენა (სიტყვარი 1920: 99).

[2] ეს ლექსიკონი, როგორც აღვნიშნეთ, სიტყვარის დამატებად დაიბეჭდა 1920 წელს.

დეც რომ გაჩნდეს, ვერას გზით ვერ შეძლებს ყველა ქვეყნის მეცნიერების დაახლოებას და შეერთებას (სიტყვარი 1920: 5);

2. ქართული ენა სრულიად „განსხვავებული შტოა ქვეყნიერების ენებისა“, მისთვის სრულიად უცხოა ინდო-ევროპული სახელები, უცხო ფესვების ჩამატება ანგრევს ენას და ვერაფერს შველის „ჩვენებური თავ-ბოლოების წაბმა“ (სიტყვარი 1920: 15). მთავარი კი ისაა, რომ უცხო სიტყვები ახალ სიტყვებს ვერ წარმოშობენ, ენათა შერევა ვერ ამდიდრებს ენას, პირიქით, „ის ამცირებს და არა ზრდის ენის სიღრმეს და შინაარსიანობას“ (ნიკოლაძეები 1920; სიტყვარი 1920: 13);

3. უცხო სიტყვების ქართული ასოებით გამოსახვა, რასაკვირველია, სულ ადვილი საქმეა, „მხოლოდ არა გვგონია, რომ ამნაირად ტერმინოლოგიის შემუშავება უფრო „კანონიერი“, „საჭირო“ და „სასარგებლო“ იყოს ეროვნულთან შედარებით“ (კაკაბაძე 1920:17);

4. „საერთაშორისო ტერმინოლოგია პირდაპირი საფრთხე იქნება ქართული ენისთვის. ჩვენი ენა ან სრულად დაიხრჩობა ამ ბაბილონური ზვავის ქვეშ ან უკეთეს შემთხვევაში ბუნებით და ცხოვრებით უარყოფილ „ესპერანტოს“ მსგავს ჟარგონად გადაიქცევა. ასეთი გადაგვარებული ენის ხმარებას კი ისევ რომელიმე ცოცხალი ევროპიული ენის მიღება აჯობებს და ეს ხომ ერის განვითარების სამუდამო ჩაფუშვას გამოიწვევს“ (სიტყვარი 1920: 18);

5. ეროვნული თვითმყოფადობა მოითხოვს ქართულ ტერმინთშემოქმედებას: „თუ-კი ცხრა საუკუნის წინ ჩვენი წინაპრები გრძნობდნენ ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებლობას, მით უმეტეს ეხლა, თავისუფლების მოპოვების ხანაში, ჩვენ აუცილებლად ამ გზას უნდა დავადგეთ“ (სიტყვარი 1920:15);

6. ტერმინოლოგიის შექმნის დროს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ენის ხასიათი უნდა მივიღოთ მხედველობაში.

ამ საკითზე მსჯელობისას ისინი თანმიმდევრულად სცემენ პასუხს ე.წ. საერთაშორისო ტერმინების დამკვიდრების მომხრეებს: „მეცნიერების არაერთი წარმომადგენელი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ბევრად უფრო ხელსაყრელია ყველა ტერმინი გადმოუთარგმნელი დარჩეს. ყველა თავის მოვალეობად თვლის „საერთაშორისო მეცნიერულ ტერმინოლოგიას“ ემსახუროს და ის „ერთიანად ხელუხლებ-

ლივ თავის ქვეყანაში გადმოიტანოს“ (სიტყვარი 1920: 15).

ეროვნული ძირებით ხელოვნური ტერმინების შექმნის მოწინააღმდეგეებს ასეთი კითხვით მიმართავენ სიტყვარისტები: „რატომაა „ევროპისგან დამაშორებელი“ ალკოჰოლისათვის ან ეფირისათვის ეროვნული სახელების დარქმევა, თუკი ასეთ ძირითად ცნებებს, როგორიცაა კისლატა შჩელოჩ (რუსულად) ლავუაზიეს დროიდან ყოველ ქვეყანაში საკუთარი სახელი ჰქვია“ (სიტყვარი 1920: 15)?

ტერმინების უთარგმნელად გადმოტანა უმარტივესია. ის ხომ არავითარ შრომას და თავის მტვრევას არ მოითხოვს: „მართლაც ყველა ქვეყანაში სახმარი ერთად-ერთი მეცნიერული ტერმინოლოგია რომ არსებულიყო, რაღად გაუძნელდებოდა ჩვენს განათლებულ წრეებს მისი საქართველოში გადმოტანა, რა საჭირო იქნებოდა ამდენი შრომა, ამდენი ტერმინოლოგიური კომისიები, ასეთი ვაი-ვაგლახით შედგენილი ტერმინოლოგიური ლექსიკონები და სხვ. „საერთაშორისო“ ტერმინების ყოველივე მომხრესათვის საკმაო იქნებოდა ამ საყოველქვეყნო სახელების ქართული ტრანსკრიპციით გამოსახვა“ (სიტყვარი 1920: 15).

რატომ უნდა მიგვაჩნდეს „შეუწყნარებლად“ და სამასხროდ ინტეგრალისათვის გასაგები სახელის ამორჩევა, როცა სავსებით ამავე კატეგორიის ცნებას ყველგან ეროვნული სახელი ჰქვია?

ჩვენს ხალხს მთელი საუკუნის განმავლობაში საკუთარი ენის ხმარება აკრძალული ჰქონდა, მთელი წინა საუკუნე უცხო კულტურის ხელოვნურ ჩანერგვაზე დაიხარჯა და „თუ ეხლა, ამ გადამწყვეტ მომენტში, ჩვენ მას ქართული სწავლის და ქართული მეცნიერული ტერმინების სახელით ყოვლად უცხო სიტყვები მივაწოდეთ, – ე. ი. პურის მაგიერ ქვა, – ხალხი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ცოდნა და მეცნიერება მართლაც გაუგებარი და მიუწვდომელი, არა „საიმისო“ რამ ყოფილა და სწავლა-განათლების იმედი და ხალისი მას სამუდამოდ გაუქრება“ (სიტყვარი 1920:16).

ამგვარად, სიტყვარის ავტორებმა ჩამოაყალიბეს ტერმინთშემოქმედების ხედვა, რომელსაც მყარი და დასაბუთებული საფუძველი ჰქონდა.

„ენის ჭეშმარიტი გამდიდრება ახალი ფესვების შექმნაშია“

ტერმინოლოგიისათვის უმნიშვნელოვანესია დედა-ენა და მტკიცე სისტემა – „აი, რა უნდა შეადგენდეს ყოველ ტერმინოლოგიის საძირკველს“. ტერმინი სახელდებაა, ცნებისთვის სახელის შერქმევა, ამიტომაც მას ქართულად *სახელსახება* უწოდეს:

სახელმსახი უნდა იყოს:

1. მტკიცე მეცნიერული, ე. ი. ცნების უძირითადესი თვისების გამომსახი;
2. ნამდვილი ქართული და მეტყველი და
3. რაც შეიძლება მარტივი, ე. ი. საყოველთაო ენიდან მკაფიოდ გამოსარჩევი, მოკლე და კარგი საწარმოები (სიტყვარი 1920: 22).

ენის გამდიდრებას ორი გზა აქვს: ერთი არის *ახალი ფორმების შედგენა,* მეორე კი *ახალი ფესვების გაჩენა.* ენის ჭეშმარიტი გამდიდრება ამ ფესვების შექმნაშია, რადგან ყოველი მათგანი, რომელსაც საკუთარი მნიშვნელობა აქვს, მომავალში ბუნებრივ შთამომავლობას აძლევს ენას.

იმისათვის, რომ მეცნიერული სახელსახება (ტერმინოლოგია) დღევანდელ მოთხოვნილებებს ყოველმხრივ აკმაყოფილებდეს, „ე. ი. რომ ის ერთსა და იმავე დროს მტკიცედ თანწყობრივი და ჭეშმარიტად მეცნიერულიც იყოს, საყოველთაოც და ცოდნის მთელს ერში ჩამნერგავიც, აუცილებლად საჭიროა ის მთლიანად, ე.ი. თავიდან ბოლომდის ერთს და სახელდობრ დედაზედ იყოს გამოსახული, მასში არაერთი გარეშე, ე.ი. სხვა ენებიდან ახლად და ხელოვნურად გადმოღებული (ე.ი. ხალხის მიერ შეუთვისებელი) უცხო სიტყვა არ უნდა შედიოდეს“ (სიტყვარი 1920:15).

ნიკოლაძეებისა და მათი თანამოაზრეების ტერმინთშემოქმედებისადმი მიდგომა ასეთი იყო:

1. უპირველესად, ქართულში უკვე არსებულ სიტყვებს უსადაგებდნენ თანამედროვე ტექნიკურ ტერმინებს:

გადმოჰქონდათ ძველ ქართულ ლექსიკონებში არსებული ტერმინები, რომლებიც იმდროისათვის, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ გამოიყენებოდა, მაგალითად, *გაი* („კაკაო“), *წრიაპი, ძგიფი* (მცირედ შეყინული), *ჯირგინი* (მიწის ქვეშ გათხრილი წყლის სადინარი), *დამანი* („კრისტალი“), *მენაკი* („ხარისხი“), *ნუშა* („მომცრო ნავი“), *ყლუნი* („საკვნეტი მაკრატელი“, Кусачки), *ლიფი* („გასანთლული ლარი“), *განჯვინი* („ბენზინი“)[1], *ტალანი* (Коридор), *კრია, მოთხე* („კოლოფი“), *შორენკეცი* („ჭრელი აგური“), *ყიბლანი* (არაბ. „კომპასი“), *ცქიტი* („ცენ-

[1] *განჯვინი* „ბენზინის“ მნიშვნელობით დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში დასტურდება. ის სიტყვარის ავტორებმა კეთილხმოვანებისთვის განჭვინით შეცვალეს (ჩუბინაშვილი 1984).

ტრი“), *წირთხლი, სამყე („კაუჩუკი“), ღრუდო, ფერსო, ჭანგი // ჭანკი*[1].

ნახევრის ნაცვლად ტერმინთწარმოებისას იყენებდნენ მოკლე სიტყვას – *ერგ* . „ეს ნამდვილი ქართული მოდგმის სიტყვა აღმოჩნდა; ჩვენ ის საღვთო წიგნებიდან და ძველ ქართულ ნაწერებიდან ამოვიღეთ, სადაც ის ხშირად იხმარება“ (სიტყვარი 1920:45).

გააცოცხლეს იოანე პეტრიწის მიერ შექმნილი რამდენიმე ტერმინი: *წრფე, წირი, აღლევა, (Анализ), აღკაზმვა (Синтез), თანტომი, თანშეშჯა.*

„ჰაერის ძველი ქართული დასახელებიდან ამოვიღეთ, – „ჰაირი“ – აირი. **ჰ**-ს მოშორება და *ე*-ს *ი*-ზე შეცვლა მკაფიოდ არჩევს ერთმანეთიდან ამ ორ ფესვს, ჰაერს და აირს; საერთო გამოთქმით და ხმოვანებით-კი ორივე რაღაც ჰაერებრივს ბადავენ ხოლმე ჩვენს წარმოდგენაში. *აირი, აირადი, აირებრი,* – რამდენად ეს სახელები უფრო მეტყველი და გასაგებია ქართული ყურისთვის, ვიდრე აქამდის გამეფებული უცხო „გაზი“ (სიტყვარი 1920:46)!

ცხადია, თანამედროვე ტექნიკის ტერმინოლოგიის შექმნისას სიტყვარის ავტორები უპირველესად ძველ ქართულ მასალას ეყრდნობიან, განსაკუთრებულია მათი დამოკიდებულება ძველ ქართველ მთარგმნელთა მიმართ, მათთვის მისაბაძია ძველი „სიტყვა-სიტყვით და ფესვ-ფესვ გაქართულებული ტერმინები“, „ჩვენი საკუთარი დედა ენისგან და ჩვენი ერის შემოქმედებისგან ვსწავლობთ და იმ ფორმების აღდგენას და გამრავლებას ვცდილობთ, რომელნიც, სამწუხაროდ, დაჩრდილულ იქმნენ უკანასკნელ საუკუნეებით“ (სიტყვარი 1920:45).

სიტყვარის ავტორთა კრიტიკისას უფრო ხშირად ხაზი ესმევა მათ ხელოვნურ სიტყვათწარმოებას, სინამდვილეში კი მათი ტერმინთშემოქმედება არაფრით განსხვავდება ძველ ქართველ მთარგმნელთა მიდგომებისაგან. მეტიც, შეიძლება ითქვას, სწორედ რომ ძველი ქართული ტერმინოლოგიური სკოლის გაგრძელებას ცდილობენ. მათი აზრით, „ყველასთვის, ვინც-კი ტერმინების შემუშავებაზე ფიქრობს, საჭიროა ამ ნაწარმოებთა შესწავლა, ვინაიდან ისინი ნამდვილ საუნჯეს წარმოადგენენ როგორც ენის სიმდიდრით და მრავალ გადავიწყებულ ფესვებით და ფორმებით, ისე ახალ სიტყვების შეთხზვის მაგალითებით“

[1] ლექსიკონი ამ მხრივ სრულად გამოკვლეული არ არის, შესაძლოა, ამიტომაც ძველ ქართულ ლექსიკონებში დადასტურებული სიტყვები (მაგ.: მენაკი, ბანჭვინი და სხვ.) ხელოვნურ ტერმინებადაა მიჩნეული დღემდე.

(სიტყვარი 1920:15).

2. იყენებდნენ ევროპული (რუსული, ფრანგული, გერმანული, ინგლისური) ენის მაგალითებს:

სიტყვარის ავტორები არ არიან მიჯაჭვულნი მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის ტერმინოლოგიას, იყენებენ ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ინგლისურ მასალას: „ჯერ შემუშავებული დარგის მთელ თანამედროვე ევროპიულ ტერმინოლოგიას ვითვალისწინებთ, მერმე ამ ცნებებს ლოღიკურ ჯგუფებად ვყოფდით და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებდით ამ ცნებების სათანადო სახელების შედგენას“ (სიტყვარი 1920:21); *„ზედაპირი* – ამ ცნების ჩვეულებრივი მნიშვნელობისთვის დავტოვეთ: верхъ, лицо, ფრანგული superficie; მათემატიკური поверхность-ს-კი, ე. ი. ფრანგული surface-ს *ფართეული* ვუწოდეთ“ (სიტყვარი 1920:38). „Интенсивность – intensité – *შეჭინულობა* გამოვიდა. ეს სიტყვაც ფრანგული ტერმინოლოგიის მიხედვით ვაწარმოვეთ, სადაც tension-ს და intensité-ს ერთი ფესვი აქვს. in-კი როგორც „შე“ ვთარგმნეთ (სიტყვარი 1920:45).

„Ртуть-ს ევროპის წახედვით (меркурій, quicksilver, l'argent vif) – *ცქრია,* ე. ი. ცქრიალა ვერცხლი დავარქვით“ (სიტყვარი 1920:63). „რამდენად მარილების დასახელებისთვის გერმანული „at-it“-იანი სისტემაა საუკეთესო, რუსული „кислый-сѣрнокислый“-ანი-კი ყოვლად ჩამორჩენილი და უშნო, იმდენად ჭანგების ნომენკლატურა მთელ ევროპაში მეცნიერულად მოძველებულია; რუსეთში-კი ეს ნომენკლატურა თავის ავტორის, მენდელეევის, წყალობით სრულიად სწორია და სავსებით შეეფერება თანამედროვე ქიმიის შინაარსს“ (სიტყვარი 1920:65).

საგანგებო კვლევისა და ისტორიის გარეშე, ცხადია, დღეს უჩვეულოა სიტყვარის ავტორთა მიერ შემოღებული ტერმინები: მილიონისთვის – *ორდანი,* ბილიონისათვის – *სამდანი,* ტრილიონისათვის – *ოთხდანი,* მაგრამ საფუძველი ამ ახალი სიტყვების საჭიროებისა გამხდარა ის , რომ „ერთსა და იმავე სახელს რომანულ ქვეყნებში და რუსეთში ერთი მნიშვნელობა აქვს, ინგლისში და გერმანიაში-კი მეორე. მაგალითად, „ბილიონი“ ანუ „მილიარდი“ ამ პირველ ქვეყნებში ათასის *მესამე* ხარისხს, ე. ი. ათას მილიონს ნიშნავს, ინგლისში და გერმანიაში კი, სადაც ნუმერაციის ყოველ კლასში სამი „რაზრიადის“ მაგიერ ექვს-ექვსი შედის, ეს სიტყვა მილიონ მილიონს, ე. ი. ათასის *მეოთხე* ხარისხს სახავს; ამნაირადვე ტრილიონიც, კვადრილიონიც და სხვ.“ (სიტყვარი 1920:41). ამ საკითხზე მსჯელობა თითქმის ერთ

გვერდს იკავებს და, როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც რამდენიმე ენის მონაცემის სიღრმისეულ განხილვას ეფუძნება.

ასწორებენ რუსული გზით შემოსულ სიტყვებს და უპირატესობას აძლევენ უშუალოდ იმ ენის წარმოთქმას, რომლიდანაცაა უშუალოდ ნასესხები სიტყვა: „ალგებრას *ალჯებრი* დავარქვით, რადგან ეს სახელი არაბული „ალ ჯებრ ვ'ალმუკაბალა“-სგან წარმომდგარია („algebr v'almucabala“), რაც ნიშნავს возстановленіе და противоположеніе-ს; სიტყვა „ალგებრა“ ამ ფრაზის პირველი ნაწილის შეცდომითი გამოთქმას წარმოადგენს და მხოლოდ გერმანიაში და რუსეთში იხმარება; საფრანგეთში და ინგლისში-კი მას „ალჟებრ“ და „ალჯებრი“ ჰქვია“ (სიტყვარი 1920: 42).

ასწორებენ ასევე ძველ ქართულში ადრე ნასესხებ სიტყვებსაც: „უბედურება იმაშია, რომ ჩვენს ენაში ვიღაცას ყოვლად გამოუდეგარი სიტყვა, ბერძნული გადამახინჯებული ქვის სახელი – „ლითონი“ („ლითოს“-ქვა) შემოუპარებია“, ამ შემთხვევაში უკვე შემოღებული სიტყვა ლითონი კი არ განდევნეს, არამედ აღადგინეს მისი „ქართულებრივ მოწყობილი და, მაშასადამე, მარჯვე სახმარი ფესვი“ *ლით* „ქვა“ (შდრ.: *წელლითი, პალეოლითი*) და „ლითონის“ ნაცვლად *ლითი* მიიღეს (სიტყვარი 1920: 58).

3. ქართული ძირებით ქმნიდნენ ახალ სიტყვებს (ნეოლოგიზმებს):

„ზოგს ჰგონია, თითქოს მხოლოდ პოეტებს აქვთ უფლება ახალი ეროვნული სიტყვების წარმოშობისა. ეს ცალმხრივი აზრია. მეცნიერებას ისეთივე ბუნებრივი და ურყევი უფლება აქვს ენის გამშვენიერების და ჭედვისა“, – ასე ფიქრობდნენ სიტყვარის ავტორები და, მართლაც, შემოქმედებითად უდგებოდნენ ტერმინთშემოქმედებას.

მათმა შემოღებულმა მრავალმა ხელოვნურმა ტერმინმა გაუძლო დროს და საბოლოოდ ქართული ენის ბუნებრივ ნაწილად იქცა. როგორც ვუკოლ ბერიძე წერს: „სიტყვარის მიერ შემოღებული ზოგი ტერმინი ისე ჩაინერგა ქართველის აზროვნებაში, ისე გაჯდა იგი მის არსებაში, რომ მას ვერც-კი წარმოუდგენია, თუ უამსიტყვოდ ოდესმე არსებობდა ქართული ენა“ (ბერიძე 1952:30). ერთ-ერთი ასეთი ხელოვნური ტერმინია *ბწევა*, რომლის შესახებ მსჯელობისას ნათლად ჩანს ტერმინთშემოქმედების ნამდვილი არსი: „ფრანგულად давленіе-ს pression ჰქვია, прессованіе-ს-კი – pressage. ამნაირად პრესსის და

давленіе-ს სახელები ახლო მონათესავეა. Прессованіе-სთვის საუკეთესო ხალხური ბუნებრივი სიტყვა გვაქვს – *წნეხვა* („საწნეხელი“ აქედან არის წარმოშობილი), прессъ-ს ამიტომ *წნეხი* დავარქვით. აქედან давленіе-ს ფესვად *წნე* ამოურჩიეთ. გამოვიდა: давленіе – *წნევა, აწნევს, ზეაწნევს, ქვეაწნევს, ზეწნევა, შუაწნევა, წნეუცვლი, წნეუცვლად, წნექმედივი „რეაქცია“* და სხვ. ამ ორი ცნების (прессованіе და давленіе) დაახლოვება ძალიან ამეტყველებს ჩვენს ტერმინოლოგიას. *წნეხვა* დეფორმაციის გამომწვევი давленіе არის (ფრანგული pressage), *წნევა*-კი – უბრალო „დავლენიე“ – „pression“; გაზებისთვის ეს ორი ცნება სინონიმებია“ (სიტყვარი 1920:24).

„Лабораторія-ს *საცდელ* დავარქვით, რადგან მისთვის опытъ – ცდა და არა labor – შრომა შეადგენს სპეციფიურ, სხვა დაწესებულებებიდან გამოსარჩევ საფუძველს“ (სიტყვარი 1920: 89).

„ძრაობის მინიჭების დარგისთვის შემდეგი ფესვები წარმოვშვით: სიტყვა „რონინი“, „რონინებიდან“ (ტარება), *რონი* – рельсъ; აქედან *რონარა* – трамвай, *ელრონარა* – электрическій трамвай; вагонъ – *რონოდა,* ე. ი. „რონებზე მავალი“ და ხალხის „მარონიებელი ოდა“ (სიტყვარი 1920:94)[1].

ამ სიტყვის კრიტიკას ასე უპასუხა ვასილ კაკაბაძემ: „უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი *ტრანვაი* ან გინდ *ტრამვაი* ყოვლად მიუღებელი სახელია, რადგან ეს სიტყვა არც ასე გამოითქმის ინგლისში tramway=(ტრემვე), არც იმას ნიშნავს, რა მნიშვნელობაც მას ჩვენში მიაწერეს (tramway= ტრამის გზა), საფრანგეთში სწორედ ამიტომ ჩვენ трамвай-ს მაღაროების პრტყელ რელსებზე საგორავ ვაგონეტკების ინგლისურ სახელიდან წარმოშობილი Trame ჰქვია და არა ტრამ-ვაი“ (კაკაბაძე 1920).

Полотно желѣзной дороги – *ლიანდაგი,* აქედან *ლიანდი* – колея, узкоколейная дорога – *ვიწროლიანდა გზა* და სხვ. (სიტყვარი 1920: 94).

ერთი შეხედვით, გაუგებარია და დღეს სასაცილოც კი მანქანის აღსანიშნავად *ქმოსი,* მაგრამ თუ თანამედროვე ვითარებას გავითვალისწინებთ, როცა *მანქანა* ძალიან ბევრ რამეს გულისხმობს, გასაგები ხდება სიტყვარისტების მიზანი: „სახელი „машина“ მტკიცედ განსა-

[1] რონ// რონინება „სიარული“, „ტარება“ ძველი ქართული სიტყვაა და ამ ძირისგან *მატარებლის* მსგავსად შექმნილი სიტყვები, ვფიქრობთ, ქილიკის საგანი არ უნდა გამხდარიყო.

ზღვრულ ცნებას არ შეიცავს. „მაშინა“ ძრავასაც ჰქვია (მაგალითად, паровая машина), станок-საც (მაგალითად, საკერავი მაშინა) და სხვ. ჩვენ მას მეხანიურ ენერგიის დასახელების მიხედვით *(ქმო, ქმობრი სიმხნე) ქმოსი* დავარქვით. სიტყვა „მანქანა“-კი механизм-ისთვის დავტოვეთ, რაც გაცილებით უფრო სწორია“ (სიტყვარი 1920:94).

განსხვავებულია სიტყვარის ავტორთა მიდგომა ევროპაში უკვე დამკვიდრებული ტერმინების მიმართ, მაგალითად, კრიტიკულად განიხილავენ ევროპაში მე-17 საუკუნიდან ცნობილ ტერმინს – *ელექტროობას.* როგორც ცნობილია, *ლათ. Electricus* მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან *ēlectrum* (“amber“ „ქარვა“)[1]. რაკი ამ მოვლენას სახელი მანამდე დაერქვა, ვიდრე თავად მოვლენას აღმოაჩენდნენ, ავტორთა აზრით, ამ ტერმინის ბრმად და უსიტყვოდ შემოტანას ახალი ქართული ტერმინის შექმნა სჯობს, რომელსაც ელექტროობის მოვლენასთან ექნება საერთო; ასეთად ელვისაგან წარმოებული სიტყვა *ელვისო* მიიჩნიეს, თუმცა ამის გამო კრიტიკაც დაიმსახურეს, რასაც ასე უპასუხეს: „რატომ უნდა ერქვას „ქარვა“ მეორე სტიქიონს ელექტროენერგიას? იმიტომ, რომ საუკუნის წინ მას ეს სახელი უწოდეს, როცა არ იცოდნენ, რა არის ელვა? მაგრამ ბოდიშს ვიხდი, არც თქვენ გცოდნიათ, რომ ჩვენ კი არ ვამსგავსებთ“ ელექტრონს ელვას, არამედ ელვა თვით ეს ელექტროენერგია არის, არის მისი სტიქიური – თუმც წამიერი, მაგრამ სიმძლავრით და ოდენობით ტიტანიური და სურათით დიადი ნაკადი, ხშირად რამდენიმე კილომეტრის სიგრძისა! ნუ-თუ ამასთან შედარებით შეუბრალებელი და ქონდრისკაცური არ გამოდის ამ ენერგიის სახელის ქარვის ხახუნიდან წარმოშობა! და რატომ უსათუოდ ქარვისგან? რასაც-კი არ გაახახუნებთ ხომ ყველაფერი ელვისდება“ (კაკაბაძე 1920).

ტერმინების უდავოდ და ხელუხლებლად მიღება არცერთი ქვეყნისთვის არ არის დაუწერელი კანონი. ლათინურ-ბერძნულ-გერმანულ ძირებს ნებისმიერი ენა თავისებური წარმოთქმითა და სახესხვაობით ამკვიდრებს. „ევროპა და მეტადრე ტრადიციებისგან თავისუფალი ამერიკა ხან თითოეული მკვლევარის ან აღმომჩენის პირით, ხან საერთაშორისო შეთანხმებების და კონგრესების შემწეობით... ამ-

[1] უილიამ ჯილბერტმა (//გილბერტმა//ჟილბერტმა) (მე-16 საუკუნის ინგლისელმა ექიმმა და ფიზიკოსმა) გამოიყენა პირველად თავის ნაშრომში „მაგნიტის შესახებ“. მან დაამტკიცა, რომ ქარვა ხახუნის შემდეგ იზიდავს ბალახის წვრილ ღეროებს https://en.wikipedia.org/wiki/William_Gilbert_(physician)

სუბუქებენ მათ ენას და ამოკლებენ მათ შემდგომ შემოქმედების და წინ სვლის პროცესს... ფოტოგრაფიას (=შუქნასახი) ერთი ფესვის ამოგდებით, (ფოტო (შუქ) ეწოდა, ავტომობილს (=თვითმოძრავი) პირდაპირ „ოტო“ („თვით“), ომნიბუსს ამაზედ კიდევ უკეთესად – ფესვის სრულ ამოგდებით და ცარიელ გრამატიულ დაბოლოვების დატოვებით bus (omnibus= ყველასათვის; bus=სთვის)“ (სიტყვარი 1920:15).

იგივე სცადეს ქართულშიც:

1. *შეამოკლეს სიტყვები,* 2. *გააცოცხლეს ძირები:* პა-წია, წია – „უმცირესი“, ეს სიტყვა თავის სიმოკლითაც და ხმოვანობითაც იმის მაჩვენებელია, რომ ის ნივთიერების *პაწია წილს* შეადგენს, მაგრამ ის წილი მატერიის დანაყოფი ნაწილადი-კი არ არის, არამედ ამ ნივთიერების სადასაბამო ინდივიდუალური ერთეული“, *წია* ატომს უწოდეს; და-*კუწ*-ვა: *კუწი* – „ნაწილაკი“, და-*ყოვნ*-ება: *ყოვნა;* სა-*კუთარ*-ი: *კუთრი; წერტილი: წერტი* და სხვ. *ვერტიკალური* „შვეულიც“ არის და „პირპირაც“: *შვეული ძალა,* მაგრამ *პირპირა კუთხეები, გრუნტი* „ყამირიც“ არის და „ქვეფენიც“: *ყამირის წყლები, გ ზისქვეფენი* (სიტყვარი 1920: 61).

იყენებენ არასალიტერატურო მასალასაც, მაგალითად: იმერული *ღარბეში* („ჩარჩო, რომელშიც ჩამაგრებულია წისქვილის ღარის თავი“) გამოიყენეს რუსული სიტყვის водоспуск აღსანიშნავად, „ღარბეში“, „წყალჩამშვი“; Кобальтъ-ს ლინჯა უწოდეს, სპილენძთან (მეგრულად – „ლინჯი“) მისი ქიმიური ანალოგიის საჩვენებლად“ (სიტყვარი 1920:64). იცნობენ და იყენებენ სვანურ ლექსიკასაც. ამ მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლექსიკონის მასალა საგანგებო კვლევას მოითხოვს.

ცხადია, აქაც იმავეს თქმა შეიძლება, რაც, ზოგადად, ამ ლექსიკონის, ანუ სიტყვარის, შეფასებისას. ავტორები ფლობდნენ უდიდეს ცოდნას მრავალ დარგში, იცოდნენ ტერმინთა წარმოშობის ისტორია, იყენებდნენ ძველ ქართულსა და ხალხურ მასალას, ეროვნული ფესვების, ძირებისა და მაწარმოებლებისაგან ქმნიდნენ ახალ სიტყვებს (ნეოლოგიზმებს): „ხან ჩვენი ძველი ენა გამოგვადგა ამ სიტყვების შექმნის ნიმუშად, ხან ხალხური სიტყვები, ხან ევროპიული რომელიმე ენის მაგალითები, რასაც-კი სიტყვების შექმნასთან კავშირი ჰქონდა, არაფერი არ გამოგვიტოვებია“ (სიტყვარი 1920: 23).

ამიტომაც იყო მათი ტერმინთშემოქმედება ნამდვილად შემოქმედებითი; ამიტომაც შეძლეს ქართული ტერმინოლოგიის რეფორმა. მზად იყვნენ იმ სირთულეებთან გასამკლავებად, რომლებიც, როგორც წესი, თან ახლავს ნებისმიერ სიახლეს: „დიდ ენერგიას და ღონეს მოი-

თხოვს ეს ძირითადი ტერმინოლოგიური რეფორმა, მაგრამ ამას არ უნდა შეუშინდეს მუდმივ ბრძოლაში გამოწრთობილი ჩვენი ერი“ (სიტყვარი 1920: 102).

„ტერმინოლოგიური დიქტატურა“

კრიტიკა იყო მანამდეც და გაგრძელდა ლექსიკონის დაბეჭდვის შემდეგაც. 1920 წელს შალვა ბერიძე აკრიტიკებს „სიტყვარისტების“ ტერმინოლოგიურ მიდგომებს. თავის სტატიას „ტერმინოლოგიურ დიქტატურას“ უწოდებს და საკმაოდ მწვავე წერილს იწყებს იმაზე საუბრით, რომ საზოგადოებაში არსებობს ორი განსხვავებული მოსაზრება ტერმინოლოგიის ხასიათის შესახებ: „ერთი მიმართულება გვეუბნება შემდეგს: „მეცნიერება უნდა იყოს მთელი ერის კუთვნილება, მაშასადამე, ის უნდა იყოს ყველასთვის მისაწვდომი. ამისათვის კი საჭიროა პირველად ყოვლისა, რომ მეცნიერული ენა ყველას ყოვლად ესმოდეს... მეორე მიმართულება ეწინააღმდეგება ამას და მოითხოვს, რომ ხმარებაში დატოვებულ იქნეს უცხო ტერმინოლოგია. „ანოდს“, „კატოდს“, „პირამიდას“ – არაფერი თარგმნა არ სჭირდებათ, გვეუბნებიან ამ მიმართულების გამზიარებელნი. ახალი გადმოქართულებული ტერმინის შექმნას სჯობს უცხო ტერმინების დატოვება. მით უმეტეს, რომ ეს ტერმინოლოგია ინტერნაციონალურია“ (ბერიძე 1920). შალვა ბერიძე მეორე თვალსაზრისს იზიარებს, ის ქართული ძირებით შექმნილი ნეოლოგიზმების წინააღმდეგია. ნიკოლაძეების ტერმინოლოგიურ რეფორმას დიქტატურა უწოდა შ. ბერიძემ: „თქვენ თქვენი დიქტატურიზმით ვერ შეიჭრებით ჩვენი მეცნიერების კერაში, სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბერიძე 1920).

ასევე ფიქრობს ს. დანელიაც: „რაც შეეხება სიტყვის შეთხზვას ქართული ენის ფესვებიდან, ეს ნაკლებად მისაღებია: ერთი იმისათვის, რომ ახლად შეთხზულ სიტყვას ასე თუ ისე მაინც თან ახლდეს, იქნება ძველებური (ე.ი. ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებული და ბუნდოვანი) მნიშვნელობა. მეორე კი იმისთვის, რომ ჩვენი ეროვნული განვითარების გარანტია ჩვენ უნდა ვეძიოთ უცხო ერებთან მტკიცე კავშირში, განკერძოებულად ჩვენ ვერაფერს ვერ შევქმნით. მეცნიერული ტერმინოლოგია არის საუკეთესო საფუძველი სხვა ერებთან ურთიერთობისა. ცხადია, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ ჯეროვნად

გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა“ (დანელია 1920)[1].

მხოლოდ ქართული ძირებით ტერმინთშემოქმედების მომხრე არც ივანე ჯავახიშვილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ის, როგორც სიტყვარის შესავალი წერილიდან ჩანს, თანამშრომლობდა და გარკვეულ რჩევებსაც აძლევდა მათ: „მოვალეობად ვრაცხთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ პროფ. ივანე ჯავახიშვილს, რომელიც ყოველ ჩვენს მიმართვაზე შესაფერის დახმარებას და განმარტებას გვაძლევდა“ (სიტყვარი 1920: IV).

თუმცა ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისს სხვა საფუძველი აქვს. ის არსებითად სხვაგვარი ტერმინოლოგიური მუშაობის მომხრე იყო. მას არსად და არასდროს გამოუთქვამს ნიკოლაძეებისა და მათ თანამოზრეთა შესახებ სხვა კრიტიკოსთა მსგავსი თვალსაზრისი, რომ ევროპასთან დასაახლოებლად ქართული ტერმინები არ გამოდგება ან საერთაშორისო ტერმინი უფრო მისაღებია, ვიდრე ქართული. ივანე ჯავახიშვილი ეწინააღმდეგებოდა ხელოვნურად შექმნილი ტერმინების დამკვიდრებას, რადგან ფიქრობდა, რომ ახალ ცნებათა შესატყვისები ქართულ წყაროებში უნდა მოძიებულიყო. „სიტყვარისტებისა“[2] და ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისების დაპირისპირება ძალიან ჰგავს მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა და თანამოაზრეთა შორის არსებულ კამათს ტერმინოლოგიის საკითხების შესახებ: რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ საჭიროა თავიდან შევიტყოთ, თუ რა და რა ტერმინები გვაქვს ჩვენს ქართულ ენაზე ძველ წიგნებში. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი და სხვები კი ამტკიცებდნენ: თუ აგრე შევუდექით ჩვენს საქმეს, შორს წავა და სარგებლობა კი დიდი არ იქნებაო (ქაროსანიძე 2014:179).

მოგვიანებით, 1925 წელს, იბეჭდება მათემატიკის ტერმინთა ორი განსხვავებული რედაქციის ლექსიკონი, ერთის ავტორები არიან: *ნიკო მუსხელიშვილი, გიორგი ნიკოლაძე* და *არჩილ ხარაძე,* მეორე ლექსიკონი კი განხილული და მიღებულია განათლების სახკომისარიატთან არსებული ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის მიერ (მათემატიკა 1944). ამ ლექსიკონთა შედარებისას ნათლად ჩანს ქართველ საზოგადოებაში არსებული განსხვავებული

[1] სქოლიოში, შენიშნულია, რომ გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია „ზოგ მოსაზრებას ტერმინოლოგიის შესახებ არ იზიარებს“.

[2] ასე უწოდებდა ივანე ჯავახიშვილი ნიკოლაძეების გუნდს.

თვალსაზრისები ტერმინთა ხასიათის შესახებ: გიორგი ნიკოლაძისათვის, როგორც ყოველთვის, ქართული ძირებით ნაწარმოები ტერმინებია მთავარი, თუმცა ამ ლექსიკონში, სიტყვარისგან განსხვავებით, უკვე ჩანს გარკვეული დათმობა: ბევრგან ქართულ სიტყვას ე.წ. საერთაშორისო ტერმინიც აქვს მიწერილი, ხოლო მეორე ლექსიკონში უცხო ტერმინი ან ქართულის წინ არის, ან სულაც ქართული შესატყვისის გარეშეა:

I	II
ცქიტი, ცენტრი	ცენტრი, ცქიტი
სწორადობა, სიმეტრია	სიმეტრია
ხვია, სპირალი	სპირალი, ხვია
მენაკი	გრადუსი, მენაკი
გასაქანი	ამპლიტუდა
შვეულა	ვერტიკალი

სამწუხაროდ, სამეცნიერო კამათს გასცდა ე.წ. პურისტებთან დაპირისპირება საბჭოთა ეპოქაში.

1923 წლის 18 იანვარს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ სამ სხდომაზე განიხილა ტერმინოლოგიის საკითხები, კერძოდ, 62-ე ოქმში ნათქვამია: „გ. კონიაშვილს შემოაქვს წინადადება დაევალოს პოლიტიკურ სექტორს, რომელმაც უნდა განიხილოს „სიტყვარი“ და იქიდან ამოკრიფოს უვარგისი ტერმინები, გამოაცხადოს უვარგის ტერმინებად, რომ ხმარებაში არ შევიდნენ ისინი, რომელთა განდევნა შემდეგში მეტად გაძნელდება, მოხსენება გააკეთოს ასევე ამ სისტემის შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს სიტყვარის ტერმინოლოგიის შექმნას და წინ უძღვის მას“ (ოქმი 1923:15)[1].

1931 წლის გაზეთ „კომუნისტში“ ქვეყნდება ფილიპე მახარაძის სტატია „ქართული ტერმინოლოგიის სისწორით გატარებისათვის“. ს.ს.ცაკთან არსებული მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტის თავმჯდომარის, ფილიპე მახარაძის, ბრძანება ასეთია: ქართულში დამკვიდრდეს „ყველა ის ტერმინი, რომელიც დღეს ინტერნაციონალურად არის ცნობილი და ყველა ხალხი ხმარობს“;

გაისმა მუქარაც: „სოციალისტური მშენებლობის მტრები აქაც არ ისვენებენ, განზრახ ქმნიან გაუგებარ ტერმინებსა და ქურდულად აპარებენ.

[1] მადლობას ვუხდით სოფიკო ჭაავას ოქმის მოწოდებისათვის.

„სიტყვა „რონოდა“, რომელსაც ვაგონის მაგიერ ხმარობენ, საიდან წარმოსდგა იგი? უეჭველია, ორი ნაწილისაგან: „რონ“ რონინება, ტარება და „ოდა“ ჩვენებური სახლი, ე.ი. რომელიც კაცს ატარებს. რამდენად სწორია ეს. არსებითად ვისთვისაა საჭირო ასეთი პრიმიტიული აზროვნების საფუძველზე შექმნილი სიტყვა“ (მახარაძე 1931).

საბჭოთა ეპოქის დასაწყისშივე განხორციელდა ნიკოლაძეების იდეა ტერმინოლოგიური ცენტრის შესახებ, მხოლოდ საბჭოური ბრძანებითა და ელფერით. ფილიპე მახარაძის ამავე წერილში მოცემულია მისი ბრძანება-წინადადებები ტერმინოლოგიის „არევდარევის თავიდან ასაცილებლად“:

ა) განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ ენისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის კომისიას – დააჩქაროს სხვადასხვა სავალდებულო ტერმინოლოგიის დამუშავება;

ბ) სახელგამს და სხვ. გამომცემლობას – პირველ რიგში გამოსცენ კომისიის მიერ დამუშავებული და მთავარ კომიტეტის მიერ დამტკიცებული ტერმინოლოგიები;

გ) დაწესებულებათ, რომელთაც საქმე აქვთ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემასთან – დაიჭირონ კავშირი განათლების კომისარიატთან არსებულ ენისა და ტერმინოლოგიის კომისიასთან და ყოველგვარი სადავო საკითხი ენასა და ტერმინოლოგიაში შეათანხმონ უკანასკნელთან;

დ) რედაქციებს – იყოლიონ მცოდნე სტილისტები, რომელთაც დაევალებათ თვალყური ადევნოს ენის სიწმინდესა და ტერმინების კანონიერებას;

ე) მათვე (აგრეთვე სახელგამმა) მოახდინონ მთარგმნელთა მაღალ კვალიფიკაციის შერჩევა;

თუ ამ გაფრთხილების შემდეგაც ზემოდასახელებულ დებულებათა საფუძველზე მუშაობა არ იქნა დაწყებული, ამგვარი საქციელი მიჩნეული იქნება მავნებლობად და აქედან სათანადო ორგანიზაციული დასკვნაც იქნება გამოტანილი“ (მახარაძე 1931).

ფილიპე მახარაძისთვის მიუღებელი და დაუშვებელია ქართული ძირებით ახალი სიტყვების წარმოება. არევ-დარევაში ის იმ „პრიმიტიული სიტყვების“ გამოყენებას გულისხმობს, რომლებიც სიტყვარის ავტორთა მიერ იყო შექმნილი. „ყველაზე უფრო სამწუხარო და სავალალო ის გახლავთ, რომ მრავალფერ ტერმინოლოგიის ძიებაში მეცნიერთა ერთი ნაწილი სავსებით ამცდარა ყველგან მიღებულ ინტერნაციონალურ პრინციპს და ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების

დროს ყველაფრის გადმოქართულება განუზრახავს და თავისი ეს განზრახვა კიდევაც მოუყვანია სისრულეში“ (მახარაძე 1931).

ცხადია, „ზედმეტად ქართული“ ტერმინოლოგიის წინააღმდეგ ასეთ მიზანმიმართულ ბრძოლას თავისი შედეგიც ჰქონდა.

„ქართული ტექნიკური სიტყვა ითქვა“

ახალი ეპოქის გააზრება და მასში ქართული ენის ადგილის დამკვიდრებისათვის თავდადებული ბრძოლა, საყოველთაოდ დამტკიცება იმისა, რომ ქართული ენა „სხვათა სწორია“ და არ არსებობს სიახლე, რომლის გადმოცემას ის ვერ შეძლებს – ამ მიდგომით ნიკოლაძეები და მათი თანამოაზრენი, ძველი ქართული ტერმინოლოგიური სკოლის გამგრძელებლები არიან (ქაროსანიძე 2014:178).

„ქართული ტექნიკური სიტყვა ითქვა“, მათ მიერ შექმნილი მრავალი ქართული ტერმინი ენის ბუნებრივ ნაწილად იქცა: *გუდობი, მდგრადი, ბრჯენი, წნევა, დენი, ელდენი, ძრავა, სადენი, ხსნარი, წნეხი, ჯერადი, წინაღობა, კუთრი წონა, ფარდობა, ხრახნი, აირი, დენთი, ძალოსანი, მძლეოსანი, ფეხბურთი...* რთულ სიტყვებში სითბოს ნაცვლად *თბო* შემოიღეს: *თბოსადგური, თბოტევადობა* და სხვ.

ტერმინის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს მისი გამოყენების სიხშირე. როცა ტერმინები მკვიდრდება სამეცნიერო შრომებში, სახელმძღვანელოებში, ხალხიც და ენაც ადვილად იღებს, თუმცა ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა, დავკარგეთ ნიკოლაძეებისა და მათი თანამოაზრეების მიერ შექმნილი მრავალი ქართული შესატყვისი და, შესაბამისად, მათ ნაცვლად დღეს ენას მხოლოდ ქართული ასოებით ჩაწერილი ტერმინები შემორჩა, მაგალითად: *კოორდინატა, ინსტრუქცია, კონტაქტი, ცემენტი, კონტროლიორი, ოპტიკური მინა. ფოსფორენცენცია, ფრურესცენცია, ლუმინისცენცია, ფოტომეტრი, მანომეტრი, ბარომეტრი, პიკნომეტრი, ჰიგრომეტრი, ელექტრომეტრი, პროჟექტორი, აბსორბერი, აბსორბცია (ბგერის აბსორბცია, შუქის აბსორბცია), ლავა, მაგმა, პროპორციული, სუბლიმაცია, დენოტაცია, დეტონატორი, სისტემა* და არა *თანგეზი, დარიგება, თანხება, მჭიდა, მეწესთვალე, ჭვირმინა, თვითნათობა, მნათობა, თანანათობა, შუქზომი, წნეზომი, ჰაერწნეზომი, სიმკვრივზომი, ნესტზომი, ელზომი, შუქთმტყორცნი, შთანთქმი, შთანთქმა, წიაღვარი, წიაღა, ტოლფარდა, რთვილვა, აჭექა, ამჭექი, თანწყობა* და სხვა მრავალი.

სიტყვები, რომელთა შესატყვისები ნიკოლაძეებმა ვერ იპოვეს,

უთარგმნელად დამკვიდრდა ქართულში: *აქცია, აქციონერი, ალბუმინი, ანტენა, ანილინი, არაგონიტი, ბილეთი, ბიტუმი, ბოქსიტი და სხვ.*

ყველასათვის ნათელია, რომ 21-ე საუკუნის ქართულ სამეცნიერო ენაში ლათინური სიტყვები ჭარბობს. ლათინურმა ტერმინებმა ისევე ჩაანაცვლა ქართული ძირები, როგორც თავის დროზე აღმოსავლური ენებიდან შემოჭრილმა ლექსიკამ. ქართული ენის თანამედროვე მდგომარეობას უდავოდ მივყავართ ერთ დასკვნამდე: „ქართველი პურისტების“ ტერმინთშემოქმედება ქართული სიტყვებისა და ძირების გადარჩენას ემსახურებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, დღესაც ისეთივე ვითარებაა, როგორიც საუკუნის წინ იყო: „უცხო სიტყვების ფონზე ეროვნულსახელებიან ცნებებს როგორღაც „შენდობა არა აქვთ“, გაუგებარ ტერმინებით აღნიშნული კი ოლიმპის ხელუხლებელ არსებებად გვეჩვენება“, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ე.წ. საერთაშორისო სიტყვები სულაც არ აღმოჩნდა საყოველთაო, „საყოველქვეყნო“ (შეიძლება მხოლოდ ორ ან სამ ენაში გამოიყენებოდეს), ამასთანავე, თანამედროვე ევროპისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნების ტერმინოლოგიურ მუშაობასაც გავეცნობით, სხვაგვარად გავიაზრებთ საუკუნის წინ დაგეგმილი ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის არსს და ნამდვილად დავრწმუნდებით იმაში, რომ ნიკოლაძეებისა და მათი თანამოაზრეების მიდგომა ეროვნულიც იყო და ევროპულიც.

და ყველაზე მთავარი: „საქართველოს ტექნიკური საზოგადოების მიერ შედგენილი ტერმინოლოგიური ლექსიკონი ის წიგნია, საიდანაც სათავეს იღებს ჩვენში ტექნიკური ტერმინოლოგიის შესწავლის ისტორია“ (ღამბაშიძე 1981: 164).

ლიტერატურა

ბერიძე 1952 – ვუკოლ ბერიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის, „მეცნიერება და ტექნიკა“, #7, თბილისი.

ბერიძე 1920 – შალვა ბერიძე, საქართველო, სატერმინოლოგიო დიკტატურა, „საქართველო“,№71, ტფილისი.

დანელია 1920 – ს. დანელია, ქართული ტერმინოლოგიის საკითხისათვის, „საქართველოს რესპუბლიკა“, №44, ტფილისი.

კაკაბაძე 1918 – ვასილ კაკაბაძე, გაზეთი „შრომა“,№113, ტფილისი.

კაკაბაძე 1920 – ვასილ კაკაბაძე, სიტყვარის შესახებ (ბ. შალვა ბერიძის საპასუხოდ),, „საქართველოს რესპუბლიკა“, №75, ტფილისი.

კაკაბაძე 1935 – ვასილ კაკაბაძე, ქართული ტექნიკური ტერმი-

ნოლოგიის დამუშავების გარშემო, ჟურნალი „ტექნიკა და შრომა“, თბილისი.

მათემატიკა 1944 – მათემატიკური ტერმინოლოგია, ვუკოლ ბერიძის წინასიტყვაობით, თბილისი.

მახარაძე 1931 – ფილიპე მახარაძე, ქართული ტერმინოლოგიის სისწორით გატარებისათვის, „კომუნისტი“, 28 ნოემბერი, თბილისი.

ნიკოლაძე 1918, №*234* – რუსულდან ნიკოლაძე-პოლიევკტოვისა, საქ. ტექნიკური საზოგადოების სატერმინო კომისიას სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე“, ტფილისი.

ნიკოლაძე 1918, №*237* – რუსულდან ნიკოლაძე, საქ. ტექნიკური საზოგადოების სატერმინო კომისიას სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე, „საქართველო“, ქრისტეშობისთვის 11, ტფილისი.

ნიკოლაძეები 1920 – რუსულდან და გიორგი ნიკოლაძეები, შალვა ბერიძის საპასუხოდ, „საქართველო“,№74, ტფილისი.

ოქმი 1923 – სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1923 წლის 18 იანვრის სხდომის ოქმი 62.

სამხედრო 1920 – სამხედრო-ტეხნიური, შედგენილი პოლკოვნიკ ცაგარლის მიერ, ნებადართული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრისაგან 1920 წელს, 20 მაისი, სამხედრო სამინისტროს სტამბა, ტფილისი.

სიტყვარი 1920 – რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი), შედგენილი საქართველოს ტექნიკურ საზოგადოების სატერმინო სექციის მიერ, საშევარდნო ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის დამატებით, ტფილისი.

ქაროსანიძე 2014 – ლია ქაროსანიძე, ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალინდელი დღე, ტერმინოლოგიის საკითხები, I, თბილისი. http://termbank.ge/term2014.pdf

ღამბაშიძე 1981 – როგნედა ღამბაშიძე, პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. V, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი.

Lia karosanidze
Arn. Chikobava Institute of Linguistics, TSU, Georgia
L.karosanidze@gmail.com

Keywords: Georgian Terminological Glossary, neologism, Georgian terminology work.

The Centenary of the First Georgian Terminological Glossary is in 2020

Summary

1918 to 1921, the years of Georgia's independence of Georgia after the establishing of the first Republic of Georgia brought Georgian patriots not only great joy but also great responsibility. To maintain independence and promote further development demanded hard and rational work. As soon as the independence of Georgia was announced, working on the problems of the Georgian language became a high priority task. The history of Georgia has confirmed clearly the universal truth that a strong country needs to have its own scientific language in order to progress down the road of development.

Creating one's own language terminology did not mean simply transcribing foreign terms into Georgian or adding of native prefixes and suffixes to roots coming from foreign languages. In the previous century, the foreign words were rooted into the Georgian language artificially and there were even strong restrictions against using the native language. "If now, in this critically important moment, we cannot manage to educate people in Georgian, to deliver the terminology of as many branches as possible in our native language, it means to give people stone instead of bread, and the people will conclusively believe that to get any knowledge and moreover to study any science is unachievable for them; thus our people will lose the wish and hope to achieve good, deep knowledge."

The three years of independence turned to be very fruitful in this direction.

Starting from as early as 1918, the work on creating the

terminology of the technical sciences in Georgian started. This work was led by the technical society of Georgia.

In the first half of August 1919, the terminological section of the Georgian Technical Society finished its work on the first bilingual (Russian-Georgian) *Dictionary of Technical Terms*, which was published in 1920. A ten-page-long terminological glossary of gymnastics, compiled by Giorgi Nikoladze, was added to this dictionary under the title "Terminology for the 'Shevardeni' society".

The authors of the dictionary were Vasil Kakabadze, Giorgi Gedevanishvili, Rusudan Nikoladze, Giorgi Nikoladze, David Berekashvili, Irakli Mchedlishvili, Ivane Beridze and Mikheil Shalamberidze. All of them fully realized that their work was a matter of the national importance. "Terminology cannot be changed every year," it said in the notes. "This is the kind of work that would be useful for generations and it should be thought over very deliberately and based on the reliable foundation."

Why were the authors of the first *Georgian Technical Dictionary* called "purists"? Because in the dictionary they compiled, the majority of the terms represented were Georgian, which was a result of their belief that only the terms based on native word roots could enrich the native language and be useful. They advanced the following arguments defending their viewpoint:

1. International, i.e., such terminology as would be common and all-inclusive for every language, does not exist, it cannot be expected to appear and even if it could ever appear, it would always remain impossible to succeed in the absolute understanding and confluence of the branches of science in every country.
2. The Georgian language is "a type of language absolutely different from all the other languages around the world"; Indo-European nouns are absolutely inorganic for it.
3. When creating terminology, first of all, the characteristic features of the native language should be considered.
4. The simplest way is just to make a transliteration; this does not request any kind of scientific work or investigation. But this

way is not the right way.

Thus, the view of terminological work was based on the steadily scientific principles; The authors of the dictionary were the first to put forward the necessity of creating a terminology center. An article published in a Georgian newspaper, in 1918, by Rusudan Nikoladze, deals with terminology problems as an issue of state concern and deliberately discusses the necessity of founding a terminological centre in Georgia.

Creating a new basis and new roots for the language is the only true way to enrich the language since each of those roots has its own importance and will give birth to new "generations" – new native words for the language; this is the way the dictionary's authors thought about terminological work.

The methods of the terminological work were as follows:

1. First of all, they tried to find correspondences for modern technical terms among the existing vocabulary of the language;

2. Examples were used from the European (Russian, French, German, and English) languages.

3. They created new words based in the Georgian language word roots (neologisms).

Their scientific views and approaches were rejected at the the start of the Soviet era. The Georgian rooted terms were quickly replaced with Latin rooted ones. Thus, a great many terms were preserved only in the first *Georgian Terminological Dictionary* as a historical document. This dictionary never became the object of the scientific studies. It is now being decided and planned to publish the first *Georgian Terminological Dictionary* this year—on its 100th anniversary. This is the dictionary from which the history of Georgian terminology begins.

It is obvious that in the Georgian scientific language of the 21st century, Latin words represent the bulk of the terminology. Latin terms are again replacing the Georgian rooted ones, just like it had happened once before when terms coming from the vocabulary of Oriental languages intruded into Georgian. The condition in which the contemporary Georgian language finds itself leads to only one conclusion: the creative

work of the "Georgian purists" served to preserve the roots and stems of native origin, but, sadly, the modern situation shows us that everything is the same as a hundred years ago, as it is mentioned in the dictionary: "Unfortunately, it can be said that against the background of foreign words, the notions expressed in the native language are not "in favor" and notions expressed in the foreign terms which are mostly hard to understand seem to be untouchable, like gods from Olympus." But if we take into consideration the fact that so-called international words are not really international or "all-national" (found only in two or three languages), and, besides that, if we gain a closer familiarity with the European or Eastern countries' scientific terminology, we will be able to look differently at the essence of the Georgian terminological work fulfilled a century ago – we will become certain that the methodology chosen by Georgian terminological workers a hundred years ago was in its essense of both national and European character at the same time.

მაია აბალაკი
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
abalaki@mail.ru

ეთერ საბანაძე
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
seteri1@mail.ru

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, თარგმნითი ლექსიკოგრაფია, ლინგვისტიკური ტერმინები, კავკასიოლოგია.

კავკასიოლოგიის ლინგვისტიკურ ტერმინთა ქართულ-რუსული ლექსიკონი

თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა კავკასიოლოგიის ლინგვისტიკურ ტერმინთა თარგმნით ლექსიკონზე. ამ ლექსიკონის შედგენის აუცილებლობა განაპირობა ლინგვისტ-კავკასიოლოგთა შორის (და არა მხოლოდ ლინგვისტთა) მჭიდრო ურთიერთობებმა. ეს კონტაქტები ვლინდება სხვადასხვა პერიოდულ გამოცემასა და სამეცნიერო შრომებში, საერთაშორისო სიმპოზიუმებსა თუ კონფერენციებში, რომლებიც სისტემატურად იმართება, აგრეთვე პირად ურთიერთობებში. მიუხედავად ლექსიკონების სიმრავლისა, ლინგვისტიკურ პრაქტიკაში დღესდღეობით არ არსებობს თარგმნითი ლექსიკონი, რომელიც სრულყოფილად ასახავს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სპეციფიკურ ტერმინებს.

კავკასიოლოგიის ლინგვისტიკურ ტერმინთა თარგმნითი ლექსიკონი შეიქმნება ლინგვისტიკურ ტერმინთა უკვე არსებული განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონების ბაზაზე. გარდა ამისა, დამუშავებულია ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული ლინგვისტ-კავკასიოლოგთა სამეცნიერო ნაშრომები, როგორც ცალკე მონოგრაფიები, ასევე სხვადასხვა პერიოდული გამოცემა. ეს სამუშაო დღემდე გრძელდება. დაბოლოს, ლექსიკონში შევა ჩვენს ხელთ არსე-

ბული მრავალწლიანი ზეპირი თუ წერილობითი მთარგმნელობითი პრაქტიკის დროს დაგროვებული მასალაც.

თავიდანვე გადაწყდა როგორც ქართულ-რუსული, ისე მისი შებრუნებული ვერსიის, რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა. ამ გზით ივარაუდებოდა ლექსიკონის შედგენის დაჩქარება. მაგრამ ლექსიკონზე მუშაობის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში ინტერნაციონალურ ლინგვისტიკურ ტერმინთა დიდი სიუხვეა, ზოგადად ენების თავისებურებებიდან გამომდინარე, ქართული და რუსული სიტყვანი ვერ დაემთხვეოდა ერთმანეთს მთელ რიგ მიზეზთა გამო. ამიტომ ლექსიკონზე მუშაობა ორ ეტაპს მოიცავს: პირველ ეტაპზე ივარაუდება ქართულ-რუსული კავკასიოლოგიური ლინგვისტიკური ტერმინების ლექსიკონის შედგენა, ხოლო შემდგომ – რუსულ-ქართულისა.

მუშაობის მთავარი ამოცანაა, შეძლებისდაგვარად, შეგროვდეს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ტერმინები და ტერმინოლოგიური შესიტყვებები, შემდგომ კი დაიძებნოს მათი ზუსტი რუსული შესატყვისები. ლექსიკონში შევა ლინგვისტ-კავკასიოლოგების მიერ ფართოდ გამოყენებული ტრადიციული ლინგვისტიკური ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ ფონეტიკის, ფონოლოგიის, მორფემიკის, სიტყვათწარმოების, ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითად ცნებებს. რაც შეეხება ენათმეცნიერებაში ბოლო ათწლეულების მანძილზე განვითარებული დარგების ტერმინებს (ეს დარგებია – კოგნიტიური ლინგვისტიკა, კორპუსული ლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა, დისკურსული ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა), რომლებიც, ძირითადად, ინტერნაციონალურია, მათი შეტანა ლექსიკონში ამ ეტაპზე ნავარაუდები არ არის, ეს მომავლის საქმეა. ჯერჯერობით ლექსიკონში არ არის გათვალისწინებული იმ ტერმინების ჩართვა, რომლებიც გამოიყენება ლინგვისტიკის მომიჯნავე მეცნიერებებში. ტერმინოლოგიური ერთეულების ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის.

ლექსიკონში შევა იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში არა მხოლოდ ხშირად გამოყენებული ტერმინები, არამედ ისინიც, რომლებიც დასტურდება ცალკეულ ავტორთა ნაშრომებში (ამჟამადი დრო – შანიძე, არადამოკიდებული ძირები, აღკვეთილი სახელი – ჩიქობავა).

ლექსიკონში შევა როგორც ერთსიტყვიანი (მარტივი) ტერმინ-ლექსემები (აბრუპტივი, აგლუტინაცია, ასპექტი), ასევე ორ და მეტსიტყვიანი ტერმინოლოგიური შესიტყვებები (ადამიანთა კლასი, ადგილის გარემოება, ასპირირებული თანხმოვანი; ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტი, ასოთა რიცხვობრივი მნიშვნელობა). ერთსიტყვიანი, ორ- და მეტსიტყვიანი ტერმინები ქმნიან საკუთრივ ლინგვისტიკურ ტერმინოლოგიას. გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ტერმინოლოგიური შესიტყვებების გამიჯვნა მეტაენის სეგმენტისაგან. მაგალითად: აზრობრივი კატეგორია –ტერმინოლოგიური შესიტყვებაა, აზრი, ენობრივი გარსი კი – მეტაენის სეგმენტია (განმარტება).

როგორც ცნობილია, ლექსიკონის ყველაზე მნიშვნელოვან მხარეს სიტყვანი წარმოადგენს. სიტყვანი განსაზღვრავს ლექსიკონის მოცულობასა და ხარისხს. ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში მიღებულია სიტყვანში სიტყვების განთავსების რამდენიმე პრინციპი. კავკასიოლოგიის ლინგვისტიკურ ტერმინთა თარგმნით ლექსიკონს საფუძვლად უდევს ანბანური პრინციპი (და არა – ანბანურ-ბუდობრივი, რომლის მიხედვითაც არის შედგენილი ლინგვისტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონები). ამ პრინციპის უპირატესობა აიხსნება პრაქტიკული თვალსაზრისით: მომხმარებელი ასე უფრო სწრაფად შეძლებს მოძებნოს მისთვის საჭირო მარტივი, შედგენილი ან აღწერითი ტერმინი. ლექსიკონში ტერმინები განთავსებულია ანბანთრიგზე, გვარ-სახეობითი იერარქიის გათვალისწინებით. გვარ-სახეობითი იერარქიის შემთხვევაში ბოლდით წარმოდგენილი იქნება ე.წ. გვარეობითი ტერმინი, აღსანიშნი ცნების არსებითი ნიშნის მატარებელი და ძირითადი თვისებების გამომხატველი. ეს, როგორც წესი, ერთსიტყვიანი ტერმინებია: მაგ., ასიმილაცია. შემდეგ მოსდევს შედგენილი ტერმინები, რომლებიც ნაკლები სემანტიკური მოცულობისაა. მათთვის დამახასიათებელია ინდივიდუალური ნიშანი, რომელიც აისახება მხოლოდ ამ ე.წ. სახეობით ტერმინში: ასიმილაცია სრული, ასიმილაცია ნაწილობრივი, ასიმილაცია კონტაქტური, ასიმილაცია დისტანციური, ასიმილაცია პროგრესული, ასიმილაცია რეგრესული.

ერთსიტყვიანი (მარტივი) ტერმინები ლექსიკონში წარმოდგენილია ძირითადად შესაბამისი ცნებების აღმნიშვნელი არსებითი სახელებით: აბლაუტი, აბრუპტივი, ალოფონი, ანბანი და ა.შ. ტერმინოლოგიაში სალექსიკონო ერთეულად ზმნა არ არის წარმოდგენილი, მის მაგივრად იყენებენ მოქმედების აღმნიშვნელ სახელებს: აზროვნება, ამოსუნთქვა, და ა.შ. რაც შეეხება ზედსართავ სახელებსა და მიმღე-

ობებს, ისინიც უტოლდება არსებით სახელს, განსაკუთრებით ფართოდ ზედსართავი სახელები და მიმღეობები გამოიყენება შესიტყვებებში არსებით სახელთან ერთად, რომლებშიც მათ ტერმინთმაწარმოებელი ფუნქცია ეკისრებათ: ვნებითი გვარი, აბსოლუტური სინონიმები, აკრძალვითი კილო.

ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით გარკვეულ სირთულეს ქმნიან სინონიმური ტერმინები. ტერმინოლოგიურ სინონიმიას სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად აფასებენ. ერთი მხრივ, მიიჩნევა, რომ ტერმინოლოგიისათვის სინონიმია დამახასიათებელი არ არის. ის მოთხოვნა, რომელსაც ტერმინს უყენებენ, სინონიმიას გამორიცხავს. ეს ტრადიციული თვალსაზრისია. მეორე მხრივ, სინონიმია ტერმინოლოგიაში განიხილება, როგორც სპეციალური ენის გაფართოების შესაძლებლობა, როგორც მეცნიერების განვითარებისა და ობიექტის შესახებ ცოდნის გაღრმავების კანონზომიერი შედეგი. ტერმინოლოგიურ სინონიმებად მიიჩნევა ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არამარტო იგივეობრიობით, არამედ მნიშვნელობათა სიახლოვითაც ხასიათდება. ლინგვისტიკურ ტერმინოლოგიაში სინონიმიის გაჩენის ერთ-ერთი მიზეზია მისი არამონოლითურობა. ენათმეცნიერება მრავალი დარგისაგან შედგება, რომლებშიც თანაარსებობს მრავალი სკოლა და მიმართულება, ხოლო ისტორიულ პერსპექტივაში – მრავალი პარადიგმა. ამ სკოლებისა და მიმართულებების წარმომადგენელნი ხშირად ქმნიან ტერმინთა საკუთარ სისტემას.

გარდა ამისა, უამრავი ტერმინოლოგიური სინონიმი ჩნდება უცხოენოვან ტერმინთა სესხების გზით. დღესდღეობით ნასესხობანი წარმოადგენს ლინგვისტიკურ ტერმინოლოგიაში სინონიმური მწკრივების ზრდის ძირითად წყაროს. თარგმნით ლექსოკონში სინონიმური ტერმინების შეტანისას საჭიროა თითოეული მათგანის ზუსტი მნიშვნელობის დადგენა, მათ შორის, სხვაობის გამოკვეთა და მხოლოდ ამის შემდეგ ზუსტი თარგმანის მითითება.

ნასესხებ ტერმინთა განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს ტერმინ-დუბლეტები. ენათმეცნიერებაში არსებობს კიდეც ტერმინი „ტერმინოლოგიური დუბლეტურობა“.

ტერმინოლოგიურ დუბლეტებს (ტრიპლეტებს და ა.შ.) უწოდებენ სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ ერთსა და იმავე სამეცნიერო ობიექტს. ეს არის სწორედ მათი თავისებურება, რადგან ჭირს გამოიკვეთოს დუბლეტებს შორის არსებითი სხვაობა.

ენათმეცნიერებაში ფართოდ არის წარმოდგენილი ტერმინოლოგიური დუბლეტები. ისინი აუცილებლად აისახება კავკასიოლოგიურ ლინგვისტიკურ ტერმინთა ლექსიკონში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ ვანიჭებთ უპირატესობას ეროვნულ ან ნასესხებ (ინტერნაციონალურ) ტერმინს. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, ასო ბანზე იქნება ტერმინი ბაგისმიერი, ფრჩხილებში კი – ტერმინი ლაბიალური. ასო განზე – გაორკეცება, ფრჩხილებში კი – რედუპლიკაცია, და შესაბამისად, ასო ლასზე – ლაბიალური, ფრჩხილებში კი – ბაგისმიერი, ან ასო რაეზე – რედუპლიკაცია, ფრჩხილებში კი – გაორკეცება.

ლექსიკონს ბოლოში დართული ექნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ენების, დიალექტებისა და თქმათა საძიებელი.

Maia Abalaki
TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics, Georgia
abalaki@mail.ru

Eter Sabanadze
TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics, Georgia
seteri1@mail.ru

Keywords: Terminology, Bilingual Lexicography, Linguistic Terms, Caucasiology.

Georgian-Russian Dictionary of Linguistic Terms for Caucasiology

Summary

The TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics Department of Scientific Terminology and Bilingual Dictionaries has started work on a bilingual dictionary of linguistic terms for the field of Caucasiology. The idea for this pair of dictionaries came from the translation of scientific papers from Russian to Georgian and vice versa because the Caucasian languages are distinguished by linguistic diversity. Moreover there is no

such dictionary in the field of Caucasiology.

Students and postgraduates, as well as specialists working in this field will be able to use the dictionary of linguistic terms for Caucasiology.

While working on the dictionary we use existing explanatory encyclopedic dictionaries of linguistic terminology as well as all the materials from our verbal and written practice in translation.

Working on the dictionary consists of two stages: compiling the Georgian-Russian dictionary followed by compiling the Russian-Georgian dictionary.

The main object of this work is to accumulate linguistic terms and terminological collocations related to Caucasiology and then find their exact Russian equivalents.

Special attention is paid to the compilation of vocabulary, as this predefines the volume and quality of any dictionary. There is not yet and estimate of the number of lexical units that we expect to include.

The dictionary will be enriched by general terminology used in the scientific literature in the area of Caucasiology and the terminology found in the some scholars' papers.

At the early stage of our work, we prefer an alphabetical order for linguistic terminology rather than alphabetically arranged groupings, which will help any user to find terms and terminological collocations quickly. This is the reason why the links system is used.

Synonymous terms cause exceptional difficulty. As is well known, linguistic terminology is not homogenous. Linguistics consists of a number of branches within which coexist various schools and tendencies, and from a historical perspective-various paradigms. In this case, it becomes even more necessary to find the differences between synonymous terms and provide exact translations, or proper linking in the case of alternatives.

ნანული აზიკური
თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი
nanuliazikuri9@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ლექსიკოგრაფია, ხელობის ტერმინოლოგია. ტერმინები: ნაბადი, თექა.

ტერმინების – *ნაბდისა და თექის* – ურთიერთმიმართება

საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც მეცხვარეობა მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო, მოსახლეობის ყოფაში მატყლსა და მატყლის ნაწარმს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. შესაბამისად, მოთელილი მატყლის წარმოებას, ანუ მენაბდეობას, მისდევდნენ ყველა იმ კუთხეში (რაჭა, იმერეთი, სვანეთი, სამეგრელო, ჯავახეთი, ხევი, ფშავი, თუშეთი, ქართლი, კახეთი), სადაც მეცხვარეობა იყო მეტ-ნაკლებად დაწინაურებული.

მატყლის თელვას საქართველოს ტერიტორიაზე ძირძველი ტრადიცია აქვს. ბედენის აკლდამაში (ძვ. წ. III-II ათასწლეულთა მიჯნა) სხვა ნივთებსა და ქსოვილის ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა მოთელილი მატყლის ფრაგმენტები – მიცვალებული *ნაბადზე* იყო დასვენებული, იქვე აღმოჩნდა ნაბადგამოკრული ფარიც. წერილობითი წყაროებიდან ისიც ცნობილია, რომ ქსოვილებთან ერთად საქართველოდან *ნაბდებიც* გაჰქონდათ (ზაქარია ალ-კაზვინი 1975: 40).

მატყლის თელვით იღებდნენ მრავალი სახეობის საყოფაცხოვრებო-სამომხმარებლო ნივთს, თავსაბურავსა თუ შესამოსელს, მოთელილი მატყლი იყო სიცივისაგან დამცავი (ჩასათბუნებელი) და ნესტგაუმტარი. ამიტომ ჩვენი წინაპრები მას საცხოვრისის დასათბუნებლად, გადასახურავად და კარვებად იყენებდნენ. სასაპალნე და ტვირთმზიდი პირუტყვის აღკაზმულობაშიც გამოიყენებოდა *ნაბდის* ნაჭრები, გაშლილ ველზე საჩრდილობლად და მოსაქრებადაც[1], ასევე სახლის ინტერიერის გასალამაზებლად მოსართავ-სამშვენისებად. მოთელილი მატყლი გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინასა და სხვადას-

[1] მოსაქრება – მოფარებული, ქარისაგან დაცული ადგილი ველზე (ცოცანიძე 2018: 208)

ხვა საწესჩვეულებო რიტუალშიც. დეკორატიულ, ანუ სახიან, *ნაბდებს* ქალებს მზითევშიც ატანდნენ (აზიკური 1999: 6-7). აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოში ითელებოდა ჭავლიანი[1], ანუ ბოჭკომაღალი[2] და უჭავლო[3] სამწყემსო, მხრიანი *ნაბდებიც*. ამჟამად სამწყემსო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის მხოლოდ უჭავლო *ნაბდები* ითელება.

ოჯახი ადგილობრივი მოთელილი ნაწარმით თავის საყოფაცხოვრებო მოთხოვნას იკმაყოფილებდა. ამასთან ერთად, ცნობილია, რომ მეცხოველეობით განთქმული რეგიონების მოსახლეობა *ნაბდის* ჭარბ ნაწარმს ჰყიდდა, მაგალითად, კახეთისა და მახლობელი რეგიონების მოსახლეობას ასეთი ნაწარმი გაჰქონდა თბილისის, თელავისა და სხვა ქალაქების ბაზრებში, აგრეთვე ალავერდის სადღესასწაულო ბაზრობაზე. XIX საუკუნეში საქართველოში არსებობდნენ, ე. წ. ხელობაზე გასულნი, ანუ კარდაკარ მოსიარულე ხელოსნები, მათ შორის იყვნენ *ნაბდის* მთელავებიც. ისინი სხვადასხვა დანიშნულებისთვის გასამრჯელოს მიღების მიზნით თელავდნენ მატყლს *ნაბდებისათვის* (გოგიჩაიშვილი 1976: 111). ბაზარზე მზა პროდუქციის გატანასთან ერთად ეს იყო შემოსავლის დამატებითი და არცთუ მცირე წყარო შინამრეწველთათვის.

როგორც ცნობილია, საქართველოში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ტრადიციული ნატურალური მეურნეობები თანდათანობით ქრებოდა. ხელნაკეთის ადგილს ნელ-ნელა იკავებდა ფაბრიკული ნაწარმი (ხელიმსკი 1910:6). ეს საყოველთაო მიდრეკილება დაკავშირებული იყო უცხოურ წარმოებათა გახსნასთან და მზა ნაწარმის იმპორტთან, ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივ-

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ჭავლის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის „ბანჯგვლი“, „ხაო“, „ბეწვი“ (ქეგლი 1986). ჭავლიანია სამწყემსო ნაბდები, რომელთაც გრძელი ბეწვი აქვთ დაფენილი გარეთა მხარეს.

[2] „ბოჭკო-მაღალი“ – ვახუშტი ბატონიშვილი ჭავლიან *ნაბდებს* ამ ტერმინით მოიხსენიებს. პარაგრაფში „დიდოეთისათვის“ წერს: „ამათი ჩოხა-ნაბადი სხუაგვარი: ჩოხა უხაო და *ნაბადი* ბოჭკო-მაღალი, ვითარცა ქუნთისა, გარნა შავი და არა სხუა ფერა“ (ბატონიშვილი 1973: 553). თვით სიტყვა ბოჭკო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთ-ერთი მნიშვნელობით „წვრილი დაურთავი ძაფია“ (ქეგლი 1986)

[3] ეთნოგრაფი გ. ჩაჩაშვილი ჭავლიანისა და უჭავლოს აღსანიშნავად იყენებს სიტყვებს – *ბოჭკომაღალი ნაბადი, ბეწვიანი ნაბადი და დაბალხაოიანი ნაბადი* (ჩაჩაშვილი 1978: 28-29). ბოჭკომაღალი ნაბდის აღსანიშნავად თუშეთში შემოინახა ტერმინი *ჭავლიანი ნაბადი*.

თის ყოფიდან გამოსვლამ შეამცირა ან სრულად გააქრო მოთხოვნა შინამრეწველობის მრავალ ნაწარმზე. მათ შორის, ცხადია, იყო მოთელილი მატყლის პროდუქციაც, მან თავი შემოინახა მხოლოდ მეცხვარეობის რაიონებში.

უკვე აღინიშნა, რომ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, მატყლის თელვის ტექნოლოგიას საქართველოში ჯერ კიდევ III-II ათასწლეულების მიჯნაზე იცნობდნენ. ამასთან, წარსულში მენაბდეობის ნაწარმის ზემოთ აღნიშნული მრავალფეროვნება, ბუნებრივია, განაპირობებდა შინამრეწველობის ამ დარგთან დაკავშირებული ტერმინების მრავალფეროვნებასაც და, რაც ძალზე საგულისხმოა საკვლევ თემასთან დაკავშირებით, მათს ადგილობრივ, ქართულ წარმომავლობას. ჩემ მიერ ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მატყლის თელვით მიღებული ნაწარმის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია *ნაბადი*. ფორმისა და დანიშნულების მიხედვით *ნაბადი* განსხვავდებოდა. შესაბამისად, სხვადასხვაობს მათი აღმნიშვნელი სიტყვებიც: *საფენი ნაბადი, სამწყემსო* ან *მჯრიანი ნაბადი* და ა.შ. თუშურ დიალექტში ადგილობრივად დამზადებულ *სამწყემსო ნაბადს* მეორენაირად ჰქვია *სახურა ნაბადი,* არაადგილობრივს კი გეოგრაფიული წარმომავლობის ამსახველი სახელი – *ლეკურა' ნაბადი* ან *კავკავის ნაბადი. სამწყემსო სახურა ნაბდის* სახელად თუშეთში გვხვდება ასევე სიტყვა *ბურკვა'ი,* რაც *ნაბდის* ეპითეტადაც მოიაზრება („შემოიჭუჭკავს „ბურკვა' სად' ვაითუ შემცივდესაო" – ხალხური). *ბურკვაი* მიღებულია სიტყვიდან *შემობურკვა,* რაც შემოხვევას, შემოჭუჭკვას, შემოგებას გულისხმობს. *საფენ ნაბადსაც,* განსაზღვრული დანიშნულებიდან გამომდინარე, თავისი სახელები აქვს: *საბარგე ნაბადი, მეკის ნაბადი, ფეკთქვემსაშლელა' ნაბადი* ან *საფენა' ნაბადი...* ცხენისა და სახედრის აღკაზმულობისთვის განკუთვნილ *ნაბადს* ჰქვია: *ქევანი, საოფლე.* თუშეთში ქალი თუ იტყვის – „*ნაბადი* მაქვს მოსათელი", აქ შეიძლება იგულისხმებოდეს *სამწყემსო,* ცხენის აღკაზმულობისა თუ *საფენ-საგებელი ნაბადი.* სიტყვით ნაბდურა'ებ გამოხატავენ მცირე ზომის *ნაბდებსაც.* წოვათუშურ, ანუ ბაცბურ ენაში *სამწყემსო ნაბადს* უწოდებენ *ნაბად,* ხოლო საფენ *ნაბადს – ნაბდურ.* ეს სახელწოდებები ქართული ენიდანაა შეთვისებული (დეშერიევი 1953: 11). საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მატყლის თელვასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ძირითადად ქართულია, თუმცა სხვა ხალხთა მიერაც ამ ტექნოლოგიის ცოდნამ და წარსულში ხალხთაშორისმა ეკონომიკურ-

კულტურული ინფორმაციის გაცვლის ბუნებრივმა პროცესმა განაპირობა ამ დარგშიც ზოგიერთი უცხოური ტერმინის დამკვიდრება.

ქართული წარმომავლობის ზემოთ აღნიშნულ ტერმინთაგან ზოგიერთის სიძველეს ადასტურებს XVIII საუკუნის ქართველი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანიც. მისი განმარტებით, *ნაბადი* არის „შეთელილი“, „ნაქმარი“; „ნაქმარი, გინდა შეთელილი“. იგი თელვას „შენაბდვად“, „მატყლის შენაბდვად“ განმარტავს.

როგორც ვნახეთ, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, *ნაბადი* ყველანაირ შეთელილს აღნიშნავს. ასეა ეთნოგრაფიული მასალის მიხედვითაც; იგი ყველანაირი მოთელილის აღმნიშვნელი ტერმინია, ხოლო იმის მიხედვით, თუ მოთელილ მატყლს - *ნაბადს* - რა დანიშნულება აქვს, მის აღმნიშვნელ სიტყვას ან განსაზღვრება ახლავს, ან განსხვავებული ტერმინითაა წარმოდგენილი, მაგალითად, *საქუდე ნაბადი, საქევნე ნაბადი, ნაბდის ქუდი, ტახტის ნაბადი, სახიანი ნაბადი, ქევანი, სახური ნაბადი//მხრიანი ნაბადი... საოფლა...*“ (აზიკური 1999:8).

საქართველოში მოთელილი ნაწარმის აღმნიშვნელ სიტყვა *ნაბდის* პარალელურად სიტყვახმარებაშია *ქეჩა და თექა.* მათ ხშირად ერთგვარ ტერმინებად მიიჩნევენ.

ტერმინი *ქეჩა* თურქულია და მიიჩნევენ, რომ ის საქართველოში XV საუკუნის II ნახევრიდან გავრცელდა. იგი სახეებიან საფენ *ნაბადს* აღნიშნავს (სოხაძე 1920). სიტყვა *ქეჩა* ხალხურ ცოცხალ მეტყველებაში ფართოდ არც ყოფილა დამკვიდრებული, მხოლოდ ქიზიყსა და ქართლში გვხვდება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „1. *ქეჩა* იგივეა, რაც *ნაბადი*... 2. უხეში მატყლეული ქსოვილებისგან დაწნული საფენი“... (ქეგლი 1986). ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც – „*ქეჩა* მატყლისაგან მოთელილი ან ქსოვილის ნაჭრებისაგან დაწნული საფენია“ (ჯალაბაძე 1986).

როგორც ვხედავთ, ორივე გამოცემაში *ქეჩა* ერთ-ერთი მნიშვნელობით *ნაბადია.* ქიზიყურ კილოშიც *ქეჩა* მაზრის ჩამონაჭრებისაგან დაწნულ საფენს ჰქვია (მენთეშაშვილი 1941), ქართლურში კი – უნაგირის ბალიშზე გადასაფარებელ, ფერადი ძაფებისაგან მოქსოვილ მომცრო ხალს (ქართლური 1981). ეს სიტყვა საერთოდ არ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

ამგვარივე არაქართული, სპარსული წარმომავლობისაა სიტყვა თოქალთო, იგივე თიქალთო: „ცხენის ზურგზე, უნაგირის ქვეშ (საოფ-

ლეზე) დასაფენი“ (ქეგლი 1986). მას ამავე მნიშვნელობით ხმარობენ თუშეთშიც და ეწოდება „თიქალთო“ (აზიკური 1999: 8).

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ტერმინ *თექაზე*. იგი თელვის ტექნოლოგიის ზოგად ტერმინად XX საუკუნის დასასრულს დამკვიდრდა. მანამდე მას სხვა, მკვეთრად გამიჯნული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თუშეთში) მცხოვრებ მამაკაცთა გარე სამოსს ერქვა, რომელიც მწყემსთა ყოფას გვიანობამდე შემორჩა. მას კერავდნენ შემოდგომის მოთელილი მატყლის – *ნაბდის* ნაჭრისაგან და წვიმასა და სიცივეში იყენებდნენ. ამავე სახელითა და ფუნქციით იგი გავრცელებული იყო კახეთში, ერწო-თიანეთსა და საინგილოში (მასალები 1983: 38, 60, 68).

საინტერესოა, როგორ განმარტავს *თექას* სულხან-საბა: „უმჯობესი თაქნაბადი“, „თაქნაბადი – „კეთილი *ნაბადი*“; „*თექა* უმჯობესი თაქნაბადი, კაი თაქნაბადი“ (ორბელიანი 1965). საინტერესოა, თუ რას გულისხმობდა ლექსიკოგრაფი ტერმინ *თაქნაბადში*, ანუ კეთილნაბადში და რატომ შეაქვს *თექა* ქვეშსაფენელთა და საგებელთა ნუსხაში და მათ საერთო სახელით *(ტერი)* მოიხსენიებს: „ტერი... არს ჭურჭელი ქვეშსაფენელი“ (ორბელიანი 1966). არადა, ჩვენამდე მოღწეულ ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალაში *თექა* მხოლოდ გარე სამოსის აღმნიშვნელია და არა საფენის.

სიტყვა *თექა* ასეა განმარტებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: „1. ნაბდისაგან შეკერილი ზედა ჩასაცმელი; 2. იგივეა, რაც *ნაბადი*“... (ქეგლი 1986), ხოლო ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში *თექა* მხოლოდ საფენი *ნაბდის* იდენტურია: „*თექა*, მოთელილი მატყლის საფენი *ქეჩა*, ამზადებენ თუშეთში, კახეთში, ხევსა და ჯავახეთში. მწყემსები და მეცხვარეები მთაბარობისას *თექას* იყენებდნენ კარვების გადასახურად. სახიანი *თექის* საუკეთესო ნიმუშები („ნაბადი“) მზადდებოდა თუშეთში. თუშური *თექა* გამოირჩევა მარტივი და დახვეწილი ორნამენტით“ (ჯალაბაძე 1979).

სიტყვა *თექა* გვხვდება ქართული დეკორატიულ-მხატვრული ნაწარმის – სახიანი *ნაბდების* აღსანიშნავადაც (ცაგარელი 1972, 1982). მენაბდეობის ტერმინთა აღრევა და შეცდომაც ამ ალბომების გამოსვლის შემდეგ დაიწყო. მათს სათაურშივე („ქართული *თექა*“ და „ქართული დეკორატიული *თექა*“) არის ძალიან უხეში, ფაქტობრივი შეცდომა – ალბომში წარმოდგენილია დეკორატიული, ანუ სახიანი მოთელილი *ნაბდები* თუშეთის რეგიონიდან და იქ ასეთ *ნაბდებს თექას* არავინ უწოდებს. სამწუხაროდ, ავტორიტეტული გამომცემლობა „ხე-

ლოვნების“ მიერ გამოცემული ეს ალბომები უკრიტიკოდ მიიღო საზოგადოების იმ ნაწილმაც, რომელსაც უნდა სცოდნოდა, რომ *თექა* სამწყემსო სამოსია და არა დეკორატიული საფენი.

ერთხელ შეცდომით გამოყენებულმა და ალბომის სათაურად გატანილმა ტერმინმა მთლიანად შეცვალა მისი შინაარსი. თუ მანამდე *თექა* მამაკაცის გარე სამოსის აღმნიშვნელი იყო, დღეს ის მატყლის მოთელვით მიღებული საფენებისა და სხვადასხვა ნივთის ზოგად სახელად იქცა (ეს სხვა ავტორებმაც გაიმეორეს). ასე აღრია უცოდინრობით ერთხელ დაშვებულმა შეცდომამ მოთელილი მატყლის ნაწარმის აღმნიშვნელი ტერმინები, რაც აშკარად გამოსასწორებელია.

გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების ამ დარგთან დაკავშირებული ზოგადი სურათი კი ასეთი იყო: გვქონდა მატყლის თელვით მიღებული ნაწარმის აღსანიშნავად ზოგადი ტერმინი *ნაბადი.* შინამრეწველობის ეს უძველესი დარგი, შესაბამისად, *მენაბდეობად* მოიხსენიებოდა, ამ დარგის მიმდევარი კი *მენაბდე* იყო. დღეს ეს ტერმინები მივიწყებულია და სიტყვახმარებაში შემოვიდა სამწყემსო საწვიმარი ლაბადის აღმნიშვნელი სიტყვა *თექა*, რომელსაც ძველ ქართულში *ღართი,* ხოლო დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო, სამურზაყანო, აფხაზეთი) *გვაბანა*, იგივე *გვაბანაკი* შეესატყვისება (აზიკური 1999:8). *თექა* სრულიადაც არ გამოხატავს რეალობას. ეს კი გამოიწვია უკრიტიკოდ მიღებულმა ალბომების დასათაურებამ.

ლიტერატურა

აზიკური 1999 – ნანული აზიკური, თუშური ნაბადი, თბილისი.

ბატონიშვილი 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა//ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი.

გოგიჩაიშვილი 1976 – ფილიპე გოგიჩაიშვილი, ხელოსნობა საქართველოში, თბილისი.

დეშერიევი 1953 – Юнус Дешериевич Дешериев, Бацбийский язык., М.

ზაქარია ალ-კაზვინი 1975 – ზაქარია ალ-კაზვინი, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. არაბულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ო. ცქიტიშვილმა, თბილისი.

მასალები 1983 - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ. III, ნაწილი I, თბილისი.

მენთეშაშვილი 1943 – სტეფანე მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი.

ორბელიანი 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბილისი.

ორბელიანი 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბილისი.

სოხაძე 1920 – აკაკი სოხაძე, ქართული კოსტიუმის ისტორიიდან (ნაბადი), ხელნაწერი.

ბეროზაშვილი 1981 – თამარ ბეროზაშვილი, მერი მესხიშვილი, ლამარა ნოზაძე, ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლი 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

ჩაჩაშვილი 1978 – გერცელ ჩაჩაშვილი, ქართული ნაბადი, ჟურ. „ძეგლის მეგობარი“, N48, თბილისი.

ცაგარელი 1972 – ნოდარ ცაგარელი, ქართული დეკორატიული თექა, თბილისი.

ცაგარელი 1982 – ნოდარ ცაგარელი, ქართული თექა, თბილისი.

ცოცანიძე 2018 – გიორგი ცოცანიძე, მეცხვარეობის ტერმინოლოგია, ტერმინოლოგიის საკითხები III, თბილისი.

ხელიმსკი 1910 – Григорий Герасимович Хелимский, О кустарной промышленности Закавказья, М.

ჯალაბაძე 1979 – გიორგი ჯალაბაძე, თექა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბილისი.

ჯალაბაძე 1986 – გიორგი ჯალაბაძე, ქეჩა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბილისი.

Nanuli Azikuri
TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Georgia
nanuliazikuri9@gmail.com

Keywords: Terminology, Lexicography, Handcraft Terminology.
Terms: Nabadi, Teka.

On the Correlation of the Terms Nabadi and Teka

Summary

The Georgian language has multiple terms expressing wool felting and wool goods. The ambiguity is caused by the widespread term თექა (felt), which first made its appearance in an album of decorative or patterned (the folk name), felting (two editions, 1972 and 1982). Though the reason is unknown, the author used the term თექა (felt) in the title even though it did not remotely correspond to the illustrations. In it were mainly represented decorative felt creations from Tusheti and the locals themselves called it ნაბადი (felt), adding for specification the attribute სახიანი-[patterned], which expressed precisely its material form.

The single mistaken use of the term in the album title completely changed the content of its meaning and it was even used to mean a man's outer garment. Today is a common term for felted wool goods and has turned into a common term for various things. (Unfortunately, some other authors continued to misuse it.) This unawareness of two different terms led to a confusion of the terms expressing wool goods, a problem which definitely needs correction.

The general idea was this: we had a word ნაბადი (felt) as a common term of felted wool goods. The oldest type of homecraft was referred to as მენაბდეობა (working on felt), and the worker on the craft was called as მენაბდე (worker on felt). Today these terms are neglected and in conversation is used the word თექა (felt), which means a shepherds' raincoat – ღართი (gharti) in Old Georgian and გვაბანა (gvabana) or გვაბანაკი (gvabanaki) in western Georgia (in Samegrelo and Abkhazia). თექა (felt) does not express the cultural phenomena itself. This fact is due to the indiscriminate acceptance of the album title by the relevant institutions.

ნარგიზ ახვლედიანი
გათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გათუმი
nargiz.akhvlediani@bsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფიული მასალა, დიალექტური ლექსიკა, აჭარული კილო.

ეთნოგრაფიული მასალა – დიალექტური ლექსიკონის წყარო (აჭარული კილოს მიხედვით)

ენა დროსა და სივრცეში განფენილობის (გავრცელების) მიხედვით იცვლება. სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში ენის ცვალებადობა კი იმდენად საინტერესო ლინგვისტიკურ სურათს ქმნის, რომ განვითრების სხვადასხვა საფეხურზე მასში თავს იყრის ადრე უცნობი ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ყოველდღიურ მეტყველებაში არ ვიყენებთ, არადა, ამ თვალსაზრისით ქართული ენა ნამდვილად უნიკალური, გამძლე და მტკიცეა. თემის კვლევა-ძიებისას მნიშვნელოვანია ის, რომ არაერთი დამპყრობლური ასიმილაციის მიუხედავად, შესაძლებელია ენაში არსებული ე.წ. „მიძინებული“ ლექსიკური ერთეულების გამოცოცხლება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს ისტორიაში არ მოიძებნება გულდამშვიდებისა და უმოქმედობის შუალედები, მშვიდობიანი ცხოვრების გრძელი ეპიზოდები. ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე დასახლებული ქართველი ერის ისტორია საუკუნეთა მანძილზე სისხლითა და ოფლით იწერებოდა. საკვლევაძიებო მასალაში ვხვდებით საცხოვრებელ და სამეურნეო შენობა-ნაგებობასთან, ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებებთან, მესაქონლეობასთან, ნიადაგის ვარგისიანობასთან და სხვა დარგებთან დაკავშირებულ ტერმინებს. საილუსტრაციოდ რად ღირს სალიტერატურო ქართულში ოდენ *საშუქის* დამკვიდრება *ფანჯრის* მნიშვნელობით. ასე მაგალითად, ერთმანეთის გვერდით ვპოულობთ *ცეცხლაპირსა* თუ *კერას*, *ჭერსა* თუ *თავანს*, *ფინს*, *დოშამასა* და *პოლს*. რა კარგია იმის გაგება, რომ *სამშაბათი ცქვიტი დღეა*, ან კიდევ, სოფელ ღურტაში ვაშლის ჯიშად დაფიქსირებული *ყარაფილა* საინტერესო საკვლევია გორის მუნიციპალიტეტში დადასტურებული ამავე სახელწოდების ტოპონიმის სახელდების მოტივაციის დასადგენად. საინტერესოა ნიადაგთან დაკავშირებული სიტყვები: *ჭლე* და *ბრაგა*, ან როგორ ჩაენაც-

ვლა შენობა-ნაგებობების ამსახველ ლექსიკაში *ქორსა* და *ჩარხილს საბძელი* და *გეღელი* (ნალია), ან კიდევ, როგორი საძიებელია: *მეხონი, დოლაბი, ზღვე, წურუქი* და სხვა რამდენიმე ათეული ლექსიკური ერთეული.

ამჯერად, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

საშუქი – „სახლი ნათდება პატარა სარკმელ-საშუქი ფანჯრით, რომელიც უამინდობის დროს იხურება ხის ბოლკოთი (ბსკიეფ 1958: 51).

ცეცხლაპირი – ადგილი, სადაც ცეცხლია დანთებული.

კერა – იგივე ცეცხლაპირია.

საცეცხლური – ბუხრის წინა ნაწილს წარმოადგნს, სადაც მიწაყრილია. ბუხარში გადებულია დაკბილული საჯაჭვე.

საჯაჭური – ჰქვია ხეს, რომელზეც ჩამოებმის ჯაჭვი.

ბუხრის თავს – *კამარა* ჰქვია. ბუხრის კამარას ზემოდან შემოდებული აქვს დიდი ზომის თლილი ქვა, რომელსაც *დოლაბი* ეწოდება (ბსკიეფ 1958: 5). *დოლაბი* სხვაგან განმარტებულია, როგორც ქათმის კვერცხის დასადებად განკუთვილი ადგილი [საბუჯრე] (ბსკიეფ 1958: 39). *დოლაბი* ქვეშაგების (ლოგინის) შესანახი, დასაწყობი ადგილიცაა (ბსკიეფ 1958: 51).

საცხოვრებელ ნაგებობათაგან აღსანიშნავია *სახლი* – ოთხკუთხედის ფორმისა, *ოდა* – სახლის პირველი გვერდითი ოთახია. *საუფროსო ოდა* – ადგილი, სადაც ცხოვრობს სახლის უფროსი ძმა თავისი ოჯახით. *ოდას* გვერდით აქვს შედარებით პატარა აივნისმაგვარი უჭერო ოთახი, მას *ქოშქი* ეწოდება. იგი ზაფხულში ღიაა, ზამთარში დახურული. მას ოთხკუთხი ფორმა აქვს, აღნიშნულ ოთახს საკეტი კარი არ აქვს, შესავალი ყველასთვის თავისუფალია (ბსკიეფ 1958: 14). სასტუმრო ოდას ცალკე დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს საფასადო მხრიდან. ეს ოდა სასტუმრო ოთახს წარმოადგენს და ჩვეულებრივადაა მოწყობილი. თითქმის ყველა ოთახის ჭერი მოფიცრულია, იატაკს *ფინი* ეწოდება (ბსკიეფ 1958: 47). *თავანი* ასრულებს ნალიის (სასიმინდის) მოვალეობას. სახლის გარედან მოდგმული კიბით ადიან *სხვენზე* ანუ ოთახების *თავანზე*, სადაც ინახავენ ვაშლს, მსხალს, ხაპს და ზოგიერთ მცირე ზომის მსუბუქ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს: ცულს, ნიჩაბს, ორთითს, ფიწალს და ა.შ. (ბსკიეფ 1958: 13-14). *ჭადო* – ბონდრუღზე (ნალიაზე ნ.ა.) გვერდით გადებული ხეებია, ხოლო ნალიაში ძირს დაგებულ ხეებს *ჭერი* ეწოდება. *ჭერი* სოფელია ხინოში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში (ბსკიეფ 1958: 85). რელიეფის გამო

მიწაში ჩაფლულ დამხმარე სამეურნეო ხასიათის სათავსოს, რომელსაც ერთი კედელი ქვის ჰქონდა, *მეხონი* ერქვა, ხოლო *ზღვე* – ძელებისაგან გაკეთებული იატაკი იყო, ცალ მხარეზე დაქანებით (ბსკიეფ 1958: 47). *ყარაფილა* ვაშლის ჯიშია (ბსკიეფ 1959: 25); *კევკოხა* – წიწვოვანი მცენარის გადაბერებული კევი (ბსკიეფ 1977: 10). *მესტი* წუღასავით ფეხზე ჩასაცმელია; *მეში* ხარის ტყავისაგან დამზადებული თასმაა (ბსკიეფ 1972: 20). *პაიჭი* უტერფო, შავი მატყლისგან მოქსოვილი წინდაა ქალბატონებისათვის; *ბანდულები* – ქალამნები (ბსკიეფ 1972: 18). *ფისკო* კაბის ზემოდან ჩასაცმელია ქალბატონებისთვის; *ფარაგა* ძველად ქალის კაბას ერქვა, ხოლო *ძიგვა* – მამაკაცის სამოსი იყო. *ბაბრასტი* რკინისაგან დამზადებული სამკაულია თავისი შესაკრავით: „ჩაბრასტი რანწკი, რანწკი, გოგუებო დამწვი, დამწვი...“ (ბსკიეფ 1959: 9).

„კარაქის მორეკვის შემდეგ ნარჩენ სითხეს *წურუქი* ჰქვიან“. აჭარულში *იაღი* კარაქს ნიშნავს. შდრ.: თუშურში *იაღი* – სიწმინდე (მჭედლიშვილი 2019: 69).

უვარგისს მიწას *ჭლეს* ეტყვიან, ხოლო სავსებით უვარგისს კი – *ბრაგას* (ბსკიეფ 1958: 18).

ძველად გავრცელებული იყო აგრეთვე სახლი *ჩარხილი*. ეს იყო ხის ნაგებობა, მომთავრებული ოთხფერდა სახურავით. ძველად *ჩარხილის* (სახლის ნ.ა.) მაგივრად უშენებიათ ერთსართულიანი, მიწურიატაკიანი და სამგანყოფილებიანი მთლიანი შენობები, რომელთაც, მთხრობელთა გადმოცემით, *ქორი* ერქვა. *ქორი* იყო მიწურიატაკიანი სახლი, ხოლო სახლი, მრგვალი, მსხვილი მორებისგან აშენებული – *ჯარგვალია* (ბსკიეფ 1958: 38-39). *ქორი* ორფერდა შენობაა, რომელიც ზემოდან გადახურულია წიფლის, ნაძვის ან სოჭის ყავრით. იგი მოგვიანებით ჩაანაცვლა ჩარხილმა. „...ჩვენთან იყო *ქორი* და *ჩარხილი* – ახლა გვაქვს *საბძელი* და *გელელი* (ნალია) (ბსკიეფ 1958: 12).

ამრიგად, დიალექტოლოგიური კვლევისას, განსაკუთრებით კი დიალექტური ლექსიკის შესწავლისას, საგანგებო ყურადღება ენიჭება დიალექტოლოგიის ერთ-ერთი მომიჯნავე დარგის – ეთნოგრაფიის მონაცემებს. იმ ცნობებში, რომლებიც ასახავს ხალხის სამეურნეო ყოფასა და ნივთიერი კულტურის ისტორიას და რომელსაც საგანგებოდ სწავლობს ეთნოგრაფი, ვლინდება ძვირფასი დიალექტური მასალაც (ნიკოლაიშვილი 2002: 89). ამჯერად აქ შევჩერდებით და პერიოდულად გავაგრძელებთ ბსკიეფ-ის მასალების წარმოჩენას მკვლევართა ფართო წრისათვის.

ლიტერატურა

ბსკიეფ 1958 – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდები.

ბსკიეფ 1959 – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდები.

ბსკიეფ 1972 – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდები.

ბსკიეფ 1977 – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდები.

მჭედლიშვილი 2019 – ელენე მჭედლიშვილი, ზამთარი დიკლოში (1931-1932 წლებში თუშეთის სოფელ დიკლოში ჩაწერილი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა), თბილისი.

ნიკოლაიშვილი 2002 – ელენე ნიკოლაიშვილი, ეთნოგრაფიული მასალა -დიალექტოლოგიური ლექსიკონის წყარო (გურული ლექსიკონის მიხედვით), ბსუ – მემედ აბაშიძის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, II, ბათუმი.

Nargiz Akhvlediani
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia
nargiz.akhvlediani@bsu.edu.ge

Keywords: Ethnographic Materials, Dialectological Dictionary, Adjara Dialect.

Ethnographic Material as a source for Dialectological Dictionary
(Based on the Adjara Dialect of the Georgian Language)

Summary

Languages change in the time and space span. The process of language changing in synchronic and diachronic viewpoints shows such interesting linguistic picture that on the different levels of development, the lexical units which were unknown earlier and were not used in the

everyday speech, gather and accumulate in the language. From this point, the Georgian language is truly unique, steadfast and enduring. It is also very important that despite multiple aggressive attempts of assimilation, Georgian language still preserves "sleeping" lexical units which can be found and reanimated. The best illustration for this is introducing the word *sashuqi* in the meaning of *window* in the literary language. The represented article discusses the Georgian terms associated with such branches of life as constructing buildings, cattle breeding, workability of soil and others. For example, we can find several terms of the different origin, denoting "floor" (*fini*, *doshama* and *poli*). Also, it is interesting to investigate the term and its motivation, namely: *Karapila* (Yrafila) acknowledged as the name of the variety of apple, found in the village Ghurta (in Adjara) and the same word denoting a place-name (toponym) in Gori region; or also, how it happened that the lexical material denoting building processes and buildings, such as *qori*, *charkhili* (replaced later with the terms denoting some agricultural buildings: *sabzeli*, *Begheli* (or *nalia*); also, *zghve*, *tavani*, *kevkokha*, *tsuruqi*. *tcheri*, *tsetsxlapiri*, *tsuruqi*, *tchado*, *tcheri*, *tscuchnua* and many others. It is very interesting and remarkable to come to the conclusion, through our terms investigation, how much important can ethnographic data be for the branch of dialectology.

მაია ბარნაველი
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი
maiabarnaveli@gmail.com

საკვანძო სიტყვები: თემი, თემქვეყანა, მოთემე, ქვეყნის ერთი ნაწილი, ტერმინოლოგია.

ტერმინ *თემის* მნიშვნელობის დაზუსტებისათვის

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შესავალ წერილში სიტყვის განმარტების პრინციპებზე საუბრისას მითითებულია, რომ მასში „შედის თანამედროვე სალიტერატურო ქართული მეტყველების სიტყვათა ძირითადი მარაგი: ყველა სიტყვა, რაც კი არის დამკვიდრებული სიტყვაკაზმულ მწერლობაში, სამეცნიეროსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, – ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებაში, ასევე კუთხური სიტყვებიც... სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება იყოს რთული: გამოიყოფა რამდენიმე მნიშვნელობა, ერთმანეთისაგან განსხვავებული. თუ ეს განსხვავება თვალსაჩინოა, თითოეულს ცალკე ნომერი უზის[1].... მნიშვნელობის განმარტების არსებითი მხარეა საილუსტრაციო გამოთქმები. ეს გამოთქმები შეიძლება ჩვეულებრივი სიტყვახმარებიდან იყოს ამოღებული წყაროს დაუსახელებლად... საილუსტრაციო გამოთქმა შეიძლება იყოს ამოღებული მხატვრული, სამეცნიერო თუ პოლიტიკური ლიტერატურიდან“ (ქეგლი 1955: 081-085), მაგრამ ზეპირმეტყველებაში გავრცელებული ყველა მნიშვნელობა ამა თუ იმ სიტყვისა სულაც არ არის აუცილებელი დამკვიდრდეს ქართულ ენაში, როგორც ნორმა. საკითხი ასე დგას: არის თუ არა საკმარისი, რომ მხოლოდ პოლიტიკურ ან სოციალურ მედიაში ახალშემოღებული კონკრეტული მნიშვნელობა აისახოს განმარტებით ლექსიკონში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამისათვის საჭიროა შესაბამისი ნორმებისა და არგუმენტების გათვალისწინება სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების (ისევე, როგორც დავიწროების)

[1] საგულისხმოა, რომ სიტყვა *თემს* – რომლის შესახებაც არის საუბარი სტატიაში – უკვე 1955 წელს აქვს 7 განსხვავებული მნიშვნელობა (შესაბამის ციტაციაში გვხვდება დამოწმებანი ლენინის, სტალინის, მარქსის, პარტ. ისტორიის... წიგნებიდან) ამ ლექსიკონის მიხედვით, რომელსაც კიდევ ერთი დაემატა 1990-2000-იან წლებში.

შემთხვევაში.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი ამზადებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციას (ასო *დონის* ჩათვლით უკვე დაიბეჭდა), რასაც მივესალმები და ნამდვილად საშურ საქმედ ვთვლი. როგორც მის შესახებ ანოტაციაშია აღნიშნული, ახალი გამოცემა „შეივსო უახლესი ტერმინოლოგიით, დაზუსტდა და შეივსო განმარტებები (მათ შორის, იდეოლოგიური ხასიათისა), ზედმიწევნით აისახა სიტყვის მნიშვნელობათა ცვლილებები...“[1] სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, რომ საჭიროა სიტყვა *თემის* მნიშვნელობის სწორად განმარტება, რადგან იდეოლოგიური ხასიათის უზუსტობაც შეინიშნება ძველ გამოცემაში, ისევე, როგორც ქართულ ენციკლოპედიაში (ქსე) და შემდგომ ამან განაპირობა თანამედროვე ჟურნალისტიკაში ამ ლექსემის არასწორი გააზრება და მისი მნიშვნელობის გაფართოება.

სტატია არის მცდელობა დაზუსტდეს სიტყვა *თემის* მნიშვნელობა. ეს ის შემთხვევაა, როცა ჟურნალისტები თუ სხვადასხვა ორგანიზაცია, არაპროფესიონალები თარგმანისა თუ ლექსიკოლოგიის საკითხებში, უკვე ათწლეულებია ცდილობენ თვითნებურად და ყოველგვარი საჭიროების გარეშე ამ სიტყვას შესძინონ განსხვავებული მნიშვნელობა, რისი არანაირი აუცილებლობა არ დგას ქართულ ენაში, რადგან გვაქვს შესაბამის ცნებათა აღმნიშვნელი არაერთი სიტყვა. ვფიქრობ, აქ საქმე გვაქვს უცხო ენასთან შეჯერებით და მისი მიბაძვით ლექსემისთვის მრავალი მნიშვნელობის დამატებასთან. კონკრეტულად, ვგულისხმობ ამ სიტყვის ამგვარ შეუსაბამო განმარტებას, რაც მოცემულია, მაგალითად, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ განმარტებაში: „*თემი* – საერთო მიზნების, ინტერესების, შეხედულებების, საქმიანობის, ჰობის, საცხოვრებელი ადგილის, სქესის, ეროვნების ან პრობლემების მქონე ადამიანთა შემაკავშირებელი ფაქტორი. თემის საფუძველს ადამიანებს შორის ურთიერთობა წარმოადგენს“ (გაბუნია 2013: 319).

ამ განმარტების მიხედვით, *თემი* არის ნებისმიერი ნიშნით – იქნება ეს საერთო მიზნები თუ სქესი, თუ საერთო ეროვნება ან საერთო პრობლემების მქონე ადამიანები -დამაკავშირებელი *ფაქტორი.* საკითხავია, *თემი* როგორ შეიძლება იყოს ფაქტორი? ფაქტი კი ისაა, რომ ხსენებული წიგნის თუ სახელმძღვანელოს ავტორ-შემდგენლებმა რატომღაც არ გამოიყენებეს თუ გვერდი აუარეს ამ ცნებათა ამსახველ შე-

[1] http://www.ice.ge/new/pages/samples/ganmart.html

საბამის სიტყვებს, როგორებიცაა: *გაერთიანება, ერთიანობა, ერთობა, საზოგადოება, ჯგუფი, წრე...* რამდენიმე სიტყვა გვაქვს ქართულში, რომ ეს გაერთიანებები განვსაზღვროთ. რა ლოგიკაა იმაში, რომ ვთქვათ, ერთი შეხედულების ან ერთი ჰობის ადამიანების *ჯგუფს* ან *გაერთიანებას,* ან *საზოგადოებას* – როცა ეს შესაბამისი სიტყვები არსებობს ქართულში – გადაერქვას სახელი და ყველაფერ ამას (და თითოეულს ცალ-ცალკე) ეწოდოს *თემი*?!.. ეს ერთი თვალსაჩინო შემთხვევაა, რომ ორგანიზაცია სრულიად თვითნებურად აფართოებს[1] (საერთო ნიშანთა ჩამონათვალი ბევრია: *ინტერესები, ჰობი, პროფესია* და ა.შ.) სიტყვის მნიშვნელობას, ცდილობს დააკანონონოს ჯერ, თუნდაც, ქართულ ჟურნალისტიკაში, შემდეგ – ქართულ ენაში.

ქართულისთვის ბუნებრივია ერთი ინტერესის ადამიანებს ეწოდოს ჯგუფი, გაერთიანება, გუნდი.., საერთო ეროვნების გაერთიანება ხომ გულისხმობს უკვე გაერთიანებას ან დიასპორას, ან სათვისტომოს, ეროვნულ თუ ეთნიკურ ჯგუფს... ანუ ამდენი ცნების მიმატება *თემისთვის* არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს და მეტიც, დააბნევს მკითხველს თუ მსმენელს. საკმარისია ამ სიტყვებიდან (ტერმინებიდან) რომელიმეს მისადაგება თითოეული გაერთიანებისთვის (*ერთობა, გაერთიანება, ერთიანობა, საზოგადოება, ასოციაცია, ჯგუფი, გუნდი, სათვისტომო, დიასპორა, დასახლება, ეთნიკური ჯგუფი, მოდგმა, ტომი, ჯური* და ა.შ.; შესაძლოა კიდევ იყოს ვარიანტები). სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა ან გაფართოება ენათმეცნიერთა, ლექსიკოლოგთა კომპეტენციაა და მათი მხრიდანაც მოითხოვს დასაბუთებას, რისთვის გახდა საჭირო დამატებითი მნიშვნელობები ერთი სიტყვისთვის, როცა ამ მნიშვნელობის აღსანიშნავად ზოგჯერ არა ერ-

[1] ამ განმარტებას თუ მივყვებით, შეიძლება არსებობდეს *ქალთა თემი, მამაკაცთა თემი, ისტორიკოსთა თემი, მეცნიერთა თემი, მოჭადრაკეთა თემი...* და ასე უსასრულოდ, რაც, ჩვენი აზრით, აზრსმოკლებულია (ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფს განსხვავებული თვალსაზრისი აქვს: „აზრსმოკლებული“ შესაძლოა იყოს, მაგალითად, ის, რაც ადრე *საწოლს* ნიშნავდა, ახლა *მკვდარს* აღნიშნავს, ვგულისხმობთ, *ცხედარს*, მაგრამ ეს რეალობაა, სიტყვამ მნიშვნელობა შეიცვალა და, ცხადია, ეს ბუნებრივი მოვლენაა. დღეს დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვა *თემმა* შეიძინა დამატებითი მნიშვნელობა, კერძოდ, ის აღნიშნავს „რაღაც ერთი იდეით დაკავშირებულ, გაერთიანებულ საზოგადოებას“, მაგალითად, უსინათლოთა თემი, რაგბის თემი, ამასთანავე არსებობს *რაგბის გუნდიც, რაგბის საზოგადოებაც, რაგბის გაერთიანებაც* და თითოეულს თავისი მნიშვნელობა აქვს. განმარტებითი ლექსიკონი კი ასახავს არსებულ ვითარებას.

თი, არამედ – ორი და სამი (ან მეტი) სიტყვა გვაქვს.

მაშასადამე, ტენდენცია, რომელსაც სჭირდება ლექსიკონის შემდგენელი კომისიის მხრიდან შესწავლა და გაკონტროლება, ასეთია: ხდება ტერიტორიით გაერთიანებულის ცნების მნიშვნელობის შეცვლა სიტყვა „თემის“ განმარტებისას.

გავადევნოთ თვალი ამ სიტყვის მნიშვნელობას:

თემი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, გვხვდება XI საუკუნის ბერძნულ-ქართულ ენაზე შედგენილ ტიპიკონში (ქსე 1979), XII საუკუნიდან – ქართულ სალიტერატურო ძეგლებში, ხოლო მისი მნიშვნელობა განმარტებით ლექსიკონში პირველად მოგვცა სულხან-საბა ორბელიანმა. „სიტყვის კონაში“ სიტყვა *თემთან* დაკავშირებულია კიდევ სამი ლექსიკური ერთეული: *მოთემე, თემ-ქუეყანა, სათემქუეყნო*: „1.თემი- ქვეყანის(ა) ერთი ნაწილი(ასევე სხვა რედაქციების მასალით: ერთი ქვეყანათა ნაწილი(B), ერთი ქვეყანა(C), ერთი ქვეყანათაგანი(D), 2. მოთემე: მისისავ თემისა“; *თემქუეყანა* და *სათემქუეყნო* არ არის განმარტებული (საბა 1991).

ვნახოთ, როგორ არის განმარტებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა:

1. ისტ. პირველყოფილ-თემური წყობილების დროს – ძირითადი სოციალური ჯგუფი, რომელიც კოლექტიურად ფლობდა საწარმოო საშუალებებს. ძველ ინდურ თემში შრომის საზოგადოებრივი დანაწილება არსებობს (მარქსი).

2. ისტ. „ქვეყნის ერთი ნაწილი“ (საბა).

3. ისტ. საქართველოს მთიანეთში – ერთი გვარის მოსახლეობა, რომელსაც ჰყავდა თავისი უფროსი, ჰქონდა თავისი წეს-ჩვეულებები.

4. ძვ. კუთხ. (იმერ.) ერთად თავმოყრილი, ერთად შეყრილი ხალხი (სალაპარაკოდ, დროს გასატარებლად, დღეობაზე...), – მარაქა.

5. ისტ. ძველ რუსეთში – გლეხური საადგილმამულო ორგანიზაცია, რომელიც მის საკუთრებაში მყოფ საზოგადოებრივ მიწებს ანაწილებდა თავის წევრებს შორის და აკისრებდა მათ ურთიერთ-თავდებობას გადასახადების გადახდაში.

6. რევოლუციამდე და საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში – უმცირესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელიც შედიოდა მაზრის შემადგენლობაში

7. ისტორიულად სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელი იყო XII-XIII საუკუნის ძეგლებში „...ხან სამეფოს, ხან ქვეყნის, ხან ხეობის მაგიერაა ნახმარი“ (ივ. ჯავახ.) თემთა პალატა – ინგლისის პარლამენტის ქვედა

პალატა (ქეგლი 1955).

როგორც ვხედავთ, ლექსიკონში მოცემულია თემის ივანე ჯავახიშვილისეული განმარტება: ისტორიულად სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელი იყო XII-XIII ს.-ის ძეგლებში ,,...ხან სამეფოს, ხან ქვეყნის, ხან ხეობის მაგიერ არის ნახმარი“ (ივ. ჯავახ.). ანუ ყოველთვის მოიცავს ლოკალურ-გეოგრაფიულ სივრცეს, ქვეყნის ნაწილს. ეს მნიშვნელობა შენარჩუნებულია ქართული ისტორიული (და არამარტო) მეცნიერების ფუძემდებლის, ივანე ჯავახიშვილის, ყველა განმარტებაში. ამ განმარტების სიზუსტის დასადასტურებლად მოგვყავს ნიმუშები „ვეფხისტყაოსნიდან“: თემი – მხარე, კუთხე (ვეფხ. 1992):

„კვლა ფრიდონცა დაეთხოვა:“წავიდეო სახლსა ჩემსა,
ზედა-ზედა დავსტკებნიდე დარბაზსა და ამა თემსა“(1656);
„მზეო, რადღა გაქვს სინათლე, რადღა ანათობ თემთაო?“ (1592);
„დავყარენ არენი მე კაცრიელთა თემთანი“ (653);
„წიგნი მომართვა, ჩავხედენ, პირისა თემთა მთენისა“ (493).

„რუსუდანიანში“: „...უჩვენეს ყოველი და დაარონიეს სახელმწიფო, ყოველი თემი და ქვეყანა“.

იოანე ზედაზნელის ცხოვრების სვინაქსარული რედაქციის ტექსტში (XVIII საუკუნის I ნახევარი) ვკითხულობთ: „წმიდა ნინო, ოდეს ქართლი და კახეთი მოაქცია, დედაკაცი იყო და ფრიადი შრომა დადვა და მრავალნი იღუაწა, არამედ უმრავლესი თემი დაუშთა ქართლად და კახეთად მოუქცეველი“ (სიმფ. 2005). აქაც ადგილს ან დაბა-სოფლებს, დასახლებებს აღნიშნავს ეს სიტყვა.

ამ სიტყვას (თემი), რომელსაც საკმაოდ გაფართოებული აქვს მნიშვნელობა უკვე მე-19 და მე-20 საუკუნეებში, რაც უკვე ასახულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, თანდათან უჩნდება ისეთი მნიშვნელობები, რომლებსაც ქართულ ენაში არაერთი შესაბამისი ლექსიკური ერთეული აქვს (ქეგლი 1955). ოციოდე წლის წინ კიდევ ერთი მნიშვნელობაც დაემატა, თუმცა ეს მაინც მის პირვანდელ განმარტებას უკავშირდება და, ამიტომ, მისაღებია: 1998-2006 წლებში *თემი* საქართველოს კანონმდებლობით აღნიშნავდა თვითმმართველ ერთეულს – მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებულ ტერიტორიულ ერთეულს და დღემდე ამ მნიშვნელობით გამოიყენება.

ლექსიკონის განმარტებებიდან გამომდინარე, ვხედავთ, რომ სიტყვა *თემი* არ გამოიყენება არც ეთნიკური ჯგუფის და არც სხვა რამე ნიშნით (პროფესია, ჰობი, სქესი, მიდრეკილება)-გარდა საერთო ადგილმდებარეობისა (გეოგრაფიისა) მე-19 საუკუნეში და არც მე-20 საუ-

კუნის პირველ ნახევარში. კარგად ჩანს ამ სიტყვის მნიშვნელობა ჩვენი კლასიკოსების: ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვათა ნაწარმოებებშიც.

განმარტებით ლექსიკონში მოცემული და უკვე დამკვიდრებული სიტყვათშეთანხმება *თემთა პალატა* რუსულიდან მომდინარეობს – палата общин, რადგან *პალატა* არც ინგლისურად (House of Commons), არც ფრანგულად (Chambre des communes) ან იტალიურად (Camera dei communi) არ ჰქვია ამ ორგანოს. განმარტებითი ლექსიკონის ეს ტომი გამოცემულია 1955 წელს და ამიტომაც, ცენზურისა და იდეოლოგიის გათვალისწინებით, პირველ მნიშვნელობად გაიტანეს სიტყვის განმარტება „პირველყოფილი თემური წყობილების“ კონტექსტში. თუმცა პირველ ნომრად უნდა ყოფილიყო საკუთრივ სიტყვა *თემი*, რადგან განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპია ასეთი, ზოგადად. თანაც განმარტეს, როგორც „ძირითადი სოციალური ჯგუფი, რომელიც კოლექტიურად ფლობდა საწარმოო საშუალებებს“. ბუნდოვანია ასევე, რას ნიშნავს ეპითეტი „ძირითადი“ ამ კონტექსტში. თუმცა ეს სახელი გვიან დაერქვა ამ წყობილებას – არაუადრეს მე-19 საუკუნისა, და ისევ რუსულის კალკირებით: первобытно-общинний строй. როგორც ვხედავთ, თემთა პალატის და პირველყოფილი თემური წყობილების შემთხვევაშიც რუსული სიტყვა община გადმოტანილია ქართულად, როგორც *თემი*. არადა, ეს სიტყვა რუსულ ენაზე აღნიშნავს ერთიანობას, გაერთიანებას, საზოგადოებას (ისეთი ცნებებია, რომლებიც გეოგრაფიას არ მოიცავს)[1].

ახლანდელ დროში კი „სოციალურ ჯგუფს“ გაფართოებული აქვს მნიშვნელობა, მასში ბევრად მეტი სახის დაჯგუფება მოიაზრება, ვიდრე 1955 წელს. ვფიქრობთ, სიტყვა *თემის* ამ პირველ ნომრად გამოტანილი განმარტებიდან – „პირველყოფილი თემური წყობილება-ძირითადი სოციალური ჯგუფი“- მომდინარეობს ახლანდელი მცდარი გაგება ამ სიტყვისა და მცდელობანი, რომ მრავალ (თუ ყველა არა), რაღაც ნიშნით გაერთიანებულ სოციალურ ჯგუფს ეწოდოს თემი. სხვა შემთხვევებიც გვაქვს – როგორც ახალი ლექსიკონის შემდგენლებს სწორად აქვთ შემჩნეული – ამ რვატომეულში იმგვარი, რაც საბჭოთა წყობილების იდეოლოგიისა და ცენზურის გამო არის გამოტოვებული (ან დამატებული) და გასწორებას თუ განახლებას საჭიროებს.

[1] თუმცა თემთა პალატის შემთხვევაში წარმომადგენლებს ირჩევენ გარკვეული სოფლებიდან, ქალაქებიდან და ეს ხომ მოიცავს გეოგრაფიას.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის[1] შესაბამის ტომში ვკითხულობთ: „ტერმინი „თემი“ შემონახულია პეტრიწონის ქართველთა მონასტრის 1083 წელს ბერძნულ-ქართულ ენაზე შედგენილ ტიპიკონში. მონასტრის ამ წესდების სხვადასხვა მუხლში დასახელებულია თემი სოლონიკისა, თემი ფილიპოპოლისისა და ა.შ... ეს სიტყვა ბერძნულიდან მომდინარეობს და ნიშნავს ქვეყანას, მხარეს, კუთხეს, რაიონს: ქართული თემი მოდის ბერძნული Thema-დან, იმდრინდელ ბიზანტიურ წყაროებსა და, საერთოდ, საკანონმდებლო აქტებში, შესაბამისად, ქართულშიც თემის მნიშვნელობა ფართოა. მაგ., „რუსუდანიანში“ ნათქვამია, რომ მეფის ძეს „დააროინიეს სახელმწიფო, ყოველი ტომი და ქვეყანა“.... აღბუღას თავისი სამართლის წიგნის დამტკიცებისთვის საკანონმდებლო კრება მოუწვევია ხუთისავე თემისა სამცხისა – ტაოელთა, კლარჯთა, შავშთა, ჯავახთა და მესხთა.“ თემს, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელ ცნებას, ფართოდ ხმარობენ ქართულ მწერლობაში. თემი ეწოდება ერთ ხეობასაც („ქვაბულიანთ თემი ერთი“)... დროთა განმავლობაში თემის ცნება უფრო უახლოვდება სოფლისას... (ქსე 1979).

ამ სიტყვის ანალოგიური ეტიმოლოგია შემოგვთავაზა ასევე ბაქარ გიგინეიშვილმა: „[თემი] შესაძლოა, შემოსული იყოს ბერძნულიდან (შდრ. ბერძნ. Tema – „მდებარეობა“, „პროვინცია“) (გიგინეიშვილი 2016).

უდავოდ, ქართული სიტყვა *თემი* თავიდანვე (ამ სიტყვის დამკვიდრებისთანავე -დადასტურებულია XI საუკუნიდან) აღნიშნავდა და აღნიშნავს ქვეყნის მხარეს, კუთხეს გაერთიანებულს გეოგრაფიულ-კუთხური ნიშნის მიხედვით, ერთად მცხოვრებ მოსახლეობას, სოფელს ან რამდენიმე სოფელს ერთად; საქართველოს მთიანეთში – ასევე კუთხეების მიხედვით – ერთი გვარის მოსახლეობას გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელსაც ჰყავდა თავისი მეთაური, ჰქონდა თავისი წეს-ჩვეულებები.

სიტყვა *თემს* ყოველთვის წინ უძღვის განმსაზღვრელი *გეოგრაფიული სახელი* (ხეობის, სოფლის...), – მაგალითად, თუშეთში იყო: გომეწრის თემი, ჩაღმის თემი, პირიქითას თემი, რომელსაც შემდეგ შეუერთდა სამცხის თემი (თოფჩიშვილი 2006: 110-113) სვანეთში: უშგულის თემი, კალის თემი, მესტიის თემი, ლენჯერის თემი, ცხუმარის

[1] ქსე-შიც ძალუმად ჩანს საბჭოთა იდეოლოგიის გავლენა. ამ სიტყვის შესახებ დამოწმებულია ლიტერატურა მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწერებიდან.

თემი, ეცერის თემი, ფარის თემი, ლახამულის თემი (თოფჩიშვილი 2010: 266-274) ან *გვარი* (ეს გვარიც კომპაქტურად იყო გეოგრაფიულ ადგილზე დასახლებული, ანუ გვარს ჰქონდა *გეოგრაფია//გეოგრაფიული არეალი*), მაგალითად, ფშავში ქისტაურთ თემი (ცენტრი იყო სოფ. შუაფხო, მის გარდა, თემში შედიოდა ოთხი სოფელი), უძილაურთ თემი, გოგოჭურთ თემი (ოთხი სოფელი შედიოდა ამ თემში), ზურაბაულთ თემი (სოფელი მათურა), გოგოლაურთ თემი, გაბიდაურთ თემი (სოფ. ხოშარა)...

ინგლისური სიტყვა *community*, რომელიც ნიშნავს როგორც ერთ ადგილას მცხოვრებ ადამიანთა ან ხალხის ჯგუფს და ქართული სიტყვა *თემის* ეკვივალენტად მოიაზრება ლექსიკონებში, ასევე, ამ მნიშვნელობის გარდა, მოიცავს საერთო მახასიათებლებით გაერთიანებულ ხალხსაც, რასაც ქართულში – ისევ ლექსიკონების მონაცემებით – შეესატყვისება ცნება *საზოგადოება* ან *გაერთიანება*... (რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ) და ა.შ. ასევე მრავალნაირი ნიშნით შექმნილ გაერთიანებას, საზოგადოებას აღნიშნავს რუსული სიტყვა *община, сообщество* (ინგლისურად *community*).

ბუნებრივი იქნება, ლექსიკური ერთეული *თემის* ძირითადი მნიშვნელობა, ტერიტორია, დარჩეს, ხოლო ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ინგლისურ ლექსემას *community* თუ რუსულ ლექსიკურ ერთეულებს *община, сообщество* შესაბამისი სიტყვა მიესადაგოს, რაც გადაწყდება ენათმეცნიერთა შეთანხმებით.

ქართულად სიტყვა *თემი* აუცილებლად მოიცავს რაღაც ლოკალიზაციას, ადგილს, მხარეს, გეოგრაფიულ ტერიტორიას... ხოლო, ვთქვათ, გაერთიანება არ გულისხმობს, რომ ეს გაერთიანება ან საზოგადოება მაინცდამაინც ერთ ადგილასაა. ის შეიძლება გაფანტული იყოს მთელ ტერიტორიაზე, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ადგილზე...

თემები შემონახულია საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის ტრადიციულ ყოფაში.

XIX საუკუნის ბოლოს სვანეთში 15 ტერიტორიული თემი დასტურდება, აქედან 12 ზემო, ხოლო სამი – ქვემო სვანეთში. ფშავში 11 ტერიტორიული თემია. თითოეულ თემს თავისი ფუძე სოფელი და სათემო სალოცავი აქვს. 8 თემი არსებობდა ისტორიულ ხევსურეთში და ასევე რვა – თუშეთში.

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში *თემი* აღნიშნავდა ადმინისტრაციულ- ტერიტორიულ ერთეულს. იმერეთის სამეფოში ადმინისტრაციული დაყოფის ძირითად ერთეულს წარმოადგენდა სა-

სოფლო-სამეურნეო თემი. *თემი* წარმოადგენდა რამდენიმე სოფლის გაერთიანებას. *თემი* იღებდა სამართლებრივი ძალის მქონე გადაწყვეტილებებს, მას ევალებოდა სასოფლო გზების მოვლა-პატრონობა, ეკისრებოდა კოლექტიური პასუხისმგებლობა სხვადასხვა სამეფო და საეკლესიო ვალდებულებების შესრულებაში. *თემი* ორგანიზაციულად ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. ყველა თემს საკუთარი *თემის ხატი* გააჩნდა, *თემის ხატის* დღეობა კი თემის მთავარ დღეობას წარმოადგენდა (თოფჩიშვილი 2006:114).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – ხევსურეთში, თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარში – ორი საფეხურის ტერიტორიული თემი გვქონდა. პირველი – მიკროტერიტორიული ერთეული ანუ სასოფლო თემი, როგორც მთიელები იტყოდნენ, *თემ-სოფელი* და უფრო დიდი ტერიტორიული თემი – ერთმანეთის გვერდით მდებარე მეზობელი სოფლების სათემო გაერთიანება (თოფჩიშვილი 2006: 114).

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში არსებულ თემებს საერთო სარგებლობაში ჰქონდათ ტყე, საძოვრები დ სახვნელი მიწის ნაწილი, ცალკე არსებობდა სათემო ჯვრის მიწები. სათემო მიწათმფლობელობა არსებობდა ქართლსა და კახეთში. აქ სათემო საერთო მიწებში შედიოდა როგორც სახვნელი, ასევე სათიბ-საძოვარი მიწები. ეთნოგრაფიულად დადასტურებულია ქიზიყში სათემო მიწების თავისუფალი და პერიოდული გადანაწილება.

ელექტრონულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში ვკითხულობთ: „თემი ევროპის ბევრმა ქვეყანამ შემოინახა. ევროპაში სათემო მმართველობა შუასაუკუნეობრივი ყოფის ერთ-ერთი დასაყრდენი იყო. თემს გააჩნდა სამეურნეო, ადმინისტრაციული და სოციალ -კულტურული ფუნქცია. თემი განაგებდა განუყოფელ მიწებს, ის რთავდა თემის წევრებს ამ მიწით სარგებლობის უფლებას. თემს გააჩნდა სასამართლო და ფისკალური ფუნქციებიც. სასოფლო თემი იყო ფეოდალის მმართველობის ქვეშ, თემის თავკაცობას (მამასახლისს, მსაჯულს) ან უშუალოდ ბატონი ნიშნავდა, ან თემი ირჩევდა ბატონის მეთვალყურეობით. თემს შეეძლო ფეოდალისთვის წინააღმდეგობის გაწევა და საკუთარი ტყე-ველისა და რენტის ოდენობის დაცვა. ზოგიერთი თემი ახერხებდა მიეღო თვითმმართველობის უფლება, რაც სპეციალური ქარტიითაც იყო დამოწმებული“ (ვიკიპედია).

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ შევაჯამებთ ნათქვამს, რომ საქართველოში *თემი* მხოლოდ ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. ის ქართულ წერილობით ძეგლებში ჩნდება XI საუ-

კუნეში. ქართული *თემი*, სავარაუდოდ, მომდინარეობს ბერძნული „თემა“ (θέμα)-დან. ქართულ წყაროებში ამ ტერმინით გამოიხატებოდა ქვეყნის ესა თუ ის ნაწილი, მაგ., ტაო, ჯავახეთი, კახეთი და ა.შ. შემდეგ *თემის* მნიშვნელობა ვიწროვდება და აღნიშნავს სოფელთა ჯგუფს ან, სულაც, ერთ დიდ სოფელს. დღეს თემი საქართველოში აღნიშნავს ტრადიციულ სამეზობლო ტერიტორიულ ერთობას. ამრიგად, ტერმინი *თემი* თავის თავში ტერიტორიულ გაგებას მოიცავს და ამიტომ ეს ფაქტორი აუცილებელ პირობად უნდა დარჩეს ამ სიტყვის განმარტებისას.

ლიტერატურა

გიგინეიშვილი 2016 – ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, შემდგ. ბაქარ გიგინეიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, „რუსთაველის კომიტეტი“, თბილისი.

გაბუნია 2013 – შორენა გაბუნია, შესავალი ლგბტ ჟურნალისტიკაში, რედ. ირაკლი ვაჭარაძე; არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“, თბილისი.

ვეფხ. 1992 – შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ლექსიკონი აკაკი შანიძისა, თბილისი.

ვიკიპედია – ქართული ვიკიპედია, http://www.ice.ge/new/pages/samples/ganmart.html

თოფჩიშვილი 2006 – როლანდ თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბილისი.

თოფჩიშვილი 2010 – საქართველოს ეთნოგრაფია/ ეთნოლოგია, როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბილისი.

საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, თბილისი.

სიმფ. 2005 – ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველაძისა და მზექალა შანიძის რედაქციით, ტ. I, თბილისი.

ქეგლი 1950 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ქეგლი 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი.

ქსე 1979 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბილისი.

Maia Barnaveli
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Georgia
maiabarnaveli@gmail.com

Keywords: Temi, Community, Lexicography, Terminology.

The Definition of the Word *Temi* According to the Laws of Lexicography

Summary

The word თემი (Temi) has long meant and still means a corner or region of a country that isunited on geographical and ethnic grounds, with some people living together in villages or a collection of some villages. In the mountainous Georgian villages, თემი (Temi) has the meaning of families sharing a single surname with their own leader, habits and traditions (ფშაველთა თემი – the temi of the Pshavians).

In recent times, there has been an attempt to establish another meaning for this word by ignoring linguistic rules. What we are speaking of is how the new meaning being established fails to include the people together locally, as it used to mean in Georgian for centuries.

For example, here is one of the meanings for this word given in an encyclopedic dictionary (the electronic version under the heading "Civil" Encyclopedic Dictionary):

"თემი (Temi) – the uniting factor between common interests, points of view, opinions, activities, hobbies, dwelling places, sex or nationality. The basis of the term თემი (Temi) is the relationship between people" (Source: Introduction to LGBT Journalism by Shorena Gabunia, edited by Mr. Irakli Vacharadze, "The Nongovernmental Organization Identoba, Tbilisi, 2013. 319 pages; attachment 145-316; Dictionary: P. 3-34)".

The English term *community*, meaning "a group of people living in one place" is considered as the equivalent of the Georgian word თემი, and it is given as such in its Georgian translation in the electronic sources of dictionaries. Besides the given meaning, it also includes the meaning of a people united by common attributes, which in Georgian –

also according to the data in lexicons – corresponds to the ideas of "sazogadoeba" or "gaertianeba" ("society "union," "group," etc.)

This paper will attempt to prove that the definition of the word თემი (Temi) should be explained as tied to a local and territorial features and in the cases mentioned above in this abstract, the English word *community* could be translated into "gaertianeba" ("union" or "association") or any other relevant word, which should be decided through the agreement of linguists.

ქეთევან ბოლაშვილი
ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი
ketevan.bolashvili@tsc.edu.ge

საკვანძო სიტყვები: მუსიკალური ტერმინოლოგია, მუსიკალური ტერმინების სისტემური ორგანიზება, მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონების შედგენა და გამოცემა საქართველოში.

მუსიკალური ტერმინოლოგია – პრობლემები, პერსპექტივები

მუსიკალური ხელოვნება ადამიანის არსებობის მუდმივი თანამდევი და მისი ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე აბსტრაქტული შემოქმედებითი საქმიანობაა, რომელიც არსებობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ქმნის ურთიერთობის საკუთარ სახეს, თავისებურ მყარ მიდგომებსა და ერთეულებს, მათ შორის, თვითმყოფად დამწერლობას და, ბუნებრივია, ქმნის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ტერმინებს. თავისთავად ცხადია, მუსიკალური ტერმინების და მათი მნიშვნელობის ცოდნის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური ნაწარმოების სათანადო შესწავლა, მუსიკის სხვადასხვა ასპექტის შეცნობა.

ყველა სხვა პროფესიის მსგავსად, მუსიკალური ტერმინოლოგია, ერთი მხრივ, საკუთრივ მუსიკალური ხელოვნების პირმშოა და, მეორე მხრივ, მისი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. ტერმინოლოგიის სრულყოფილი ფლობის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური ხელოვნების და, განსაკუთრებით, მისი კვლევის წინსვლა, ხოლო ყოველი პრობლემა, გაუმართაობა და უზუსტობა, წარმოქმნის იმგვარ გაუგებრობებს, რომლებმაც შეიძლება ერთი პროფესიის ადამიანები პროფესიულ შეცდომებამდეც კი მიიყვანოს, ანუ შეუძლებელი გახადოს თავისებური მუსიკალური ტექსტის გააზრება, მისი გაგება და სწორი ინტერპრეტაცია. შესაბამისად, ისედაც მხოლოდ ნაწილობრივ ზუსტი მუსიკალური ტექსტი, კიდევ უფრო მეტ უზუსტობას გამოიწვევს.

მუსიკალური ხელოვნება დაარსებიდან იყენებს თავისებურ ტერმინებს, რომლებიც სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში და, შესაბამისად, სხვადასხვა ენის პირობებში გაჩნდა და დამკვიდრდა. რო-

გორც ცნობილია, ტერმინოლოგია მრავალი მოვლენის საფუძველზე ყალიბდება და ის ან უცვლელად გადადის ერთი ენიდან მეორეში, ან სახეს იცვლის ამა თუ იმ ენის გავლენით.

რა თქმა უნდა, საქართველოში ორიგინალური მუსიკალური ტერმინებიც გაჩნდა, რომლებიც ქართულ ხალხურ თუ ძველ პროფესიულ მუსიკასთანაა დაკავშირებული. სამწუხაროდ, დღეს შეუძლებელია ზოგიერთი ტერმინის ზუსტი მნიშვნელობის დადგენა მისი აღსანიშნი საგნის არსის დაკარგვის გამო, მაგრამ ჩვენ ამ საკითხს არ განვიხილავთ.

სტატიაში წარმოდგენილია ევროპული მუსიკალური აზროვნების ამსახველი ტერმინების ქართულ ენაში გამოყენების რამდენიმე საკითხი.

უპირველეს ყოვლისა, მოკლედ შევეხები იმას, თუ რა მდგომარეობაა მუსიკალური ტერმინების ლექსიკონების თვალსაზრისით.

დღემდე საკუთრივ მუსიკალურ ტერმინთა სულ რამდენიმე ლექსიკონი არის გამოცემული, კერძოდ:

- თ. ჩხეიძე, დ. შუღლიაშვილი, სამგალობლო ტერმინთა ლექსიკონი;
- მუსიკალური ლექსიკონი: (უცხოურ-რუსულ-ქართული), ა. ყიფშიძე, გ. ჩხიკვაძე;
- თ. დაფქვიაშვილი, მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი.

ცალკეული ტერმინების განმარტება გვხვდება შემდეგ გამოცემებში:

რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი;

- ა. თამარაშვილი, მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი;
- ა. ყიფშიძე, ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი;
- ი. კარგარეთელი, მოკლე პოპულარული სამუსიკო ენციკლოპედია.

მუსიკის ტერმინოლოგიის საკითხები მრავალგვარი შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს, მაგრამ აქ მინდა მხოლოდ ერთ საკითხზე გავამახვილო ყურადღება: რა პრობლემები არსებობს მუსიკალური ტერმინების გამოყენების თვალსაზრისით?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკალური ტერმინების უმეტესობა ევროპული ენებიდანაა შემოსული, უმთავრესად გამოიყენება იტალიური და ფრანგული, ასევე გერმანული ტერ-

მინები. ევროპულ ენებში სხვადასხვა ტერმინი, ძირითადად, უცვლელად გამოიყენება, რაც, დაწერილობის თვალსაზრისით, არ წარმოადგენს არავითარ სირთულეს. იმავეს ვერ ვიტყვით ქართულ ენაზე. ამ ტერმინების ქართულში გადმოტანა გარკვეულ სირთულეს ქმნის. მსგავსი სირთულე ჩნდება ნაწარმოებების სათაურებთან დაკავშირებითაც – ტრადიციის თანახმად, ევროპულ ენებში სათაურები ასევე ორიგინალის ენაზე იწერება ხშირად. ქართულად მიღებულია სათაურების თარგმნა, რაც ასევე მოწესრიგებას მოითხოვს, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

ტერმინების დაწერილობას რომ დავუბრუნდეთ, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ქართულ ენაში ჩამოყალიბდა საკრავების სახელწოდებების პირდაპირი გადმოტანის ტრადიცია. უმთავრესად გამოიყენება საკრავების იტალიური დასახელებები, მაგალითად: *ვიოლინო*, *ვიოლონჩელო* ან *ჩელო*, *კონტრაბასი*, მაგრამ იშვიათად შეხვდებით *ვიოლას*. ამ საკრავის იტალიური სახელწოდების *viola*-ს ნაცვლად უფრო ხშირად გვხვდება *ალტი*, რომელიც ფრანგულიდან – *alto* – მოხვდა რუსულში და შემდეგ ქართულ ენაში. ანალოგიურად რუსული ენის გზით დამკვიდრდა *ტიმპანი ლიტავრების* სახელწოდებით.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, საკრავებისა და მომღერლების ხმების ძირითადი სახელწოდებების უმეტესობა არ საჭიროებს შესწორებას, დამკვიდრებულია და მხოლოდ მცირედ დაზუსტებას მოითხოვს, მაგრამ განსხვავებული მდგომარეობაა მათი რეგისტრის ან ხასიათის აღმნიშვნელი ტერმინების მხრივ. აქ თითოეული მკვლევარი თვითნებურად წყვეტს, დაწეროს, მაგალითად, *პიკოლო* თუ *piccolo*. განსაკუთრებით მძაფრად დგას ეს საკითხი შედგენილი ტერმინების გამოყენებისას: მაგალითად, ხმა *basso-buffo* ქართულად იქნება *ბანი-buffo* თუ *ბანი-ბუფო* ან იქნებ *კომიკური ბანი?*

შემდეგი საკითხი ეხება არტიკულაციის ნიშნებს, მაგალითად: *pizzicatto*, *legato, frulato, glissando* და მრავალი სხვა. არსებული ტრადიციის თანახმად, ზოგიერთი მათგანი, როგორც წესი, იწერება ქართულადაც, მაგალითად, *ტრემოლო, გლისანდო,* ზოგიერთი კი მხოლოდ იტალიურად – *pizzicatto, frulato*. დამეთანხმებით, ასეთი აღრევა დაუშვებელია!

და თუ ამ ძველ ტერმინებს არა აქვს ქართულში ხმარების რაიმე წესი, ახლად შექმნილი ტერმინები ხომ კიდევ უფრო მეტ პრობლემას ქმნის. ჩვენ არ ვგულისხმობთ დღეს ჩვენში გავრცელებულ *საუნდს,*

ფერქაშენს ან მსგავს ტერმინებს. სასურველი იქნებოდა, დადგენილიყო, როგორ დავწეროთ, მაგალითად, *Sprechgesang* ან *Klangfarbenmelodie*?

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა *ტემპების* აღნიშვნა. უმეტესწილად, მუსიკალურ ნაწარმოებებში *ტემპი* აღინიშნება იტალიური ტერმინით, რომელიც არ ითარგმნება სხვა ენებზე და უცვლელად, იტალიურად, იწერება, მაგრამ რუსული ტრადიციის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად, ტემპის აღმნიშვნელი რამდენიმე ძირითადი ტერმინი ქართულადაც იწერებოდა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეცდომით, მაგალითად, იტალიური *Adagio* მრავალი ხნის განმავლობაში იწერებოდა და ახლაც იწერება ქართულად – *ადაჟიო*, მაგრამ, თუ იტალიურ ტერმინებს *Allegro, Andante*, *Presto* და ა. შ. ასევე დავწერთ ქართულად, როგორ უნდა მოვიქცეთ ტემპის გერმანული ან ფრანგული ტერმინების გადმოცემისას? საინტერესოა, რომ გერმანულენოვანი და ფრანგი კომპოზიტორების ტექსტებში შეიძლება შეგვხვდეს ტემპის აღმნიშვნელი ტერმინები ორ ენაზე – გერმანულად და იტალიურად ან ფრანგულად და იტალიურად, მაგალითად, დასაწყისში იყოს *Seher Schnell* და შემდეგ *Tempo I*. ამ შემთხვევაში, ერთი – *Tempo I* – ყველა მუსიკოსისთვისაა გასაგები, ხოლო *Seher Schnell* – მოითხოვს თარგმნას. აქვე ჩნდება კიდევ ერთი საკითხი, თარგმნის შემთხვევაში, სად და როგორ უნდა იყოს მითითებული ქართული შესატყვისი?

საყურადღებოა ასევე ტერმინი *rhythm*-ი. ორიგინალიდან გამომდინარე ქართულად უნდა იწერებოდეს *რითმი* (ჩვენს ენას აქვს ამის საშუალება). აქვე აღვნიშნავთ, რომ როდესაც ჩვენი მუსიკოლოგიური ტექსტები ხვდება რედაქტორის ხელში, *რიტმს* ყოველთვის ცვლიან *რითმით*, რაც, ერთი მხრივ, სწორია, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ, მუსიკათმცოდნეებს, გვაქვს საკუთარი მოსაზრება: ვინაიდან ეს ტერმინი ძირითადად გამოიყენება მუსიკასა და პოეზიაში, მათი ერთმანეთის გასამიჯნად, მუსიკაში არის *რიტმი*, ხოლო პოეზიაში – *რითმა*.

რამდენად სწორია ეს პოზიცია? იქნებ საჭიროა მისი გადახედვა და ამ ტერმინის დადგენა?

სამუსიკო ტერმინოლოგიაში არსებული მრავალი სირთულის გადასაწყვეტად საჭიროა შემუშავდეს შეთანხმებული მუშაობის გარკვეული გეგმა. ვფიქრობთ, უპირველესად, საჭიროა სხვადასხვა სახის ლექსიკონების მომზადებისა და გამოქვეყნების რიგითობის დადგენა. მათ შორის:

1. შედარებით მარტივია ტერმინოლოგიური ლექსიკონცნობარის შექმნა, რომელშიც განმარტების გარეშე იქნება მოცემული ტერმინები სხვადასხვა ენაზე და მათი შესატყვისები ქართულად. ამის შესანიშნავი ნიმუშია შვიდენოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონი: *Terminorum musicae index septem linguis redactus;*

2. უფრო ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს განმარტებითი ლექსიკონი – ტერმინები და მათი განმარტებები. თუ გავიხსენებთ, რომ ევროპაში, ტინქტორისის მიერ 1472 წ. შექმნილი პირველი ამგვარი ლექსიკონი 100-ამდე ტერმინს შეიცავდა. ვფიქრობთ, ამ სახის ლექსიკონი თანდათან და მუდმივად უნდა ივსებოდეს;

3. მხოლოდ ამის შემდეგ, პირველ ორ პუნქტში დასახელებული ლექსიკონების ბაზაზე, უკვე არსებული გამოცდილებით შეიძლება შეიქმნას ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელშიც სრულყოფილად აისახება მუსიკის ტერმინოლოგია – დადგენილი, შეთანხმებული და სარწმუნო.

რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ შემოთავაზებული გეგმა არ არის ერთადერთი და თანაც სწორი გზა. ამ საკითხზე ისევე, როგორც სხვა მსგავს პრობლემებზე, არ შეიძლება ერთმა ან ორმა ადამიანმა იმუშაოს, აუცილებელია სხვადასხვა დარგის პროფესიონალების გაერთიანება.

შემუშავებული გეგმის შესაბამისად უნდა დაისახოს ტაქტიკური ამოცანები და, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს: რა ტიპის ლექსიკონის შექმნა არის შესაძლებელი ამ ეტაპზე შედარებით მოკლე დროში; რომელი სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას; დადგინდეს ლექსიკონის სტრუქტურა, სიტყვანი, შეგროვდეს მასალა, გასწორდეს ის ტერმინები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ჩვენს პრაქტიკაში, მაგრამ არაზუსტია და ა. შ.

ამ პროცესის სრულყოფა იქნება საფუძველი სამუსიკო ტერმინების სისტემატიზაციისა და უნიფიცირებისა.

Ketevan Bolashvili
V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire, Georgia
ketevan.bolashvili@tsc.edu.ge

Keywords: Musical terms, Systematic organization of musical terms, Creating and publishing Musical Dictionaries on Georgian.

Musical terminology – problems and perspectives

Summary

The purpose of this report is to focus on musical terminology, in particular, on several issues related to the usage of some of the terms used to express European-style musical thinking in the Georgian language:

1. Whether to use terms taken directly from European (Italian and French, sometimes German) languages or transliterate them using the Georgian alphabet;
2. Specifics of using terms necessary for the precise description of the timbre or tessitura of instruments or a singer's voice;
3. Systematization of articulation marks;
4. Particularities of recently appeared terms.

Ideas for solving existing problems:

1. Develop strategies and tactics to create different types of dictionaries:
   - Terminology Dictionary-Directory;
   - Explanatory Dictionary;
   - Encyclopedic Dictionary.
2. Set tactical schemes in accordance with the strategic plan: Determine the best sequence for creating and publishing the dictionaries, the structure of each dictionary, and which words are needed; gather the material and adjust terms that are widely used in practice but are inaccurate, etc.

Tsitsino Gabeskiria
Ilia Vekua Institute of Applied Mathematics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
ciciana@hotmail.com

Keywords: Terminology, Lexicography, Bilingual Lexicography, Mathematical Terminology, Georgian-English Dictionary.

On the problem of compiling the Georgian-English dictionary of mathematical terms

The necessity of compiling the Georgian-English dictionary of mathematical terms has long been a matter of great interest to mathematicians and linguists, and especially nowadays, when most of the publications are in English, it is well-advised for the authors (mathematicians) not only to read and understand specific texts in English but to be able to translate the Georgian texts into English and compose grammatically and stylistically correct sentences. After the publication of my English-Georgian mathematical dictionary in 1983 the reader may now get acquainted with the Georgian-English mathematical dictionary which is not simply the inverted, but a complete and vast version of the above dictionary. It has been enriched by the mathematical terms, that have been collected for over 40 years and I hope it may be useful for a modern Georgian reader.

The main advantage of the present dictionary is that it is intended for those specialists who know the English mathematical terminology, understand and translate any mathematical text (especially in their own field) from English, but have certain difficulties in translating texts from Georgian into English. It will help them to find the needed words and expressions. One more peculiarity which distinguishes it from other dictionaries is that it has been compiled not only from well-known special dictionaries but is the result of many years of research by the author in relation to the necessary words and phrases that will be extremely helpful to them in writing an article in English.

The dictionary consists of the main part and 3 addenda. The main part contains word-entries. Addendum 1 deals with the names of foreign scientists and with mathematical terms, related to them. It is rather a vast addendum, consisting of 1200 word-entries and presents those terms that contain the scientists' names. Addendum 2 provides the abbreviations and foreign phrases, as well as physical units of measurement and probably not everybody knows that often used terms, like ampere, volt, coulomb, ohm or faraday are in fact the famous scientists' names. In the third addendum the examples of reading mathematical symbols and formulas are presented. The dictionary is Georgian-English and respectively, first the Georgian and then the English words are given. The only exception is in Addendum III where abbreviations and foreign (Latin, English, French, etc.) phrases which a mathematician often encounters, are in English first and then in Georgian, particularly given that this is the order used in Georgian texts, see, e.g. Sic!

In the main part not only word-entries, but phraseological units, general sentences, grammatical and lexical collocations have been provided that will greatly help the translator to write the necessary phrase correctly, since for a perfect translation it is not sufficient to know only the mathematical terms.

The aim of any bilingual dictionary is not only the correct translation of a word or a sentence but standardization of the terms in the language (in this particular case, Georgian). It should be taken into account that the Georgian and English languages have entirely different structures and before reaching Georgian the terms have passed through other "medium" languages and the lexicographer must try to choose the term which he thinks most relevant.

The compilation of a dictionary is not, in general, a mechanical process. We have been doing research as to how to convey the foreign terms into Georgian. We can single out several issues in this direction. For instance, in the case of adjectives there has been some "order" reached – when adjectives of foreign origin take the Georgian suffix -*ურ(-ული)* and in other cases – the suffix -*ალ(-ურ)* which is the combination of two similar suffixes: one of the non-Georgian -*ალ,* the

other of the Georgian *-ურ(-ულ).* In Georgian the unnecessary -ალ has been dropped and now we have *დოკუმენტური* and not *დოკუმენტალური, ფუნდამენტური* and not *ფუნდამენტალური, ექსპერიმენტული* and not *ექსპერიმენტალური, პენინტენციური* and not *პენინტენციალური, დიამეტრული* and not *დიამეტრალური, ტერიტორიული* and not *ტერიტორიალური* etc. It should be noted however that in mathematical terms the suffix *-ალ* can sometimes be kept, since it is in the stem of the word and thus we have *დიაგონალური(დიაგონალი), დიფერენციალური (დიფერენციალი), ვერტიკალური (ვერტიკალი), ჰორიზონტალური (ჰორიზონტალი)* and so on.

In a number of cases the incorrect forms have been replaced by correct ones and here again the stem of the word is taken into account, e.g. we have *ტანგენსური* and not *ტანგენციალური, ელიფსური* and not *ელიპტიკური, ანალიზური(ანალიზი) ანალიტიკური(ანალიტიკა), ეკონომიური(ეკონომია), ეკონომიკური(ეკონომიკა).*

Of importance is also the consideration of foreign scientists' names and the transformation they have undergone before being conveyed into Georgian. They should be transferred in a proper way since a theory created, a problem solved or a question set forth by a certain scientist, be it a Newton's binomial, Abel means or Pascal's limaçon gives us a mathematical term with scientists' names forming part of it. We think that the transfer and unification of foreign names as terms is a long and complicated process and should be settled by joint efforts of mathematicians and linguists.

With the examples, given in the dictionary, it is clearly seen how proper names, used in eponyms, are turned into mathematical terms. It is then very important to apply correct rules of transliteration in conveying them into Georgian in a suitable form. For the regulation of mathematical terms in general we should try: 1. To write and pronounce foreign names in the proper way, 2. To find exact Georgian equivalent transliteration for them, e.g. such French names as *Hénon – ენო, Deaulbault – დოლბო, Foucault – ფუკო, Bruhat – ბრიუა, Duhamel - დიუამელი, Darbout – დარბუ, Cosserat – კოსერა* are often spelt incorrectly. The rules of French orthography are violated in conveying French names, for instance, in the case of the names Fresnel and

Oresme, the consonant **s** is often included in the Georgian version which is incorrect. So we should have *ფრენელი* and *ორემი* and not *ფრესნელი* and *ორესმი.* The same can be said about the sound combination gn in French and Italian which should be read as *ნ* and not *გნ* which is sometimes the case in Georgian. So we must read *Signiorini – სინიორინი* and *Agnesi – ანიეზი.*

The right regulations have been made with respect to German diphtongs *ei* and *eu.* So *Weierstrass* in Georgian must be read as *ვაიერშტრასი* instead of *ვეიერშტრასი,* Seifert must be read as *ზაიფერტი* and not *ზეიფერტი; Schneider* must be read as *შნაიდერი* and not *შნეიდერი; Steinhaus* must be read as *შტაინჰაუსი* and not *შტეინჰაუსი; Freudental* must be read as *ფროიდენტალი* and not *ფრეიდენტალი, Euler* must be read as *ოილერი* and not *ეილერი.* The same can be said about the incorrect transfer of the German vowel ü. We should pronounce *Gödel – გიოდელი* and not *გედელი, Grötzsch – გრიოტში* and not *გრეჩი, Hörmander – ჰიორმანდერი* and not *ჰერმანდერი, Hölder – ჰიოლდერი* and not *ჰელდერი*, *Schrödinger – შრიოდინგერი* and not *შრედინგერი* and so on.

In transferring the scientist's name properly, we should take into account the origin of the surname. For example, the name of the German mathematician *Dirichlet* is pronounced as *დირიხლე,* but earlier this name because of its French origin was read as *დირიშლე.* His ancestors went to Germany from the Belgian town Richlet and his grandfather was called le jeune de Richlet (a young man from Richlet). Later since he was considered to be a German mathematician and in German the sound combination *ch* is read as *ხ* there remained two parallel forms: *დირიხლე* and *დირიშლე.* There is also an interesting story with another mathematician Kladni. His ancestors who were from Krenik (Hungary) went to live in Germany. Krenik now belongs to Slovakia, so he is sometimes mentioned as German, sometimes Slovak and sometimes as a Hungarian mathematician. Consequently, his name is pronounced either as *კლადნი* or *ხლადნი.*

A term, as is well known, is a word, expressing a certain notion in different branches of art, literature or science. We have already mentioned that there are special terms in mathematics as well, where

one can often meet terms, composed of mathematicians' names. These terms are, as a rule, two-component and consist of the defining and defined words. These words are often connected by means of the English *suffixes - ean, -ian, -ine*. These so called suffixes of possession are added to the proper names and thus the eponymous adjectives are formed.

But it should be noted that this process of transformation or "term-creating" is not final. It involves double transformation, i.e. the first step is when the above suffixes are added to proper names and we get adjectivization, e.g. Archimedes-Archimed-ean, Lagrange –Lagrang-ian, Laplace-Laplacian,etc. Then in a variety of cases we have again substantivization of these adjectives and we get the term. In such a case the term is obtained from the proper name,e.g. Gauss-Gaussian, Berezin – Berezinian, Jacob – Jacobian, Lipschitz-Lipschitzian, Naper-Naperian, etc. Substantivization by means of -ian, -ean, -ine suffixes does not always take place. But in a number of cases this substantivized one-compomemt noun, obtained from the proper name (eponym) is a full substitute for a two-component term, for example, Gaussiani is a Gaussian distribution, but the word distribution is not used anymore and we have only *Gaussian განაწილება.* The same is with Grassmanian – Grassmanian space – space has been dropped and we have just Grassmania – გრასმანიანი. So the other similar terms are Wronskian for the Wronskian determinant, Hamiltonian for the Hamiltonian operator, etc.

Even more interesting and paradoxical is the fact that in Georgian the transfer of this substantivized term was very natural for Georgian by means of the suffix -ian. As is known, the lexical system of every language has its specifics and as we have already mentioned, Georgian and English have absolutely different structures but in this particular case there was a strange coincidence, since the possessive suffix ian is just the same in both languages. For instance, in Georgian possession is expressed with the help of this *suffix -იანი; ცოლი-ცოლიანი, ღრუბელი-ღრუბლიანი, ცრემლი-ცრემლიანი, ფასი-ფასიანი* and etc. This ending is characteristic of Svan surnames in Georgian. So such terms as

გაუსიანი(Gaussian), გრასმანიანი(Grassmanian) and *რიმანიანი (Riemannian)* sound very natural in Georgian.

On the basis of the given examples the process of turning surnames, used in eponyms, into mathematical terms, is evident and it is very important to keep to the transliteration rules in transferring them into Georgian and to make clear regulation of Georgian mathematical terms, in general. We have mentioned only some of the necessary regulations which are taken into account in our dictionary and without which no dictionary can be considered relevant and up-to-date.

Thus it can be concluded that the new Georgian-English dictionary of mathematical terms will be of great help not only to the specialists of exact and natural sciences but will as well facilitate the standardization of the Georgian mathematical terminology.

ლიტერატურა

თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1970, თბილისი.

უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, ქსე მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1989, თბილისი.

ციცინო გაბესკირია, ინგლისურ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, 1983, თბილისი.

ც. გაბესკირია, გ. ჯაიანი, ჯ. ანთიძე, გ. დათაშვილი, ინგლისურ-ქართულ-რუსულ-გერმანულ-ფრანგულ-იტალიურ მათემატიკურ ტერმინთა ლექსიკონი, 2005, თბილისი.

ციცინო გაბესკირია, ქართულ-ინგლისური მათემატიკური ლექსიკონი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2018, თბილისი.

A.J.Lohwater's Russian-English Dictionary of the Mathematical Sciences, Published by American Mathematical Society 1990, USA.

A Manual for Translators of Mathematical Russian, American Mathematical Society, Providence, Rhode Island, 1976.

ციცინო გაბესკირია
თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ლექსიკოგრაფია, თარგმნითი ლექსიკოგრაფია, მათემატიკის ტერმინოლოგია, ქართულ-ინგლისური ლექსიკონი.

მათემატიკური ტერმინების ქართულ-ინგლისური ლექსიკონის შექმნის საკითხისათვის

რეზიუმე

მათემატიკური ტერმინების ქართულ-ინგლისური ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა დიდი ხანია იდგა მათემატიკოსთა და ენათმეცნიერთა წინაშე, თანამედროვე პირობებში კი, როდესაც თითქმის ყველა სამეცნიერო კრებული ინგლისურ ენაზე გამოდის, აუცილებელი ხდება ავტორმა (მათემატიკოსმა) შეძლოს არა მხოლოდ მისთვის ცნობილი მათემატიკური ტერმინოლოგიის გამოყენება, არამედ ფრაზის გამართვა გრამატიკულად და სტილისტურადაც. 1983 წელს ჩემ მიერ გამოცემული ინგლისურ-ქართული მათემატიკური ლექსიკონის შემდეგ თითქმის 40 წლის მუშაობის შედეგად მკითხველს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს მათემატიკური ტერმინების ქართულ-ინგლისურ ლექსიკონს, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ ადრე გამოცემული ინგლისურ-ქართული ლექსიკონის შებრუნებულ, არამედ უფრო ვრცელ და შევსებული ვერსიას და იგი გამდიდრებულია წლების მანძილზე შეკრებილი, ქართველი მომხმარებლისათვის აქტუალური ტერმინოლოგიით.

მთავარი, რაც ამ ლექსიკონს გამოარჩევს სხვა არსებული ლექსიკონებისგან, არის ის, რომ იგი ძირითადად განკუთვნილია იმ სპეციალისტებისათვის, რომლებმაც იციან ინგლისური მათემატიკური ტერმინოლოგია, ესმით და შეუძლიათ თარგმნონ ნებისმიერი მათემატიკური ტექსტი, განსაკუთრებით თავიანთ ვიწრო სპეციალობაში, მაგრამ აქვთ გარკვეული სიძნელეები პირიქითი თარგმანის დროს (ქართულიდან ინგლისურად). ლექსიკონს კიდევ ის თავისებურება ახასიათებს, რომ ის ეყრდნობა არა მხოლოდ დარგობრივი ლექსიკონებიდან ამოკრეფილ სიტყვებს, არამედ ჩემ მიერ წლების განმავლობაში სხვადასხვა უცხოური მონოგრაფიის თუ სხვა ნაშრომთა თარგმნისას

დაგროვილ ტერმინებსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებსაც მკითხველი თავად ვერ მოიძიებდა. ლექსიკონი უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს მას სტატიის ინგლისურ ენაზე დაწერაში.

ლექსიკონი შედგება ძირითადი ნაწილისა და 3 დამატებისაგან. ძირითად ნაწილში მოცემულია სიტყვა-სტატიები (მეთაური სიტყვები).

პირველი დამატება ეთმობა უცხოელ მეცნიერთა გვარებს და მათთან დაკავშირებულ მათემატიკურ ტერმინებს. ეს საკმაოდ ვრცელი დანართია, 1200 სიტყვა-სტატიისაგან შედგება და შეძლებისდაგვარად სრულად ასახავს ამა თუ იმ მეცნიერის გვარის შემცველ ტერმინებს.

მეორე დამატებაში სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შემოკლებები და უცხოური გამოთქმები შედის. აქვე არის მოცემული გაზომვის ფიზიკური ერთეულები, რომლებსაც დასახელებად მეცნიერთა გვარები აქვთ მიკუთვნებული, ხოლო მესამე დამატებაში მოყვანილია მათემატიკური სიმბოლოებისა და ფორმულების კითხვა ინგლისურ ენაზე.

ძირითად ნაწილში მოყვანილია არა მხოლოდ სიტყვა-სტატიები (მეთაური სიტყვები), არამედ ფრაზეოლოგიური ერთეულები, ზოგადი მოხმარების ფრაზები, გრამატიკული და ლექსიკური შესიტყვებები, რაც დიდად შეუწყობს ხელს მთარგმნელს საჭირო ფრაზის გამართვაში, ვინაიდან სრულყოფილად თარგმნისათვის მხოლოდ ტერმინოლოგიის ცოდნა არ არის საკმარისი.

ნებისმიერ ორენოვანი ლექსიკონის მიზანია არა მხოლოდ სიტყვისა თუ ფრაზის სწორად თარგმნა, არამედ ენის (ამ შემთხვევაში ქართულის) ტერმინოლოგიის ნორმალიზაცია. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ინგლისური და ქართული სრულიად განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენებია და ისიც, რომ სანამ ქართულამდე მოაღწევდა, ამ ტერმინებმა სხვა შუალედური ენებიც გამოიარეს. ლექსიკოგრაფი აუცილებლად უნდა შეეცადოს, დაასახელოს ის ფორმა, რომელსაც ის მიიჩნევს მართებულად.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ ქართულ-ინგლისური მათემატიკური ლექსიკონი არა მარტო დიდ დახმარებას გაუწევს ზუსტ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დარგის სპეციალისტებს, არამედ, გარკვეულწილად, წაადგება ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის საქმესაც.

Alfiya Galieva
Tatarstan Academy of Sciences, Tatarstan
amgalieva@gmail.com

Olga Nevzorova
Tatarstan Academy of Sciences, Tatarstan
onevzoro@gmail.com

Dzhavdet Suleymanov
Tatarstan Academy of Sciences, Tatarstan
dvdt.slt@gmail.com

Keywords: bilingual thesaurus, concept, terminology, the Tatar language, socio-political vocabulary, lexical synonymy.

Tatar Socio-Political Terminology in a Bilingual Thesaurus

Introduction

Tatar belongs to the Turkic language family, and is regarded as the second language in Russia – according to its geographic distribution and number of speakers (Information materials, 2010). Since 1992, the Tatar language has the status of the official language of the Republic of Tatarstan alongside with the Russian language, which is protected by the Constitution of Tatarstan and the Law on the Language. The current requirement to use the Tatar language in the government and administration conditions the need to translate the official documents and information materials. In particular, the texts of laws of the Republic of Tatarstan and other regional legal acts are to be published both in Tatar and Russian; state authorities and institutions are to use both state languages. Therefore, building new lexicographic resources that contain present-day linguistic data related to the socio-political domain, fills the needs of Tatar society.

However, despite the official status, Tatar can be referred to the so called low-resource languages, because it has few lexicographic resour-

ces and lacks relevant description in the existing grammar books (being the latter a shared challenge in a large number of non-Indo-European languages).

Very few of the world's languages currently enjoy the latest achievements of modern NLP technologies such as text processing, information retrieval, or machine translation. Very few have managed to assemble the basic resources that are necessary for building advanced end-user technologies, among them monolingual and bilingual corpora, machine-readable dictionaries, thesauri, part-of-speech taggers, morphological analyzers, parsers (Scannell 2007). Building new lexicographic projects for low-resource languages is a task of current importance both of theoretical interest and in terms of its practical implementation. In many cases the main obstacle to it is the lack of parent resources, the lack of required volumes of lexical data of a language in an appropriate format, and the problem is more significant if the language under study is morphologically rich (Tachbelie, Abate, Besacier 2011; Doborjginidze, Lobzhanidze 2016).

Researchers follow three main paradigms to create resources for underresourced language: (1) using crowdsourcing to produce a small resource rapidly and relatively cheaply; (2) using existing gold-standard collections and machine translation tools to translate an existing gold-standard resource that is easy to create but of lower quality, with more "noise" and (3) using manual effort with appropriately skilled human participants to create a resource that is more expensive but of high quality (El-Haj, Kruschwitz, Fox 2015).

Developers of new wordnets often use the so called *Expand Model* (Vossen 1997; Vossen 2002) when available wordnets serve as a network of mapped linguistic relations between the items, and synsets of a source language are translated using bilingual dictionaries into equivalent synsets in the target language, wherein the level of automation of the process may be different. Most of the wordnets existing for today are created by translating the English Princetone WordNet (Miller 1995; Fellbaum 2010). The work on Turkish wordnet started with translating the base concepts of the EuroWordNet project (Bilgin, Çetinoğlu, Oflazer 2004).

We use the above mentioned *Expand* method to develop a bilingual Russian-Tatar Thesaurus, with the Tatar part built upon the concepts of the Russian RuThes thesaurus (http://www.labinform.ru/pub/ruthes/). The Thesaurus comprises lexical data related to the socio-political (Galieva, Nevzorova, Yakubova 2017) and the IT (Khakimov 2018) subject areas. This paper focuses on the main aspects of compiling the Socio-Political Thesaurus (Section 2), the current state of the project and the main results (Section 3), and discusses some crucial linguistic issues on representing some data in the Thesaurus (Section 4).

2. Methodology issues of compiling Thesaurus

The conceptual model of the Russian-Tatar Thesaurus and general principles of mapping linguistic data are borrowed from the Russian RuThes project (http://www.labinform.ru/pub/ruthes/). RuThes thesaurus is built as a hierarchical network of concepts with attributed lexical entries which name concepts in a language. The main units in RuThes are concepts – mental objects that designate classes of entities distinguished by human beings. In RuThes each concept is linked with a set of language expressions (nouns, adjectives, verbs or multiword expressions of different structures – noun phrases and verb phrases) which refer to this concept in texts (lexical entries). RuThes concepts have no internal structure as attributes (frame elements), so concept properties are described only by means of relations with other concepts (Loukachevitch 2011; Loukachevitch, Dobrov 2014). RuThes was developed as a resource for automatic text processing and is used as a corporate resource for conceptual information retrieval, automatic query expansion, automatic rubrication and annotation, and automatic clustering (Loukachevitch 2011; Loukachevitch, Dobrov 2015).

So Russian-Tatar bilingual Thesaurus maintains the basic conceptual structure of RuThes, nevertheless, structural modifications, demanded by Tatar language data, are admitted. This modification are related to adding single concepts on a branch, as well as the adding new thematic branches reflecting the specific features of the Tatar language and culture. As a result, each part of the Thesaurus – the Russian and Tatar ones – represents a unique language-internal system of lexicali-

zations. At the same time, the languages are interconnected, so it is possible to proceed from the concepts and lexical entries in one language to the corresponding items in the other.

The methodology of compiling the Tatar part of the thesaurus includes the following main steps:

1. Search for equivalents (corresponding words and multiword expressions) which are actually used in Tatar as a translations of the Russian items.

2. Adding new concepts which refer to the important issues in terms of the socio-political and cultural life of the Tatar society and which are not presented in the original RuThes (for example, Islam-related concepts, designations of Tatar culture specific phenomena).

3. Revising relations between the concepts, defining the place of each new concept in the hierarchy of the existing ones and, if necessary, adding new concepts of the intermediate level Galieva, Nevzorova, Yakubova 2017).

It is important to keep in mind that conceptual structures may vary from language to language. So an important step is to check up the parallelism of conceptual structures between the languages.

The compilation of the thesaurus is carried out by manual translation of terms from the Russian RuThes into Tatar. This translation encounters many hindrances, in particular, Russian-Tatar dictionaries are outdated in many respects and do not contain vocabulary designating present-day realities or offer obsolete translations (Galieva, Nevzorova, Yakubova 2017). Using machine translation, such as Yandex Translate (https://translate.yandex.com/) does not provide the required results either, because the available Russian-Tatar machine translation systems are trained on rather limited data.

Our goal is to detect and to fix the actually used Tatar socio-political terminology, so we browsed manually large arrays of official documents and media texts in Tatar to find the correct items. In many cases, searching manually for equivalents in the target Tatar language was a time-consuming task, and the use of data from the Tatar corpora was very helpful. We made use of:

1. “Tugan Tel” Tatar National Corpus (http://tugantel.tatar/?lang=en);

2. Socio-Political Subcorpus of Tatar National Corpus (http://tugantel.tatar/corpus/op/);

2. Corpus of Written Tatar (http://www.corpus.tatar/en).

The data gathered from these corpora allowed us to acquire reliable information on the frequency of use and the typical contextual environment of Tatar words and multiword expressions denoting the socio-political realities, which, in turn, allowed to check the meanings of lexical items and to determine their place in the hierarchy of concepts. So, using corpus data became a necessary stage for collecting lexical data as well as disclosing semantic relations between terms. We also used corpus data as empirical material to study current processes and trends in Tatar socio-political vocabulary (to trace out ways of translating the Russian terms, to find new loanwords and semantic calques, to examine synonymy of terms, etc.), and this information became a reliable guideline to suggest our translation variants of terms in cases when Tatar variants of term were not found in any source.

The project of building the Russian-Tatar Thesaurus is aimed at compiling the whole body of modern Tatar socio-political vocabulary in real use, therefore, we pay much attention to working on arrays of Tatar texts. Currently the Thesaurus covers the vocabulary related to state government, economy, social life, justice, warfare, culture, religion, sports and some other basic topics. It also comprises some general lexicon branches representing lexical items which can be found in a large number of various texts, regardless of their subject area.

The Thesaurus system is implemented as a web application (http://tattez.turklang.tatar/) and has an open and a closed part. Functionality of the open part includes search for and navigation on concepts and lexical entries. An authorized editor is provided with the options of adding, editing and removing concepts and lexical entries, for comparing the conceptual structures of the languages, and reestablishing relations between concepts.

3. Main results

Currently, the Thesaurus contains 10,000 concepts, and 6,000 of them are provided with lexical entries. The design of the Tatar component of the Thesaurus preserves the basic structure of the RuThez thesaurus, and the Tatar component overlies the list of original RuThez concepts.

Some individual concepts may link to numerous lexical entries. For example, Table 1 represents the concept PUBLIC SYSTEM in the Russian and Tatar parts of the Thesaurus, and the lexical entries of both parts are linguistic items designating the social (public) structure. Hereinafter we use uppercase to represent concept names and the lowercase to represent lexical entries of concepts.

Table 1. PUBLIC SYSTEM concept in the Russian-Tatar thesa-urus.

Concept name in Russian	*Lexical entries in Russian*	*Concept name in Tatar*	*Lexical entries in Tatar*
ОБЩЕСТВЕННАЯ СИСТЕМА	общественный строй, общественно-политическая система, общественное устройство, общественная система, социальный строй, общественно-политический строй, общественно-по-литическое устройство, социально-политическое устройство, социально-политический строй, политико-экономическая система, общественно-экономическое устройство, общественно-экономическая система, социально-экономическая система, социально-экономическое устройство, социально-экономический строй,	ИҖТИМАГЫЙ СИСТЕМА	иҗтимагый строй, җәмгыять строе, социаль строй, иҗтимагый-сәяси система, иҗтимагый-политик система, җәмгыять корылышы, җәмгыять төзелеше, иҗтимагый система, җәмгыять системасы, иҗтимагый-сәяси строй, иҗтимагый-сәяси корылыш, социаль-сәяси төзелеш, социаль-сәяси строй, иҗтимагый-икътисади система, социаль-экономик система, социаль-икътисади система, иҗтимагый-политик система, җәмгыять бәйләнешләре системасы, иҗтимагый бәйләнешләр системасы

	общественно-экономический строй, система общественных отношений, строй		

Table 2 contains brief information on concepts and lexical entries of the Russian and Tatar parts of the thesaurus. It only considers the concepts of the socio-political area (items of general lexicon are removed).

Table 2. Quantitative characteristics of basic thesaurus units.

Basic quantitative characteristics	*Russian*	*Tatar*
Number of concepts in the sample	5,830	5,830
Average number of lexical entries per concept	4.61	3.70
Average length of a lexical entry, in words	1.79	2.23

A larger number of lexical entries per concepts in the Russian part of the Thesaurus is mainly due to the peculiarities of the Russian grammar and word formation system which lead to the existence of more surface realizations of concepts (see the next section). The larger average length of Tatar lexical entries may be explained rather by the direction of translating (as we translate Russian lexical items into Tatar and not vice versa, in many cases we use elements of explanatory translation) than by proper linguistic reasons.

Table 3 represents the distribution of the most frequent Tatar word forms used in concept names and lexical entries; functional words are excluded from the sample. The data are given without lemmatization of items (so the variety of word forms is not considered, and the most frequently used word forms only are represented). As a matter of fact

the data in Table 3 outline the main thematic blocks of the Tatar socio-political lexicon reflected in the Thesaurus.

Table 3. The most frequent wordforms used in Tatar Thesaurus

Word form	*Part of speech*	*English translation*	*Number in concept names*	*Number in lexical entries*
дәүләт	N	state, country, nation	130	235
хәрби	ADJ	military, martial	105	131
хезмәт	N	labor, work, duty	95	166
эш	N	work, job	68	157
суд	N	court of law	58	153
җинаять	N	crime	55	129
медицина	N	medicine	55	134
чыгару	V	to produce, to issue, to publish	52	101
уку	V	to study, to learn	50	101
кеше	N	man, human being	48	143
финанс	N, ADJ	finance, financial	48	28
саклау	V	to guard, to care, to protect	47	70
хокук	N	law, right	47	92
сәяси	ADJ	political	46	100
социаль	ADJ	social	46	139
органы	N, Poss_3	organ	45	105
федераль	ADJ	federal	45	69
хезмәте	N, POSS_3	labor, work, duty	44	85
сәүдә	N	commerce, trade	43	73
халык	N	people	40	101
акча	N	money	39	32
иҗтимагый	N	social, public	39	108
халыкара	ADJ	international	39	49
	ADJ			

The quantitative distribution of 100 most frequent word forms is presented in Figure 1 as a word cloud; in this case, functional words, including auxiliary verbs and participles, were kept in the sample, so data differ from Table 3.

Figure 1. The most frequently used word forms among lexical entries.

More detailed discussion on some discrepancies between the Russian and the Tatar languages in terms of cross-linguistic mapping of vocabulary, and some features of the present-day Tatar socio-political terminology is given in the section below.

4. Discussion

In this section we focus on main linguistic issues concerning representing data in the Thesaurus and language interaction.

4.1. Fixing ontological synonyms.

The importance of the issue of semantic equivalence of cross-linguistic synonyms for various aspects of general linguistics, lexicological, and lexicographic research and related activities is on the focus of researchers (Margalitadze, Meladze 2016).

The RuThes thesaurus framework is based on compiling the so called ontological synonyms, which enables to designate linguistic items denoting concepts regardless of their surface realization. Such an approach allows us to embrace within the same concept words of different parts of speech (like the noun *stabilization,* the verb *to stabilize, the* participle *stabilized,* etc.) (Loukachevich, Dobrov 2014).

The advantage of this approach is easy to show on the example of relative adjectives. Relative adjectives name attributes by designating their relation to the subject, action or to another attribute, and in

Russian relative adjectives make up the bulk and the constantly replenished class of adjectives (Shvedova 1980: 539). In Tatar, like in other Turkic languages, relative adjectives are loan words that were borrowed from different languages (Russian, Arabic, Persian, etc.), and many Russian adjectives in the Tatar language have no equivalents of the same part of speech. In RuThes, as a rule, Russian nouns and their adjectival derivatives occur as lexical entries of the same concept, while Tatar concepts may or not include include relative adjectives, depending on their existence. Table 4 illustrates this approach with examples of some Russian and Tatar concepts and lexical entries, where Russian concepts are instantiated by nouns and adjectives, whereas Tatar concepts are instantiated by nouns only.

Table 4. Arrangement of Russian and Tatar concepts: representing relative adjectives

Basic lexical entries of Russian concepts	*Part of speech of Russian words*	*Basic lexical entries of Tatar concepts*	*Part of speech of Tatar words*
факультет 'faculty' факультетский 'of faculty'	N ADJ	факультет 'faculty'	N
преподаватель 'teacher, instructor' преподавательский 'of teacher, of instructor'	N ADJ	укытучы 'teacher, instructor'	N
больница 'hospital' больничный 'of hospital'	N ADJ	хастаханә 'hospital' сырхауханә 'hospital'	N

Lack of relative adjectives in Tatar influences the creation of multiword terms. In particular, in many cases Russian *adjective + noun* two-component terms correspond to *noun + noun* phrases in Tatar, and

the grammatical pattern of such items may be different. For example, Table 5 represents basic ways of translating Russian *adjective + noun* phrases into Tatar.

Table 5. Examples of Russian *adjective + noun* phrases and ways of translating them into Tatar.

Russian unit	*Corresponding Tatar unit*	*The structure of the Tatar unit*	*English translation*
государственный контракт	дәүләт контракты	N + N, POSS_3	'government contract'
детский сад	балалар бакчасы	N, PL + N, POSS_3	'kindergarten'
авторское право	авторлык хокукы	N, NMLZ +N, POSS_3	'copyright'
сексуальное меньшинство	сексуаль азчылык	ADJ + N	'sexual minority'
именная стипендия	исемле стипендия	N, COMIT + N, PL	'nominal scholarship'

Presence of feminine correlates of the terms denoting persons in Russian also increases the amount of lexical entries in the Russian part of the Thesaurus (see examples in Table 6). In Russian, such feminine variants are formed by means of special suffixes and may be produced from words denoting job titles, positions, lifestyle, human features, etc. In Tatar such gender marking suffixes are absent, very few loanwords have feminine correlates, and gender marking may be expressed in texts explicitly by means of words denoting women or girls.

Table 6. Arrangement of Russian and Tatar concepts: representing feminine correlates of person names

Basic lexical entries of Russian concepts	*Part of speech of Russian words*	*Basic lexical entries of Tatar concepts*	*Part of speech of Tatar words*
капиталист 'capitalist'	N	капиталист 'capitalist'	N
капиталистка 'woman capitalist'	N, F		
стажер 'trainee'	N	стажер 'trainee'	N
стажерка 'woman trainee	N, F		
пенсионер 'pensioner'	N	пенсионер 'pensioner'	N
пенсионерка 'woman pensioner'	N, F		

поэт 'poet' поэтесса 'poetess'	N N, F	шагыйрь 'poet' шагыйрә 'poetess'	N N, F
Лжец 'liar' лгунья 'woman liar'	N N, F	ялганчы 'liar'	N N

So, ontological synonyms are the most appropriate means to represent cross-linguistic equivalents (correspondences) in the Socio-Political Thesaurus, because such approach allows us to join units of the same meaning disregarding surface grammatical and gender differences between them.

4.2. Synonymy in Tatar socio-political vocabulary

When working on the project, we discovered that distinguishing feature of the contemporary Tatar lexicon is the presence of absolute synonyms of different origin in and structure, which is mainly caused by language contacts. In the Soviet era many words denoting socio-political realities were borrowed from Russian and European languages (as a rule, via Russian) or were coined by component-by-component translation of Russian items. The movement for the revival of the Tatar language since late 80s led to active language renewal, which caused crowding out of Russian and European words and enriching the Tatar vocabulary with many items of Tatar and Oriental (Arabic and Persian) origin. Many Arabic and Persian words and their derivatives that were considered as obsolescent in the Soviet period (and marked correspondingly in the dictionaries of the time) were entered into the active vocabulary fund. Thus in the modern Tatar, words of different roots (Turkic, Russian, Arabic, Persian, Greek, Latin, and English) denoting the same referent are competing. Selection of homosemous words is not completed yet, and the concurrence brought dissimilar results for different lexemes (Galieva, Nevzorova, Yakubova 2017; Galieva 2018).

Most of the synonyms appear when Russian items are translated into Tatar, and we gather all of them, even if only a single variant of the term is represented in Russian (Table 7).

Table 7. TECHNICAL REGULATION concept in the Russian-Tatar thesaurus.

Concept name in Russian	*Lexical entries in Russian*	*Concept name in Tatar*	*Lexical entries in Tatar*
ТЕХНИЧЕСКОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ	техническое регулирование	ТЕХНИК КӨЙЛӘҮ	техник көйләү, техник җайлау, техник яктан җайга салу, техник җайга салу, техник яктан тәртипкә салу

The presence of many variants for translating the item represented in Table 7 is due to the absence of the direct equivalent of the Russian word *регулировать* 'to regulate' in the Tatar language. Another reason is the abundance of equivalents; for example, in Tatar there are two words denoting court of law: the Russian loanword *суд* 'court of law' and the Arabic one *мәхкәмә* 'court of law'. So, synonymous items, especially compound ones, may be of different composition and structure. For example, Table 8 represents the lexical entries of the concept CONSTITUTIONAL COURT in the Tatar part of the thesaurus, where it becomes clear that a Russian item has at least four Tatar translation variants (and corpus data evidences that all of them are in actual use).

Table 8. Tatar lexical entries of the CONSTITUTIONAL COURT concept in the Thesaurus

Items denoting CONSTIT-UTIONAL COURT	*Structure of the item*	*Number in Corpus of Written Tatar*	*Number in Tatar National Corpus*	*Number in Socio-Political Subcorpus*
Конституция суды	N + N, POSS_3	1675	119	436
Конституцион суд	ADV + N	364	66	6
Конституция мәхкәмәсе	N + N, POSS_3	517	126	5
Конституцион мәхкәмә	ADV + N	73	19	1

Unlike the Russian-Tatar dictionaries, which offer, as a rule, one variant only of translating the term (and often the latter is not the most frequently used, according to corpus data, if any dictionaries contain a needed term at all), the Thesaurus gives sets of synonymous items that we managed to compile from dictionaries, corpora and official texts, etc. So a user can make his/her own choice in favor of an item.

In general, one can conclude that synonymy in Tatar socio-political vocabulary has diverse dimensions and it should be examined in special works. Concepts in the bilingual Thesaurus contain synonymous items of different origin and structure, and this phenomenon speaks for the unstable language usage rather than the richness of the Tatar language.

4.3. Influence of the Russian language

Data of the bilingual thesaurus provide us with reliable linguistic data which makes it possible to examine correspondences between the languages as well as to study current processes in Tatar vocabulary in terms of structure and content. Currently the Tatar language is greatly influenced by Russian, and this influence extends to vocabulary (loan-words, loan translation, partial calques, etc.) and grammar (for example, choosing the so called izafe constructions or adjective + noun constructions, verb control options). The Thesaurus provides us with information on borrowed vocabulary, and allows to make its quantitative evaluation. Table 9 represents the number of borrowings from Russian in the Tatar socio-political (data on concept names only is used).

Table 9. Loanwords and partial calques in Thesaurus.

Loanwords and partial calques	*Number in the sample*	*Examples*		
		Russian item	*Tatar item*	*Translation*
Loanwords	769	банк доцент	банк доцент	'bank' 'assistant professor'
Partial calques	1120	сотрудник банка кодекс законов	банк хезмәткәре законнар кодексы	'bank employee' 'code of laws'
Number in the sample	5830			

So the Thesaurus data enables us to trace main features and actual trends in Tatar socio-political vocabulary. The Republic of Tatarstan is a multinational region of the Russian Federation, and language contacts, especially the influence of the dominant Russian language, is not to be underestimated. The Russian language maintains in Tatarstan its higher social position and has a significant impact on the current state and development trends of the lexical-semantic system of the Tatar language. Bilingual Socio-Political Thesaurus provides a user with translation equivalents (correspondences) of Russian terms, and in many cases, the user has a choice of which variant of the term to prefer.

Conclusion

The Russian-Tatar Socio-Political Thesaurus is a wordnet-like lexical resource, with a hierarchical structure based on concepts and lexical entries. Unlike a wordnet, concepts in the Thesaurus embrace ontological synonyms regardless of their part of speech characteristics.

We consider the value of the Socio-Political Thesaurus is bidimensional: (1) from the practical viewpoint, as a lexicographic resource that contains relevant data on basic domains of the present-day social life; (2) as a collection of arranged lexical data for further research of actual processes in Tatar vocabulary and language interaction.

The addressees of the bilingual Socio-Political Thesaurus are government and public figures, administrative officers, journalists, Tatar language teachers, students, etc. This resource also may be used to improve Russian-Tatar machine translation systems and in Tatar texts processing for various purposes.

Future plans embrace expanding the volume of the Thesaurus, including new subject areas, as well as adding newly found lexical entries to available concepts and, if necessary, revising relations between concepts.

Abbreviations

ADJ – adjective, COMIT – comitative, F – feminine, N – noun, NMLZ – nominalizer, PL – plural, POSS_3 – possessive, 3d person, SG – singular, V – verb.

References

Bilgin, O., Çetinoğlu, Ö., Oflazer, K. 2004 - 'Building a wordnet for Turkish'. Romanian Journal of Information Science and Technology, 7(1-2), 163-172.

Corpus of Written Tatar - URL: http:/corpus.tatar/.

Doborjginidze, N., Lobzhanidze, I. 2016 - Corpus of the Georgian language. In Margalitadze T., Meladze G. (eds.). *Proceedings of the XVII EURALEX International Congress: Lexicography and Linguistic Diversity*. 6 – 10 September, 2016 — Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 328 – 334.

El-Haj, M., Kruschwitz, U., Fox, C. 2015 - 'Creating language resources for under-resourced languages: methodologies, and experiments with Arabic'. *Language Resources and Evaluation*, 49(3), 549-580.

http://eprints.lancs.ac.uk/71289/1/ELHAJ_LREV.pdf

Fellbaum, C. 2010 - 'Wordnet'. In *Theory and applications of ontology: computer applications*. Springer, 231–243.

Galieva, A. 2018 - 'Synonymy in Modern Tatar Reflected by the Tatar-Russian Socio-Political Thesaurus'. In: Čibej J., Gorjanc V., Kosem I., Krek S. (eds.) Proceedings of the XVIII EURALEX International Congress: Lexicography in Global Contexts. Ljubljana, 585 — 994.

Galieva, A., Nevzorova, O., Yakubova, D. 2017 - 'Russian-Tatar Socio-Political Thesaurus: Methodology, Challenges, the Status of the Project'. In: Angelova, G. et al. (eds). *International Conference Recent Advances in Natural Language Processin*g, Varn, 245 - 252.

Information materials on the final results of the 2010 All-Russian Population Census - (2010) [Informatsionnye materialy ob okoncha-tel'nyh itogah Vserossijskoj perepisi naseleniya 2010 goda]. URL:

http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010/perepis_itogi1612.htm.

Khakimov, B.E. 2018 - 'The Experience of Thesaurus Modeling of Tatar Information Technologies Terminology' [Opyt tezaurusnogo modelirovaniya tatarskoy terminologii informatsionnyih tehnologiy]. *Kazanskaya nauka*, 11, 193-198.

Loukachevitch, N. 2011 - Thesauri in information retrieval problems [Tezaurusy v zadachakh informatsionnogo poiska]. Moscow: Moscow State University Press.

Loukachevitch, N., Dobrov, B. 2014 - 'RuThes Linguistic Ontology vs. Russian Wordnets'. In: *Proceedings of the Seventh Global Wordnet Conference.* Tartu: University of Tartu Press, 154-162.

Loukachevitch, N., Dobrov B. 2015 - 'The Socio-Political Thesaurus as a Resource for Automatic Document Processing in Russian'. *Terminology*, vol. 21(2), 237-262.

Margalitadze, T., Meladze, G. 2016 - 'Importance of the Issue of Partial Equivalence for Bilingual Lexicography and Language Teaching'. In: Margalitadze T., Meladze G. (eds.) Proceedings of the XVII EURALEX International Congress: Lexicography and Linguistic Diversity. 6 – 10 September, 2016 — Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2016, 787-797.

Miller, G. A. 1995 - 'Wordnet: a Lexical Database for English'. *Communications of the ACM*, 38(11):39–41.

Russian-Tatar Socio-Political Thesaurus. URL: http://tattez.turklang.tatar/

Scannell, K. P. 2007 - 'The Crúbadán Project: Corpus Building for Under-resourced Languages'. In *Building and Exploring Web Corpora: Proceedings of the 3rd Web as Corpus Workshop*, Vol. 4, pp. 5-15.

Shvedova, N. Yu. (ed.) 1980 - Russian Grammar [Russkaya grammatika], V. 1. Moskow: Nauka.

Socio-Political Subcorpus of Tatar National Corpus/ URL: http://tugantel.tatar/corpus/op/.

Tachbelie, M. Y., Abate, S. T., Besacier, L. 2011 - 'Part-of-Speech Tagging for Underresourced and Morphologically Rich Languages—the

Case of Amharic'. In *Conference on Human Language Technology for Development, Alexandria, Egypt, 2-5 May*, 50-55.

Tatar National Corpus - http://tugantel.tatar/?lang=en

Vossen, P. 1997 - 'Eurowordnet: a Multilingual Database for Information Retrieval'. In: *Proceedings of the DELOS workshop on Cross-language Information Retrieval*, 5–7.

Vossen, P. 2002 - EuroWordNet: General Document. URL: http://vossen.info/docs/2002/EWNGeneral.pdf.

Yandex Translate - URL: https://translate.yandex.com/.

ალფია გალიევა
თათრეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, თათრეთის რესპუბლიკა
amgalieva@gmail.com

ოლგა ნევზოროვა
თათრეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, თათრეთის რესპუბლიკა
onevzoro@gmail.com

ჯავდეთ სულეიმანოვი
თათრეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, თათრეთის რესპუბლიკა
dvdt.slt@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ორენოვანი თეზაურუსი, ცნება, ტერმინოლოგია, სოციო-პოლიტიკური ლექსიკა, ლექსიკური სინონიმია.

თათრული ტერმინოლოგიის დადგენა სოციოპოლიტიკურ თეზაურუსში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია რუსულ-თათრული სოციოპოლიტიკური თეზაურუსის (http://tattez.antat.ru/) შედგენის ძირითად მეთოდოლოგია. აღნიშნული თეზაურუსი იქმნება რუსული რუტესის თეზაურუსის ფორმატის საფუძველზე (http://www.labinform.ru/pub/ruthes/index.htm). პროექტის მიზანია, შეავსოს სოციოპოლიტიკურ სფეროებთან დაკავშირებული თანამედროვე თათრული ლექსიკა, რომელიც შეეხება შემდეგ სფეროებს: სახელმწიფო მმართველობას,

ეკონომიკას, სოციალურ ცხოვრებას, მართლმსაჯულებას, საომარ მოქმედებებს, კულტურასა და რელიგიას. თათრული თეზაურუსი მოიცავს ზოგიერთ ისეთ ლექსიკურ ერთეულს, რომელიც შეიძლება ხშირად დადასტურდეს სხვადასხვა დარგობრივ ტექსტშიც. თითოეული ცნება უკავშირდება და ტექსტშივე მიემართება (ლექსიკურ ჩანაწერს) ენობრივ გამოთქმათა გარკვეულ ჯგუფს (ერთსიტყვიან და რამდენიმესიტყვიან გამონათქვამს). თეზაურუსის თათრული ნაწილი ეფუძნება რუტესის ცნებათა ნუსხას, შესაბამისად, შენარჩუნებულია რუტესის ძირითადი აგებულება.

თათრული თეზაურუსი ეყრდნობა შემდეგი კორპუსებს:

1. თათართა ეროვნული კორპუსი (http://tugantel.tatar/?lang=en);

2. სამწერლობო თათრული ენის კორპუსი (http://www.corpus.tatar/en).

სტატიაში ასევე განხილულია თათრული ენის ტერმინოლოგიური პრობლემები და რუსული და თათრული ენების იმ სემანტიკურ მიმართებათა შორის განსხვავება, რომლის გამოყენებითაც იქმნება ტერმინები.

პროექტზე მუშაობის მთავარი ამოცანაა ლექსიკური მონაცემების მოპოვება და თათრულ ენაში არსებული სოციოპოლიტიკური ლექსიკის შეძლებისდაგვარად სრულად წარმოდგენა, მათ შორის – მოჭარბებული სინონიმებისაც. ვინაიდან თათრული კულტურა დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების გზაგასაყარზეა, ენაში ხშირია ლექსიკური ნასესხობანი როგორც არაბულ-მუსლიმანური, ისე ევროპული კულტურებიდან. ევროპული ენებიდან ნასესხები სიტყვები თათრულში მკვიდრდება შუამავალი ენის – რუსულის – მეშვეობით, სწორედ რუსულიდან სესხულობს თათრული ენა ბევრ სიტყვასა თუ კონსტრუქციას. გარდა ამისა, სინონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი თურქული და თათრული ლექსიკური მასალის საფუძველზეა შექმნილი. სწორედ ამიტომ თანამედროვე თათრულ ენაში სხვადასხვა წარმო-მავლობის სინონიმებია (თურქული, რუსული, არაბული, სპარსული, ბერძნული, ლათინური და ინგლისური), რომლებიც მდიდარ ლექსიკურ მასალას ქმნის. დაბოლოს, თათრული ენის გრამატიკული სისტემა საშუალებას იძლევა ტერმინები სიტყვაწარმოებითი თუ სინტაქსური სტრუქტურის საშუალებით შეიქმნას. შედეგად, სოციოპოლიტიკურ ტერმინებს აქვთ სხვადასხვა ლექსიკური შედგენილობისა და სტრუქტურის მქონე სინონიმები, რომლებიც უკლებლივ უნდა აისახოს თათრულ თეზაურუსში.

ამჟამად რუსულ-თათრული სოციოპოლიტიკური თეზაურუსი მოიცავს 9000 ცნებას და მუდმივად ივსება აღნიშნული პროექტისათვის საგანგებოდ შექმნილი პროგრამული საშუალებებით[1].

[1] აღნიშნული კვლევა ფინანსურად უზრუნველყო რუსეთის სამეცნიერო ფონდმა, კვლევითი პროექტი № 16-18-02074.

ლინდა გიორგაძე
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
lindagiorgadze@yahoo.com

ლალი ხუჭუა
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
lakhuchu@gmail.com

საკვანძო სიტყვები: საეკლესიო ტერმინოლოგია, საეკლესიო ნივთები, ტერმინები: ავგაროზი, ფეშხუმი.

საეკლესიო ნივთთა აღმნიშვნელი ტერმინების ისტორიისათვის

საეკლესიო ტერმინოლოგიის კვლევის აუცილებლობის საკითხი დიდი ხანია დგას ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს საეკლესიო ტერმინთა სრულფასოვანი თარგმნითი ლექსიკონის შედგენა, საჭირო და აუცილებელია პრობლემური ტერმინების სამეცნიერო თვალსაზრისით კვლევა, მათი წარმომავლობის, განვითარების ეტაპებისა და ქართულში დამკვიდრების ისტორიის დადგენა. მცირე კვლევით შევეცდებით, ამ თვალსაზრისით განვსაზღვროთ ორი ტერმინის ადგილი ქართულ საეკლესიო ტერმინთა შორის.

1. ტერმინი *ავგაროზი.*

ავგაროზი მცირე სანაწილე ან გრაგნილია, რომელშიც მოთავსებულია სხვადასხვა სიწმინდენი (ლოცვანი, ხატები...), მათი სულიერ მტერთაგან და ავადმყოფობისაგან დასაცავად. მის შესატყვისად რუსულში გვაქვს სიტყვა *Амулет.* ქართული სახელწოდება მომდინარეობს IV საუკუნის ბერძნული აპოკრიფიდან ედესის მთავარი ავგაროზის შესახებ, რომელიც მაცხოვრის ხატმა განკურნა სასწაულებრივად. არსებობს ამ აპოკრიფის ქართული თარგმანიც. რაც შეეხება სიტყვას *а*мулет – იგი ლათინური წარმოშობისაა და მომდინარეობს amuletum სიტყვიდან. თავის მხრივ, ეს ლექსემა არაბული homala-დან („ტარება“) წარმოსდგება (ლექსიკონი 1910). amuletum XVI საუკუნის ბოლოსთვის amulet ფორმით დამკვიდრებულა (ეტიმოლოგიური ლექსიკო-

ნი) და, როგორც ჩანს, რუსულშიც XVI საუკუნის შემდეგ იკიდებს ფეხს.

Амулет ტერმინის ქართულ შესატყვისად მსგავსი ჟღერადობის სიტყვა *ამულეტი* მხოლოდ საბჭოთა პერიოდის ლექსიკონებში დასტურდება: რუსულ-ქართულ ერთტომეულ, ასევე – სამტომეულ ლექსიკონებში ვკითხულობთ: *„Амулет – ავგაროზი, ამულეტი“.* რაც შეეხება XIX საუკუნის ლექსიკოგრაფებს – ნიკო და დავით ჩუბინაშვილებს – ისინი ამ შესატყვისს არ იცნობენ. ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში საერთოდ არაა შეტანილი სიტყვა Амулет.

ავგაროზის სინონიმად ქართულში *ამულეტის* დამკვიდრება, ვფიქრობთ, რუსული ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში ვკითხულობთ: *„ავგაროზი, გაზმანდი*, амулет. *თამარ გტ.“* (ჩუბინაშვილი 1984); როგორც მოსალოდნელი იყო, არც აქ გვაქვს ქართულ შესატყვისად *ამულეტი*, თუმცა ავგაროზის შესატყვისად *გაზმანდი* იჩენს თავს, რაც „თილისმით შელოცვა დაწერილი“ ყოფილა. *გაზმანდი* ქართული წარმოშობის სიტყვა არ არის. მისი შემოსვლის საკითხი საკვლევია, თუმცა ვფიქრობთ, შესაძლოა *სომხურის* გზით დამკვიდრებულიყო ქართულში. ამას გვაფიქრებინებს ამავე ფუძით ქართულში შემოსული კიდევ ერთი სიტყვა: *გაზმაკი – лампада* (ქრისტიანულ ეკლესიაში ყოველგვარი სანათი, ლამპრის საერთო სახელწოდება, რომლის საწვავად ზეთი იხმარება). ტერმინი დასტურდება დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში. ლექსიკოგრაფი პარალელურად მიუთითებს *„გაზმა“* ფონეტიკურ ვარიანტს, ასევე სიტყვის *სომხურ* წარმომავლობას შენიშნავს.

აქ რამდენიმე ყურადსაღები შემთხვევა გვახსენდება. კერძოდ, *დროშა<დროშაკი, დანა<დანაკი, სტავრა<სტავრაკი* – თავისებურად ბრუნებადი ხმოვანფუძიანი სახელების შემთხვევები ძველ ქართულში (ციხელაშვილი 2017). სამივე ლექსემა ირანული ჯგუფის ენებიდანაა ნასესხები. *დროშა<დროშაკი, სტავრა<სტავრაკი* ნასესხებია საშუალი სპარსულიდან, ხოლო *დანა<დანაკი* – პართულიდან. ძველ ქართულში ორივე გვაქვს: *დანა//დანაკი.* დროშაკი და სტავრაკი – არ გვაქვს, მაგრამ სომხურში დასტურდება დროშაკი ფორმა (ციხელაშვილი 2017). შესაძლოა, *გაზმა<გაზმაკი* სწორედ ამ ჯგუფის სიტყვებს მიეკუთვნებოდეს და სპარსული წარმოშობის სიტყვა ქართულში სომხურის გზით დამკვიდრებულიყო. ამით აიხსნებოდა ისიც, თუ რატომ მიუთითებს დავით ჩუბინაშვილი *გაზმას* სომხურ წარმომავლობაზე.

ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ მომენტზე. სპარსულში არის სიტყვა *„ბაზდარ“* (بازدار), რაც ნიშნავს რაღაცის შემკავებელს, ასევე თანმხლებს. აღნიშნული მნიშვნელობა ძალიან ჰგავს ავგაროზის, ბაზმანდის დანიშნულებას: ადამიანის „თანმხლები“ ნივთი, რომელიც ბოროტ ძალას „აკავებს“, მისგან იცავს მფლობელს. ფუძის მსგავსებაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, *ბაზმანდი* ამ სიტყვიდან მომდინარეობდეს. ეს მოსაზრება მხოლოდ ჰიპოთეზაა და მომავალში საფუძვლიან კვლევას საჭიროებს.

ტერმინ *ავგაროზისათვის* შესატყვისის დაძებნისას წავაწყდით კიდევ ერთ რუსულ ტერმინს, რომელსაც ინგლისურად *amulet* შეესაბამება: *Ладанка* – მცირე ზომის ტომსიკა, პარკი, რომელშიც იდება საკმეველი და ქრისტიანები კისერზე ჩამოკიდებულს ატარებენ ჯვართან ერთად. მისი დანიშნულებაა (ისევე, როგორც ავგაროზისა) ბოროტი ძალისაგან ადამიანის დაცვა. დღეს ამ სიტყვით მოიხსენიებენ მცირე ზომის, კეთილშობილი მეტალისგან დამზადებულ, მედალიონის ტიპის გულსაკიდებს, რომლებშიც მოთავსებულია რამე წმინდა ნაწილი, მცირე ქაღალდზე დაწერილი ლოცვა... ამგვარი გულსაკიდები წმინდანთა გამოსახულებებითაა შემკული. ეს აღწერილობა ახლოსაა ქართული *ავგაროზის* დანიშნულებასთან. ანუ, ტერმინი *ладанка* რელიგიური დანიშნულების მქონე, ქართული ტერმინი *ავგაროზის* რუსულ შესატყვისია.

სიტყვის *Ладанка* ქართულ შესატყვისად *ავგაროზი* მხოლოდ საბჭოთა პერიოდის ერთტომეულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში გვხვდება (ლექსიკონი 1983). მოცემულია მხოლოდ ქართული შესატყვისი, არ გვაქვს საილუსტრაციო მასალა. XIX საუკუნის ლექსიკოგრაფებთან ეს ორი სიტყვა ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული.

დავით ჩუბინაშვილთან, როგორც აღვნიშნეთ, ავგაროზის რუსულ შესატყვისად ტერმინი *амулет* გვაქვს, *ладанка* კი სინონიმად არ არის მოხმობილი.

რაც შეეხება ნიკო ჩუბინაშვილს, რუსულ-ქართულ ლექსიკონში გვაქვს აღნიშნული ლექსემის ფონეტიკური სახესხვაობა – *ладонка*. ამ ფონეტიკურ სხვაობას რუსულში იწვევს პარალელური გამოყენება სიტყვებისა *Ладан – Ладон* („საკმეველი“). ნიკო ჩუბინაშვილი წერს:

„*Ладонка* – საკმელი, რომელსაც *მდაბიონი* ჩასდებდნენ პატარა პარკში და დააკერებდნენ *ყრმათა*“ (ჩუბინაშვილი 1971). ავტორი ამ სიტყვას მხოლოდ აღწერითად გვითარგმნის. საინტერესოა, რატომ უვლის გვერდს ლექსიკოგრაფი ქართულ შესატყვისად სიტყვა *ავგა-*

როზის მოხმობას; ეს ქართული სიტყვა და მისი დანიშნულება მისთვის უთუოდ ნაცნობი უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა ისიც, რომ სიტყვის აღწერისას ნიკო ჩუბინაშვილი ხაზს უსვამს, რომ *მდაბიონი* იყენებდნენ ამ გულსაკიდს და ისიც *ყრმათათვისო*. უცნობია, საიდან იღებს სათავეს ამგვარი განმარტება, რადგან რუსულ წყაროებში სიტყვა *ладанка*-ს განმარტებისას ასეთ კონკრეტულ, „საყრმო“ დანიშნულებაზე მითითებას ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

ვფიქრობთ, ზემოხსენებულ შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელობის შევიწროვებასთან გვქონდეს საქმე. კერძოდ: გარკვეულ ისტორიულ კონტექსტში, ჩუბინაშვილების მოღვაწეობის პერიოდში, ალბათ, *ავგაროზი* და *ладонка* მსგავს, მაგრამ მაინც განსხვავებულ ცნებებად გაიაზრებოდა... აქ სწორედ ისტორიული ვითარება უნდა ვიკვლიოთ: როდის ან რატომ იქცა აღნიშნული ნივთი მხოლოდ ყრმათა და დაბალი კლასისათვის განკუთვნილი? თუმცა ამჯერად ჩვენი კვლევის მიზანს ეს არ წარმოადგენს, ამ საკითხს მომავალში მივუბრუნდებით.

დასკვნისათვის ვიტყვით, რომ საეკლესიო ტერმინთა თარგმნით ლექსიკონში ქართულ-რუსულ-ინგლისურ შესატყვისებად უნდა ვიგულისხმოთ შემდეგი სიტყვები: *ავგაროზი* (სინონიმები: ბაზმანდი, ამულეტი) – *ладанка* (სინონიმები: ладонка, амулет) – *amulet*.

2. ტერმინი *ფეშხუმი.*

ძველ ქართულში გვაქვს *ფეშხუმის* ფონეტიკური ვარიანტები: *ფეშხუენ-ი, ფეშხუემ-ი.* ილია აბულაძე მიუთითებს სინონიმს – *„ლანკლა“*, და განმარტავს: „საზიარებელი ჭურჭელი ბარძიმთან ერთად, *დისკო*“ (აბულაძე 1973).

რუსულში *ფეშხუმის* შესატყვისია *Дискос, Тарель богослужебная“* (სამაგიდო წიგნი 1977). თუმცა, თავს იჩენს საყურადღებო დეტალი: რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ გამოცემულ სამღვდლო სამაგიდო წიგნში მოცემული ილუსტრაციის მიხედვით, *Дискос* – ეწოდება ფეშხუმის იმ ნაწილს, რომელსაც დისკოს, ლანგრის ფორმა აქვს, ხოლო ლანგარსა (დისკოსს) და სადგამს ერთად – *Тарель богослужебная*.

ნიკო ჩუბინაშვილის ორტომეულ ქართულ-რუსულ ლექსიკონში დადასტურებულია ტერმინის ფონეტიკური სახესხვაობა *Диескос,* მისი წარმომავლობა (ბერძნული) და ქართული შესატყვისი (ჩუბინაშვილი 1971). იგივე ვითარებაა დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანციცულ ლექსიკონშიც (ლექსიკონი 1840), თუმცა, ამ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომში ავტორი ტერმინის ბერძნულ შესატყვისსაც

გვაწვდის. დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში დასტურდება *„ფეშხვენი, ფეშხუმი“* ფორმები, სიტყვა-სტატიაში ვკითხულობთ განმარტებას და მითითებას სახარებისეულ მუხლზე: „ძირიანი თეფში, მარკ, 6-28; ეკლესიასა შინა წმინდათა ნაწილთა დასასვენებელი ჭურჭელი, *блюдо, дискос, церковный сосудь*“ (ჩუბინაშვილი 1984). დავით ჩუბინაშვილი ცალკე მიუთითებს ბერძნული ჟღერადობის სიტყვასაც: *დისკო, დისკოსი.* მაგრამ XX საუკუნის ლექსიკონებში (სამტომეულ და ერთტომეულ რუსულ-ქართულ ლექსიკონებში) ტერმინი *Дискос* არ დასტურდება.

ფეშხუმის ინგლისური შესატყვისია *Paten;** – „ვერცხლის მრგვალი თეფში, რომელზეც დებენ კრავს. კრავში იგულისხმება ქრისტე, ლანგარი კი სიმბოლურად ქრისტეს ბაგას და საფლავს აღნიშნავს“ (ეტიმოლოგიური ლექსიკონი)[1].

ფეშხუმის ეტიმოლოგიურ ანალიზთან დაკავშირებით გავიხსენებთ ამონარიდს მზია ანდრონიკაშვილის მონოგრაფიიდან „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივ ურთიერთობებიდან“. ნაშრომის ერთ-ერთ თავში ავტორი წერს: „უნდა ვიფიქროთ, რომ გარკვეული ნაწილი საკულტო, რელიგიური ხასიათის ტერმინებისა, რომლებიც ირანულ წარმომავლობას ამჟღავნებენ, ძველ ირანულ ეპოქას ეკუთვნიან და ავესტურ ტრადიციასთან არიან დაკავშირებულნი... თვით ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ლექსიკაშიც ჩვენ ვხვდებით ირანული წარმოშობის სიტყვებს ისეთი ძირითადი რელიგიური ცნებების გამოსახატავად, როგორიც არის *მართალი, ცოდვილი, ნეტარი, ჯოჯოხეთი, ეშმა, ბარძიმი, ფეშხვენი, ტაძარი...“*(ანდრონიკაშვილი 1966).

მონოგრაფიაში ავტორი საგანგებოდ იკვლევს და საუბრობს ტერმინების *ბარძიმი* (→ საშ. სპარს. barzīn „მაღალი“ – მაღალფეხა სასმისი“), *ჯოჯოხეთი, ტაძარი,* მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვაწვდის კონკრეტულ ინფორმაციას *ფეშხუმის* შესახებ.

ტერმინ *ფეშხუმის* ირანულ წარმოშობას სპარსულში მსგავსი ფუძის ლექსიკური ერთეულების არსებობაც გვაფიქრებინებს. მაგალითად, რუსუდან რამიშვილის გამოკვლევაში „ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობებიდან“ მოხმობილია სიტყვა *ფეშხანას* საფუძვლიანი კვლევა (რამიშვილი 2018).

ამავე სიტყვის (ფეშხანას) სპარსულ წარმომავლობას უთითებს დავით ჩუბინაშვილი და მის განმარტებასაც გვაწვდის: „კარავი თავი-

[1] A round silver plate, where the lamb is put.* It refers to the Lord Jesus Christ manger and grave.

სის მომართულობითა“. რ. რამიშვილის თქმით, *ფეშხანა* მომდინარეობს სპარსული კომპოზიტიდან pišxāne, რომელიც სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც: წინკარი, ქარავნის ძირითადი ნაწილი და სხვა. მართალია, ამ სიტყვის მნიშვნელობა არაფრით ჰგავს ფეშხუმისას, მაგრამ საყურადღებოა შემდეგი შენიშვნა: „სპარსული კომპოზიტი pišxāne შედგება ორი ნაწილისაგან: სპარს. piš – „წინ“, „წინა მხარე“, წინა ნაწილი“ + xāne<ძვ. ირან. āhan (ადგილი, სხვა მნიშვნელობა – ხონჩა).

ტერმინ ფეშხუმშიც, შესაძლოა, კომპონენტი piš ჩანდეს, კერძოდ კი, ვფიქრობთ, ის მნიშვნელობა, რომელიც სიტყვა „ნაწილთანაა“ დაკავშირებული. რაც შეეხება ლექსემის მეორე კომპონენტს, რომელიც ქართულში სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციითაა გადმოტანილი (ფეშხუენი, ფეშხვენი, ფეშხუმი), მისი მნიშვნელობა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში კიდევ ერთი ლექსიკური ერთეულია – ფეშხვანი- კალათა – корзина. ვფიქრობთ, ამ სიტყვაშიც იგივე ფუძე უნდა ჩანდეს.

გარდა ამისა, ირანულში თაროს, უჯრას აღნიშნავს სიტყვა ფეშხან, რაც ფონეტიკურად ძალიან ჰგავს ფეშხუმს. როგორც ვხედავთ, ამ ფუძის მქონე სიტყვებს ჭურჭლის (კალათა) თუ ავეჯის (თარო, უჯრა, მაგიდა...) მნიშვნელობის მქონე ლექსიკურ ერთეულებამდე მივყავართ, მაგრამ, მეორე მხრივ, სანამ ფეშხუმის ეტიმოლოგიას არ დავადგენთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ სიტყვათა ფონეტიკური შედგენილობის დამთხვევაც.

ქართულში დამკვიდრებული ყოფილა ფეშხუმის სხვა, არასაეკლესიო მნიშვნელობაც. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში სიტყვის ორ მნიშვნელობას ვეცნობით:

„ფეშხუმი – 1. დაბალ ფეხებზე გამართული მრგვალი მაგიდა, უმთავრესად სამფიცრიანი... ასეთი ტიპის მაგიდა საქართველოში ყველგან იყო გავრცელებული.

2. სადგარიანი პატარა ლანგარი, რომელზედაც ლიტურგიის დროს კვეთენ სეფისკვერებს“ (ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2011).

ფეშხუმს ქართულში მაგიდის მნიშვნელობაც ჰქონია, რასაც დიალექტური მასალაც ადასტურებს („აწა სუფრას *ფეშხუმ* ეტყვიან, თუ ძვირფასი სტუმარი იყო, *ფეშხუმზე* სინს დადებდენ და იგზე დუწყობდენ შაჰმელ“ – ზემოაჭარული დიალექტი, წყარო – corpora).

ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა, თავდაპირველად რომელი მნიშვნელობით დამკვიდრდა ქართულში ფეშხუმი? მრგვალი მაგიდის

ასოციაციით ეწოდა საეკლესიო ჭურჭელს ფეშხუმი თუ პირიქით, დგამის ფორმამ განსაზღვრა საეკლესიო ნივთის სახელდება? შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი ჯერ კიდევ გაუცემელია.

დაბოლოს, კიდევ ერთი სალექსიკონო მასალა იპყრობს ყურადღებას: მთის დიალექტებში დასტურდება სიტყვა *ფეშხო/ფეშო.*

ტერმინი *ფშაური დიალექტის* ლექსიკონში (გ. ხორნაული) გვაქვს ორი მნიშვნელობით:

„*ფეშხო* – იხ. ნასხეპი – 1. ხატში დაკლული ცხვრისაგან აჭრილი მარჯვენა მხარი, ხევისბერებისათვის დატოვებული, ასე დაგროვილ ხორცს ხატის მსახურნი ჰყიდიან და აღებულ ფულს ხატს ახმარენ. 2. შუაზე ჩაჭრილი საკლავის ნახევარი.

ხევსურული დიალექტის ლექსიკონში ეს სიტყვა ნაწილის მნიშვნელობითაა ასახული:

„ხორცს დაჭრიან *ფეშხო-ფეშხოდ*“ [ნაწილ-ნაწილ] (ჭინჭარაული 2005);

აქვეა მოხმობილი ამ ფუძის მქონე ზმნებიც: *ახფეშხავს, გაიფეშხავს, გამახფეშხავს, გახფიშხავს.* ზმნურ ფორმებში ამ ფუძის დამკვიდრება სესხების უძველეს შრეზე უნდა მიგვანიშნებდეს.

დიალექტური კორპუსის მასალაში (corpora) *ფეშხვა-ფეშხო* ნაწილის, ხორცის ნაწილის ან მაგიდის მნიშვნელობით გვხვდება:

„საკლავ შუაზე გაშჭრიდივ. ერთ ფეშხო ერთ ძაღლს გადუგდიდივ, მეორე – მეორესავ“ – თუშური დიალექტი.

ფეშხო დასტურდება იოსებ გრიშაშვილის ქალაქურ ლექსიკონშიც: „გატყავებული ცხვრის მეოთხედი, ერთი ფეხი. საბას აქვს ფეშო (და არა ფეშხო) – ცალი ჩანასხეპი, ხოლო „სიბრძნე-სიცრუისაში“ – ფეშხო (1859)“ (გრიშაშვილი 1977).

დიალექტურ ლექსიკონებში დადასტურებული მასალა გვაფიქრებდინებს, რომ „ფეშხო“ ფუძე შემთხვევით სულაც არ არის *ფეშხუმში. ფეშხო* – ცხვრის ხორცის ნაწილია, რაც შესაძლოა ქრისტიანულ სამყაროში წმინდა ტარიგის, კრავის, ქრისტეს სიმბოლოდ გაიაზრეს და *ფეშხუმი* პირდაპირ დაუკავშირდა ქრისტეს ნაწილს, ხორცს (მის გამოხატულებას – სეფისკვერს). ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ ფშაურ დიალექტში *ფეშხოს* რელიგიური, რიტუალური დატვირთვაც იჩენს თავს: „ხატში დაკლული ცხვრისგან აჭრილი მარჯვენა მხარიო“. გარდა ამისა, ქართულ-რუსულ-ფრანციცულ ლექსიკონში დასტურდება სიტყვა „ფეშო-ფეშხო“ და განმარტებულია ასე: „одна какая

нибудь половина зарезанного *барана*“ (ლექსიკონი 1840). აქაც მხოლოდ ცხვრის ნაწილზეა ყურადღება გამახვილებული. ვფიქრობთ, ტერმინში *ფეშხუმი* სწორედ „ფეშხო“ ფუძემ იჩინა თავი.

ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთ საინტერესო ცნობას წავაწყდით. „დაფეშხოუებული და დაუფეშხოებელი ნაკლავი“ დღეს სალიტერატურო ქართულშიც გამოიყენება (მაგალითად, ამ ტერმინებს იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭო). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ ფუძის სახელური, ზმნური და მიმღეობური ფორმებია შეტანილი. ესენია:

1. *დაფეშხოება* (დაფეშხოებისა), *სახელი* – ფეშხოდ ამოღება, ხერხემალზე (სიგრძივ) გაჭრა დაკლული ოთხფეხისა (ცხვრისა). ტანხორცის ტყავში დამუშავების, გამოშიგვნის, დაფეშხოების და დასუფთავების რეჟიმის დაცვის მნიშვნელობა.

2. *დაფეშხოებული,* მიმღეობა.

3. *დაფეშხოვდება,* ზმნა.

აღნიშნული ფორმებში უთუოდ „ფეშხო“ ფუძითაა ნაწარმოები. „ფეშხ“ ფუძის წარმომავლობის საკითხს ეხებიან ნუნუ გურგენიძე და ლუიზა რუხაძე (ახლო აღმოსავლეთი და საქართველო 2017: 52). ნასესხებ ფუძეთაგან ქართული დერივატებით ნაწარმოები ზმნების ჯგუფში ისინი განიხილავენ გა-*ფეშხ*-ოვ-ებ-ა ზმნას და ფუძეს „ფეშხ“ თურქული pişek-(ği)-იდან ნაწარმოებად მიიჩნევენ. მკვლევართა მოსაზრებაში ეჭვი არ შეგვაქვს, მაგრამ გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ეს ფუძე თურქულშიც ირანულის გავლენით თავისუფლად შეიძლებოდა აღმოჩენილიყო და ეს ფაქტი არ გამორიცხავს ტერმინ *ფეშხუმის* ამავე ფუძით (ფეშხ-ფეშხო) წარმოების საკითხს.

ამ მცირე კვლევაში თავი მოვუყარეთ არსებულ თვალსაზრისებს, დიალექტურ მასალას და გამოვთქვით მოსაზრებები, რომელთა დასაბუთებას სიღრმისეული კვლევა სჭირდება, თუმცა ტერმინი *ფეშხუმის* ცალსახა, გამჭვირვალე ეტიმოლოგია არ გვაქვს, რაც უთუოდ მის უძველეს წარმომავლობაზე მიგვითითებს.

ამჟამად, კვლევისათვის მხოლოდ ორ ტერმინზე შევაჩერეთ არჩევანი. ზოგადი ვითარება კი ასეთია: ხშირად ნივთების სახელწოდებები როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებში პირდაპირაა გადმოტანილი ბერძნულიდან. სხვა შემთხვევებში არსებობს პარალელური ფორმებიც (ფეშხუმი – დისკოსი, Дискос – Тарель богослужебная.), რომელთაგანაც ერთ-ერთს ენიჭება უპირატესობა. ზოგჯერ კი რუსულშიც და ქართულშიც მშობლიური შესატყვისებია დაძებნილი.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966 – მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივ ურთიერთობებიდან, თბილისი.

ახლო აღმოსავლეთი და საქართველო 2017 – ჟურნ. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, X, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკის შესახებ ქართული ენის ქართლისა და კახეთის დიალექტებში, თბილისი.

გრიშაშვილი 1997 – იოსებ გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბილისი.

ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2011 – არჩვაძე გვანცა, ბოკუჩავა მარინა, გელაძე თამარ და სხვ., ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ეტიმოლოგიური ლექსიკონი – ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი – Etymology dictionary **(etymonline.com)**;

ლექსიკონი 1840 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი, სანქტ-პეტერბურგი.

ლექსიკონი 1956-1959 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, სამტომეული, სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი.

ლექსიკონი 1910 – ჩუდინოვი ალექსანდრე, «Словарь иностранных слов, вошедших в состав русского языка».

ლექსიკონი 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი 1, თბილისი.

ლექსიკონი 1983 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

ლექსიკონი 1992 – Dictionary of churchterms, Fr. Tadros Y. Malaty.

რამიშვილი 2018 – რუსუდან რამიშვილი, ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

სამგიდო წიგნი 1977 – Настольная книга Священнослужителя, том 3, Москва.

ქეგლი - ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1971 – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ორტომეული, თბილისი.

ჩუბინაშვილი-ჩუბინოვი – Нико Чубинашвили (Чубинов), Грузинский толковый словарь (с русскими комментариями).

ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

ციხელაშვილი 2017 – ლელა ციხელაშვილი, ძველი ქართული ენის სასწავლო კურსი, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

Linda Giorgadze
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
lindagiorgadze@yahoo.com

Lali Khuchua
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
lakhuchu@gmail.com

Keywords: Ecclesiastical terminology, Ecclesiastical items, Terms: "Avgarozi, "Peshkhumi".

On the History of Ecclesiastical Items Terminology

Summary

The importance of research of ecclesiastical terms has been the objective of Georgian science for a long time. In order to have possibility to compile comprehensive dictionary of ecclesiastical terminology, it's essential to conduct a scrutinized research on the doubtful terms, also on their etymology, stages of development and to find the history of their enroot in Georgian. Hence, this scientific paper covers the issue of definitions of ecclesiastical terms „Avgarozi"and „Peshkhumi"(also to state the position of Georgian equivalents in the ecclesiastical terms realm).

Our examination implies to find Georgian, Russian and English equivalents of previous mentioned terms for further scientific analyze. Especially, we focus on the etymology of Georgian terms and the history of their enfranchise in Georgian.

Our work relies on numerous translational dictionaries published in different periods (XIX-XX century Russian-Georgian and Georgian-Russian dictionaries, contemporary English-Georgian dictionaries) and Georgian dialectical dictionaries. In addition to these, our work incorporates number of scientific examens.

ია გიორგობიანი
დამოუკიდებელი მკვლევარი, თბილისი
iagiorgobiani@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, მასის საზომი ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები. ტერმინები: ლიტრი, ლიტრა.

მასის საზომი ისტორიული ერთეულები საქართველოში
ლიტრი და *ლიტრა*

ყველასათვის კარგადაა ცნობილი თანამედროვე საერთაშორისო ტერმინ *ლიტრის* განმარტება: *ლიტრი* არის მოცულობის ერთეული, რომელიც ტოლია 1 000 სმ^3



1 ლ = 1 000 სმ ^{3}

1 ლ = 1 000 მლ

(ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ლიტრი არის 10 სმ. წიბოების მქონე კუბის მოცულობა). *ლიტრი* შემოკლებით ჩაიწერება ლ., საერთაშორისო აღნიშვნაა l.

საზომი ერთეული *ლიტრი* პირველად შემოიღეს 1795 წ. საფრანგეთში, როგორც „რესპუბლიკური ზომა-წონის ერთეულების სისტემის“ შემადგენელი ნაწილი. დღეს ის SI ერთეულების მეტრულ სისტემასთან ერთად (ფრანგ. Système international d'unités) მიღებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც.

ტერმინი *ლიტრი* თანამედროვე ყოფაში ხშირად გამოიყენება. გარდა იმისა, რომ ლიტრებით ვზომავთ მოხმარებული წყლის, ბენზინის, ზეთის ან რძის რაოდენობას, *ლიტრი* შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად, ჩანთის ან მაცივრის მახასიათებლებში:

ჩანთის სახე: თერმოჩანთა
მასალა: პოლიესტერი
ჩანთის მოცულობა: 25 ლ
ზომა: 36 x 33 x 22,5 სმ

მაცივრის სახე: ორკამერიანი
ენერგოეფექტურობის კლასი: A +
გაგრილების სისტემა: ნახევრად მშრალი
ყოველდღიური ენერგიის მოხმარება: 0,732 კვ/სთ
საყინულის მოცულობა: 90 ლ
მთლიანი მოცულობა: 298 ლ

ასევე კარგადაა ცნობილი, რომ 1 *ლიტრი* ტევადობის ჭურჭელში მოთავსებული ნივთიერების (არაა სავალდებულო სითხე იყოს) წონა სხვადასხვაა. მაგალითად:

1 ლიტრი	წონა
სუფთა წყალი	1 კგ.
ღვინო	0,990 კგ.
მზესუმზირის ზეთი	0,920 კგ.
სპირტი	0,780 კგ.
გრანულირებული შაქარი	0,801 კგ.
თაფლი	1,350 – 1,500 კგ.
ხორბალი	0,780 - 0,790კგ.
ხორბლის ფქვილი	0,480 – 0,600 კგ.

ცხრ. (1)

ლიტრა კი ისტორიული ტერმინია - ძველ საქართველოში აღნიშნავდა როგორც საზოგადოდ საწონს და კონკრეტული მასის ერთეულს, ასევე საწყაო ჭურჭელსაც. ხმარებაში იყო განსხვავებული ტევადობის საწყაოები: *ფშაური ლიტრა,* რომელშიც ეტეოდა 12 გირვანქა[1] (5,88 კგ.) ქერ-იფქლი (მაკალათია 1985:44); *ხევსურული ლიტრა,* ეტეოდა 20 სტილის[2] წონა მარცვალი (4,26 კგ.) (შანიძე 1984:351) და სხვა.

[1] სავარაუდოდ, აქ რუსული გირვანქა უნდა ვიგულისხმოთ; 1 რუსული გირვანქა = 0,49 კგ.

[2] სტილი ხევსურეთში უდრიდა 4 კვერცხს და ტოლი იყო 213 გრამისა.

საწონი ლიტრას წონა სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვა იყო. იცვლებოდა ასევე *საწყაო ლიტრას* ტევადობაც, რაც იწვევდა ასეთი ჭურჭლით აწყული მარცვლის, ღვინის, ფქვილის თუ აბრეშუმის პარკის წონის ცვლილებასაც (ეს ძირითადად გადასახადების მატებით იყო გამოწვეული). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საწონების წონა და საწყაოების მოცულობა სახელმწიფოს მხრიდან კონტროლირებადი იყო. შემოწმებულ საწონს თუ საწყაოს ესმებოდა განსაკუთრებული ნიშანი და ეწოდებოდა *მართალი*, შეუმოწმებელს ეწოდებოდა *კნინი, მცირე, ზაკული* (ჯაფარიძე 1973:8).

ძველი საწონების და საწყაოების შესახებ მრავალი შრომა არსებობს. იმის გამო, რომ ტერმინი *ლიტრა* სხვადასხვა ცნების აღსანიშნავად იხმარებოდა და თანაც, დროში ცვალებადი სიდიდე იყო, ისტორიულ მეტროლოგიაზე არსებულ ლიტერატურაში შეიძლება უზუსტობებიც შეგვხვდეს. განვიხილოთ, მაგალითად, *ლიტრას* განმარტება „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონიდან“:

ლიტრა, ნიტრა: „...ლიტრით აიწყვოდა მარცვლეული და სითხე. XIX საუკუნის მონაცემებით *საწყაო ლიტრა* თბილისის მაზრაში 3,2 კგ-ს უდრიდა“ (ნადირაძე 2011).

სიტყვა *ლიტრით* აქ, ჩემი აზრით, იწვევს საწყაოს და მოცულობის ერთეულის აღრევის შესაძლებლობას. ეს *ლიტრა*ს განმარტებაა და, ალბათ, უკეთესი იქნებოდა გვეხმარა ფორმა *ლიტრათი*. ამასთან ერთად, უნდა შევნიშნოთ, რომ *საწყაო ლიტრა* არის ჭურჭელი და არა მასის საზომი ერთეული - ამიტომ კილოგრამს არ შეიძლება უდრიდეს. საწყაოს დახასიათებისას აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რის საწყაოდ გამოიყენებოდა (იხ. ცხრ. (1) - მაგალითად, ერთსა და იმავე ჭურჭელში სხვადასხვა რაოდენობის მარცვალი და თაფლი ეტევა). მოყვანილ განმარტებაში, სავარაუდოდ, უნდა იყოს: „XIX საუკუნეში საწყაო ლიტრა თბილისის მაზრაში 3,2 კგ. ხორბალს იტევდა“ (ჯაფარიძე 1973:60). აქვე საინტერესო იქნებოდა აღგვენიშნა, რომ ცხრ. (1)-დან გამომდინარე, რადგან ხორბლის საწყაოზეა ლაპარაკი, ამ კონკრეტული *საწყაო ლიტრას* მოცულობა დაახლოებით 4,100 ლ ყოფილა[1].

[1] საძიებელი მოცულობა აღვნიშნოთ x-ით. 1 ლიტრი ხორბლის წონაა 0,78-0,79 კგ. გვექნება განტოლებები $0{,}78x = 3{,}2$ და $0{,}79x = 3{,}2$. საიდანაც $x = 4{,}1$ და $x = 4{,}05$. ე.ი. ამ ჭურჭლის მოცულობაა $4{,}050 - 4{,}100$ ლ.

მოვიყვანოთ (XVII–XVIII სს.) ტერმინ *ლიტრას* განმარტება სულხან-საბას „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით (ორბელიანი 1991: 417):

„პირველ(ი) ჟამთა ლიტრა უმცირეს იყვნეს, ვიდრე აწინდელი. ვითარცა არს აწ ჩვეულება (ჰ)რომაელთა, ეგრე იყო პირველად ყოველთაგან, რამეთუ ესრეთ იყო პირველთა ლიტრათა წონანი: 4 ქრთილის მარცვალი ერთი კერატია, რომელ არს რქის გურკა; 6 კერატი ერთი გრამაა; 4 გრამა ერთი დრაჰკანია; 24 გრამა ერთი უნკიაა; 6 დრაჰკანი ერთი უნკიაა; 36 დრაჰკანი ნახევარლიტრა იქნება; 72 დრაჰკანი ერთი ლიტრაა; 12 უნკია ერთი ლიტრაა. უნკია არს ორი სატირი; 3 დრაჰკანი ერთი სატირია; 1 დიდრაქმა ერთი სიკილაა; სატირი და სიკილა სწორეა; 25 ლიტრა ერთი ტალანტია, რომელ არს ქანქარი. ზოგან ასოცდახუთი ლიტრა სწერია, ტყუილია. ცხრა ათასი დრაჰკანი ერთი ტალანტი იქნება.

ახალი ლიტრა აღმოსავალთა აწ რომ არს, იპყარ რიცხვით: 4 ქრთილის მარცვალი ერთი ყირათია, რომელ არს კერატი; 3 კერატი ერთი დანგია; 6 დანგი ერთი დრამია; დრამ–ნახევარი ერთი მიტყალია; 33 მიტყალი და ნახევარი ერთი თუხტია, რომელ არს სტილი. ხოლო ქალაქით(ი)–ქალაქად ლიტრისა წონა სადამე ოცი თუხტია, სადამე მეტი და სხვაგან ნაკლები. 48 თუხტის წონა ერთი თილანია; სპარსნი ლიტრისა ნაოთხალსა ჩარექს(ა) უჴმობენ, რომელსა სომხურად ნუკი და ქართულად გვერდი გინა ნაოთხალი ეწოდება; ხოლო გვერდისა ნაოთხალსა ქსანი ეწოდება“.

ტექსტიდან აშკარაა, რომ სულხან-საბა *ლიტრაში* საწონს გულისხმობს და რომ არსებობდა სხვადასხვა მასის მქონე საწონები, რომელთა საერთო სახელი ისტორიულად იყო *ლიტრა*. განმარტების პირველ ნაწილში *პირველთა ლიტრათას* დახასიათებისას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფრაზა:

„25 ლიტრა ერთი ტალანტია, რომელ არს ქანქარი. ზოგან ასოცდახუთი ლიტრა სწერია, ტყუილია...“

შემდეგ ტექსტში სულხან-საბა ამბობს: „.. აქ(ა) მნა ტალანტად თქვა და იმავ იოსიპოსში ეწერა: მნა ორ(ი) ლიტრა–ნახევარიაო. სხვას წიგნში ტალანტი ასოცდახუთ ლიტრად ეწერა. რომელი დავიჯერო? ... მაგრამ ზოდი მძიმეს წონისაც იქ(მ)ნება და სუბუქისაცა“. და ასევე

თუკი გვეცოდინებოდა, რომ რაიმე საწყაო 3,2 კგ. ხორბლის ფქვილს იტევდა, მაშინ ცხრ. (1)-ის მიხედვით საწყაოს მოცულობა 5,330 – 7,110 ლ. უნდა გვევარაუდა.

განმარტავს: „ტალანტი ოქროსა და ვერცხლის ზოდია“.

როგორც ცნობილია, ისტორიულად არსებობდა რამდენიმე სახის *ტალანტი:* მძიმე, მსუბუქი, სამეფო, სავაჭრო. მათი წონა სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული. განსხვავდებოდა ასევე *საწონი ტალანტის* უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის სისტემაც.

თუ დავუბრუნდებით სულხან-საბას განმარტებას, აქ განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ 125 ლიტრა წონის მქონე საწონი *ტალანტია* და *ტალანტი* და *ქანქარი* განსხვავებული ტერმინებია. აქედან გამომდინარე, გვაქვს ტალანტის სისტემის საწონების შემდეგი განმარტებები:

25 ლიტრა ძველი = ქანქარი; 125 ლიტრა ძველი = ტალანტი; 2,5 ლიტრა ძველი = მნა.

ასევე გვაქვს ტოლობა: *100 ლიტრა ძველი = კენტინარი* (ორბელიანი 1991:365), სადაც, *პირველთა ლიტრას* აღსანიშნავად გამოვიყენეთ ტერმინი *ლიტრა ძველი.* ახლა საჭიროა დავადგინოთ მისი რიცხვითი მნიშვნელობა.

ცნობილია, რომ *რომაული ლიტრა - Libra* = 327,6 გ. (ჯავახიშვილი 1997:626)[1] და რადგანაც სულხან-საბა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ *„ვითარცა არს აწ ჩვეულება (ჱ)რომაელთა, ეგრე იყო პირველად ყოველთაგან*“, ამიტომ *ლიტრა ძველის* მნიშვნელობად ავიღოთ 327,6 გ. და მის მიხედვით დავიანგარიშოთ საწონების წონები[2].

ჩავწეროთ განმარტების პირველი ნაწილის მონაცემები ცხრილის სახით:

ძველი წონის ერთეულები სულხან-საბას მიხედვით	თანაფარდობა ლიტრასთან		წონა თანამედროვე ერთეულებში
ქრთილის მარცვალი[3]	1/ 6 912		0, 05 გ.

[1] ზოგი ავტორი *რომაული ლიტრას* სიდიდედ მიიჩნევს 327,45 გ-ს. აქვე უნდა ითქვას, რომ რომაულ-ბიზანტიური Libra-ს წონა დროთა განმავლობაში იცვლებოდა 324-319 გ-იდან 328,9 გ-მდე.

[2] საწონების მასის დაანგარიშებისათვის საჭირო განტოლებები მარტივია და მათი აქ მოყვანა არ იქნებოდა საინტერესო. ამიტომ ვარჩიეთ ცხრილი, რომლის გამოყენებით ადვილად შეიძლება ყველა განმარტების შემოწმება.

[3] შემოდგომის ქერი

კერატი[1]	1/ 1728	= 4 ქრთილის მარცვალი	0, 19 გ.
გრამა	1/288	= 6 კერატი	1, 14 გ.
დრაჰკანი	1/72	= 4 გრამა	4, 55 გ.
სატირი	1/24	= 3 დრაჰკანი	13, 65 გ.
უნკია	1/12	= 24 გრამა	27, 3 გ.
ნახევარლიტრა	1/2	= 36 დრაჰკანი	163,8 გ.
ლიტრა ძველი	1	= 72 დრაჰკანი	327,6 გ.
მნა	2,5	= 2,5 ლიტრა ძველი	0, 819 კგ.
ქანქარი	25	= 25 ლიტრა ძველი	8, 190 კგ.
ტალანტი	125	= 9 000 დრაჰკანი	40, 950 კგ.
კენტინარი	100	= 100 ლიტრა ძველი	32, 760 კგ.

ცხრ. (2)

ახლა ჩავწეროთ ცხრილის სახით სულხან-საბას მიერ განმარტებული *ახალი ლიტრას* თანაფარდობები. ამ სქემაშიც უნდა ავირჩიოთ ერთ-ერთი სიდიდე, რომლის წონაც კარგადაა ცნობილი. ასეთ სიდიდედ ავიღოთ *მიტყალი* = 4, 464 გ. (ჯაფარიძე 1973:31) და ყველა *ახალთა ლიტრათას* წონა მის მიხედვით ვიანგარიშოთ. გვექნება ცხრ. (3):

ახალი (XVII–XVIII სს.) წონის ერთეულები	თანაფარდობა ლიტრასთან		წონა
ქრთილის მარცვალი	1/ 72 360		0, 05გ.
ყირათი	1/ 18 090	= 4 ქრთ. მარცვალი	0, 165 გ.
დანგი	1/ 6030	= 3 ყირათი	0, 496 გ.

[1] განმარტებაში წერია „კერატი, რომელ არს რქის გურკა“ . შევნიშნოთ, რომ „რქა“ არის მცენარე Ceratonia siliqua.

დრამი	1/ 1005	= 6 დანგი	2, 976 გ.
მიტყალი	1/ 670	= 1,5 დრამი	4, 464 გ.
თუხტი	1/20	= 33, 5 მიტყალი	149, 544 გ.
ქსანი	1/ 16	= 1/ 4 ჩარექი	186, 93 გ.
ნაოთხალი/ ჩარექი/ ნუკი	1/ 4	= 1/ 4 ლიტრა	747,72 გ.
ოყა	2/ 5	= 8 თუხტი	1, 196 კგ.
ლიტრა ახ.	1	= 20 თუხტი	2, 991 კგ.
თილანი	2,4	= 48 თუხტი	7, 178 კგ.

ცხრ. (2)-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ *ტალანტის* მნიშვნელობა რომაულ *მძიმე ტალანტს* შეესატყვისება, რაც დაახლოებით 41 კგ-ს უდრიდა. ხოლო *კენტინარი* - რომაული *მსუბუქი ტალანტის* შესაბამისი სიდიდეა (ეს სიდიდე დაახლოებით 32-33 კგ. იყო). ე.ი. *ტალანტის,* ანუ *ზოდის* სისტემის ერთეულების სახელები საქართველოში და მათი შესაბამისი წონები ასეთია:

ზოდი (ტალანტი) XVII–XVIII სს.		
მნა	0, 819 კგ	
ქანქარი	8, 190 კგ	= 10 მნა
(მსუბუქი ტალანტი) კენტინარი	32, 760 კგ	= 40 მნა
(მძიმე ტალანტი) ტალანტი	40, 950 კგ	= 50 მნა = 9 000 დრაჰკანი

ცხრ. (3)-ში უნდა აღვნიშნოთ ასევე ძველი ტერმინი *გრამა* და თანამედროვე ერთეული *გრამის* განსხვავების აუცილებლობა. *გრამა* წარმოადგენს *ლიტრას* 288-ედ ნაწილს. *გრამი* კი 0,001 კილოგრამის ტოლია.

XVII-XVIII საუკუნეებს ეკუთვნის ასევე ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის მიერ განმარტებული ძვირფასი ქვების ასაწონად განკუთვნილი საწონების სახელები (ჯაფარიძე 1973:31):

ოთხი ხაშხაშის მარცვალი ერთ მარცვალ ფეტვად დაიდების, ოთხი ქერის მარცვალი ერთ ცერცვის მარცვლად დაიდების; ოთხი მარცვალი ცერცვი ერთ დანგად დაიდების და ექვსი დანგი ერთ მიტყლად დაიდების. ოცდაოთხი ყირითიც ერთი მისხალი არის.

ყირათის სიმძიმე არის ოთხის ხორბლის მარცვლის წონა.

ამ საწონების მასის გამოსათვლელად იგივე სიდიდეები ავირჩიოთ, რაც ზემოთ ტექსტში გვაქვს გამოყენებული: *მიტყალი* = 4,436 გ.; *მისხალი* = 4,25 გ. (ჯაფარიძე 1973:31). გვექნება შემდეგი თანაფარდობები:

ძვირფასი ქვების მასის ერთეულის სახელი	შეფარდება მიტყალთან		წონა თანამედროვე ერთეულებში
ხაშხაშის მარცვალი	1/1536		0,003 გ.
ფეტვის მარცვალი	1/384	= 4 ხაშხაშის მარცვალი	0,012 გ.
ქერის მარცვალი / (ირან.) ჯოუ	1/96	= 4 ფეტვის მარცვალი	0,046 გ.
ცერცვის მარცვალი/ ნუხუდ	1/24	= 4 ქერის მარცვალი	0,185 გ.
დანგი	1/6	= 4 ცერცვის მარცვალი	0,739 გ.
მიტყალი	1	= 6 დანგი	4,436 გ.

ძვირფასი ქვების მასის ერთეულის სახელი	შეფარდება მისხალთან		წონა თანამედროვე ერთეულებში
მისხალი	1	= 24 ყირათი	4,250 გ.
ყირითი /ყირათი	1/24	= 4 ხორბლის მარცვალი	0,177 გ.
ხორბლის მარცვალი	1/96		0,044 გ.

ცხრ. (4)

ლიტერატურა

მაკალათია 1985 – სერგი მაკალათია, ფშავი, თბილისი.

ნადირაძე 2011 – ელდარ ნადირაძე, ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი www.nplg.gov.ge

ორბელიანი 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 1, თბილისი http://www.nplg.gov.ge

შანიძე 1984 – აკაკი შანიძე, თხზულებანი, ტ. I, მთის კილოთა ლექსიკონი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1996 – ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. IX, თბილისი.

ჯაფარიძე 1973 – გოჩა ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან IX–XIX სს., თბილისი.

Ia Giorgobiani
Independent researcher, Georgia
iagiorgobiani@yahoo.com

Keywords: Terminology, Terms of units of mass, terms Litra, Litri.

Historical units of mass in Georgia, the terms *Litri* and *Litra*

Summary

This article presents the historical units of mass *litra* and *talanti* defined in *The Georgian Dictionary* (ლექსიკონი ქართული) by the seventeenth and eighteenth century Georgian lexicographer, diplomat and scientist *Sulkhan-Saba Orbeliani*. Table (A) shows the correspondence of the Georgian unit talanti / zodi to the Roman unit talent. The results organized in tables (B), and (C) give us the modern equivalents of old units and highlight the difference between the modern term *litri* (litre) - the unit of volume -and the old term *litra*

(libra) - the unit of weight. The units for measuring gemstone weights defined by king *Vakhtang VI of Kartli* (1675 – 1737) are given in tables (D) and (E).

Talanti (ტალანტი) / Zodi (ზოდი) in 17 and 18th century Georgia		
Unit Name	Modern Weight Equivalent	
Mna (მნა)	0.819 kg	
Qanqari (ქანქარი)	8.190 kg	= 10 Mna
Kentinari (კენტინარი)	32.760 kg	= 40 Mna
Talanti (ტალანტი)	40.950 kg	= 50 Mna = 9000 Drahkani

(A)

Old (in the 18th century) unit name	Old litra	Modern Weight Equivalent
Barley grain – Qrtilis marcvali (ქრთილის მარცვალი)	1/ 6 912	0.05 g
Carat - Kerati (კერატი)	1/ 1728	0.19 g
Grama (გრამა)	1/288	1.14 g
Drahkani (დრაჰკანი)	1/72	4.55 g
Satiri (სატირი)	1/24	13.65 g
Unkia (უნკია)	1/12	27.30 g
Nakhevarlitra (ნახევარლიტრა)	1/2	163.80 g
Libra - Old litra (ლიტრა ძველი)	1	327.60 g
Mna (მნა)	2.5	819 g

(B)

New (in the 18th century) unit name	Litra	Modern Weight Equivalent
Barley grain- Qrtilis marcvali (ქრთილის მარცვალი)	1/ 72 360	0.05 g
Qkirati (ყირათი)	1/ 18 090	0.165 g
Dangi (დანგი)	1/ 6030	0.496 g
Drami (დრამი)	1/ 1005	2.976 g
Mitqkali (მიტყალი)	1/ 670	4.464 g
Tukhti (თუხტი)	1/20	149.544 g
Qsani (ქსანი)	1/ 16	186.930 g
Chareqi (ჩარექი) / Nuki (ნუკი)	1/4	747.720 g
Oqka (ოყა)	2/5	1.196 kg
New litra (ლიტრა ახალი)	1	2.991 kg
Tilani (თილანი)	2.4	7.178 kg

(C)

Unit for Measuring Gemstone Mass	Mitkqali	Modern Weight Equivalent
Poppy seed - Khashkhashis marcvali (ხაშხაშის მარცვალი)	1/1536	0.003 g
Millet grain - Fetvis marcvali (ფეტვის მარცვალი)	1/384	0.012 g
Barley grain- Qeris marcvali (ქერის მარცვალი)	1/96	0.046 g
Broad bean - Cercvis marcvali (ცერცვის მარცვალი)	1/24	0.185 g
Dangi (დანგი)	1/6	0.739 g
Mitqkali (მიტყალი)	1	4.436 g

(D)

Unit for Measuring Gemstone Mass	Miskhali	Modern Weight Equivalentt
Miskhali (მისხალი)	1	4.250 g
Qkirati / Karati (ყირათი / კარატი)	1/24	0.177 g
Wheat grain - Khorblis marcvali (ხორბლის მარცვალი)	1/96	0.044 g

(E)

ნანა გოგია
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, თბილისი
nanagogia22@gmail.com

საკვანძო სიტყვები: იურიდიული ტერმინოლოგია,
საქართველოს კონსტიტუცია, გრამატიკული, სტილისტიკური
და ტერმინოლოგიური შესწორებები.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის ენობრივი ანალიზისათვის

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც დაევალა ქვეყნის ძირითადი კანონის ფუნდამენტური გადასინჯვა მასში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ახალი კონსტიტუციის დახვეწილი რედაქციის შესამუშავებლად.

საკანონმდებლო სფეროში ჩვენი მრავალწლიანი მთარგმნელობითი საქმიანობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ გავცნობოდით ახალ კანონპროექტს და შეგვეფასებინა პროფესიული თვალსაზრისით.

ამ დოკუმენტით ჩვენი დაინტერესება განაპირობა საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე გაკეთებულმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ ძველ კონსტიტუციაში გაპარული გრამატიკული შეცდომები ახალ კანონპროექტში გასწორდა. საქმე ისაა, რომ 2013 წელს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ მთარგმნელობით ცენტრში მუშაობისას ჩვენმა გუნდმა მოამზადა საქართველოს კონსტიტუციის უკვე არსებული თარგმანის ახალი რედაქტირებული ვარიანტი. სწორედ მაშინ, ქართული და ინგლისური ტექსტების შესაბამისობაზე მუშაობისას, შევნიშნეთ რამდენიმე შეცდომა ქართულ ტექსტში, მაგრამ ჩვენ ამ ხარვეზებს, ბუნებრივია, ვერ აღმოვფხვრიდით. სამაგიეროდ, უკვე არსებული ინგლისური თარგმანი, შეძლებისდაგვარად, გავასწორეთ, დავხვეწეთ და წიგნადაც გამოვეცით. შედარების მიზნით გადავწყვიტეთ ახალი კანონპროექტის ელექტრონული ვერსიის მოძიება და მასში ჩვენთვის საინტერესო ადგილების ძველი და ახალი ვერსიების შედარება. საბოლოოდ, ტექსტის უმეტესი ნაწილი მისაღები აღმოჩნდა, სტილისტურადაც უფრო

გამართულია, თუმცა სხვადასხვა სახის შეცდომები მაინც თვალში საცემია.

ახალი კონსტიტუციის პროექტის რამდენჯერმე თავიდან ბოლომდე გადაკითხვის შემდეგ შემჩნეული შეცდომები გავასწორეთ, დავურთეთ კომენტარები და არგუმენტები. საბოლოოდ, საქართველოს კონსტიტუციის ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გამოთქმული შენიშვნები, რომლებიც მოიცავდა გრამატიკულ, სტილისტურ და ტერმინოლოგიურ შესწორებებს, გადავაგზავნეთ პარლამენტის თავმჯდომარის აპარატსა და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში. შედეგად, ჩვენი შენიშვნები განიხილეს ჯერ სამუშაო შეხვედრაზე, შემდეგ ქუთაისის პლენარულ სხდომაზე და ბევრი რამ აისახა კიდეც კონსტიტუციის პროექტში.

დოკუმენტის სათაური, რომელზეც ვიმუშავეთ, 2017 წლის მაისში ასე გაფორმდა:

საქართველოს კონსტიტუციური კანონი
„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ამ დოკუმენტს თან ერთვოდა განმარტებითი ბარათი, რომელიც მოიცავდა ზოგად ინფორმაციას კონსტიტუციური კანონის პროექტის შესახებ. შემდეგ მოცემული იყო მუხლობრივი განხილვა. შესაბამისად, ჩვენც მუხლების მიხედვით წარმოვადგენთ ჩვენს შენიშვნებს:

მნიშვნელოვანი შენიშვნა ეხებოდა 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში საქართველოს *სახელმწიფო საზღვრების* მრავლობითი რიცხვით გამოყენებას. განმარტებით ბარათში ეწერა, რომ კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ეს მუხლი არ შეცვლილა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვეყნის სახელმწიფო საზღვარი უნდა ჩაწერილიყო მხოლობით რიცხვში, რადგან საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ერთია და ხელშეუხებელი. მნიშვნელოვანია, რომ *სახელმწიფო საზღვარი* არ აგვერიოს *ადმინისტრაციულ საზღვარში,* რომელიც მრავლად გვაქვს საქართველოში და შესაბამისად, შეიძლება გამოვიყენოთ მრავლობით რიცხვში. ამ მოსაზრების უმთავრესი არგუმენტი არის ის, რომ ძველი და ახალი კონსტიტუციის კანონპროექტების მიხედვით გამოდის, თითქოს ჩვენ ვაღიარებთ ალტერნატიულ სახელმწიფო საზღვარსაც - ოკუპირებული ქართული ტერიტორიების უკანონო საზღვარს, რომელიც დაგვიწესა მეზობელმა ქვეყანამ. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ამ კონსტი-

ტუციის კანონპროექტის მიხედვით, აფხაზეთთან ვაღიარებთ ორ სახელმწიფო საზღვარს: ერთს ფსოუსთან და მეორეს - ენგურთან. ამის უნებლიეთ დაკანონება ქვეყნის ძირითად კანონში, ცხადია, არ იქნებოდა გონივრული (*შენიშვნა გაზიარებულია*).

ახალ კონსტიტუციაში ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი გასწორებულია და სახელმწიფო საზღვრის ურღვევობა დადასტურებულია - *მუხლი 1(2): „საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ“.*

შემდეგი შენიშვნა ეხებოდა მე-3 მუხლის მე-5 პუნქტს, რომელშიც საუბარია პოლიტიკური პარტიების მონაწილეობაზე ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირებაში.

როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული, მე-5 პუნქტში წარმოდგენილია ახალი ნორმები, რომლებიც ხაზს უსვამს პოლიტიკური პარტიების განსაკუთრებულ როლს დემოკრატიულ სისტემაში.

მიუხედავად ასეთი განმარტებისა, არასწორად მივიჩნიეთ კონსტიტუციაში მსგავსი ფორმულირება. საფუძველი ამ მოსაზრებისა არის ის, რომ, ჩვენი აზრით, სიტყვა *ფორმირება* პიროვნების ცხოვრებაში უკანონო ჩარევას გვაგულისხმებინებს, პიროვნების ნების თავისი შეხედულებისამებრ ფორმირების უფლება კი არცერთ პოლიტიკურ პარტიას არა აქვს.

საბოლოოდ, ჩვენი შენიშვნის პათოსი გაიზიარეს, სიტყვა *ფორმირება* ამოღებულია და ჩანაცვლებულია სიტყვებით: *ჩამოყალიბება* და *განხორციელება*: *„პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში“.* თუმცა, დამეთანხმებით, ამ ცვლილებით წინადადების არსი დიდად არ შეცვლილა. ჩვენი აზრით, სიტყვებს *ჩამოყალიბებასა* და *ფორმირებას* შორის დიდი არსობრივი განსხვავება არ არის და ამიტომ, ამ ჩანაცვლებას ვერ განვიხილავთ ახალ ფორმულირებად. თუმცა, სიტყვის *განხორციელების* დამატებით თითქოს, უფრო მეტი წონა შეემატა პოლიტიკური პარტიების საქმიანობას.

მე-5 მუხლთან დაკავშირებული შენიშვნა ეხებოდა თანდებულის არასწორ გამოყენებას: *„სახელმწიფო ზრუნავს... პრინციპების განმტკიცებისათვის... ეკონომიკური განვითარებისათვის“*.

შენიშვნა გათვალისწინებულია და თანდებული *-თვის* ჩანაცვლდა თანდებულით *-ზე.*

„სახელმწიფო ზრუნავს... პრინციპების *განმტკიცებაზე...* ეკონომიკურ *განვითარებაზე*“.

აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში თანდებული *-ზე* სწორად არის გამოყენებული: „სახელმწიფო ზრუნავს ... დაცვაზე... უზრუნველყოფაზე“. თუმცა, კონსტიტუციაში არის ერთი მუხლი *(მუხლი 51. საქართველოს პრეზიდენტის ფიცი, უფლებამოსილების შეწყვეტა, იმუნიტეტი, შეუთავსებლობა და უფლებამონაცვლეობა),* რომელშიც არ გასწორდა აღნიშნული შეცდომა და პრეზიდენტის ფიცში *-თვის* თანდებული დარჩა: „თანამდებობის დაკავების წინ, არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი მიმართავს ხალხს და დებს ფიცს: „მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა *უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის*, ჩემი ხალხისა და მამულის *აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის*“.

მე-15 მუხლში, რომელიც მოგვიანებით შეტანილი ცვლილებისა და დამატებების გამო ამჟამად წარმოადგენს მე-18 მუხლს, მოვითხოვეთ სიტყვა *კერძოს* შეცვლა სიტყვა *პირადით:* „...ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა *კერძო* საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე“.

არგუმენტად გამოვიყენეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში სიტყვების – *პირადისა* და *კერძოს* – გამოყენების მაგალითები: *პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, პირადი საიდენტიფიკაციო კოდი, მონაცემთა აშკარად პირადი მიზნებისათვის დამუშავება, მონაცემთა დამუშავება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეების განხილვის მიზნით, პირადი ჩხრეკა.* იმავე კანონში ასევე ბევრჯერ მოიხსენიება სიტყვა *კერძო*: *კერძო დაწესებულება, კერძო სექტორი, კერძო სამართლის იურიდიული პირი.* შესაბამისად, ადამიანის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ პირადი ხასიათისაა. შენიშვნა გაზიარებულია - მუხლი 18(3): „...ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომე-

ლიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა *პირად* საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე“.

ჩვენი შემდეგი შენიშვნა ეხებოდა 43-ე მუხლს, რომლის სათაურია: *პარლამენტის წევრის კითხვა და ინტერპელაცია.* საინტერესოა, რას ნიშნავს *ინტერპელაცია*, აქვს თუ არა ქართული შესატყვისი და რამდენად გამართლებულია მისი დამკვიდრება და ქვეყნის პირველ კანონში მისი გამოყენება?

ჩვენი არგუმენტის თანახმად, ზმნა interpellate ნიშნავს „შეკითხვის დასმას/შეკითხვით მიმართვას/მოთხოვნის გაგზავნას“ (სხვადასხვა ინგლისურენოვანი ლექსიკონების მიხედვით), ხოლო მისი არსებითი სახელი interpellation (ინტერპელაცია) – „საპარლამენტო შეკითხვას“ (იურიდიული ლექსიკონი 2012: 389), „დეპუტატის შეკითხვას“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი).

დამატებით არგუმენტად მოვიშველიეთ ციტატა პარლამენტარ ირაკლი სესიაშვილის წიგნიდან („ჯარი და დემოკრატია: პერსპექტივები ქართული ჯარის დემოკრატიზაციის გზაზე“ 2006): „*ინტერპელაცია*, როგორც „სადეპუტატო მოთხოვნა - კლასიკური საპარლამენტო სისტემის გამოხატულებაა ინფორმაციის მიღების პროცედურებითა და კონტროლის განხორციელებით“. წიგნში აღნიშნულია, რომ სამხედრო სფეროში *ინტერპელაცია* მიმართულია რომელიმე სამხედრო მმართველისადმი და ითვალისწინებს იმის გარკვევას, თუ რა გააკეთა მისმა ქვემდებარე უწყებამ ან რა გაკეთდა ზოგადი პოლიტიკის სფეროში. ინტერპელაციას ორი უმთავრესი მახასიათებელი აქვს: პირველი, განაპირობებს საერთო დებატებს და, მეორე, განაპირობებს პოლიტიკურ სანქციას. ინტერპელაცია ყველაზე ეფექტური პროცედურაა იმ თვალსაზრისით, რომ სამხედრო მმართველებს იძახებენ პირდაპირი ანგარიშისათვის.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა *ინტერპელაცია* ასევე შეტანილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში და განმარტებულია, როგორც „წერილობითი შეკითხვა პარლამენტის წევრისა (ან წევრთა ჯგუფისა) მთავრობისადმი რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამო“. აქვე მოცემულია და განმარტებულია სიტყვები: *ინტერპელანტი* - „პარლამენტის წევრი, რომელსაც ინტერპელაცია შეაქვს“, *ინტერპელირება* „ინტერპელაციის შეტანა“. სიტყვა *ინტერპელაცია* ასევე გვხვდება ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში, როგორც პოლიტიკური ტერმინი. მეტი სიზუსტისთვის, საინტერესოა საქართველოს პარლამენტის თავ-

მჯდომარის ა. თალაკვაძის განმარტება ინტერპელაციის მექანიზმთან დაკავშირებით: „რეგლამენტის თანახმად, ინტერპელაციის მექანიზმი კონკრეტულ კითხვაზე პასუხით და მხოლოდ ამ კითხვაში მოცემული საკითხის განხილვით შემოიფარგლება“.

როგორც ჩანს, ამ ტერმინს რამდენიმე განმარტება აქვს: „საპარლამენტო შეკითხვა“, „სადეპუტატო მოთხოვნა“, „დეპუტატის შეკითხვა“, „წერილობითი შეკითხვა“. ქართული ენის სიწმინდისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ თავის დროზე სიღრმისეულად გაიაზრებდნენ უცხო სიტყვის მნიშვნელობას და *ინტერპელაცია* ჩანაცვლდებოდა რომელიმე ქართული შესატყვისით. ზოგიერთი უცხოური ლექსიკონის განმარტებათა მიხედვით ზემოთ ჩამოთვლილ შესატყვისებთან ერთად, ვფიქრობთ, ასევე მისაღებია *საპარლამენტო დაკითხვა თუ გამოკითხვა* (parliamentary questioning=interpellation).

ჩვენი აზრით, ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში ენის სპეციალისტებთან შეთანხმებით ამ საკითხის ქართული ენის სასარგებლოდ გადაწყვეტა და 43-ე მუხლის სრულად გაქართულება სავსებით შესაძლებელი იყო, თუმცა ჩვენი შენიშვნა არ გაითვალისწინეს და დარჩა ტერმინი *ინტერპელაცია*.

ტერმინ *ინტერპელაციისგან* განსხვავებით, სიტყვის *კონტრასიგნაციის* ამოღებას კონსტიტუციის ტექსტიდან დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, რაც მისასალმებელია. ჩვენი შენიშვნა ამ სახისა იყო: 53-ე მუხლში ინგლისურიდან შემოსული სიტყვა countersignature (*კონტრასიგნაცია)* ნიშნავს „უკვე ხელმოწერილ დოკუმენტზე დამატებით მეორე ხელმოწერის დასმას“, ანუ „თანახელმოწერას“. სრულიად შესაძლებელია ინგლისური სიტყვის ამოღება და ქართული *თანახელმოწერით* ჩანაცვლება *(შენიშვნა გაზიარებულია).*

შესაბამისად, ამ მუხლის სათაურში და დანარჩენ ტექსტში უცხო სიტყვა *კონტრასიგნაცია* ჩანაცვლდა *თანახელმოწერით* და *თანახელმოწერილით.* ამ ცვლილებით წერტილი დაესვა მთლიან საკანონმდებლო სივრცეში *კონტრასიგნაციის* გამოყენებას.

გვქონდა კიდევ რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც არ გაიზიარეს, თუმცა, ზემოხსენებული ცვლილებებიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ მოქალაქეობრივი ვალის მოხდა არასოდეს არ არის გვიანი და უდროო. მიგვაჩნია, რომ მაშინდელი გადაწყვეტილება, ჩავრთულიყავით ამ საქმიანობაში მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენთვის არავის უთხოვია, გამართლებულია.

როგორც ამ მაგალითებიდანაც ჩანს, ქართულ საკანონმდებლო ტექსტებს ახასიათებს ტერმინოლოგიური, სტილისტური და სხვა სახის ხარვეზები, რომლებიც გამოსასწორებელია. მათგან განსაკუთრებით გამოვყოფდით იურიდიულ ტერმინოლოგიას. ცხადია, არასწორი, დაუზუსტებელი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა აზრს უცვლის კანონს, ენობრივი ნორმების დარღვევის, უმართებულო ფორმების დანერგვის მიზეზი კი ხშირად უხეირო თარგმანია.

სამწუხაროდ, იურიდიული ინგლისურის მაღალკვალიფიციური მთარგმნელები, რედაქტორები, იურისტ-ტერმინოლოგები დღეს საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია და, შესაბამისად, მთარგმნელობითი სფერო კვალიფიციური იურიდიული მთარგმნელ-რედაქტორებისა და იურისტ-ტერმინოლოგების ნაკლებობას განიცდის. ჩვენი კანონმდებლობის გარდა, წინ გველის ევროკავშირის რეგულაციების ათი ათასობით გვერდის თარგმნა. თუ არ შემუშავდება ამ მიზნისთვის განკუთვნილი სპეციალური სასწავლო გეგმა და პროფესიონალი მთარგმნელ-რედაქტორების და იურისტ-ტერმინოლოგების ინტენსიური თეორიული და განსაკუთრებით, პრაქტიკული მომზადება, კვლავ გაგრძელდება ხარვეზიანი ქართული ტექსტებისა თუ ტერმინოლოგიურად გაუმართავი ინგლისური თარგმანების მიწოდება.

როგორც ცნობილია, ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანომდებლობასთან დაახლოების პროცესს განსაზღვრავს ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული, ტაქტიკური, ოპერაციული და ფინანსური გადაწყვეტილებების ერთობლიობას. ამ პროცესის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ევროკავშირის კანონმდებლობის თარგმნა და ტერმინოლოგიის უნიფიცირება.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონმდებლობის ამა თუ იმ სფეროში უკვე დამკვიდრებული ან დასანერგი ტერმინების სწორად გამოყენება და მათი ერთგვაროვანი აღქმა როგორც ხელისუფლების ორგანოების, ასევე საქმიანი წრეებისა და საზოგადოების მხრიდან. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია, თავდაპირველად შეიქმნას ნორმატიული განმარტებითი ლექსიკონები დარგების მიხედვით, რომლებშიც თავმოყრილი იქნება შესაბამის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინების ქართულ-ინგლისური შესატყვისები და მათი განმარტებები. საბოლოოდ, უნდა მოხდეს დარგობრივი ნორმატიული ლექსიკონების გაერთიანება და დიდი ნორმატიული ლექსიკონის მომზადება და გამოცემა, რაც გაუ-

ადვილებს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს რთული და კომპლექსური ნორმატიული ენის გაგებას.

დასასრულს, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი მოცულობის და შინაარსის ლექსიკონი, რომლის ენობრივი სისწორე შეთანხმებული არ იქნება ენის სპეციალისტებთან, ვერ ჩაითვლება აკადემიურ გამოცემად და სანდო წყაროდ. ამიტომ დახვეწილი და გამართული ნორმატიული ტერმინოლოგიის ბაზის შესაქმნელად გადამწყვეტია ურთიერთთანამშრომლობა და შეთანხმებული მოქმედება.

ლიტერატურა

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონი №2071 - ვებგვერდი, 02.04.2018წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

იურიდიული ლექსიკონი 2012 – იურიდიული ლექსიკონი, გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული, წიგნი გამოცემულია GIZ-ის პროგრამის „სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში“ მიერ, თბილისი.

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, ელექტრონული ვერსია - https://dictionary.ge/ka/search/?q=interpellation&o=e

სამხედრო 2006 – ჯარი და დემოკრატია: პერსპექტივები ქართული ჯარის დემოკრატიზაციის გზაზე [სარედ. კოლ.: ირაკლი სესიაშვილი, შალვა თადუმაძე (ავტ.), კახაბერ კაციტაძე, ია გამყრელიძე (რედ.)] - [თბ. : ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“].

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ელექტრონული ვერსია – http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php

ქეოლ – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ელექტრონული ვერსია - http://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php

ექსპრესნიუსის სტატია – https://expressnews.com.ge/index.php?id=80684&utm_campaign=shareaholic&utm_medium=facebook&utm_source=socialnetwork

Nana Gogia
State Language Department, Georgia
nanagogia22@gmail.com

Keywords: Legal terminology, The draft constitution, Grammatical, Stylistic and terminological corrections.

For Linguistic Analysis of the New Constitution of Georgia

Summary

Following the 2016 October parliamentary elections, the Parliament of Georgia initiated a process of comprehensive constitutional amendments. The parliamentary resolution of 2016 established the State Constitutional Commission with the task of drafting a new constitution providing for full compliance of the Constitution with fundamental constitutional law principles.

Thanks to many years of experience in translation in the legal field, we decided to carefully review the new draft law and evaluate it professionally. Finally, the results of our review, which included grammatical, stylistic and terminological corrections, we forwarded to the Office of the Speaker of Parliament and the Parliamentary Committee on Legal Affairs. As a result, our remarks were discussed first in a working format, then at a plenary session in Kutaisi and finally, most of the corrections were reflected in the draft constitution.

Our comments, which were shared, included the mention of "the state borders" in singular, the correct use of prepositions, the contextual replacement of the word "private" with the word "personal", the replacement of the foreign word "countersignature" with the Georgian equivalent, as well as other grammatical, some stylistic and terminological corrections. Unfortunately, various mistakes are observed both in English and Georgian translation of legal texts which is mainly due to the confusion of translators in terminology.

The fact is that professional legal translators, editors and lawyer-linguists or terminologists are in demand in Georgia today. This means

that the translation market is experiencing a lack of qualified legal translators/editors and lawyer-linguists or terminologists. As you know, we have to translate many pages of the EU laws. Unless a specific curriculum is developed for this purpose and a practical training of professional translators/editors is completed, we'll have both defective Georgian texts and terminologically defective translations into English.

როზეტა გუჯეჯიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
rgujejiani@gmail.com

საკვანძო სიტყვები: მახვში, საგლეხო რეფორმა, ეთნოგრაფიული ტერმინები.

ტერმინ *მახვშის* სემანტიკური ტრანსფორმაციის სოციოკულტურული ასპექტები

სტატია „ტერმინ *მახვშის* სემანტიკური ტრანსფორმაციის სოციოკულტურული ასპექტები“ არის ცდა სოციალური ტერმინის გენეზისის, მისი ისტორიული მნიშვნელობისა და სიტყვის სემანტიკის ეტაპობრივი ტრანსფორმაციის ანალიზისა.

ეთნოგრაფიული ტერმინი *მახვში* ხშირად გამოიყენება სვანეთის ყოფაში და, ამავე დროს, ის ფართოდაა გავრცელებული მთელ საქართველოშიც პატივსაცემი ადამიანის ეპითეტად, რაც თავისთავად მეტად დადებითი ფაქტია – კარგია, როდესაც სვანური, ჭანური, მეგრული, ფხოვური თუ ა.შ. სიტყვა შემოდის და მკვიდრდება სალიტერატურო ქართულში და ამით მდიდრდება ჩვენი ენა.

როგორია ამ ტერმინის პირვანდელი არსი და მისი შინაარსის მოკლე ისტორია?

ეთნოგრაფიული მასალის ანალიზით, ტერმინი *მახვში* პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნავდა ოჯახის თავს, პატრონს. გვიანი შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის წყაროებით ტერმინი *მახვში* (სხვა რამდენიმე ტერმინთან ერთად, როგორებიცაა: *ფუსდ*, *ფუსტ* და ა. შ.), გვხვდება ბალსქვემო სვანეთის მთავრების – დადეშქელიანების ეპითეტადაც. გავიხსენოთ, ცნობილი ხალხური ლექსი, რომელშიც აღწერილია უშგულელთა მიერ ფუთა დადეშქელიანის კოლექტიურად მკვლელობის ისტორია. ლექსში ფუთას ეწოდება *მახვში ფუთა*, ანუ მფლობელი, პატრონი ფუთა: *„იმ ხეტკენჩალდ მახვში ფუთას“* (რას ებრძვით მახვშ ფუთას) (სვანური პოეზია 1939: 114-116).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს ტერმინი ხშირად გვხვდება სვანეთის მკვლევართა და მოგზაურთა ჩანაწერებში. ამავე პერიოდის მკვლევართა ნაშრომებსა და ჩანაწერებში ტერმინს ენიჭება ახალი

მნიშვნელობა – იგი გვევლინება სინონიმად ახალი კანონმდებლობით ჩამოყალიბებული თემის/საზოგადოების მმართველისა, ანუ ძველ ტერმინს ნაწილობრივ ენიჭება ახალი სოციალური მნიშვნელობა, ახალი სტატუსი და ადგილი, რაც აისახება იმ დროისათვის მთელ მსოფლიოში გავრცელებული გადმონაშთების თეორიის სქემაშიც. ჩვენს დროში ტერმინი *მახვში* კვლავ ცოცხალი სიტყვაა და, როგორც ადრე, ახლაც ნიშნავს ოჯახის უფროსს, მაგრამ, ამასთან, სიტყვა *მახვში* ხშირად ძირითადადაც ეპითეტად იხმარება როგორც სვანეთში, ასევე საერთო სალიტერატურო ქართულში, კერძოდ, მასმედიით, პოლიტიკოსთა მიერ, ასევე, პოეზიასა და პროზაში.

ლინგვისტიკური ანალიზით, „*მახუში* სვანურის ყველა დიალექტში ფართოდ გავრცელებული და ხშირად სახმარი სიტყვაა. ნიშნავს „უფროსს“, „ხელმძღვანელს“... მახვში წარმოქმნილი სახელია. მასში ადვილად გამოიყოფა ძირი *ხოშა* („დიდი“) და აფიქსები მა-ი. თავის მხრივ, *ხოშა* აგრეთვე წარმოქმნილი ზედსართავი სახელია, წარმოდგენილი შედარებითი ხარისხის ფორმით“ (ჭუმბურიძე 1997: 172-173).

ეთნოგრაფიული მასალით, სვანეთის ტრადიციულ ყოფაში, *მახვში*, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ერქვა ოჯახის უფროსს ანუ მეპატრონეს კომლისა/ოჯახისა, ოჯახის თავს. ძირითადად, *მახვში* ოჯახის თავი/უფროსი მამაკაცია, მაგრამ ოჯახის თავი, შესაძლოა, ყოფილიყო მანდილოსანიც, მამაკაცის გარდაცვალების ან მისი სახლიდან შორს ყოფნის დროს. ასე იყო მთელ საქართველოში. საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში (/ლოკალურ-ტერიტორიულ ერთეულში) რამდენიმე სხვა ეთნოგრაფიული ტერმინიც მოგვეპოვება ოჯახის უფროსის აღმნიშვნელად: *ოჯახის თავი*, *სახლის დიდი*, *თავი კაცი*, *სახლის უფროსი* და სხვ. არის დიასახლისის აღმნიშვნელი ტერმინებიც, მაგალითად, სვანეთში *ხოშა ზურალ* (უფროსი ქალი), *დიხსალ* (დიასახლისი), ლაზები ოჯახის უფროს მანდილოსანს სახლის ბურჯად აღიქვამენ: *ოხორჯა* („ოხორი“ სახლია, „ჯა“ – ხე) (ვანილიში 1979: 117) და სხვ.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სვანეთის ტრადიციული ყოფა არ მოითხოვდა *მახვშის* ხანდაზმულობას ან უხუცესობას ოჯახში. გვაქვს მაგალითები, როდესაც ოჯახს მართავდა საშუალო ასაკის, მაგრამ კარგი სამეურნეო უნარ-ჩვევებით გამორჩეული მამაკაცი, ზოგჯერ კი – დედაკაციც.

ისტორიულად ცნობილია, რომ სვანეთი ცალკე საერისთავო იყო ანტიკური ხანიდან მთელი განვითარებული შუა საუკუნეების განმავლობაში. ქვეყნის დაშლის შემდეგ კი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში ჩამოყალიბდა სვანეთის სამთავრო, რომელიც მეთვრამეტე საუკუნიდან სამ ნაწილად დაიშალა: ქვემო სვანეთად, ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთად. 1847-1853 წლებში ბალსზემო სვანეთი ეტაპობრივად შეიერთა რუსეთის იმპერიამ, თუმცა მმართველობის რუსული ფორმები იქ კიდევ დიდხანს ვერ დამყარდა. შემდეგ რუსეთმა შეიერთა ბალსქვემო სვანეთიც. 1859 წელს ზემო სვანეთი ერთ საბოქაულოდ გააერთიანეს. ხოლო 1867 წელს ზემო და ქვემო სვანეთიც გაერთიანდა ერთ საბოქაულოდ, რომელიც ლეჩხუმის მაზრის უფროსს დაუქვემდებარეს (გასვიანი 1975). ამ დროიდან უკვე მიმდინარეობს სვანეთის მოქცევა რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით ჩარჩოებში (ბენდიანიშვილი 1970). სვანეთში, როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საგლეხო რეფორმის მზადებასთან ერთად იწყება ქართული სოფლის ტრადიციული სოციალური სტრუქტურის რეორგანიზაცია, საიდანაც იღებს სათავეს ტერმინ *მახვშის* სოციალური შინაარსის ტრანსფორმაციაც და თანდათანობით ტერმინი ახალ შინარსს იძენს: რუსული კანცელარიის საბუთებში *მახვშად* იწერებოდა ის ადამიანი, რომელზედაც იყო კომლი გაფორმებული, ანუ ტერმინმა ერთგვარი ინსტიტუციური მნიშვნელობაც კი შეიძინა (გასვიანი 1975).

1861 წლის დებულების მიხედვით, კავკასიაში, მათ შორის, საქართველოშიც, უნდა დამყარებულიყო რუსეთში არსებული სათემო-სასოფლო მმართველობის ანალოგიური მმართველობის ფორმა. 1865 წელს მეფისნაცვალმა მ. რომანოვმა დაამტკიცა სათანადო დებულება, რომლის საფუძველზეც საგლეხო რეფორმის განხორციელების შემდეგ მთელ საქართველოში ახალი სასოფლო მმართველობა უნდა დაარსებულიყო. დებულების თანახმად, სოფლის საზოგადოებრივ მმართველობას უნდა დაკისრებოდა ყველა ის ფუნქცია, რომელიც რუსეთში სათემო-სასოფლო მმართველობას ევალებოდა, ე.ი. სოფლის მმართველობას ადმინისტრაციულთან ერთად, სამეურნეო საქმეების გამგებლობაც ევალებოდა. სოფლის საზოგადოების ორგანო უნდა შემდგარიყო სასოფლო კრებისა და მისი მმართველი პირებისაგან. სოფლის საზოგადოების უმაღლესი ორგანო *გლეხთა ყრილობა* უნდა ყოფილიყო. აღმასრულებელი ხელისუფლება მამასახლისს ენიჭებოდა, ხოლო მართლმსაჯულებისა – სასამართლოს. სასოფლო საზოგადოე-

ბის შტატი უნდა განსაზღვრულიყო მისი შეხედულებისამებრ იმ პირობით, რომ ადმინისტრაციული აპარატის ხარჯი მოსახლეობისაგან აკრეფილი სახსრებით დაიფარებოდა. სასოფლო მმართველობის აპარატის შტატში ირიცხებოდნენ მამასახლისი და მისი ქვემდგომი ერთეულები (გასვიანი 1975: 20-24).

ამ დრომდე სვანეთის ყოფით ცხოვრებას არეგულირებდა ქართული *ჩვეულებითი სამართლის სვანური წაირსახეობა,* რომელსაც ბალსქვემოთ და ქვემო სვანეთში ახორციელებდა ადგილობრივი თავადაზნაურობა, ბალსზემოთ კი თავისუფალი მეთემეები – სათემო ეკლესიების „თავსდებობითა და შუვამდგომლობით“ (ჩარკვიანი 1967, გელოვანი 2003, გუჯეჯიანი 2008).

1869 წელს სვანეთში ეს რეფორმები განხორციელდა. ჩატარდა სასოფლო საზოგადოებების არჩევნებიც, რომელშიც მონაწილეობდა სოფლის ყველა ოჯახის უფროსი (მახვში), აირჩიეს მამასახლისები და მათი თანაშემწეები. აქედან მოყოლებული სვანეთში სასოფლო-სათემო საზოგადოების უმაღლესი ორგანო გახდა ყრილობა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა ყოველი ოჯახის უფროსი. ყრილობის უფლებებში შედიოდა თემის თანამდებობის პირთა არჩევა, ოჯახის გაყოფაზე ნებართვის გაცემა, საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მცირე გადასახადების დაწესება, უპატრონოდ დარჩენილთა მიმართ მეურვეობა, მავნე პირთა სოფლიდან გაძევების თაობაზე საკითხის დასმა, გადასახადების კომლობრივი გადანაწილება დ ა.შ. ყრილობის გადაწყვეტილება მისაღებად ითვლებოდა, თუ მას სოფლის *მახვშთა* ნახევარი ესწრებოდა. ამავე წელს დააარსეს სათემო სასამართლოებიც: მოსამართლე და სოფლის თავკაცები (გასვიანი 1975: 25).

რეფორმის ეტაპები რეალურად არის აღწერილი იმ წლებში სვანეთში მცხოვრები მღვდლის, ლაზარე დადუანის (დადვანის), ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში (დადუანი 1973). მღვდელი ლაზარე დადუანი ხსნებულ რეფორმასთან ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას, პროცესის თვითმხილველია და ამიტომაც მის წერილში რეფორმის შედეგი არ არის გაიგივებული ადგილობრივ ქართულ სოციალურ კულტურასთან, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით, კერძოდ, ერთი ათეული წლის შემდეგ, იწყება ტერმინ *მახვშის* ტრადიციული სემანატიკის უმართებულო შინაარსით მიწოდება მკითხველისათვის, რაც განპირობებულია მკვლევარ-მოგზაურთა დაშვებული შეცდომით. ტერმინის უკვე ტრანსფორმირებული შინაარსი ასახულია კოვალევსკის, დუბროვინის, მამაცოვის, ხოლო შემდეგ უკვე ივანიუკოვისა და დე-

გენ-კოვალევსკის, დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის (რომლის რუსული თარგმანიც გამოაქვეყნა რაფიელ ერისთავმა), ეგნატე გაბლიანის და სხვათა ნაწერებში. მივიღეთ ასეთი მოცემულობა: იმპერიული რეფორმის შედეგები – სასოფლო ყრილობა, მამასახლისის ინსტიტუტი, სასოფლო სასამართლო და ა. შ. გაიგივებულია ადგილობრივ ქართულ სოციალურ *სამართლებრივ* სისტემასთან, კერძოდ კი, კონკრეტულ სტრუქტურასთან – სათემო-ტერიტორიული ხალხური თვითმმართველობის ფორმასთან და ამ კონტექსტში ოჯახის წინამძღოლის, მეპატრონის, ერთგვარი მენეჯერის – *მახვშის* – ფუნქცია და როლი გათანაბრებულია რეფორმით შექმნილ *მამასახლისის* ინსტიტუტთან.

კონკრეტული მაგალითები: 1880-იან წლებში რეფორმიდან ათწლეულებია გასული და სვანეთის ყოფის აღმწერი დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე უკვე არსებულ, შედარებით ახალ, ანუ ნოვაციურ ელემენტებს აიგივებს ქართული ყოფის ტრადიციულ მახასიათებლებთან, ფაქტი მიაჩნია შორეული წარსულიდან მომდინარედ და სვანური ჩვეულებითი სამართლის ნაწილად, რაც ძალიან შორს დგას სინამდვილისაგან. შემდეგ იგივე თეზა უცვლელად მეორდება ეგნატე გაბლიანისა და რუსუდან ხარაძის მონოგრაფიებსა და ცალკეულ სტატიებში და ა. შ. მაგალითად, „სასოფლო ყრილობა იყო უზენაესი ინსტანცია სვანურს იურიდიულს წესთ-წყობილობაში. სასოფლო ყრილობა დაბოლოვებით ათავებდა საზოგადო საქმეებს; არავის არ აძლევდა თავის მოქმედების ანგარიშს... ყრილობას დიდი, რთული და მრავალგვარი უფლება ჰქონდა; იგი *მახვშის* (მამასახლისი) თავსმჯდომარეობით აჰყრიდა მოსახლეს, ერთს ან მეტს, გადასწვავდა მისს სახლ-კარს, განდევნიდა საზოგადოებიდან მავნე პირს...“ (ნიჟარაძე 1962: 85-89). შემდეგ ჩამოთვლილია რამდენიმე კონკრეტული ძველი ფაქტი და ძველი ამბავი და რუსეთის მიერ გატარებული სასოფლო რეფორმის შედეგები, ერთმანეთში არეული (ნიჟარაძე 1962:85-89). დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე ამ თემას წერილის შემდეგ ქვეთავში უფრო განავრცობს და დეტალურად აღწერს *მახვშის,* არა როგორც ოჯახის უფროსის, არამედ, როგორც ლოკალურ ჯგუფში არჩეული ხელისუფლის ფუნქციას: „სიტყვა *მახვში,* სვანურად ჰნიშნავს უფროსს, მეუფროსეს, თითქმის იმავე მამასახლისს. იგი იყო სასოფლო ყრილობის თავმჯდომარე და ამ გვარად მისი როლი ბევრად წააგავს როლს რესპუბლიკის პრეზიდენტისას, რასაკვირველია, განსხვავებით. *მახვშს* ირჩევდნენ უვადოდ და თუ იგი კარგი გამოდგებოდა, ეს თანამდებო-

ბა შერჩებოდა მას ღრმა სიბერემდის. უვარგის მახვშს კი ფიცხლავ გამოსცვლიდენ ხოლმე ყოველს ჟამს, თუნდა წლამდინაც. მახვშის არჩევანში მონაწილეობის უფლება ჰქონდა მინიჭებული ყველას, ვინც კი სრულ-წლოვანი იყო...“(ნიჟარაძე 1962: 90). ძირითადად, ასეთი შინაარსის ტექსტები გვხვდება ზემოთ ჩამოთვლილ სხვა მკვლევარ-მოგზაურთა წერილებშიც. ეს ტენდენცია გაგრძელდა საბჭოთა პერიოდშიც და ადრეული საბჭოთა დროის ცალკეულ ეთნოგრაფიულ სტატიებში უცვლელად მეორდება ყოფის სოციალური ელემენტების ხელოვნური არქაიზაციის მოტივები (მაგალითად, რ. ხარაძის შრომებში).

ცნობილია, რომ სამართალმცოდნე მაქსიმ კოვალევსკი, ისტორიულ-შედარებითი სკოლის თეორიული დასკვნებისა და გადმონაშთების თეორიის საფუძველზე, მეცხრამეტე საუკუნისათვის ქართველ მთიელთა ყოფაში არსებულ სოციალური და სულიერი კულტურის ელემენტებს მექანიკურად აიგივებდა განვითარების ადრეულ, კერძოდ, გვაროვნული თემური წყობილების გვიანდელ საფეხურთან... სამწუხაროა, რომ მისი ეს დასკვნები კრიტიკის გარეშე მიიღო იმდროინდელმა სამეცნიერო სამყარომ. მოხდა ხელოვნური არქაიზაცია სვანეთში არსებული ხალხური თვითმმართველობის ფორმებისა და რეფორმის შედეგები გაიგივდა ტრადიციულ კულტურასთან. საბოლოოდ, ერთმანეთში აირია ტრადიციული მახვშის როლი და ფუნქცია და იგი გაუთანაბრდა სვანეთის სასოფლო თემში ოფიციოზის მიერ გატარებული რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებულ *მამასახლისის* როლსა და ფუნქციას.

ქართველ მეცნიერთაგან პირველმა ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა საკითხი მაქსიმ კოვალევსკისეულ სქემებში ქართული ყოფის ჩასმის არამართებულობის თაობაზე. ამ პრობლემას მეცნიერი განიხილავს „ქართული სამართლის ისტორიის“ წინასიტყვაობაში (1927 წლის 11 დეკემბერი). ივანე ჯავახიშვილი წერს: მაქსიმე კოვალევსკი და პროფ. ლეონტოვიჩი „კავკასიელთა თანამედროვე ზნე-ჩვეულებებში პირველყოფილი სოციალური ცხოვრების კვალს ეძებდნენ, მთელი კვლევა-ძიების უდიდესი ენერგია ამ პირველყოფილობის ძებნაში ილეოდა... მაგრამ რამდენადაც „უკულტურო“ და უმწერლობო ტომთა და ერთა სამართლის შესასწავლად კვლევის ასეთი მეთოდი ერთადერთი შესაძლებელი გზა არის, იმდენად მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მწერლობის მქონებელი ერის სოციალური ისტორიის შესწავლა მარტო ამ გზით უტყუარსა და ნაყოფიერ შედეგს ვერ მოგვცემს. ერის თანამედროვე ზნე-ჩვეულებათა სათანადოდ გამოყენე-

ბისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭირო“ (ჯავახიშვილი 1982: 14).

ქართველთა ისტორიული განვითარების დინამიკის კვლევის არაობიექტური, სქემატური მიდგომის კრიტიკას ივანე ჯავახიშვილის შემდეგ შეუერთდნენ ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ჩიტაია, მიხეილ გეგეშიძე, გერონტი გასვიანი. მათგან გერონტი გასვიანმა კონკრეტულად *მახვშისა* და სასოფლო რეფორმის საკითხი გააანალიზა. მან საისტორიო წყაროების საფუძველზე აჩვენა რუს და ქართველ სამართალმცოდნეთა და ეთნოგრაფთა ხსენებული კონკრეტული მოსაზრების მცდარობა. გერონტი გასვიანმა საისტორიო წყაროებისა და ეთნოგრაფიული ყოფის ურთიერთმიმართების საფუძველზე დაასკვნა, რომ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში *მახვშობა* არ იყო არჩევითი ინსტიტუტი, არამედ *მახვში* გახლდათ ოჯახის წაძღოლის უნარის მქონე, კარგი მენეჯერი, ქართული ჩვეულებითი სამართლის მცოდნე და მეურნე ადამიანი და ეს სტატუსი გამოხატავდა იმგვარ სოციალურ როლსა და ფუნქციას, რომ ეს ტერმინი გარკვეულ კონკრეტულ ეტაპზე გაიგივდა რუსეთის მიერ გატარებული რეფორმით წარმოქმნილ *მამასახლისის* სოციალურ როლთან (გასვიანი 1975: 18-34).

ივანე ჯავახიშვილისა და შემდეგ გერონტი გასვიანის მიერ გამოიკვეთა პრობლემა – კვლევის მეთოდოლოგიის გადასინჯვის აუცილებლობა. სწორედ კვლევის მეთოდოლოგიის თავისებურება იწვევდა მკვლევარ-მოგზაურთაგან ისტორიული ჭრილის უგულებელყოფას და ცდომილების შედეგს: XIX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან ოფიციალური სტრუქტურების მიერ ჩამოყალიბებული სასოფლო თემისა და მისი მმართველობის ფორმების გაიგივებას ქართულ სასოფლო-ტერიტორიულ თემთან და რაც კიდევ უფრო არაობიექტურია, მის გადატყორცნას შორეულ წარსულში და გვაროვნული წეს-წყობილების გადმონაშთურ ნიმუშად წარმოჩენას.

ჩვენი მხრივ, შევეცდებით ამ აზრის განმტკიცებას:

ცნობილია, რომ სოციოლოგიური, გადმონაშთების თეორიისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ერთგვარი სინთეზი ერთადერთი აღიარებული და ცენზურის მიერ დაშვებული სწავლება და კვლევის მეთოდოლოგია იყო საბჭოთა კავშირში, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. ამ ტიპის კვლევებში სრულად უგულებელყოფილი იყო ისტორიზმის პრინციპი. ყოფაში არსებული ფაქტების ვერტიკალურ თუ დიაქრონიულ ჭრილში ანალიზის ნაცვლად, კულტურის ფაქტები მიიჩნეოდა სტატიკურ, დროში უცვლელ რელიქტებად,

ანუ გადმონაშთებად. მკვლევარ-მეცნიერებმა „დააძველეს“ რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული *მამასახლისის* სასოფლო ყრილობისა და სათემო სასამართლოს ისტორია და ამავე კონტექსტში ჩასვეს ტერმინი *მახვშიც*. ოჯახის ტიპური უფროსის ფუნქციის მქონე ტერმინი მიიჩნიეს გვაროვნული საფეხურიდან მომდინარე გადმონაშთად და საქართველოს მთიანეთს, კერძოდ, სვანეთს დააკარგვინეს მთელი ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების მონაპოვრები, თითქოს სვანეთის საზოგადოების ცხოვრებაში მთელი ოცდაათსაუკუნოვანი ისტორია, ყოფის სოციოკულტურული დინამიკა არც კი არსებულა.

საგულისხმოა, რომ ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის სკოლის ფუძემდებელი გიორგი ჩიტაია ხაზგასმით ასაბუთებდა *გადმონაშთების* კვლევის დროს ისტორიზმის გათვალისწინების აუცილებლობას: „ხალხში შემონახული გადმონაშთი არ არის გაქვავებული სახით მოცემული მოვლენა, სავსებით ისეთივე სახისა, როგორც ეს ბუნებაში მოცემული მოვლენა არის. არამედ საზოგადოებაში შემონახული გადმონაშთი არის ვირულენტური. ასე თუ ისე, ცოცხალი, ამა თუ იმ სიცოცხლის მატარებელი მოვლენა, რომელსაც თავისი წარმოშობის დროიდან სხვადასხვა ეპოქაში მრავალი დანალექი, მრავალი დანამატი შეიძლება ჰქონდეს, მისი წარმოშობის დღიდან შემონახვის მომენტამდე. ამ ვითარების გაუთვალისწინებლად გადმონაშთის გამოყენება გადმონაშთის კვლევისათვის არ იქნებოდა სავსებით მართებული“ (ჩიტაია 2001-ა: 39).

გიორგი ჩიტაია სხვა არაერთ ნაშრომშიც აკრიტიკებს კონკრეტულ მეცნიერთა სქემატურ მიდგომას ქართული ყოფისადმი. მაგალითად, გ. ჩურსინის ნაშრომის შესახებ ის წერს: „მისი შრომების მთავარი ნაკლია წინასწარ გამომუშავებული ნორმების მორგება კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეზე და კომპლექსური მეთოდის უგულებელყოფა“ (ჩიტაია 2001-ბ: 24).

ვფიქრობ, რომ სწორედ ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომით უნდა გაანალიზდეს სვანეთში გვიან თავჩენილი ხალხური თვითმმართველობის ფორმები და კონკრეტულად კი *მახვშის* სოციოკულტურული ფუნქცია. ჩვენი აზრით, გარდა იმისა, რომ ტრადიციული *მახვშის* (ოჯახის თავკაცის) ფუნქცია არ შეიძლება გაიგივდეს სოფლის მამასახლისის ფუნქციასთან, ასევე, შეცდომაა კონკრეტული ოჯახის უფროსის, ანუ, *მახვშის* მიჩნევა მთელი საგვარეულოს უფროსად. ყოველი ოჯახი თავის ცხოვრებას თავისით გაანგებდა, სხვა საქმეა, რომ ხანდაზმული, გონიერი და გამოცდილი თანასოფლელის ან

მოგვარის აზრს ითვალისწინებდნენ ამა თუ იმ ყოფითი პრობლემის მოგვარების დროს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში რაიმე ძალაუფლებისა და ინსტიტუციაონალური უფლებამოსილების მქონე *მახვში* არ გახლდათ. ასეთი იყო რეფორმით მიღებული *მამასახლისის* (/მახვშის) თანამდებობა.

როგორც უკვე ითქვა, ტერმინ *მახვშის* სემატიკა ფრიად გაფართოვდა ამ რეფორმის შემდეგ და იგი ხშირად გამოიყენებოდა რეფორმით ჩამოყალიბებულ თანამდებობის პირთა აღსანიშნავად. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ტერმინი *მახვში* ბევრად ადრეც გვხვდება ეპითეტად წყაროებში, მაგალითად, ეპითეტის სახით იგი გვხვდება სვანურ ხალხურ პოეზიაში, სადაც ზოგჯერ მთავარსაც, კერძოდ, დადეშქელიანთა სამთავრო სახლის რომელიმე თავკაცს, ზოგჯერ – წევრსაც მიესადაგებოდა.

საინტერესოა შემდეგი ფაქტიც: ქართველი საზოგადოება მუდამ იყო მკითხველი, წიგნიერი საზოგადოება და, ბუნებრივია, რომ იგი ეცნობოდა ეთნოგრაფიულ ლიტერატურასაც, ამიტომ უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისიდან სვანი მთხრობელები ჰყვებიან წაკითხულის შინაარსს, გვაწვდიან ინფორმაციას ბესარიონ ნიჟარაძის სტატიებიდან, ეგნატე გაბლიანის სტატიებიდან... რის შედეგადაც ფართოდ მკვიდრდება ცოდნა *მახვშის*, როგორც მძლავრი სოციალური ინსტიტუციის არსებობის შესახებ და იგი გაიგივებულია გვაროვნული საზოგადოებრივი წყობილებიდან მომდინარე გადმონაშთთან. ასეთი არამართებული ინტერპრეტაცია ხშირად გვხვდება მასმედიაშიც. ეს სრულიად ბუნებრივია. ამიტომ ჩვენს დროში აუცილებელია დამსახურებულ წინამორბედ მეცნიერთა დასკვნების მეორეული ანალიზი, ფაქტების თავისუფალი კვლევა და ქართულ სინამდვილეში შემონახული ყოველი სოციოკულტურული ფაქტის ანალიზი ისტორიული განვითარების დინამიკის გათვალისწინებით.

ლიტერატურა

ბენდიანიშვილი 1970 – ალექსანდრე ბენდიანიშვილი, სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

გასვიანი 1975 – გერონტი გასვიანი, რუსეთთან შეერთება და სასოფლო მმართველობის შემოღება სვანეთში, – მაცნე ისტორიის.. სერია, ნომ.3, თბილისი.

გელოვანი 2003 – არჩილ გელოვანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, „ეგრისი“, თბილისი.

გუჯეჯიანი 2008 – როზეტა გუჯეჯიანი, ქართველთა ჩვეულებითი სამართალი, კრ., ქართველთა ეთნიკური კულტურის საკითხები, „უნივერსალი“, თბილისი.

დადუანი 1973 – ლაზარე დადუანი, კრებული „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, შეადგინეს გ. ავალიანმა და გ. ზურაბიანმა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ვანილიში 1979 – მუხამედ ვანილიში, ლაზთა საოჯახო ყოფის ისტორიიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VII, თბილისი.

ნიჟარაძე 1962 – ბესარიონ ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

სვანური პოეზია I 1939 – მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის, II, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურიამ, მერი გუჯეჯიანმა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქარ. ფილიალის გამომცემლობა, თბილისი.

ჩარკვიანი 1967 – ალექსანდრე ჩარკვიანი, სვანეთი, „მეცნიერება“, თბილისი.

ჩიტაია 2001-ა – გიორგი ჩიტაია, ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი, შრომების ხუთტომეული, ტ., IV, საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში, „სვეტები“, ტომი გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ წერეთელმა და თამილა ცაგარეიშვილმა, „მეცნიერება“, თბილისი.

ჩიტაია 2001-ბ – გიორგი ჩიტაია, XX ს. ქართული ეთნოგრაფია. საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, მეთოდოლოგია, შრომების ხუთტომეული, ტ., III, ტომი გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ წერეთელმა და თამილა ცაგარეიშვილმა, „მეცნიერება“, თბილისი.

ჭუმბურიძე 1997 – ზურაბ ჭუმბურიძე, სვანური მახუში („უფროსი“), ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, „მეცნიერება“, თბილისი.

ჯავახიშვილი 1982 – ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ქართული სამართლის ისტორია, ტომი VI, თბილისი.

Rozeta Gujejiani
Ivane Javakhishvili Tbilisi State Univesity, Georgia
rgujejiani@gmail.com

Keywords: Makhvshi, Social reform, Ethnographic terms.

Socio-Cultural Aspects of the Semantic Transformation of the Term "Makhvshi"

Summary

The article is an attempt to analyze the genesis of the social term "makhvshi," its historical significance and the gradual transformation of its semantics.

The ethnographic term "Makhvshi" is often used in everday life in Svaneti, and at the same time is widely used throughout Georgia as an epithet for a respectable person.

What is the original essence of this term and its brief history?

According to ethnographic data, the term "makhvshi" literally meant "head, master of the family." In the late medieval and nineteenth-century sources, the term "makhvshi" (along with several other terms, e.g. "fusd" and "fust") is also used as an epithet for the Dedeshkelians, a certain group of Svanetian cheifs. This means that the original meaning of "makhvshi" is similar to the meaning of a head of the family in every part of Georgia. In the traditional life of Svaneti, it was not required for a "makhvshi" to be a senior or an elder in the family. There are several examples when the head of the family was a middle-aged male with special economic skills or in some cases even a female.

Starting in the second half of the nineteenth century, this term is often mentioned in the records of scholars and travelers. During this time, the term received a new meaning –and it was now referring to the heads of the communities, which were structured according to the new (Russian) legislation. Thus the old term partially gained a new social meaning.

The history of the issue is as follows: From 1865 onwards the Russian government has adopted a regulation that required the establish-

ment of a new rural governance throughout Georgia after the implementation of the peasant reform. According to this regulation, the public administration of the village was entrusted with all functions delegated to the community-rural government in Russia, i.e., the village administration was tasked with managing administrative as well as economic affairs. The village community body was composed of the village board and its governors. The supreme body of the village was considered to be the peasant congrees. Executive power was assigned to the head of the community (mamasakhlisi) and legal power to the court. The village community staff had to be determined at the discretion of the community itself. From that time on, the person who was elected as village manager was also called ”makhvshi”.

At the same time, the new status and content of the term “makhvshi” was reflected in the outline of survival theory that circulated around the world at the time: this new status of elected village manager was documented in the records of researcher-travelers and was generalized as an element of traditional Georgian culture – "Makhvshi", the head of the family.

Ever since the introduction of terminology in research and academic activities in Colombia, the concern about its potential has grown. The variety of research projects is proof of its great potential for the advance of science and knowledge organization. Nevertheless, much of these efforts has come from universities and professional network's initiatives. More effort has to be done in applying terminology work for the economic and social development of the country. This effort can not only come from the academic sector, since the benefits of language resources development and structured content by using terminology principles can help to achieve more accurate communication.

The influence of the prescriptive terminology approach to the Colombian terminology work development is clear and it has marked the development of the issue in this country. It is also very important to mention the fact that in Colombia the approach to terminology presen-

ted in this brief description has have wide audience among academics and professionals. Thought, this hasn't been the only approach to terminology since there are also research groups and academics educated in other terminology traditions.

Standardization processes are crucial to understand the development of terminology in Colombia. Not only because of its influence, but also because it has created a national identity in terminology work. The inspiration received by the activities and active participation of the Colombian delegation throughout the years have also fostered the creation of a national mirror committee at Icontec. This national mirror committee continuous to represent Colombia at the annual general meeting of ISO / TC37 and getting knowledge in terminology work and standardization. The creation of the technical national standard in translation services is a huge achievement in terms of the professionalization of these kind of services in the country and it was consequence of the work done in terminology standardization at the international level.

Much more work is still needed to explore the full potential of terminology work in achieving accurate communication in technical and scientific communities. Moreover, the application of terminology work in the national interest of economic internationalization is a key element. The establishment of terminology infrastructure mentioned by Colombian terminology experts require the harmonization of policies in the government sector. Without the political willingness it is almost impossible to push forward the implementation of terminology policies supporting the advance of national interest in a wide variety of subject fields.

Bibliography

Arntz, Reiner/ Picht, Heribert/Mayer, Felix: Einführung in die Terminologiearbeit /Studien zu Sprache und Technik, Vol. 2, OLMS, Hildesheim, 2004

Budin, Gerhard (1996), Wissensorganisation und Terminologie, Forum für Fachsprachen Forschung Vol. 28,Gunter Narr, Tübingen

Cardona, Bertha Nelly (1998) Red Colombiana de Terminología Colterm, Terminología, Desenvolvimiento e Identidad Nacional, en:

Memorias del VI Simposio Iberoamericano de Terminología, RiTerm, La Habana, pp. 331-338

Castrillón, Elvia Rosa (2003) La terminologie en Colombie, Portrait d'une discipline, Montreal, Dpl MA

Diaz, Vasquez, Juan Carlos (2010), Doctoral thesis, University of Vienna

ISO 704:2000 (second edition), Terminology work – Principles and methods

ISO/FDIS 860:2007 (E), Terminology work – Harmonization of concepts and terms

ISO 10241:1992, International terminology standards – Preparation and layout

ISO 10241-1:2005, Terminological entries in standards – Part 1: General requirements

ISO 10241-2:2006 Terminological entries in standards – Part 2: Localization of International Terminology Standards

ISO 15188: 2001(E), Project Management guidelines for terminology standardization

ISO 12615: 2004 (E), Bibliographic references and source identifiers for terminology work

ISO 15188: 2001(E), Project Management guidelines for terminology standardization.

ISO/WD 29383: 2002 Terminology Policies

ISO 3166-1, Codes for the representation of names of countries and their subdivisions – Part 1: Country codes

ISO/FDIS 639-5: 2008 (E/F), Codes for the representation of names of languages – Part 5: Alpha 3 code for language families and groups

Laurén, Christer/Myking, Johan/Picht, Heribert: Terminiologie unter der Lupe/ Vom Grenzbiet zum Wissenschaftszweig, TermNet, Viena, 1998

Plested, María Cecilia, Giraldo, Blanca Stella (2008) Normalización terminológica para el Sistema Nacional de Ciencia y Tecnología, en: VII Simposio Iberoamericano de Terminología, Riterm, Lisboa, 2000a, (en línea) disponible en: http://www.riterm.net/actes/7simposio/plested.htm (Acceso: 5 de abril de 2008).

Plested, María Cecilia: Formato Colterm, Base de datos, Grupo de Investigación en Terminología y Traducción GITT, Escuela de Idiomas, Universidad de Antioquia, 2000b, (en línea), disponible en: http://idiomas.udea.edu.co/~gitt/formato_COLTERM.pdf (Acceso: 19 de febrero de 2006).

Quiroz, Gabriel (2002) La Terminología en Colombia, Panorama general y algunas pautas históricas, en: Terminometro 6, la terminología en los países andinos, pp. 3-6.

Wright, Sue Ellen/Budin, Gerhard: Handbook of Terminology Management/ Basic Aspects of Terminology Management, vol. 1, John Benjamins, Amsterdam/Philadelphia, 1997

ხუან კარლოს დიაზ ვასკეზი
ანტიოქიის უნივერსიტეტი, კოლუმბია
jdiazva@eafit.edu.co

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგიური მუშაობა, ტერმინოგრაფია, დარგობრივი ტერმინოლოგია.

ტერმინოლოგიური მუშაობის ისტორიული მიმოხილვა

რეზიუმე

წინამდებარე თეზისში წარმოდგენილია სხვადასხვა ფაქტორის გავლენით ტერმინოლოგიური მუშაობის ცვლილებისა და ჩამოყალიბების მოკლე მიმოხილვა. ამგვარ ფაქტორთა შორისაა ტერმინოლოგიური მართვის, ლექსიკოგრაფიისა და ტერმინოგრაფიისადმი – ტერმინოლოგიურ მუშაობასთან დაკავშირებული ცნებების მიმართ – განსხვავებული მიდგომების შემეცნებითი განხილვა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და მათი გავლენა ტერმინოლოგური მუშაობის მეთოდებსა და ეტაპებზე. ტერმინოლოგიის მართვის მეთოდოლოგიური საკითხების განსახილველად ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება მოკლედ შევეხოთ ამ თემის მიმართ ორი მიდგომის განვითარების გზას. ერთი მხრივ, ეს არის ლექსიკოგრაფია ზოგადად; იგი განიხილე-

ბა იმ ენობრივ საშუალებათა წყებად, რომლებიც უზრუნველყოფს კონკრეტულ დარგთაშორის ურთიერთობის სწორად წარმართვას. მეორე მხრივ, ტექნიკური ენებისათვის განკუთვნილი ლექსიკოგრაფია, რომელიც იქცა დარგობრივ ლექსიკოგრაფიად, მოგვიანებით კი – ტერმინოგრაფიად (Lauren, Myking, Picht 1998: 304). ამ ორმა მიდგომამ, რომლებიც ტერმინოლოგიური მართვის მეთოდოლოგიას აღწერს, განაპირობა ტერმინოგრაფიისა და დარგობრივი ლექსიკოგრაფიის გამიჯვნა. ტერმინოგრაფია ხშირად მიიჩნევა ისეთ ტერმინოლოგიურ მუშაობად, რომლის ამოცანაცაა ტერმინოლოგიური წყაროების მოსამზადებლად, ლექსიკონების შესაქმნელად, დასანერგავად თუ ტერმინოლოგიური რესურსებისგან მათ გასამიჯნავად პროფესიონალთა მიერ სხვადასხვა დარგში გამოყენებული მეთოდებისა და ეტაპების აღწერა. ტერმინოგრაფიაში კომპიუტერული სისტემის განვითარებამ შექმნა ახალი ტერმინები, მაგალითად, კომპიუტერული ტერმინოგრაფია, რომელსაც არნზტი, პიჩტი და მეიერი ასე განსაზღვრავენ: „ის დაკავშირებულია ტერმინოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თეორიასთან, რომელიც მოიცავს საგანგებო ეტაპებს ტერმინოლოგიური მონაცემების შესაკრებად, მოსამზადებლად, დასაჯგუფებლად და წარსადგენად"; ხოლო კომპიუტერულ ტერმინოლოგიაზე მუშაობას განმარტავენ შემდეგნაირად: „... ეს არის სათანადო მომზადება, ტერმინოლოგიის მართვა და შესაბამისობის დადგენა ერთ ან რამდენიმე ენაზე, რაც ეფუძნება ტერმინოლოგიისა და კომპიუტერული ტერმინოგრაფიის თეორიაში ჩამოყალიბებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს" (Arnzt, Picht, Mayer 2004: 229). ტერმინი ტერმინოლოგიური მართვა მეტად გავრცელებულია დარგის სპეციალისტთა შორის, რამდენადაც მას გარკვეული უპირატესობები აქვს სხვა ტერმინებთან, კერძოდ, ტერმინოგრაფიასა და ტერმინოლოგიურ მუშაობასთან, თუმცა ამით არ უარვყოფთ, რომ ეს უკანასკნელნიც ასევე გამოიყენება (Wright, pudding, 1997: 2). ტერმინოლოგიური მართვის ერთ-ერთი ამგვარი უპირატესობაა ათწლეულების განმავლობაში ინჟინრების, ქიმიკოსების, ბიოლოგებისა და სხვათა ტერმინოლოგიური გამოცდილების თავმოყრა. ეს გამოცდილება მოიაზრებს ტერმინოლოგიური მონაცემების სისტემურ თავმოყრას და მათ ასახვას დარგობრივ ლექსიკონებში, ტერმინოლოგიურ კრებულებსა თუ ბაზებში, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს წერილობით თუ ზეპირ თარგმანსა და დარგთაშორის ურთიერთობებს (Wright, Budin 1997: ibíd.)[1].

იამზე ვაშაკიძე
კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი
iamzevashakidze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ქართული ტერმინოლოგია XIX სუკუნეში, XIX საუკუნის ქართული პრესა.

XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესა ტერმინთშემოქმედების შესახებ

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში აქტიურდება გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ ფონზე მოწინავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა სამწიგნობრო ენა, კერძოდ, ისეთი საეტაპო მნიშვნელობის საკითხები, როგორებიცაა: სალიტერატურო ენის ერთიანობა, საორიენტაციო სტილის განსაზღვრა, უცხო სიტყვებისადმი დამოკიდებულება, სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება და სხვ. ამ თემებზე მსჯელობა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ პერიოდულ გამოცემებში, რომელთაც ანტიქართული პოლიტიკისა და მკაცრი ცენზურის პირობებში იტვირთეს სამწიგნობრო ენის უფლებების აღდგენისათვის ბრძოლის, მისი გადარჩენისა და განვითარების საპასუხისმგებლო ფუნქციის შესრულება (ილია 1987: 204-207; ვაშაკიძე 2009: 37-38).

აღნიშნული მოვლენების ცენტრში დგას მოწინავე ქართველი საზოგადოება ი. ჭავჭავაძის მეთაურობით. ი. ჭავჭავაძის ტერმინოლოგიური მუშაობა მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი (ვაშაკიძე 2009); ამჯერად ჩვენს მიზანია მისი პერიოდის ტერმინთშემოქმედების ისტორიის ზოგადი სურათის ასახვა, შესაბამისად, აქ მხოლოდ მოკლედ ვიტყვით: ი. ჭავჭავაძემ თავის პუბლიცისტურ წერილებში წინ წამოსწია ეროვნული მეცნიერული ენისა და ლიტერატურის სისტემატიზაციის საკითხი; მან მოწინავე რუს და ევროპელ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით, შეისწავლა სხვადასხვა დარგი, იმუშავა სპეციალურ ლექსიკაზე და განავითარა ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებსაც დაეყრდნო იმდროინდელი და მომდევნო პერიოდის ტერმინთშემოქმედება.

XIX საუკუნის II ნახევრის პრესაში არაერთგზის იწერება ანტიეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის მესვეურთაგან ქართული სამეცნიერო ენის დევნის შესახებ (ვაშაკიძე 2009: 29-40). ცნობილია, როგორი მძაფრი რეაქცია მოჰყვა ქართველი საზოგადოების მხრიდან 1880 წლის აგვისტო-სექტებერში ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა ყრილობაზე სიტყვით გამოსული გორის საოსტატო სემინარიის რექტორის – სემიონოვის – განცხადებას, თითქოს შეუძლებელი იყო ქართულ ენაზე საგნების სწავლება ტერმინოლოგიის არქონის გამო. ყრილობაზევე სემიონოვის წინააღმდეგ სიტყვით გამოვიდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: მ. ღამბაშიძე, კ. ლორთქიფანიძე და ბ. ფხაკაძე („დროება“ 1880, N 208: 2-3); ასევე „დროების“ 1880 წლის N 209-ში დაიბეჭდა საპასუხო წერილი „ბ. სემიონოვის პედაგოგიური აზრები“ (გვ. 1-2), ხოლო N 212-ში – რაფიელ ერისთავის წერილი „რაოდენათ მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს?“ წერილი ერთგვარი გამამხნევებელი შეძახილიცაა ქართული სამეცნიერო ენის ქომაგთათვის: ავტორი „გალექსილ თუ პროზად დაწერილ“, „სამღვთო თუ საერო წიგნებზე“ დაყრდნობით საუბრობს XII საუკუნისა და „აღორძინების“ პერიოდის მიღწევებზე სამეცნიერო ენაში; სხვადასხვა დარგის სპეციალური ლექსიკის მიმოხილვის საფუძველზე იგი ასკვნის, რომ ქართულ ენას საკმაოდ მკვიდრი საფუძველი ჰქონდა მეცნიერული ლიტერატურის შემუშავებისათვის და „სასესხებლად არ გახდომია“ ბევრი ტერმინი, რომლებიც თუნდაც რუსულში მხოლოდ ლათინური ან სხვა ენიდან ნასესხობის სახით იყო.

გამარუსებელი პოლიტიკის წარმომადგენელთა მხილების კვალდაკვალ, პრესაში საუბარია ქართული განათლების მძიმე, არასახარბიელო მდგომარეობაზე, რომ ქართულ მეცნიერებასა და კულტურას აღნიშნულ პერიოდში არ ჰქონია „არც საზოგადო პოლიტიკური მნიშვნელობა, არც ნივთიერი ძალ-ღონე და შემლება, არა სჭერია მეთაურობისა და თაოსნობის ადგილი, ...არ ჰქონია მინიჭებული არავითარი პატივი, არავითარი სავალდებულო საზრუნებელი, არც არავითარი უფლება“ („კვალი“ 1893, N17: 13)[1]; შესაბამისად, პრობლემურ სა-

[1] იხ., ასევე: „ცისკარი“ 1865, N 6: 41, „ივერია“ 1884, N 5: 126; 1886, N 6: 3-4; N 29: 3... 1902, N 115: 1; N 125:3; „კვალი“, 1893, N 22: 13; N 25,:14; „დროება“ 1878, N 263; 1881, N 33; „მეურნე“ 1895, N 7-10: 3; „განათლება“ 1914, N 4,: 312,

კითხად არის წამოჭრილი სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება, როგორც ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ქართული ენის უფლებების აღდგენისათვის ბრძოლაში.

აღნიშნული პერიოდის ქართული პრესის მუშაკები დგანან სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის სადარაჯოზე; ამას მოწმობს მათ პუბლიკაციებში მოცემული გამაფრთხილებელი, ზოგჯერ რადიკალური განცხადებები ბარბარიზმების, ასევე, ენის დემოკრატიზაციის შედეგად, სალიტერატურო ენაში შემოჭრილი დიალექტიზმების, ზოგადად, ტერმინოლოგიური პრობლემების შესახებ. იმ აქტუალურ საკითხთა შორის, რომლებიც ჯერ კიდევ 50-60-იანი წლების ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე განიხილებოდა, გამოვყოფთ უცხო სიტყვებისადმი დამოკიდებულებას. მაშინდელი საზოგადოების პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. ნაწილი მხარს უჭერს უცხო სიტყვების სესხებას; მაგ., მათ *ზომიერ შემოტანას* ეთანხმებიან დიმიტრი ბაქრაძე, ივანე კერესელიძე, ფადეი ბობილევი და სხვები. დ. ბაქრაძის თანახმად, „ყოველი საუკუნე და ყოველი ისტორიული მოპოება, იდეათა და წესდებულებათა შეცვლა“ მოითხოვდა ახალ ცნებათა გამომხატველ გამოთქმებს; ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვები იყო „უცხო თესლთ ლექსების“ შემოტანა ქართულში („ცისკარი“ 1860, N8: 331-332). მოგვიანებით იგივე აზრი გამოთქვა დ. ყიფიანმა (ყიფიანი 1882:62-63).

გაზეთ „Кавказ“-ის რედაქტორი ფადეი ბობილევი წერილში „კვლავ ქართული ლიტერატურის შესახებ“, რომელიც ამავე გაზეთის 1857 წლის N 92-ში დაიბეჭდა, ყურადღებას ამახვილებს *შეჩვევის მომენტზე* ახალი სიტყვის დამკვიდრებასთან დაკავშირებით (ხუციშვილი 1955: 108-109); ასეთ შემთხვევაში ნიკოლოზ ბერძენიშვილი საჭიროდ მიიჩნევს, „პირველ ხანებისთვის“ ახალ სიტყვას *მოკლე განმარტება* დაერთოს შენიშვნების სახით (ხუციშვილი 1955: 81).

ზომიერი სესხება, ახალი სიტყვის შეჩვევის მომენტი და ამ მომენტისათვის მოკლე განმარტების გამოყენება (შენიშვნების სახით) ახალი ტერმინის ენაში დამკვიდრების პროცესის ის აუცილებელი მახასიათებლებია, რომლებიც თავის დროზე გამოიკვეთა ძველ ქართველ მწიგნობართა ტერმინთშემოქმედებაში.

ალ. ორბელიანის წერილი ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ ივ. კერესელიძისადმი უცხო ტერმინის *თარგმნას* ეხება. წერილში იგრძნობა ავტორის ერთგვარი გაღიზიანება სიტყვა „კრიტიკის“ დაუზუსტებე-

ლი ქართული შესატყვისების სხვადასხვაგვარად თარგმნის გამო: „კრიტიკას“ თარგმნიან: ზოგნი გარკვევას, ზოგნი დაფასებას,ზოგნი გაკიცხვას, ზოგნი განსჯას და ზოგნი გარჩევას. ოჰო! თუ ამთენი სახელი ჰქვიან ქართულად კრიტიკას, ...კარგი დიდი და განიერი მაფრაშა ყოფილა, რომ ამთენი ჩვ ენი სახელი შიგ ეტევა!“ („ცისკარი“ 1857, N6: 63). წერილის ავტორის მიხედვით, ქართულ ენაში იყო უცხო ტერმინის მნიშვნელობის *ახსნა* და არა – *ზუსტი შესატყვისი.* ასეთ შემთხვევაში მართებულია ი. ჭავჭავაძის პასუხი, კერძოდ: ტერმინის ახსნა შესაძლებელი იყო სხვადასხვაგვარი ნიშნით (კრიტიკის შემთხვევაში ეს ნიშნებია: „განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც“), მაგრამ ზუსტი შესატყვისის – „ქართულს ენაზედ“ „თანასწორ მნიშვნელობის სიტყვის“ არქონის გამო არ იყო „დასაძრახისი“ განათლებული ხალხების გამოცდილების გაზიარება – უცხო ტერმინის სესხება (ჭავჭავაძე 1986: 31). ილია მართებულად თვლის, რომ ენაში ახალი სიტყვების შემოტანა არის ისტორიული აუცილებლობის შედეგი: „თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის ე.ი. აზრიანობა, გამსჯელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება“ (ჭავჭავაძე 1953: 472); „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებით ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს“ (ჭავჭავაძე 1956: 70).

რადიკალურად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას ირაკლი ლორთქიფანიძე, რომელიც ახალი სიტყვების შემოტანას „წაბაძვის“ ან „ძველი სიტყვების დავიწყების“ შედეგად მიიჩნევს; იგი მოუწოდებს საზოგადოებას, უცხო სიტყვების სესხების ნაცვლად დავიწყებული ძველი სიტყვები აღადგინოს: „ნაცვლად სალიტერატუროსა ვჰსთქვათ მეტყველებისა. ხოლო ნაცვლად ჟურნალისა ოქმი, ...ნაცვლად რედაკტორისა... მესტანბე ანუ აღმბეჭდველი, ნაცვლად პოეზიისა მოშაირობა და მოლექსეობა, ნაცვლად პროზისა წართქმა ანუ წარმოთქმით წერა, კრავატი შავსცვ ალოთ ცხედრად ანუ სარეცელად, კრესლო სავარძელად და ესრეთ შემდგომნი“ („ცისკარი“ 1857, ივლისი: 45).

როგორც ირაკლი ლორთქიფანიძის, ასევე ისე 60-იან წლებში თაობათა შორის გამართული პოლემიკის მონაწილე ბარბარე ჯორჯაძის, რევაზ ერისთავისა და სარდიონ ალექსიევ-მესხიევის წერილებში („ცისკარი“ 1861, წლის N 5-6) იკვეთება შემდეგი: საზოგადოების ერთი ნაწილს არ აქვს გაცნობიერებული სალიტერატურო ქართულში შემოჭრილი უცხო სიტყვების არაერთგვაროვნება, კერძოდ: ნაწილი (პოეზია, პროზა..) საერთაშორისო სიტყვებს წარმოადგენს, ნაწილი კი

(კრავატი, კრესლო) – რუსულ ლექსიკას. პრობლემას მეთოდოლოგიურად უდგება ი. ჭავჭავაძე, რომელიც მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან „საჭირო“ და „არასაჭირო“ სიტყვებს, თანამედროვე ტერმინოლოგიით – ნასესხობებსა და ბარბარიზმებს:

> „მე ოსტროვები, ლინიები და სხვა გარმიანული სიტყვები... ამისთვის დავძრახე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში და ისინი, რომელნიც ჩემს აპრილის სტატიაში მე მიხმარია (ესთეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვ. – ი.ვ.) ვერ იპოვიან თავიანთ მნიშვნელობის სიტყვებს... თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოღიკა და სხვანი მრავალნი. ეგ არა ხალხს არ დაეძრახება, ის ჰსცრუობს, რომელიცა ძრახავს მაგგვარ სიტყვების შემოტანას ენაში“ (ჭავჭავაძე 1991: 57).

ტერმინოლოგიის დარგში მოღვაწეთ გაცნობიერებული აქვთ, რომ ენის სიწმინდის დასაცავად სესხება უნდა მოხდეს ენაში არსებული ტრადიციული ლექსიკური მონაცემების გათვალისწინებით. ამ კუთხით, ირ. ლორთქიფანიძის მოწოდება არ კარგავს აქტუალობას მომდევნო წლებშიც; მაგ., რაფიელ ერისთავი თავის გამოცემულ ს. ს. ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ სჯობდა სწორედ ის დაძველებული და გაბუნდოვანებული სიტყვები განეახლებინათ და შემოეტანათ „ლიტერატურაში სახმარებლად“, ვიდრე სხვა ენას დასესხებოდნენ (ერისთავი 1884: 2). ანალოგიურად მსჯელობს პეტრე მირიანაშვილი წერილში „საერო ენა და სათემო კილო“: „თუ ენის სიწმინდით არის გამოწვეული ნამდვილი სიტყვის ხმარება... როცა თვითონ საგანიც უცხოა, პირდაპირ მოვალე ვართ, ვიხმაროთ შინაური ქართული უცნობი (ე. ი. ძველი, ხმარებიდან გამოსული – ი. ვ.) სიტყვა უცხო უცნობი სიტყვის მაგიერ, რადგან ორსავე შემთხვევაში სიტყვა უცნობი გამოდის. მაგ.: *ერესი, მწვალებლობა*“ (მირიანაშვილი 1888: 3).

ზემოაღნიშნული პოზიციის უშუალო გაგრძელებაა ის, რომ გაუცხოებული ძველი სამეცნიერო სიტყვები ისევე განემარტება საზოგადოებას, როგორც ახალი ნასესხობები – მიდგომა ანალოგიურია.

რამდენიმე მაგალითი მოგვყავს ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილებიდან:

„იქ მიწა *სახასოა*, ესე იგი საერთოა“ (ჭავჭავაძე 1956: 49); შდრ.:

„ბანკს თავისი *ფინანსები* აქვს, ესე იგი ფულად გამოხატული ქონება“ (ჭავჭავაძე 1956: 267).

„*საკომლო* ნიშნავდა ცალკე კომლის მიერ დაჭერილს და მის სამყოფს მამულსა და მამულის უდიდეს ზომასაც“ (ჭავჭავაძე 1956: 187); შდრ.: „სავაჭრო *ბალანსი* იმასა ჰქვიან, როცა შეწონილია შემოტანილის და გატანილის საქონლის ფასი“ (ჭავჭავაძე 1956-ა: 195).

„Исполнительный. *ხელისუფლება* სწორედ ამ მიზნით არის ხმარებული ჩვენს დასტურლამაში. აქედამ არის წარმომდგარი სიტყვა *მოხელე*. ...დასტურლამაში მეფის და მდივანბეგის განჩინების აღმასრულებელნი კაცნი საერთოდ *ხელისუფლად* წოდებულ არიან (ჭავჭავაძე 1956: 41); შდრ.: „*ფრიტრედეროობა* წარმომდგარია ინგლისური სიტყვისაგან Free trade და სიტყვა-სიტყვით რომ ითარგმნოს, ნიშნავს აღებ-მიცემობის თავისუფლებას“ (ჭავჭავაძე, 1956-ა: 327) და სხვ.

ახალი სიტყვების სესხების პარალელურად ძველი სიტყვების შენარჩუნების საჭიროებაზე მითითებულია „ივერიის“ 1897 წლის N 124-შიც: „ყოველი ახალი გამოკვლევა – სულ ერთია, ბუნების მოვლენათა შეეხება იგი თუ სხვა რასმე, – საჭიროებს ახალს სახელს, ახალს სიტყვას, მაგრამ ამავ დროს სამარისაკენ როდი ისტუმრებს ძველს სიტყვებს, თუნდაც ახლად გამოგონილი ტერმინი უფრო საგნის შესაფერად იყოს მონათლულ-სახელწოდებული“ (გვ. 3).

ახალი ცნებების დამკვიდრება პირდაპირ უკავშირდება ენის ლექსიკური და სიტყვაწარმოებითი საშუალებების მაქსიმალურად ამოქმედებასთან. ამის მაგალითებია ენაში უკვე არსებული ლექსიკური ერთეულებისთვის ახალი ტერმინოლოგიური მნიშვნელობის მინიჭება, სიტყვაწარმოება თუ კომპოზიცია და სხვ.; შდრ.:

ანალიზი – *ჭაშნიკი* (ჭავჭავაძე 1956-ა: 120);
ბუკეტი – *სუნი* (ჭავჭავაძე 1956-ა: 192);
სისტემა/მეთოდი – *ღონე* (ჭავჭავაძე 1956-ა: 192);
ეპიდერმისი – *ფერფლი* („კვალი“ 1893, N30: 15);
მანუფაქტურა – *ხელსაქნარობა* („სასოფლო გაზეთი“ 1870, N 13: 4);
გაზი – *ჰაერი /ჰაერგვარი* („სასოფლო გაზეთ“ 1870, N 9: 4)
/ჰაეროვანი („გუთნისდედა“ 1862, N20: 127-128);
ოქსიგენი – *მჟავის მშობი* („გუთნისდედა“ 1864, N7: 50);
ჟანგმბადი („მეურნე“ 1895, N10: 4; N28: 4);
მჟავბადი („განათლება“ 1914, N6: 78, 419);
ჟანგმბადე /ჟანგმანი (იქვე: 468)...

პარალელურად მითითებული უცხო სიტყვებისა და ქართული შესატყვისების სემანტიკა, ზოგი შემთხვევის გარდა, სრულად არ ფარავს ერთმანეთს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია უცხოენოვან მასალასთან ქართული მასალის გათანასწორების, ქართული სიტყვაწარმოებითი საშუალებების გააქტიურებისა და შესაფერისი ყალიბის ძიების ტენდენცია, რაც დამახასიათებელია, ზოგადად, XIX საუკუნის II ნახევრის ტერმინთშემოქმედებისათვის.

ანალოგიური მაგალითია უცხო ძირებისა და ქართული აფიქსების კომბინაციით ტერმინთა წარმოების თაობაზე გამართული პოლემიკა. მაგ., პეტრე მირიანაშვილი გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი პარიზიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში უცხო სიტყვებს უნარჩუნებს „ძირეულ ენის“ ფორმას, მაგ.: „გენიალ“, „სოციალ“, „ადმინისტრატივ“... („ივერია“ 1886, N12: 1); „ივერიის“ რედაქცია კი მსგავსი სიტყვებისათვის უპირატესობას ანიჭებს *-ებურ* ფორმანტით წარმოებას: „ჩვენის ფიქრით, შესაფერია ვიხმაროთ: გენიალ ანუ გენიოსურის მაგიერ *გენიოსებური,* სოციალ ან სოციალურის მაგიერ *სოციალებური*, ადმინისტრატივ, ანუ ადმინისტრატიულის მაგიერ *ადმინისტრატებური...* და მებრვე სხვანი“ („ივერია“ 1886, N12:1). „ივერიის“ რედაქციის არჩევანი სილოვან ხუნდაძემ გააკრიტიკა წერილში „გაზეთი „ივერია“ და მისი ენა“ (ხუნდაძე 1886:133).

ცალკე მსჯელობის საგანია უცხო ტერმინთა -ურ(/-ულ)-სუფიქსიანი წარმოების უმართებულო ფორმების გაჩენა, მაგ.: *დიდაქტიური* (შდრ.: დიდაქტიკური), *პროვინციალური* (შდრ.: პროვინციული), ასევე *ფონეტური* (შდრ.: ფონეტიკური), *მექანური* (შდრ.: მექანიკური), *ფიგურალი* (შდრ.: ფიგურალური) და სხვ. (ვაშაკიძე 2009: 176-178; 2016: 87).

უმაღლესი განათლების კერების არარსებობის პირობებში ქართული პრესა წარმოადგენს სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრს მეცნიერებით, ხელოვნებით, მრეწველობით, სოფლის მეურნეობითა და სხვადასხვა სფეროთი დაინტერესებული მკითხველისათვის. პრესის ფურცლებზე („გუთნისდედა“, „სასოფლო გაზეთი“, „ივერია“, კვალი“, დროება“, „მოამბე“...) ხშირად იბეჭდება თარგმნილი თუ ორიგინალური სამეცნიერო წერილები, ჩნდება პირველი ინფორმაცია აქამდე უცნობი ტერმინების შესახებ. არის აზრთა გაზიარებაც და ცხარე კამათიც სამეცნიერო ენის ამოცანებზე, პერსპექტივებზე. განათლებისა და ტერმინოლოგიის სფეროში არსებული პრობლემებიც პირველად აქ იჩენს თავს, კერძოდ: აშკარაა, რომ საზოგადოება ჯერ არ არის მზად

სამეცნიერო ნაშრომთა ენის გასაგებად. მაგალითად, გერმანელი ქიმიკოსის – ლიბიხის, თხზულების მიხედვით შემუშავებული ქართული სამეცნიერო სტატიის ავტორი შენიშნავს: „[ნაშრომის] პირ და პირ გადათარგმნა ქართულს ენაზე შეუძლებელია, რადგანაც უ. ლიბიხი ელაპარაკება თავის წიგნში იმისთანა მკითხველებსა, რომლებსაც უსწავლიათ ხიმია. ჩვენ მოგვიხდება ბევრი ადგილების შეცვლა, ზოგან შემოკლება, ზოგან ახსნა და განმარტება...“ („გუთნისდედა“ 1863, N 4: 27-28)[1].

იგივე პრობლემა იჩენს თავს ორიგინალური ქართული სამეცნიერო თხზულების გაცნობისას. მაგ., 90-იანი წლების პერიოდულ გამოცემებში („მოამბე“, „მეურნე“...) იბეჭდება ქართული ქიმიური ენის ფუძემდებლის – პროფ. ვასილ პეტრიაშვილის ნაშრომები მევენახეობა-მეღვინეობისა თუ მრეწველობის აქტუალურ საკითხებზე: „ღვინის დაყენება“ („მოამბე“ 1894, N1-12, II განყოფილება)[2], „სითბო და მისი სარგებლიანად მოხმარება მრეწველობასა და ოჯახში“ („მეურნე“ 1895, N7-10), „ლუი პასტერის ღვაწლი შესახებ ღვინის დაყენებისა“ („მეურნე“1895, N26-30), „რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება“ („მოამბე“ 1895, N1-3, II განყოფილება) და სხვ. ავტორი ერთ-ერთი ნაშრომის დასაწყისში მორიდებით შეახსენებს მკითხველებს: „წინადვე ბოდიშს ვიხდი... თუ ჩემმა წერილებმა... ზოგიერთი არ დააკმაყოფილა ქართული ენისა და ტერმინოლოგიის მხრივ. მე შეძლების დაგვარად ვცდილობდი, რომ ჩემი ნათქვამი ადვილად გასაგები ყოფილიყო“ (პეტრიაშვილი 1895:3)[3]. სამწუხაროდ, პრობლემა ვერც XX საუკუნის 10-იანი წლებისათვის გადაიჭრა („განათლება“ 1914, N 6: 414, სქოლიო).

სამეცნიერო წერილების ავტორები თუ მთარგმნელები დიდ წინააღმდეგობებს აწყდებიან *ტერმინოლოგიური ლექსიკონების არარ-*

[1] აქ გვახსენდება ე.წ. „კლება-შემატების“ მეთოდი, რომელსაც თავის დროზე ექვთიმე ათონელი (X–XI სს.) იყენებდა მკითხველისთვის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ნაშრომების უკეთ გასაცნობად (ვაშაკიძე 2009: 12-13).

[2] ნაშრომი ცალკეც გამოიცა 1895 წელს.

[3] პროფ. რ. ნიკოლაძის მოგონებებში დაცულია ცნობა პროფ. ვ. პეტრიაშვილის ტერმინოლოგიური ღვაწლის შესახებ, კერძოდ: ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი „მოამბეში“ ვ. პეტრიაშვილის ნაშრომების ბეჭდვისას ,,ხან ილიასთან, ხან აკაკისთან ერთად არჩევდნენ „ოდესის ბრძენის“ (ვ. პეტრიაშვილის – ი.ვ.) მიერ მათთვის მიცემულ დარიგებას სახელების სისტემატიურ შერჩევაზე, სიტყვების შემთხვევითი შეთხზვის ნაცვლად“ (ნიკოლაძე 1950: 72).

სეგობის გამო. მაგ., რაფიელ ერისთავის მიერ 1873 წელს ლათინურ-რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემასთან დაკავშირებით ჟურნალი „გუთნისდედა“ წერდა: „არამცთუ ბოტანიკური წოდებანი, და ყველა სამეცნიერო წოდებანი ჩვენ თარგმანებში გვაჩერებენ, რათგან ვერსად ვერ ვპოულობთ წოდებათ იმ ნივთთა და საგანთა, რომლისაც გადმოღება გვსურებია ჩვენ ქართული ენისათვის. ამგვარი ულექსიკონობა აძლევს დიდს დაბრკოლებას ქართულ ენაზედ რამე ბუნებით სამეცნიერო თხზულებათა და წიგნთა შეთხზვისა თუ გადმოღებისას“ („გუთნისდედა“ 1873, N 17: 7).

სამეცნიერო ენის ბაზის შესაქმნელად ფართო ხასიათი ეძლევა ლექსიკოლოგიურ და ლექსიკოგრაფიულ ძიებებს (მაგალითისთვის ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაც საკმარისი იქნებოდა (ვაშაკიძე 2009: 98-91). მუშავდებოდა გარკვეული სამოქმედო გეგმა; მაგ.: „დროების“ 1884 წლის N144-ში დაიბეჭდა რ. ერისთავის წერილი „აზრი სრულის რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენის თაობაზე“, რომელშიც წამოჭრილია ქართული ენის „უუსრულესი და უკილო“ ლექსიკონის შედგენის საკითხი. ამ აზრს „ივერიის“ 1888 წლის 21 ივლისის მოწინავე სტატიით გამოეხმაურა ა. სარაჯიშვილი (გაჩეჩილაძე 1959: 197).

იწყება კლასიკური ლექსიკოგრაფიული ნაშრომების გამოცემა: 1873 წ. დაიბეჭდა რ. ერისთავის ლათინურ-რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი, რომლის შევსებული რედაქციაც შეცვლილი სახელწოდებით „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“ 1884 წელს გამოვიდა; ამავე წელს რ. ერისთავის რედაქტორობით დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“; 1890 წელს დამთავრდა დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის სრული გამოცემა (12 წლის შემდეგ მისი გასრულებიდან; ლექსიკონი ნაკვეთებად იბეჭდებოდა, ალბათ, ამიტომაც გამოცემისთანავე მოძველებული აღმოჩნდა და მოწინავე საზოგადოების წინაშე დაისვა მისი ხელმეორედ გამოცემის საკითხი („ივერია“ 1897, N 118: 2); 1896 წელს კონსტანტინე ყიფიანის რედაქტორობით დაიბეჭდა „რუსულ-ქართული ლექსიკონი ასტრონომიისა, ზოოლოგიისა, მინერალოგიისა და სხვადასხვა ტერმინებისა და ტექნიკური სიტყვებისა“; სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე ცნობილია ლ. აღნიაშვილის, თ. სახოკიას რუსულ-ქართული ლექსიკონებისა და კ. ბაღაშვილის ქართულ-რუსული სასკოლო ლექსიკონის შესახებ (გაჩეჩილაძე 1959: 202).

აქტიურდება *დარგობრივ ტერმინოლოგიაზე* მუშაობა. პრესის ფურცლებიდან საზოგადოებას მოუწოდებენ, მონაწილეობა მიიღონ სპეციალური ლექსიკის შეკრებაში („დროება“ 1882, N 225: 2-3). იწყება არითმეტიკის, ფიზიკის, გრამატიკის, მოგვიანებით – მემცენარეობის, მესაქონლეების, მეფუტკრეობისა და სხვა დარგების ტერმინთა საჯარო განხილვა და პრესაში გამოქვეყნება („შრომა“ 1882, N 46: 3; „დროება“ 1882, N 225: 2-3; N 254: 1-3; N 258: 2; 1885, N187: 2-3; „მოსავალი“, 1911, N 9: 13...), რასაც მოსდევს პირველი სახელმძღვანელოების გამოცემა (ვაშაკიძე 2009: 111). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, აღნიშნული პერიოდის ორიგინალურ თუ თარგმნილ სახელმძღვანელოებში გამოყენებულ ტერმინებს ავტორთაგან უფრო შემოქმედებითი მიდგომის კვალი ეტყობა სისტემატიზებული ტერმინოლოგიის არარსებობის გამო (ღვინაძე 1984: 28).

საგაზეთო პუბლიკაციებში საგანგებოდ არის განხილული ტერმინოლოგიაზე მუშაობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები, კერძოდ: უნდა აღკვეთილიყო *საერთო აზრის გაუთვალისწინებლობა* – „მარტო თავის ქეიფზე“ მუშაობა ტერმინოლოგიაში; პასუხისმგებლობა უნდა ეტვირთა სპეციალურ კრებებსა და ლიტერატორთა ამხანაგობებს – მოეწვიათ *პროფესიული განათლების მქონე და სამწერლობო ენას დაუფლებული პირები,* ხალხური ენის, ძველი ტერმინების მცოდნეები, რომლებიც ითავებდნენ საჭირო მასალის შეკრებასა და დადგენას („დროება“ 1882 , N 258: 2; „კვალი“ 1893, N 22: 14; ასევე ,,განათლება“ 1914, N 6: 469 და სხვ.); ტერმინოლოგიური მუშაობისათვის „წინდაწინვე განსაზღვრული“ დაწვრილებითი *პროგრამისა* და *გეგმის* აუცილებლობაზე მიუთითებენ: დიმიტრი ყიფიანი თავის გრამატიკაში (ყიფიანი 1882: 62-63), სილოვან ხუნდაძე – წერილში „ქართული ლექსიკონი“ (ხუნდაძე 1895: 5), „განდეგილი“ – „მცირე შენიშვნაში“ („ივერია“ 1897, N 124: 3), იხ. ასევე „ცნობის ფურცელი“ 1897, N 226 (გაჩეჩილაძე 1959: 199).

საპროგრამო მნიშვნელობისაა ვ. ღამბაშიძის წერილი „ზოგიერთი მოსაზრებანი ქართული ენის სამეცნიერო ტერმინების შეკრების შესახებ და სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შედგენის გეგმა“, რომელშიც ერთგვარად თავმოყრილია ტერმინთშემოქმედებისათვის საშური ამოცანები, კერძოდ:

ა) ტერმინოლოგიურ ძიებებს უნდა მისცემოდა საყოველთაო ხასიათი, რაც გამოიხატებოდა „შრომის დანაწილებასა და საზოგადო ძა-

ლების დახმარებაში“;

ბ) უნდა შეეკრიბათ ძველი („წინად შემოღებული“) სიტყვები, რათა არ დარჩენილიყო „არხივებში ხავსმოდებულ“ სიტყვებად;

გ) შეედგინათ სამეცნიერო-ტერმინოლოგიური ლექსიკონები – თემატურად დაეყოთ მოძიებული მასალა, რომ დაბეჭდილიყო „დალაგებულ შეჯგუფულად და სახელმძღვანელოდ მოსამარჯვებლად“ („მწყემსი“ 1892 , N 15-16: 10-12).

წერილის ავტორის პოზიციას ავითარებენ: მოსე ჯანაშვილი წერილში „ქართველები და ქართული ენა“, რომელშიც გადაუდებელ ამოცანად არის დასახული ქართული ლექსიკოლოგიური მასალის შეკრება, აღნუსხვა და შესწავლა მეცნიერული მიზნებისათვის (ჯანაშვილი 1895:1-2) და პეტრე მირიანაშვილი წერილში „ქართული სიტყვის მოყვარეთა მიმართ“, რომელშიც დაზუსტებულია ტერმინოლოგიის ლექსიკური ბაზის შევსებისათვის აუცილებელი წყაროები: 1. ხალხის ცოცხალი მეტყველება; 2. ნაბეჭდი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები; 3. ძველი ხელნაწერები („ივერია“ 1900, N78: 2). პ. მირიანაშვილის წერილის კვალდაკვალ, „ივერიის“ 1900 წლის სხვადასხვა ნომერში, ახალი სალექსიკონო მასალები წარადგინეს: თედო რაზიკაშვილმა, ლადო ბზვანელმა (ვლადიმერ ნაცვლიშვილმა), ნიკო აბდუშელიშვილმა და სხვებმა (გაჩეჩილაძე 1959: 210).

აშკარაა, რომ ძველი მწიგნობრული ტრადიციის ანალოგიურად (მელიქიშვილი 1988: 133), ყურადღება ექცევა, ერთი მხრივ, *ხალხური მეტყველებიდან მომდინარე მასალას*[1], ხოლო, მეორე მხრივ, *ძველ სამეცნიერო ტერმინებს,* როგორც სპეციალური ლექსიკის შევსებისა და დაზუსტების წყაროს:

ი. ჭავჭავაძის წერილებში, რომლებიც მევენახეობა-მეღვინეობას ეხება, გამოიყოფა მთელი ჯგუფი ხალხური სასაუბრო კილოდან მომდინარე სიტყვებისა თუ შესიტყვებებისა, რომლებიც დღეს ტერმინოლოგიური ღირებულებისაა: *უკლერტო ჭაჭა, მშრალი და სველი ჭაჭა, ჩუმი დუღილი, დახურული და ახდილი დუღილი, მცქრალი ღვინო, ჭყაპურტა ღვინო//ჩიხირი, მოჭირებული ფერი, ხაშმის ჭია, ბოგანა ჭია* და სხვ. (ჭავჭავაძე, 1955-ა: 93-153); მათგან ზოგიერთი დღეს იშვიათად

[1] ეს საკითხი ასევე მჭიდროდ უკავშირდება ენის დემოკრატიზაციის პრობლემას, რომელიც გააქტიურდა 60-იან წლებში „მამათა“ და „შვილთა“ შორის გამართულ პოლემიკაში.

დასტურდება ცოცხალ მეტყველებაში, ასევე – დიალექტურ ტექსტებსა და ლექსიკონებში; ამდენად, თვალსაჩინოა მათი მნიშვნელობა ხალხის სასაუბრო კილოდან მომდინარე ლექსიკური მარაგის შევსებისა და დაზუსტებისათვისაც. იგივე ითქმის სიტყვაზე *საშაბათო* (= ნახევარი დღიური სახნავი), რომელიც ილიას მთის მეტყველებაში მოუძიებია და გამოუყენებია გერმანული morgen-ის (= დილის სახნავი (შუადღემდე) შესატყვისად (ჭავჭავაძე 1956:123).

არანაკლებ საყურადღებოა იაკობ გოგებაშვილის ტერმინოლოგიური მუშაობა; მაგ., მისი წერილი „სამი ტერმინი“, რომელიც „ივერიის“ 1898 წლის N 71-ში დაიბეჭდა (გოგებაშვილი 1990: 524), არის პასუხი მათთვის, ვინც ქართულ ენას სიღარიბეში სდებდა ბრალს. ავტორი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში წარმოდგენილი სამი რუსული სინონიმური ტერმინისათვის (Водопад, Пороги, Каскад) გვთავაზობს „მობაასეთაგან“ მოძიებულ ათამდე ხალხური შესატყვისიდან შერჩეულ ვარიანტებს (ჩახრიალა / წყალტეხილი, ჩანჩქერი, საჩქეფი):

> Водопад – უნდა ითარგმნებოდეს... ტერმინით *ჩახრიალა,* რომელიც იხმარება მთელ ქართლ-კახეთში, Пороги – *ჩანჩქერი* (წყალი მიჩანჩქარებსო, ამბობენ აქეთ საქართველოში, როცა მდინარე გადადის ქვებზედ), *Каскад* – საჩქეფი, რადგან მთაში ამ სახელს ეძახიან პატარა ნაკადულებს, რომელნიც ზევით მაღლობიდგან ქვემოთ ღელეში პირდაპირ ჩაშხივიან, ჰჩქეფენ. შეიძლება და კარგიც იქნება, თუ მთავარ-ტერმინებთან ვიხმართ, როგორც სინონიმებს, *ადგილობრივ სიტყვებსაც* (ხაზი ჩვენია – ი.ვ.) ამ სახით: ჩახრიალა ანუ *წყალტეხილი* და სხვანი“ (გოგებაშვილი 1990: 474; ვაშაკიძე 2009: 123-125).

სილოვან ხუნდაძის წერილში ,,ქართული ლექსიკონი“ ასევე ხაზგასმულია ხალხის მეტყველებაში შემონახული დიალექტური მასალის მნიშვნელობა ტერმინოლოგიაში არსებული ხარვეზის შევსებისა და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის სიზუსტით გადმოღებასთან დაკავშირებით: „ვისაც ჩვენ ლექსიკონთან საქმე ჰქონია, ყველა დარწმუნებულია, რომ იმას დიდი შემუშავება და შევსება ჰჭირდება ხალხის ცოცხალი სიტყვებით. განსაკუთრებით ბოტანიკურ-ზოოლოგიური. მათი ნაწილი მეტათ ღარიბია და გამოურკვეველი. ბევრი იმისთანა მცნებათა გამომხატველი სიტყვები არ არის შეტანილი ჩვენს ლექსიკონში, რომელიც აუცილებლად საჭიროა ჩვენივე სათარგნი ლიტერატურისათვის და რაიცა გაამდიდრებს ჩვენს ენას...“ („კვალი“

1895, N 8: 5).

ამავე თემას ეხმიანება ა. წერეთლის წერილი: „ზეპირსიტყვაობის გამო“, რომელიც „აკაკის კრებულში“ დაიბეჭდა 1897 წელს (წერეთელი 1990: 526); ავტორი მსჯელობს ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში დაცული ლექსიკური მასალის ტერმინოლოგიურ ღირებულებაზე, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იყო ლექსიკონების შედგენა როგორც „საზოგადოსი, ისე კერძოთ ზოოლოგიურის, ბოტანიკურის, მინერალოგიურის და სხვ. (წერეთელი 1990: 152)[1].

შენიშვნა: მოწინავე საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესის მიუხედავად, დიდხანს ვერ გადაიჭრა ხალხურ მეტყველებაში დაცული ლექსიკის მოძიება-შესწავლისა და მეცნიერული დანიშნულებით გამოყენების საკითხი, რომელსაც მოგვიანებით მთავარ ამოცანად უსახავს ქართულ ლექსიკოგრაფიას მწერალი კ. გამსახურდია თავის „ლექსიკოგრაფიულ შენიშვნებში“ (გამსახურდია 1985: 107-108).

დიალექტური ლექსიკის გააქტიურების მცდელობამ დღის წესრიგში დასვა სინონიმურ ფორმათა დადგენის, ენის ნორმირებისა და საორიენტაციო დიალექტების გამოჯვნის საკითხები. XIX საუკუნის II ნახევრის პრესაში აშკარად იგრძნობა მოწინავე საზოგადოების მზარდი ინტერესი „წმინდად შენახული ქართულისადმი“, რაც ცალკეული კილოური მეტყველების წინ წამოწევაში გამოიხატება, იქნება ეს იმერული (ს. ხუნდაძე), მოხეური (ვაჟა-ფშაველა), მესხური (პ.მირიანაშვილი) თუ სხვა (ძიძიგური 1957). ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა მოგვიანებით გრ. ყიფშიძესა და ს. ხუნდაძეს შორის გამართული პოლემიკა ჟურნალ „განათლების“ ფურცლებზე („განათლება“ 1911, N 8: 499; N 9: 566).

მოწინავე საზოგადოება ასევე აცნობიერებს ქართველი ერის „კეთილდღეობის“ ხანაში შექმნილი სპეციალური ლექსიკის მნიშვნელობას ტერმინოლოგიური მუშაობის შემდგომი წარმართვისათვის („შრომა“ 1882, N 45: 3); მაგ., ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი პირველი მიმართავს საზოგადოების ყურადღებას ეკლესია-მონასტრებში არსებული წიგნებისა და ხელნაწერებისკენ, რომლებიც, გამოუქვეყნებლობის გამო თანდათან ფუჭდებოდა და იკარგებოდა (ჭავჭავაძე 1987: 170). მის წერილში „საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი“ (დაიბეჭდა „ივერიის“ 1886 წლის N 159-ში) დასმულია ძველი

[1] ანალოგიურად არის საკითხი შეფასებული სხვა პერიოდულ გამოცემებშიც („დროება“ 1882, N 258: 2; „კვალი“ 1893, N 22: 14; „განათლება“ 1914, N6: 469...).

ხელნაწერების შეკრებისა და *კატალოგიზაციის საკითხი,* რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი პრესაში გამოქვეყნება–გადარჩენა და სამეცნიერო დანიშნულებით გამოყენება; ამ საქმეში პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მთელ საზოგადოებას – როგორც სამღვდელო პირთ, ისე „ერისკაცთ“ (ჭავჭავაძე 1987: 101). ამავე კუთხით, საყურადღებოა ი. ჭავჭავაძის ქაღალდებში მოპოვებული სიები საღმრთო წერილისა თუ სხვა სახის თხზულებებიდან ამოწერილი სიტყვებისა და გამოთქმებისა (გრ. ყიფშიძის მოგონება; იხ. ილია 1987: 80); მას შეუდგენია ქართული ენის ლექსიკონი, რომლისთვისაც მასალა ამოუწერია ბიბლიური და შუა საუკუნეების საერო მწერლობის ტექსტებიდან[1]. ძველი ტერმინები ასევე დასტურდება ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებშიც (შაბი, რკინის არჯაპი, კირი, ცილა, მარმარილო, ალისარჩული, ხელისუფალი, ხელისუფლება, ხიზანი, ღალა, კულუხი, კვამლი, საკომლო, სახასო, საქვრივო და სხვ.).

ძველ ხელნაწერთა მოძიება-შესწავლისკენ არის მიმართული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია“ აუწყებდა საზოგადოებას, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში დაცულ ხელნაწერ თხზულებებში გაბნეული იყო მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიური მასალა, „ლამაზისა და გასაგების ენით დაწერილი“, რომელიც სათანადო დამუშავებას საჭიროებდა („ივერია“ 1902, N 115: 1).

ძველი სამეცნიერო ტერმინების, ზოგადად, ქართული ენობრივი მასალის უცოდინრობამ თუ გაუთვალისწინებლობამ გარკვეული ასახვა პოვა თარგმანების ენაში; მაგ.:

- გაჩნდა უცხოენოვანი ფსიქოლოგიური მოდელის მიხედვით შემუშავებული ტერმინი *ცილთგვარი ნივთიერება* – Белковое вещество („სასოფლო გაზეთი“ 1871, N 9: 5); შდრ.: *ცილა* (ს. ს. ორბელიანი 1966: 336; ჩუბინაშვილი 1961: 435; ჩუბინაშვილი 1984: 1594);
- გაფართოვდა სიტყვის მნიშვნელობა: *თეთრეული* – რძის

[1] ლექსიკონი დაცულია აკად. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში; შეისწავლა და გამოაქვეყნა შ. ძიძიგურმა (ძიძიგური 1957, N10); აქ მასალა არის როგორც განმარტებითი, ასევე ქართულ-რუსული ლექსიკონისათვის. ქართულ-სვანური საერთო ძირის სიტყვები ილიას მითითებით ბესო ნიჟარაძეს მოუძიებია. დღეისათვის ეს მასალა გამოცემულია (ნიჟარაძე 2007).

პროდუქტის აღმნიშვნელი სიტყვა (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა 1984: 246) იქცა რუსული Белье -ს შესატყვისად („გუთნისდედა“ 1875, N 7: 2);

– შემუშავდა არამართლზომიერი ფორმა: *მართლიერება*; შდრ.: *სამართალი* (მირიანაშვილი 1888: 3);
– განვითარდა ჭარბი სინონიმია; შდრ.: *ქვეშევრდომი* (Подданный) – *ყმა* („გუთნისდედა“ 1873, N 16: 2) (ვაშაკიძე 2009: 119-120) და სხვ.

დასკვნა

ამგვარად, XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პერიოდული გამოცემები უდავოდ, მნიშვნელოვანი წყაროა სამეცნიერო ენის ქმნადობის ისტორიისათვის. ეს პერიოდი აღინიშნება ტერმინოლოგიური მუშაობის აღმავლობით, როდესაც მოწინავე საზოგადოების ძალისხმევის შედეგად აღდგა ქვეყნის პოლიტიკური ბედუკუღმართობით შეწყვეტილი მწიგნობრული ტრადიციები.

პირველად სწორედ ქართული პრესის ფურცლებზე ყალიბდება სამეცნიერო ცნებათა ზუსტი შესატყვისების საწარმოებელი მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს ორ მთავარ მიმართულებას, კერძოდ, საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი:

1. თვითონ საგანი თავისი შინაგანი თუ გარეგანი მახასიათებლებით;

2. სამწიგნობრო ენა თავისი დიალექტური, არქაული თუ თანამედროვე ქვესისტემებით.

პუბლიკაციების თემატიკიდან გამომდინარე, კურსი, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, ტერმინთშემოქმედების მეთოდოლოგიის განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების სწორმეტყველებაზე ზემოქმედებას, დღესაც არ კარგავს აქტუალობას და კარგი მეგზურია თანამედროვე სამეცნიერო-პოპულარული გამოცემებისათვის.

ლიტერატურა

გამსახურდია 1985 – კონსტანტინე გამსახურდია, *თხზულებათა სრული კრებული,* ტ. VIII, თბილისი.

გაჩეჩილაძე 1959 – პოლიევქტ გაჩეჩილაძე, ქართული ლექსიკოგრაფია-ლექსიკოლოგიის ისტორიისათვის (მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის ქართული პრესის მასალების მიხედვით), *იკე,* ტ. XI, თბილისი.

გოგებაშვილი 1990 – იაკობ გოგებაშვილი, *რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად,* ტ. V, თბილისი.

ერისთავი 1884 – რაფიელ ერისთავი, ქართული ლექსიკონი, შედგენილი სულხან-საბა ორბელიანისგან, თბილისი.

ვაშაკიძე 2009 – იამზე ვაშაკიძე, ტერმინთშემოქმედების პრინციპები XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში.

ილია 1987 – ილია, მოგონებები გარდასულ დღეთა, თბილისი.

მელიქიშვილი 1988 – დამანა მელიქიშვილი, გელათის სალიტერატურო სკოლა (XI-XII სს.) და ქართული ფილოსოფიური ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი.

მირიანაშვილი 1888 – პეტრე მირიანაშვილი, საერო ენა და სათემო კილო, *ივერია,* N 180.

ნიკოლაძე 1950 – რუსუდან ნიკოლაძე, პროფ. ვ. პეტრიაშვილი და თერგდალეულები", კრებული „ვასილ პეტრიაშვილი", თბილისი.

ნიჟარაძე 2007 – ბესარიონ ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, ბალსზემოური დიალექტი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა

ორბელიანი 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV,2, თბილისი.

პეტრიაშვილი 1895 – ვასილ პეტრიაშვილი, ღვინის დაყენება, „სასოფლო გაზეთი", 1870, N 9, 13; 1871, N 9.

ღვინაძე 1984 – პეტრე ღვინაძე, პირველი ქართული სახელმძღვანელოები მათემატიკაში, თბილისი.

ყიფიანი 1882 – დიმიტრი ყიფიანი, ქართული გრამატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის, სანკტ-პეტერბურგი.

ჩუბინაშვილი 1961 – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ძიძიგური 1957 – შოთა ძიძიგური, ილია ჭავჭავაძე, სალექსიკონო მასალა, *მნათობი,* N 10.

წერეთელი 1990 – აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV.

ჭავჭავაძე 1953 – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. III, თბილისი.

ჭავჭავაძე 1955 – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. IV, თბილისი.

ჭავჭავაძე 1955-ა – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. V, თბილისი.

ჭავჭავაძე 1956 – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. VI, თბილისი.

ჭავჭავაძე 1956-ა – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. VII, თბილისი.

ჭავჭავაძე 1986 – ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ, III, 1986, თბილისი.

ჭავჭავაძე 1987 – ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ, IV, თბილისი.

ჭავჭავაძე 1991 – ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ, V, თბილისი.

ხუნდაძე 1886 – სილოვან ხუნდაძე, „გაზეთი „ივერია“ და მისი ენა“, „თეატრი“ , N13.

ხუციშვილი 1955 – სოლომონ ხუციშვილი (რედ.), ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, თბილისი.

ჯანაშვილი 1895 – მოსე ჯანაშვილი, „ქართველები და ქართული ენა“, „ივერია“, N206: 1-2.

Iamze Vashakidze
Caucasus University, Georgia
iamzevashakidze@gmail.com

Keywords: Terminology, Georgian Terminology in 19th Century, The Georgian Press of 19th Century.

The Georgian Press in the second half of the 19th century on Georgian terminology work

Summary

The national liberation movement against the policy of Russification became more active in the second half of the 19th century. Against this backdrop, the literary language captured the attention of progressive society, particularly such landmark issues as standardization of the literary language, defining the style of orientation and the attitude towards foreign words, and so on. In the given conditions of strict censorship of anti-state politics, these topics could only be discussed in those Georgian periodicals that had undertaken the responsibility of saving, preserving and developing the literary language.

For the first time there appeared on the pages of the Georgian newspapers the principles for determining the exact correspondences for scientific concepts, which had to be studied in two main directions:

1. The object itself with its internal and external characteristics;
2. Literary language with its dialectal, archaic and modern subsystems.

There is no doubt that the periodical publications of the second half of the 19th century are important sources for the history of the creation of the Georgian scientific language. Judging from the topics covered in these publications, the course which they envisaged, on one hand, developed the methodology of the term creation process and, on the other hand, had an influence on the accuracy of speech in society. Thus, these publications are still relevant today and indicate the correct orientation for modern scientific and popular publications.

ნინო ზედგინიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე
ninozedginidze404@gmail.com

საკვანძო სიტყვები: აღსანიშნი (დენოტატი), საკუთარი სახელი, ტოპონიმი.

აღსანიშნი (დენოტატი[1]) და საკუთარ სახელთა დაჯგუფების პრინციპები

ნომინაციის დროს, საგანი თუ მოვლენა გამოირჩევა ამა თუ იმ ნიშნით და სწორედ ეს ნიშანია სახელდების საფუძველი. ეს საგნის *შინაგანი ფორმაა,* ხოლო თავად სახელის შერქმევა ენის ლექსიკურ-გრამატიკული ნიშნით განისაზღვრება. *შინაგანი ფორმა* აისახება ლექსიკურ ერთეულზე, ანუ ხდება საგნის სახელდება (გამყრელიძე 2008: 354).

ყოველგვარი ლექსიკური ერთეული – საზოგადო სახელია ის თუ საკუთარი – ენობრივი ნიშანია და, ამდენად, რაიმეს აღმნიშვნელი.

საზოგადო სახელი აღნიშნავს მრავალ ერთგვარ საგანს ან საგანთა კლასს, *საკუთარი სახელი* კი – ერთეულ კონკრეტულ საგანს (ცხადაია 2005: 31).

საზოგადო სახელი, ჩვეულებრივ, მოკლებულია ინდივიდუალურ მნიშვნელობას, საკუთარი სახელი კი, როგორც წესი – ზოგად მნიშვნელობას (ცხადაია 2005: 32). საკუთარი სახელი გამოყოფს მსგავსიდან (ერთგვაროვანიდან) ერთადერთს და უპირისპირებს ყველა დანარჩენს. ამრიგად, საკუთარი სახელისთვის დამახასიათებელია მხოლოდ გამოყოფის, გამოცალკევების თვისება (ჯორბენაძე 1993: 19).

საკუთარი სახელი მხოლოდ მაშინ ასრულებს თავის ფუნქციას, როდესაც დაკავშირებულია *დენოტატთან,* ანუ *სახელდებულ ობიექტთან* და ეს ობიექტი ცნობილია სამეტყველო სიტუაციის მონაწილეთათვის. *დენოტატის* გარეშე *ონიმი* არ არსებობს. ამაშია საკუთარი სახელის სპეციფიკის არსი და ამაზეა დაფუძნებული მისი განსხვავება ომონიმური აპელატივისაგან (ცხადაია 2005: 32).

---

[1] *დენოტატი* – Denotat (ლათ. *Denotatum* „დაასახელა, აღნიშნა") – ქართ. *სახელსადები, აღსანიშნი* ან *სახელდებული ობიექტი.*

ნებისმიერ ნომინაციაში (სახელდებაში, სახელის დარქმევაში) მონაწილეობს სამი კომპონენტი: *ნომინატორი* (სახელმდები, სახელის დამრქმევი), *დენოტატი* (სახელსადები, აღსანიშნი ობიექტი) და *სახელწოდება* (აღმნიშვნელი ფონემური გარსი), მაგრამ აპელატიური და ონიმური ნომინაციების პრინციპები და მიზნები განსხვავებულია, ისევე როგორც განსხვავებულია საკუთარი და საზოგადო სახელების რეალური გამოყენება ენაში: *აპელატიური სახელდება* ძირითადად ამოწურულია, ხოლო *ონიმური ნომინაცია* გრძელდება (ცხადაია 2005: 35).

არსებითი სახელების კლასიფიკაციისას გამოიყოფა ორი *სტრუქტურულ-სემანტიკური* ჯგუფი, *საკუთარი* და *საზოგადო* სახელები. ენაში საგნისა და პირთა აღმნიშვნელი სახელები ან საზოგადო სახელთა ჯგუფს ეკუთვნის, ან საკუთარს. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, გამოიყოს *აღსანიშნი,* როგორც კონკრეტული ჯგუფის ზოგადი მახასიათებელი, რომელიც საშუალებას იძლევა, გააერთიანოს ან გამოყოს სხვადასხვა ჯგუფი.

ისმის კითხვა, თუ რომელი სიტყვა, წინადადება ან მეტყველების ნაწილი განსაზღვრავს *აღსანიშნის* არსს *საზოგადო სახელის* შემთხვევაში.

ნებისმიერ *აღსანიშნს* არ შეუძლია ონომასტიკურ სახელდებაში მონაწილეობა. საკუთარი სახელი, როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური კატეგორია, რომელიც დამოუკიდებლად ვითარდება, გადამწყვეტ როლს ასრულებს ონომასტიკურ სახელდებაში.

გერმანული ტოპონიმური მასალა იყოფა შემდეგნაირად: ბუნებრივად შექმნილი და ადამიანთა საქმიანობის შედეგად დაარსებული ობიექტების აღმნიშვნელი საკუთარი სახელები.

- დიდი გეოგრაფიული ობიექტები;
- ტოპოგრაფიული;
- ადმინისტრაციული;
- ეკონომიკური;
- ისტორიული ტერიტორიები.

თითოეული მათგანი შეიძლება განისაზღვროს, როგორც *ტოპონიმების* კონკრეტული ქვესახეობა. მისი სხვა ტოპონიმებისაგან გასამიჯნად არსებობს ტერმინი *ქორონიმი* (ბერძ.chora 'Land' ქვეყანა/მხარე+ -onym-სახელი), ამ სახის საკუთარი სახელებია: *ევროპა, შვეიცარია, ავსტრია-უნგრეთი, გერმანული სამხედრო საზოგადოება* და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ *ქორონიმს* უკავია გარდამავალი ადგილი ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ობიექტების სახელებს შო-

რის. მთების, ბორცვების, მწვერვალების და სხვა მსგავსი საკუთარი სახელები, შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სპეციალური სახის კუთვნილება. მის გასამიჯნად კი არსებობს ტერმინი *ორონიმი* – Oronyme (ბერძ. oros 'Berg' მთა + -onym სახელი), – აღნიშნავს სუპერანსკაია. მაგალითად, სპესარტი, ბალკანეთი, ჰარცი, მადნეულის საბადოები და სხვა (კამიანეტსი 2000: 47).

ცალკე სახის კუთვნილებას გამოხატავს ტყეების აღმნიშვნელი საკუთარი სახელები, ამ ტიპის ტოპონიმებს აქვთ ზოგადი ტერმინი *დრიმონიმი (Drymonyme* – ბერძ. drymos 'Wald, Hain' ტყე, ხელოვნური ტყე + -onym სახელი), მაგალითად: der Kyffhäuser, der Wienerwald, Teutoburger Wald და სხვა (კამიანეტსი 2000: 47-48).

ჰიდრონიმი (Die Hydronyme – hydor 'Wasser' წყალი + -onym სახელი) არის, ზოგადად, წყლების საკუთარი სახელი, მაგალითად: *წყნარი ოკეანე, ბალტიის ზღვა, ბოდენის ტბა, მდ. შპრეე, მდ. რაინი, მური* და სხვა. ჰიდრონიმები ასევე იყოფა ქვეჯგუფებად: მაგ., ოკეანეების, ზღვების, ტბების, მდინარეების, ჭაობების და სხვათა აღმნიშვნელ სახელებად, მაგალითად, ოკეანეების აღმნიშვნელი საკუთარი სახელია *ოკეანონიმი (Okeanonyme* – ბერძ. okeanos ოკეანე + -onym სახელი), ზღვების - *პელაგონიმი (Pelagonyme* - ბერძ. pelagos 'Meer' ზღვა + -onym სახელი), ტბების – *ლიმნონიმი (Limnonyme* - ბერძ. limnos 'See' ტბა +-onym სახელი), ჭაობებისა – *ჰელონიმი (Helonyme*, ბერძ. helos 'Sumpf' ჭაობი + -onym სახელი), მდინარეებისა – *პოტამონიმი (Potamonyme* - ბერძ. potamos 'Fluss' მდინარე + -onym სახელი) აქედან გამომდინარე, ჰიდრონიმიის ქვესახეებია ზემოთ დასახელებული ტერმინები (კამიანეტსი 2000: 47-48).

გარდა ბუნებრივი გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული ობიექტებისა, არსებობს ადამიანის საქმიანობის შედეგად შექმნილი ობიექტები, რომელთა კლასიფიკაცია წარმოდგენილია შემდეგ სქემაში.

სქემა.1.



(კამიანეტსი 2000: 47-48).

ამ ტიპის საკუთარ სახელებთან ერთად არსებობს კონკრეტულ და აბსტრაქტულ საგანთა სახელდების ჩამოყალიბების პროცესი. აქ გამოიყოფა ორი ჯგუფი: ერთი, ადამიანის საქმიანობის შედეგად შექმნილი ობიექტების საკუთარი სახელები და მეორე - მის გარეშე შექმნილ ობიექტთა სახელები. აქედან გამომდინარე, ობიექტი არის *კონკრეტული* და *აბსტრაქტული. მატერიალური,* ანუ *არსებული* და *არამატერიალური,* ანუ *განყენებითი.*

მატერიალური ობიექტების სახელებია: *ქრემატონიმი (Chrematonyme), პორეონიმი - (Porejonyme), ერგონიმი (Ergonyme).*

არამატერიალური ობიექტების სახელებია: *არტიონიმი (Artionyme), ბიბლიონიმი (Biblionyme), გეორტონიმი (Geortonyme), ქრონონიმი (Chrononyme)* და სხვა.

მეორე სქემაში წარმოდგენილია ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ობიექტების საკუთარი სახელები.

სქემა.2.



(კამიანეტსი 2000: 57-49).

საწარმოები, ინსტიტუტები და მსგავსი სახელები გერმანულ ენაში ორი მკვეთრად განსხვავებული ნიშნით განირჩევა:

1. *რეალურად არსებული დაწესებულებების აღმნიშვნელი სახელები,* როგორებიცაა: კომპანია, დაწესებულება და ა.შ. მაგალითად:

Rheinisch-Westfälisches Elektrizitätswerk AG რაინულ-ვესტფალიური ელექტროსადგური, das Europäische Zentrum für Kriminalprävention - ევროპის დანაშაულის პრევენციის ცენტრი და ა.შ.

2. *სიმბოლური*, რომელიც მხოლოდ გარკვეული საქმიანობის გამომხატველ ცნებებს აღნიშნავს, რაშიც იგულისხმება ზოგადი ინფორმაცია. მაგ: *Lufthansa - ლუფტჰანზა, Deutsche Welle - გერმანული ტალღა, Christlich-Demokratische Union - ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, Schalke 04- მასხარა/ეშმაკი* 04 და სხვა.

სიმბოლური სახელების შემთხვევაში აგრეთვე მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის შემოკლებები მაგ. ZDF, OECD, OSCE და მრავალი სხვა (კამიანეტსი 2000: 47-48).

როგორც წესი, *სიმბოლური სახელები,* იგივე *ერგონიმები*, საზოგადო სახელებთანაა დაკავშირებული. *deutsche Fluggesellschaft Lufthansa – გერმანული ავიაკომპანია ლუფტჰანზა*, *Radio "Deutsche Welle" – რადიო გერმანული ტალღა, FC "Schalke 04"*. შემოკლებები ქმნიან სახელების გარკვეულ სახეობას, მაგალითად: ZDF – Zweites Deutsches Fernsehen – მეორე გერმანული ტელევიზია, OSZE – Organisation für Sicherheit und Zusammenarbeit in Europa - ეუთო-ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, OECD (engl. ინგლ. Organisation of Economic Cooperation and Development) – Organisationfür ökonomische Zusammenarbeit und Entwicklung – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და ა.შ.

ერგონიმის შიდა სტრუქტურა დამოკიდებულია საზოგადო სახელზე, რომელიც, უმეტესწილად, ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, თუმცა *ერგონიმი* არის საკუთარი სახელი, რომელიც განისაზღვრება საკუთარი *აღსანიშნით,* რაც ზღუდავს მას კონტექსტში.

მითონიმს (*Mythonyme* – ბერძ. mythos 'Mythos მითოსი, Märchen ზღაპარი' + - onym სახელი), *თეონიმს* (Theonyme - ბერძ. theos 'Gott ღმერთი' +-onym სახელი) და *პოეტონიმს* (*Poetonyme*) ან *ონომაპოეტიკას* (*Onomapoetika),* (die EN in der Literatur საკუთარი სახელი ლიტერატურაში) აქვს მრავალი საერთო მახასიათებელი, მიუხედავად ამისა, ისინი გამოხატავენ სხვადასხვა სახის კუთვნილებას, თუმცა მათ აქვთ საერთო ის, რომ ისინი აღნიშნავენ აბსტრაქტულ საგანს. მაგალითად, ამ სახის კუთვნილება (პროპია) აღნიშნავს გამოგონილ (გერმ. der ausgedachten Objekte) ან არარსებულ საგნებს, პირებს და ა.შ. ამ სახის საკუთარ სახელებს მიეკუთვნება: ადამიანების, ცხოველების, მცენარეების, გეოგრაფიული და კოსმოგრაფიის საგანთა სახელები.

მაშასადამე, ეს არის სახელები, რომლებიც ადამიანის მოგონილია, ადამიანის მიერ არის სახელდებული, ისინი არ ასახავენ ნამდვილ, არსებულ საგანს. ამ სახის სახელებია: *ბერზერკერი* (გმირი სკანდინავიურ მითოლოგიაში)[1], *ეკარტი* (ძველგერმანულ მითოლოგიაში)[2], *ქალბატონი ჰოლი*[3], *მძინარე მზეთუნახავი*[4], ფიფქია[5], *წითელქუდა*[6], გერმანული ზღაპრების გმირები[7], *ადამი*[8], *ევა*,[9] *ბენჟამინი*[10] – ბიბლიური სახელები[11] და სხვა მრავალი.

მითონიმის, თეონიმისა და *პოეტონიმის* სახის სახელების აღმნიშვნელებს აქვს საკუთარი მახასიათებლები და ნიშან-თვისებები, რომლებითაც ისინი განსხვავდებიან რეალურად არსებული საკუთარი სახელების აღსანიშნისგან, ისეთებისაგან, როგორებიცაა: *ანთროპონიმი, ზოონიმი, ტოპონიმი* და სხვა. თუმცა ონომასტიკაში ორივე სახის სახელები ერთნაირად განისაზღვრება - არ აქვს მნიშვნელობა, საკუთარი სახელი რეალურ *აღსანიშნს* ასახავს თუ გამოგონილს.

ქართულში ადგილის აღმნიშვნელი სახელები (ტოპონიმები) მხოლოდ გეოგრაფიული ნიშნითაა განსაზღვრული, მაშასადამე, ფიზიკური ან სხვა სახის თვისებების მიხედვით ჯგუფები არ არის გამოყოფილი, ხოლო გერმანულში გეოგრაფიულ მახასიათებლებთან ერთად გათვალისწინებულია ლინგვისტიკური მხარეც. ქართულში ასევე არ არის გამოყოფილი გამოგონილი, არარსებული საგნების აღმნიშვნელი ჯგუფები, როგორებიცაა გერმანულში: *მითონიმი, თეონიმი, პოეტონიმი* ან *ონომაპოეტიკა*. ცხადია, ეს ტერმინოლოგია არსებობს ქართულ ონომასტიკაში, თუმცა ქართულში სახელთა ჯგუფები ამ ნიშნით გამოყოფილი არ არის, რაც, ცხადია, *აღსანიშნის* სხვადასხვაგვარად გააზრებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

---

[1] Berserker – Held der skandinavischen Mythologie
[2] Eckart – Held der altgermanischen Mythologie
[3] Frau Holle
[4] Dornröschen
[5] Schneewittchen
[6] Rotkäppchen
[7] Helden der deutschen Märchen
[8] Adam
[9] Eva
[10] Benjamin
[11] Namen aus der Bibel

ლიტერატურა

გამყრელიძე..., 2008 – თამაზ გამყრელიძე, ზაზა კიკნაძე, ინგა შადური, ნანა შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ, თბილისი.

კამიანეტსი 2000 – Wolodymyr Kamianets, ZUR EINTEILUNG DER DEUTSCHEN EIGENNAMEN, Herbst 2000, ნახვა: 05.18.2017

ცხადაია 2005 – პაატა ცხადაია, ონომასტიკის შესავალი თბილისი.

ჯორბენაძე 1993 – ბესარიონ ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბილისი.

https://de.wikipedia.org/wiki/Denotat, ნახვა:27.05.2020

https://www.duden.de/rechtschreibung/Denotat, ნახვა:28.05.2020

https://en.wikipedia.org/wiki/Ergonyms , ნახვა: 30.05.2020

Nino Zedginidze
Samtskhe-Javakheti State University, Georgia
ninozedginidze404@gmail.com

Keywords: Terminology, Toponym as the Personal Name's Term.

Denotate and the Principles of Categorization of Proper Nouns

Summary

While the naming distinguishing of the subject or event is done by a sign and this is the sign, which is the basis for the naming (Gamkrelidze). All lexical units either public name or private name is the sign of a language and, therefore, mentioning something. The public name usually has the lack of an individual value, while the personal name usually has no general meaning (Tskhadaia).

Personal name distinguishes unique out of the similar and contradicts it to all the rest. Characteristic of personal name is only the feature of separation, division (Jorbenadze). Three components are

participating in any titling of personal name: nominator, denotate or nomitaror's object and titling (Tskhadaia).

While the classification of the Nouns two structural-semantic groups are allocated to differentiate Personal and General Names. Classification proves that it may be used the denotate for differentiation, as a typical characteristic of a specific group which has some features and characteristics. It allows to unite class or to distinguish it into separate classes (Kamianets).

According to the definitions accepted in Georgian linguistics the geographical side of the denotate is raised in the foreground in toponymy, accordingly physical or other types of features, while under the German explanation, together with a Physical and geographical characteristics is explained the linguistic aspect of Denotate.

It is noteworthy that while the definition of the term Denotate, there is a different situation in the toponym of Georgian and German languages even in case of intangible denotate. It turned out that in Georgian toponymism the notion of Intangible denotate is not fixed, and therefore is not classified the terms that denote intangible denotate. There is a notion of intangible denotate in German toponymy and therefore the terms used to describe it: Mythonyme (Greek. mythos 'Mythos, Märchen Rairyo' + - onym Name), Theonyme (Greek. theos 'Gott God' +-onym Name) and Poetonyme or Onomapoetika (die EN in der Literatur Personal name in literature). Obviously this terminology exists in Georgian Onomasticity, although it is not classified as the term denoting Intangible Denotate, that's what we think that should be related to a different way of understanding.

რუსუდან ზექალაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
rusudan.zekalashvili@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო ტერმინოლოგია, სინდრომები, მეტაფორიზაცია, მეტონიმია, მეორეული ნომინაცია.

მეტაფორიზაცია და მეტაფორული სამედიცინო ტერმინები

მეტაფორა (ბერძნ. μεταφορά „გადატანა“) ერთ-ერთი რიტორიკული და სტილისტიკური ხერხია. ის ფართოდაა გავრცელებული ყოველდღიურ მეტყველებაშიც, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიტყვაკაზმულ მწერლობაში. მეტაფორიზაცია აზროვნების საკმაოდ რთული პროცესიაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთი საგნის ან მოვლენის დასახელების გადატანა მეორეზე რაიმე მსგავსების, ასოციაციის ან ანალოგიის საფუძველზე (გაჩეჩილაძე 1977; ცანავა 2009).

ამას გარდა, მე-20 საუკუნეში „მეტაფორა განიხილებოდა... როგორც სინამდვილის აღქმისა და გააზრების სერიოზული მექანიზმი“ (ბარბაქაძე 2013). ადამიანის ყოველდღიური ყოფა აღსავსეა მეტაფორებით, რადგან ჩვენ, ადამიანები, სამყაროს ხშირად აღვიქვამთ გადატანით, ანუ მეტაფორულად. ზოგჯერ ეს იმდენად ჩვეულებრივი გვეჩვენება, რომ ვეღარც კი ვამჩნევთ მათ[1].

მეტაფორისთვის ამოსავალია ორი საგნის ან მოვლენის ამა თუ თვისების მსგავსება ან ასოციაციური დაკავშირება: ფორმის, ზომის, ფერის, ხმიანობის, მოძრაობისა თუ სხვა თავისებურების მიხედვით; მნიშვნელოვანია ასევე გარესამყაროში მიმდინარე პროცესებისა და ფიზიკური მოვლენების ასოციაციური დაკავშირება ადამიანის სულიერ სამყაროსთან, მენტალურ მდგომარეობასთან, სივრცისა და დროის ურთიერთდამოკიდებულების გააზრება და სხვ.

[1] ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჯორჯ ლაკოფისა და მარკ ჯონსონის ნაშრომი „მეტაფორები, რომლებშიც ვცხოვრობთ“, იხ. George Lakoff and Mark Johnson ნაშრომი (ლაკოფი, ჯონსონი 1980).

მეტაფორის სახეებს განარჩევენ იმის მიხედვით, რა ნიშან-თვისება დაედო მას საფუძვლად და როგორ მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გადატანა: უსულო საგნიდან სულიერზე, სულიერიდან უსულოზე, სულიერიდან ისევ სულიერზე თუ უსულოდან უსულოზე (ინტ. 1ა, 1ბ). მსგავსი სემანტიკური გადატანა უდევს საფუძვლად მეტონიმიასა და ალეგორიასაც.

1. მეტაფორა სამეცნიერო ტერმინოლოგიაში და მისი ფუნქციები

ტერმინთქმნადობისა და ნომინაციის ზოგადი პრინციპები, რომელთაც ეყრდნობა ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნის პროცესი, ზოგადია. ენების მიხედვით სხვაობა შეიძლება გამოვლინდეს ამ საშუალებათა მეტ-ნაკლებ გავრცელებულობაში. ტერმინოლოგიის გამდიდრების სხვადასხვა საშუალებასთან ერთად – პოლისემია, სინონიმია, ჩვეულებრივი ლექსიკის ტერმინოლოგიზაცია, სიტყვაწარმოებითი საშუალებები (აფიქსაცია, კომპოზიცია, აბრევიაცია, ტერმინოლოგიური შესიტყვებები და სხვ.) – აღსანიშნავია მეტაფორულ-მეტონიმიური ტერმინთწარმოებაც (იხ. შერაზადიშვილი 2016: 60-61). მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენებული ლექსიკური ერთეულები გავრცელებულია მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა სფეროში, რადგან ეს მისი გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა.

მეტაფორული ტერმინი იქმნება ასოციაციური კავშირის საფუძველზე და, ცხადია, თავდაპირველად მოტივირებულია, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი კავშირი პირველწყაროსთან ცვდება.

ტერმინების შექმნისას ხშირად გამოიყენება საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვები, მაგრამ მათ ენიჭებათ ახალი ნომინაციური ფუნქცია, ანუ ხდება მნიშვნელობის გადატანა, მეტონიმია, სხვაგვარად – *მეორეული ნომინაცია.*

როგორც ცნობილია, სამედიცინო ტერმინოლოგიისთვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია ბერძნული ან ლათინური სიტყვების, ასევე თარგმნილი ან კალკირებული ტერმინების სიმრავლე. სხვა სამეცნიერო დარგთან შედარებით, სამედიცინო ტერმინოლოგია ყველაზე უნიფიცირებულია ტერმინთა *ინტერნაციონალურობის გამო.* ამდენად, მასში ნაკლებად აისახება ცალკეული ენის სემანტიკურ-ნომინაციური თავისებურება. ამიტომ სხვადასხვა ენის მსოფლაღქმა ახალ ტერმინთა ნომინაციის საფუძველი ვერ ხდება ამ სფეროში, მაგრამ სამედიცინო ტერმინებიც ასრულებს *ნომინაციურ, ინფორმაციულ, კოგნიტიურ* და *პრაგმატულ* ფუნქციებს. ეს ეხება მეტონიმიურ-მეტაფორულ ტერმინებსაც.

ცნობილია, რომ ტერმინი მეცნიერის კონცეპტუალური მოღვაწეობის შედეგია, ხოლო მეტაფორიზაციის მეშვეობით მეცნიერი ახალი კუთხით ხედავს ობიექტს.[1] სახე, რომელიც საფუძვლად უდევს მეტაფორას, ერთგვარი შინაგანი ფორმაა და აქვს მისთვის დამახასიათებელი ასოციაციები, „რომლებიც მეტყველების სუბიექტს აძლევს აღსანიშნის ინტერპრეტირებისა და მის ნატიფ „ელფერთა“ ასახვის ფართო დიაპაზონს“ (თელია 2006; იხ. ინტ. 2).

მეტაფორათა სიმრავლე თვალში საცემია ანატომიაში, კლინიკურ მედიცინაში, ფსიქიატრიაში, სინდრომთა და სიმპტომთა დასახელებებში[2].

სამედიცინო ტერმინთქმნადობაში მეტაფორიზაცია ნაცადი ხერხია და ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გამოიყენებოდა, როცა თანდათან შესუსტდა *არაბული* მედიცინის გავლენა. ლექსიკის მეტაფორიზაცია სამედიცინო სფეროშიც ეყრდნობა ენებში გავრცელებულ ზოგად მეტაფორულ მოდელებს. ამ პროცესის ამოსავალი არის ასოციაციური მსგავსება დაავადების სიმპტომთან, სინდრომთან, მის გარეგნულ გამოხატულებასთან. ამ ტიპის ტერმინებს ხშირად აქვს არამეტაფორული სინონიმებიც.

2. მეტონიმიურ-მეტაფორულ სამედიცინო ტერმინთა კლასიფიკაცია

ცნების შინაარსსა და მის გამოხატვას შორის კავშირის მიხედვით გამოყოფენ *ნეიტრალურ, კვალიფიკაციურ* და *ასოციაციურ* სამედიცინო ტერმინებს (ჩერნიავსკი 1984). სწორედ ასოციაციურში აერთიანებენ *მეტაფორულ* ტერმინებს[3], რომლებიც შეიძლება დავაჯგუფოთ როგორც აგებულებისა და შემადგენლობის, ისე სემანტიკისა და ნომინაციის პრინციპების მიხედვით. ენათმეცნიერული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მათში ნომინაციის თავისებურებათა გარკვევა.

2.1. მეტონიმიურ-მეტაფორული ტერმინები აგებულების მიხედვით

თითქმის ყველა მეტაფორული სამედიცინო ტერმინი ორ- და

[1] მეტაფორის როლი მეცნიერებასა და მსოფლიოს სამეცნიერო ხატში კარგად აქვს შესწავლილი სტანისლავ გუსევს: Гусев 1984.

[2] ენათმეცნიერები მეტაფორიზაციას იკვლევენ არა მარტო უშუალოდ ტერმინებში, არამედ სამეცნიერო ტექსტებში, ექიმისა და პაციენტის კომუნიკაციაშიც კი.

[3] მათ უწოდებენ კონცეპტუალურს ან ონტოლოგიურს.

მეტსიტყვიანია (განსაკუთრებით – სინდრომთა და სიმპტომთა სახელები), თუმცა გვაქვს რამდენიმე *ერთსიტყვიანი* ტერმინიც. მაგალითად: *პირამიდა* (pars petrosa) საფეთქლის ძვლის შიდა (კლდოვანი) ნაწილი, რომელსაც აქვს სამწახნაგიანი პირამიდის ფორმა (ინტ. 3).

ატლანტი (ბერძნ. ατλας, ნათ. ბრ. ατλαντος) ჯერ კიდევ ვეზალიუსმა უწოდა კისრის პირველ მალას, რომელიც უერთდება თავის ქალას კეფის ძვალს (გოგიჩაძე და სხვ. 2009). ბერძნულ მითოლოგიაში ატლანტი იყო ტიტანი, რომელიც მიემხრო ღმერთებთან მებრძოლ ტიტანებს, რის გამოც ზევსმა დასაჯა: უბრძანა თავითა და ხელებით შეეკავებინა ცის თაღი. ნომინაციისთვის ამოსავალია კისრის პირველი მალის ფუნქცია: საყრდენი მნიშვნელობა ადამიანის ხერხემლისა და ჩონჩხისთვის.

ჰიმენე – ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ქორწინების ღმერთი იყო. ანატომიაში აღნიშნავს საქალწულე აპკს, ლორწოვანი გარსის ნაოჭს, რომელიც ხურავს საშოში შესავალ ხვრელს. სახელდებისთვის გადამწყვეტია ასოციაციური კავშირი ქორწინების დროს პარტნიორთა სექსუალურ ურთიერთობასთან.

დონჟუანიზმი – ამ ფსიქიკური პათოლოგიისთვის დამახასიათებელია ბევრი ქალის გულის მონადირების სურვილი, მაგრამ მიზნის მიღწევის შემდეგ მამაკაცი კარგავს ინტერესს მათ მიმართ. ხშირად დამახასიათებელია ლატენტური ჰომოსექსუალურობა, ძალიან ჰგავს მაჩოს კომპლექსს. სახელი არჩეულია ცნობილი პერსონაჟის, დონ ჟუანის, მიხედვით, რომელიც შუა საუკუნეების ესპანური ლეგენდების გმირია, ქალების გულთა მპყრობელი[1], ტერმინი ნაწარმოებია -იზმ სუფიქსით. ამ ბოლოსართით გვხვდება სხვა ერთსიტყვიანი სამედიცინო ტერმინ-მეტაფორებიც: *გარგოილიზმი, ნარცისიზმი, პიგმალიონიზმი, სიფილისი, ურანიზმი, ჰერმაფროდიტიზმი* და სხვ.

2.2. მეტონიმიურ-მეტაფორული ტერმინები ნომინაციის ობიექტების მიხედვით

სახელდების ობიექტების ან საყრდენ სიტყვათა მიხედვით შეიძლება გამოიყოს ორი დიდი ჯგუფი:

1. *სხეულის ნაწილის,* ორგანოს ან მისი რომელიმე ნაწილის დასახელებები (ანატომიური ტერმინები);
2. *პათოლოგიათა,* პათოლოგიურ კერათა ნიშან-თვისებებების (ფორმა, აგებულება, ზედაპირის სტრუქტურა, ზო-

[1] ამ თემას ეძღვნება მოლიერის კომედია და მოცარტის ოპერა.

მა...) დასახელებები, სიმპტომები და სინდრომები[1].

2.2.1. ანატომიური ტერმინები

აღსანიშნავია დიდ ანატომთა ღვაწლი ტერმინოლოგიის განვითარებაში. მაგალითად, ამ ტერმინთა დახვეწა-განვითარებაზე მე-15 საუკუნეში დიდი გავლენა მოახდინა *ცელსიუსმა* და მისმა ნაშრომმა „მედიცინის შესახებ“ (1478წ.) (ინტ. 4). სწორედ მაშინ დაიწყეს ზრუნვა სამედიცინო ტერმინოლოგიის უნიფიკაციისთვის. მეტონიმიის ან მეტაფორიზაციის საფუძველზე შექმნილი ანატომიური ტერმინებისთვის ამოსავალი იყო გარეგნული მსგავსება (უმეტესად, ფორმის მიხედვით) ან ასოციაციური დაკავშირება.

დავასახელებთ ზოგიერთ ძველ მეტაფორულ ტერმინს. მაგალითად, *ანდრეას ვეზალიუსმა* (1514-1564), გარდა ატლასისა, შემოიღო ტერმინები: *crista galli* (მამლის ბიბილო – თავის ქალაში) და *incus* (გრდემლი – ერთ-ერთი სასმენი ძვალი ყურში); *ფალოპმა* (1523-1562) – *labyrinthus* (ლაბირინთი – შუა ყურში), *არანციუსმა* (1530-1589) – *cornu Ammonis*, იგივე *hippocampus* (ამონის რქა ან ჰიპოკამპი, ზღვის ცხენი – ლიმბური სისტემის ცენტრალური ნაწილი თავის ტვინში), *სევერინემ* (დაახლ. 1643) – *caput Medusae* (მედუზას თავი, მითოლოგიური მედუზა გორგონას მიხედვით – ჭიპის ირგვლივ კანქვეშა ვენების კოლატერალების განვითარება) (ინტ. 5).

საინტერესოა, რომ ძველმა ბერძნებმა ანატომიაში დაადგინეს 700-ამდე ტერმინი, „XVIII საუკუნის ბოლოსათვის კი ანატომიურ ტერმინთა რაოდენობა აღემატებოდა 30 000-ს“ (დათეშიძე და სხვ. 2010).

დღეს *ანატომიურ* ტერმინოლოგიაში გავრცელებულია შესიტყვებები, რომელთა მეორე კომპონენტი სხვადასხვა საგნის სახელებია, გამოყენებული მეტონომიური მნიშვნელობით, ხოლო ნომინაციის საფუძველია *გარეგნული* მსგავსება (ზოგჯერ – ასოციაციური კავშირი). მაგალითად: *აბგა* (თეძო-ქედის აბგა, სინოვიური აბგა), *აბჯარი* (მყესოვანი აბჯარი), *აფრა* (ნამგლისებრი აფრა), *ბორცვი* (საძილე ბორცვი), *ბუდე* (მყესის ბუდე), *გუმბათი* (პლევრის გუმბათი), *თასმა* (მყესის თასმები), *კარი* (თირკმლის კარი), *კარიბჭე* (შუა გასავლის კარიბჭე), *კუდი* (სათესლე დანამატის კუდი), *კუნძული* (ლანგერჰანსის

[1] ქართულ ენაზე გამოცემულია სამედიცინო სინდრომებისა და ეპონიმების ლექსიკონები: ბახტაძე და სხვ. 1991; კასრაძე 1999; კაციტაძე და სხვ. 2001; სიმონიშვილი 1988; შავდია 2005; ჭყონია და სხვ. 1972.

კუნძულები – პანკრეასში), *ლაგამი* (ტუჩის ლაგამი), *ნამგალი* (მგიდის ნამგალი), *ნამი* (მინისებრი ნამი), *რქა* (გავის რქა), *ტოტი* (შუბლის ტოტი, თხემის ტოტი), *ფრთა* (სახნისის ფრთა), *ჩანთა* (სასახსრე ჩანთა), *ძაბრი* (ცხავის ძაბრი), *ჭაღი* (კუნთის ჭაღი), *ჯიბე* (ელენთის ჯიბე, ბადექონის ჯიბე, პარკისებრი ჯიბე, ჯალღუზის ჯიბე, პლევრის ჯიბე)... შიგნითა ყურში ძვლებს ეწოდება: *გრდემლი, ჩაქუჩი* და *უზანგი*... ბარძაყის წინა ზედაპირზე არსებობს *თერძის კუნთი* (m. sartorius), რომელსაც გრძელი, ვიწრო ზონრის ფორმა აქვს, დიაგონალურად გადაუვლის ბარძაყის ზედაპირს და უმაგრდება დიდი წვივის ძვალს და ა. შ.

სემანტიკური მეტონიმიის საფუძველზე ტერმინებში მსგავსება შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სუფიქსებისა და სუფიქსოიდების მეშვეობითაც: *-ებრ, -ა, -იან, -ოვან,* ბერძნული *-ოიდ: თითისტარისებრი* (უჯრედები), *ნამგლისებრი* (სარქველი), *ჯალღუზისებრი* (ჯირკვალი, სხეული...), *თითისტარა* კუნთი, *უნაგირა* (წყლული), *სიგმოიდური* (სინუსის ღარი)... მაგალითად, თავის ქალის ჩონჩხში არის ასეთი ტერმინები: *თითისებრი ჩანაჭდევები, სოლისებრი კიდე, სოლისებრ-ქიცვის ნაკერი, დვრილისებრი მორჩი, სადგისისებრი მორჩის ბუდე, სიგმოიდური სინუსის ღარი*... თვალბუდესა და თვალის კაკალში არსებობს *წამწამოვანი* და *ქოჩრიანი* ვენები.

2.2.2. კლინიკური ტერმინები

მეორე დიდი ჯგუფი მოიცავს *კლინიკურ* ტერმინებს, რომლებიც აღნიშნავენ პათოლოგიურ კერებსა და სიმპტომებს. მათში მოტივაცია გაშუალებულია ასოციაციური კავშირით და ეფუძნება სიტყვის მნიშვნელობის მეტაფორულ გადააზრებას, მაგრამ პირდაპირ არ ასახელებს ნიშანს (ესაა ე. წ. *ფრაზეოლოგიური* ტერმინები): *ვოლტერის სახე, მეწაღის მკერდი, კურდღლის ტუჩი, მგლის ხახა, ქათმის სიბრმავე*[1]... (იხ. ომიაძე 1991; ზექალაშვილი 2000: 109-113).

3. სამედიცინო ტერმინთა ჯგუფები ნომინაციის პრინციპების მიხედვით

ასოციაციურ ტერმინებს აჯგუფებენ საყრდენ სიტყვათა ნომინაციის პრინციპების მიხედვით და გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს: *ანთროპომორფულს, ზოომორფულს, გეოგრაფიულს, გეომორფულსა* და *მითოლოგიურს* (დუდეცკაია 2007).

ჩვენ სამედიცინო ტერმინებში გამოვყავით ორი ძირითადი ჯგუ-

[1] ამ ტერმინებზე მსჯელობა იხ. ნომინაციის პრინციპებთან.

ფი (იხ. სქემა): დაკავშირებული I. არაცოცხალ სამყაროსა და II. ცოცხალ არსებებთან. პირველში გავაერთიანეთ 1. გეოგრაფიული, 2. გარესამყაროს აღმნიშვნელი და 3. საყოფაცხოვრებო ნივთების აღმნიშვნელი სახელებისგან მიღებული ტერმინები. მეორე ჯგუფი უფრო მრავალფეროვანია და შეიძლება დაკავშირებული იყოს: 1. ცხოველებთან, ფრინველებსა და მათს ქცევასთან; 2. ადამიანთა ხელობასა და საქმიანობასთან; 3. ისტორიულ პირებსა და ცნობილ ადამიანებთან; 4. მითოლოგიურ, ბიბლიურ, ზღაპრულ და ლიტერატურულ პერსონაჟებთან.



3.1. არაცოცხალ სამყაროსთან დაკავშირებული:

3.1.1. გეოგრაფიული სახელებისგან მიღებული

იერუსალიმის სინდრომი[1] – იშვიათი ფსიქიკური აშლილობა, ფსიქოზი, განდიდების მანიის სახეობა, როცა ტურისტი ან მომლოცველი იერუსალიმში წარმოიდგენს, რომ მას აქვს ღვთიური ძალა, წინასწარმეტყველური უნარი და აკისრია მსოფლიოს გადარჩენის მისია (ინტ. 6).

[1] ტერმინები მოძიებულია სამედიცინო წიგნებისა და ინტერნეტწყაროების მიხედვით: https://ka.wikipedia.org, https://ru.wikipedia.org, http://edu.medgeo.net, https://mkurnali.ge, https://vocabulary.ru, https://dic.academic.ru და სხვ. დიდი ნაწილი მითითებულია ბოლოს.

პარიზის სინდრომი – ტურისტებისთვის (უმეტესად იაპონელებისთვის) დამახასიათებელი ფსიქიკური აშლილობა, რომელიც პირველად გამოვლინდა 1986 წელს და აღწერა იაპონელმა ფსიქიატრმა ხიროაკი ოტოიმ. ემართებათ პარიზში ჩასულებს და დამახასიათებელია ქცევის აშლილობა, ძლიერი განგაშის, შფოთვის მდგომარეობა (ინტ. 7).

სტოკჰოლმის სინდრომი – ერთგვარი დამცავ-გაუცნობიერებელი ტრავმული კავშირი, ორმხრივი ან ცალმხრივი სიმპათიისა და მიზიდულობის პარადოქსული რეაქცია, რომელიც ახასიათებს მსხვერპლს აგრესორის მიმართ გატაცების ან ძალადობის დროს. ის თანაუგრძნობს დამნაშავეს და ამართლებს მის ქცევას. სინდრომმა სახელწოდება მიიღო რეალური ფაქტის შემდეგ, რომელიც მოხდა 1973 წლის 23 აგვისტოს. სტოკჰოლმის ერთ-ერთ მოედანზე ციხიდან გამოქცეული შეიარაღებული დამნაშავეები ბანკის შენობაში შეიჭრნენ, სადაც ოთხი ადამიანი მძევლად აიყვანეს. იქ იყვნენ 6 დღის განმავლობაში, ბოლოს მათ შორის გარკვეული სიმპათიაც კი წარმოიშვა. მოცემულ მოვლენას ხსნიან, როგორც დაცვის მექანიზმს (ინტ. 8)[1].

3.1.2. გარესამყაროს აღმნიშვნელი სახელებისგან ნაწარმოები

ამ ტიპის ტერმინებს საფუძვლად უდევს მსგავსება გარესამყაროს სხვადასხვა საგანთან: პლანეტებთან, გეოგრაფიულ გარემოსთან, ბუნებრივ მოვლენებთან, შენობებსა და მის ნაწილებთან.

მაგალითად, მსგავსების გამომხატველი ტერმინები: *მთვარისებრი* სახე (კუშინგის სინდრომი), *კოშკისებრი* ქალა (ოქსიცეფალია) და სხვ. მაგალითად, *კანის მარმარილოსებრი სახე* – გულისხმობს ლაქოვან სურათს მოლურჯო ფერის ლაქებით, რომლებიც ქრება კანის დაზელის შემდეგ. თვალის *მინისებრ* სხეულში შეიმჩნევა პათოლოგიური ცვლილება, რომელსაც უწოდებენ *ოქროს წვიმას.* ავადმყოფი ჩივის, რომ თვალის მოძრაობისას სინათლეზე ხედავს მტვრის ნაწილაკებს, მფრინავ ფანტელებს ან ნახევრად გამჭვირვალე რგოლებს, ე. წ. *ოქროს (ან ვერცხლის) წვიმას* (ინტ. 9).

სიქსტის კაპელის სინდრომი – გულყრა თავის უკან გადაწევის შემდეგ, რადგან ხერხემლის არტერიებისთვის სისხლის მიწოდება მცირდება. გვხვდება ასაკოვან ადამიანებში და იწვევს ზურგის ტვი-

[1] ფსიქიატრმა ანა ფროიდმა ამ მექანიზმს უწოდა აგრესორთან იდენტიფიკაცია.

ნის იშემია. მსგავსი რამ ემართებათ სიქსტის კაპელის მნახველებს ვატიკანში, როცა ათვალიერებენ თაღების ფრესკებს (ინტ. 10).

გოთური მაგარი სასა – დამახასიათებელია რაქიტით დაავადებულებისთვის, რადგან თავის ქალის ზომები მცირდება და სასა ემსგავსება გოთური ტაძრის თაღს.

გარგოილიზმი – მემკვიდრეობითი დაავადება, ახასიათებს ქონდრისკაცობა, არაპროპორციულად დიდი თავი, ნავისებრი, მახინჯი სახე (პფაუნდერ-ჰურლერის დაავადებისა და მუკოპოლისაქარიდოზის ზოგიერთი ტიპის დროს): ფართო და მიჭყლეტილი ცხვირის ფუძე, დაშორიშორებული თვალები, ფართო და დიდნესტოიანი ცხვირი, სქელი ტუჩები და ენა, დაღებული პირი წვრილი, მეჩხერი კბილებით, ჰეპატოსპლენომეგალია, რქოვანას შემღვრევა და ოლიგოფრენია (გოგიჩაძე და სხვ. 2009), მომდინარეობს ფრანგული სიტყვისგან *gargouille* (გარგულია), რომელიც აღნიშნავს შუა საუკუნეების ტაძრების ძველებური წყალსადენის მილძაბრას სამკაულად გამოყენებული ფანტასტიკური მახინჯი ფიგურების გამოსახულებებს.

ჩინური რესტორნის სინდრომი – პირველად აღწერა ერთ-ერთმა ჩინელმა ჩინურ რესტორანში ყოფნის შემდეგ ამერიკაში. გულისხმობს ამ დროს განვითარებულ უცნაურ შეგრძნებებს: თავის ტკივილს, სახის გაწითლებას, ოფლის გამოყოფას, პირის არეში სიმძიმის შეგრძნებას (ინტ. 11).

3.1.3. საყოფაცხოვრებო ნივთების აღმნიშვნელი სახელებისგან ნაწარმოები

ამ ქვეჯგუფში ერთიანდება ტერმინები, რომელთა ნომინაციისთვის გამოყენებულია საყოფაცხოვრებო საგნების აღმნიშვნელი სახელები: *აბგა, აბჯარი, აფრა, ბაკი, ბუდე, გვირგვინი, გორაკი, გრდემლი, დეზი, თასმა, კარი, კარიბჭე, კვანძი, ლაგამი, მწვერვალი, ნამგალი, ორმო, სადგისი, სარქველი, სახნისი, სვეტი, ტოტი უზანგი, უნაგირი, ფესვი, ფიალა, ჩანთა ჩაქუჩი, ძაბრი, ჭაღი, ჯიბე* და სხვ. (იხ. 2.2.1).

ეს ლექსიკური ერთეულები გამოყენებულია მსგავსების გამომხატველ ტერმინებშიც: *სოლისებრი ძვალი, თითისტარისებრი უჯრედები, კუნთის ჭაღი, დიდი ტვინის ნამგალი* (ტვინის მაგარი გარსის მორჩი), ზოგჯერ აღნიშნავს პათოლოგიასაც: *კასრისებრი გულმკერდი* (ფილტვების ემფიზემის დროს), *ძაბრისებრი გულმკერდი* და სხვ. მაგალითად, ამ ანომალიისთვის დამახასიათებელია წაწვეტებული გულმკერდი, მკერდის ძვლის მკვეთრი წინგამოწევა და ნეკნების შე-

ერთება მახვილი კუთხით (გამოწვეულია ნეკნების ხრტილოვანი ნაწილის არასრულფასოვნებით).

3.2. ცოცხალ არსებებთან დაკავშირებული:

3.2.1. ცხოველებთან, ფრინველებთან და მათს ქცევასთან დაკავშირებული

ცხოველები და ფრინველები ანატომიური აგებულებითა და ქცევით ჰგვანან ადამიანს, ამიტომაც მათთან დაკავშირებული სახელები ხშირად გამოიყენება ნორმალურ ან პათოლოგიურ ანატომიაში, სიმპტომთა სახელდებისათვის: *კურდღლის ტუჩი* (ტუჩის თანდაყოლილი ნაპრალი), *ლომის სახე* (ლეოპტიაზი), *გველის კანი* (ფირფიტოვანი იქთიოზი), *მგლის ხახა*[1] (რბილი ან მაგარი სასის შეუხორცებლობა), *ქათმის მკერდი* (წაწვეტებული გულმკერდი), *ქათმის სიბრმავე* (ჰემერალოპია), *ხარის გული* (გულის ზომების პათოლოგიური გადიდება), *ბატის ფეხის ამგა* (bursa anserina cruris – *ბარძაყის მედიალური ჯგუფის კუნთებში*), *მამლის დეზი* (ტერფის ძვლოვანი წანაზარდი), *შევარდენის ვენა* (*v. cephalica* – ზემო კიდურის ვენა), მამლის ბიბილოს (crista galli) ცხავის ძვლის ზედა ნაწილში, მისი კიდე შემოსაზღვრულია მამლის ბიბილოს ფრთებით (ala cristae galli) და სხვ.

მაგალითად, *ქათმის მკერდს* (pectus carinatum) უწოდებენ ვიწრო მკერდს, როცა ნეკნების ხრტილები და გულმკერდი ძლიერაა წამოწეული, გვერდითა ნაწილები კი –ჩავარდნილი (ინტ. 12).

გველის კანი ან *თევზის ქერცლის სახეობა* (იგივე იქთიოზი) – კანის მემკვიდრეობითი დეფორმაცია მუტანტური გენების მიზეზით, ენდოკრინოპათია (იგივე დიფუზიური კერატოზი).

ლომის სახე – დამახასიათებელი პროგრესირებადი კეთრისთვის, გამოხატულია კორძები და ნაოჭები შუბლსა და ლოყებზე (სინონიმი: ლეოპტიაზი), რადგან ავადმყოფის სახე ლომისას ემსგავსება.

ხარის სახე – თვალის ჰიპერტელორიზმი (მანძილის გაზრდა თვალებს შორის), თავის ქალის ძვლების დეფორმაცია, გონებრივი განვითარების ჩამორჩენა (დამახასიათებელია გრეიგის სინდრომისთვის).

მწევრის სახე – ქალაზოდერმია. ადამიანს სახეზე კანი თავისუფლად აქვს ჩამოკიდებული (მონადირე ძაღლის მსგავსად) ელას-

[1] ახლა, ექიმების აზრით, პათოლოგიებს – კურდღლის ტუჩსა და მგლის ხახას – ბევრი არაფერი აქვს საერთო დასახელებული ცხოველების ტუჩსა და ხახასთან. თავდაპირველად ეს სახელები დაერქვა ასოციაციური მსგავსების გამო.

ტიკური ბოჭკოების დეგენერაციის გამო, თან ახლავს ბევრი სხვა პათოლოგიაც (ლომის, ხარის, მწევრის სახეთა შესახებ იხ. ინტ. 13).

ნიანგის ცრემლების სინდრომი – გვხვდება ლოყის კუნთის პათოლოგიასთან ერთად (ხშირად თანდაყოლილია). დაავადების სიმპტომია ცრემლდენა ჭამის დროს და სინდრომს ეს სახელიც დაერქვა 1928 წელს, დაუკავშირდა ნიანგის თვისებას, რომ მსხვერპლის ჭამის პროცესში თვალებიდან ცრემლები სდის (ინტ.14).

იხვისებრი სიარული – კოქსართროზის დროს პაციენტს უჭირს პირველი ნაბიჯების გადადგმა (ე. წ. სტარტული ტკივილი), საერთოდ სიარული, ცალმხრივი დაზიანებისას ვითარდება კოჭლობა, ხოლო ორმხრივის დროს – *იხვისებრი სიარული.*

მამლისებრი სიარული – ტერფის პათოლოგიის დროს გამოვლენილი სპეციფიკური სიარული.

იხვის ჭუკის სინდრომი (ეფექტი) (ინგლ. baby duck syndrome) – ფსიქოლოგიური პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ადამიანი პირველად შემხვედრ ობიექტს საუკეთესოდ მიიჩნევს, ყველა სხვას კი – ცუდად. ტერმინის შექმნის საფუძვლად იქცა იხვის ჭუკის თვისება, დედად მიიღოს პირველივე შემხვედრი[1]. სათავეს იღებს წიგნიდან „სოლომონ მეფის ბეჭედი“.

3.2.2. ადამიანთა ხელობასა და საქმიანობასთან დაკავშირებული

ეს ტერმინები გვხვდება ადამიანის ანატომიური აგებულების პათოლოგიის აღწერისას, საფუძვლად უდევს ამ პროფესიისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება:

თერძის მკერდი – გულისხმობს გულმკერდის წანაზარდის სპეციფიკურ დეფორმაციას. მეტაფორული გადააზრება იმას ეფუძნება, რომ თერძი მუშაობის დროს დაბლაა დახრილი საკერავზე, რადგან ის მუხლებზე უდევს (ინტ. 15)[2].

მეწაღის (მეწაღისებური) მკერდი – პირველად ეს დეფექტი, როგორც თანდაყოლილი ანომალია, ექიმებმა დაუდასტურეს ავსტრალიის მცხოვრებ რაიან ბირნს, აღწერეს მისი ძირითადი ნიშანი (გულმკერდის წინა კედლის ჩაზნექილობა ანუ ჩავარდნა) და ასე შეარჩიეს სახელი, რადგან სწორედ მსგავსი მოხრილობა ამახასიათებდათ მეწაღეებს შრომის გამო.

ვარსკვლავთმრიცხველის თავი – ბლეფაროპტოზის ერთ-ერთი

---

[1] აღნიშნავენ, რომ უნდა ყოფილიყო *ბატის ჭუკი* (როგორც ეს ავსტრიელმა მეცნიერმა კონრად ლორენცმა გამოიყენა), მაგრამ ინგლისურად არასწორად თარგმნეს.

[2] არსებობს *თერძის* კუნთიც.

სიმპტომი: სახე ადამიანისა, რომელსაც თავი მაღლა აქვს აწეული და ვარსკვლავებს უყურებს. ტერმინი აღნიშნავს თავის იძულებით მაღლა აწევას და შუბლის შეჭმუხვნას. მსგავსი სიმპტომი ვლინდება ბავშვებში თანდაყოლილი და გამოხატული პტოზის დროს (ინტ. 16ა, 16ბ).

3.2.3. ისტორიულ პირებსა და ცნობილ ადამიანებთან დაკავშირებული

დიოგენეს სინდრომი – მიუსაფრობის სინდრომი, უვითარდებათ მარტოხელა მოხუცებს, რომელთაც არ შეუძლიათ თავის მოვლა, აქვთ აგდებული დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, სოციალური იზოლაციის სურვილი, აპათია, ლტოლვა ათასგვარი ნაყარნუყარის შეგროვებისაკენ, სირცხვილის გრძნობის მოჩლუნგება ან დაკარგვა. დამახასიათებელია სიგამხდრე, ექსიკოზი, მიდრეკილება სხვადასხვა ინფექციური და სომატური დაავადებისადმი. სინდრომი ეპონიმურად უკავშირდება ძველ ბერძენ ფილოსოფოს *დიოგენეს* (ძვ. წ. 412-323) სახელს, რომელიც, ლეგენდის თანახმად, ადამიანებს გაურბოდა, ცხოვრობდა ღვინის თიხის ჭურჭელში (პიფოსში) და დასცინოდა ცივილიზაციას1. სინონიმებია: *მოხუცებულობის აშლილობა, პლიუშკინის სინდრომი* (ნ. გოგოლის „მკვდარი სულების“ პერსონაჟის მიხედვით) (ინტ. 17).

კლეოპატრას სინდრომი – ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ახასიათებთ უფლებისმოყვარე და თავის თავზე ზედმეტად შეყვარებულ ქალებს. დაერქვა ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას (ძვ. წ. I ს.) სახელის მიხედვით, რომელიც მამაკაცთან ღამის გატარების შემდეგ მას სიკვდილით ასჯევინებდა.

წმინდა მავრას დაავადება, იგივე *ჰოდაგრა* (ნიკრისის ქარი). წმინდა მავრა მოწამებრივად აღესრულა იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა დევნის დროს (დაახლ. 286წ.). ტერმინს საფუძვლად დაედო რწმენა, რომ დაავადებულები ამ წმინდანის სახელზე აგებულ ეკლესიაში ღოცვით განიკურნებოდნენ.

ანტონის ცეცხლი, იგივე *წმინდა ცეცხლი* – განგრენოზული დაავადება (სინონიმია ჰანტინგტონის ავადმყოფობა), ნეკროზის ერთ-ერთი მძიმე სახე, ანუ ერგოტიზმი, რომელსაც იწვევს ჭვავის სოკო. ამ დროს ზიანდება როგორც ზედაპირული, ასევე ღრმად მდებარე ქსოვილები. წინათ ეგონათ, რომ წმინდა ანტონის ძვლებს სასწაულებრივად შეეძლო ამ სნეულების განკურნება. ტერმინი უკავშირდება III-IV საუ-

[1] ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, სახელწოდება მთლად მართებული არაა.

კუნეებში მცხოვრები ეგვიპტელი ბერის, წმინდა ანტონის, სახელს. ტერმინის სინონიმებია: წმინდა ცეცხლი და კუდიანის კრუნჩხვა (ინტ. 18).

ჰიპოკრატეს სახე ან ნიღაბი – დამახასიათებელია უგრძნობი გამომეტყველება, ჩაცვენილი ლოყები, მიწისფერი სახე, ოფლით დაცვარული, გათეთრებული ტუჩები, რაც დაკავშირებულია ორგანიზმის გაუწყლოებასთან. ხშირად ეს მდგომარეობა წინასასიკვდილოა. პირველად ეს მდგომარეობა აღწერა დიდმა ბერძენმა ექიმმა, მედიცინის მამამ, ჰიპოკრატემ.

ვოლტერის სახე – მძიმე ატროფიის მქონე ძუძუთა ბავშვების სახის გამომეტყველება: მათ აქვთ დიდი თავის ქალა და ქვემოთ წაწვეტებული პატარა სახე, ნაოჭები ლოყებსა და შუბლზე. იერით თითქოს გვაგონებენ ფრანგ ფილოსოფოსსა და განმანათლებელ ვოლტერს, რადგან ასეთი ბავშვები ჰგვანან მოხუცებულებს.

წმინდა ვიტას (ვიტუსის) ცეკვა (ანუ *ქორეა*) – ახასიათებს უწესრიგო, იმპულსური, არარეგულარული მოძრაობები, რაც მოგვაგონებს ცეკვას. გავრცელებული იყო XIV ს-ში და სწამდათ, რომ დაავადებისგან განკურნება შესაძლებელი იყო წმ. ვიტუსის ან წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიებისა და სამრეკლოების მონახულებით. იტალიაში ამ უჩვეულო ავადმყოფობას *ტარანტიზმი* ერქვა. ადამიანებს სჯეროდათ, რომ ეს შეშლილი მოცეკვავეები ცეკვას უზარმაზარი ობობის კბენის შემდეგ იწყებდნენ, რათა შხამისაგან არ დახოცილიყვნენ[1].

დავითის სინდრომი – ფსიქიატრიაში აღნიშნავს ავადმყოფის დაუძლეველ სურვილს, რომ გაანადგუროს ხელოვნების ნაწარმოები. სახელი ეფუძნება ფაქტს, რომ დავითის ცნობილი სკულპტურის შემქმნელს, მიქელანჯელოს, უნდოდა გაენადგურებინა თავისი ქმნილება.

მიუნჰაუზენის სინდრომი – ფსიქონევროლოგიური დაავადება, როცა ავადმყოფი იგონებს არარსებულ მოგზაურობებს, აზვიადებს, სვამს ბევრ წამალს, ხშირად აქვს დაბალი წნევა, გულყრები. ტერმინი მომდინარეობს XVIII ს. მცხოვრები გერმანელი ბარონის, მიუნჰაუზენის, გვარისგან, რომელიც თხზავდა ფანტასტიკურ თავგადასავლებს (ინტ. 19).

ნაპოლეონის სინდრომი – მამაკაცის არასრულყოფილების კომპლექსი ტანმორჩილობის გამო (ინტ. 20).

[1] აქედან მომდინარეობს ცნობილი ცეკვის, "ტარანტელას", სახელწოდება.

სტენდალის სინდრომი – ფსიქიკური აშლილობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია აჩქარებული გულისცემა, თავბრუსხვევა, ჰალუცინაციები. ვლინდება მაშინ, როცა ადამიანი ფერწერული ხელოვნების ნიმუშის ზეგავლენის ქვეშაა. ხშირად ემართებათ მუზეუმებში, სურათების გალერეაში, ბუნების არნახული სილამაზის აღქმისას. მსგავსი სინდრომი აღწერა ფრანგმა მწერალმა სტენდალმა (ანრი ბეილმა) წიგნში „ნეაპოლი და ფლორენცია: მოგზაურობა მილანიდან რეჯიოში“(ინტ. 21).

ვან გოგის სინდრომი – ამ დაავადების დროს ავადმყოფს აქვს მანია, რომ მოიკვეთოს სხეულის ნაწილი, გაიჭრას სხეული, ითხოვს ოპერაციის გაკეთებას. სახელი დაერქვა იმ ფაქტის შესაბამისად, რომ ჰოლანდიელმა მხატვარმა მძიმე დეპრესიის დროს მოიჭრა ყური.

რობინ ჰუდის სინდრომი – სისხლძარღვთა შემავიწროებელი პრეპარატების შეყვანის შედეგად, ასევე ჰიპერვენტილაციისა და მისგან გამოწვეული ჰიპეროქსიის დროს იზრდება ტვინში იშემიის ზონის სისხლმომარაგება ირგვლივ მყოფი არეების ხარჯზე. რადგან აქ სისხლით „ღარიბ“ ზონაში უმჯობესდება სისხლმომარაგება „მდიდარი“ ზონების ხარჯზე, ფენომენი აღწერეს 1968 წელს და დაარქვეს ლეგენდარული ყაჩაღის სახელი, რომელიც ქონებას მდიდარს ართმევდა და ღარიბებს ურიგებდა (ინტ. 22).

ადელის სინდრომი – უწოდებენ ცალმხრივ, უპასუხო სიყვარულს, ე.წ. სასიყვარულო სიშმაგეს, რომელიც ნორმალურ ადამიანს აქცევს შეშლილ მანიაკად. ესაა საწინააღმდეგო სქესის მიმართ ადამიანის არაადეკვატური, ავადმყოფური სიყვარული და ვნება, რომელიც უპასუხოდ რჩება. ავადმყოფი დევნის თავის საყვარელ ობიექტს, ავრცელებს ჭორებს მასთან ურთიერთობაზე, შეუძლია ჩაიდინოს ათასი სისულელე და დანაშაული. დასახელება მოდის ცნობილი ფრანგი მწერლის, ვიქტორ ჰიუგოს, ქალიშვილის – ადელის – სახელისგან, რომელიც ინგლისელი ოფიცრის, ალბერტ პინსონის, სიყვარულით გიჟდებოდა (ინტ. 23).

3.2.4. მითოლოგიურ, ბიბლიურ, ზღაპრულ და ლიტერატურულ პერსონაჟებთან დაკავშირებული

მეტაფორიზაციის უფრო რთული სახეობაა არა გარეგნული მსგავსება, არამედ ფიზიოლოგიურ პროცესთა, სიმპტომთა ასოციაციური დაკავშირება გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებისეულ ეპიზოდებთან, მითოლოგიურ და ლიტერატურულ პერსონაჟებთან და ა.შ. მეტა-

ფორულ ტერმინთა დიდი ნაწილი ეპონიმურია. ნომინაციისთვის შეიძლება ამოსავალი იყოს საყოველთაოდ ცნობილი მითების, ზღაპრების ან ლიტერატურული ნაწარმოებთა პერსონაჟების სახელები.

ა. მითოლოგიური პერსონაჟების მიხედვით დარქმეული

ძველბერძნული ან *რომაული* მითოლოგიის საფუძველზე შეიქმნა ბევრი ტერმინი მედიცინაში: *ფსიქიატრია* (ფსიქე – ადამიანის სულის განსახიერება. წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც პეპელა ან მშვენიერი, პეპლისფრთიანი ქალწული, ეროსის სატრფო); *ჰიგიენა* (ჰიგეა – ჯანმრთელობის ქალღმერთი, ასკლეპიოსისა და ეპიონეს ქალიშვილი), ვენერას გვირგვინი (ვენერა – სიყვარულის ქალღმერთი); ფსიქიატრიაში გვხვდება სხვადასხვა მითოლოგიური ტერმინი: *ნარცისიზმი, პიგმალიონიზმი, ვენეროფობია, ნიმფომანია* და სხვ. მითოლოგიურ პერსონაჟებთან შეიძლება დაკავშირებული იყოს სამკურნალო მცენარეთა სახელებიც: *არტემიზია*, იგივე *აბზინდა* ან *ავშანი* (*არტემიდა* – ნადირობის ქალღმერთი); *სამკურნალო ადონისი*, ანუ *ყვითელი ცხვირისსატეხელა*, განეკუთვნება ბაიასებრთა ოჯახს (*ადონისი* – მშვენიერი მირას, ანუ სმირნას ვაჟი, რომელიც ბავშვობიდანვე არაჩვეულებრივი სილამაზით გამოირჩეოდა. იგი შეუყვარდა აფროდიტეს, შემდეგ კი მის გამო უთანხმოება ჩამოვარდა ქალღმერთებს შორის... (იზვეკოვა და სხვ.).

მედუზას თავი – (caput medusae) დაერქვა მითოლოგიური *მედუზა გორგონას* სახელის მიხედვით. ეს იყო ფრთოსანი ურჩხული, რომელიც წარმოდგენილი ჰყავდათ თავზე გველებდახვეული ქალის სახით (გამოსახული იყო ათენას ფარზე). დაარქვეს ჭიპის ირგვლივ ვენების კოლატერალების განვითარებას (რაც ფორმით ჰგავს გველებს), გამოწვეული სისხლის მიმოქცევის შეფერხებით (ინტ. 24).

ძველეგვიპტური მითოლოგიიდან შემოვიდა *ამონის რქა* (იგივე *ზღვის ცხენი* ან *ჰიპოკამპუსი*) – აღნიშნავს თავის ტვინის ლიმბური წილის ნაწილს, რომელიც მონაწილეობს ემოციის ფორმირებისა და მეხსიერების კონსოლიდაციის პროცესში. მზის კულტმა, რომელიც არსებობდა ძველეგვიპტურ ცივილიზაციაში, განსახიერება პოვა ღვთაებაში *ამონ-რა.* მისი ღვთაებრივი სიმბოლო იყო ლოკოკინას ფორმის რქა.

სფინქსის სახე – დაავადების ერთ-ერთი სიმპტომი, სახის კუნთების მიოპათიისათვის დამახასიათებელი ატროფიის ან პარეზის შედეგად განვითარებული გამომეტყველება. ავადმყოფს პირი ნახევრად ღია აქვს, თვალები ბოლომდე არ ეხუჭება, სახე უძრავი და ნიღბისებ-

რია. დაარქვეს მითოლოგიური სფინქსის უგრძნობი, აღუშფოთებელი, ზვიადი გამომეტყველების გამო.

ოლიმპიური შუბლი – (ლათ. frons olympica) საშუალო სიმძიმის რაქიტის ერთ-ერთი სიმპტომი თავის ქალის ძვლის დარბილების გამო (ინტ. 25).

აქილევსის მყესი[1] – (ლათ. tendo calcaneus, tendo Achillis) აქილევსის მყესი ადამიანის სხეულის ყველაზე ძლიერი და მაგარი მყესია, რომელიც უძლებს 350კგ დატვირთვას. ანატომიაში გამოყენებულია ტერმინები *აქილევსის ქუსლი* და *აქილევსის რეფლექსიც*. ბერძნულ მითოლოგიაში აქილევსი უძლიერესი გმირია, ქალღმერთ თეტიდას შვილი, ტროის ომის მონაწილე, რომლის სუსტი ადგილი იყო ქუსლი. თეტიდამ, აქილევსის დედამ, შვილის უკვდავების მისაღწევად ის განბანა მდ. სტიქსში, მაგრამ ქუსლი, რომლითაც დედას ეჭირა, ვერ ამოავლო წყალში. ბოლოს აქილევსი მოკვდა პარისის ისრით, რომელიც სწორედ ამ ქუსლში მოხვდა.

მედეას სინდრომი (ან კომპლექსი) – პათოლოგიურად ეჭვიანი და შურისმაძიებელი ქალის ფსიქიკური აშლილობა. ტერმინის სახელდება უკავშირდება ძველი კოლხეთის ლეგენდარული მეფე აიეტის უმცროსი ასულის სახელს, რომელმაც სასტიკად იძია შური მოღალატე იაზონზე (ინტ. 26).

მე-20 საუკუნეში ფსიქოანალიზში გამოიყენეს ძველბერძნული მითოლოგიური პერსონაჟების (ოიდიპოსი, ანტიგონე, იოკასტა, ორესტე, ფედრა, ელექტრა...) სახელები:

იოკასტას კომპლექსი – დედის სექსუალური მიდრეკილება ვაჟიშვილისადმი. ძველბერძნულ მითოლოგიაში იოკასტა იყო თებეს დედოფალი, რომელმაც არაფერი იცოდა თავისი ვაჟის, ოიდიპოსის, ბედის შესახებ და, როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო, ცოლად გაჰყვა მას (შდრ. *გრიზელდას კომპლექსი*).

ჰერკულესის დაავადება – ეპილეფსიის ერთ-ერთი სინონიმი. ჰერკულესი (ჰერაკლე) იყო უამრავი გმირობის ჩამდენი, ზებუნებრივი

[1] 1955 წელს საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურის მომზადების დროს გადაწყდა, რომ ხმარებიდან ამოეღოთ ასეთი ეპონიმები და შეეცვალათ სისტემატური ტერმინებით (მაგალითად, *ატლანტის* ნაცვლად – კისრის პირველი მალა), თუმცა ნაწარმოებ ტერმინებში მაინც დარჩა: *ატლანტ-კეფის//ანუ ატლას-კეფის* (ან კეფა-ატლანტის//კეფა-ატლასის) შესახსრება... *აქილოტომია* (აქილევსის მყესის გადაჭრა), *აქილოპლასტიკა* (აქილევსის მყესის ოპერაციის სახე)... (იზვეკოვა და სხვ.).

ძალის მქონე. ერთ-ერთი მითის თანახმად, შეპყრობილი იყო ეპილეფსიით, რის გამოც დაავადებას მისი სახელი უწოდეს[1] (ინტ. 27).

ვენერული დაავადება – ტერმინი დაკავშირებულია რომაული მითოლოგიის სიყვარულის ქალღმერთ ვენერას სახელთან და აღნიშნავს სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებას.

ბ. ბიბლიური ან ლეგენდარული პერსონაჟების მიხედვით დარქმეული

ბიბლეიზმებია: ადამის ვაშლი, ანუ *ფარისებრი ხრტილი* (ქართულად შედარებით იშვიათად გამოიყენება) – Pomum Adami (prominentia laryngea).

ბიბლიური ოფლი – იგივე *ჰემატოჰიდროზი, სისხლიანი ოფლი* (ბერძნ. αίματα, αίμα, „სისხლი“, ιδρώς „ოფლი“) – პათოლოგიური მდგომარეობა, როდესაც სისხლძარღვების კედლის ტროფიკული დაზიანების გამო ოფლი ერევა სისხლს და კანი იფარება მოწითალო ფერის სითხით. მიზეზი შეიძლება იყოს ძლიერი ფსიქიკური დაძაბულობა (აღწერილი აქვს ლეონარდო და ვინჩის). ტერმინი მომდინარეობს ლუკას სახარებიდან, რომელშიც ნახსენებია, რომ გეთსიმანიის ბაღში ლოცვისას იესო ქრისტეს შუბლზე სისხლიანი ოფლის წვეთებმა გამოჟონა (იხ. ლუკ. 22:44).

იობის სინდრომი – მემკვიდრეობითი დაავადება, გამოწვეული ჰუმორული იმუნიტეტის დეფექტით. გამოხატულია აბსცესებით, ფურუნკულოზით, ეგზემით, ქრონიკული რინიტით, ოტიტით, სინუსიტით. იობი იყო ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც ღვთის სიყვარულის გამო მოთმინებით იტანდა ღვთისგან მოვლენილ ყველა განსაცდელს (ინტ. 28).

კაენის სინდრომი – მძიმე სულიერი მდგომარეობა, შური ძმის, დის ან ახლობლის მიმართ. კაენი ადამისა და ევას უფროსი ვაჟი იყო. მას შეშურდა თავისი მეცხვარე ძმისა, რომლის მსხვერპლიც ღმერთმა მიიღო და მოკლა ის.

ქერუბიმის სინდრომი ანუ *ქერუბიმიზმი.* დაავადება ქვედა ყბის ოჯახური ფიბროზული დისპლაზიაა, რომელიც პროგრესირებას განიცდის საბავშვო ასაკში და რეგრესირებს მოზრდილებთან (ინტ. 29). *ქერუბიმის სახე* – განურჩეველი, ინფანტილური გამომეტყველება

[1] სინონიმები: *ღვთაებრივი დაავადება, ვარსკვლავთა დაავადება, მთვარის დაავადება;* ქართული სინონიმებია: *მტერდაცემა, ბნედა, ავი ზნე* ან *კრუნჩხვა.*

(ქერუბიმები – უფლის უმაღლესი ანგელოზები).

მედიცინაში ტერმინთა ნაწილი შექმნილია *ლეგენდების* პერსონაჟთა სახელების მიხედვით: *აჰასფერის სინდრომი* – შუა საუკუნეების ლეგენდის გმირი, რომელსაც ღმერთმა მიუსაჯა მუდმივი ხეტიალი. სინდრომი ვლინდება ნარკომანიის დროს. ავადმყოფი დადის ერთი სამკურნალო დაწესებულებიდან მეორეში, იგონებს დრამატულ და საშინელ დაავადებებს, ისერავს სხეულს და სხვ.

უნდინას წყევლის სინდრომი – ძილის აპნოეს სინდრომის იშვიათი ფორმა, როცა იკარგება ვენტილაციის ავტომატური კონტროლი, ადამიანი იძულებულია, თვითონ არეგულიროს სუნთქვა. ძილის დროს ეს ვერ ხერხდება, ამიტომ სუნთქვა ჩერდება ან ხდება ჰიპოვენტილაცია. ნომინაციის საფუძველია *გულბრანდტის* საბედისწერო სიყვარული *უნდინასადმი,* ზღვის ბატონის უკვდავი ქალიშვილისადმი. სიყვარულის გამო ქალმა უარი თქვა უკვდავებაზე და დაეთანხმა ქორწინებას. საკურთხევლის წინაშე სიძემ მას შეჰფიცა ერთგულება, რომ მისი ყოველი გაღვიძების სუნთქვა იქნებოდა სიყვარულისა და ერთგულების საწინდარი. როცა უნდინამ შეიტყო მეუღლის ღალატის შესახებ, დაწყევლა, როგორც კი დაიძინებ, სუნთქვა დატოვებს შენს სხეულს და მოკვდებიო. ამის შემდეგ გულბრანდტს მხოლოდ ფხიზლობის დროს შეეძლო ესუნთქა.

გ. ზღაპრების (საბავშვო წიგნების) პერსონაჟების სახელების მიხედვით დარქმეული

მძინარე მზეთუნახავის სინდრომი – კლეინე-ლევინის სინდრომი, ძილქუშის დაავადება. საფუძვლად დაედო შარლ პეროს ზღაპარი „მძინარე მზეთუნახავი“. ამ დროს ადამიანს განუწყვეტლივ სძინავს და მხოლოდ მაშინ დგება, როცა ჭამა ან ტუალეტში შესვლა უნდა. ძალიან ღიზიანდება, როცა აღვიძებენ ან ეუბნებიან, რომ სულ სძინავს. ზოგჯერ ეს ვლინდება წელიწადში რამდენჯერმე და გრძელდება 3-6 დღე.

გაუცინარი მეფის ასულის სინდრომი ანუ *ანგედონია* – სიამოვნების მიღების უნარის შესუსტება ან დაკარგვა. ამის გამო ადამიანს ეკარგება საქმიანობის მოტივაცია, რომელსაც სიამოვნება უნდა მოეტანა: სპორტი, მოგზაურობა, საყვარელი ჰობი.

რაპუნცელის სინდრომი – იგივე *ტრიქოფაგია* (ბერძნ. θρίξ, τριχός „თმა“, φαγεῖν „ჭამა, კვება“) თმების აკვიატებული ჭამა, ზოგჯერ დაკავშირებულია ტრიქოტილომანიასთან (საკუთარი თმების ამო-

გლეჯა თავიდან). ეს თმა კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ხშირად იქცევა მთელ გორგლად. ზოგიერთი ფსიქიკური აშლილობის დროს დაკავშირებულია გემოვნების გაუკუღმართებასთანაც. პირველად აღწერა ფრანგმა ექიმმა მ. ბოდამანტმა მე-18 საუკუნეში. ავადმყოფობის სახელი უკავშირდება ძმები გრიმების ჯადოსნურ ზღაპარს რაპუნცელზე, გრძელთმიან გოგონაზე, რომელიც ჩაკეტეს მაღალ კოშკში.

პინოქიოს სინდრომი ანუ *გელოტოფობია* – გახევება, ადამიანის მოძრაობების შებოჭილობა (იგივე ნარცისული აშლილობა), რადგან მას ეშინია, რომ სხვები დასცინებენ. ნომინაციის საფუძველია კარლო კოლოდის ზღაპრის პერსონაჟის, პინოქიოს, აკვიატებული ფიქრი: ნამდვილი ბიჭია ის თუ არა (ინტ. 30).

ბურატინოს სინდრომი – ფსიქიატრიაში უწოდებენ *პათოლოგიურ ტყუილს* ან *მიტომანიას*. ზოგიერთი ადამიანი გამოუსწორებლად იტყუება, რომ გაამართლოს თავისი არასწორი ქმედებები ან თვითშეფასებისას გამოასწოროს საკუთარი ნაკლოვანებები. სახელი აღებულია ალ. ტოლსტოის ზღაპრიდან „ოქროს გასაღები, ანუ ბურატინოს თავგადასავალი“. ცნობილია, რომ ბურატინოს ძალიან უყვარდა ტყუილები (ინტ. 31).

ელფის სახე (სინ. *უილიამსის სინდრომი*) – დამახასიათებელია მოკლე და აპრეხილი ცხვირი, ფართოდ გახელილი თვალები, გამობერილი ლოყები. ხშირად ამ სინდრომთან შერწყმულია ჰიპერკალციემია, აორტის სარქველზედა სტენოზი და გონებრივი განვითარების ჩამორჩენა (ინტ. 13).

სინდრომი *ალისა საოცრებათა ქვეყანაში* – ფსიქონევროლოგიური დაავადება, დეპერსონალიზაცია, გარემოსა და დროის ილუზიური აღქმა, სხეულის შეგრძნების სქემის რღვევა, როცა ავადმყოფს ეჩვენება, რომ ძალზე პატარავდება ან, პირიქით, ძალზე იზრდება. დაერქვა ლუის კეროლის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით.

თეთრი ბოცვრის სინდრომი (იმავე ნაწარმოების მიხედვით) – ადამიანს მუდმივად ეჩვენება, რომ სადღაც აგვიანდება, როგორც ამ ზღაპარში ემართება თეთრ ბოცვერს.

კარლსონის სინდრომი – წარმოსახვითი მეგობარი (უჩინარი მეგობარი). ბავშვის მიერ გამოგონილი პერსონაჟი, რომელთანაც ის მეგობრობს ან ურთიერთობს. ზოგჯერ ეს მეგობარი ძალიან რეალური ჩანს, თუმცა ბავშვს უმეტესად ესმის, რომ ის სინამდვილეში არ არსებობს. დაერქვა *ასტრიდ ლინდგრენის* ნაწარმოების მიხედვით (ტრილოგია კარლსონისა და ბიჭის შესახებ).

პიტერ პენის სინდრომი – დაავადება პირველად აღწერა ფსიქოლოგმა დენ კაილიმ 1983 წელს წიგნში „პიტერ პენის სინდრომი: მამაკაცები, რომლებიც ვერ გაიზარდნენ“. *ჯეიმს ბერის* ნაწარმოების გმირს, რომელიც ცხოვრობს ფანტასტიკურ კუნძულზე, არ სურს, რომ გაიზარდოს. ის პათოლოგიური მატყუარაა, ვერ იღებს გადაწყვეტილებას და პასუხისმგებლობებს თავზე. რჩება მუდმივ უნებისყოფო ბავშვად, ვერ ასრულებს სხვისთვის მიცემულ პირობას; ფიქრობს მხოლოდ კეთილდღეობაზე, გამორჩენაზე, აკლია თავდაჯერება (ინტ. 32).

დ. მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟთა სახელების მიხედვით დარქმეული

ვერთერის ეფექტი – მიმბაძველობითი თვითმკვლელობები ტელეგადაცემების ან პოპულარული ნაწარმოების წაკითხვის ზეგავლენით. შეისწავლა ამერიკელმა სოციოლოგმა დევიდ ფილიპსმა (კალიფორნია, სან დიეგო) 1974-1975 წლებში. ტერმინის საფუძვლად დაედო *გოეთეს* პოპულარული რომანი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, რომლის წაკითხვის შემდეგ ევროპაში იმატა თვითმკვლელობათა შემთხვევებმა (ინტ. 33).

სიფილისი – ქრონიკული ვენერული დაავადება, რომლის სახელი უკავშირდება ჯიროლამო ფრაკასტოროს პოემის („სიფილისი ანუ გალის ავადმყოფობის შესახებ“) ერთ-ერთი პერსონაჟს, სიფილიუსს.

კვაზიმოდოს კომპლექსი – არასრულყოფილების კომპლექსის ერთ-ერთი ფორმა, გარეგნობის ქრონიკული შეუფასებლობა, ურყევი შეხედულება საკუთარი სიმახინჯისა და ნაკლები მიმზიდველობის შესახებ საპირისპირო სქესისათვის. ახასიათებს მუდმივი უკმაყოფილება საკუთარი გარეგნობით. დაერქვა ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ გმირის სახელის მიხედვით (ინტ. 34).

დორიან გრეის სინდრომი – ავადმყოფური მიდრეკილება, რომ ყველანაირად შეინარჩუნოს ახალგაზრდობა, გარეგნული სილამაზე, რაც იქცევა ცხოვრების მთავარ მიზნად, ამისთვის კი არ ზოგავს ფულს, ძალასა და დროს. დაავადების სახელწოდება უკავშირდება *ოსკარ უაილდის* რომან „დორიან გრეის პორტრეტის“ მთავარ პერსონაჟს (ინტ. 35).

პიკვიკის ანუ *პიკვიკორუმის სინდრომი* – ფილტვების ჰიპოვენტილაცია. სახელი შეიქმნა ჩარლზ დიკენსის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების“ მიხედვით, რომლის ერთ-ერთ გმირს, ჯოს, აწუხებს ეს მემკვიდრეობითი დაავადება: დაბალია, მსუქანი, სულ ეძინება, ქოშინებს.

მადამ ბოვარის სინდრომი ანუ *ბოვარიზმი* – ქალის ქცევის აშლილობა, რომლის მიზეზია სიყვარულის რომანტიზება და იდეალიზება. ამ ფსიქიკური პათოლოგიის დროს მეუღლესთან ურთიერთობას მოაქვს იმედგაცრუება. პირველად 1892 წელს აღწერა ფილოსოფოსმა *ჟიულ დე გოტიემ* და უწოდა „ქრონიკული ემოციური დაუკმაყოფილებლობა“. *გუსტავ ფლობერის* რომანის (1857წ.) გმირის, ემა ბოვარის, ქორწინება პროვინციელ ექიმ ჩარლზთან ერთფეროვანი და ვნებებისგან დაცლილია, ქალი კი ეძებს იდეალურ სიყვარულს და მზადაა დატოვოს ოჯახი, ანა კარენინას მსგავსად (ინტ. 36).

უნდა ითქვას, რომ მეტონიმია და მეტაფორიზაცია ზოგადენობრივი უნიფიცირებული მოვლენაა, მისი საფუძველი კი საძებარია ადამიანის მენტალურ პროცესში. ეს რთულ კონცეპტუალურ და მენტალურ მოქმედებათა შედეგია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამედიცინო ტერმინოლოგიის ნომინაციის დროს, როგორც მისი გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება.

ენათმეცნიერები ტერმინთა მეტაფორულ ნომინაციას უწოდებენ მეორეულს, რადგან ახალი ცნების შექმნისას ყველასთვის ნაცნობ ნივთს, არსებას, პერსონაჟს ან მოვლენას უკავშირებენ სამედიცინო სფეროს (ორგანოს, პათოლოგიის კერას, სიმპტომს, სინდრომს, ავადმყოფობის გამოვლენას) და სახელდება ხელახლა ხდება.

4. დასკვნები

ტერმინთა შექმნისა და სახელდების პრინციპები ტერმინოლოგიაში არ განსხვავდება, ზოგადად, ენაში გამოყენებული საშუალებებისაგან, სხვაობა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ენაში მათს მეტნაკლებ გავრცელებულობაში.

სხვა დარგებთან შედარებით, სამედიცინო ტერმინოლოგია ყველაზე უნიფიცირებულია და ნაკლებად ასახავს ცალკეულ ენათა სემანტიკურ-ნომინაციურ თავისებურებებს. ყველასთის ცნობილია, რომ სამედიცინო ტერმინთა დიდი ნაწილი ინტერნაციონალურია და პარალელურად მკვიდრდება მათი თარგმნითი ეკვივალენტები ან კალკები.

მეტონიმია და მეტაფორიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი სამეცნიერო დარგის ტერმინთა ნომინაციის დროს, განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია მას სამედიცინო ტერმინოლოგიაში. როგორც ამ დარგის ტერმინთა გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება, ის რთულ კონცეპტუალურ და მენტალურ მოქმედებათა შედეგია.

მეტონიმიურ-მეტაფორულ სამედიცინო ტერმინთა დახასიათება შეიძლება როგორც აგებულების, ისე სემანტიკის მიხედვით. სტრუქტურულად ტერმინებში მრავალფეროვნება არ შეინიშნება, ბევრი არაა ერთსიტყვიანი მარტივფუძიანი (*ატლასი, ჰიმენე...*) და სუფიქსებით/სუფიქსოიდებით ნაწარმოები ტერმინი (*გარგოილიზმი, დონჟუანიზმი, ნარცისიზმი, პიგმალიონიზმი, ჰერმაფროდიტიზმი...*), უმრავლესობა ორ- და მეტსიტყვიანია (*სტენდალის სინდრომი, დორიან გრეის სინდრომი, მძინარე მზეთუნახავის სინდრომი* და სხვ.).

სამედიცინო ტერმინთა მეტონიმია-მეტაფორიზაცია ზოგადენობრივი უნიფიცირებული მოვლენაა, რადგან ამ ტიპის ტერმინთა ნომინაციის საფუძველი საძებარია საერთოდ ადამიანის მენტალურ პროცესებში. ენათმეცნიერები ამბობენ, რომ ამ ტერმინთა ნომინაცია მეორეულია. ამ დროს ხდება მეტონიმიურ-მეტაფორული გადააზრება, რომლის საფუძვლად იქცევა გარეგნული მსგავსება დენოტატის აღმნიშვნელ ნაცნობ სიტყვასა და შესაბამის ორგანოს შორის ფორმის, მოყვანილობის, ზომის, ფერის მიხედვით; მაგ., ანატომიური ტერმინები (*ძვლის, კუნთის, მყესის, სისხლძარღვის, ნერვის, ორგანოს ნაწილის, პათოლოგიური კერის დასახელება...*); ფიზიოლოგიური თუ პათოლოგიური მდგომარეობის თუ ქცევის, დაავადების გამოვლინების სიმპტომთა ასოციაციური დაკავშირება სხვა საგნის, არსების გარეგნობასთან, ფიზიკურ მდგომარეობასა თუ ქცევასთან: გამომეტყველება, სიარულის ან ლაპარაკის მანერა, პოზა, გამოხედვა და სხვ.

ღრმა მეცნიერული დაკვირვების შედეგია ქცევითი დარღვევის, ფსიქიკური აშლილობის, ემოციებისა და გრძნობების პათოლოგიური გამოვლინების სახელდება ისტორიული პიროვნების ან გამოგონილი პირის (ლიტერატურული თუ მითოლოგიური პერსონაჟის) დამახასიათებელი თვისებისა და თავს გადახდენილი ამბების მიხედვით.

განსაკუთრებით მრავლად დასტურდება მეტაფორული გადაააზრების მაგალითი დაავადებათა სინდრომების დასახელებებში.

გარდა დარგობრივი კლასიფიკაციისა, ლინგვისტიკური თვალსაზრისით საინტერესოა სამედიცინო ტერმინოლოგიის დაყოფა მეტონიმია-მეტაფორიზაციის წყაროს მიხედვით. ასეთი შეიძლება იყოს: არაცოცხალი გარემო – ტოპონიმები, საყოფაცხოვრებო ნივთები, გარესამყაროს საგნები; ცოცხალი არსებები – ცხოველებისა და ფრინველების გარეგნობა ან ქცევა; რეალური ადამიანები და საქმიანობის სპეციფიკა; გამოგონილი პირები – ლეგენდარული, ბიბლიური, ზღაპრული, მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟები.

მეტაფორული სამეცნიერო ტერმინები დროთა განმავლობაში კარგავს მეტაფორულობას და ემსგავსება სხვა მონოსემანტიკურ ცნებებს. რაც შეეხება მათი ნომინაციის პრინციპებსა და მეტაფორული გადააზრების მექანიზმს, ეს უკვე ტერმინთა ისტორიის შესწავლის სფეროა.

ლიტერატურა

ბარბაქაძე 2013 – ცირა ბარბაქაძე, მეტაფორები, რომლებითაც ვცხოვრობთ: მასწავლებელი, http://mastsavlebeli.ge/?p=3865

ბახტაძე და სხვ. 1991 – გრ. (გივი) ბახტაძე, ალ. ქისტაური, გ. ბახტაძე, თერაპიული ლექსიკონი: სინდრომები, სახელობითი სიმპტომები და დაავადებები, საქართველო (წიგნის ფაბრ-კა), თბილისი.

გაჩეჩილაძე 1977 – სიმონ გაჩეჩილაძე, სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორია, მე-2 გადამუშ. და შევსებული გამოცემა, განათლება, თბილისი.

გოგიჩაძე და სხვ. 2009 – გიორგი გოგიჩაძე, არჩილ გედენიძე, ჯემალ ჭუმბურიძე, სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი, მერიდიანი, თბილისი.

გუსევი 1984 – Станислав Сергеевич Гусев, Наука и метафора, Изд-во Ленинградского университета, Ленинград.

დათეშიძე და სხვ. 2010 – ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია, ვლადიმერ ბაზიაშვილი, მანანა კიკნაძე, თამარ პაპავა, ამირან დათეშიძე, სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების ისტორია და თანამედროვე ტენდენციები, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი.

დუდეცკაია 2007 – Дудецкая Светлана Геннадьевна, Метафоризация как способ терминообразования: на материале английской терминологии черепно-челюстно-лицевой хирургии и стоматологии, диссертация кандидата филологических наук, Самара.

ზექალაშვილი 2000 – რუსუდან ზექალაშვილი, ქართული ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხები, თბილისი.

თელია 2006 – Телия Вероника Николаевна, Метафоризация и ее роль в создании языковой картины мира: http://genhis.philol.msu.ru/article_66.shtml

იზვეკოვა და სხვ. – Извекова Татьяна Федоровна, Грищенко Елена Вячеславовна, Пуртов Алексей Сергеевич, Эпонимы в медицинской терминологии: http://ngmu.ru/cozo/mos/article/ text_full. php?id=1365

კასრაძე 1999 – მინდია კასრაძე, ეპონიმები ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში, თბილისი.

კაციტაძე და სხვ. 2001 – ზურაბ კაციტაძე, გიორგი კაციტაძე, სამედიცინო ეპონიმების განმარტებითი ლექსიკონი, მედეა, თბილისი.

ლაკოფი, ჯონსონი 1980 – George Lakoff, Mark Johnson, Metaphors We Live by.

ომიაძე 1991 – თამარ ომიაძე, ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიზმები სამედიცინო ლიტერატურაში: სამედიცინო ლიტერატურის ლინგვისტურ-სტილური ანალიზი და ენების სწავლების პრობლემები სამედიცინო ინსტიტუტში: სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი.

სიმონიშვილი 1988 – იგორ სიმონიშვილი, გასტროენტეროლოგიური ეპონიმების მოკლე კლინიკური ცნობარი, საბჭ. საქართველო, თბილისი.

შავდია 2005 – მიხეილ შავდია, ეპონიმები ონკოლოგიაში = Eponyms in Oncology, ფორტუნა, თბილისი.

შერაზადიშვილი 2016 – ხატია შერაზადიშვილი, თანამედროვე ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემები, ფილოლ. დოქტ. დისერტაცია, თბილისი.

ჩერნიავსკი 1984 – Чернявский Максим Наумович, Краткий очерк истории и проблем упорядочения медицинской терминологии: Энциклопедический словарь медицинских терминов, гл. ред. Б.В. Петровский, III т., Москва.

ცანავა 2009 – რუსულდან ცანავა, მეტაფორა, ლიტ. ინსტ-ტის გამბა, თბილისი.

ჭყონია და სხვ. 1972 – ე. ჭყონია, თ. მიროტაძე, ეპონიმები და ოფთალმოლოგიური სიმპტომ-სინდრომები მხედველობის ორგანოსა და ზოგად დაავადებათა დროს, საბჭ. საქართველო, თბილისი.

ინტერნეტრესურსები:

ინტ. 1ა –https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2_%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%_9D%E1%83%A0%E1%83%90

ინტ. 1ბ – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%B5%D1%82%

D0%B0%D1%84%D0%BE%D1%80%D0%B0

ინტ. 2 – http://genhis.philol.msu.ru/article_66.shtml

ინტ. 3 – https://edu.medgeo.net/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A5%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/

ინტ. 4 – https://edu.medgeo.net/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90/

ინტ. 5 – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B2%D0%B0_%D0%BC%D0%B5%D0%B4%D1%83%D0%B7%D1%8B_(%D0%BC%D0%B5%D0%B4%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%BD%D0%B0)

ინტ. 6 – https://guide-israel.ru/11307-ierusalimskij-sindrom/

ინტ. 7 – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D0%B0%D1%80%D0%B8%D0%B6%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%81%D0%B8%D0%BD%D0%B4%D1%80%D0%BE%D0%BC

ინტ. 8 – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D1%82%D0%BE%D0%BA%D0%B3%D0%BE%D0%BB%D1%8C%D0%BC%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%81%D0%B8%D0%BD%D0%B4%D1%80%D0%BE%D0%BC

ინტ. 9 – https://eyepress.ru/article.aspx?23096

ინტ. 10 – https://vocabulary.ru/termin/sikstinskoi-kapelly-sindrom.html

ინტ. 11 –https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D0%B4%D1%80%D0%BE%D0%BC_%D0%BA%D0%B8%D1%82%D0%B0%D0%B9%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%B3%D0%BE_%D1%80%D0%B5%D1%81%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B0%D0%BD%D0%B0

ინტ. 12 –https://sv.wiktionary.org/wiki/%D0%BA%D1%83%D1%80%D0%B8%D0%BD%D0%B0%D1%8F_%D0%B3%D1%80%D1%83%D0%B4%D1%8C

ინტ. 13 – https://pikabu.ru/story/izmeneniya_litsa_pri_razlichnyikh_sostoyaniyakh_5051695

ინტ. 14 – https://aif.ru/archive/1667150

ინტ. 15 – https://zen.yandex.ru/media/helperlife/deformaciia-grudnoi-kletki-u-detei-vrojdennaia-i-priobretennaia-mojno-li-chtoto-predpriniat-5dec04145ba2b500adfd63f8

ინტ. 16ა – https://www.nebolit.ru/disease/blefaroptoz/

ინტ. 16ბ – http://oftalmic.ru/b_ptosis.php

ინტ. 17 – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D 0%BD%D0%B4%D1%80%D0%BE%D0%BC_%D0%94%D0%B8%D0%BE%D0%B3%D0%B5%D0%BD%D0%B0

ინტ. 18 – https://brueggen.livejournal.com/47684.html

ინტ. 19 – http://gh.ge/ka/disease/751/

ინტ. 20 – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9A%D0%BE%D0%BC%D0%BF%D0%BB%D0%B5%D0%BA%D1%81_%D0%9D%D0%B0%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B5%D0%BE%D0%BD%D0%B0

ინტ. 21 – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D0%B4%D1%80%D0%BE%D0%BC_%D0%A1%D1%82%D0%B5%D0%BD%D0%B4%D0%B0%D0%BB%D1%8F

ინტ. 22 – https://dic.academic.ru/dic.nsf/medic2/49001

ინტ. 23 – https://pikabu.ru/story/sindrom_adeli_6525461

ინტ. 24 – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D0%_BE%D0%BB%D0%BE%D0%B2%D0%B0_%D0%BC%D0%B5%D0%B4%D1%83%D0%B7%D1%8B_(%D0%BC%D0%B5%D0%B4%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%BD%D0%B0)

ინტ. 25 – http://www.rickets.ru/for-patients/symptoms

ინტ. 26 – https://psychology.academic.ru/7341/%D0%BA%D0%BE%D0%BC%D0%BF%D0%BB%D0%B5%D0%BA%D1%81_%D0%9C%D0%B5%D0%B4%D0%B5%D0%B8

ინტ. 27 – https://medportal.org/catalog/nervnye-bolezni/epilepsiya/

ინტ. 28 – http://physfunc.ru/?p=46

ინტ. 29 – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A5%D0%B5%D1%80%D1%83%D0%B2%D0%B8%D0%B7%D0%BC

ინტ. 30 – https://ru.sainte-anastasie.org/articles/psicologia/el-sndrome-de-pinocho.html

ინტ. 31 – https://zen.yandex.ru/media/anna_kiryanova/chto-takoe-

sindrom-buratino-5cdaa81f54572b00b3bc75b2

ინტ. 32 – https://aif.ru/health/life/8939

ინტ. 33 – http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_310839/63057dfd1bc75d86ce8c0bbea7514c27f5b19433/

ინტ. 34 – https://www.greatlove.ru/articles/beautiful/plastic/12-05-2018/6257-kvazimodo/

ინტ. 35 – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D0%B4%D1%80%D0%BE%D0%BC_%D0%94%D0%BE%D1%80%D0%B8%D0%B0%D0%BD%D0%B0_%D0%93%D1%80%D0%B5%D1%8F

ინტ. 36 – https://ru.psychologyinstructor.com/chto-takoe-sindrom-madam-bovari/

Rusudan Zekalashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
rusudan.zekalashvili@tsu.ge

Keywords: Medical terminology, Syndromes, Metaphorization, Metonymy, Secondary nomination.

Metaphorization and Metaphoric Medical Terms

Summary

The sphere of medical terminology is one of the most unified in comparison with other scientific spheres. It is quite rare to find examples reflecting the semantic and nomination peculiarities of a particular language in medical terminology. Terms in this branch of science are of international origin and enter the vocabulary of different languages via their semantically equivalent translation.

Metonymy and metaphorization play a significant role in the nomination of medical terminology as one of the means for its enrichment. Structural diversity is not evidenced in such terms: one-word, simple-stem terms are rare. For example, in anatomy, the *atlas* is the most superior (first) cervical vertebra of the spine; it is named after Atlas in Greek mythology because it supports the globe of the head

which is the skull. As another example, the middle ear contains three tiny bones known as the ossicles: *malleus, incus* and *stapes*. These ossicles were given the abovementioned Latin names for their distinctive shapes; they are also referred to in English as the *hammer* which is ჩაქუჩი [chaquchi] in Georgian, *anvil* (გრდემლი [grdemli], and *stirrup* (უზანგი [uzangi]).

There are terms derived by means of suffixes or suffixoids: *gargoylism* – Hurler's syndrome, Hunter syndrome; *Don Juanism* – Don Juan syndrome; *Narcissism* – Narcissistic personality disorder; *Pygmalionism. The terms containing two or more words are more frequent, e.g. Stendal syndrome* (Stendhal's syndrome) or *Florence syndrome*; *Dorian Gray syndrome; "Sleeping Beauty" syndrome – Kleine-Levin Syndrome*.

Metonymy and metaphorization of the medical terms is a unified phenomenon and nomination is secondary. The starting point for the transferred interpretation is the physical resemblance between the familiar word naming an already existing object and the corresponding organ or its part (according its form, size or color). Another way is linking physiological or pathological conditions, behavior or symptoms of disease with another object's or person's appearance, physical condition or behavior. Naming the conditions of a behavioral disturbance, psychical disorder, pathological demonstration of emotions and feelings, and other similar conditions after the names of characters from novels or other literary works or from the lives of historical personages is the result of thorough scientific observance.

Metaphorical medical terms can be divided into two large groups: I. non-living things and II. living things. The subgroups of the first group are: 1. geographic names, 2. everyday items, and 3. terms related to the external world. The terms of the second group are related to: 1. birds, animals and their behavior, 2. human professions and activities, 3. historical and famous persons, and 4. characters from mythology, the Bible, fairy tales and literary characters.

As time passes and the metaphory of the medical terms weakens, these terms become more like the monosemantic notions. As for the principles of their nomination and the mechanisms of their metaphoric connotations, these relate to the sphere of research of the history of terms.

ლევან კოჭლამაზაშვილი
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
Levan.Kochlamazashvili285@hum.tsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგია, ინგლისური ზმნის მწკრივთა სახელწოდებანი.

ინგლისური ზმნის მწკრივთა ქართული სახელწოდებანი

ინგლისური ენა ერთ-ერთი სავალდებულო სასწავლო საგანთაგანია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. სკოლაში მისი სწავლება დაწყებითი საფეხურიდანვე იწყება. უცხო ენის სწავლებას თან ახლავს ლინგვისტიკური მასალის აღსაქმელი ცნებები, რაც სიტყვის სრულყოფილი გააზრების დამხმარე საშუალებაა და პირს ეხმარება მისი თავისებურების გარკვევაში, აზუსტებს მის ფორმობრივ მნიშვნელობას.

ქართული და ინგლისური განსხვავებული სისტემის ენებია, რაც მკაფიოდ ვლინდება ლინგვისტიკური შეპირისპირების შედეგად. წინამდებარე ნარკვევიც სწორედ შეპირისპირებითი შესწავლით გამოკვეთილ თავისებურებას ეთმობა, რაც ინგლისურ ზმნას ქართულისაგან განასხვავებს.

ინგლისურში დროის მოდალური კატეგორიის სამსავე ფორმაში ოთხი მწკრივი გამოიყოფა: ე. წ. „ზოგადი“ (present, past, future), continuous, perfect და perfect continuous, მათი ფორმობრივ-შინაარსობრივი შეპირისპირება ღირებულია და განსხვავებულად იწარმოება:

I am writing (present continuous)
I write (present)
I have written (present perfect)
I have been writing (Present perfect continuous)

ინგლისური დროის აღქმის თავისებურებაში მსმენელს ქართული ცნებები უნდა ეხმარებოდეს, რაც ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანი და შემაფერხებელია. დაბრკოლება უფრო მზარდია იმ შემთხვევაში, როცა მორფოლოგიურ-სემანტიკურად ვერ შეეფარდება ზმნური ფორმები

ერთმანეთს და მეტყველებაში ძნელად დასამკვიდრებელი მოცემულობაა.

რა შესატყვისები მოეძებნება ქართულ მეტაენაში ინგლისურ დროის მწკრივებს, რომ მასალა უფრო ნათელი იყოს შემსწავლელისათვის?

1. *Continuous.* ინგლისური ენის სწავლებაში ამ მწკრივის აღმნიშვნელად ნათელი ტერმინია შერჩეული: *განგრძობითი.* ქართულს მსგავსი ნაკვთი არ ჩამოჰყალიბებია და, აქედან გამომდინარე, არც საამისო ფორმათწარმოება გააჩნია. ამდენად, ტერმინის სიცხადის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას. მის სამსავე სახეობას დროის მიხედვით შემდეგნაირად უნდა განესაზღვროს ქართული სახელწოდება:

ა) present continuous – აწმყოს განგრძობითი

ბ) past continuous – უწყვეტელი

გ) future continuous – მომავლის განგრძობითი

ვინაიდან ტერმინი *უწყვეტელი* ქართულ გრამატიკაში დიდი ხნის დამკვიდრებულია (შანიძე 1973:218-19), უფრო მისაღები უნდა იყოს მისი ხმარება ინგლისურისთვისაც. ამას გამოყენებითი მნიშვნელობაც ერთვის, რადგან ქართველი მოსწავლისთვის მისი შინაარსი ნათელია.

2. *ზოგადი.* ამ ტერმინით დროის სამ სახეობას განსაზღვრავენ და ლოგიკურად მიანიშნებენ მსმენელს (მოსწავლეს), რომ დროის ამა თუ იმ მონაკვეთში წარიმართა მოქმედება. აქედან გამომდინარე არსებობს: *ზოგადი აწმყო* (present), *ზოგადი წარსული* (past) და *ზოგადი მომავალი* (future). მწკრივი გადმოცემს მრავალგზის მოქმედებას და შინაარსობრივად მიესადაგება ქართულის ხოლმეობითს (შანიძე 1973: 219). ამის გათვალისწინებით მართებულად მიმაჩნია მისი ქართული სახელწოდებები განისაზღვროს:

ა) present – აწმყოს ხოლმეობითი

ბ) past – წყვეტილის ხოლმეობითი

გ) future – მომავლის ხოლმეობითი

3. *Perfect.* ამ მწკრივის გამოსაცემად იხმარება ცნებები: აწმყო სრული, ნამყო სრული, მომავალი სრული. ჩემი აზრით, ეს ცნება („სრული“) ბუნდოვნებას სძენს მისი ლინგვისტიკური ფუნქციის გააზრებას. მწკრივის მიზანია წინამორბედი ქმედებით მიღებული შე-

დეგის გამოკვეთა და განსაზღვრებაში რომ შედეგობრიობა[1] იყოს ხაზგასმული, თითქოს მეტად აღქმადია:

ა) present perfect – აწმყოს შედეგობითი

ბ) past perfect – წყვეტილის შედეგობითი

გ) future perfect – მომავლის შედეგობითი

4. *Perfect continuous.* ეს მწკრივი ქართულს არ გააჩნია. სწავლებისას იგი განიმარტება: „სრული განგრძობითი“. ბუნდოვანია და დასახვეწი მისი ასეთი ახსნა, რადგან ცნობილია ნაკვთში წარმოდგენილი მოქმედების დასაწყისი და უწყვეტად მიმდინარეობა. ამ ფაქტის გათვალისწინებით უმჯობესი იქნებოდა მისი სახელწოდებაც მიმდინარეობას უსვამდეს ხაზს[2]:

ა) present perfect continuous – აწმყოს მიმდინარეობითი

ბ) past perfect continuous – წყვეტილის მიმდინარეობითი

გ) future perfect continuous – მომავლის მიმდინარეობითი

შესაძლოა, დაისვას საკითხი, რომ ერთცნებიანი განსაზღვრებებით შექმნილიყო სახელწოდებანი, მაგრამ ვინაიდან თითო მწკრივი ერთი დროის ერთ-ერთი სახეობაა და მას სხვა ერთეულიც შეუპირისპირდება როგორც მორფოლოგიურად (სტრუქტურულად), ისე სემანტიკურად, ამიტომ ვამჯობინე ერთი სახეობის ძირითადი ხაზგასმა საყრდენი დროისა (აწმყო, წყვეტილი, მომავალი), ხოლო დამატებით განსაზღვრებად სტრუქტურულ-სემანტიკური ფაქტორი დავურთე, სქემატურად კი ასე გამოისახება:



[1] ქართულში ამგვარი ფუნქცია ახასიათებს თურმეობითის მწკრივებს (იხ. შანიძე 1973:221-23), თუმცა ინგლისური ზმნის ფორმა თითქოს ძირითად მორფოსემანტიკურ ფოკუსირებას სწორედ შედეგობრიობაზე ახდენს, ამიტომ მიმაჩნია მართებულ ტერმინად შედეგობითის ხმარება.

[2] მიმდინარეობითის მსგავსი მწკრივი ქართულს არ აქვს, ამდენად ტერმინის მოპოვება საკუთრივ ინგლისური მოცემულობის მორფოსემანტიკური გააზრების შედეგია, რაც გულისხმობს მოქმედების ქრონოლოგიურ განხორციელებას განსაზღვრული (ცნობილი) საწყისიდან უსასრულოდ.





ლიტერატურა

შანიძე 1973 – აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

Levan Kochlamazashvili
TSU Arn. Chikobava Institue of Linguistics, Georgia
Levan.Kochlamazashvili285@hum.tsu.edu.ge

Keywords: English Verb Series, Georgian Grammatical Terms.

Georgian Names for the English Verb Series

Summary

The aim of the represented work is to adjust the Georgian metalanguage to the English language structure, namely, to the verb morphology. My observations allow me to conclude that the morphologic-semantic functions of the tense–mood series of the English verbs were ambiguous and difficult to understand because of those linguistic terms which had been accepted in Georgian for teaching English. This factor

made it complicated to understand the whole system of the language. Contraposition analysis allowed us to reveal the common as well as differing elements among Georgian and English verbs. For the common units revealed, named *mtskrivi* in Georgian, we choose the terms rooted in the Georgian grammar such as: repeating, iterative actions – *kholmeobiti* in Georgian; actions with results, or perfect - *shedegobiti* and continuous actions- *gangrzobiti.* As for the differing signs, we analyzed the linguistic peculiarities of the given *mtskrivi* and worked out a new notion – happening now – *mimdinareobiti.*

ჰენრი კუპრაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
henrikupra@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: უშიშროება, უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

ტერმინები *უშიშროება* და *უსაფრთხოება* და მათი გამოყენების წესი

შესავალი

ქართველების მეტყველებასა და წერილობით სიტყვაკაზმულობაში კარგა ხანია ნათლადაა გარკვეული და განსაზღვრული სიტყვა *უშიშროების* შინაარსი, მნიშვნელობა და გამოყენების წესი, რომელსაც ნათლად ადასტურებენ ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროები – 15-საუკუნოვანი ისტორიული ტრადიცია. ეს კიდევ უფრო განამტკიცა ქართულმა ავტორიტეტულმა ენათმეცნიერებამ, როდესაც დაადგინა ამ ტერმინის გამოყენების შინაარსობრივი კონტექსტი და გამოყენების არეალი (მაგალითად, *ეროვნული უშიშროება, სახელმწიფო უშიშროება, უშიშროების საბჭო* და სხვ.).

სამწუხაროდ, 2004 წლიდან არა ენის სპეციალისტების, არამედ „ყოვლისმცოდნის“ იმიჯმორგებული მავანი ადამიანების (შემდგომ ზოგი ხელისუფლებას დაუახლოვდა, ზოგი მთავრობაშიც მოხვდა და მოიპოვა გავლენა) ვოლუნტარისტული თვითნებობის შედეგად ძირძველი ქართული სიტყვა *უშიშროება* თვითნებურად გამოცხადდა არასასურველ ტერმინად, პრაქტიკულად, ამოაგდეს ხმარებიდან და ჩაანაცვლეს შინაარსობრივად სრულიად განსხვავებული ტერმინით *უსაფრთხოება* (მაგალითად, *ეროვნული უშიშროება* შეცვალეს *ეროვნული უსაფრთხოებით*), მაშინ როდესაც *უსაფრთხოებაში*, ენათმეცნიერების დადგენილი ნორმებით, მოიაზრება სხვა შინაარსი, სხვა კონტექსტი, მაგალითად, *შრომის უსაფრთხოება, უსაფრთხოების ტექნიკა, ტექნიკური უსაფრთხოება, უსაფრთხო სექსი* და სხვ. სამწუხაროდ, დღეს უკვე ორი სხვადასხვა შინაარსის გამოსახატავად იყენებენ ერთსა და იმავე ტერმინ *უსაფრთხოებას*.

1. ტერმინი ნონ გრატა (Terminus NON GRATA)

რაც შეეხება შინაარსობრივად ტერმინ *უსაფრთხოების* ასეთ აღ-

ქმას – ვითომცდა, სიტყვის შინაარსი იმგვარად ესმით, რომ, ეროვნულობის მათებური გაგებით, სწორედ უსაფრთხოება უნდა იქნეს გამოყენებული – იგი ვოლუნტარისტულია და უგულებელყოფს ობიექტურად არსებულ კანონზომიერებას. სპეციალისტის მიერ მეცნიერულად დადგენილი ენის ნორმა აკადემიურ დონეზე საკამათო შეიძლება გახდეს ისევ ენის სპეციალისტისათვის და არა დილეტანტებისათვის, რადგან რამდენი ადამიანიც არის, იმდენი სუბიექტური აღქმა არსებობს და ყოველი მათგანის ჭირვეულობაზე წესებისა და ნორმების ცვლა ქაოსს გამოიწვევს.

ანდა, შევეხოთ ტერმინ *უშიშროების* მოწინააღმდეგეთა მეორე ახირებას, რომ *უშიშროება* საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან (КГБ-სთან) ასოცირდება და ამიტომ არ უნდა გამოვიყენოთო – ესეც უსუსური პოლიტიკური სპეკულაცია და უაზრო სენტიმენტალიზმია.

გასაგებია, რომ მართლაც საშინელ ასოციაციებს იწვევს ამ ჯალათური საბჭოთა ინსტიტუტის და მასთან დაკავშირებული ადამიანების ამაზრზენი და დანაშაულებრივი საქმიანობა[1]. გარკვეული დროის შემდეგ „კაგებეს" ამგვარი ემოციური დატვირთვა აღარ ექნება, ჩვენი ენა კი დარჩება კიდევ ერთი ძირძველი ტერმინის გარეშე. სუკ-ს მენტალურად და შინაარსობრივად უნდა გავემიჯნოთ, ძველი ქართული სიტყვა რა შუაშია? „კგბ“ კი არა, როგორც ერი და ქვეყანა, თვითონ რუსეთიც კი არ არსებობდა, როდესაც ქართველები ამ სიტყვას იყენებდნენ. გაუგებარია, ხელოვნურად რატომ უნდა შეველიოთ რომელიმე ტერმინს და ამით გავაღარიბოთ მშობლიური ენა.

ეს ტენდენცია შეიძლება გასაგები ყოფილიყო, ენათმეცნიერებს, ამ დარგის სპეციალისტებს, რომ წამოეწიათ ეს საკითხი, მაგრამ არასპეციალისტები და მედროვენი რომ აქტიურობენ და საზოგადოებას ახვევენ საკუთარ სუბიექტურ აზრს, ესაა მიუღებელი.

თუ რა იგულისხმება ტერმინ *უშიშროების* შინაარსში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულმა ისტორიოგრაფიამაც ასახა თავისი ის-

[1] პირადად, სხვაზე არანაკლებ განმიცდია სუკ-ის დევნა 1967, 1975 და 1979 წლებში. საერთოდ, მთელი ცხოვრება დაღად დამყვა მუდმივ სტრესში ყოფნა, რადგან გამზარდა ბებიამ, რომელიც „მოღალატის“ ცოლი იყო. ბაბუაჩემი, ლუკა კუპრაშვილი (1896-1924), საბჭოთა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში 28 წლისა დაიღუპა ოკრიბის ტყეში. დარჩა 18 წლის მამაჩემზე ფეხმძიმე მეუღლე. გასაგებია, მთელი ცხოვრება იგი ბოლშევიკების როგორი წნეხის ქვეშ იქნებოდა ოჯახთან ერთად.

ტორიულად ტრადიციული გაგება და ქართულმა ენათმეცნიერებამაც – სახელოვანი მკვლევრის, მეცნიერების კორიფეს, აკად. არნოლდ ჩიქობავას (1898–1985), ხელმძღვანელობით ხომ დიდი ხანია გამოიტანა სავსებით კომპეტენტური დასკვნა.

სწორედ ამ მეცნიერული და ისტორიული ტრადიციის საფუძველზე უკვე დამოუკიდებელ საქართველოში პირველად ოფიციალურად გაჩნდა ორი სიტყვისაგან შემდგარი ტერმინი *ეროვნული უშიშროება*, ანუ, როდესაც 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის 73-ე მუხლში ჩაიწერა „ეროვნული უშიშროების საბჭო“ (კონსტიტუცია 2014), ხოლო 1996 წლის 24 იანვარს პარალმენტის მიერ მიღებულ იქნა „კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ (კანონი 1996).

ცნობილია, რომ ტერმინი *National Security* (*ეროვნული უშიშროება*) თანამედროვე გაგებითა და შინაარსით ამერიკელებმა დაამკვიდრეს[1]. სწორედ ეს (ორ გაერთიანებულ ინგლისურ სიტყვაში ჩადებული) შინაარსი იგულისხმეს ახალი ქართული პოლიტიკური ტერმინის – *ეროვნული უშიშროების* სახელწოდებაში.

ვიმეორებ, საქართველოში 1995 წელს შემოღებულ ტერმინში *ეროვნული უშიშროება*, გათვალისწინებულ იქნა საქართველოში სიტყვა *უშიშროების* გამოყენების ტრადიცია და ამავე დროს, ამერიკულ ტერმინთან მისი შინაარსობრივი თანხვედრა. ამ შემთხვევაში ტერმინი *ეროვნული* გამოიყენება ფართო გაგებით და გულისხმობს მთელ ქართველ ხალხს, ქვეყნის მთელ მოსახლეობას, შესაბამისად, მათი უშიშროების უზრუნველყოფას.[2]

ხოლო ტერმინი *უშიშროება* მოიაზრებს პოტენციური და რეალურად არსებული არაერთი საფრთხისა და მუქარისგან პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცულო-

[1] ცნება „ეროვნული უშიშროება“ პოლიტიკურ ლექსიკონში პირველად გამოყენებულია 1904 წელს პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის (Theodore Roosevelt, 1858-1919) აშშ-ის კონგრესისადმი მიწერილ წერილში, სადაც იგი პანამის არხის ზონის მიერთებას „ეროვნული უშიშროების“ ინტერესით ასაბუთებდა. შემდეგ წლებში ეს პრობლემა ცენტრალურ ადგილს იკავებს ამერიკელ პოლიტოლოგთა გამოკვლევებში. ეროვნული უშიშროების საბჭო კი 1947 წელს პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა (Harry S. Truman, 1945-1953) შექმნა.

[2] ეროვნული უშიშროება არის პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების საშინაო და საგარეო საფრთხისაგან დაცულობა და ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, რომლის ხარისხსაც განაპირობებს სახელმწიფოს მიერ მოსალოდნელი საფრთხეების ამოცნობისა და მათი დროულად განეიტრალების უნარი.

ბას ან ამგვარი საშიშროების არარსებობას.

ინგლისურ ენაშიც ტერმინი *Security* (*უშიშროება*) გამოიყენება უმთავრესად სოციო-პოლიტიკური მნიშვნელობით: *ეროვნული უშიშროება* (National security), *უშიშროების საბჭო* (Security Council), *საინფორმაციო უშიშროება* (Security information) და სხვ. ხოლო ტერმინ *Safety*-ს (*უსაფრთხოება*) ინგლისურ ენაში, ისევე როგორც ქართულში, საკუთარი ადგილი აქვს მიჩენილი და იხმარება: *წარმოებაში ტექნიკური უსაფრთხოების* (Industrial safety), *საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების* (Road safety), *უსაფრთხოების ღვედების* (Safety belts), *ტექნიკური უსაფრთხოების წესების* (Safety code regulations) გამოსახატავად.

შედარებისათვის ამ კუთხით განვიხილოთ ავტორიტეტული და ცნობილი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (*ნატო*) დოკუმენტები. აქაც ტერმინი *Security* ქართული *უშიშროების* მნიშვნელობითაა ნახმარი, რასაც ამ ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებაც მოწმობს: Political Affairs and Security Policy Division, Emerging Security Challenges Division, Science for Peace and Security, Cooperation and Regional Security Division და სხვ., ხოლო ტერმინი *Safety* (უსაფრთხოება) იმავე ნატოს დოკუმენტებში ყუმბარების აფეთქებასთან და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ შრომის უსაფრთხოების მნიშვნელობითაა გამოყენებული; ნატოში არსებობს კიდეც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები: The CNAD Ammunition Safety Group (AC/326) და Munitions Safety Information Analysis Center (MSIAC).

ტერმინ *უშიშროების* შინაარსობრივი გაგებისა და გამოყენების თვალსაზრისით, როგორც ქართულ და ინგლისურ ენებშია, იგივე მდგომარეობა გვაქვს მრავალ სხვა ენაშიც. განსხვავებული მდგომარეობაა რუსულ და რამდენიმე სხვა ენაში, რომლებშიც ორივე მოვლენის გამოსახატავად ერთსა და იმავე სიტყვას იყენებენ. მაგალითად, რუსულ ენაში ორივე ტერმინის, როგორც *უშიშროების* (Security), ისე *უსაფრთხოების* (Safety), გამოსახატავად გამოყენებულია მხოლოდ ერთი ტერმინი *Безопасность* (რუსებისაგან უკეთესი სხვა ვერაფერი გადმოვიღეთ და ქართველმა პოლიტიკურმა მედროვეებმა მიაღწიეს იმას, რომ დღეს საქართველოშიც გამოიყენება მხოლოდ ერთი ტერმინი *უსაფრთხოება*, ტერმინ *უშიშროების* უგულებელყოფის ხარჯზე).

2. ტერმინების, *უშიშროებისა* და *უსაფრთხოების*, ლინგვისტიკურ-ისტორიული და პოლიტიკური ანატომია

ტერმინი *უშიშროება*

უშიშროება – პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცულობა პოტენციური და რეალურად არსებული საფრთხისა და მუქარისგან ან ამგვარი საშიშროების არარსებობა. სხვაგვარად, ადამიანის (საზოგადოების...) მიერ თავისი ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და საკუთარი უფლებების დაცულობის უზრუნველყოფაში მდგრადობის შეგრძნება...

ტერმინის წარმოშობა

ტერმინი *უშიშროება* ნაწარმოებია ძველი ქართული სიტყვისგან *უშიშობა* (უშიშება), ზედმიწვნით: უშიშაროება → უშიშროება, რომელიც ძველი ქართული ენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „უშიშრობა“ (აბულაძე 1973).

ეს ტერმინი გვხვდება ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში, როგორებიცაა: „ქართლის ცხოვრება“[1] – ლეონტი მროველის (VIII ს.) „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „მატიანე ქართლისაჲ“, ლაშა-გიორგისდროინდელი[2] მემატიანე (1223 წ.) „ცხორე[ბა გიორგი] მეფისა“, ჯუანშერი (VIII ს.) „ცხორებაჲ ვახტანგ გორგასლისა[3]...“, „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“,[4] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ჟამთააღმწერელი (XIV ს.) (ქართ. ცხოვ. 1955), ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ბატონიშვილი 1973) და სხვ.

ტერმინ „უშიშობას“ კი საფუძვლად უდევს სიტყვა „შიში“. ტერმინ „შიშისა“ და მისგან წარმოებული ტერმინების მნიშვნელობა ლექსიკონებში ახსნილია შემდეგნაირად:

---

[1] მეამაყება, რომ 1970 წელს ცნობილი ქართველი მწერლის დავით კასრაძის (1885–1965) პირადი ბიბლიოთეკიდან „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური გამოცემის 1–2 ტომი საჩუქრად გადმომცა მწერლის ქალიშვილმა, ქალბატონმა ნაისი კასრაძემ.

[2] გიორგი IV ლაშა (1213–1223) – საქართველოს მეფე. თამარ მეფის (1184–1213) და დავით სოსლანის ძე (გარდ. 1205).

[3] ვახტანგ I გორგასალი (დაიბადა დაახლ. V საუკუნის 40-იანი წლებში–502) – ქართლის მეფე,.

[4] დავით IV აღმაშენებლი (1089-1125), საქართველოს მეფე.

1. სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) „ლექსიკონი ქართული“:

1) *შიში, სიში* – ხოლო შიშიცა განიყოფების ექვსად. ერთ-ერთი ახსნილია ასე: *უღონოება* – შიში განვრდომილებისა, რამეთუ შეგვეშინის რაჲ, ჴვებულ ყოფასა უღონოებითა;

2) *საშიშარი* – შიშის ადგილი;

3) *საშიში* – შიშის საქმე (საქნელი) (საბა 1993).

2. ილია აბულაძის (1901-1968) „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“:

1) *შიში* – ზარი, ტუქსვა, ძრწოლა, თრთოლა;

2) *შიშვა* – შინება;

3) *შიშნეული* – მოშიშე;

4) *შინება* – შეშინება, მშიშრება, დამედგრება, განკრთომა, დახსნა;

5) *უშიში* – უშიშარი, კრძალული (აბულაძე 1973)

3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი:

1) *შიში* – მოსალოდნელი (ან თავსდატეხილი) საფრთხის განცდით გამოწვეული ცუდი, შემაწუხებელი გრძნობა;

2) *შიშობს* – ა) შიში აქვს რისამე (ეშინია). ბ) შეწუხებულია რაიმეს ცუდის მოლოდინით (ეშინია);

3) *უშიშარი* (უშიშრისა) – ა) ვისაც არაფრის არ ეშინია (გულადი, გაბედული, მამაცი); ბ) ასეთი ადამიანის შესაფერისი (უშიშარი გულის პატრონი); გ) სადაც საშიში არაფერია (უშიშარი ადგილი);

4) *უშიშრობა* – უშიშრის თვისება (გულადობა, მამაცობა) (ქეგლ 1986).

ტერმინის მნიშვნელობა

ჩვენი წინაპრების მიერ, როგორც ამას ისტორიული წყაროები მოწმობენ, ტერმინი *უშიშროება* (უშიშოებაჲ) ტრადიციულად გამოყენებულია მხოლოდ სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში (უშიშროება სახელმწიფოსი, ქვეყნის, საზოგადოების, ხელისუფლების, ადამიანის და სხვ.).

მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ ტერმინი *უშიშროება* (უშიშოებაჲ) სწორედ ამ მნიშვნელობითაა გამოყენებული მრავალგზის:

1) „და დაჯდა მირვან[1] მცხეთას, მეფობდა ნებიერად და უშიშად“ (ქართ. ცხოვ. 1955:28). მროველს ტერმინი გამოყენებული აქვს სამჯერ;

2) „სპარსეთისა სულტანნი, შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მეძღუნედ და მოხარკედ მისდა იყვნეს, და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშად ჰქონდეს“ ანუ მთლიანად სამეფოს საზღვრების უშიშროება უზრუნველყოფილი იყო (ქართ. ცხოვ. 1955:367). ტერმინი გამოყენებულია ორჯერ); ასევე:

3) „იძებნეს უშიშოებაჲ და გამოიყვანეს მეფე მეფედ“ (ქართ. ცხოვ. 1955:302). ტერმინი გამოყენებულია ორჯერ;

თხზულებაში „ცხორება ვახტანგ გორგასლისა...“ ტერმინი გვხვდება ოთხჯერ; „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“, ამ ისტორიულ წყაროშიც ტერმინი გამოყენებულია სამჯერ; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ამ ნაწარმოებში ტერმინი ნახმარია ერთხელ; ჟამთააღმწერელი ტერმინს იყენებს ცხრაჯერ; როგორც ზემოთ აღინიშნა, იმავე ტერმინს იცნობს ვახუშტი ბატონიშვილიც (ბატონიშვილი 1973).

ეს ტერმინი გვხვდება არა მარტო საისტორიო, არამედ სასულიერო (ჰაგიოგრაფიულ) და ასევე უძველეს მხატვრულ ლიტერატურაშიც.

ტერმინი *შიში* და მისგან ნაწარმოები სიტყვები გვხვდება ჩვენს დრომდე მოღწეულ ქართული მხატვრული ლიტერატურის უძველეს ძეგლში, მე-5 საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“: „რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახჳლი...“ (შუშ. წამ. 1983:83-86).

ტერმინს *უშიში* იყენებს მე-6 საუკუნის უცნობი ქართველი მწერალი ჰაგიოგრაფიული თხზულება „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“: „ესრეთ მტერთაგან უშიშ იქმნეს“ (ევსტ. 1987).

იგივე სურათია უძველეს ნათარგმნ ლიტერატურაშიც. მწერალმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, სარგის თმოგველმა,[2] XII საუკუნის

---

[1] მირვან (მირიან) I (ძვ. წ. 159-109) იბერიის მეფე. ფარნავაზიანთა დინასტიის მე-3 წარმომადგენელი, მეფობდა ფარნავაზისა (ძვ. წ. 304–239) და საურმაგის (ძვ. წ. 234–159) შემდეგ.

[2] სარგის თმოგველი – XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართველი მწერალი, მეცნიერი, ფილოსოფოსი და რიტორი. მას ეკუთვნის რომანტიკულ-სათავგადასავლო პოემა „დილარგეთიანი“ („დილარიანი“), რომელსაც ჩვენამდე

შუა ხანებში გენიალურად თარგმნა სპარსელი პოეტის ფახრ-ედ-დინ გორგანის[1] სამიჯნურო პოემა „ვის ო რამინი“, ქართულად ცნობილი „ვისრამიანი“. მასში საერთოდ არაა ნახსენები ტერმინები *უსაფრთხოება* და *საფრთხე*, სამაგიეროდ, ტერმინი, *უშიშროება* (*უშიშობა* და სხვ.) 13-ჯერ არის გამოყენებული[2]. მაგალითად, 42-ე თავში წერია: „ესრე უშიშრად გაჴდა გურგანი, რომელ ცხუარნი და მგელნი ერთად იყვნიან“ (ანუ უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ისე უშიშარი გახადა ქვეყანა (გურგანი), რომ თხა და მგელი ერთად ძოვდნენ) (ვისრამიანი 1962).

ტერმინ *უშიშროებას* იყენებდნენ ჩვენი სახელოვანი პოლიტიკური, სამხედრო და საზოგადო მოღვაწენი:

სოლომონ დოდაშვილი (1805-1836) – „რომელ მტკიცე მარჯვენა მეფისა ჰზრუნავს უშიშროებისათვის ჩვენისა და ყოველივე დაბორკილებანი აღხოცეს" (დოდაშვილი 1832).

ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846) 1837 წელს ნიკოლოზ პირველისადმი[3] წარდგენილ ნაშრომში „საქართველოს მოკლე ისტორიულ ნარკვევი და მდგომარეობა 1801-1831 წლამდე" იყენებს ტერმინ *უშიშროებას*: „უშიშროება არ იყო არც ქალაქად, არც სოფლად" (ჭავჭავაძე 1940).

ილია ჭავჭავაძე (1837-1907), 1889 წელს „ივერიაში“ (#90) გამოქვეყნებულ წერილში – „...რომ ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის...“ (ჯორჯაძე 1989:63-64)

ასევე, „ქვათა ღაღადში“– „მას აქეთ, რაც ვახტანგმა გორგასალმა ჩრდილოეთით უშიშარ და უზრუნველ ჰყო მაშინდელი საქართველო, მთელი ჩვენი ისტორია მიიმართა იმაზე, რომ სამხრეთით გაგვემაგრებინა ჩვენი თავი" (ილია1 1984:805).

ამ ტერმინს ილია ბევრგან ხმარობს – „დადგა ხანა, ხანა მოსვენე-

არ მოუღწევია. მასვე მიეწერება XI ს. სპარსული პოემის „ვის ო რამინის“ პროზაული ქართული თარგმანი – „ვისრამიანი“.

[1] ფახრ-ედ-დინ გორგანი (გორგანელი) – მე-11 საუკუნის სპარსელი პოეტი. დაიბადა გორგანში (ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი). მისი პოემა რომანტიკული ეპოსის ერთ-ერთი პირველი ძეგლია. დედანი არ შემორჩენილა. ქართულ ენაზე შემონახულია მსოფლიოში მე-11–ისა და მე-17 საუკუნის ყველაზე ძველი თარგმანები. ქართულიდან ითარგმანა ინგლისურ (1914 წ.) და რუსულ ენებზე (1938 წ.).

[2] ვისრამიანი, თავები: 10, 31, 32, 39, 41-43, 49, 83-85, 87, 89.

[3] ნიკოლოზ პირველი – რუსეთის იმპერატორი (1825–1855)

ბულის, უშიშარის ცხოვრებისა“ (ილია2 1941:498), ამიტომ შემოვიფარგლეთ მხოლოდ რამდენიმე ციტატით.

ტერმინ *უშიშროებას* იყენებს ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სამოციანელთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ნიკო ნიკოლაძეც (1843-1928): „მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ უშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას“ (შუბითიძე 2003).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ V-XIX საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში, სასულიერო მწერლობასა და მხატვრულ ლიტერატურაში, ასევე ჩვენს სახელოვან პოლიტიკურ, სამხედრო და საზოგადო მოღვაწეთა ნაწერებში[1] გამოყენებულია მხოლოდ ტერმინი *უშიშროება* (უშიშობა) მაშინ, როდესაც საერთოდ არ გვხვდება მავანთა მიერ დღეს ასე სრულიად დაუსაბუთებლად ლობირებული, შინაარსობრივად სხვა დატვირთვის მქონე ტერმინი *უსაფრთხოება*. შესაბამისად, ეს უკანასკნელი არ არის შეტანილი „ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც“ (აბულაძე 1973).

და ბოლოს, ქართული მეცნიერების კორიფეთა (აკადემიკოსები: არნ. ჩიქობავა, ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ. ჭაბაშვილი) რედაქტორობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიერ ქართული ენათმეცნიერების აყვავების ეპოქაში გამოცემული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ტერმინ *უშიშროებას* ასევე სოციო-პოლიტიკური მნიშვნელობით განმარტავს: „მდგომარეობა, როდესაც რისამე საფრთხე არ არსებობს, რაიმე საშიშროება, საფრთხე არ ემუქრება ვისმე, რასმე“ და მაგალითებად მოყვანილია „სახელმწიფო უშიშროების დაცვა“, „გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო“ და სხვ. (ქეგლ 1986).

ტერმინის გამოყენება

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია ტერმინ *უშიშროების* ხმარების ისტორიული ტრადიცია და ქართული ავტორიტეტული ენათმეცნიერების მიერ დადგენილია შინაარსობრივად მისი გამოყენების კონტექსტი, მავანი გავლენიანი პირების ვოლუნტარისტული თვითნებობის შედეგად შეინიშნება მცდელობა, მას

[1] სანიმუშოდ აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანი წარმოვადგინეთ.

სისტემებრ ჩაენაცვლოს შინაარსობრივად მისგან განსხვავებული ტერმინი *უსაფრთხოება*.

ტერმინების, *უშიშროებისა* და *უსაფრთხოების*, შინაარსობრივი სხვაობის თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ ორ მაგალითს: პირველში ტერმინების, *სასურსათო უშიშროებისა* და *სასურსათო უსაფრთხოების* შედარებას, ხოლო მეორეში – *ინფორმაციული უშიშროებისა* და *ინფორმაციული უსაფრთხოებისა*.

ტერმინ *სასურსათო უშიშროებაში* იგულისხმება სახელმწიფოში სურსათის ამოწურვის საფრთხე, რომელმაც სამომავლოდ შეიძლება შიმშილი და სხვა თანამდევი პრობლემები გამოიწვიოს. შესაბამისად, *სასურსათო უშიშროების* უზრუნველყოფაში ამ თვალსაზრისით იგულისხმება, რომ ეროვნული უშიშროების საბჭომ ხელისუფლებას უნდა მიაწოდოს რეკომენდაციების რამდენიმე ვარიანტი, რის საფუძველზეც მთავრობა შეიმუშავებს ისეთ პოლიტიკას, გაატარებს ისეთ წინმსწრებ ღონისძიებებს, რომლებიც პოტენციურ მსხვერპლს, ანუ ქვეყნის მოსახლეობას თავიდან ააცილებს მოსალოდნელ საშიშროებას.

სასურსათო უსაფრთხოებაში მოიაზრება სურსათი, რომელმაც შეიძლება ადამიანის მოწამვლა გამოიწვიოს, მაგალითად, თუ ის გაფუჭებულ კონსერვს გაუფრთხილებლობით მიირთმევს, ანუ ისევ ძველი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ესაა ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვის, სხვაგვარად, შრომის უსაფრთხოების, შრომის დაცვის სფერო. კიდევ უფრო ზუსტად, თანამედროვე ტერმინოლოგიით, ესაა *ჯანმრთელობა და უსაფრთხოება* (Health & Safety), შემოკლებით H&S და თანამედროვე საერთაშორისო კომპანიები ვალდებული არიან H&S-ით გათვალისწინებული ღონისძიებები ცხოვრებაში გაატარონ.

მოკლედ, ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო პირობებში, თუ თუნუქის ქილაში მოთავსებულ თევზის კონსერვს იყიდი, უნდა დაიცვა უსაფრთხოების წესები, ანუ გახსნის შემდეგ დიდხანს არ უნდა გააჩერო თუნუქის ქილაში, თორემ შეიძლება ამან თქვენ მოგწამლოთ; ან ელექტროსაქონლის შეძენისას უნდა დავიცვათ ინსტრუქციით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესები, რათა დენმა არ დაგარტყათ და არ დაგაზიანოთ.

მეორე, ტერმინი *ინფორმაციული უშიშროება* გულისხმობს ინფორმაციულ სფეროში ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცულობას, რასაც განსაზღვრავს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს

დაბალანსებული ინტერესების ერთობლიობა.

რაც შეეხება *ინფორმაციულ უსაფრთხოებას*, ის გულისხმობს ინფორმაციული სისტემების, ავტომატიზებული სისტემების, ამ სისტემების რესურსების, მონაცემთა ბაზებისა და სხვ. დაცვას. კიდევ უფრო მარტივად, კომპიუტერში პროგრამების ვირუსებისაგან დაცვასა და სხვ., ანუ აქ ეროვნული და საერთაშორისო უშიშროების პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაზე კი არ არის საუბარი, არამედ უნდა დავიცვათ ტექნიკური უსაფრთხოების წესები. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ *ინფორმაციული უსაფრთხოება ინფორმაციული უშიშროების* შემადგენელია.

უშიშროების სახეები და ტერმინის გამოყენების სფერო

საერთაშორისო პრაქტიკაში ამჟამად უმეტესწილად აღიარებული და მიღებულია უშიშროების სახეები და მისი გამოყენების სხვადასხვა სფერო: *ეროვნული უშიშროება; ეროვნული უშიშროების საბჭო; სახელმწიფო უშიშროება; საერთაშორისო უშიშროება; პოლიტიკური უშიშროება (შიგასახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება, საგარეო-პოლიტიკური უშიშროება); ეკონომიკური უშიშროება (საფინანსო-საბიუჯეტო უშიშროება, სასურსათო უშიშროება და სხვ.); ენერგეტიკული უშიშროება; სამხედრო უშიშროება; ინფორმაციული უშიშროება – სხვა შინაარსის შემცველია ინფორმაციული უსაფრთხოება (როგორც ზემოთ აღინიშნა); საზოგადოებრივი უშიშროება; ეკოლოგიური უშიშროება; საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური უშიშროება; სოციალური უშიშროება; ტექნოლოგიური უშიშროება; ადამიანის უფლებათა დაცვის და მოქალაქეთა პირადი უშიშროება; ჯანდაცვითი უშიშროება; გენეტიკური უშიშროება; დემოგრაფიული უშიშროება* და სხვ.

ტერმინი უსაფრთხოება

უსაფრთხოება – უბედური შემთხვევების, ავარიებისა და კატასტროფების არასასურველი შედეგებისაგან ადამიანის, გარემოს, სამრეწველო ობიექტებისა და მატერიალური ფასეულობების დაცულობა.

როგორია ტერმინის წარმოშობის ისტორია

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ტერმინი *უსაფრთხოება* არ გვხვდება V-XIX საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში, სასულიერო მწერლობასა და მხატვრულ ლიტერატურაში, პოლიტიკური,

სამხედრო და საზოგადო მოღვაწეთა ნაწერებში. აქედან გამომდინარეა, ის არ არის შეტანილი „ძველი ქართული ენის ლექსიკონში (აბულაძე 1973).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ტერმინ *უსაფრთხოებას* საფუძვლად უდევს სიტყვა „საფრთხე“, რომელიც ამავე ლექსიკონში განმარტებულია, როგორც საშიში, სახიფათო რამე, ხიფათი, საშიშროება (ქეგლ 1986). თავის მხრივ, საფრთხე უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართული სიტყვისაგან *საბრჯე* (საფრჯე), რომელიც ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით არის „მახე“, ხაფანგი, „საცთური“ ანუ *საფრჯე* თავისი შინაარსით არის საფრთხის შემცველი, სახიფათო (აბულაძე 1973:436-437).

სულხან–საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით, „*საბრჯე* არის მახე-ჯუნდი. მახე ზოგადი სახელი არს ყოველთა მახეთა (შემდეგ განმარტებულია თითოეულ მახეთგანი: *საბრჯე, ისტერტი, ირეჩი, საიფჯიო, ილინჭა, აკანათი, პოტიკო, ფაცერკოდი, გაწარი, გულყო, დასაკავი, სარეგვავი* და სხვ.). სულხან–საბა ასევე განმარტავს ტერმინებს *საფრთხილო* – გასაკრძალავი და *საფრთხოლი* – დასაფრთხობელი, საფრთხული რამე (საბა 1993:21).

საბრჯესთან დაკავშირებულია ასევე სიტყვები *საფრჯეება, ფრთხობა, ფრთხილი, საფრთხილო* და სხვ.

ეს ტერმინები, მაგალითად, სულხან–საბა ორბელიანთან ასეა განმარტებული:

ფრთხილი – განკრძალული;[1]
საფრთხილო – გასაკრძალავი;
ფრთხოლა – პირუტყვთ შეშინება;
განფრთხობა – გამოფხიზლება;
საფრთხოლი – დასაფრთხობელი, საფრთხული რამე;
საფრთხული – იგივე საფრთხოლი;
ფრთხჯნვა – ცხენთ შიშის ჴმიანობა და სხვ (საბა 1993).

ხოლო ძველი ქართული ენის ლექსიკონში კი ამდაგვარად:

საფრჯეება – დაბრკოლება
ფრთხილი – ფხიზელი, მღვიძარე, მორიდებული
ფრთხილება – „კეტილ არს ფრთხილებაჲ“
ფრთხობა – შეშინება, შეძრწუნება, კრთომა (უფრო პირუ-

[1] „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით: განკრძალვა – „დამტკიცება“, მომზადება, გაფრთხილება, მსახურება, დაცვა, რიდება (აბულაძე 1973).

ტყვებს ეხება)

სიფრთხილე, სიბრთხილე – სიფხიზლე „სთროდა მთრვალობითა მით სიფრთხილისადთა“ და სხვ. (აბულაძე 1973).

ტერმინის მნიშვნელობა

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მითითებულია, რომ ტერმინი *უსაფრთხოება* (უსაფრთხოობა) იგივეა, რაც *უსაშიშროება*, ამ უკანასკნელის საფუძველია – „უსაშიშრო“, ანუ რაც საშიში არ არის და უხიფათოა, თუნდაც, *უსაშიშრო მდგომარეობა, უსაშიშრო მოძრაობა, უსაშიშრო სამართებელი* (ქეგლ 1986).

აქედან გამომდინარე, *უსაშიშროება* განიხილება, როგორც *უსაშიშროს* თვისება, მაგ., საშიშროებისგან დაცვის უზრუნველყოფა, მაგალითად, *ტექნიკური უსაშიშროება* და ა. შ. (ქეგლ 1986:433).

ერთი სიტყვით, ენათმეცნიერთა მიერ ტერმინი *უსაფრთხოება* გამოყენებულია *უშიშროებისაგან* შინაარსობრივად განსხვავებულ კონტექსტში, როცა იგულისხმება საფრთხის წყარო, საწარმოო, ტექნოგენური და ბუნებრივ-ეკოლოგიური წარმოშობის მოვლენები და პროცესები.

ზემოთაც აღინიშნა იმის შესახებ, რომ ინგლისურ ენაშიც, ტერმინი *Safety* გამოიყენება *წარმოებაში ტექნიკური უსაფრთხოების* (Industrial safety), *საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების* (Road safety), *უსაფრთხოების ღვედების* (Safety belts), *ტექნიკური უსაფრთხოების წესების* (Safety code regulations) გამოსახატავად.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (*ნატო*) დოკუმენტებში ტერმინი *უსაფრთხოება* (Safety), როგორც უკვე შევნიშნეთ, დაკავშირებულია ყუმბარების აფეთქების საშიშროებასთან და, აქედან გამომდინარე, მოიაზრება მხოლოდ ტექნიკური უსაფრთხოების კონტექსტში (ნატოში არის სტრუქტურული ერთეულებიც: The CNAD Ammunition Safety Group (AC/326 და Munitions Safety Information Analysis Center (MSIAC).

ტერმინის გამოყენება

თანამედროვე პირობებში, საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, ტერმინი *უსაფრთხოება* დაკავშირებულია შრომის დაცვასთან, რის შესახებ ზემოთაც უკვე აღინიშნა. ამასთან, ტერმინ *შრომის უსაფრთხოების* სემანტიკა მჭიდროდ უკავშირდება თანამედ-

როვე საერთაშორისო კომპანიებში გამოყენებულ უფრო ფართო მნიშვნელობის ცნება–ტერმინს *ჯანმრთელობა და უსაფრთხოება* (Health & Safety (H&S)), რომელიც მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ–ეკონომიკურ, საორგანიზაციო-ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო, ტექნიკური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებას და სხვა სახის ღონისძიებებს.

მაგალითად, როდესაც ვიყენებთ ტერმინს *ადამიანის უსაფრთხოება*, მაშინ ვგულისხმობთ: ადამიანის ისეთი მდგომარეობას, როდესაც შიგა და გარე ფაქტორების ზემოქმედება არ იწვევს სიკვდილს, გონების, ფსიქიკისა და მთლიანად ადამიანის ორგანიზმის განვითარების ან ფუნქციონირების გაუარესებას, ხელს არ უშლის გარკვეული სასურველი მიზნების მიღწევას.

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ ძალიან მარტივ მაგალითს: საწარმოო თუ სამშენებლო ობიექტზე დაცული უნდა იყოს *შრომის უსაფრთხოების წესები,* რათა მუშამ ან თითი არ გაიჭრას, ან მშენებარე შენობის ხარაჩოდან არ გადმოვარდეს და სხვ. (მასმედიიდან მრავალ ინფორმაციას გვაწვდიან სამშენებლო ობიექტებზე შრომის დაცვის წესების დარღვევის შედეგად დაღუპულ მუშებზე...). ცხადია, დიდია შინაარსობრივი სხვაობა ტერმინისგან *ადამიანის უშიშროება*, რომლის მნიშვნელობაც მოიაზრებს: ადამიანისა და მოქალაქისათვის უფლებებისა და თავისუფლების რეალიზაციისათვის უშიშროების უზრუნველყოფას და სხვ.

უსაფრთხოების სახეები და ტერმინის გამოყენების სფერო

საერთაშორისო პრაქტიკაში ამჟამად, უმეტესწილად, აღიარებული და მიღებულია უსაფრთხოების სახეები და მისი გამოყენების სხვადასხვა სფერო: *საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება; სარკინიგზო მოძრაობის უსაფრთხოება; ფრენის უსაფრთხოება; მშენებლობის უსაფრთხოება; სატრანსპორტო უსაფრთხოება; საჰაერო უსაფრთხოება; საზღვაო უსაფრთხოება; ბიომეტრიული უსაფრთხოების სისტემა; ვირუსული უსაფრთხოება; ინფორმაციული უსაფრთხოება (ინფორმაციის დაცვა, კომპიუტერული უსაფრთხოება...); მეტეოროლოგიური უსაფრთხოება; სახანძრო უსაფრთხოება; შრომის უსაფრთხოება; სავაღლე უსაფრთხოება; საწარმოო უსაფრთხოება* (მაგრამ სხვა მნიშვნელობისაა *სამრეწველო უშიშროება*); *რადიაციული უსაფრთხოება; სანიტარული უსაფრთხოება; უსაფრთხოების ტექნიკა; ტექნიკური უსაფ-*

რთხოება; ტექნოგენური უსაფრთხოება; ქიმიური უსაფრთხოება; ელექტროუსაფრთხოება (მაგრამ მნიშვნელობით განსხვავებულია *ენერგეტიკული უშიშროება*); *ბირთვული უსაფრთხოება;*

არსებობს უსაფრთხოების გამოყენების სხვა ფორმებიც: უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე; უსაფრთხოების ტანისამოსი; უსაფრთხოების ტექნიკა და სხვ.

უსაფრთხოების სისტემა

სამეცნიერო ლიტერატურაში საუბარია, აგრეთვე, *უსაფრთხოების სისტემების* შესახებაც, რომლებიც ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების კომპლექსია და განკუთვნილია *ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედებისგან დასაცავად როგორც შიგნიდან, ისე გარედან.*

უსაფრთხოების სისტემის ტექნიკური საშუალებები – ტექნიკურ გადაწყვეტილებათა და მოწყობილობათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტის კონტროლს. თანამედროვე უსაფრთხოების სისტემები გახლავთ მაღალტექნოლოგიური პროგრამულ-სააპარატო კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ თვალთვალის, პერიმეტრის დაცვის, სახანძრო და დამცავი სიგანლიზაციის სისტემებს, ასევე, დაშვების მართვისა და კონტროლის სისტემებს და სხვ.

დასკვნა

ორივე ტერმინის ანალიზი მოწმობს, რომ ენათმეცნიერების მიერ დადგენილი ენობრივი ნორმების ჩარჩოებში, *უშიშროების* შინაარსის, სახეებისა და გამოყენების სფეროები არსობრივადაა განსხვავებული *უსაფრთხოების* შინაარსის, სახეებისა და გამოყენების სფეროებისაგან. ამასთან, ცალ-ცალკე თითოეული მათგანის შინაარსი, მოქმედების არეალი, სახეები და გამოყენების სფეროები იმდენად ფართოა და მრავალფეროვანი, რომ მათი ხელოვნურად გაერთიანება ერთი რომელიმე ტერმინის სახელწოდებაში, მაგალითად, *უსაფრთხოებაში*, როგორც ამას მავანნი გვთავაზობენ, მიზანშეუწონელია, რადგანაც გამოიწვევს საქმიანობის სპეციფიკის აღრევას და სხვა თანმდევ გაუგებრობებს.

არ უნდა იყოს საკამათო და ძნელი გასაგები, რომ მედროვეებისა და არასპეციალისტების ახირებით არ უნდა ირღვეოდეს ავტორიტეტული ენათმეცნიერების მიერ დადგენილი ენობრივი ნორმები და არსებული ისტორიული ტრადიცია. ცხადია, რომ ტერმინი *ეროვნუ-*

ლი უშიშროება შესაბამის კონტექსტში უნდა გამოვიყენოთ. მით უმეტეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულმა ენათმეცნიერებამ უპირატესობა სწორედ ამ ტერმინს მიანიჭა, როდესაც კონსტიტუციაში გამოიყენა იგი, ხოლო შემდეგ მიიღო კანონი „ეროვნული უშიშროების საბჭოს“ შესახებ (კანონი 1996).

რაც შეეხება ტერმინ *უსაფრთხოებას*, როგორც ენათმეცნიერების მიერ დადგენილი ენობრივი ნორმები ითვალისწინებს, ის უნდა გამოვიყენოთ ტექნოგენური და ბუნებრივ-ეკოლოგიური მოვლენებისა და პროცესების და, რაც მთავარია, საწარმოო სფეროში შრომის დაცვასთან, შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ცნებების აღსანიშნავად, უფრო კონკრეტულად, თანამედროვე საერთაშორისო კომპანიებში გამოყენებული ცნება-ტერმინის (*ჯანმრთელობა და უსაფრთხოება* – Health & Safety, უფრო ცნობილია მისი შემოკლებული აბრევიატურა H&S) სემანტიკის გადმოსაცემად (*შრომის უსაფრთხოება, ტექნიკური უსაფრთხოება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, უსაფრთხოების ღვედები, უსაფრთხო სექსი*[1] და სხვ.).

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.

ბატონიშვილი 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

დოდაშვილი 1832 – სოლომონ დოდაშვილი, *წერილი ტფილისიდან პეტერბურგს ძმისადმი*, ჟურნ. "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", №2.

ევსტ. 1987 – ქართული მწერლობა, ტ. 1, (V-X საუკუნეთა მწერლობა), რედ.: რ. სირაძე, „ნაკადული“, თბილისი.

ვისრამიანი 1962 – ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ. რედ.: გ. წერეთელი, გამომც. და სტ., სსსრ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი, თბილისი.

[1] თავის დაცვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ან დაუგეგმავი ორსულობისგან.

ილია1 1984 – ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, შეადგინა მ. ლებანიძემ (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა; ტ. 63. სერია I), „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ილია2 1941 – ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. 2.

კანონი 1996 – საქართველოს კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ, 1996 წლის 24 იანვარი.

კონსტიტუცია 2014 - საქართველოს კონსტიტუცია (2014 წლის 15 მაისის მდგომარეობით), „უნივერსალი“, თბილისი.

კუპრაშვილი 2007 – ჰენრი კუპრაშვილი, ეროვნული უსაფრთხოება თუ ეროვნული უშიშროება? (ქართულ ენაში ტერმინ „ეროვნული უშიშროების“ გამოყენების შესახებ), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია: ორი წლის გამოცდილება, 11–12 ივლისი, თბილისი.

კუპრაშვილი 2010 – ჰენრი კუპრაშვილი, საქართველოს ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის რამდენიმე ასპექტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკად. ივერი ფრანგიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა", მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

კუპრაშვილი 2012 – ჰენრი კუპრაშვილი, ტერმინები უშიშროება (security) და უსაფრთხოება (safety) და მათი გამოყენების ზოგიერთი ასპექტი, ჟურნ. „მკვლევარი“.

კუპრაშვილი[1] 2004 - ჰენრი კუპრაშვილი, ეროვნული უშიშროება: პრობლემური სიტუაცია და კრიტერიუმები (საქართველოს ეროვნული უშიშროების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები); პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქციით, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

კუპრაშვილი[2] 2004 – ჰენრი კუპრაშვილი, ეროვნული უშიშროების ცნების შინაარსი, პრობლემური სიტუაციის დახასიათება, საისტორიო ვერტიკალები, №6.

კუპრაშვილი[3] 2004 – ჰენრი კუპრაშვილი, *ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტი,* გაზ. „24 საათი", № 254.

კუპრაშვილი[4] 2004 – ჰენრი კუპრაშვილი, ენის გენოციდი?! გაზ. "ხვალინდელი დღე", №200.

კუპრაშვილი[5] 2004 – ჰენრი კუპრაშვილი, იყო ორი, გახდა ერთი! გაზ. „სამხედრო - 24 საათი", №20.

კუპრაშვილი[6] 2004 – ჰენრი კუპრაშვილი, „მეფემ არ იცის, თორემ...", გაზ. „24 საათი", №142.

კუპრაშვილი[7] 2004 – ჰენრი კუპრაშვილი, ეროვნული უშიშროება თუ ეროვნული უსაფრთხოება? გაზ. "რეზონანსი", №132.

კუპრაშვილი[1] 2011 – ჰენრი კუპრაშვილი, *ეროვნული უშიშროება (security) თუ ეროვნული უსაფრთხოება (safety)?* ახალი ამბების სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი", http://www.ghn.ge/news-35066.html.

კუპრაშვილი[2] 2011 – ჰენრი კუპრაშვილი, „ტერმინები უშიშროება (security) და უსაფრთხოება (safety) და მათი გამოყენების საკითხი", საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „მართვის ავტომატიზებული სისტემები და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები", თბილისი.

კუპრაშვილი[3] 2011 – ჰენრი კუპრაშვილი, „ტერმინები უშიშროება (security) თუ უსაფრთხოება (safety) და მათი გამოყენების საკითხი", ჟურნ. „პარალელი", №2.

საბა 1993 - სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი მეორე, „მერანი", თბილისი.

ქართ. ცხოვ. 1955 - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, „სახელგამი", თბილისი.

ქეგლ 1986 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სარედაქციო კოლეგია: არნ. ჩიქობავა (მთ. რედაქტორი), ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ.ჭაბაშვილი., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი.

შუბითიძე 2003 – ვაჟა შუბითიძე, ნიკო ნიკოლაძე – ოცდამეერთე საუკუნის მოაზროვნე, ნიკოლაძე ნიკო – 160. საიუბილეო კრებული, „ნეკერი",თბილისი.

შუშ. წამ. 1983 – იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება, შემდგ. და რედ.: ო. ეგაძე, „ხელოვნება", თბილისი.

წერილი 2013 – პროფესორი ჰენრი კუპრაშვილი ირინა იმერლიშვილს ღია წერილით მიმართავს, ახალი ამბების სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი", http://www.ghn.ge/news-100523.html.

ჭავჭავაძე 1940 - ალექსანდრე ჭავჭავაძე, *თხზულებანი,* რედ. ი. გრიშაშვილი, „ფედერაცია",თბილისი.

ჯორჯაძე 1989– არჩილ ჯორჯაძე, წერილები, „მერანი", თბილისი.

Henri Kuprashvili
Georgian Technical University, Georgia
henrikupra@yahoo.com

Keywords: Security, Safety, Health & Safety (H&S).

Terms Ushishroeba (Security) and Usaprtkoeba (Safety) and Issues Related to Their Usage

Summary

We have two terms in Georgian language *ushishroeba* (security) and *usaprtkhoeba* (safety) and each of them had its natural place in the language according to their meaning. Traditionally, in Georgia, the term *ushishroeba* (security) was being used in the next context: „Security of the country", „Security council", „Defence of the State Security" etc. The term *usaprtkhoeba* (safety) is being used in different context, for instance, „Defence of the technical safety" and etc.

Unfortunately, some journalists, members of governmental or non-governmental organizations „became angry" with the term „Security" and from the last of XX century instead of it use the term „Safety" that has radically different meaning from the term „Security".

It's important not to break tradition and use the term „National Security" in correct meaning. all the more, Georgian linguistics and Georgian parliament have paid advantage to the term „security".

Correspondingly, we have to use the term „Safety" only to describe industrial, technological and natural-ecological events and processes (technical safety, road traffic safety, belts of safety and et.).

ნინო ლაბარტყავა
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი
Labartkava.nino@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, იურიდიული ტერმინოლოგია, ქარტია, ქარტიის ტერმინოლოგია.

ქარტიის სტრუქტურისა და ტერმინოლოგიის თავისებურებანი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მაგალითზე

სანამ უშუალოდ განვიხილავთ ქარტიის სტრუქტურისა და ტერმინოლოგიის თავისებურებს, მოკლედ მოგახსენებთ, თუ რა კავშირია *სამართლებრივ მეტყველებასა* და *ლოგიკას* შორის.

როგორც ვიცით, ლოგიკა არ არის ადამიანის გონების უნივერსალური თავისებურება, იგი კულტურული ფენომენია. ხოლო იურიდიული ენა ზუსტი, ანუ მკაცრად ლოგიკურია. ამ თვალსაზრისით, *სამართლებრივი მეტყველება* არსებითად სამეცნიერო ენის მსგავსია. ინგლისურ ენაზე დაწერილი იურიდიული ტექსტებისთვის დამახასიათებელია ლოგიკური სწორხაზოვნება, რომელიც ძირითადი აზრიდან დაქვემდებარებული აზრისკენ, დამხმარე მაგალითებისკენ ვითარდება, იგი არ ხასიათდება სირთულითა და მაღალფარდოვნებით.

შესაბამისად, დასაძლევია რთული წინადადების აგებისადმი მიდრეკილება. თარგმანის სიმდიდრე ვლინდება აზრის გასაგებად გადმოცემაში. მნიშვნელოვანია, აზრი იყოს ღრმა, რომელიც მაქსიმალურად მარტივი ენით უნდა გადმოიცეს.

როგორც აღინიშნა, მაღალფარდოვანი ფრაზების გამოყენება იურიდიულ ტექსტებში მიუღებელია. ზედმეტი სიტყვა ქმნის აზრის არასწორად გაგების საფრთხეს, ყურადღებას უდუნებს მკითხველს და, შესაძლებელია, იგი მნიშვნელოვანიდან უმნიშვნელოზე გადაიტანოს. მკითხველი „ნეიტრალური” სიტყვის მიღმა ეძებს შინაარსს, რომელიც ავტორს არ უგულისხმია. მაღალფარდოვანი ბუნდოვანი ფრაზა ართულებს სათქმელის გარკვევას.

სხვადასხვა წინადადება ერთიან აზრად დამაკავშირებელი სიტყვებით იქცევა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწორი დამაკავშირე-

ბელი სიტყვების შერჩევა. ისინი კრავს ტექსტს და საკითხების თანმიმდევრული და სწორი აღქმისათვის შეუცვლელია. დამაკავშირებელი სიტყვა სხვადასხვა წინადადების სრულყოფილად გააზრებისათვის დამატებითი საშუალებაა.

უპირატესობა ენიჭება მოკლე წინადადებებს. აზრის რამდენიმე დაკავშირებულ წინადადებად ჩამოყალიბება აუმჯობესებს სათქმელის შესაბამის აღქმას. თუმცა ფრაზის სიმარტივემ არ უნდა გააბუნდოვანოს.

ხშირად ერთსა და იმავე სიტყვას თუ ფრაზას შეიძლება ჰქონდეს ზეპირ მეტყველებაში დამკვიდრებული და სამართლებრივი მნიშვნელობა. ზოგიერთი ფრაზა იმდენად გამჯდარია ქართულ მეტყველებაში, რომ მისი სამართლებრივად სწორი ფორმით ჩანაცვლება რთული და, შესაბამისად, გაუმართლებელია. სხვათა არასწორი გამოყენება კი არაიურისტის მიერაც არ არის სასურველი, ვინაიდან ეს, ზოგადად, ერის სამართლებრივი კულტურის გამომხატველია.

შესაბამისად, შეუძლებელია ტექსტის სრულყოფილი უნივერსალური მოდელის შედგენა. ყველა კონკრეტულ სამეტყველო აქტს ახლავს კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. სამეტყველო აქტი არასოდეს არ არის ცალმხრივი, მაშინაც კი, როდესაც მხოლოდ ერთი მთქმელი მეტყველებს. ამ დროს აუცილებლადაა გათვალისწინებული მიმღები, მისი კომპეტენცია, გემოვნება, ფსიქოლოგია, საკითხისადმი ინტერესის ხარისხი და სხვა.

როგორც ნებისმიერ ტექსტს, ქარტიასაც აქვს შესავალი ნაწილი, რომელიც იურისპრუდენციაში გადმოცემულია ტერმინით – *პრეამბულა.* მას ისეთივე დატვირთვა (ნორმატიული კუთხით) აქვს სამართალში, როგორც პროლოგს ლიტერატურაში და უვერტიურას – ოპერასა თუ ბალეტში. პრეამბულაში, ანუ წინათქმაში ჩამოყალიბებულია აქტის მიღების მიზეზები, მისი ძირითადი პრინციპები და მთავარი მიზნები.

ქარტიისთვის დამახასიათებელია ტერმინოლოგიური თავისებურებანი, მაგალითისთვის, აღნიშნული ქარტია შედგება ნაწილებისგან და არა თავებისგან, მასში გვხვდება ტერმინი *პუნქტი* და არა *ქვეპუნქტი.* ქარტიაში გვხვდება სიტყვა article და არა clause, ვინაიდან პირველი წარმოადგენს სამართლებრივ, ხოლო მეორე _ საკანონმდებლო ტერმინს. აღნიშნულ ქარტიაში ასევე მნიშვნელოვანია ისეთი ტერმინების გამოყოფა, როგორებიცაა: by statute და by law. ისინი მნიშვნელოვანია თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე, რომელთაგან

პირველი ტერმინი წარმოადგენს კონტინენტური ევროპის ოჯახს, მეორე კი ანგლოამერიკული სამართლის ოჯახს. სწორედ ამ ორი სამართლის ოჯახის გავლენა განაპირობებს ზემოაღნიშნულ ტერმინებს შორის სხვაობას შინაარსობრივი თვალსაზრისით. აღნიშნულ ქარტიაში საინტერესოა გამოიყოს ისეთი ტერმინები როგორებიცაა: notion of ability, under their responsibility, local affairs, own affairs, counterparts, provisions, რადგან ყოველდღიურ მეტყველებასთან შედარებით მათი დატვირთვა განსხვავებულია სამართლებრივ ჭრილში.

აღნიშნული ტერმინების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია გამოიყოს შემდეგი ტერმინები: considering that, convinced that, aware that, asserting that. ამ ტერმინების ხშირი გამოყენება იმით აიხსნება, რომ მათ ერთგვარი მაკავშირებელი ფუნქცია აქვთ და აზუსტებენ იმ აზრს, რომლის შესახებაც საუბარია წინადადებაში ან აბზაცში. ქარტიაში, ისევე როგორც სხვა იურიდიულ ტექსტში, გვხვდება არქაიზმი, მაგალითად, აღნიშნულ ქარტიაში ხშირად გამოიყენება ტერმინები: hereto, thereto, whereof, insofar as, shall.

რაც შეეხება გრამატიკულ კონსტრუქციებს, სტრუქტურის – to be + infinitive with to – ხშირი გამოყენება აიხსნება სამართლის ბუნებით, ვინაიდან იგი იძულების ან ვალდებულების გადმოსაცემად გამოიყენება, რაც დამახასიათებელია იურიდული ტექსტისთვის. ასევე, აღსანიშნავია ტერმინები enter into force და become affective, რომლებიც სინონიმურ შესიტყვებებს წარმოადგენს და ქართულში ორივე ერთნაირად არის თარგმნილი, თუმცა მეტი მრავალფეროვნებისა და სიზუსტისთვის შეიძლებოდა განსხვავებული შესიტყვების მოძებნა. მაგალითად, ქარტიის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტში ფრაზა „shall enter into force" თარგმნილია როგორც „ძალაში შედის". ამავე მუხლის მე-3 პუნქტში გამოყენებული „shall become effective" შესაძლოა სხვაგვარადაც თარგმნილიყო, მაგალითად, „უნდა ამოქმედდეს", რაც აბსოლუტურად ზუსტია.

ამგვარად, *იურიდიულ ენაში* უპირატესობა ენიჭება სწორ სამართლებრივ ფორმულირებას, თუ იგი არათანაზომიერად არ ართულებს სათქმელის აღქმას. მხედველობაშია მისაღები კონკრეტული ურთიერთობის სამართლებრივი შინაარსი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი ხასიათის გაცნობიერება.

ლიტერატურა

Zoya Proshina – Theory of Translation, 3d edition, Far Eastern University Press, 2008;

Gentzler, Edwin, Contemporary Translation Theories, 2nd ed. Revised. Multilingual Matters, 2001;

Andrew Chesterman, The Memes of Translation. The Spread of Idea in Translation Theory. Benjamins, 1997;

European Charter of Local Self-Government, Strasbourg, 15. X. 1985;

ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სტრასბურგი, 15.X. 1985;

Nino Labartkava
St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Georgia
Labartkava.nino@gmail.com

Keywords: Terminology, Law Terminology, Charter, Charter Terminology.

Peculiarities of Charter Structure and Terminology on the European Charter of Local Self-Government

Summary

Like similar texts, the charter has an introduction called a preamble in jurisprudence. In law it has the same function as the prologue in literature or overture in ballet. The preamble, or foreword, provides an opportunity for statement of the basic premises underlying the Charter. The Charter has its own terminology appropriate to its style; for example, this charter is comprised of parts and not chapters. Charters use the terms “article” and not “clause” because the former is legal term while the latter is a legislative term. The terms “by statute”

and “by law” are also important based on their content, as the first one is used in Civil Law, whereas the second one is used in Common Law.

Essential terms such as “notion of ability,” “under their responsibility,” “local affairs,” “own affairs,” “counterparts” and “provisions” are to be understood for the purpose of the charter because they have different definitions in Law as compared to in colloquial language. The terms “considering that,” “convinced that,” “aware that” and “asserting that” have transitional functions and are often used in the charter.

Legal texts are full of archaisms, that is why the following archaic words are often used: “hereto,” “thereto,” “whereof,” “insofar as” and ”shall.”

As for grammar constructions, the “to be + infinitive with to” structure is often used because of the nature of Law, as it is used to deliver the coercion or obligation which is so characteristic for Law. Synonymous phrases “enter into force” and “become affective” are bear highlighting because they are translated with the same phrase in Georgian translation, however, there might be different collocations for more diversity and accuracy.

ირინა ლობჟანიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
irina_lobzhanidze@iliauni.edu.ge

საკვანძო სიტყვები: EMT-ს ჩარჩო, ტექნოლოგიური კრიტერიუმი, უმაღლესი განათლება, თარგმანი, ტერმინოლოგია.

EMT-ს კომპეტენციების ჩარჩო, ტერმინოლოგიის მართვა და მთარგმნელობითი ტექნოლოგიები

ვინ არის მთარგმნელი დღეს? რა ტიპის კომპეტენციებთან უნდა იყოს ასოცირებული მთარგმნელის მომზადება? ევროპის თარგმანთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამათა ქსელმა პირველად თავისი კომპეტენციების ჩარჩო, მათ შორის EMT-ს „კომპეტენციათა ბორბალი“, 2009 წლის იანვარში გამოსცა. დღეისათვის ევროპის უნივერსიტეტების უმეტესობა შეესაბამება აღნიშნულ ჩარჩოში მითითებულ კომპეტენციებს და მონაწილეობს თარგმანთმცოდნეობითი პროგრამების სწრაფად მზარდ ქსელში. საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები კი აღნიშნულ ქსელში წარმოდგენილი არ არის და, ბუნებრივია, იბადება შემდეგი კითხვები: ა) შეესაბამება თუ არა საქართველოში არსებული თარგმანთმცოდნეობის პროგრამები EMT-ს კომპეტენციათა ჩარჩოს? ბ) EMT-სა და ISO სტანდარტების ფარგლებში განხილული რომელი კომპეტენციები საჭიროებს დამატებით ანალიზსა და განხილვას? გ) შეგვიძლია თუ არა ზემოხსენებულ ქსელში ინტეგრირება ტექნოლოგიური და სხვა კრიტერიუმების უზრუნველყოფის გარეშე?

2017 წელს გამოქვეყნებული ევროპული თარგმანთმცოდნეობითი პროგრამების ჩარჩო მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: ენა და კულტურა, თარგმანი, ტექნოლოგია, პირადი უნარ-ჩვევები და მომსახურების უზრუნველყოფა. ტექნოლოგიური კომპეტენციები ორიენტირებულია იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე, რომლებსაც იყენებს მთარგმნელი თარგმანის პროცესში მთარგმნელობითი ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით. ის, ასევე, მოიცავს, ელემენტარულ ცოდნას მანქანური თარგმანისა და მისი გამოყენების შესახებ.

სტატიის სტრუქტურა შემდეგია: 1. შესავალი; 2. EMT-ს კომპეტენციათა ჩარჩოს აღწერა; 3. კომპიუტერული უზრუნველყოფა (საშუალებები და აპლიკაციები); 4. დასკვნები

1. შესავალი

ვინ არის დღეს მთარგმნელი? რომელი ტიპის სპეციალური კომპეტენციები ასოცირდება დღეს მთარგმნელ-თარჯიმნის მომზადებასთან? თარგმანის მაგისტრის ევროპული ხარისხის კომპეტენციათა ჩარჩო, EMT-ს ე.წ. „კომპეტენციათა ბორბალი“ პირველად 2009 წლის იანვარში გამოქვეყნდა. 2017 წელს გადამუშავებელი ვერსიის გამოქვეყნების შემდეგ, მასში განიხილება შემდეგი კომპეტენციების განვითარების აუცილებლობა: ენა და კულტურა, თარგმანი, ტექნოლოგია, პერსონალური და ინტერპერსონალური და მომსახურების უზრუნველყოფა.

ამ მომენტისათვის 84 ევროპული უნივერსიტეტი შეესაბამება ზემოხსენებულ ჩარჩოში მითითებულ კრიტერიუმებს და მონაწილეობს მთარგმნელობითი განათლების სწრაფად მზარდ ქსელში. საქართველოს უმაღლესი განათლების არც ერთი ინსტიტუცია ამ ქსელში წარმოდგენილი არ არის და კითხვები, რომლებსაც უნდა გაეცეს პასუხი, არის შემდეგი:

1. შეესაბამება თუ არა საქართველოში აკრედიტებული მთარგმნელობითი განათლების მიღებაზე ორიენტირებული პროგრამები EMT-ს კომპეტენციათა ჩარჩოში აღნიშნულ კომპეტენციებს?
2. EMT-სა და ISO-ს სტანდარტებში აღნიშნული რომელი კომპეტენციების ათვისებაა მნიშვნელოვანი საქართველოში მთარგმნელობითი მოდულების განვითარებისა და გაუმჯობესები კუთხით?
3. შეგვიძლია თუ არა აღნიშნულ ქსელში მოხვედრა ტექნოლოგიური კრიტერიუმის (ტექნიკური საშუალებანი და აპლიკაციები) უზრუნველყოფის გარეშე?

სტატიის სტრუქტურა შემდეგია: 1. EMT-ს კომპეტენციათა ჩარჩოს აღწერა და პარალელების გავლება საქართველოში არსებულ მოდულებთან; 2. კომპიუტერული უზრუნველყოფა, რომელიც გამოიყენება უმაღლესი განათლების ევროპულ სისტემაში მთარგმნელების მომზადების დროს და ქართული საგანმანათლებლო სექტორის თავისებურება; 3. დასკვნები.

2. *EMT-ს კომპეტენციათა ჩარჩოს აღწერა*

თარგმანის მაგისტრის ევროპული ხარისხის კომპეტენციათა ჩარჩო, EMT-ს ე.წ. „კომპეტენციათა ბორბალი“, პირველად 2009 წლის

იანვარში გამოქვეყნდა. მას შემდეგ, ხუთ წელიწადში, ერთხელ ხდება მისი განახლება და ხელახალი გამოცემა. კომპეტენციათა ჩარჩოსი და, განსაკუთრებით, ერთიანი სტანდარტების დაცვა მნიშვნელოვანია კვალიფიცირებული მთარგმნელ-თარჯიმნის მომზადების დროს. აღნიშნული მოტივი გასაგებია, რადგანაც ევროპულ და არამხოლოდ ევროპულ უნივერსიტეტებში არსებული მთარგმნელ-თარჯიმნის მომზადებაზე ორიენტირებული პროგრამები შეიძლება საერთოდ არ შეესაბამებოდეს პროფესიის თანამედროვე მოთხოვნებს. თუ ჩვენ განვიხილავთ მთარგმნელობით მიმართულებას იმ სახით, რომლითაც იგი წარმოდგენილია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, ნათელი გახდება, რომ პროგრამების უმეტესობა ორიენტირებულია: ა) უცხო ენის სწავლებასა და ბ) ლიტერატურული ტექსტების თარგმანზე, ხოლო შრომით ბაზარზე საკმარისია გქონდეს ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ინგლისური, რუსული, გერმანული ან სხვ.), რომ მიიღო მთარგმნელ-თარჯიმნად დასაქმების შესაძლებლობა. შესაბამისად, არსებობს დიდი ცდომილება საგანმანათლებლო სექტორში პროფესიონალის მომზადებასა და ბაზრის მოთხოვნას შორის.

მსგავსი შეუსაბამობებისათვის თავის არიდების მიზნით EMT-ს ექსპერტებს შემუშავებული აქვთ ორი დოკუმენტი - კომპეტენციების სია, რომელსაც მთარგმნელი საჭიროებს შრომით ბაზარზე წარმატებული დასაქმების მიზნით, ე.წ. EMT-ს კომპეტენციათა ჩარჩო (European Master's in Translation, 2017), და შერჩევის კრიტერიუმი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც სურს EMT-ს ქსელში მოხვედრა. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი პროგრამების შედეგი შეესაბამება EMT-ს კომპეტენციათა ჩარჩოში მითითებულ საკვანძო კომპეტენციებს და მათი კურსდამთავრებულები შეესაბამებიან მთარგმნელობითი სექტორის ბაზრის მოთხოვნებს. ამ მომენტისათვის, სხვადასხვა მთარგმნელობითი პროგრამების მქონე ევროპის 84 უმაღლეს სასწავლებელს აქვს EMT-ს ქსელის წევრის სტატუსი.

EMT-ს ჩარჩოს მიხედვით კომპეტენცია განისაზღვრება, როგორც სხვადასხვა ცოდნის კომბინაცია, მათ შორის, ქმედებების, კონტექსტების, პროცედურების და ა.შ. თუ მივყვებით EMT-ს კომპეტენციათა განმარტებას, მივიღებთ, რომ კომპეტენცია „აღნიშნავს ცოდნის, უნარების და პერსონალური, სოციალური და/ან მეთოდოლოგიური საშუალებების გამოყენებას სამუშაოს განხორციელებისა ან სწავლის დროს და პროფესიონალურ და პერსონალურ ზრდას“. ჩარჩო კი ექვს

კომპეტენციას მოიცავს, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მთარგმნელ-თარჯიმანი, კერძოდ: ენა და კულტურა, თარგმანი, ტექნოლოგია, პერსონალური და ინტერპერსონალური და, ბოლოს, მომსახურების უზრუნველყოფა. აღნიშნული ექვსი კომპეტენცია განიხილება, როგორც თანაბრად მნიშვნელოვანი, თუმცა მათ შორის განისაზღვრება დამოკიდებულება და, ზოგჯერ, ერთმანეთს გადაფარავენ კიდევაც. ყველა კომპეტენციას შეესაბამება კომპონენტების სია და, ზოგჯერ, ხდება მათი დაშლა დამატებით პარამეტრებად. აღნიშნული კომპეტენციების, კომპონენტებისა და პარამეტრების განხილვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენად შეგვიძლია მათი შედარება იმ პრობლემებთან, რომლებიც არსებობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ მთარგმნელობით პროგრამებში.

ენა და კულტურა

პირველი კომპეტენცია, რომელსაც განსაზღვრავს EMT, არის *ენისა და კულტურის* ცოდნა. აღნიშნული კომპეტენცია მოიცავს ყველა ზოგად ან ენის სპეციფიკურ ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ, კულტურულ და ტრანსკულტურულ ცოდნასა და უნარს. აღნიშნული კომპეტენცია ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ქმნის ევროპულ უნივერსიტეტებში სამაგისტრო საფეხურზე მიღების წინაპირობას, რომელსაც შეესაბამება, როგორც მინიმუმ, ორი სამუშაო ენის მაღალ დონეზე ცოდნა (მაგ.: ქართული და ინგლისური ან ინგლისური და ქართული ან რუსული და ინგლისური და ა.შ.). ენების ცოდნის დონე კი განისაზღვრება ენობრივი ცოდნის ევროპული საერთო ჩარჩოს სერტიფიცირების (CEFR: 2019) მიხედვით და შეესაბამება C1-ს. საქართველოში აკრედიტებული პროგრამების უმეტესობა ენის ცოდნის წინაპირობად განიხილავს B1/B2-ს და ერთმანეთის პარალელურად სტუდენტებს სთავაზობს კურსებს ენის ათვისებასა და ლიტერატურული ტექსტების თარგმანისათვის. საქართველოში აკრედიტებული პროგრამები ძალიან იშვიათად განიხილავენ სამუშაო ენების წყვილებს და ძალიან ხშირად პროგრამის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა პროფესიონალს განვითარებული აქვს მხოლოდ ერთი სამუშაო ენის ცოდნა, რაც საკმარისი არ არის მისი კარიერული წარმატებისათვის. შესაბამისად, იმისათვის, რომ საქართველოში აკრედიტებული მთარგმნელობითი მოდულები შეესაბამებოდნენ კრიტერიუმს, მათ დასჭირდებათ:

1. პროგრამაზე მიღების მოსალოდნელი ენობრივი წინაპირობის განსაზღვრა სამუშაო ენების თვალსაზრისით;
2. პროგრამაზე მიღების ენობრივი წინაპირობის დადასტურება გამოცდების სახით წინასწარ შერჩეული ენობრივი წინაპირობის საფუძველზე;
3. ენის ცოდნის დონის დადასტურება პროგრამის დასრულების შემდეგ.

თარგმანი (სტრატეგიული, მეთოდოლოგიური და თემატური კომპეტენცია)

თარგმანი განიხილება თავისი ფართო გაგებით, როგორც არა მხოლოდ ორ ენას შორის მნიშვნელობის გადაცემა, არამედ როგორც სტრატეგიული, მეთოდოლოგიური და თემატური კომპეტენცია, რომელიც თან სდევს მნიშვნელობების გადაცემის ყველა დონეს - დოკუმენტის ანალიზით დაწყებული და ხარისხის კონტროლის პროცედურებით დამთავრებული. აღნიშნული კომპეტენცია გულისხმობს პროფესიონალის მიერ დარგების, კონცეპტების, ტერმინოლოგიისა და ა.შ. ცოდნას. თუ პროგრამა არ შეესაბამება ზემოხსენებულ თავისებურებას, მისი წარდგენა EMT ქსელში შეუძლებელი ხდება. საქართველოში აკრედიტებული მთარგმნელობითი პროგრამების უმეტესობას ახასიათებს ტერმინოლოგიისა და ტერმინოგრაფიის დარგობრივი სპეციფიკური კურსების ნაკლებობა, განსაკუთრებით იმ კურსებისა, რომლებსაც კითხულობენ ენის ცოდნის მაღალი დონის მქონე დარგობრივი სპეციალისტები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პუნქტებზე, რომლებიც ავალდებულებენ მთარგმნელებს:

12. ხარისხზე კონტროლის სტრატეგიების ცოდნასა და განხორციელებას შესაბამისი საშუალებებისა და ტექნიკების გამოყენებით;

13. მასალის წინასწარ რედაქტირებას მთარგმნელობითი მეხსიერების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წინასწარ რედაქტირებაზე ორიენტირებული ტექნიკის გამოყენებით;

14. მთარგმნელობითი მეხსიერების შედეგის რედაქტირება შესაბამისი ტექნიკებისა და რედაქტირების დონეების გამოყენებით ხარისხისა და პროდუქტიულობის უზრუნველყოფის მიზნით და მონაცემებზე საკუთრების უფლების მნიშვნელობისა და მონაცემების უსაფრთხოების საკითხების ცოდნას.

ნათელია, რომ აღნიშნული კომპონენტები იკვეთება ტექნოლოგიურ კომპეტენციასთან, რომელიც ჩარჩოს მესამე პუნქტს წარმოად-

გენს. ტექნოლოგიურ კომპეტენციას ბოლოს განვიხილავ დანარჩენი კომპეტენციების შემდეგ.

პირადი უნარ-ჩვევები: პერსონალური და ინტერპერსონალური

აღნიშნული კომპეტენცია მოიცავს ყველა ზოგად ე.წ. სუსტ უნარს, რომლებიც გულისხმობს სტუდენტის ადაპტირებისა და დასაქმების უნარს და, ამავდროულად, ასოცირდება მთარგმნელ-თარჯიმნის სოციალურ როლთან. იგი მოიცავს დაგეგმარების, მართვის, თვითშეფასებისა და გუნდში მუშაობის ელემენტებს პროფესიონალური საქმიანობის განხორციელების დროს. საქართველოში აკრედიტებული არც ერთი პროგრამა ამ კომპეტენციას არ უვითარებს. უმაღლეს სასწავლებლებში მთარგმნელ-თარჯიმნებს არასოდეს ასწავლიან მთარგმნელობითი პროექტების დაგეგმარებას, მართვას და თვითშეფასებას.

მომსახურების უზრუნველყოფა

აღნიშნული კომპეტენცია მოიცავს ყველა უნარს, რომლებიც შეესაბამება თარგმანის შესრულებას და, უფრო ზოგადად, ენობრივ მომსახურებას პროფესიონალურ კონტექსტში - კლიენტთან მოლაპარაკებებით დაწყებული მთარგმნელობითი პროექტის მართვისა და ხარისხის კონტროლით დამთავრებული. იგი მოიცავს ინფორმაციას მთარგმნელისა და კლიენტის ურთიერთობაზე ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, როგორებიცაა: კლიენტთან მოლაპარაკება, მომსახურების ღირებულების განსაზღვრა და ა.შ. საქართველოში აკრედიტებული პროგრამების უმეტესობა არც ამ კომპეტენციას არ უვითარებს, რადგანაც საბჭოთა წარსულის თავისებურების გათვალისწინებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თარგმანი არასოდეს განიხილებოდა როგორც ბიზნესსექტორის ნაწილი.

3. კომპიუტერული უზრუნველყოფა (საშუალებები და აპლიკაციები)

აღნიშნული კომპეტენცია მოიცავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მთარგმნელობითი ტექნოლოგიების გამოყენებისათვის მთარგმნელობითი პროცესის დროს. ის, ასევე, მოიცავს ზოგად ცოდნას სამანქანო მთარგმნელობითი ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების შესახებ საკუთარი საჭიროებიდან გამომდინარე. 2009 წელს, მთარგმნელობითი ჩარჩოს შექმნის დროს, აღნიშნული

კომპეტენცია განიხილებოდა, როგორც დამატებით, თუმცა დღევანდელ ჩარჩოში, ბაზრის დღევანდელი მოთხოვნიდან გამომდინარე, იგი განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მთარგმნელ-თარჯიმნის პროფესიონალად ჩამოყალიბების კუთხით. აღნიშნული კომპეტენცია ექვს კომპონენტს მოიცავს:

15. საინფორმაციო ტექნოლოგიების რელევანტურ გამოყენებას, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის და, ახალი კომპიუტერული საშუალებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი ათვისების უნარს. შესაბამისად, სტუდენტს მთარგმნელ-თარჯიმნად ჩამოყალიბების მიზნით უნდა ჰქონდეს წვდომა შესაბამის კომპიუტერულ უზრუნველყოფაზე და იმის ცოდნაზე, რომელი კომპიუტერული საშუალება სჭირდებათ მას თარგმანის პროცესში.

16. საჭირო სისტემების, კორპუსზე დაფუძნებული კომპიუტერული საშუალებების, ტექსტების გაანალიზებისა და CAT საშუალებების ეფექტური გამოყენებას. შესაბამისად, სტუდენტს მთარგმნელ-თარჯიმნად ჩამოყალიბების მიზნით უნდა ჰქონდეს წვდომა მთარგმნელობითი მიმართულების კომპიუტერულ საშუალებების გამოყენების გამოცდილების მქონე პროფესიონალებზე, რომლებიც შეძლებენ ცოდნის გადაცემას მთარგმნელობითი მეხსიერებების (TM), ელექტრონული კორპუსების, ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზებისა და თარგმანის მართვის სისტემების გამოყენების შესახებ.

17. ფაილებისა და სხვა მედიაწყაროების წინასწარი და საბოლოო დამუშავებასა და მართვას თარგმანის შესრულების დროს, მაგ.: ვიდეო და მულტიმედია ფაილების, ვებტექნოლოგიების ცოდნას. შესაბამისად, სტუდენტი მთარგმნელ-თარჯიმნად ჩამოყალიბების მიზნით უნდა იღებდეს ცოდნას ფაილის ფორმატის, კონვერტირების, დამუშავების, ვებრესურსების ლოკალიზაციის და ა.შ. შესახებ.

18. სამანქანო თარგმანსა და მთარგმნელობით პროცესზე მისი ზეგავლენის საწყისების ცოდნას სამანქანო თარგმანის კომპიუტერული უზრუნველყოფის სახით.

19. სამანქანო თარგმანის სისტემების რელევანტობის შეფასებასა და გამოყენებას თარგმანის პროცესში. შესაბამისად, სტუდენტი მთარგმნელ-თარჯიმნად ჩამოყალიბების მიზნით უნდა იღებდეს ინფორმაციას სამანქანო თარგმანზე ორიენტირებული სხვადასხვა კომპიუტერული უზრუნველყოფის შესახებ, კერძო, წესებზე ორიენტირებული მთარგმნელობითი საშუალებების, სტატისტიკურ თარგმანზე ორიენტირებული საშუალებების, ჰიბრიდული საშუალებების შესახებ, რომ-

ლებიც უზრუნველყოფენ წესების სტატისტიკურად დამუშავებასა და სტატისტიკას, წესებით მართვას დაბოლოს, ე.წ. ღრმა სწავლების მიდგომაზე სამანქანო თარგმანისადმი და ნეირულ სამანქანო თარგმანზე, რომელიც 2017 წელს გაიშვა Google-ის, Pangeanic-ის, KantanMT-ის, Omniscien Technologies-ისა და SDL-ის (Estopace, 2017;(KantanMT, 2017; Technologies, 2017; Davies, 2017) მიერ.

20. სხვა ენობრივი და მთარგმნელობითი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა პროექტის მართვის კომპიუტერული უზრუნველყოფა.

როგორც აღწერილობიდან ჩანს, იმ კომპიუტერული საშუალებების უმეტესობა, რომელიც სჭირდება სტუდენტს მთარგმნელ-თარჯიმნად ჩამოყალიბების მიზნით, უკავშირდება მთარგმნელობითი მეხსიერებების (TM), ელექტრონული კორპუსების, ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზებისა და მთარგმნელობითი პროცესის მართვის სისტემების შესწავლას. ამას კი სჭირდება, ერთი მხრივ, გამოცდილი პროფესიონალები, რომლებიც იყენებენ ამ ტექნოლოგიებს და შეძლებენ სტუდენტებისთვის ამ ტექნოლოგიების გადაცემას, ხოლო, მეორე მხრივ, დაფინანსებას, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ოპერაციული სისტემის, დოკუმენტების ტიპებისა და ფაილების ფორმატების მხარდაჭერას უმაღლესი სასწავლებლების კომპიუტერებში. ორივე შესაძლებლობა საქართველოს საგანმანათლებლო სექტორისათვის პრობლემურია, რადგანაც, ერთი მხრივ, საკმაოდ ძნელია იმ პროფესიონალების პოვნა, ვისაც, ერთი მხრივ, გააჩნია ცოდნა არსებული რესურსების შესახებ ხოლო, მეორე მხრივ, შეუძლიათ ახალი პროგრამული უზრუნველყოფის სწრაფად ათვისება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმ რესურსების განსაზღვრა, რომლების გამოყენება შესაძლებელია ქართული როგორც სამუშაო ენის გამოყენების დროს.

არსებობს ძალიან ბევრი მთარგმნელობით მეხსიერებაზე ორიენტირებული სისტემა, რომლებიც ეხმარება მთარგმნელებს დიდი პროექტების თარგმნისა და/ან ლოკალიზაციის დროს. მთარგმნელობითი მეხსიერებანი, ძირითადად, იქმნება თანდათან და მოიცავს ადრე ნათარგმნ ტექსტებს ან ტექსტების ფრაგმენტებს. მთარგმნელობითი მეხსიერების გამოყენებით მთარგმნელ-თარჯიმანს არ სჭირდება თარგმანის ნულიდან დაწყება, არამედ უწევს ადრე შესრულებული თარგმანის ან ნათარგმნი ფრაგმენტის გამოყენება, რომელიც ინახება მთარგმნელობით მეხსიერებაში. შესაბამისად, არსებობს ძალიან ბევრი მთარგმნელობითი მეხსიერების შექმნაზე ორიენტირებული

პროგრამა, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ქართული ენიდან ან ქართულ ენაზე თარგმნის დროს, როგორებიცაა: SDL Trados-ში ჩადებული MultiTrans (SDL Trados: MultTrans., 2019), memoQ (memoQ, 2019), OmegaT (OmegaT, 2019) და ა.შ.

ელექტრონული კორპუსები ტექსტების კოლექციას წარმოადგენს. მთარგმნელებს ძალიან ადვილად შეუძლიათ აღნიშნული ტექნოლოგიების თავის საჭიროებებზე მორგება და აქტიურად გამოყენება ელექტრონული დოკუმენტების თარგმნის დროს. ასევე, ელექტრონული კორპუსების ზოგიერთი თვისება ჩადებულია CAT სისტემებში კონკორდანსების სახით. შესაბამისად, ქართული ენის შემთხვევაში შესაძლებელია შემდეგი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, როგორებიცაა: ინტერნეტში განთავსებული კორპუსები: ქართული ენის ეროვნული კორპუსი (Gippert და სხვ., 2011 – 2019), ქართული ენის კორპუსი (Doborjginidze და სხვ., 2012-2019) და, ასევე, საკუთარი კორპუსების შექმნა სხვადასხვა პროგრამის გამოყენებით, როგორებიცაა: AntConc (Anthony, 2013), BootCat (Baroni, M., Bernardini, S., 2018) და სხვ.

როგორც მთარგმნელობითი მეხსიერებებისა და ელექტრონული კორპუსების შემთხვევაში, მთარგმნელ-თარჯიმნებს შეუძლიათ ტერმინოლოგიურ მონაცემთა სხვადასხვა ბაზის შექმნა თარგმანის იმ სეგმენტის გათვალისწინებით, რომელიც მათ სჭირდებათ. აღნიშნული ბაზები შეიძლება მომზადდეს როგორც ტერმინოლოგების, ასევე მთარგმნელების მიერ თარგმანზე მუშაობის დასრულებამდე ან მას შემდეგ, რაც თარგმანი დასრულდა. აღნიშნულ პროცესს უწოდებენ ტერმინოგრაფიას (ISO 12616: 2002) სტანდარტის მიხედვით. უნდა ხდებოდეს ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზების მუდმივი განახლება და გადახედვა. ქართული ენის შემთხვევაში მთარგმნელის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია SynchroTerm (SynchroTerm, 2019), SDL MultiTerm, SDL MultiTerm Convert და ზოგიერთი სხვა პროგრამის გამოყენება.

თარგმანის მართვის სისტემების გამოყენება შესაძლებელია რთული და შრომატევადი მთარგმნელობითი ამოცანების გადასაწყვეტად, როცა პროექტზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ერთდროულად მუშაობენ. თარგმანის მართვის სისტემები, ძირითადად, ღრუბლოვან ტექნოლოგიას ეფუძნებიან და შემდეგ თვისებებს მოიცავენ: შრომის პროცესის მართვას, მთარგმნელობითი მეხსიერების მართვას, ტერმინოლოგიის მართვას, ანგარიშის შედგენასა და ჩაშენებულ

სამანქანო თარგმანს. ქართული ენის შემთხვევაში, შეიძლება Plunet-ისა (Plunet, v. 7.4, 2019) და Memsource-ს (Memsource, 2011-2019) გამოყენება.

შესაბამისად, იბადება კითხვა, რომელი ამ კომპეტენციებიდან და, განსაკუთრებით, ხელთ არსებული კომპიუტერული უზრუნველყოფიდან უნდა ისწავლებოდეს საქართველოში მთარგმნელობითი მოდულების გაუმჯობესების მიზნით?

4. დასკვნები

სტანდარტებთან შესაბამისობისათვის საქართველოში უნდა გაუმჯობესდეს აკრედიტებული მთარგმნელობითი მოდულები EMT-ს კომპეტენციათა ჩარჩოს მიხედვით, კერძოდ:

ენისა და კულტურის კომპეტენციის გაუმჯობესება შესაძლებელია: ა) ენის ცოდნის დონის წინაპირობის განსაზღვრით ორიგინალისა და სამიზნე ენების თავისებურებიდან გამომდინარე და ორივე ენის ცოდნის დონე უნდა შეესაბამებოდეს CEFR-ის C1-ს; ბ) პროგრამებში თავიდანვე უნდა ჩაიდოს პროგრამის სამუშაო ენობრივი წყვილები და არა ზოგადი ფორმატი, რუსული, ინგლისური და ა.შ.

თარგმანის (სტრატეგიული, მეთოდოლოგიური და თემატური) კომპეტენციის გაუმჯობესება შესაძლებელია კურიკულუმებში ტერმინოლოგიის შესწავლაზე ორიენტირებული კურსების შემოღებით, რომლებიც უნდა იკითხებოდეს დარგის მცოდნე სპეციალისტების მიერ, რომლების სამუშაო ენის ცოდნა შეესაბამება CEFR-ის C1-ს და, რომლებსაც გააჩნია ცოდნა ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზების შექმნის, მომზადებისა და გამოყენების შესახებ.

პირადი უნარ-ჩვევები: პერსონალური და ინტერპერსონალური და მომსახურების უზრუნველყოფის კომპეტენციების გაუმჯობესება შესაძლებელია კურიკულუმებში მთარგმნელობითი პროექტების მართვის, ხარისხის შეფასების, კლიენტთან მოლაპარაკებების და მსგავსი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული კურსების შემოღებით.

ტექნოლოგიის ცოდნის კომპეტენციის გაუმჯობესება შესაძლებელია სპეციალიზირებული მთარგმნელობით ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კურსების შემოღებით, რომლებშიც ჩადებული იქნება მხოლოდ იმ კომპიუტერული პროგრამების შესწავლა, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო მთარგმნელობითი ბაზარზე (Doborjginidze, N., Lobzhanidze, I., 2012-2019).

ლიტერატურა

Anthony, L. (2013). *AntConc, V. 3.5.8.* Seoul: https://www.laurence-anthony.net/software/antconc/.

Baroni, M., Bernardini, S. (2018). *BootCat, v.1.* https://boot-cat.dipintra.it/.

Council of Europe. (2019). მოპოვებული 2019 წლის 10 December, Common European Framework of Reference for Languages (CEFR): https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions-დან

Anthony, L. (2013). *AntConc, V. 3.5.8.* Seoul: https://www.laurenceanthony.net/software/antconc/.

Baroni, M., Bernardini, S. (2018). *BootCat, v.1.* https://boot-cat.dipintra.it/.

Council of Europe. (2019). მოპოვებული 2019 წლის 10 December, Common European Framework of Reference for Languages (CEFR): https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions-დან

Davies, D. (2017 წლის 12 June). *SDL Brings Neural MT to its Secure Enterprise Translation Server*. მოპოვებული 2019 წლის 15 September, SDL Studio: https://www.sdl.com/about/news-media/press/2017/sdl-brings-nmt-to-its-secure-ets.html-დან

Doborjginidze, N., Lobzhanidze, I. (2012-2019). *Georgian language corpus.* Tbilisi: http://corpora.iliauni.edu.ge/.

Estopace, E. (2017 წლის 9 May). *EU Spends EUR 1.9m to Customize MT for State and Regional Authorities*. მოპოვებული 2019 წლის 15 September, Slator: https://slator.com/deal-wins/eu-spends-eur-1-9m-to-customize-mt-for-state-and-regional-authorities/-დან

European Master's in Translation. (2017). მოპოვებული 2019 წლის 2010 December, EMT Competence Framework: https://ec.europa.eu /info/sites/info/files/emt_competence_fwk_2017_en_web.pdf-დან

Gippert, J., Meurer, P., Tandashvili, M. (2011 – 2019). *The Georgian national corpus.* Bergen: http://gnc.gov.ge/gnc/page.

KantanMT. (2017 წლის 13 March). *KantanMT Users Can Now Customise and Deploy Neural Machine Translation Engines*. მოპოვებული 2019 წლის 15 September, Slator: https://slator.com/press-releases/

kantanmt-users-can-now-customise-and-deploy-neural-machine-translation-engines/-დან

memoQ. (2019). https://www.memoq.com/.

Memsource. (2011-2019). მოპოვებული 2019 წლის 15 September, Memsource: https://www.memsource.com/-დან

OmegaT. (2019). https://omegat.org/.

Plunet, v. 7.4. (2019). მოპოვებული 2019 წლის 15 September, Plunet: https://www.plunet.com/en/-დან

SDL Trados: MultTrans. (2019). https://www.sdl.com/software-and-services/translation-software/sdl-trados-studio/.

Standardization, I. O. (2002). *Translation-oriented terminography, ISO 12616.* https://www.iso.org/standard/35360.html.

SynchroTerm. (2019). მოპოვებული 2019 წლის 15 September, Terminotix: https://terminotix.com/index.asp?content=item&item=7&lang=en-დან

Technologies, O. (2017 წლის 21 April). *Omniscien Technologies Announces Release of Language Studio™ with Next-Generation NMT Technology*. მოპოვებული 2019 წლის 15 September, Omniscien Technologies : https://omniscien.com/omniscien-technologies-announces-release-language-studio-next-generation-neural-machine-translation-technology/-დან

Trados, S. (2019). *SDL MultTrans.* https://www.sdl.com/software-and-services/translation-software/sdl-trados-studio/.

Irina Lobzhanidze
Ilia State University, Georgia
irina_lobzhanidze@iliauni.edu.ge

Keyword: The EMT framework, Technology criteria, Higher education, Translation, Terminology

EMT Competence Framework, Terminology Management and Translation Technologies

Summary

Who is a translator today? What kind of special competencies should be associated with the training of a translator? The European Master's in Translation network first published its framework for translator and translation competence, including the EMT "Wheel of Competence" in January 2009. At this moment the majority of European Universities met the criteria represented in the above-mentioned framework and became a part of rapidly growing network on Translation Studies. Unfortunately, the Higher Education Institutions of Georgia are not represented in this network and the questions under consideration are as follows: a) Can the programs in Translation Studies existing in Georgia met the criteria of the EMT competence framework? b) Which of the criteria described by the EMT and ISO standards are worth of analyzing with regards to translation and translation studies in Georgia? c) Can we talk about the possibility to be integrated into this network without meeting the criteria on the Technology (Tools and Application)?

The European Master's in Translation framework published in 2017 includes the following criteria: Language and Culture, Translation, Technology, Personal and Interpersonal and Service Provision. The Technology competence is focused on the knowledge and skills used to implement present and future translation technologies within the translation process. It also includes basic knowledge of machine translation technologies and the ability to implement machine translation according to potential needs.

Thus, the structure of the paper is as follows: 1. Introduction – Description of the EMT framework and Technology criteria; 2. Computer Applications used by the European Higher Education Institutions during the training of translators and/or terminographers and Possibilities of Georgian Educational Sector; 3. Conclusions.

თამარ მახარობლიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, იურიდიული ტერმინოლოგია, ქართული ჟესტური ენა.

იურიდიული ტერმინების შესახებ ქართულ ჟესტურ ენაში[1]

ქართულ ჟესტურ ენაში ტერმინთა პრობლემა საკმაოდ დიდ გამოწვევებს აწყდება. საბჭოთა რეალობაში ჩამოყალიბებული ყრუთა თემისთვის, ცხადია, არ იდგა იურიდიულ ტერმინთა უმრავლესობის გამოყენების საჭიროება რიგი პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური მიზეზების გამო. საბჭოეთის დაშლის შემდეგ ამ ქვეყანაში არსებულმა ყრუთა ენებმა რეინტეგრაციის პროცესები განიცადეს და ახალმა რეალობამ შესაბამისი ახალი საჭიროებები გააჩინა. ერთ-ერთი ასეთი საჭიროება არის ტერმინოლოგიის საკითხების გადაჭრა ჟესტურ ენებში.

შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, სრული სიცარიელეა ამ სფეროში. არ არსებობს ქართული ჟესტური ტერმინების წარმოებასთან დაკავშირებული რამენაირი სამეცნიერო ან მეთოდური ლიტერატურა, თუმცა შესაძლებელია სათანადო ევროპული და ამერიკული გამოცდილების გაზიარება.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ქართული ჟესტური ენა არის დამოუკიდებელი, ბუნებრივი მოცემულობების ენა და ამით ის იმსახურებს მეცნიერთა ინტერესს საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში იყო ერთიანი ჟესტური ენა ამ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეროვნების ყრუთათვის. ცხადია, საბჭოთა მთავრობა არ ზრუნავდა ცალკეულ რესპუბლიკებში ნაციონალური ჟესტური ენების განვითარებაზე. „საბჭოთა ჟესტური ენა“, ბუნებრივია, ეყრდნობოდა რუსულ ჟესტურ ენას, რომელიც, თა-

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 216702, „ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია“.

ვის მხრივ, წარმოშობით არის ფრანგული ჟესტური ენიდან და, ამავდროულად, ყოველთვის განიცდიდა სამეტყველო რუსულის გავლენას. საბჭოთა პერიოდის მოცემულ ვითარებაში, რა თქმა უნდა, დიდი იყო რუსული ჟესტური ენის გავლენა ქართულ ჟესტურ ენაზე და ეს გავლენა დღესაც ნათლად ჩანს ამ ენის ლექსიკაზე. ამის მიუხედავად, ქართული ჟესტური ენის გრამატიკული სტრუქტურა, გარკვეულწილად, მაინც ვითარდებოდა დამოუკიდებლად და დღეს მას აქვს რუსულისგან დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა. რასაკვირველია, ქართულ ჟესტურ ენაში არის ჟესტური ენებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური ენობრივი მოვლენები, ასევე გვაქვს რუსული ჟესტური ენიდან შემოტანილი გრამატიკული მოვლენებიც და ამის პარალელურად ქართულ ჟესტურ ენას ახასიათებს ერთობ ორიგინალური ლინგვისტიკური მიდგომა რიგი ენობრივი კატეგორიებისადმი.

აქვე მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ქართული ჟესტური ენისადმი არაპროფესიული დამოკიდებულება და ფსევდოაკადემიური მოღვაწეობა დიდ საფრთხეს უქმნის ამ ენას. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ეს არის ბუნებრივი ენა (ქართული ჟესტური ენა – GESL – Georgian Sign Language); არაჯანსაღი, არაპროფესიული ჟესტშემოქმედებითი პროცესი და ხელოვნური გრამატიკალიზაცია ამ ენას გადააქცევს ქართული სამეტყველო ენის ჟესტურ იმიტირებულ სისტემად (Signed Georgian). ასეთი ენა კი უკვე მოკლებული იქნება ყოველგვარ სამეცნიერო ინტერესს.

საგულისხმოა, რომ არაპროფესიული აქტივობები განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს ჟესტური ენის სფეროში და უმეტესწილად ეს ეხება ლექსიკოლოგიას, იქმნება ე.წ. „ანტილინგვისტური“ (არაპროფესიული) ლექსიკონები და ყალიბდება საჩოთირო ტერმინოლოგია, რითიც სერიოზულად ზიანდება ქართული ჟესტური ენის ლექსიკური დონე. ზოგადად, ამ სფეროში ლინგვისტის ჩართულობის გარეშე მიმდინარე ენათმეცნიერული სამუშაოები, რასაკვირველია, ხარვეზიან პროდუქტს ქმნის შედეგად.

რაც შეეხება იურიდიულ ტერმინებს, საკითხის ისტორიისათვის უნდა ითქვას, რომ იუსტიციის სახლში ყრუებთან ურთიერთობის რეალური პრობლემა დადგა და გასულ წელს დონორების დახმარებით საკითხის მოგვარებაც დაიწყო. სამწუხაროდ, სათანადოდ არ იქნა გათვალიწინებული მეცნიერთა რეკომენდაციები, რაც, ცხადია, ნეგატიურად აისახა საბოლოო პროდუქტზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს პოზიტიური მომენტიც, კერძოდ, იუსტიციის სახლის თანამშრომლებმა

გულდასმით შეისწავლეს იურიდიული ტერმინები და დღეს პრაქტიკაში გამოიყენებენ. მართალია, ხარვეზიანი ტერმინების პრაქტიკაში დანერგვა არ არის მისასალმებელი, მაგრამ არსებულ რეალობაში მაინც პოზიტიურია ის გარემოება, რომ საქართველოში ახლა უკვე ყრუებს რეალურად შეუძლიათ მათთვის გასაგებ ჟესტურ ენაზე მიიღონ იუსტიციის სახლში არსებული მომსახურება.

ჟესტურ ენაში ტერმინთა წარმოება შესაძლებელია სამი გზით:

1. დაქტილური წარმოებით, რაც მოიაზრებს ტერმინის დაქტილებით გადმოცემას და ეს საკმაოდ გავრცელებულია მრავალ ჟესტურ ენაში. მაგალითად, სიტყვა-ტერმინი *რეესტრი*:



ან *იპოთეკა:*



2. ჟესტმოქმედებითი ტერმინშემოქმედებითი პროცესი გულისხმობს ჟესტური ტერმინების შექმნას. ამ დროს გასათვალისწინებელია ჟესტის პარამეტრების დახვეწილობა და შესაბამისობა. აუცილებელია ნავიგაციის, ანუ კინეტიკური დინამიკის, მოთხოვნების დაკმაყოფილება და ხელის კონფიგურაციის მისაღები ფორმის შერჩევა. ამ ტიპის ჟესტწარმოების მაგალითია *გარიგება:*



გარიგება – შეთანხმების დადება.

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთზე დადებულია გადაჯვარედინებული ხელისგულები გაშლილი თითებით. ხელები იცვლიან პოზიციებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ან *საჩივარი:*

საჩივარი – დაინტერესებული პირის ზეპისრიტყვიერი ან წერილობითი მომართვა რაიმე საკითხზე უკმაყოფილების შესახებ.

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

3. ჟესტური ტერმინების შექმნის მესამე ფორმაა კომპოზიციური წარმოება, რაც მოიაზრებს ლექსიკურად ახლომდგომი ერთეულების გამოყენებას და ამ ტიპის ერთეულების შეერთებით კომბინაციური ფორმების მიღებას. ამ ტიპის ჟესტწარმოების მაგალითია *ააიპ*:

აიპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს, საკუთარი სახელით იძენს უფლება-მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

რთული ფრაზის პირველი ნაწილია კომპოზიტური სიტყვა-ჟესტი *არასამეწარმეო*, რომლის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი *არა* – ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელი განმეორებითი დინამიკით მოძრაობს მარჯვნივ. ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი *წარმოება* – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია ფალანგებში მოხრილი შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ფრაზის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი *იურისტი/იურიდიული* – წინ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მკერდს. ფრაზის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი *პირადი* – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და სახისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება წრიული მოძრაობა სახის გარშემო. ფრაზა წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

ან სიტყვა-ტერმინი *იპოთეკა*:



იპოთეკა – გირავნობის ფორმა, კრედიტი უძრავი ქონების თავდებით.

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი *სახლი* – ხელისგულები გაშლილი თითებით ერთმანეთისკენაა მიმართული, ხელები ერთმანეთს თითების წვერებით ეხება. ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი *გირაო* – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით დაწეული ცერით, ასევე ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით. ორივე ხელი ერთმანეთისკენ მოძრაობს და მარჯვენა ხელი შემოეჭდობა მარცხენა ხელის გაშლილ თითებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

ან რთული ტერმინი *სარეგისტრაციო წარმოება:*



სარეგისტრაციო წარმოება – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული პროცედურა, დაინტერესებული პირის მოთხოვნის რეგისტრაციის მიზნით.

ფრაზის პირველი ნაწილია კომპოზიტური სიტყვა-ჟესტი *რეგისტრაცია*, რომლის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი *წერა* – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი *ჩანიშვნა* – ზევით მიმართუ-

ლია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ფრაზის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი *საქმე* – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული შუა თითებით, ორივე ხელი ქვევით მოძრაობს სინქრონულად და ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით. ფრაზა წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

ბოლო პერიოდში ქართული ჟესტური ენის ლექსიკაში იურიდიულ ტერმინთა უმეტესობა ნაწარმოებია, უმეტესწილად, მესამე ტიპის წარმოებით.

ლიტერატურა

მახარობლიძე 2019 – თამარ მახარობლიძე, ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბილისი.

მახარობლიძე 2018 – თამარ მახარობლიძე, ლინგვისტური წერილები – IV წიგნის ფაბრიკა, თბილისი.

მახარობლიძე 2015 – თამარ მახარობლიძე, ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბილისი.

მახარობლიძე 2012 – თამარ მახარობლიძე, *ქართული ჟესტური ენა,* საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, USIAD, Save The Children International, თბილისი.

Aronoff, Meir, Sandler 2005 – Mark Aronoff, Irit Meir and Wendy Sandler, The Paradox of Sign Language Morphology, Journal of Linguistic Society of America.

Bahan 1996 – Benjamin Bahan, Non-manual realization of agreement in American Sign Language, PHD dissertation, Boston University.

Baker-Shenk and others 1991 – Baker-Shenk, Charlotte & Cokely, Dennis, American Sign Language, A Teacher's Resource Text of Grammar and Culture, Clerc Books, Gallaudet University Press,Washington D.C.

Brentari 2010 – Diane Brentari, Sign Languages, Cambridge University Press, Cambridge.

Emmorey and others 1995 – Emmorey, Karen & Reilly, Judy, Language, Gesture, and Space, Ed. Lawrence Erlbaum Associates: Hillsdale, NJ.

Kendon 1994 – Adam Kendon, "Human Gestures" In: K.R. Gibson and T. Ingold (ed.) Tools, Language and Cognition in Human Evolution, Cambridge: Cambridge University.

Liddell 2003 – Liddell, Scott, Grammar Gesture and meaning in American Sign Language, Cambridge: Cambridge University Press.

Lillo-Martin 1986 – Diane Lillo-Martin, Two kinds of null arguments in American Sign Language, Natural Language and Linguistic Theory 4.

Meier Richard P. 1982 – Richard P. Meier, Icons analogues and morphemes: The acquisition of verb agreement in American Sign Language, PHD dissertation, University of California, San Diego.

Meir, Padden 2006 – Irit Meir, Carol Padden, Mark Aronoff, Wendy Sandler, Rethinking sign language verb classes: The body as subject. Sign Languages: spinning and unraveling the past, present and future. TISLR9, forty-five papers and three posters from the 9th. Theoretical Issues in Sign Language Research Conference, Florianopolis, Brazil.

Padden 1983 – Carol Padden, Interaction of morphology and syntax in American Sign Language. PHD dissertation. University of California, San Diego.

Perniss 2007 – Pamela Perniss, Space and Iconicity in German Sign Language (DGS). PHD dissertation, MPI Series in Psycholinguistics 45, Radboud University Nijmegen.

Pfau 2012 – Ronald Pfau, Markus Steinbach & Bencie Woll (eds.), Sign language. An international handbook (HSK – Handbooks of linguistics and communication science). Berlin: Mouton de Gruyter.

Sandler and others 2006 – Wendy Sandler & Diane Lillo-Martin, Sign language and linguistic universals, Cambridge: Cambridge University Press.

Robin, Karen, Robert 2006 – Thompson Robin, Emmorey Karen & Kluender Robert, The relationship between eye gaze and verb agreement in American Sign Language: An eye tracking study. Natural language and Linguistic theory.

Tamar Makharoblidze
Ilia State University, Georgia
tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

Keywords: Terminology, Terms of justice, GESL.

On legal terms in GESL

Summary

Georgian Sign language (GESL) is facing great challenges with regard to terms. For the Deaf community formed under the Soviet reality, it was clearly not necessary to use most legal terms for a number of political and social-economic reasons. After the collapse of the Soviet Union, the languages of the Deaf communities went through reintegration processes following the reintegration of the countries, former republics, and the new reality has given rise to new needs. One such need is to solve terminology issues in the sign languages.

It can be said that there is, in fact, a complete lacuna in this area of GESL. There is no scientific or methodological literature on the production of terms in this sign language although relevant European and American experiences can be shared.

This article discusses how legal terms in GESL are created in Georgia and what types of challenges and problems arise during this process. It also discusses the conceptual processes behind sign-term creation. Three types of term production are described and appropriate examples provided.

ლელა მეტრეველი
ქიმიის მასწავლებელთა ასოციაცია, თბილისი
lelametreveli@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ქიმიის ტერმინოლოგია, სასკოლო ტერმინოლოგია.

ქიმიის სასკოლო ტერმინოლოგიის საკითხისათვის

21-ე საუკუნეში საქართველო საკმაოდ სწრაფად და თამამად ჩაება მსოფლიო ინტეგრაციის პროცესში. ამან, დადებით მოვლენებთან ერთად, გამოიწვია მრავალი უცხო ან თვითნებურად, კერძო პირების ინიციატივით თარგმნილი ტერმინების მოზღვავება, მათ შორის ქიმიაშიც. ამასთან ერთად, მთელ მსოფლიოში მატულობს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ტემპი, ხოლო დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონები (ცხადია, ქართულენოვანი ლექსიკონებიც) ახლდება უფრო ნელა, რაც იწვევს სამეცნიერო ტერმინოლოგიის სიჭრელეს. ყოველივე ეს ასახულია ქიმიის ქართულენოვან სასკოლო სახელმძღვანელოებშიც.

ზემოთ ნათქვამის დასადასტურებლად ცხრილში მოცემულია ქიმიის რამდენიმე ტერმინი 1980-იანი წლებიდან დღემდე გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოებიდან (ანდრონიკაშვილი და სხვ., 2013; კოკოჩაშვილი 1983). ყოველი დასახელებული სახელმძღვანელო სხვადასხვა დროს დამტკიცებულია/მოწონებულია უფლებამოსილი უწყების (სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, საქართველოს განათლების სამინისტრო) მიერ, როგორც სავალდებულო ან დამხმარე სახელმძღვანელო მოსწავლეთათვის, აბიტურიენტთათვის, მასწავლებელთათვის. მოვიშველიებთ აგრეთვე ოთხენოვან, რუსულ-ქართულ-ინგლისურ-გერმანულ ქიმიურ ლექსიკონსა (ლექსიკონი 2004) და ქიმიის საბაზო საფეხურის სტანდარტს (სტანდარტი 2016-2021). ცხრილში თითოეული წყაროს დასახელება ემთხვევა მისსავე დასახელებას გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში.

ცხრილში მოცემული და ასევე სხვა ტერმინების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა სასკოლო ქიმიური ტერმინოლოგიის სიჭრელის შემდეგი მიზეზები:

გ. ანდრონიკაშვილი, 2013	გ. ანდრონიკაშვილი და სხვ., IX-XI, 2012	ს. ადამია, 2011	ი. ბოდუკოვი და სხვ. 7-9, 1982	ვ. კოკოზაშვილი, 1983	ლექსიკონი, 2004	სტანდარტი, 2016-2020
აირი	აირი	აირი	გაზი	გაზი	აირი, გაზი	აირი
სადისპერსიო არე		დისპერსიული გარემო		სადისპერსიო არე	დისპერსიული გარემო	
მეტალი	მეტალი	მეტალი	ლითონი	მეტალი	მეტალი, ლითონი	მეტალი
მყისიერი (სიჩქარე)		მეყსეული (სიჩქარე)		ჭეშმარიტი (სიჩქარე)	მყისი (სიჩქარე)	
პერიოდული სისტემა	პერიოდული სისტემა	პერიოდული სისტემა	პერიოდული სისტემა	პერიოდული სისტემა	პერიოდული სისტემა	პერიოდულო-ბის ცხრილი
ჟანგვა-აღდგენითი	ჟანგვა-აღდგენითი	ჟანგვა-აღდგენითი		ჟანგვა-აღდგენითი	ჟანგვით-აღდგენითი	
ჟანგვის ხარისხი		ჟანგვის ხარისხი	დაჟანგვის ხარისხი	დაჟანგულობის ხარისხი	ჟანგვის ხარისხი	
რადიოაქტი-ვობა		რადიოაქტიუ-რობა		რადიაქტიუ-რობა	რადიოაქტიუ-რობა	

1. ტერმინები ძველდება და იცვლება. მაგალითად, *ჟანგეულის* კოკოჩაშვილი 1983) ნაცვლად დამკვიდრდა *ოქსიდი* (გ. ანდრონიკაშვილი და სხვ., 2013; ლექსიკონი 2004; სტანდარტი 2016-2021) *ვალენტოვნების* (კოკოჩაშვილი 1983) ნაცვლად – *ვალენტობა* (ანდრონიკაშვილი და სხვ., 2013; ლექსიკონი 2004; სტანდარტი 2016-2021).

2. ტერმინები იცვლება იმის გამო, რომ მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე მათ თარგმნიდნენ ძირითადად რუსული ენიდან, ამის შემდეგ კი – ინგლისური ენიდან. მაგალითად, საყოველთაოდ დამკვიდრებული *პერიოდული სისტემა (Периодическая система)* (ანდრონიკაშვილი და სხვ., 2013; კოკოჩაშვილი 1983) საბაზო საფეხურის ქიმიის ახალ სტანდარტში (სტანდარტი 2016-2021) *პერიოდულობის ცხრილად (Periodic Table)* შეიცვალა.

3. ზოგიერთი ტერმინი შეიცვალა შინაარსობრივადაც. მაგალითად, წინათ *მეტალოიდები* (კოკოჩაშვილი 1983) ეწოდებოდა ქიმიურ ელემენტთა იმ ჯგუფს, რომელსაც დღეს *არამეტალებს//არალითონებს* უწოდებენ. ამჟამად კი *მეტალოიდები* აღნიშნავს მეტალებისა და არამეტალების საზღვარზე მყოფ ელემენტებს (ანდრონიკაშვილი და სხვ., 2013).

4. პერიოდულად სიტყვის ორი პარალელური ფორმიდან ერთერთს მიაწერენ უფრო „თანამედროვის“ იარლიყს და მეორე ფორმის გამოყენება ცუდი ტონად ითვლება. ასეთ წრებრუნვაში მოხვდა, მაგალითად: *ლითონი//მეტალი, გაზი//აირი.* 21-ე საუკუნის ქართულენოვან სასკოლო სახელმძღვანელოებში ცალსახად გამოიყენება მხოლოდ ტერმინები: *მეტალი, აირი* (ანდრონიკაშვილი და სხვ., 2012, 2013).

5. ზოგიერთი ტერმინის ცვლილების მიზეზი უცნობია. მაგალითად, *ქიმიური განტოლება (Химическое уравнение, Chemical Equation)* (ხოდაკოვი და სხვ., 8-9, 1982; ლექსიკონი 2004) სასკოლო ლიტერატურაში დღეს *ქიმიური ტოლობის* (ანდრონიკაშვილი და სხვ., 2012, 2013) სახელითაა ცნობილი.

6. სიტყვათწარმოქმნის წესების მიუხედავად, ჩვენ მიერ განხილულ სასკოლო ლიტერატურაში (გ. ანდრონიკაშვილი და სხვ., 2013, გ. ანდრონიკაშვილი და სხვ., XI, 2012, ს. ადამია, 2011, ლექსიკონი, 2004) *ამინმჟავას* ნაცვლად მკვიდრდება სახელწოდება *ამინომჟავა.*

7. არის შემთხვევები, როცა სასკოლო ლიტერატურაში გვთავაზობენ ერთი სახის ორთოგრაფიას, უცხო სიტყვათა ლექსიკონში კი – განსხვავებულს. მაგალითად, *ლანთანოიდები* და *აქტინოიდები* (ანდრონიკაშვილი და სხვ., 2013; ლექსიკონი 2004). პირველი მათგანისა-

თვის უცხო სიტყვათა ლექსიკონში (ლექსიკონი 1989) მოცემულია ორი პარალელური ფორმა: *ლანთანიდები//ლანთანოიდები,* ხოლო მეორე მხოლოდ *აქტინიდების* ფორმითაა წარმოდგენილი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი და ბევრი სხვა ტერმინის დაზუსტებისა და პროფესიული ენის რეფორმის მიზნით ენათმეცნიერებისა და ქიმიკოსების ერთიანი ძალისხმევაა აუცილებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქიმიის საგნობრივი სტანდარტის შემდგენლების, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორების, ექსპერტთა ჯგუფების თანამშრომლობა თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან, რათა ქიმიის ყოველი ახალი – თარგმნილი თუ ორიგინალური – ტერმინი შემუშავდეს და დამკვიდრდეს ორივე მხარის ერთობლივი მუშაობის, ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღების შედეგად. მით უფრო, რომ ტერმინოლოგიის სიჭრელე განსაკუთრებით მძიმედ აისახება ქიმიის სასკოლო – გრიფირებული თუ დამხმარე – სახელმძღვანელოებიდან მოსწავლეთა მიერ საგნის ათვისების ხარისხზე.

ლიტერატურა

ადამია 2011 – სერგო ადამია, ქიმია, გაღრმავებული კურსი. მეორე, გადამუშავებული გამოცემა. თბილისი.

ანდრონიკაშვილი და სხვ. 2013 – გიული ანდრონიკაშვილი, ბადრი არზიანი, ლალი ბერიძე, ქიმია, მასწავლებლის წიგნი, თბილისი.

ანდრონიკაშვილი და სხვ. 2012 – გიული ანდრონიკაშვილი, მზია მამიაშვილი, დალი გულაია, ქიმია, VIII კლასი, მოსწავლის წიგნი, თბილისი.

ანდრონიკაშვილი და სხვ., IX, 2012 – გიული ანდრონიკაშვილი, მზია მამიაშვილი, დალი გულაია. ქიმია, IX კლასი, მოსწავლის წიგნი. თბილისი.

ანდრონიკაშვილი და სხვ., X, 2012 – გიული ანდრონიკაშვილი, მზია მამიაშვილი, დალი გულაია, ქიმია, X კლასი, მოსწავლის წიგნი, თბილისი.

ანდრონიკაშვილი და სხვ., XI, 2012 – გიული ანდრონიკაშვილი, მზია მამიაშვილი, დალი გულაია, ქიმია, XI კლასი, მოსწავლის წიგნი, თბილისი.

კოკოჩაშვილი 1983 – ვიქტორ კოკოჩაშვილი, თინათინ კოკოჩაშვილი. ქიმია უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის, თბილისი.

ლექსიკონი 2004 – ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონი, თბილისი.

ლექსიკონი 1989 – უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა, მესამე

შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი.

სტანდარტი 2016-2021 – ქიმია. საბაზო საფეხურის სტანდარტი. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2016-2021

ხოდაკოვი და სხვ., 7-8, 1982 – ი.ვ. ხოდაკოვი, დ. ა. ეპშტეინი, კ. ა. გლორიოზოვი, ქიმია, სახელმძღვანელო მე-7-8 კლასებისთვის, თბილისი.

ხოდაკოვი და სხვ., 9, 1982 – ი.ვ. ხოდაკოვი, დ. ა. ეპშტეინი, კ. ა. გლორიოზოვი. ქიმია, სახელმძღვანელო მე-9 კლასისთვის, თბილისი.

Lela Metreveli
Association of Chemistry teachers, Georgia
lelametreveli@yahoo.com

Keywords: Terminology, Terminology of Chemistry, School Terminology.

Issues of the Chemistry School's Terminology

Summary

This article discusses the chemistry school's terminology from the 1980s through the present.

The following reasons for the diversity of chemistry school terminology are outlined:

– Terms become outdated and change. For example, oxidi was introduced instead of jangeuli and valentoba instead of valentovneba.

– Terms change because they were translated mostly from Russian until the 1990s and then from English after that. For example, the universally established term perioduli systema (Периодическая система) has become periodulobis cxrili (periodic table) in the new standard of basic chemistry.

– Some of the terms have changed in their content as well. For example, metalloids signified a group of chemical elements that are today called nonmetals. At present, metalloids refer to elements found between the boundary of metals and nonmetals.

– When there are two parallel forms of a term, twenty-first century Georgian school textbooks explicitly use one, for example, metali and airi.

– Sometimes the reason for the change of a term is unknown. For example, qimiuri gantoleba (Химическое уравнение, chemical equation) is known in the modern literature as qimiuri toloba.

– Despite the rules of word formation, aminomjavebi appears instead of aminmjavebi in the literature we discuss.

– There are cases when school textbooks offer one type of spelling while the dictionary of foreign words suggests a different type. Take for example lanthanoidebi and actinoidebi. For the first one, two parallel forms are suggested in the dictionary of foreign words: lanthanidebi and lanthanoidebi. However, the second one is used only in the form of actinidebi.

In conclusion, it can be said that a concerted effort is needed between linguists and chemists to clarify the abovementioned and many other terms in order to reform the professional language.

ნათელა მუზაშვილი
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
natelamuza@yahoo.com

მარინე ოსაძე
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
marineosadze@mail.ru

საკვანძო სიტყვები: დიალექტური ლექსიკა, ტერმინთსაცავი, ტერმინთბანკი, ტერმინდიალექტი.

დიალექტურ ტერმინთა მომზადება ქართული ტერმინთბანკისათვის[1]

დღეს, XXI საუკუნეში, საოცრად სწრაფი ცვლილებებია ყველა სფეროში. ამა თუ იმ დარგის განვითარებაც, გარკვეულწილად, ამ ტემპის შესაბამისია. ბუნებრივია, ენაც, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ვერ აღმოჩნდება ამ პროცესების მიღმა, იცვლება ენის ლექსიკაც. დღეს ენა საფრთხის წინაშეა. ამას მრავალი მიზეზი განაპირობებს. ერთ-ერთი საშიშროება მოჭარბებული უცხო სიტყვების შემოდინებაა. არავისთვის უცხო არ არის ის ტერმინოლოგიური სიჭრელე, რომელიც ქართულ ენაში შეინიშნება. უხვად მკვიდრდება უცხოენოვანი ტერმინები, რომელთაც ენა შესაბამის სალექსიკონო ერთეულებს ვერ ახვედრებს.

ქართული ენა უძლებდა საუკუნეებს, ინარჩუნებდა მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, აგრძელებდა მდიდარ ტრადიციებს, ენას არ აღარიბებდა და ხშირად უცხო ენებიდან შემოჭრილი სიტყვების ეკვივალენტებად დიალექტურ ლექსიკას იყენებდა, ლექსიკას, რომელიც ენის არტერიას წარმოადგენდა. დიალექტური ლექსიკა ჯერ კიდევ ძველ მწერლობაშია ასახული, შემდგომ სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. გვახსოვს, რა დიდი მისია დააკისრეს დიალექტურ ლექსიკას მე-19 საუკუნეში სამოციანელებმა. ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა ხალხური

[1] იხ. დათეშიძე, მუზაშვილი, ოსაძე 2018: 46-52.

საუნჯის შეგროვებას, რაც გახდა საფუძველი სალიტერატურო ენის სრულყოფისა. ილიას დაწყებული საქმე გაგრძელდა მე-20 საუკუნეში. დიდი რყევა შეეხო ენასაც, კიდევ ერთხელ გახდა საჭირო მეცნიერთა და მთელი საზოგადოების ერთობლივი მოღვაწეობა ენის გადარჩენისათვის. მიუხედავად ინტენსიური მუშაობისა, ტერმინოლოგიური ლექსიკის უკმარობა აშკარა იყო, განსაკუთრებით ტექნიკის დარგში. 1921 წელს შექმნილმა სამეცნიერო საბჭომ (თავმჯ. ივ. ჯავახიშვილი) ძირითად საქმიანობად ტერმინოლოგიური მუშაობა დაისახა. იქმნებოდა ახალი ტერმინები. ტერმინოლოგიის სრულყოფა ხდებოდა არამარტო ქართული სალიტერატურო ენის ბაზაზე, არამედ მის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა დიალექტური ლექსიკა[1].

დიალექტური ლექსიკა ტერმინოლოგიის მრავალ დარგში შევიდა, მაგრამ ბუნებრივია, უნდა გამოვყოთ ისეთი დარგები და ქვედარგები, რომლებიც ძირითადად სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული. ტერმინოლოგიურ სისტემაში ტერმინთა მიგრაცია ხშირია. დიალექტებიდანაა შემოსული: *ლილვი, ბაზო, ბუჯერი, ტაბუცი, თოში, ფუჩვა, ღარკავი...* დღესაც, როცა საოცარი სისწრაფით, განუკითხავად შემოდის უცხო სიტყვები, მათი ეკვივალენტების წყაროდ უმჯობესია დიალექტური ლექსიკის გამოყენება. სწორედ ამ თვალსაზრისით წარვმართავთ ჩვენს მუშაობას. უცხო სიტყვების უხვად დამკვიდრება ტერმინოლოგიაში გაუმართლებელი გზაა. სწორედ ამ დროს უნდა გავააქტიუროთ დიალექტური ლექსიკა, რომელიც საკმაოდ მდიდარ ფონდს წარმოადგენს. ამგვარი მუშაობა განყოფილებისათვის უცხო არ იყო. ვუკოლ ბერიძემ ჯერ კიდევ 1912 წელს პეტერბურგში გამოსცა „სიტყვის-კონა იმერულ-რაჭულ თქმათა“, ნ. მარის რედაქტორობით. ეს არის პირველი ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონი, რომელიც ასახავს ქართული ენის ორი დიალექტის (რაჭულისა და იმერულის) ლექსიკურ თავისებურებებს. ამ ლექსიკონში თავმოყრილია ნაგებობის ცალკეული ნაწილების, საყოფაცხოვრებო, სამიწათმოქმედო და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანათა, მრავალნაირ დაავადებათა და მათთან დაკავშირებული შელოცვების, ყოფითი სინამდვილის მრავალფეროვანი მასალის ამსახველი დი-

[1] დიალექტური მასალის ტერმინთშემოქმედებაში გამოყენების შესახებ იხ. ამავე კრებულში: ლია ქაროსანიძე, „სიტყვარი - პირველი ქართული ტექნიკური ლექსიკონი – 100 წლისაა; სოფიკო ჭაავა, ტერმინოლოგიის შემუშავების პრინციპები და მათი დაკანონების პროცედურა 1918-1923 წლებში (საარქივო მასალების მიხედვით).

ალექტური ტერმინები (ბერიძე 1912).

დიდი იყო პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის წვლილი ქართული ენის მეცნიერული კვლევის საქმეში. უპირველეს ყოვლისა, ქართველი მეცნიერები ზრუნავდნენ ჩვენი ენის სიტყვობრივი საგანძურის გამოვლენისა და გამომზეურებისათვის. სრულიად შეუსწავლელი იყო ქართული ცოცხალი მეტყველება, დიალექტური ლექსიკა. სწორედ ვუკოლ ბერიძე იყო ის ქართველი მეცნიერი, რომელმაც პირველად დაიწყო დიალექტოლოგიური მოღვაწეობა.

დიალექტებზე მუშაობა შემდგომაც გრძელდებოდა ტერმინოლოგიის განყოფილებაში. რ. ღამბაშიძის მიერ დამუშავებულია ინგილოური დიალექტი, თ. სალარიძე ამუშავებდა ქართლურ დიალექტს (ღამბაშიძე 1988; სალარიძე 1988).

საბედნიეროდ, საქართველოს კუთხეებმა გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული თავისებურება კარგად გამოხატა ტერმინოლოგიაში. დიალექტური ლექსიკა თემატურად მრავალფეროვანია, მრავალი დარგის ცნებების შესატყვისი შეიძლება მოიძიოს თავის მდიდარ და ამოუწურავ საბადოში. ეს დარგებია: სოფლის მეურნეობა, ბოტანიკა, სამედიცინო, სამშენებლო, საზღვაო და სხვა. ჩვენთვის, ტერმინოლოგებისათვის, განსაკუთრებით ფასეულია ცალკეულ დიალექტებში შესწავლილი და აღნუსხული დარგობრივი ლექსიკა და არა მხოლოდ დიალექტური ლექსიკონები. მაგ., ძალიან საინტერესოა ელენე ნიკოლაიშვილის სტატია, გურულ დიალექტში მესაქონლეობის ლექსიკის ამსახველი მასალა (ნიკოლაიშვილი 1989); გიორგი ცოცანიძის სტატია მეცხვარეობის ტერმინოლოგიაზე (ცოცანიძე 2018:197-211). სხვა მრავალი ჩვენი განყოფილების საზრუნავი დიალექტური ლექსიკის ტერმინოლოგიური კუთხით დამუშავებაა. ამ მიმართულებით უკვე რამდენიმე ლექსიკონი დამუშავდა, მათ შორის: გურული, რაჭული, იმერული, ქართლური, ვ. ბერიძის იმერულ–რაჭული და სხვ. დღეს უცხო სიტყვათა შემოდინების პროცესის შეჩერების ერთ-ერთი უმთავრესი გზა, ვფიქრობთ, დიალექტური ტერმინებია. საბედნიეროდ, თავდაცვის სამინისტროს დახმარებით შექმნილი პროგრამა საშუალებას გვაძლევს, ჩვენი მუშაობა ამ თვალსაზრისით წარვმართოთ (ქართული ტერმინთსაცავი 2018: 190-198).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მრავალი *ტერმინდიალექტი* შესულია სხვადასხვა ტერმინოლოგიაში. მაგ., ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ქართლურიდან შესულია *მალი* და *მანა. მალი* ქართლურ დიალექტში აღნიშნავს: „ნაწილი, მონაკვეთი ნაგებობისა სვეტებს, ბოძებს

შორის“. ტექნიკურ ტერმინოლოგიაში *მალს* შეესატყვისება пролет. მაგ., *საღუმელე მალი. მანა* ქართლურ დიალექტში აღნიშნავს მსხვილ წნულს, რომლითაც კეთდება გოდრის, ლასტის ჩონჩხი. *მანას* სინონიმი ტექნიკურში *ჩხირია* (ტექნიკური 1977).

იმერულიდან სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში შესულია: *ახო* – საყანედ გაკაფული ტყე, გვხვდება ეს ტერმინი გეოგრაფიის ტერმინოლოგიაშიც. *ბრელო* – მარცვლეულის გარსის ნაფცქვენი, *აყალო* – იგივეა, რაც თიხა (იმერული), შესულია სოფლის მეურნეობაში. *ანჩხლი – მცენარე* – შესულია ბოტანიკის ლექსიკონში (მაყაშვილი 1961).

ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებაში იქმნება ქართული *ტერმინთსაცავი, ტერმინთბანკი,* შესაბამისად, დიალექტური მასალის ასახვის პრინციპებზეც დავიწყეთ მუშაობა. ჩვენი უმთავრესი მიზანია შევქმნათ ისეთი ბაზა, რომელიც ჩვენც და მომავალ თაობებსაც სრულ წარმოდგენას შეუქმნის ქართული ენის შესაძლებლობებზე და, რაც მთავარია, ადვილი იქნება ამა თუ იმ ტერმინის მოძიება. მაგალითად, გვაინტერესებს სახლის თემა და მასთან დაკავშირებული ლექსიკა დიალექტებში. შესაძლებელი იქნება *ტერმინთბანკში,* მოვძებნით ყველა სიტყვა ამ თემასთან დაკავშირებით: *ფიტონი, ქორეთი, წინაცალი, თავსახლი* და ასე შემდეგ, სიტყვათა ბუდეში შესვლით კი გავიგებთ თითოეულის წარმომავლობასა თუ მნიშვნელობას. მაგალითად, *ფიტონი* – დასტურდება რაჭულ დიალექტში, აღნიშნავს თაროს, რაფას, ბუხრის თაროს. ან კიდევ: *თავსახლი* – რაჭულია და სახლის ერთ-ერთ სახეს აღნიშნავს. *ჯარგვალა* გურულში მრგვალი ხეებისგან გაკეთებულ სახლს აღნიშნავს (რაჭული 1987).

ტერმინთბანკში არსებული ტერმინოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ დიალექტებში დადასტურებული სიტყვები სხვა მასალას, მაგალითად, ამ მასალის შესწავლა-გაანალიზებისას ჩანს, რომ გურულში არსებული ტერმინი *აფრა,* რომელიც ფიცრული სახლის ამოღარული ხის ფიცარს აღნიშნავს, არქიტექტურულ ლექსიკონშიც დასტურდება. არქიტექტურაში *აფრას* ორი მნიშვნელობა აქვს, აქედან მეორე გურულში დადასტურებული მნიშვნელობის მსგავსია: „ერთი ან ორმხრიდან გრძლივად ამოღარული სქელი ფიცარი“ (გურული 2006).

ასევე შეგვიძლია მოვიძიოთ, მაგალითად სამოსი: *კაფთარა, გამბულა, ბაგვი, ლაბარდა, მანინო, საგული, კერესი, ჩაქურა* სამოსის კვა-

ლიფიკაციით იძებნება, თუმცა, მაგალითად, *ბაგვი* ფეხსაცმელია, მას ფეხსაცმლითაც ვიპოვით.

ჩვენ მიერ დამუშავებულ დიალექტურ მასალაში უხვადაა საინტერესო პოტენციური ტერმინები სხვადასხვა დარგისათვის, განსაკუთრებით: სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტექნიკის, არქიტექტურისა.

შესატყვისები ყოველთვის რთული მოსაძებნი იყო, ამიტომაც მოითხოვდა ის საგანგებო კვლევას, მუშავდებოდა სადისერტაციო თემებად ძველი ქართული თუ დიალექტური მასალები. თანამედროვე ტექნოლოგიები კი საშუალებას გვაძლევს მასალა ისე დავამუშაოთ, რომ ადვილი მოსაძებნი გახდეს, ჩვენ მიერ მოძიებული *ტერმინდიალექტები* განთავსდება *ტერმინთბანკში* დიალექტების მიხედვით (ქართლური, კახური, იმერული, რაჭული, აჭარული, ინგილოური...). მასალის მოძიება შესაძლებელი იქნება დარგებად და ქვედარგებად (სოფლის მეურნეობის, სატყეო, ნიადაგმცოდნეობა, გეოგრაფია... მესაქონლეობა, მემცენარეობა, მეხილეობა..., იარაღები, შენობა-ნაგებობები, საკვები...).

მაგალითად, თუ გვაინტერესებს დერეფნის სხვადასხვა სახეობის სახელწოდებები არსებობს თუ არა დიალექტებში, განმარტებაში ავკრეფთ დერეფანს და ვნახავთ, რომ ქართლურში განასხვავებდნენ ყურიან, ანუ სახლის წინ წამოწეულსა და უყურო დერეფანს.

დღეს, ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ ქართლურში *თაროს* შესატყვისად *სოლი* დასტურდება: „გამოსაწვავ ქურას ჰქონდა საგანგებო თიხის სოლები, რომლებზედაც ჯამები იდგმებოდა“ (გურული 2006).

დიალექტურ მასალაზე მუშაობისას საგანგებოდ ვინიშნავთ ამა თუ იმ სიტყვის თანამედროვე ქართულ მნიშვნელობას. აღვადგენთ თუ არა ამ სიტყვას, ეს სათუოა, მაგრამ ჩვენ გვეცოდინება, რა გამოიყენება ხალხურ მეტყველებაში ჩვენთვის საინტერესო ცნების აღსანიშნავად. მაგალითად, ფოტოგრაფს ქართლურში *მესურათე* ჰქვია. ეს ტერმინი დადასტურდა შატბერაშვილის ლექსიკონშიც; *მოსადილე* – „მუშისთვის სადილის მიმტანი“ (შატბერაშვილი 1975) შეიძლება შეენაცვლოს მიმტანს, ოფიციანტს; *მებოლოე – მებოლოვე* – ნიშნავს დამხმარე მეტივეს – შეიძლება გამოვიყენოთ დამხმარე მუშის ნაცვლად. *ანაგული, ანაგულა* – აღნიშნავს გულს, შიგნითა ნაწილს, იგი შეიძლება გამოვიყენოთ კულინარიაში შიგთავსის ნაცვლად (починка). *საშუქი* – ბანიდან შუქის ჩასასვლელი შეიძლება ჩაენაცვლოს *ლუკს. საწვეთელა* – კვალი სახლის ირგვლივ სახურავიდან წვიმის წყლის ჩასადენად

(ვუკოლ ბერიძე) შეიძლება მიესადაგოს желоб-ს, *ბამბულა* – დიდბეწვიანი, ბანჯგვლიანი კი დუტის ნაცვლად შეიძლება დამკვიდრდეს (რაჭული 1987).

ხშირად ადვილად მოძიების მიზნით დიალექტური მასალა უკავშირდება ტექნიკურ ტერმინოლოგიასაც. მაგალითად, ტექნიკურის *მანსარდას* თუ ავკრეფთ, იქვე ვნახავთ მის ქართლურ შესატყვისსაც, სამტრედეს.

ძიება მნიშვნელობების მიხედვით აადვილებს საჭირო სიტყვის მოძიებას, მაგალითად, თუ საჭირო გახდა ჯოხით აღსანიშნავი განსხვავებული სიტყვის შერჩევა, ავკრეფთ განმარტებაში ჯოხს. ჯერჯერობით მხოლოდ ორი სიტყვაა: რაჭული *რიკი* და გურული *ლაღა.* შესაძლოა, რომელიმე მათგანის გამოყენების საკითხი დადგეს კიდეც.

ასევე შესაძლოა ჩავინიშნოთ ტერმინოლოგიისათვის საინტერესო ზედსართავებიც. მაგალითად, თუ დაგვჭირდა სუსტი, მკრთალი ან ბაცი მნიშვნელობების აღმნიშვნელი სიტყვების დაძებნა. მაგალითად, გურულ *გალას* სწორედ ეს მნიშვნელობები აქვს.

საძიებო სისტემა ერთმანეთთან აკავშირებს დიალექტურ ლექსიკასა და ერთიან ტერმინოლოგიურ ბაზას.

დიალექტური მასალა მუშავდება ისევე, როგორც სხვა, დარგობრივი თუ ძველი ქართულის მასალა, ესე იგი, გამოიყოფა მაწარმოებლები, აგებულება, სინონიმები, ისტორია, წარმომავლობა და სხვ. მაგალითად, ალექსანდრე ღლონტის მოგონება შესაძლოა, ბევრი ჩვენგანისთვის ცნობილი არ არის, კერძოდ, სიტყვა *სარეველას* ისტორია. *სარეველი* ნიკო კეცხოველს გამოუყენებია თავდაპირველად. ეს სიტყვა ქართლური დიალექტის კუთვნილებაა. ივ. ჯავახიშვილს ძალიან მოსწონებია და შემდგომ გამოუყენებია კიდეც თავის ნაშრომებშიც ნათესში გამორეული ველური მცენარის – *ცუდბალახას,* მნიშვნელობით. შემდეგ *სარეველი* სამწერლობო ენაშიც გავრცელდა, ოღონდ *სარეველას* ფორმით (ღლონტი 1983).

ასევე მნიშვნელოვანია წარმომავლობაც. ცხადია, ამის გარეშე სიტყვის აღდგენის, მისი გაცოცხლების საკითხი არ დადგება. ასე რომ, ქართული *ტერმინთბანკი* განსხვავებული და უაღრესად საინტერესო კვლევების შესაძლებლობას გვაძლევს.

ლიტერატურა

ბერიძე 1912 – ვუკოლ ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბურგი.

გურული 2006 – გრიგოლ იმნაიშვილი, გურული დიალექტი, თბილისი, იხ. https://www.ice.ge/liv/liv/guru.php.

დათეშიძე, მუზაშვილი, ოსაძე 2018 – ნინო დათეშიძე, ნათელა მუზაშვილი, მარინე ოსაძე, დიალექტური მასალა - ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის წყარო, ტერმინოლოგიის საკითხები, III, თბილისი, იხ. http://termbank.ge/wp-content/uploads/2018/11/ krebuli III.pdf.

მაყაშვილი 1961 – ალექსანდრე მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

ნიკოლაიშვილი 1989 – ელენე ნიკოლაიშვილი, მესაქონლეობასთან დაკავშირებული ლექსიკა გურულში, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

რაჭული 1987 – რაჭული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენელი ალექსანდრე კობახიძე, თბილისი, იხ. https://www.ice.ge/liv/liv/ guru.php.

სალარიძე 1988 – თამარ სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბილისი.

ტექნიკური ტერმინოლოგია 1977 - ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული), თბილისი.

ქართლური დიალექტის ლექსიკონი 1981 – ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თამარ ბეროზაშვილი, მერი მესხიშვილი, ლამარა ნოზაძე, თბილისი.

ქართული ტერმინთსაცავი 2018 – ლია ქაროსანიძე, ირაკლი უჯმაჯურიძე, ემზარ ჯგერენაია, ქართული ტერმინთსაცავი (ელექტრონული რესურსები ტერმინოლოგიური კორპუსისათვის), ტერმინოლოგიის საკითხები, III, თბილისი, http://termbank.ge/wp-content/uploads/ 2018/11/krebuli III.pdf.

ღამბაშიძე 1988 – როგნედა ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური ლექსიკონი, თბილისი.

ღლონტი 1983 – ალექსანდრე ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბილისი.

შატბერაშვილი 1975 - გიორგი შატბერაშვილი, თვალადური ქართულის ჭაშნიკი, თხზულებანი: 4 ტომად, თბილისი, იხ. http://www. nplg.gov.ge

ცოცანიძე 2018 – გიორგი ცოცანიძე, მეცხვარეობის ტერმინოლოგია, ტერმინოლოგიის საკითხები, III, თბილისი, იხ. http://termbank.ge/2018/11/krebuli III.pdf.

Natela Muzashvili
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
natelamuza@yahoo.com

Marine Osadze
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
marineosadze@mail.ru

Keywords: Terminology, Dialectal Terminology, Georgian TermBank.

Preparation of Dialectal Terms for the Georgian TermBank

Summary

Dialectal vocabulary is the basis of a terminological system. Terminological work implies making maximal use of linguistic devices, i.e. devices for word production or composition existing in the native language, as the main means for creating a term. The function of affixes in derivational bases (i.e., term-creation devices) is great, and their functions diverge from the meanings in literary language. This means that the affixes become terminological elements and create separate semantic groups.

Beside these linguistic devices, it is widely noted that there is great potential for using dialectal vocabulary in the process of creating terms. This is especially necessary when a term must be brought from one language into another. In this case, it is natural to refer to dialectal vocabulary in order to avoid deriving artificial terms.

Terminologists have always appreciated dialectal vocabulary, and so we have a plethora of dialectal terms spread over the different scientific fields.

These days, it is precisely dialectical vocabulary which must be used to confront the process of the rapid spread of foreign words (alongside other linguistic devices, of course).

The Department of Scientific Terminology along with the Ministry of Defense of Georgia has started a program for creating

Georgian terms that will unify all the terminological resources. There is no doubt that this dialectal system of terms will be one of the main objectives for the terminological study.

Our TermBank will contain terms from the dialectical vocabulary in the Georgian language. These materials will be placed according to dialect as fields and sub-fields. For instance, according to the dialects Kartlian, Imeretian, Gurian, Rachvelian, etc.; according to the following fields: agricultural, construction, technical, medical, etc.; and according to the sub-fields stock-raising, vine-growing, fruit-growing, stockbreeding, etc. Thematic groups will also be separated: small livestock, large cattle breeds, kitchenware, furniture, buildings, etc..

This searching device will make it possible to search for a term according to all dialects, therefore we will be able to observe their semantical meanings.

სალომე ომიაძე
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
salomiadze@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ლექსემა, პური/პუროობა, პურის ჭამა, დიდპუროობა, ქართული სუფრა.

ლექსემა *პურის* სინტაგმატურ-დერივაციული ველი

ლექსემა *პური* ქართულ დისკურსში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. იგი თანამედროვე ქართულში ხორბლეულის ფქვილისაგან გამომცხვარი ყოველდღიური საკვების აღმნიშვნელია, ამდენად, გამოყენების სიხშირით პირველობა სწორედ მის ამ მნიშვნელობას ეკუთვნის, თუმცა იგივე *პური* სახელია ხორბლისა ანუ იმ ერთწლოვანი მცენარისა, რომლის დაფქული მარცვლისგანაც აცხობენ ზემოთ ნახსენებ ქართველთა კვებითი რაციონის ერთ-ერთ ძირითად პროდუქტს. აღსანიშნავია, რომ განსახილველი ლექსემა, რომელიც პირველივე ქართულ ლიტერატურულ ძეგლში დასტურდება, ზოგიერთ მეცნიერს ნასესხობად მიაჩნია (ძირითადად ბერძნულიდან მომდინარედ), სხვა რიგის მეცნიერები კი მის ქართულობას ქართველურ ენათა მონაცემებით ასაბუთებენ.

„პუროობის სცენად“ (/„პუროობის ეპიზოდად“) სახელდებული მონაკვეთი „შუშანიკის წამების“ ტექსტის სწორედ ის ნაწილია, რომელშიც თავს იყრის ჩვენთვის საინტერესო მასალა:

„და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თჳსთა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად *პური ვჭამოთ*, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩვენ თანა შემოსლვად“. და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად *პურისა ჭამაჲ*, რაჲთამცა მოიყვანეს წმიდაჲ შუშანიკცა. და ვითარცა მოიწია *ჟამი პურისაჲ*, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაჲთამცა მასცა *აჭამეს პური*, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს. და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად. ხოლო გემოჲ არა რაჲსაჲ იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღჳნოჲ ჭიქითა და აიძულებდა მას, რაჲთამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხ-

ვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად *ეჭამა პური*?!“[1].

არც მოხმობილ მონაკვეთში და არც ტექსტის დანარჩენ ნაწილში ლექსემა *პუროჲა* არ გვხვდება, ის უფრო გვიან არის გაჩენილი, „შუშანიკის წამებაში“ იმავე ძირის შემცველ ერთეულთაგან გამოყენებულია *პურის-ჭამა* და *პური* („ჟამი *პურისაჲ*“). *პუროჲა* არ დასტურდება არც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ხოლო იმ დროისათვის *პურის-ჭამისა* და *პურის* ფორმობრივ-სემანტიკურ უცვალებლობას 76-ე თავიდან ამონარიდი შემდეგი წინადადება ცხადყოფს: „... და რამეთუ იყო *ჟამი პურის-ჭამისაჲ, პურად* ხოლო დასხდეს“.

საკვებ მცენარეებზე მსჯელობისას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „იმის გასათვალისწინებლად, თუ რომელი მარცვლეული ჰქონდა ჩვენ ერს თავის უმთავრეს საზრდოდ მიჩნეული, შესაძლებელია ჭამისა და პურის აღსანიშნავად განკუთვნილი ტერმინების ანალიზიც იყოს გამოყენებული. ყოველ ქართველს ეხლაც კარგად მოეხსენება, რომ ჭამა ჩვენ ხალხს პურის ჭამად აქვს მიჩნეული. უკვე იაკობ ხუცესსვე ამ ცნების გამოსახატავ ტერმინად *„პურის-ჭამაჲ“* და *„ჟამი პურისაჲ“* აქვს ნახმარი“ (ჯავახიშვილი 1996:437).

დამოწმებული ტექსტების მიხედვით, ცხადია, რომ მიმართება ამგვარია: პურის-ჭამაჲ = ჭამა, ჟამი პურისაჲ = ჟამი პურის ჭამისაჲ, აქედან: პურის ჭამაჲ = პური = ჭამა.

ორკომპონენტიანი ლექსემა *პურის ჭამა* ხშირად გვხვდება ქართველ კლასიკოსთა ტექსტებში, სალიტერატურო ენაში ბოლო დრომდე მის გავრცელებულობას მოწმობს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ძველი რედაქცია (ქეგლი 1950-1964), რომელშიც აღნიშნული შესიტყვება სალექსიკონო ერთეულების განმარტებისას არაერთხელ არის გამოყენებული: „დაპურება – 1. საჭმლის მიცემა, საჭმლით დაკმაყოფილება, *პურის ჭმევა, პურის ჭამა*“; „მოშივდება – შიმშილს იგრძნობს, *პურის ჭამა* მოუნდება“; „საუზმე – 1. დილით, უზმოზე, პირველი ჯერის *პურის ჭამა*... 2. საერთოდ, მცირედ *პურის ჭამა*, დანაყრება სადილამდე ან ვახშამდე“; „*ვახშამი* – 1. უკანასკნელი ჯერის *პურის ჭამა* საღამო ჟამს“; „*ქელეხი* – ეთნ. მიცვალებულის მოსახსენებ-

[1] ძველი და საშუალი ქართულის მაგალითების დასამოწმებლად ძირითადად გამოყენებულია ქეეკ (ქართული ენის ეროვნული კორპუსი) – http://gnc.gov.ge/gnc/page და ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ახალი ქართულისათვის კი – ქეგლის საილუსტრაციო მასალა.

ლად გამართული *პურის ჭამა...*“ და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ, იმავე ლექსიკონის მიხედვით, *პურის ჭამასა* და *ჭამას* შორის იგივეობრივი მიმართებაა, რასაც ასევე მოწმობს ცნობილი ანდაზის ვარიანტები: „ერთი კაცი *პურის ჭამაშიც* ბრალიაო“ – „მარტო კაცი *ჭამაშიაც* ბრალიაო“, *პურის ჭამას* თანამედროვე ენის მატარებელთათვის დიალექტური (და არა არქაული) ელფერი აქვს ისევე, როგორც *პური შიას* (წყვილიდან „პური შია – შია“), რაც შედარებით ახალი მოვლენაა.

ძველ ტექსტებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ „პურის ჭამასა“ და „პურს“ შორის ოდნავი სხვაობა მაინც არის – *„პურის-ჭამა“ „ჭამასთან“, „სადილობასთან“* მონაცვლეობს (მაგალითად, ერთ კონტექსტში: „... და დადგა ტაბლაჲ და დააგო სამი პაქსიმადი და დადგა დუმილით. და მე ვარქუ: მოვედით და *პური ვჭამოთ.* და მოვიდეს და *ვჭამეთ*“, – „მამისა მაკარისთჳს მეგჳპტელისა“; სხვადასხვა ხელნაწერში: „უკჳრდა, რამეთუ პირველად არა დაიბანა ვიდრე *პურისა ჭამამდე*“ DE, – „უკჳრდა, რამეთუ პირველად არა იბანა ვიდრე *სადილობამდე*“ C, – „სახარებაჲ ლუკაჲსი“, 11, 38), *„პურს“* კი *„ტაძრობა“* და *„სმა“* ანუ *წვეულება* მეტად ენაცვლება („უყუარს ზემოჯდომაჲ *პურსა ზედა*“ DE, – „უყუარნ მჴნის-თაობაჲ *ტაძრობასა*“ C, – „სახარებაჲ მათჱსი“, 23, 6; „მოვიდეს ორნი *პურსა* მას, რომელი მზა უყო ესთერ“ – O, „მოვიდეს ორნივე *სმასა* მას, ვითარცა იგი თქუა ესთერ“ M, – „წიგნი ესთერისი“, 5, 5), ამასვე მოწმობს *პურის*, როგორც *წვეულების*, მსაზღვრელად *დიდის* ხმარება (შდრ. ქეგლში დადასტურებული *დიდპუროба* – ძვ. რაიმე მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებული დიდი ნადიმი): „დაუმზადა ლევი *პური დიდი* იესუს სახლსა შინა მისსა. და იყო კრებული მეზუერეთაჲ, რომელნი იყვნეს მათ თანა, ინაჴით-მსხდომარენი“ („სახარებაჲ ლუკაჲსი“, 5, 29). აღნიშნული დებულება ერთეულთა გამოყენების სიხშირულ სურათს ეფუძნება, რაც არ გამორიცხავს „პურის ჭამის“ წვეულების მნიშვნელობით გამოყენებასა და პირიქით – „პურით“ რიგითი სადილობის სახელდებას.

პურის-ჭამა ძველი ქართული ენის ლექსიკონებში (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001) *სადილობად* არის განმარტებული. „შუშანიკის წამების“ ტექსტიდან ირკვევა, რომ ეს დაგეგმილი „პურის ჭამა“ ვახშამი უფროა, რადგან: „და რაჟამს *შემწუხრდა*, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად *პურისა ჭამაჲ*“. ამასვე ადასტურებს ვრცელი სომხური რედაქციის აბულაძისეულ თარგმანში საღამოს „პურის ჭამის“ *სერად* მოხსენიება: „... მოუწოდონ *სერსა* დედოფალსა მას ...“; „... და არცა გემოჲ იხილა და არცა სუა საეშმაკოჲსა მის *სერისა*-

გან...“; „... და ვითარცა დაესრულა *სერი* იგი...“ (მარტვილობაჲ შუშანიკისი 1978:19). *სერი* დროითი ნიშნით სახელდებული პურის ჭამაა შემდეგი სალექსიკონო მონაცემებით: „პური“, ვახშამი (აბულაძე 1973:387); ვახშამი; საღამო (სარჯველაძე 2001:195); „ესე არს მიმწუხრი საზრდელის მიღება“ (ორბელიანი 1928:311), ნიკო ჩუბინაშვილთან კი ასეთი ერთეულია *სერობა* – „ტრაპეზი მწუხრის სანოვაგისა“, ხოლო *სერი* განმარტებულია, როგორც „სადილი ან ვახშამი *თჳსად, ან გამომჩვენებით სტუმართა თანა*“ (ჩუბინაშვილი 1961:361). ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები ესადაგება როგორც *პურის-ჭამას*, ასევე *პურს*.

ქართველთა სტუმართმოყვარეობის ენობრივ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ წვეულების აღმნიშვნელთა სიმრავლე ანუ *პურის* სინონიმური რიგის სიგრძე. უკვე ითქვა, რომ ამ ჯგუფის ზოგი ერთეული გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად თუ ოჯახურად საკვების მიღების, ასევე სტუმართა გამასპინძლების აღსანიშნავად (მაგალითად: სერი, სადილი, ვახშამი), თუმცა უმრავლესობა სახელდობრ სტუმრების პურის საჭმელად მიწვევას გულისხმობს (ტაძრობა, ხადილობა, სტუმრობა, წვეულება, დარბაზობა, სუფრა, ლხინი, ნადიმი, ქეიფი ...). დასახელებული მრავალრიცხოვანი ჯგუფიდან *პური* ავირჩიეთ, როგორც უძველესი ლექსემა და, ასევე, როგორც ახალ მნიშვნელობათა წარმომქმნელი.

„ვეფხისტყაოსანში“ *პურის ჭამისა* და *პურის* გვერდით უკვე ჩნდება *პურობა*: „ხეთა ძირსა მივიძინე, მათ მონათა *ჭამეს პური*“; „რა შემატყვეს, გაიყარა, სხდომილ იყო რაცა *პურად*“; *პურობა* და მისი პირიანი ფორმები იმგვარ კონტექსტებში გვხვდება, რომლებიც ამ ლექსემის სემანტიკასაც ცხადყოფს და სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებსაც გვიდასტურებს: „დღე ერთ გარდახდა. *პურობა*, სმა-ჭამა იყო, ხილობა, / ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა“; „შეიქმნა სმა და *პურობა*, მსგავსი მათისა ძალისა; / სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა!“; „მეფე დაჭმუნდა, დაშალა სმა, ნადიმობა, *პურობა*“; „დასხდეს, შეიქმნა *პურობა*, გაამრავლებდეს მახალსა, / უმასპინძლებდნენ ავთანდილს, ვითა მზახალი მზახალსა“; „სმა, *პურობა*, გახარება ქმნეს, ჯალაბი გაადიდეს; / ვითარიცა ქორწილობა ხამს, ეგეთსა გარდიხდიდეს“; „ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნავროზობასა / არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა; / ყოველნი სწორად დავიწყებთ კაზმასა, ლამაზობასა, / დიდსა შეიქმნა მეფენი *პურობა*-დარბაზობასა“; „ხვალისა მეფე არაბთა კვლა *პურობს*, არ

ღაფალია“; „მინდორსა შიგან სადილად გარდახდეს უდილადოსა, / ვითა ჰმართებდეს, *პუროზდეს*, ღვინოსა სმიდეს, არ დოსა“.

უნდა გამოვყოთ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი კონტექსტი, რომელშიც „პურის“ სინტაგმატურ ველში „კაზმვა“ დასტურდება: „ფატმანს *პური შეეკაზმა* ავთანდილის საწვეველად“. კომენტარების მიხედვით, ტაეპის აზრია: ფატმანს *სუფრა გაეშალა* ავთანდილის მისაწვევად (ავთანდილისათვის), სუფრის გაშლა იგივე *პურისთვის*, *პუროზისათვის* მზადებაა. ლექსიკის სისტემურობის კვლევისას სიტყვათა შეხამებადობის გამოვლენა-შესწავლის მნიშვნელობაზე საგანგებოდ მსჯელობს ბ. ფოჩხუა „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის“ შესავალში: „ლექსიკაში სისტემებრივი მოვლენების კვლევისას ანგარიშგასაწევია სიტყვათა შეხამებადობაც, ლექსიკური სინტაგმატიკა. მაგრამ საამისოდ დასახვეწია ის მეთოდები, რომლითაც სიტყვათა შეხამებადობის აღწერა უნდა მოხდეს, ეს კი დიდად არის დამოკიდებული ე. წ. არაიდიომატური ფრაზეოლოგიის მომავალ წარმატებებზე“ (ფოჩხუა 1987:22). უკანასკნელ მაგალითად დამოწმებული სიტყვათშეხამება ნათელს ხდის *პურისმკაზმველის* მნიშვნელობას, რომელიც „ლხინის მომწყობად“ არის განმარტებული „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ (სარჯველაძე 2001:174).

წვეულების გამართვის, სადილობისათვის სუფრის გაშლის მნიშვნელობით *პურის* სინტაგმატური ველის ერთეულთაგან ძველ ტექსტებში, გარდა *კაზმვისა*, გვხვდება:

ყოფა: „ბალტასარ მეფემან *ყო პური* დიდი მთავართა მისთათჳს ათასთა კაცთა“ („წინასწარმეტყუელებაჲ დანიელისი“, 5, 1); „*პური ყო* ჰეროდე მეფემან შობისა სიხარულსა მას ჰეროდწსსა“ (იოანე ოქროპირი, იოვანეს თავისკუეთისათვის I).

მზა-ყოფა: „და ედნას, ცოლსა თჳსსა, ჰრქუა, რაჲთა *მზა-ყოს პური* დიდი“ („წიგნი ტობისი“, 8, 19). „და ოდეს სძესა განეყენა ყრმაჲ იგი, *პური მზა-უყვეს* მამა-დედათა მისთა მდაბურთა მის ადგილისათა“ („მამისა ზენონისთჳს, 7“ 10, 11).

დამზადება / განმზადება: „არქუთ ჩინებულთა მათ: აჰა, ესერა, *პური* ჩემი *დამიმზადებიეს*, ზუარაკები ჩემი და უსხები ჩემი დამიკლავს, და ყოველი მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას“ („სახარებაჲ მათწსი“, 22, 4); „და ცნა მოსლვაჲ მპარავთაჲ და დღისივე *დაჰმზადა* მათთჳს *პური*. ... არამედ მოვედით და ჭამეთ *პური*, რომელი *განგიმზადე* თქუენ“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, თ. 38).

ლხინში მიწვევის აღმნიშვნელთაგან უნდა დავიმოწმოთ:

პურად-ჩინება ლხინში მიწვევა (სარჯველაძე 2001:174).

პურის-რთვა სადილზე მიწვევა (სარჯველაძე 2001:174).

პურისმტე-ყოფა მიპატიჟება (სარჯველაძე 2001:174).

პურისმტეება სუფრასთან დასმა (სარჯველაძე 2001:174).

პურად დაჯდომა ჭამა-სმის დაწყება (სახოკია 1979:504).

აქვე *პურისა* თუ *პუროზის* მონაწილეთა აღმნიშვნელ იმ სახელებს ჩამოვთვლით, რომელთა სტრუქტურაშიც *პური* დასტურდება:

პურისა უფალი ‹‹მთავარი ტაძრისა››, მასპინძელი (აბულაძე 1973:343); *პურისუფალი* თამადა; ლხინის მომწესრიგებელი (სარჯველაძე 1995:169).

პურად მისრული სტუმარი (აბულაძე 1973:343).

პურის-მტე ერთად პურის მჭამელნი (ორბელიანი 1928:275); ‹‹მეოხნე››, ‹‹მწყობრი››; თანამესუფრე, ერთად პურის მჭამელი, წვეული (აბულაძე 1973:343); *პურისმტეჲ* თანამესუფრე (სარჯველაძე 2001:174), შდრ. *პურისმტეობაჲ* ჭამა, ქეიფი; *პურისმტე-ყოფაჲ* ერთად ჭამა (სარჯველაძე 2001:174). ილია აბულაძის ლექსიკონში *მეპურის-(მ)ტე* ფორმაც გვხვდება, ცხადია, იმავე მნიშვნელობით – პურის მოზიარე, ერთად პურის მჭამელი (აბულაძე 1973:232).

პურისრთული თანამეინახე (სარჯველაძე, 2001:174), შდრ. *პურის-რთვა* პურის ჭამა: „პურის-ირთო იგი“ (II მფ. 11, 13) (აბულაძე 1973:343).

ძველ ქართულში მასპინძლის მახასიათებელი ორწევრა ერთეულები საშუალსა და ახალ ქართულში კომპოზიტებად არის ქცეული, მათი მნიშვნელობები ხშირად გაფართოებულია და ზოგადად გულუხვობასა და სიძუნწეს გულისხმობს:

პურად ძვრი ძუნწი: „პურად ძვრსა უდრტჳნავნ ქალაქი“ O, ზირ. 34, 29 (აბულაძე 1973:343); *პურაძვრი* დიაღ (ავად B) ძუნწი (ორბელიანი 1928: 275). იგივე ერთეული ახალ ქართულში ორი ნაირსახეობით გვხვდება: *პურადძვირი* („თავის ოჯახში *პურადძვირი* მასპინძელი სხვისგან გულუხვობას თხოულობდა“ (ვაჟა-ფშაველა) და *პურაძვირი* („ყველა სიკეთესთან ერთად ის წყეული ისეთი ძუნწი და *პურაძვირი* რამ იყო“ (დ. შენგელაია). თვისების – სიძუნწის – აღმნიშვნელი ნაწარმოები სახელიც ორი ფონეტიკური ვარიანტით დასტურდება: *პურადძვიროზა* („ეხლა კი ამ მშრალს პურს *პურადძვიროზაში* ნუ ჩამოგვართმევთ, ამაღამ კი ისეთს ცხვრის მწვადებს გაჭმევთ, რომ ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს“, – ი. ჭავჭავაძე) და *პურაძვიროზა* (ტრადიციებს მხოლოდ მაშინ ღალატობენ, როცა ეს აუცილებელია. *პურაძვიროზის*

ტრადიციასაც“, – გ. ბათიაშვილი, თარგმ.). სიძუნწის აღმნიშვნელია *პურშავიც*, რომელსაც თ. სახოკია შემდეგნაირად განმარტავს: „პურაძვირი, უპურმარილო, სხვისათვის პური რომ არ ემეტება“ (სახოკია 1979:508).

პურად უხჳ ხელგაშლილი: „პურად უხჳ აკურთხონ ბაგეთა“ O, ზირ. 34, 28 (აბულაძე 1973:343); ამ ორწევრა ერთეულით განმარტავს სულხან-საბა სწორედ იმ ლექსემას, რომელმაც აღნიშნული სინტაგმა ჩაანაცვლა და თვითონ იქცა კვლავწარმოების წყაროდ: *პურადი* პურად უხჳ (ორბელიანი 1928:275), აქედან – *პურადობა*: „*პურადობა* და გაცემა, მამაცობა სხვას ყველას სჯობს“ (არჩილი, „საქართველოს ზნეობანი“); პურადობა მამაცობასაც სჯობს გ. ლეონიძის შემდეგი სტრიქონების მიხედვით: „მამა გულქართლი კაცია, / სძულს *პურაძვირის* ქაჯობა, – / იცის, *პურადმა* გულად კაცს, სამი გაფრენით აჯობა!“. არჩილ მეფის ზემოთ დამოწმებულ ტექსტში გვხვდება პირიანი ფორმაც: „პურადი ხარ, შენ სხვასა სთხოვ, აბა რაღას *იპურადებ*?“. სულხან-საბას „ქართულ ლექსიკონში“ პირველი პირის ფორმა *ვპურადობ* განმარტებულია, როგორც *„პურადობასა ვიქ“* (ორბელიანი 1928:123). ნიკო ჩუბინაშვილს გამასპინძლების მნიშვნელობით ლექსიკონში შეტანილი აქვს *გაპურადება* – (გავპურადდები) გამასპინძლება, ანუ გაცემა საჩუქრისა გამხიარულებისგან, расщедриться (ჩუბინაშვილი 1961:170).

კომპოზიციური მოდელითა და კომპონენტთა რაგვაროვნობით მსგავსი ერთეულებია *პურღვინო* და *პურმარილი*, მათგან ერთი და იმავე ყალიბით იწარმოება დერივატები: *პურღვინიანი – პურმარილიანი* (ვინც პურღვინით / პურმარილით შეხვედრა იცის, სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი); *პურღვინობა / პურღვინოობა – პურმარილობა / პურმარილიანობა* (სტუმართმოყვარეობა, ხელგაშლილობა); *უპურღვინო – უპურმარილო* (პურაძვირი, ძუნწი); *მეპურღვინე – მეპურმარილე* ...; ისინი ხატოვან გამონათქვამებშიც მონაცვლეობენ: *„პურღვინოსათვის ფეხის დადგმა“ – „პურმარილზე ფეხის დადგმა“* – პატივისცემის უკუგდება, დავიწყება („განაწყენდა ი კაცი, პურ-ღვინოზე წიხლი ვუკარი, ეგონა“, – ო. იოსელიანი). სწორედ ამ ხატოვან გამონათქვამებს უახლოვდება შინაარსით კიდევ ერთი თხზული სახელი *პურმარილუწამებელი*. დასახელებულ ერთეულებში შენახულ კულტურულ ინფორმაციაზე მსჯელობს თ. სახოკია თავის ლექსიკონში: „პურ-ღვინო, როგორც პურ-მარილი, ქართული სუფრის მთავარი ელემენტებია. სუფრაზე მარტო პური და ღვინოც თუ არის, ასეთი

სუფრა ს ა ვ ს ე დ ითვლება. მაშასადამე, კაცის პატივსაცემად საკმარისია გქონდეს პური და ღვინო, რომ „სირცხვილი არ სჭამო“, მაგრამ ამავე დროს, სტუმარი, რომელსაც პურ-ღვინით გაუმასპინძლდნენ, მოვალეა თავისი მასპინძლის პატივისცემა დააფასოს, დაიხსომოს, პურისა და ღვინის გემოს მარად ტკბილად იგონებდეს. დიდ სააუგოდ ჩაეთვლება, თუ ეს ელემენტარული ვალი დაივიწყა, თუ თავისი მასპინძლის მიერ შეთავაზებულ პურსა და ღვინოს „ფეხი დაადგა“. ფ ე ხ ი ს დ ა დ გ მ ა კი გულისხმობს: არაფრად ჩაგდებას იმისას, რასაც ფეხი დაედგმის“ (სახოკია 1979:508).

კიდევ ერთ კონტექსტს დავიმოწმებთ, რომელიც, გარდა კონკრეტული ერთეულის მნიშვნელობისა, ნათელს ფენს იმ ენობრივ ფაქტს, თუ რატომ აქვს ამდენი აღსანიშნი პუროზას ქართულ დისკურსში: „ქართველთა შორის სტუმართმოყვარეობა და პურ-მარილობა მიწყივ დიდად პატივცემული ყოფილა. მასპინძლის მიერ სტუმრისათვის დახარჯული პურმარილი დიდად ფასდებოდა და ის სახლი, სადაც პატივს სცემდნენ სტუმარს, ამ უკანასკნელისათვის საკუთარ სახლად ითვლებოდა, ხოლო მასპინძელნი – მოკეთეებად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პურმარილობა კულტად იყო ქცეული და პურმარილის დაფასება ყველას წმინდა მოვალეობად მიაჩნდა. ხოლო ის კაცი, ვისაც პატივისცემა არა ჰქონდა პურმარილისა, ითვლებოდა პ უ რ მ ა რ ი ლ უ წ ა მ ე ბ ლ ა დ, ადამიანურ ღირსებას მოკლებულ არსებად“ (სახოკია 1979: 507).

ბოლო ხანს სულ უფრო იზრდება ინტერესი ქართული სუფრის, როგორც ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენლის, მიმართ. ამ ინტერესს მოწმობს როგორც სხვადასხვა ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო კვლევები, ასევე სამოქალაქო აქტიურობა – ინტერნეტსივრცეში გამართული თემატური ფორუმები (მაგალითად, წუხილი იმის გამო, რომ „ძირძველი ქართული სიტყვა პურღვინო ჩაანაცვლა პურმარილმა, რომელშიც უცხო კულტურის ანარეკლი იკითხება“). აღნიშნულს ემატება ისიც, რომ 2017 წელს ტრადიციული სუფრის / პუროზის კულტურას (ქართულ სუფრას) მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ყოველივე ზემოთქმული კი, თავის მხრივ, იმის საფუძველი უნდა გახდეს, რომ კონკრეტული ფენომენის ენობრივი ობიექტივაცია სრულყოფილად იქნეს შესწავლილი.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

მარტვილობაჲ შუშანიკისი 1978 – იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, ი. აბულაძის რედაქციით, თბილისი.

ორბელიანი 1928 – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი (იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით), ტფილისი.

სარჯველაძე 1995 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

სარჯველაძე 2001 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

სახოკია 1979 – თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი, თბილისი.

ფოჩხუა 1987 – ბიძინა ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, ნაკვეთი პირველი, თბილისი.

ქეგლი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1961 – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი (რუსული თარგმანითურთ), ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, რედ.: ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1996 – ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IV, თბილისი.

Salome Omiadze
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
salomiadze@yahoo.com

Keywords: Lexeme *P'uri (პური)/P'uroba (პუროба), p'uris ch'ama* (პურის ჭამა), Georgian feast.

The Syntagmatic-Derivative Field of the Lexeme *P'uri (პური)*

Symmary

P'uri (პური) is a polisemic word. In modern Georgian it denotes an everyday part of a meal baked out of wheat flour, and at the same time it is also the name of the wheat plant, i.e., the annual plant whose grains are baked to supply this necessary component of the daily Georgian rations. Some scientists consider the lexeme under discussion here (found in the very first literary piece in Georgian) to be derived from the Greek word *puros* but there are other scientists who do not agree with this opinion and think that it is of Georgian origin, basing their arguments on data from the Kartvelian languages.

We can see from the very first recognized literary piece in the Georgian language, "Shushanik'is Ts'ameba" („შუშანიკის წამება", "The Martyrdom of Shushanik," 5th century), that the word *p'uri (პური)* is one part of the two-component verbal syntagma *p'uris ch'ama (პურის ჭამა*, to have dinner or supper"). We also encounter the word phrase in the same text— *zhami p'urisay* (ჟამი პურისაჲ, "time for having meal") — and in this structure the word *p'uri (პური)* is equal to the word phrase *p'uris ch'ama* (პურის ჭამა) although in other old texts available, we can see a slight difference between these two units, namely, *p'uris ch'ama (პურის ჭამა)* can be interchanged with "have dinner or supper." And as for the word *p'uri (პური)* itself, it is more frequently used as the so-called *t'adzroba* (ტაძრობა) and *sma* (სმა) or *ts'veuleba (წვეულება)* - party. This can be confirmed by a passage where *p'uri* (პური) is used to mean a party, with the attribute *didi* (დიდი, large): "Levi prepared *p'uri didi* (პური დიდი, a large party) for him, Jesus, in his house and there

was also a gathering of some spies who were sitting there as table-companions" (The Gospel of Luke: 5-29, in Georgian, literal translation).

In the medieval Georgian poem *Vepkhist'q'aosani* („ვეფხისტყაოსანი", The Knight in the Panther's Skin," 12th century), along with the expression *p'uris ch'ama* (პურის ჭამა) and *p'uri* (პური) we encounter a new unit *p'uroba (პუროზა)* of the same root (meaning "having a party, hospitality.") As linguistic evidence of the Georgians' tradition of hospitality we should take note of the large number of definitions of units, i.e., the long row of words synonymous with *p'uri (პური,* "gathering, having a party, entertaining guests" and so on). Some units in the group are used to denote having a meal indivually or with the whole family, as well as receiving and entertaining guests, e.g., *seri (სერი)*, *sadili* (სადილი) and *vakhshami* (ვახშამი). But most such linguistic units mean something related to inviting guests and hosting them: *t'adzroba (ტაძრობა), khadiloba (ხადილობა), st'umroba (სტუმრობა), ts'veuleba (წვეულება), darbazoba (დარბაზობა), lkhini (ლხინი), nadimi (ნადიმი)* and *keifi (ქეიფი).* We have chosen the word *p'uri* (პური) from the group because it is the oldest lexeme and it is also a word which contributes to the derivation of new words. The syntagmatic field of the lexeme *p'uri* (პური) as "a party" is described in the article. And brought forward as evidence are passages with context that show the way for creating the derivatives from the lexeme *p'uri (პური)*.

ირაკლი სალია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
Irakli.salia@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ქართული ტერმინები, ტერმინი Hedge.

ტერმინ Hedge-ის ქართული შესატყვისი

ზღუდარი

ზღუდარები კვლევის ობიექტი პირველად 1966 წელს გახდა, როდესაც ურიელ ვაინრიხმა შეისწავლა მათი გამოყენება. თავად ტერმინი კი 1972 წელს შექმნა ჯორჯ ლაკოფმა. მისთვის ზღუდარები წარმოადგენდნენ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ცვლიდნენ ელეანორ როშის პროტოტიპის თეორიის საზღვრებს.

ზღუდარების განმარტება განსხვავდება ამა თუ იმ თეორიული მიდგომის მიხედვით (Hovy:4-5). კლასიკური განმარტებით:

> *„ზღუდარი* არის ნებისმიერი ენობრივი მექანიზმი, რომელსაც მეტყველი იყენებს ტყუილის, მიუღებელი შეთავაზების და ა.შ. დასაფარავად. აქედან გამომდინარე, იმის მაგივრად, რომ მთქმელმა თქვას: *ეს არგუმენტი დამაჯერებელია*, მან შეიძლება გამოიყენოს ზღუდარი და თქვას: *ჩემი აზრით, ეს არგუმენტი დამაჯერებელია*; ბრძანების მარტივად გაცემის მაგივრად – *სამზარეულოში შეიტანე!* მთქმელმა შეიძლება ზღუდარად გამოიყენოს კითხვითი ფორმა და თქვას: *შეგიძლია სამზარეულოში შეიტანო?*“
>
> [P. H. Matthews 1997]

> *„ზღუდარი* არის გამონათქვამი პასუხისმგებლობის, ვალდებულების შესამცირებლად, როგორებიცაა: *ვფიქრობ... მეჩვენება, რომ... მე მგონი... როგორც ვხვდები... ან მგონი...*“
>
> [R.L. Trask 2000]

არსებობს მოსაზრება, რომ ზღუდარს შეუძლია მტკიცების გაძლიერებაც (Hovy:3), ამიტომ გუდრუნ კლემენი სხვადასხვა მიდგომის მიხედვით ამ ტერმინის განმარტებების შეჯერების შედეგად გვთავაზობს უფრო განზოგადებულ განსაზღვრებას:

> „ზღუდარი არის ენობრივი საშუალებების (რომლებიც უნდა დაიყოს სტრატეგიებად და მექანიზმებად) გამოყენება მიმღებლობის გასაზრდელად და, ამავე დროს, უარყოფის, მიუღებლობის შესამცირებლად“ [Hovy:3}.

ზღუდარების გამოყენების არე არ არის შეზღუდული. ზღუდარები გვხვდება როგორც ყოველდღიურ მეტყველებაში, ისე სალიტერატურო ენაში, განსაკუთრებით, სამეცნიერო ლიტერატურაში. ინგლისური, რუსული, გერმანული და სხვ. სამეცნიერო ენებისთვის ბუნებრივია ზღუდარების გამოყენება. ეს სამეცნიერო ენის ერთგვარი ეტიკეტია. ზღუდარების საშუალებით სამეცნიერო ნაშრომის ავტორ(ებ)ის მიერ გამოთქმული აზრი ასუსტებს მტკიცების ხარისხს, შეცდომის, ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში ერთგვარად აზღვევს მას და, ზოგადად, მორიდების, მოკრძალების საზოგადოებრივ წესს შეესაბამება.

ქართულში ზღუდარად გამოყენებულ ენობრივ საშუალებებად მექანიზმებიდან სამეცნიერო ენაში ყველაზე ხშირად გვხვდება I პირის მრავლობითი რიცხვის ზმნური ფორმები. მიუხედავად იმისა, ნაშრომს ერთი ავტორი ჰყავს თუ რამდენიმე, ავტორისეული აზრი გამოიხატება I პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით. გავრცელებული მოსაზრებით, ამ ზღუდარის ფუნქციაა გამოთქმულ აზრზე პასუხისმგებლობის, მტკიცების ხარისხის, კატეგორიულობის შემცირება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ზღუდარები შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ ეტიკეტის გამო.

ჩვენ მიერ ზღუდარებზე ჩატარებულმა საცდელმა კვლევამ სამეცნიერო ენის დამატებითი ზღუდარები გამოავლინა. ჩვენ მიერ შესწავლილი ერთეულები საკვლევ მასალაში ყველა I პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით დადასტურდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზრის გამოთქმისას კატეგორიულობის, მტკიცების ხარისხის შემცირებას ემსახურება. ყველა საანალიზო ერთეული მართლაც აზრის გამოხატვას, მტკიცებას, მსჯელობას უკავშირდება:

თვლი-ს – მიაჩნია, ჰგონია.

გულისხმობს – 1. ვარაუდობს, ფიქრობს; ითვალისწინებს (რაიმეს ან ვინმეს). 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში იგულისხმება, ივარაუდება.

ვარაუდობ-ს – ვარაუდს ეწევა, წინასწარ, მიახლოვებით ანგარიშობს, ითვალისწინებს; წინასწარი აზრი, მოსაზრება აქვს რისამე შესახებ, მიახლოებით ფიქრობს.

ითვალისწინებ-ს – წინასწარ მხედველობაში იღებს, [გან]საზღვრავს, გულისხმობს.

შენიშნავ-ს – თვალს მოჰკრავს, დაინახავს; შეამჩნევს. || რისამე შესახებ თავის აზრს იტყვის, აღნიშნავს, მიუთითებს, მოიხსენიებს.

იშველიებ-ს – საშველად, დასახმარებლად იწვევს, იხმობს; სთხოვს, რომ შეეშველონ, – [და]იხმარებს. || [გამო]იყენებს, სარგებლობს (რამეთი).

შემოიფარგლავ-ს – გარშემო შემოავლებს, შემოარტყამს, შემოზღუდავს. || გადატ.განსაზღვრავს, შემოსაზღვრავს, შემოზღუდავს.

განსახილველი ფორმებიდან ყველა I პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით არის ტექსტში გამოყენებული, თუმცა გარკვეულ ნაწილს დამატებითი ზღუდარი აქვს: II კავშირებითის მწკრივის ფორმები ხშირად ქმნიან შესიტყვებას მოდალურ ელემენტებთან ბრძანების, ალბათობის, შესაძლებლობის და ა.შ. გამოსახატავად. ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევებში ისინი აწმყო დროს (არა ზოგად აწმყოს) გამოხატავენ და გამოიყენება, როგორც ზღუდარი. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში უნდა მოდალური ელემენტის კომბინაცია I პირის მრავლობითი რიცხვის II კავშირებითის მწკრივის ფორმასთან გვაძლევს რთულ ლექსიკურ-გრამატიკულ კომპლექსს, რომელსაც გარკვეული სოციალური ფუნქცია აქვს. ასეთი კომპლექსების მნიშვნელობა შესაძლოა მთელი წინადადების ტოლფასი იყოს:

> *უნდა შევნიშნოთ = ეს ფაქტი, მოვლენა არის აშკარა, თვალსაჩინო და ეს გარემოება მაიძულებს მე, ამ ტექსტის ავტორს, მკვლევარს, ვხედავდე, ვამჩნევდე, აღვიქვამდე ამ ფაქტს, მოვლენას.*

ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ავტორიდან თავად კვლევის ობიექტზე გადადის, ე. ი. ამ შემთხვევაშიც მტკიცების შერბილებასთან, პასუხისმგებლობის შემსუბუქებასთან გვაქვს საქმე.

ტერმინის ქართული შესატყვისი

ინგლისური ტერმინის Hedge, განმარტება ნაშრომის დასაწყისშია მოცემული. მისი ზოგადი მნიშვნელობები კი ასეთია:

> 1. ცოცხალი ღობე. 2. ღობე, ზღუდე. 3. დაბრკოლება, ბარიერი, ზღვარი. 4. დაცვა, თავდაცვა; დაცვის/თავდაცვის საშუალება. 5. თევზის საჭერი საგუბარი (წნელის ან ფიჩხის კონებით შემოზღუდული). 6. ორაზროვანი/ბუნდოვანი განცხადება ან გამონათქვამი.

აქ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას უახლოვდება 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 მნიშვნელობები. ზღუდარის გამოყენებისას მთქმელს აქვს გარკვეული მიზანი, რომელიც მან საუბრის დროს უნდა მიაღწიოს. ამ მიზნის მისაღწევად მთქმელი იყენებს არა მარტო ისეთ გამონათქვამს, რომელიც მხოლოდ აზრს მიაწვდიდა თანამოსაუბრეს, არამედ ზღუდარსაც, რითიც ერთგვარ ზღუდეს, ბარიერს ქმნის თანამოსაუბრისათვის და „იცავს“ მთქმელს წარუმატებლობისგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელობები უახლოვდება ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას, ისინი ასახავენ საყოფაცხოვრებო რეალიებს, რომელთაც გარკვეული კონოტაციები გააჩნიათ, რაც ტერმინის ხარვეზია (ღამბაშიძე 1986: 47-50). ამიტომ გადავწყვიტეთ მსგავსი მნიშვნელობის ტერმინის – *ზღუდარის* სესხება ტექნიკური ტერმინოლოგიიდან.

ტექნიკურ ტერმინოლოგიაში *ზღუდარის* მნიშვნელობებია:

> 1. ზღუდე; ქალაქის ან სხვა დასახლების, ეზოსი და მისთ. გარშემო შემოვლებული კედელი (ღობე, გალავანი და ა.შ.); 2. ბარიერი, ნაგებობა, რომელიც აფერხებს თავისუფალ გასვლას; 3. კაშხალი, მოლო, ოფო, ონჯარი, რაბი, სათავანი ჯებირი; წყლის დასაგუბებლად დინების განივად ამოყვანილი კედელი; 4. ბალავარი, გამირი; 5. კონსტრუქციული ელემენტი (ქვის, ხის, ლითონის, რკინაბეტონის), რომლითაც გადაიხურება კარის ან ფანჯრის ღიობი.
>
> [ლექსიკონი 2015]

ამ მნიშვნელობათაგან საერთოა *ბარიერი, ზღუდე,* რომლებიც შეესაბამება Hedge-ის როგორც ტერმინოლოგიურ, ისე ზოგად მნიშვნელობებს. ამავდროულად *ზღუდარი* მხოლოდ ტერმინოლოგიაში

გვხვდება და ამიტომ არ გააჩნია ის ხარვეზი, რაც აქვს Hedge-ის პირდაპირ თარგმანს. ტერმინის სესხებით წარმოქმნილი ომონიმია კი ამ დარგების განსხვავებული კვლევის სფეროების გამო არ წარმოშობს ორაზროვნებას.

ლიტერატურა

ლექსიკონი 2015 – სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი, რედაქტორი: პროფესორი თამაზ ხმელიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი, http://gtu.ge/Arch-Dictionary/

ღამბაშიძე 1986 – როგნედა ღამბაშიძე, „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის პრინციპები“, „მეცნიერება“, თბილისი, 1986.

D. Hovy – Dirk Hovy, Hedges, http://www.dirkhovy.com/portfolio/papers/download/hedges_dirk_hovy.pdf

P. H. Matthews 1997 – Peter Hugoe Matthews, The Concise Oxford Dictionary of Linguistics, Oxford University Press, Oxford.

R. L. Trask 2000 – Robert Lawrence Trask, The Penguin Dictionary of English Grammar, Penguin, London.

Irakli Salia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
Irakli.salia@yahoo.com

Keywords: Terminology, Georgian terms, term Hedge.

Georgian equivalent of Term *Hedge*

Summary

A *hedge* is the linguistic device used by speaker to impact the listener and achieve a particular goal such as make the listener commit a desired action, conceal lying or weaken responsibility, and so on.

In the English scientific literature this phenomenon is called a hedge (or *hedging*). There is no term for it in the Georgian language.

The literal translation of this word is associated with everyday realia. So we had chose its literal meanings, the term would have imperfections in as far as term creation standards. Therefore, we decided to borrow the term from the technical terminology. Because these spheres have nothing in common, the homonymous terms will not cause terminological problems.

თამარ სუხიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
tamar.sukhishvili@iliauni.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, თარგმანი, ლექსიკური ნასესხობები, ნასესხები ტერმინები.

ტერმინოლოგიური პრობლემები ქართულ თარგმანში

სტატიაში წარმოდგენილია ის ტერმინოლოგიური პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს ქართულ სალიტერატურო ენაში ნასესხობების შემოტანის დროს, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოჩნდება მხატვრული ტექსტის თარგმნის პროცესში. განვიხილავთ შემდეგ შემთხვევებს:

1. *ნასესხები ტერმინები ენაში შემოდის ზეპირი გზით*

გარკვეული სფეროების ქართულ საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიაში ერთგვარი ვაკუუმი არსებობს. ტერმინთა ერთი ნაწილი, რომლებიც შეტანილია სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში, მხოლოდ სალექსიკონო ერთეულებად რჩება და ქართულ სასაუბრო ენაში საერთოდ არ გამოიყენება. მაგალითისთვის მოვიყვანთ ნასესხებ ყოფით ტექნიკურ ტერმინებს, კერძოდ, მანქანის ნაწილებისა და, საერთოდ, ავტოინდუსტრიის სფეროს რუსულ სახელწოდებებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სასაუბრო ენაში: *სცეპლენიე/ცეპლენიე/ცეპლენია – სპეც. გადაბმულობა, შეჭიდულობა; მახავიკი – სპეც. მქნევარა; ხალასტოი – სპეც. უქმი/ფუჭი სვლა; აბკატკა – სპეც. გასახმარისება; დვორნიკი – სპეც. მინამწმენდი და ა.შ.* (ტექნიკური ტერმინოლოგია 1977; ტექნ. ლექს.). ზოგჯერ ბარბარიზმები და ქართული ტერმინები ერთმანეთის პარალელურად იხმარება: *მუხრუჭი – ტორმუზი, ძრავა – მატორი* და *სხვ.*, მაგრამ მთლიანობაში ბარბარიზმები მაინც ჭარბობს. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ რუსული ბარბარიზმების დიდი ნაწილი ქართულ ენაზე მოლაპარაკისათვის (რუსული ენის ცოდნა-არცოდნის მიუხედავად) უფრო გასაგებია, ვიდრე მათი ქართული შესატყვისობები. ეს კი სირთულეს ქმნის მხატვრული ტექსტის თარგმნის პროცესში.

ერთ პატარა მაგალითს მოვიყვანთ ედგარ ლორენს დოქტოროუს რომანიდან „რეგტაიმი“[1]. ერთი შეხედვით, შინაარსობრივად ძალიან მარტივი წინადადება *He idled his throttle* სათარგმნელად საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ამ წინადადებით გამოხატული მოქმედება ზეპირმეტყველებაში ყველასათვის გასაგები ბარბარიზმით გადმოიცემა: *ბალასტოიში ჩააგდო.* მაგრამ, ცხადია, ამ შესიტყვებას მხატვრულ ტექსტში ვერ გამოვიყენებდით. ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონის განმარტებაზე დაყრდნობით, მოცემული ფრაგმენტისთვის *(Pulling up before the boy, he idled his throttle and backoned with a hand)* შემდეგი ვარიანტი გვექნებოდა: *ბოლოს მანქანა ბიჭუნას წინ გააჩერა, უქმი (/// ფუჭი) სვლის რეჟიმში გადაიყვანა და ხელთათმნიანი ხელით ანიშნა, აქ მოდიო.* თუმცა ფრაზა *(უქმი (/// ფუჭი) სვლის რეჟიმში გადაიყვანა)* ხელოვნური ჩანს (ზოგისთვის, შესაძლოა – გაუგებარიც) და სტილის თვალსაზრისითაც ტექსტისთვის შეუფერებელია. საბოლოოდ, თარგმანში ასეთი ვარიანტი შევარჩიეთ: *ბოლოს მანქანა ბიჭუნას წინ გააჩერა, ძრავა ჩართული დატოვა და ხელთათმნიანი ხელით ანიშნა, აქ მოდიო* (დოქტოროუ 2016:150).

2. ნასესხები სიტყვები შემოდის ენაში ოფიციალური წერილობითი დოკუმენტაციის საფუძველზე

ქართულში ამ სიტყვათა სესხების აუცილებლობა არ არის, რადგან ენაში უკვე არსებობს სათანადო ცნების აღმნიშვნელი სიტყვები; მაგრამ ოფიციალურ წერილობით დოკუმენტაციაში (და, შესაბამისად, მედიაში) თანდათანობით მაინც მკვიდრდება უცხოური ნასესხობები. ამასთან, შეინიშნება ამ სიტყვების გატერმინების ტენდენციაც, თუმცა მათ სპეციფიკური შინაარსი არ გააჩნიათ. მაგალითისთვის მოვიყვანთ ინგლისურიდან შემოსულ -tion-სუფიქსიან (< ლათ. -tio) მოქმედების აღმნიშვნელ სახელებს, რომელთაც ლათინური წარმოშობა აქვთ და უკვე არსებულ ლათინურ ტერმინთა ანალოგიით (რუსული *-ცია* დაბოლოებით) მკვიდრდებიან ქართულში[2].

---

[1] რომანში განვითარებული სიუჟეტური კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი ავტომანქანა „ფორდია“, შესაბამისად, ტექსტში სამანქანო ტერმინებიც გვხვდება.

[2] უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სამეცნიერო ენაში არსებულ უცხო ტერმინთა დიდი ნაწილი ქართულში რუსული ენის მეშვებითაა დამკვიდრებული. მათ შორისაა -ცია-თი დაბოლოებული, ლათინური წარმოშობის სიტყვები: პერფორაცია (რუს. перфорация, ფრ. perforation, ლათ. perforatio), აკუმულაცია (რუს. аккумуляция, ფრ. accumulation, ლათ. accumulatio) და სხვ. (ღამბაშიძე 1972: 21).

აფილიაცია || აფილაცია *(affiliation – 1.1) წევრად მესვლა; შეერთება, 2) წევრობა…* [ლექსიკონი I, 1995]:

კვლევის სამიზნე ჯგუფების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა ასაკი, განათლება, ბინადრობა, ინტეგრაციის ხარისხი და ორგანიზაციასთან აფილიაცია[1].

თითოეულ მათგანს თავისი პოლიტიკური შეხედულება, პოლიტიკური აფილიაცია, პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიები და სხვა ამგვარი გააჩნია[2].

ფასილიტაცია (facilitation – წიგნ. შემსუბუქება, გაადვილება, გაიოლება) [ლექსიკონი VI, 1997]:

ძირითადი საქმიანობები: სკოლამდელი განათლების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება,.. სკოლამდელი სექტორით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ფასილიტაცია[3]...

ვიზის ფასილიტაცია... უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები… ვიზის ფასილიტაციის… ხელშეკრულებები პროცედურული თვალსაზრით ამარტივებს საქართველოს მოქალაქეების მობილურობას ევროკავშირთან.[4]

სხვათა შორის, ეს ორი ფორმა (*აფილაცია* და *ფასილიტაცია*) შეტანილია სამოქალაქო განათლების ონლაინლექსიკონში (www.nplg.gov.ge/ gwdict), მაგრამ, ამავდროულად, ისინი ბარბარიზმებადაა მიჩნეული ბარბარიზმების ონლაინლექსიკონის მიხედვით (https://barbarisms.ge).

ე.წ. ახალი ანგლიციზმების მოძალების პრობლემა არაერთ ენაში დგას. მკვლევარი ე.ს. უოლში თავის სტატიაში ესპანურ ენაში ანგლიციზმების შემოჭრის ტენდენციას *სოციოლინგვისტურ მოდას* უწოდებს და იქვე დასძენს, რომ ინგლისური ტერმინების გამოყენება სოციალურ და პროფესიულ პრესტიჟად მიიჩნევა, შედეგად კი ენაში ჩნდება აბსურდული ნასესხობები, მაგალითად, flagship store. ამ შესიტყვებას ესპანურში ხშირად იყენებენ, მაგრამ ცოტას თუ ესმის მისი მნიშვნელობა. სტატიის ავტორის აზრით, აღნიშნული ტენდენციის

---

[1] (ამონარიდი ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის კვლევიდან: www.emc.org.ge).

[2] www.netgazeti.ge, 27.01.2017.

[3] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო: სკოლამდელი სექტორის მხარდაჭერა: www.mes.gov.ge

[4] „ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი“: www.eilat.ge.

შემოსვლის მიზეზი ბევრია და არაერთგვაროვანი: მედიის მცდელობა, სწრაფად შეითვისოს და გაავრცელოს ახალი ანგლიციზმები, სატელევიზიო გახმოვანების პრაქტიკა, ხარისხიანი თარგმანის შესრულებისთვის გამოყოფილი დროის სიმცირე, თარგმანის დაბალი ანაზღაურება...(უოლში 2017: 368).

უოლშის სახელდებას თუ დავესესხებით, ბოლო პერიოდში სოციოლინგვისტური მოდის ტენდენცია (ანგლიციზმების ხშირი და, რაც მთავარია, უადგილო გამოყენება) ქართულშიც შეინიშნება. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ნასესხობების საჭიროების გარეშე მოძალება და ე.წ. გატერმინებისკენ მიდრეკილებაც სწორედ ამ ტენდენციის ნაწილია.

3. ახალი ცნებების გაჩენა ქმნის ახალი ტერმინების არსებობის საჭიროებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ყოველთვის არ არის გათვალისწინებული უკვე არსებული ტერმინოლოგიური ბაზა. აქ გამოვყოფდით ორ შემთხვევას:

ა) უკვე არსებული ტერმინის ხელმეორედ სესხება

ახალი დარგების, პროფესიების, ინსტიტუციებისა და ა.შ. გაჩენასთან ერთად ენაში ჩნდება ახალი პროფესიული ტერმინებიც, რომელთა ერთი ნაწილი უცხო ენებიდან (ბოლო დროს, ძირითადად, ინგლისურიდან) შემოდის და პირდაპირ, უთარგმნელად იმკვიდრებს თავს ენაში. ერთი და იმავე ტერმინის ხელახალი, სხვა მნიშვნელობით სესხების ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ინგლისურიდან ნასესხები *რეინჯერის* (მეტყევე, ტყისმცველი) მაგალითი. ქართული ორიგინალური ტერმინის – *მე-ტყე-(ვ)-ე / ტყის-მცველ-ის* არსებობის ფონზე (რომელიც, ვფიქრობთ, აკმაყოფილებდა ენაში პროფესიული ტერმინის არსებობის კრიტერიუმებს) ენაში არ არსებობდა ახალი ნასესხები ტერმინის არსებობის საჭიროება; მიუხედავად ამისა, ტერმინი *რეინჯერი* ხელოვნურად შემოიტანეს ქართულში, ჯერ ოფიციალურ წერილობით დოკუმენტაციაში და შემდეგ – სასაუბრო ენაში (მისი შემოტანა უკავშირდება 2007 წლის სატყეო რეფორმას). ამასთან, მოცემულ შემთხვევაში დაირღვა პროფესიული ტერმინოლოგიისთვის აუცილებელი მონოსემიურობის პრინციპი: ერთი ნიშანი = ერთი ცნება. ნასესხები *რეინჯერი* უკვე არსებობდა ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიაში. უბრალოდ, მოცემულ შემთხვევაში არ იქნა გათვალისწინებული არსებული ტერმინოლოგიური ბაზა და შედეგად პროფესიული ტერმინისათვის აუცილებელი ერთცნებიანობა დაირღვა (სუხიშვილი 2016: 102-115).

გ) ახალ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინები იჭრება უკვე დამკვიდრებულ ტერმინოლოგიურ სისტემაში და არღვევს ტერმინწარმოების არსებულ ყალიბს

ამის ნიმუშებს გვაძლევს ქართული სპორტის ტერმინოლოგია, მაგალითად მოვიყვანთ ბურთით თამაშების სახელდების სისტემაში უცხოური ნასესხობების *(ბეისბოლი, სოფტბოლი და ა.შ.)* შემოსვლის ფაქტს. ამ სისტემაში უკვე ჩამოყალიბებულია ტერმინწარმოების კომპოზიტური ყალიბი (ეს არის კალკის მიხედვით შექმნილი ორფუძიანი კომპოზიტი: თამაშის მახასიათებელი ძირითადი ელემენტი + ბურთი), რომელიც ძალიან ბუნებრივადაა შეთვისებული ენაში: *ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ჩოგბურთი, ფრენბურთი და ა.შ.*

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს კარგად აწყობილი ბურთით თამაშების ტერმინოლოგიური სისტემაც ბოლომდე ვერ მიჰყვება ამ პრინციპს და მასში მაინც იჭრება ანგლიციზმები (*ბეისბოლი, სოფტბოლი, პინგპოლი* და ა.შ.). ისინი ტერმინებადაა შესული სპორტის ენციკლოპედიაში (ენციკლოპედია 2006). ასეთი აღრევა სხვა სისტემებშიც გვხვდება, მაგალითად, ერთი მხრივ, გვაქვს – *სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა, ჭოკით ხტომა*, და, მეორე მხრივ, გვაქვს, მაგალითად, *ბანჯი ჯამპინგი...*

ჩვეულებრივი სიტყვისაგან განსხვავებით, ტერმინი ცნების უბრალო დასახელებას კი არ წარმოადგენს, არამედ გარკვეულ საკლასიფიკაციო სისტემაში მყოფ ცნებას წარმოგვიდგენს და მის შინაარსს გადმოგვცემს (ღამბაშიძე 1993: 217). აქედან გამომდინარე, საკლასიფიკაციო სისტემის ერთიანობის დაცვა მნიშვნელოვანია და სასურველია, ახალი თამაშების შესატყვისი ტერმინების სახელდებაც ამ პრინციპს მისდევდეს.

ჯენიფერ იგანის რომანის თარგმნის დროს შეგვხვდა ბურთით თამაშის ერთ-ერთ სახეობის აღმნიშვნელი ტერმინი tetherball, რომელიც არსებულ ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ და გადავწყვიტეთ, შემოგვეტანა ახალი ტერმინი სწორედ ზემოთ ნახსენები მოდელის მიხედვით, *ფეხბურთის, კალათბურთის* და ა.შ. ანალოგიით. ასე მივიღეთ *ძელბურთი* (ბურთი ძელის გარშემო ტრიალებს – ეს არის ამ თამაშის ძირითადი პრინციპი): *My sisters, Alice goes. They're playing tetherball – ჩემი დები არიან, ძელბურთს თამაშობენ, მეუბნება ელისი* (იგანი 2018: 69).

ეს კონკრეტული მაგალითი კიდევ ერთ პრობლემას წარმოაჩენს. ხშირად ახალი ცნების შემოსვლა წინ უსწრებს ამ ცნების აღმნიშვნელი

ტერმინის გაჩენას ენაში. ასეთ დროს, თუ არ არსებობს კონკრეტული ყალიბი, რომელშიც შეგვიძლია მოვაქციოთ ახალი ტერმინი (როგორც ეს მოხდა ძელბურთის შემთხვევაში), უმჯობესია, ახალი ცნება ტერმინოლოგიური შესიტყვებით (აღწერითი ტერმინით) გადმოვცეთ, რათა მკითხველისთვის გასაგები იყოს. ზოგჯერ შესაძლოა ცნების მთელი შინაარსის გადმოტანაც კი გახდეს საჭირო. მაგალითად: *Recoilles rocket grenade launcher, რეაქტიული ყუმბარსატყორცნი, რომელიც უკუგორების გარეშე ისროდა* (დოქტოროუ 2016: 302).

დასახელებული მაგალითები გვიჩვენებს, რომ თარგმანზე მუშაობის დროს უფრო თვალსაჩინო ხდება, თუ რამდენად ბუნებრივადაა ესა თუ ის სიტყვა (თუ ტერმინი) შეთვისებული ენაში, სად იქმნება ენაში ტერმინოლოგიური ვაკუუმი, არის თუ არა საჭირო ახალი ტერმინის შემოტანა (იქნება ეს სესხება თუ ახალი ტერმინის შექმნა) და ა.შ.

ლიტერატურა

დოქტოროუ 2016 – ედგარ ლორენს დოქტოროუ, რეგტაიმი (რომანი), თბილისი.

ენციკლოპედია 2006 – სპორტის ენციკლოპედია, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი ე. ბერიშვილი, თბილისი.

იგანი 2018 – ჯენიფერ იგანი, დაუნდობელი არამზადების სტუმრობა (რომანი), თბილისი.

ლექსიკონი I 1995, VI 1997 – ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლექსიკოგრაფიული ცენტრი, თბილისი.

სუხიშვილი 2016 – თამარ სუხიშვილი, უცხო ენიდან შემოსული ერთი ხელობის სახელის შესახებ ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი XVI, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

ტექნიკური ტერმინოლოგია 1977 – ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი), რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით, თბილისი.

ტექნ. ლექს. – ტექნიკური ლექსიკონი, ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული ელექტრონული ლექსიკონი: www.tech-dict.ge

უოლში 2017 – A.S. Walsh, Translating False and Fickle Anglicisms in Modern Spanish, EPiC Series in Language and Linguistics, Volume 2.

ღამბაშიძე 1972 – როგნედა ღამბაშიძე, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

ღამბაშიძე 1993 – როგნედა ღამბაშიძე, ანალიტიკურ ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი X, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

ინტერნეტრესურსები:

www.emc.org.ge – ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის კვლევა.

www.netgazeti.ge – 27.01.2017.

www.mes.gov.ge – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო: სკოლამდელი სექტორის მხარდაჭერა.

www.ei-lat.ge – „ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი“.

www.nplg.gov.ge/gwdict – სამოქალაქო განათლების ონლაინლექსიკონი

https://barbarisms.ge – ბარბარიზმების ონლაინლექსიკონი

Tamar Sukhishvili
Ilia State University, Georgia
tamar.sukhishvili@iliauni.edu.ge

Keywords: Terminology, Translation, Lexical Borrowings, Borrowed Terms.

Terminological Problems in Georgian Translation

Summary

The paper focuses on a number of terminological problems, which the standard Georgian language faces today as it undergoes the rapid process of lexical borrowings. These problems are especially well reflected in the translation of fiction.

The paper discusses the following cases:

1. Borrowed terms enter the language through the colloquial speech.

Although there is an appropriate terminological base in the language, it has not been possible to integrate standard terms into it and they remain found only in the dictionaries. Hence, colloquial language is preferring foreign loanwords (mostly barbarisms) as substitutes for the standard terms. The use of Russian names for car parts such as *peredoki, stseplenie,* etc. serves as a significant example of the frequent usage of borrowed technical terms in the Georgian colloquial language.

2. Loanwords enter the language through the official written documentation.

Since words expressing certain concepts already exist in the language, there is no need for foreign borrowings in Georgian. However, foreign loanwords gradually occupy a position in the official written documents and are then incorporated as foreign terms into the colloquial speech *(i.e. apiliatsia (affiliation), pasilitatsia (facilitation), etc.* though they do not contain any specialized meaning. The terminizing process has been supposedly encouraged by the Latin origin of the majority of these words.

3. Emerging new concepts creates a need for new terms, but again the existing terminological base is being ignored.

a) There are cases of re-adoption of terms, as in the case of the English loanword *ranger*. Georgian adopted the word first as a military term, but later the same word was adopted again to substitute the original forms *(me-tqe-(v)-e / tqis-mtsvel-i, forest specialist / forest guard).*

b) The terms applied to new concepts intrude into the established terminological system and break the standards achieved in term formation. For example, invasion of foreign loanwords in sports terminology *(baseball, softball, etc.)* destroys the system of ball games' nomenclature in Georgian.

მაია ღამბაშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
mgambashidze@gmail.com

მანანა ჭირაქაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
mchirakadze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ტყავის აღმნიშვნელი ტერმინები, ძველანატოლიური.

ტყავის აღმნიშვნელ ტერმინთა სისტემა და მისი ძველანატოლიური შესატყვისები

1. *ტყავს* – შინაური და გარეული (ნანადირევი) ცხოველის გარესაფარველისაგან გარკვეული ტექნოლოგიით დამუშავებულ ტყავმასალას – ადამიანი თავისი ცხოვრების უადრესი ხანიდან მოიხმარდა და ამიტომ, ბუნებრივია, რომ მსოფლიოს ყველა ენაში ტყავისა და ტყავეულის თემასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი უძველესი ფენაა და ლექსიკური უნივერსალიის კატეგორიას განეკუთვნება. შესაბამისად, *ტყავის* თემასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ყოველ ცალკეულ ენაში მისი შემქმნელი და მომხმარებელი საზოგადოების ისტორიის გარკვეულ ეტაპს ასახავს, ხოლო კონკრეტულ ენებს შორის გამოვლენილი ლექსიკური შესატყვისობანი და სემანტიკური პარალელები მოცემული ენების მატარებელ საზოგადოებათა კულტურული კავშირების მაჩვენებელია. მაგალითისათვის დავასახელოთ, ერთი მხრივ, ქართველურ ენათა დონეზე დადგენილი ტერმინი *ტყავი/ტკოვი* და მისგან ძველბერძნულში შეთვისებული κώυο (გამყრელიძე 1984:908-909), ხოლო, მეორე მხრივ, ტყავ-ბეწვის აღმნიშვნელი საკრალური მნიშვნელობის ქართული ტერმინი *საწმისი* (<წმედ-ს/წმიდ-ა).

ჩვენი წერილის მიზანია ტყავის, ტყავეულისა და მეტყავეობის ქართულ ტერმინთა სისტემის ონომასიოლოგიური ანალიზი და მისი შესატყვისების მოძიება ძველანატოლიურ ტექსტებში.

2. ქართველურ ენათა ლექსიკოგრაფიული ტრადიციის მიხედვით ლექსემა *ტყავი* (/ტუფ/ტკებ/ტყებ) მოიცავს შემდეგ მნიშვნელობებს:

გარესაფარველი: მცენარისა (ქერქი, კანი, ფუტი, ნაჭუჭი, ხეჭბი, ჭაჭა, ქუჩუბო, ჭოტი, ქერქეჭანა); ცხოველისა (ტყავი, ტყავ-ბეწვი); ადამიანისა და ფრინველისა (კანი); თევზისა და ქვეწარმავლისა (ქეცედი–კეც-ტყავი/კეცოვანი და ჩვილ-კეცი, ქიცვი).

ცხოველის გალნიანი საფარველისაგან (ტყავ-ბეწვისაგან) ან *დამუშავებული (გამოქნილი), ტყავისაგან დამზადებული სამოსელი:*

ა) *ტანსაცმელი* (ტყაპუჭი, ტყავკაბა/ტყებიშკაბა, საკუხი – ტყავნი ბეწვ-კეთილნი; ტყებიშ ჭელეფი, ტკები გოწკიმუ), ქეჩხო – ცხვრის დამუშავებული ბეწვიანი ტყავის მოსასხამი;

ბ) *ფეხსაცმელი* (მაშია, წუღა, ჩუსტი, ქალამანი, სანდალი, მოგვი, ჩაფულა, კანჩაფულა, წანგი, ქოშ, ტყებერა - დაუმუშავებელი ბეწვიანი ტყავისაგან შეკერილი საზამთრო ფეხსაცმელი);

თოკი, ძაფი (ღვედი, თასმა, საბელი, ხრალი, ქერელი, აფსკი, ტოილო, ქურთილი/ქურთენი, ტკეჩი, კანისთოკი);

ცხენის სამშვენისი - საფარავი (ქეჯიმი);

იარაღი (ტყავის ფარი/ტყებიშ ფორი, მათრახი);

ჭურჭელი (ტკეც/კეც, ტკეჩი, ქაცი-გუდა, ტომსიკა, რუმბი, ტიკი, აბგა, ჩანთა, ქისა);

საკვები (ქერენჭი-პურის, მჭადის ქერქი, ტკე - ბადექონი მუცლისა);

ხელოსანი (ტყავისმხეველი, ტაბაღი, დაბაღი, მთრიმლავი, მეტყავე, ჩაფულაჯი);

ტყავმასალა (თალათინი, ნატი, მეში, შოლტი, სამოგვი, ქეჩხო-ცხვრის დამუშავებული, ბეწვიანი ტყავი, წიგნის ტყავი, ლანჩა);

ამას გარდა, „ტყავ“ ფუძით იწარმოება რამდენიმე შინაარსობლივად ახლომდგომი ზმნა: გატყავება, გადატყავება, ტყებიშ მიკონწყუმა, ტყებიშ მიკონფუა, ტყებიშ მიშაჭალა, ტყებიშ ჩხაბაკუა, ტოლუა – რქებით დაბმა საქონლისა... და ზედსართავები: გაძვალტყავებული, ტყებ დო ძვალი, ტყებუჩა, ტკოცორო, ტკებელ, ტურე ტყაბერელი, ტუფელა, ტურუბია, ტყებერა, ტყავიერი და მისთ. (ორბელიანი 1965:301, 432; აბულაძე 1973:447; ჩუბინაშვილი 1986:596; ქობალია 2010:606; თოფურია, ქალდანი 2000:717; თანდილავა 2013:756; ქაჯაია 2002:42 და სხვ.).

როგორც გამოჩნდა, სალიტერატურო ქართულის ტყავის შესახებ არსებულ ტერმინთა სისტემაში ძირითადად ნასესხები ლექსიკა მკვიდრობს, ხოლო ზანურსა და სვანურში უპირატესად *ტყავ-* და *ქერქ* ფუძიანი ლექსიკა ბატონობს. ამ ზედაპირული დაკვირვებითაც კი შეიძლებოდა გარკვეული ეთნოკულტურული სურათის წარმოდგენა, თუმცა, ამჯერად ამ თემაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და ძველანატოლიურ ტექსტებში დადასტურებულ ლექსიკურ მონაცემებს მივაპყრობთ ყურადღებას:

3. ტყავის აღსანიშნავად ხეთურ ტექსტებში ვხვდებით შუმერულ ტერმინს – KUŠ *ტყავი, კანი, ბეწვი,* რომელიც გამოიყენება ტყავეულის, საკუთრივ, ცხოველის ტყავისა და მისგან დამზადებული საგნების აღსანიშნავად.

ხეთური წყაროების დამუშავებისას, როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოჩნდა, რომ ლექსემა *ტყავი* (KUŠ), მცირე გამონაკლისის გარდა, გვხვდება მხოლოდ შინაური ცხოველების: ძროხის, ცხვრის, თხის (მესოპოტამიაში აგრეთვე ღორის) ტყავეულის – ბეწვ-ტყავისა და შიშველი (უბეწვო, ბეწვგაცლილი) ტყავის – აღსანიშნავად.

ხეთური წერილობითი წყაროები, ქართულისა და მრავალი სხვა ენის მსგავსად, ლექსიკურად განასხვავებს: 1. *ტყავსა* (KUŠ) და 2. *კანს* (miluli-, maluli-, melu[li] – *კანი*; ^{KUŠ}laplai- – „სხეულის რაღაც X ნაწილი“; ხეთ.$^{(UZU)}$išḫunauwar/აქად.^{KUŠ}*MATNU* – „მყესი“.

ტყავის ლექსიკა ხეთური ტექსტების მიხედვით:

- KUŠ.GUD - „ძროხის ტყავი“;
- KUŠ.UDU - „ცხვრის ტყავი“;
- KUŠ.MÁŠ.GAL - „დიდი თხის ტყავი“;
- KUŠ.UZ$_6$ - „ნეზვი თხის ტყავი“;
  - KUŠ.UZ6 GE$_6$ - „ნეზვი თხის შავი ტყავი“ (გვხვდება აგრეთვე SÍG.UZ$_6$ GE$_6$ - „ნეზვი თხის შავი ბეწვი“);
  - KUŠ.UZ$_6$ BABBAR - „ნეზვი თხის თეთრი ტყავი“ (გვხვდება აგრეთვე SÍG.UZ$_6$ BABBAR – „ნეზვი თხის თეთრი ბეწვი“);
- KUŠ.SA$_5$ - „წითელი (ფერის) ტყავი“;
- Šuppa KUŠ.ḪI.A.-ya - „წმინდა ტყავები“;

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ცნება *ტყავის* ლექსიკური მახასიათებელია: ცხოველის სახეობა, ფერი და განსაზღვრება „წმინდა/სუფთა“.

ტყავის დამუშავების აღმნიშვნელი ლექსიკა ხეთურ ტექსტებში:

ა. ^{KUŠ}DU$_{8}$.ŠÚ.A – ტყავის (რაიმე X) სახეობა, „დამუშავებული ტყავი“ (საინტერესოა, რომ არსებობს აგრეთვე ^{NA4}DU$_{8}$.ŠÚ.A, რაც კვარცს, „მთის კრისტალს“ ნიშნავს).

ბ. $^{(KUŠ/UZU)}$*MAŠKU* – ტყავის რაიმე X სახეობის აღმნიშვნელი აქადური ტერმინი. საგულისხმოა, რომ ხურიტულ ენაში გვხვდება იმავე *MAŠKU* ფუძით შედგენილი, ადამიანის პროფესიის აღმნიშვნელი სუფიქსი -huli–LÚ *MAŠKU*-huli (რიხტერი 2012:247). სავარაუდოდ, რადგან *MAŠKU*-ს „ხორცის“ აღმნიშვნელი UZU-ც ერთვის, შესაძლებელია, რომ *MAŠKU* ყოფილიყო ტყავიანი ხორცის ნაჭერი, რომელსაც LÚ *MAŠKU*-huli ამუშავებდა, სავარაუდოდ, მზარეული, ან–სალახი.

ხეთური წერილობითი წყაროებიდან ვიცნობთ ტყავის დამუშავებასთან დაკავშირებულ ხელობის აღმნიშვნელ ორ ტერმინს:

1.1 *ĒPIŠ* ^{KUŠ}E.SIR – *მეწაღე*

1.2. ^{LÚ}AŠGAB – *დაბაღი*. ზოგი მეცნიერი ამ ტერმინს „მეწაღის“ მნიშვნელობასაც ანიჭებს. ხეთური ტექსტები *მეწაღისა* და *დაბაღის* პროფესიებს ერთმანეთისგან განასხვავებს. ამის დასტურია ე.წ. „მეფის განბანვის მითითებების“ ტექსტი, რომელშიც ისინი ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით გვხვდება და რიტუალში ცალ-ცალკე მითითებები ერთვის. ასევე საინტერესო უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ არსებობდა *ფარის დაბაღიც – AŠKAP ARĪTE*.

ქართულ ენაში ტყავის აღმნიშვნელ ლექსიკასთან დაკავშირებით მოგვეპოვება ხელობის აღმნიშვნელი ტერმინები: *ხარაზი, მეწაღე* და *დაბაღი*. აქედან – *ხარაზი* და *მეწაღე* მხოლოდ ფეხსაცმლის, „წა/უღას“ ხელოსანს ეწოდება, ხოლო ტერმინი *დაბაღი* ზოგადად, „ტყავის დამმუშავებელს“ აღნიშნავს. (შდრ. „ტყავის მხეველი“) ეს უკანასკნელი ტერმინი ქართულში არაბული ენიდანაა შემოსული. შუა საუკუნეებში მისი სინონიმი იყო – *მეპრატაკე*, რაც სიტყვასიტყვით „ცხვრის ტყავის გამკეთებელს“ (დამამუშავებელს) ნიშნავდა (შდრ. „და იყო იგი მრავალ დღე დადგრომილ იოპეს შინა სიმონ მეპრატაკისა თანა“ (საქმენი 2000:9:43) .

ხეთურ ტექსტებში ტყავის დამუშავების ტექნოლოგიის აღწერა, სამწუხაროდ, არ გვხვდება, ამიტომ არ ვიცით, როგორი სახის ტყავს იყენებდნენ მეწაღეები და დაბაღები სხვადასხვა სახის ნივთის დასამზადებლად, ბეწვიანს, გაპარსულს, გამოქნილსა თუ ხამს.

ტყავის დამუშავებასთან დაკავშირებით ქართველურ ტერმინთა სისტემაში გვაქვს *ტყეპერა* – დაუმუშავებელი (გამოუქნელი) ტყავის-

გან შეკერილი ბეწვიანი საზამთრო ფეხსაცმელი (თოფურია, ქალდანი 2000:721) და *ქეჩხო* – ცხვრის გამოქნილი, ბეწვიანი ტყავის სამოსელი (ორბელიანი 1966:305).

ტყავის ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები ფუნქციის მიხედვით

ხეთურ ენაში *ტყავის* ტერმინოლოგიაში ფუნქციის მიხედვით შეიძლება გამოიყოს შემდეგი სემანტიკური ჯგუფები: *სამოსელი, ჭურჭელი, საგებელი, ცხენის აკაზმულობა, იარაღი.*

ყურადღებას გავამახვილებთ იმ სემანტიკურ ჯგუფებზე, რომლებშიც ქართულ ენაში არსებულ შესაბამის ტერმინებთან მსგავსებას ვხედავთ.

1. *სამოსელი*

1.1. *ტანსაცმელი*

ტყავისგან ხეთები იშვიათად იკერავდნენ ტანსაცმელს, ერთადერთი, რაც შეიძლებოდა მისგან ჩასაცმელად გამოეყენებინათ, იქნებოდა ალბათ *ტყაპუჭი*, რომელსაც შიგნიდან დათბილული სარჩული უნდა ჰქონოდა, სავარაუდოდ, თექისა ან რამე მსგავსი თბილი ნაჭრისა.

1.1.1. (TÚG/KUŠ) kapartašamna-/ kapittašamna-

ეს ცნება, როგორც ჩანს, ლუვიური წარმოშობისაა და, სავარაუდოდ, ტანსაცმლის სახეობას აღნიშნავს, ვინაიდან ახლავს ტანსაცმლის აღმნიშვნელი TÚG. არ არის გამორიცხული, რომ იგი „მოსასხამს“ (იგულ. „ფართო მოსასხამს“) ნიშნავდეს, გამომდინარე იქიდან, რომ gaparta – ხეთურად თაგვს, ღამურას ნიშნავს, შესაბამისად, (TÚG/KUŠ) kapartašamna – შესაძლებელია „ღამურასებრი“ მოსასხამი იყოს (შდრ. ძველქართული *ფრთეტყავი* - „მღამიობი“, აბულაძე 1973:447).

1.1.2. (TÚG/KUŠ) kuwarwašu – სამოსელის რაღაც X სახეობა.

1.2. *ფეხსაცმელი*

აღსანიშნავია, რომ „ფეხსაცმელთან“ დაკავშირებული ყველა სახის ტერმინი ძველი მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ერთი მოდელის მიხედვითაა შექმნილი: ა) ლექსიკური კავშირი სემანტიკურ ველებთან – „ფეხი“/ „საფუძველი“/ „ძირი“/ „მიწა“; ბ) ფეხსაცმლის სახელწოდება ან მრავლობითი რიცხვის ფორმითაა გადმოცემული, ან სიტყვის ძირია გაორმაგებული: შუმ.^{KUŠ}E.SÍR^{MEŠ}; აქად. *ŠĒNU(M)*; ძვ.

ეგვიპტ. tebtebi; ხათ. šepšep (აქად. *ŠEPU*„ფეხი“); მიკენ. pedila; ძვ. ბერძნ. Πέδιλον და ა.შ.

რაც შეეხება „ფეხსაცმლის“ ხეთურ სახელწოდებას, ტექსტებში იგი გადმოცემულია შუმერული იდეოგრამით ^{KUŠ}E.SIR. მიუხედავად იმისა, რომ ფორმას ხეთური მრ. რიცხვის ფონეტიკური კომპლემენტი -uš ერთვის, მისი ხეთური შესატყვისი დღემდე უცნობია.

ჩვენი ვარაუდით, ხეთური შესატყვისი „ფეხსაცმლისა“ შესაძლებელია, ძვ. ბერძნულის მსგავსად, მომდინარეობდეს pat-ძირიდან, რაც ხეთურად „ფეხს“, „ძირს“ ნიშნავს: შდრ. πέδιλον „ფეხსაცმელი“ < πέδιλο „მიწა“, „ძირი“. ასევე დასაშვებია ვარაუდი, რომ ხათურის მსგავსად, ხეთურშიც ფუძეგაორკეცებული šepšep გამოიყენებოდა.

ტექსტების განხილვისას შესაძლებელი გახდა გამოგვეყო ფეხსაცმლის აღმნიშვნელი ტერმინების რამდენიმე ჯგუფი რაოდენობის, როგორობისა და წარმომავლობის მიხედვით:

1.2.1.1. *რაოდენობა*

ა) ^{KUŠ}E.SÍR: „ფეხსაცმელი“;

გ)^{KUŠ}E.SÍ[R].MEŠ/ ^{KUŠ}E.SIR$^{ḪI.A}$/ ^{KUŠ}E.SÍR-uš: „ფეხსაცმელები“;

გ) *TĀ-PAL* ^{KUŠ}E.SÍR: „წყვილი ფეხსაცმელი“;

დ)1$^{NU\text{-}TUM}$ ^{KUŠ}E.SI[R: „ფეხსაცმლის ერთი კომპლექტი“;

1.2.1.2. *მარჯვენა-მარცხენა*

ა) ^{KUŠ}E.SÍR GÙB-la-az: „მარცხენა ფეხსაცმელი“;

გ) ^{KUŠ}E.SÍR ZAG-na-az: „მარჯვენა ფეხსაცმელი“;

ხელთა გვაქვს „დაბადების რიტუალის“ საინტერესო ტექსტი, რომელშიც ერთმანეთისგან ლექსიკურად (ტერმინულად) განხვავებულია მარჯვენა და მარცხენა ფეხსაცმელი: ბებიაქალი ჰყვება ამბავს, თუ როგორ განრისხდა ღვთაება ანცილი და როგორ ჩაიცვა მარცხენა ფეხსაცმელი მარჯვენაზე, ხოლო მარჯვენა – მარცხენაზე. ასევე ექცევა იგი ტანსაცმელსაც – კაბისწინა, ორნამენტიან მხარეს აბრუნებს უკან, ხოლო უკანა, უორნამენტო მხარეს – წინ. ცხადია, რომ ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შებრუნებას საკრალურ-რელიგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა, ძველ წინა აზიაში ყველაფერი, რაც მარჯვენაა, წინა მხარეა, თეთრია, სუფთა, წმინდა, სწორი და მართალია, ხოლო, რაც მარცხენაა, უკანა მხარეა, შავია, ბნელი, უწმინდური, არასწორი და ტყუილია. ამ ვითარების პარალელად შეიძლება ვივარაუდოთ მეგრული

იდიომი *ტყებიშ კვარჩხიშე მუკონწყუმა* –„ტყავის უკუღმა გაძრობა“ – დასჯის სახეობა, მუქარა (ქობალია 2010: 606).

1.2.1.3. *სქესი*

ა) ^{KUŠ}E.SIR LÚ^{LIM}: - „კაცის ფეხსაცმელი“;

ბ) ^{KUŠ}E.SIR$^{ḪI.A}$ SAL^{TI}: - „ქალის ფეხსაცმელი“;

1.2.1.4. *ფერი*

ა) ^{KUŠ}E.SÍR BABBAR^{TIM} – „თეთრი ფეხსაცმელი“;

ბ) ^{KUŠ}E.SIR GE$_6$ – „შავი ფეხსაცმელი“;

გ) ^{KUŠ}E.SIR$^{ḪI.A}$ SA$_5$ - „წითელი ფეხსაცმელი“;

1.2.1.5. *ოქრო-ვერცხლი*

ა) ^{KUŠ}E.SIR$^{ḪI.A}$ GUŠKIN/ ^{KUŠ}E.SIR GUŠKIN GAR.RA– „ოქროს ფეხსაცმელები“/„ოქროთი გაწყობილი ფეხსაცმელი“;

ბ) ^{KUŠ}E.SIR KÙ.BABBAR – „ვერცხლით გაწყობილი ფეხსაცმელი“;

1.2.2. *ფეხსაცმლის ფორმა*

ა) (^{KUŠ}E.SIR) ištappant- „დახურული ფეხსაცმელი“ (სავარაუდ. „ჩექმა, წაღა“. როგორც ჩანს, ამ ტერმინის საპირისპიროდ უნდა ყოფილიყო აგრეთვე ცნება – „ღია ფეხსაცმელი“, ანუ „სანდლები“, მსგავსად შუამდინარული ტექსტებიდან ცნობილი ფორმებისა: შუმ.^{KUŠ}E.SÍR É.BA.AN/აქად. *ŠĒNU(M) /MEŠĒNU(M)* „სანდლები“).

ბ) ^{KUŠ}E.SIR *QA-DU*^{KUŠ}*MAR-ŠUM*: „ღვედიანი ფეხსაცმელი“ (რელიეფზე გვხვდება გამაშებთან ერთად (შდრ. ხევსურული პაჭიჭები);

გ) ^{KUŠ}E.SIR za-az-za-pí-iš TUR-uš: „პატარა , რაღაც X დეტალიანი ფეხსაცმელი“;

1.2.3. *ფეხსაცმლის სადაურობა*

ა) ^{KUŠ}E.SIR *ŠA* 2 ^{URU}x[o-]pu-ra: „ქალაქ ...X..(o)..ფურას ფეხსაცმელი“;

ბ) [^{KUŠ}]E.SIR ḫattili-: „ხათური (ჰვინტიანი ფეხსაცმელი)“ (ამის შესახებ იხ. ღამბაშიძე 2013:103-115).

1.3. *სამოსლის ატრიბუტიკა*

1.3.1. TÚG/KUŠE.ÍB = (KUŠ/TÚG)E.TUM = (KUŠ/TÚG)GURU$_{21}$ – „ქამარი“;

1.3.2.^{KUŠ}*MARŠUM = TAḪAPŠU* – სავარაუდოდ, „თასმა“ (მოგვეპოვება ქსოვილისაც);

1.3.3. KUŠna-a ▪ -m[e…]1: „ტყავის რაღაც X ნივთი“;

რაც შეეხება *თავსაბურავს*, ტყავის ლექსიკის კუთვნილი ამ შინაარსის ტერმინი არ მოგვეპოვება. როგორც ჩანს, ხეთები თავსაბურავს (რელიეფებიდან ცნობილ *წოწოლა ქუდებს*), ძველი ირანის მსგავსად, თექისგან ამზადებდნენ.

2. *ჭურჭელი*

დანიშნულების მიხედვით „ჭურჭელი“ განასხვავებს *თხევადის*ა და *მყარი საგნების* სატევს. თხევადი შეიძლება იყოს: წყალი, ღვინო, ზეთი; მყარი – მარცვლეული (ფქვილი, ხორბალი), ძვირფასეულობა, ხელსაწყოები და ა.შ.

2.1.1. ^{KUŠ}gazziga – „თულუხი, ტიკი, რუმბი“ (წყლის/ზეთის და ა.შ. ჩასასხმელად);

2.1.2. ^{KUŠ}laggašda – „ტომარა, ტომსიკა, ჩანთა, აბგა (ფქვილის/მარცვლეულის ჩასაყრელად);

2.1.3. ^{KUŠ}A.GÁ.LÁ – „ტყავის აბგა, ტომარა, ხურჯინი“;

2.1.3.1. ფორმობლივი დახასიათება (განსხვავდება ზომით და ფერით):

ა) ^{KUŠ}A.GÁ.LÁ *Ú*[-*NU-UT*]$^{(?)}$ – „ტომარა, სადაც ინსტრუმენტები აწყვია“;

ბ) ^{KUŠ}A.GÁ.LÁ 25 AN.BAR an-da – „ტომარა, სადაც 25 რკინის ზოდი დევს“;

გ) ^{KUŠ}A.GÁ.LÁ TUR ^{NA4}ZA.G[-– „პატარა ტომსიკა, სადაც ლაჟვარდის ქვა დევს“;

დ) ^{KUŠ}A.GÁ.LÁ BABBAR wa-al-li-iš LÚGUD – „თეთრი, მოკლე ტომარა, რომელშიც შალის ნაჭერი დევს“.

2.1.3.2. ფუნქციით მარკირებული:

ა) ^{KUŠ}A.GÁ.LÁ *ŠA* ^{LÚ}*KAR-TA[P-PÍ* - მხედრის ტყავის ჩანთა;

ბ) ^{KUŠ}A.GÁ.LÁ *TA-ḪAP-ŠI* - ცხენის ხურჯინი (ფალანი?);

გ) ^{KUŠ}A.GÁ.LÁ *TA-ḪAP-ŠI* pít-tu-la-aš- ცხენის ყულფიანი ხურჯინი.

2.1.4. ^{KUŠ}halaliya – „ქისა, ოქროს (მადნის ნატეხების) შესანახი ტომარა, აბგა“

2.1.5. ^{KUŠ}DÙG.GAN – „აბგა, (სხვადასხვა დანიშნულების) ჩანთა, ტომსიკა, ქისა, საფულე“

2.1.6. $^{(KUŠ)}$kaluha – „ტყავის ტომსიკა“

2.1.7. ^{KUŠ}kurša – „საწმისი“

როგორც ვიცით, სიტყვა *საწმისი* ქართულ ენაში დაკავშირებულია „წმენდასთან, დაწმენდასთან“. იგი უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა, „ოქროს საწმისს“, ანუ ვერძის ტყავს, რომლითაც ძველ კოლხეთში (და, როგორც ჩანს, მთელ დასავლეთ საქართველოში) მდინარეში „დაწმენდნენ“ ოქროს: ვერძის ტყავს ჩააფენდნენ მდინარეში იმ ადგილას, სადაც ოქრო იყო მოსალოდნელი. ბეწვიანი ტყავი იკრავდა ოქროს მარცვლებს. შემდეგ ამ ბეწვს გააცლიდნენ ოქროს და აგროვებდნენ. სწორედ ამიტომ გამოისახება ვერძის ტყავი ოქროსფრად და ამიტომაც ეწოდა მას „ოქროს საწმისი“. როგორც ჩანს, ოქროს მოპოვების ეს წესი მხოლოდ საქართველოში კი არა, მის სამხრეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ცნობილია ხეთური რიტუალი, რომელიც უკავშირდება ხეთების ღვთაება თელიფინუსა და პარალელს პოულობს ოქროს საწმისის რიტუალთან.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი მეგრული გამონათქვამი: „ტყებიშჩხაბაკუა“ - „ტყავისგახმობა“ ანუ, შესაწირის, ზვარაკის ტყავის გაფენა ხეზე“ (ქობალია, 2010:606), რომელიც, გარკვეულწილად ეხმიანება საწმისის თემას.

3. *საგებელი*

3.1. ^{KUŠ}NÍG.BÀR – „ფარდაგი“, „ფარდა“;

ახლახან ქართლში, კერძოდ, იგოეთში აღმოჩენილი 120 სამარხის თითქმის ყველა მიცვალებული ტყავშია გახვეული და იქვე დადასტურდა ბრინჯაოს სამაჯურებზე ქსოვილის ნარჩენები. როგორც ჩანს, ეს არის კოლხური დაკრძალვის წესი. რაც შეეხება ხეთებს, ისინი მიცვალებულს ჯერ წვავდნენ, შემდეგ ძვლებს ახვევდნენ სელის ქსოვილში - ^{GADA}kazzarnul და დაკრძალვის მრავალდღიანი რიტუალის დასასრულს ფიტულის თანხლებით მარხავდნენ. ეს მოგვაგონებს სამეგრელოში დღემდე შემორჩენილ რიტუალს – მიცვალებულის გამოსახულების თანხლებით დაკრძალვას. ამასვე ეხმიანება მეგრული იდიომი *ტყებიშ მიშაჭალა* – „ტყავში ჩაკერება“, რაც მიცვალებული მამაკაცის ტყავში გახვევასა და ხეზე შემოდებას გულისხმობდა, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით –წყევლას (ქობალია, 2010:606).

4. *ცხენის აკაზმულობა*

4.1. ^{KUŠ}annanuzzi – „სადავე“;

4.2. ^{KUŠ}*ELTUHHU* – „შოლტი“, „მათრახი“;

4.3. ^{KUŠ}gazzimuel – აკაზმულობის რაღაც X ნაწილი;

4.4. ^{KUŠ}huša – აკაზმულობის რაღაც X ნაწილი;

4.5. ^{KUŠ}IGI.TAB.ANŠE – „თვალსაფარი“;

4.6. ^{KUŠ}KA.TAB.ANŠE – „ლაგამი, პირსაფარი“;

4.7. $^{(KUŠ/SÍG)}$išmeri – „აღვირი“;

4.8. ^{KUŠ}*IN-NU*–აღკაზმულობის რაღაც X ნაწილი;

4.9. ^{KUŠ}tarušha – აღკაზმულობის რაღაც X ნაწილი;

4.10. ^{KUŠ}KAPILU – „ასალი“

5. *იარაღი*

აქტიური (უმუალოდ იხმარება ბრძოლაში) და *პასიური* (დამხმარე ატრიბუტი ბრძოლისას).

5.1.1. ^{KUŠ}*A-RÍ-TUM* – „ფარი“;

ა) *ARITU KASPI* – „ვერცხლის ფარი“;

ბ) *ARIAT HURAZI* – „ოქროს ფარები“;

გ) *ARIAT ERÎ* – „სპილენძის ფარები“;

დ) *ARIATE KABBUTATE* – „მძიმე ფარები“;

ე) *BĀB ARITUM* – „ფარის კარი/კარიბჭე/ჭიშკარი“;

ვ) DUMU LÚ *ARIT* – „ფარის მატარებელი“;

ზ) MUL *ARITUM* –„პლანეტა ვენერა“;

როგორც ჩანს, ძველანატოლიური ფარი, ქართული ფარის მსგავსად, ტყავისა იყო, რომელიც გადაკრული იყო ტირიფისგან (*ḪILĒPU)* დაწნულ რკალზე (შდრ. ზევსის ფარი ეგიდა – ჰეფესტოსის მიერ სპილენძისაგან გამოჭედილი ფარი, რომელზედაც ზევსმა თავისი გამზრდელი თხის – ამალთეას – ტყავი გადაჭიმა და მედუზა გორგონას თავი მიაკრა. ძვ.წ. მე-6 საუკუნიდან ეგიდა იყო ათენას ატრიბუტი). ფარს ამზადებდა *ფარის დამგაღი –AŠKAP ARĪTE*. აღსანიშნავია, რომ ტყავის ფართან ერთად ხეთები იყენებდნენ ხის ფარსაც ^{GIŠ}*ARĀTI* (დაწვრილებით იხ. ღამბაშიძე 2010:148). სამწუხაროდ, საქართველოს მსგავსად, არქეოლოგიურად ვერც ძველ ანატოლიაში დასტურდება ასეთი ფარები, თუმცა მეგრულში გვხვდება ტერმინი *ტყებიშ ფორი* – „ტყავის ფარი“ (ქობალია 2010:606).

5.1.2. $^{(KUŠ)}$párdug(g)anna – „მშვილდის/შუბის ხალთა“, „ბუდე“, „აბგა“;

საინტერესოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს რაჭველებს: „...იმათი ტანსაცმელი დიდად არ განსხვავდება იმერლების ტანისამოსისგან, მხოლოდ ზოგს მათგანს ხშირად ზურგზე დააქვს ცხვრის გუდა ან ხბოს ტყავის ხალთა...“ (ბაგრატიონი 1973).

5.2.1. ^{KUŠ}É.MA.ÚRU.URU/ $^{KUŠ/GIŠ}$É.MÁ.URU$_5$/ $^{KUŠ/GIŠ}$É.MÁ.URU$_5$.URU/ აქად. ^{KUŠ}*IŠPATU*, ხეთ. išpa(n)ti- –„კაპარჭი“ (მზადდებოდა ხისგანაც, სავარაუდოდ, მოწნული ტირიფისგან. გვხვდება აგრეთვე ტერმინი: MÁ.URU$_5$.TUR „პატარა კაპარჭი“).

რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, ვიტყვით შემდეგს: ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე ქართველური ეთნოკულტურული სამყარო მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძველანატოლიურ სამყაროსთან და ყველა ის კულტურული სიახლე, რომელიც ახლო აღმოსავლეთის არეალში ჩნდებოდა, ამ მიღწევათა ამსახველი ლექსიკით ილექებოდა ქართველურ ტომთა ენებში.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

ბაგრატიონი 1973 – ბატონიშვილი ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი.

გამყრელიძე 1984 – Т.В. Гамкрелидзе, Вяч.Вс.Иванов, Индоевропейцы и индоевропейский язык, Тбилиси.

თანდილავა 2013 – ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000 – ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

ორბელიანი 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ.ტ.IV$_{I-II}$ თბილისი, 1965-1966.

რიხტერი 2012 – Thomas Richter, Bibliographisches Glossar des Hurritischen, Wiesbaden.

საქმენი 2000 – ახალი აღთქუმაჲ, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი ტ. 3, თბილისი.

ქობალია 2010– ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ღამბაშიძე 2010 – Маия Гамбашидзе, Древнеанатолийский щит и

его кавказские паралелли, Международная конференция «Археология, Этнология, Фольклористика Кавказа», Тбилиси.

ღამბაშიძე 2013 – მაია ღამბაშიძე, ფეხსაცმლის სახობანი ხეთურ ტექსტების მიხედვით, აღმოსავლეთმცოდნეობა, N 2, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1986 – დავით ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

Maya Gambashidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
mgambashidze@gmail.com

Manana Chirakadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
mchirakadze@gmail.com

Keywords: terminology, leather terms, old Anatolian.

The System of Leather Terms and its Old Anatolian Parallels

Summary

In all languages of the world, lexical units and notions connected with leather are one of the oldest layers of the particular language.

Accordingly, terms connected with the thematic unit “leather” reflect the history and culture of the society that created, manufactured or used it. Consequently, lexical connections between different languages reflect cultural interrelations between the societies using these languages.

This article attempts to show how close the Kartvelian ethnocultural world was to Anatolian cultures at the turn of the III-II millennia B.C. based on ancient Anatolian lexical data and their correlates in Georgian. Furthermore, any technological innovation in the ancient Near Eastern world was simultaneously reflected in the Kartvelian language and, therefore culture.

გიორგი ცოცანიძე
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
G.tsotsanidze@email.ru

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, დარგობრივი ტერმინოლოგია, ლუდის ტერმინოლოგია, ალუდი.

ლუდი და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ქართველ მთიელთა მეტყველებაში

წითელს ღვინოსა, შავს ლუდსა
განა ერთფერად სმა უნდა?!
ენაზე მომდგარ სიტყვასა
განა სუყველას თქმა უნდა!

შემთხვევით არ ვიწყებთ ამ ნაწერს ხალხური პოეზიიდან მოხმობილი ბრძნული გამონათქვამით: როდესაც საგანი ხალხის სულიერების ისეთ სფეროში დაიმკვიდრებს ადგილს, როგორიც პოეზიაა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ამ ხალხის ყოფიერებისათვის ტრადიციული და საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე, მისი თვითმყოფადი კულტურის ორგანული ნაწილია. უეჭველი მაგალითებისთვის შორს წასვლა არ მოგვიხდება – ღვინის ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფის ორგანულობას მტკიცება არ სჭირდება და, შესაბამისად, არც პოეზიაშია მისი ადგილის დამადასტურებელი მაგალითებია საძებნი:

„ღვინოვ, შე ჭაჭანაურო,
უცეცხლოდ ამოსდუღდები,
ჭკვიან კაცთანა ბრძენი ხარ,
უჭკოსთან ამოჰქუხდები“.

ანდა:

„ღვინო კი მათრობელი ჯობს,
ძაღლი – თეოზე მყეფარი,
ვაჟკაცი წყნარი ჯობია,
რო გაჭირდება – მჭეხარი“.

ეს ხალხური პოეზიის ნიმუშებია. კლასიკური მწერლობიდან ხომ იმდენი მასალის მოხმობა შეიძლება, რომ მათგან ტომეულებიც

კი აიკინძება. რად არ ღირს თუნდ ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსის ეს სტრიქონებიც კი:

„დამისხი, დამალევინე
ეგ ღვინო, ოხერ-ტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო
სოფლის უკუღმა ტრიალი“...

ასე რომ, ქართველთა ცნობიერებაში დამკვიდრებული გამოთქმა – საქართველო ღვინის ქვეყანააო – ჭეშმარიტია ფაქტობრივადაც და ლოგიკურადაც. ჩემი ღრმა რწმენით, ასეთივე ჭეშმარიტულობის უფლება აქვს გამოთქმასაც – საქართველო ლუდის ქვეყანააო, თუმც იგი აქამდის არავის უხმარია, რადგან საქართველოს ერთ მნიშვნელოვან ნაწილში – თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და ხევ-მთიულეთში – იგი ისეთივე ძირძველი, ტრადიციული, რიტუალური (გნებავთ, საკრალურიც) პროდუქტია, როგორიც ღვინოა საქართველოს დანარჩენ კუთხეებში და ლუდიც ხომ ის სასმელია, რომელიც კაცს „სოფლის უკუღმა ტრიალს“ წაღმა აფიქრებინებს, სუსტსა და უძლურს თავს ძლიერად მოაჩვენებს, სიცოცხლეს გაულამაზებს. არც ის ლეგენდა უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ლუდის თვისებებისა და მისი დამზადების საიდუმლოს კაცი ჩიტმა აზიარა:

„ჩიტმა თქვა, ერთი მარცვალი
გზაზე ავკენკე, დავითვერ,
მანამდის პატარა ვიყავ,
გორისოდენა შავიქენ”.

და ის მარცვალი, პატარა ჩიტს რომ ბუმბერაზ, მძლეთამძლე არსებად წარმოადგენინა თავი, სვიის თესლი იყო. ლუდით დათრობამ კი ხევსურ გვიანაურს ომის რომანტიკა მოანატრა:

„დაითვრა გვიანაური,
თავ დაიჭირა ხელითა,
– შავხლის ხანჯრადამც მაქცია,
ერთ რო სხვას მკრევდა წვერითა,
ერთკეით დაღირებული
გავჩინდებოდი მღერითა“.

პიროვნების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები: დაბადება, ნათლობა, ქორწილი, მიცვალებულის ხსოვნის, სახალხო რელიგიური დღესასწაულები და მათთან დაკავშირებული საწესჩვეულებო რიტუალები ხომ მთიელთაგან არც კი წარმოიდგინებოდა ლუდის თანხლების გარეშე. მისი სიძველის დამადასტურებელია ის ფაქტი,

რომ აქ ჩამოყალიბებულია ლუდის დამზადების სრულიად ორიგინალური ტექნოლოგია და შექმნილია მის წარმოებასთან დაკავშირებული ერთობ მდიდარი ტერმინოლოგია. ოღონდ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლუდის წარმოების ნამდვილი ხალხური წესები თითქმის ყველგან დავიწყებულია, გარდა თუშეთისა და, ამდენად, ლუდის დამზადებასთან დაკავშირებული ტერმინებიც სრულყოფილად მხოლოდ თუშურ დიალექტშია შემორჩენილი. აქედან გამომდინარე, „მელუდეობის“ აქ წარმოდგენილი ტერმინოლოგიაც, ძირითადად, თუშური დიალექტის მონაცემების საფუძველზე აღიწერება.

ლუდი – სუსტი ალკოჰოლიანი სასმელი, რომელიც მზადდება მარცვლეულის ფქვილის ალაოსა და სვიის ყვავილისაგან. ასეთია ამ სიტყვის სალექსიკონო განმარტება. თუშურ კილოში ეს სიტყვა *ალუდი* ფორმით იხმარება, განმარტება იგივე იქნება, დაემატება, რომ იგი მზადდება დიდი რიტუალური სუფრებისათვის – *ხატობების, ქორწილების, სამხვდო-სანათლავებისთვის* და *მკვდართრიგებისთვის* – მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სუფრებისათვის, როგორიცაა ორმოცის რიგი, იგივე *სანთელსაწვაო,* წლის რიგი, იგივე *წელთაოგა* და *სამონანულო* – ჭირისუფლის მიერ დროის გასვლის მერე გადახდილი არასავალდებულო მოსახსენიებელი სუფრა.

თუშეთში ლუდის დამზადება-დაყენებისა და მისი გამოყენების სფეროებს უკავშირდება საკმაოდ მდიდარი ტერმინოლოგია, რომლის უბრალო ჩამოთვლაც კი ცხადყოფს ამ სიმდიდრეს. დავიწყოთ თუნდ იმით, რომ ამ დიალექტში თვით სიტყვა *ალუდიც* ტერმინიზებულია და აღნიშნავს გარდაცვლილის წლის თავზე გამართულ მოსაგონარს სხვადასხვა საწესჩვეულებო რიტუალითა და ცერემონიით. თუ სადმე გაიგონებთ, რომ მავან კაცს დედის, მამის თუ ვინმე სხვის *ალუდი აქვსო,* ეს იმას ნიშნავს, რომ ჭირისუფალი თავის გარდაცვლილს წლის თავის მოსაგონარ სუფრას უმართავს. ამავე *ალუდს* უკავშირდება მთელი რიგი ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინებისა და ტერმინოლოგიური გამოთქმებისა: *ფლასი* – ხელით ნაქსოვ საფენზე, იგივე „ფლასზე“ დალაგებული მიცვალებულის ტანსაცმელი და პირადი ნივთები, რომლებიც *ალუდის* გადახდის შემდეგ დაურიგდება მის თანატოლებსა და ახლობლებს გარდაცვლილის სახსოვრად. მიცვალებულის ამ ნივთების სახსოვრად გადაცემაც სპეციალური ტერმინით აღინიშნება: მას *გართმა* ჰქვია. *ფლასის* გაწყობასაც თავისი ტერმინი აქვს: *ფლასის დაგება; ფლასის დაგებას* ახლავს მცირე მოსაგონარი სუფრა, რომლის დროსაც ჭირისუფალი მოტირალ ქალებს მო-

იწვევს და მართავს *დედათტირებას. დედათტირება* წლის განმავლობაში რამდენჯერმე იმართება. მიცვალებულის *ალუდი* ჩვეულებრივ ზაფხულში იმართება. ამ დროს *ფლასი* გარეთ გამოაქვთ – გარდაცვლილის ეზოში ან სოფლის *საჯარეში,* რომლის ირგვლივაც მოტირალი ქალები სხედან და დასტირიან მას. *ალუდი* იმართება ცხენთა რბოლით, შეჯიბრით და ამ შეჯიბრს *სადგინი* ჰქვია. სადგინი მხოლოდ *ალუდში* გამართული დოღია. ამდენად ისიც მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ტერმინია. როცა *ალუდი სადგინით* იმართება, *ფლასის* მარჯვენა მხარეს დევს *ალამი.* სადგინში გამარჯვებული ცხენ-მხედრის უპირველესი ჯილდო; მარცხენა მხარეს ძირს დაფენილ ტილოზე ალაგია *საკვამლო კვერები* – პატარა მრგვალი პურები, იმდენი, რამდენი ოჯახიც ცხოვრობს იმ სოფელში და რომლებსაც შუაში ჩარჭობილი აქვთ პატარა ჩხირები ზედ შებმული თეთრი ნაჭრის ლენტებით. ალუდის მეორე დღეს ჭირისუფალი *საკვამლო კვერებს* ოჯახებს ჩამოურიგებს, რომლის დროსაც ამ კვერის მიღებისას ერთი ყანწი სასმლით კვლავ შეისმის გარდაცვლილის შესანდობარი. ეზოში გაშლილი ფლასის წინ დგება ხუთი ცხენოსანი მხედარი. მხედართა ამ მწკრივს *სადალაო* ჰქვია. სადალაოში ერთი აუცილებლად *სულის ცხენია,* რომელიც მღვდლისგან ამ მიცვალებულისთვისაა ნაკურთხი. ერთი *დედისძმათ* ცხენია. *დედისძმანიც* ტერმინია და აღნიშნავს გარდაცვლილის დედის მხრის ყველაზე ახლობელ ოჯახს, სადაც *სადგინის* წინ უნდა წავიდეს სადგინში მონაწილე მთელი მხედრობა და მონაწილეობა მიიღოს იქ *დედისძმათაგან* გამართულ მოსახსენებელ სუფრაში. დედისძმათსა უმყოფელ ცხენ-მხედარს სადგინში მონაწილეობის უფლება არა აქვს. *ფლასის* წინ მდგომი ეს ხუთი მხედარი ასრულებს სამგლოვიარო მოძახილს, რომელსაც *დალაობა* ჰქვია. ამ მხედართა შორის *სულის ცხენზე* ზის *დალაობის* დამწყები და საერთოდაც ამ *ალუდის* გადახდისას რიტუალური წესების აღსრულებისას მთავარი პერსონა *მოდალავე. ალუდის* დამთავრების მერე *სადგინში* მონაწილე ცხენების პატრონებს დაურიგდებათ ნივთიერი პრიზები და გარკვეული თანხა შეჯიბრში დაკავებული ადგილების მიხედვით, რომელსაც *ცხენჯამაგირი* ეწოდება. *სადგინის* პერსონაჟთა შორის არიან *მეალმე,* რომელსაც აბარია ალამი და რომელიც მას მიიტანს სარბოლი დისტანციის ბოლოს, *საალმეში* და რომელიც *სადგინში* მონაწილე მხედრებს ურიგებს ნომრებს მათგან დაკავებული ადგილის მიხედვით. არის *მეალუდე,* რომლის ცხენსაც ალუდიანი ტიკები ჰკიდია და ვინც ფინიშთან მისულ ყველა მხედარს სთავა-

ზობს თითო თას ალუდს გარდაცვლილის შესანდობრის კიდევ ერთხელ სათქმელად. მხედრობა სტარტთან მიჰყავს *დამსწორებელას* – ხელარგნიან ხანდაზმულ საპატივცემულო პიროვნებას, რომელიც თვალყურს იჭერს, რომ სასტარტო ნიშნის მიცემამდე ვინმემ ცხენი *დატყუებით* არ *არბიოს*. ასეთ ცხენ-მხედარს სადგინში მონაწილეობა არ ეთვლება და იგი ვერ მიიღებს ვერც შესაფერის პრიზსა და ვერც *ცხენჯამაგირს.*

საგანგებო ტერმინოლოგიით აღინიშნება ლუდის დასამზადებლად საჭირო პროდუქციაც და ინვენტარიც, აგრეთვე ის სათავსო ნაგებობანიც, სადაც იხარშება ლუდი და შემდეგ ხდება სპეციალურ ჭურჭლებში მისი დაფუვლება-დადუღება. საგანგებო ტექნოლოგიური პროცესების გზით მიღებულ დაფქულს, რომლიგანაც იხარშება ლუდი, *ფორი* ჰქვია. იგი ,უმეტესწილად, ქერისგან მიიღება. ქერის საჭირო რაოდენობას ხის ჭურჭელში ჩაყრიან და სამი დღით ასე აჩერებენ. ამ ხნის განმავლობაში იგი კარგად დალბება. ამ დალბობილ მარცვალს ცხრილ-ცხავების საშუალებით კარგად გაწურავენ. მერე მიწის იატაკზე სქელ ფენად, დაახლოებით ერთი ციდის სისქისად, დაყრიან, დააფარებენ ნაბდებს და ნაქსოვ საფენებს, ფლასებს, კარგად დათბილავენ. ამას *ფორის ჩადება* ჰქვია. სამი დღეც ასე ინახავენ. ამ ხნის განმავლობაში მარცვალი გაღივდება – *„დაკიაპდება“*. შემდეგ მას ერთ გროვად ააგროვებენ, კვლავ დაათბუნებენ და სამი დღეც ასე დატოვებენ. ამ დროს ფორი *ჩატკმებაო* ამბობენ, თან გამოუშვებს *აბროშას* ფესვის პირველ ფუნჯებს. ამ დროს ქერში სახამებელი შაქრებად გარდაიქმნება. ამის შემდეგ მარცვალს ფარდაგ-ხალიჩებზე თხელ ფენად გაშლიან. იგი კარგად უნდა გახმეს. ფორი საწისქვილედაა გამზადებული. წისქვილში მას მსხვილად, *მარილოვულად,* დაფქვავენ და *საალუდე ფორი* მზადაა ლუდის მოსახარშად.

ნაგებობას, სადაც ლუდი იხარშება, *საქვაბე* ჰქვია. იგი წმიდა ადგილია – იქ *მრეცხელი* ასაკის მდედრი ფეხს ვერ შეადგამს. *საქვაბეში* ინახება ლუდის მოხარშვისას საჭირო ყოველგვარი ჭურჭელი და ინვენტარი. მთავარი აქ *ქვაბია* – სპილენძის ბრტყელი ნაჭრებისაგან შეკერილი (აქ *აგებულს* იტყვიან) ქვევრის ფორმის ქვაბი, რომელშიც იხარშება სალუდე მასა. იგი მუცლამდის ჩადგმულია ბუხრის ფორმის ფიქალი ქვისაგან აგებულ საცეცხლურში, რომელსაც *ყვერბი* ჰქვია. ყვერბის კედლებსა და ქვაბის ქვედა ნაწილის გვერდებს შორის საკმაო ადგილია ცეცხლის დასანთებად. *საალუდე ქვაბში* საჭირო რაოდენობის წყალში იხარშება ფორი, რომელიც მთელ თავის სიტკბოს დუღი-

ლისას წყალში გამოსცემს. საქვაბშივეა ლუდის ხარშვისას საჭირო *სახმარ-საციქველი. საკედეები – ყურშატიანი* სპილენძის დიდი ქვაბები, რომელთა გადატანა-გადმოტანაც ხდება ყურებში გაყრილი კეტებით, თუშურად – *კედებით.* აქედანაა მისი სახელიც *საკედე.* არის ერთი ან ორი *საწდე* – სპილენძის ორი-სამი ფუთი სითხის ტევადობის კასრის ფორმის ჭურჭელი; აგრეთვე რამდენიმე *ჩხუტი,* იმავე ტევადობისა, ოღონდ შედარებით წვრილი და მაღალი, რომლებიც ხის მთლიანი ტანისაგან არიან გაკეთებულები, არის თხის ბალნის ნართისაგან მოქსოვილი *ხაკები* – ტომრები, რომლების საშუალებითაც ხდება *ფორის* ნახარშის გაწურვა. არის *ჭაჭუკა,* ერთ ფუთამდე ტევადობის, აგრეთვე მთლიანი ტანისაგან გაკეთებული კასრი პირზე გამოყვანილი ბაგის მსგავსი სითხის გადმოსასხმელი *ჭაჭით* და ზედვე გამოყვანილი ფინჯნის სახელურის მსგავსი სახელურით. იგი გასაწური მასის *ხაკებში* ჩასასხმელად გამოიყენება. აქვეა ერთი ან რამდენიმე *ტარკოშა,* აგრეთვე ხის ტანისაგან დამზადებული დიდი საწვნის (2-3 ლიტრის ტევადობის) მსგავსი კოში, ნახარშისა და ლუდის ჭურჭლიდან ამოსაღებად და გადასასხმელ-გადმოსასხმელად სახმარი. არის აგრეთვე ფრიად საჭირო ხელსაწყოები: *სამჭირა* და *საყელა,* ხაკებში ჩასხმული ნახარშის ბოლომდის გამოსაჯურად. *საყელა* ნახევარ მეტრამდე სიგრძის მკლავისსისქე ხეებია, შუა ადგილებით დაგრეხილი წნელით გადაბმულები, *სამჭირა* ორკაპი ბოლოებით დაგრეხილი წნელით გადაბმული ხეებია. *საყელათი ხაკებს* პირებს მოუკრავენ, როცა სალუდე ნახარშს ჩაასხამენ გასაწურად, *სამჭირათი* კი ამ მასას ბოლომდის გამოწურავენ. ეს გამონაწური წვენი ტკბილია და მას *დარკო* ჰქვია. ხაკებში დარჩენილი მასა *ხოტია. ხოტს* ახლად ხბომოგებულ ფურებს აჭმევენ, კარგად მოიწველებაო – დარკოს სუფთად გამორეცხილ ქვაბში ჩააბრუნებენ, გარკვეული რაოდენობის გამხმარ *სვიას* ჩააყრიან, ცეცხლს შეუნთებენ და ხარშავენ. სვია მას მწარე გემოს აძლევს. ამ ნახარშს მტკიცე ცხრილში ან მკლავში ჭვავისჩალაგაჩრილ *ზარფუშში* (არყის გამოსახდელი ქვაბის თავსახურია) გაწურავენ. ეს გამონაწური სითხე *ზისწვენია* (სვისწვენი) – სალუდე მასალა. *ზისწვენს* მთელი ღამით დატოვებენ სხვადასხვა ჭურჭელში გადასხმულს. მეორე დილისთვის იგი კარგად გაცივდება. მას უკვე ხის დიდ კასრში – *კოდში* მოუყრიან თავს, გარკვეული წესით მომზადებულ საფუარს, – იგივე *ასაყუოს* მისცემენ, თავზე სუფთა ტილოსა და ფარდაგს გადააფარებენ. საღამოსთვის იგი ფუილს დაიწყებს, ანუ, როგორც აქ ამბობენ, *აიღებს* და სამ-ოთხ დღეში *ლუდის ზედაშე* მზად არის. ფუილისას ალუდი

თავზე ბლანტე მასას მოიგდებს. ეს *თხლეა.* გამოყენების წინ *თხლეს* მოხდიან, სუფთა ლუდს ამოიღებენ და იმისდა მიხედვით, თუ რისთვისაა იგი განკუთვნილი, შესაბამისი სარიტუალო ტექსტის თანხლებით *დალოცავენ* და ლუდი მზადაა სახარჯავად. დალოცვის ამ რიტუალს ტერმინოლოგიურად *კოდის ლოცვა* ჰქვია.

სტატიაში განხილულ ტერმინთა ანბანური ჩამონათვალი ასეთია: აბროშაცრ, ალამრ, ალუდრ, ასაყუოჲ, გართმაჲ, დაკიაპებაჲ, დამსწორებელაცრ, დალაობაჲ, დატყუებით, დედისძმანრ, დედის ძმის ცხენრ, კოდრ, კოდის ლოცვაჲ, მეალუდეჲ, მოდალავეჲ, სადალაოჲ, სადგინრ, საკვამლო კვერებრ, სამჭირაცრ, საქვაბეჲ, საყელაცრ, საწდეჲ, სახმარ-საციქველრ, საჯარეჲ, სვეჲ, სულის ცხენრ, ტარკოშაცრ, ფლასრ, ფლასის დაგებაჲ, ფორის ჩადებაჲ, ქვაბრ, ყვერბრ, ჩხუტრ, ცხენჯამაგირრ, ჭაჭუკაცრ, ხოტრ.

Giorgi Tsotsanidze
TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics, Georgia
G.Tsotsanidze@email.ru

Keywords: Terminology, Specialized Terminology, Beer and Related Terminology.

Beer and Related Terminology in the Mountains of Georgia

Summary

Beer, a commonly accepted dessert product, is simply and plainly defined in the Georgian dictionaries as the mild alcoholic beverage made from cereal flour, malt and hop flowers. An entirely clear and concise definition, it completely fails to portray the essence and value it has as a cultural phenomena for the Georgian Highlander, particularly for the Khevsurian and the Tushetian conscience.

Beer is not merely a drink— an attribute of dinner, evening, a snack table or something drunk after a meal— but it is sacral, ritual

drink and is made only for the *Supras* ("feasts") on special occasions. Such *Supras* were not rare in the mountainous regions but happened rather frequently: 1. common religious celebrations in winter and summer; 2. weddings; 3. big *Supras* for the respect of cult of the deceased (i.e. a whole chain of ceremonial procedures dedicated to the commemoration of the departed); 4. related to some kind of hard work when there is a need for an additional work force (particularly, the helping hand of neighbors or clansmen); 5. certain special occasions accompanied by the great consumption of drink, namely, the consecration of a newly built house, the so-called *სახლის სამხდო*; the blessing of a flock of sheep (*დაკოჭვა*) by the Khevsurian archpriest; or the so-called *სახევსუროები (sakhevsuroebi)*, the Khevsurs' semi-pagan gathering to meet a guest with a sacrificial killing.

In Khevsureti and Tusheti, regions with a long and ancient history of Georgian beer production, there is a neverending circle of a chain of agricultural activity and symbolic-sacral actions that take place long before the "nectar" from the sacred earth ever undergoes its transformation into beer and a priest standing with a priestly bowl in his hand in the brewing room next to a *კოდი* (*kodi* - "a special bowl") with candles at its edges makes a toast in praise of God.

Every step in the long marathon of man's domestic work that is connected to the production of beer is stamped with a sacred mark. Sacred is the field where the brewer's barley is sown – it is called *ჯვარისყანა* ("cross-field"). Sacred is the ritual where the ploughman performs the bringing of the ox and plough to this field – the Tushetians call this უღელდება ("ugheldeba") and it takes place on a special day *ოცობა* (*otsoba*). Prayers are recited at the time of the harvesting of the field, at the reaping and threshing, when the beer is boiled and the already boiled beer is poured into the *კოდები* (*kodebi* – "the special bowls") and they are blessed. Sacred too are the storerooms and facilities where the beer is boiled and brewed (*საქვაბე, საფუარი*) – womenfolk and "evil" persons may not step foot in them.

The themes mentioned above provide an abundant set of specialized vocabulary discussed in the paper.

სოფიკო ჭაავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
geosofikotchaava@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ქართული ტერმინები, საერთაშორისო ტერმინები, ტერმინთა მიღების პრინციპები.

ტერმინოლოგიის შემუშავების პრინციპები და მათი დაკანონების პროცედურა 1918-1923 წლებში (საარქივო მასალების მიხედვით)

საქართველოს ეროვნული არქივის განათლების სახალხო კომისარიატის (შემოკლებით: განსახკომი) ფონდში დაცულია მასალები, რომლებშიც აღწერილია სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს დაქვემდებარებული კომისიებისა და სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის მიერ შემუშავებულ ტერმინთა მიღების დებულებები, ცალკეული სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინების ნუსხა და საერთო სალიტერატურო ქართულისათვის მისაღები ფორმების განხილვის პროცესები.

1923 წელს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ივ. ჯავახიშვილი განათლების სახალხო კომისრისადმი გაგზავნილ წერილში აღწერს 1918 წლიდან 1923 წლამდე საქართველოში ტერმინოლოგიის შემუშავების ეტაპებსა და მათი დამკვიდრების პრინციპებს. ივ. ჯავახიშვილის ცნობით:

„ჯერ კიდევ 1918 წელში, როდესაც დაწესებულებათა გაეროვნულება დაიწყო და მასწავლებელთა საზაფხულო კურსები მოეწყო ტფილისში მასწავლებელთა ყველა საგნების ქართულად სწავლებისათვის მოსამზადებლად, მაშინ შესდგა ყოველ დარგისთვის მასწავლებელთა კომისიები, რომელთაც მასალები ჰქონდა მოწოდებული ტერმინების შესამუშავებლად. ამ კომისიებმა შეადგინეს კიდევ ერთგვარ შეთანხმებებზე დამყარებული ტერმინოლოგია, რომელსაც დროებითი ხასიათი ჰქონდა, სანამ საქართველოს სათანადო დაწესებულება ყველასათვის სავალდებულო საერთო ტერმინოლოგიას არ დააკანონებდა. ამის შემდეგ მალე თანდათანობით სხვა და სხვა საგნებისთვის სახელმძღვანელოც შეიქმნა სხვა და სხვა პირთაგან შედგენილი და გამოიცა კიდეც. ამ სახელმძღვანელოებში ტერმინოლოგიის ერთგვაროვნება დაცული არ იყო და ამის გამო ისეთი მდგომარეობა შეიქმნა,

სხვა და სხვა სასწავლებელში ზოგჯერ ერთი და იმავე სასწავლებლების სხვა და სხვა კლასების მოწაფეებს სახელმძღვანელოების და მასწავლებლების და მიხედვით ზოგიერთ ტერმინს სულ სხვა და სხვა ნაირად ხმარობდნენ“[1]. (სეა N123).

როგორც ვხედავთ, ქართული ტერმინოლოგიის შემუშავებისა და დაკანონების აქტიური პროცესები მას შემდეგ დაიწყო, რაც 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მმართველობის პირობებში საქმისწარმოებისა და სწავლების ენად ქართული გამოცხადდა. მასწავლებელთა კომისიების მიერ შედგენილი დროებითი ტერმინოლოგია, ცხადია, ვერ იქნებოდა მაღალპროფესიული სტანდარტების შესაბამისი. მით უფრო, რომ ამას დაერთო სხვადასხვა პირის მიერ თვითნებურად შედგენილი სახელმღვანელოები, რომლებშიც ტერმინები საერთო შეთანხმების გარეშე იყო გამოყენებული. საბოლოო ჯამში, ზემოაღნიშნულმა ფაქტებმა ენობრივი სიჭრელე გამოიწვია, ვინაიდან სხვადასხვა სასწავლებელი, მასწავლებლები, მოსწავლეები და სახელმძღვანელოთა ავტორები ერთსა და იმავე ტერმინს განსხვავებული მნიშვნელობებით იყენებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარე თავის მოხსენებაში აგრძელებს 1919-1920 წლების ტერმინოლოგიის მიღების ისტორიას. ივ. ჯავახიშვილის ინფორმაციით: „1919 წელს შედგა ერთი ჯგუფი, რომელმაც ტეხნიკური ტერმინოლოგიის ქართულად შექმნა დაისახა მიზნად. ამ ჯგუფში უმთავრეს მონაწილეობას იღებდნენ და-ძმანი ნიკოლაძენი და ტეხნიკოსები, რომელთაც თუმცა კეთილი განზრახვა ჰქონდათ, მაგრამ ქართული ენის ბუნების უცოდინარობის გამო ასეთი რთული და პასუხსაგები საქმისთვის სრულებით მოუმზადებელნი იყვნენ. თავიდან ეს ჯგუფი ყალბს შეხედულებას მიემხრო და მცდარს გზას დაადგა. ჩეხურ-გერმანულ უკიდურეს ნაციონალისტურ მიმართულების მაგალითისამებრ მათაც გადასწყვიტეს ქართული ენიდგან სამეცნიერო ტერმინილოგიის ყველა საერთაშორისო სიტყვების განდევნა და მათ მაგიერ უეჭველად ქართულად ნათარგმნი ან სრულებით ხელოვნურად მცდარად ნაწარმოები მოგონილი სიტყვები შემოეღოთ და გაევრცელებინათ. 1920 წელს ამ ჯგუფმა დაბეჭდა კიდეც თავისი ნამუშევარი, *„რუსულ-ქართული ტეხნიკური ლექსიკონი /„სიტყვარი“/“*, რომელიც თავიდგან ბოლომდის ამ მცდარსა და უკუღმართს საფუძველზეა დამყარებული.

[1] სეა, ფ. 471, ანაწერი 1, N123, მოხსენება განსახკომისადმი ქართული სამათემატიკო ტერმინოლოგიის დამტკიცების შესახებ, 4. VIII. 1923, გვ. 3.

ამის წყალობით Азот – აზოტის მაგიერ მათ შეთხზეს „ჰაისი“, Азо-грунт-ისთვის „აწყვირთო“, „ჰართო“, ანალიზის მაგიერ – „აღლევა“, სინთეზის მაგიერ – „აღკაზმა“, познание-სათვის ჩვეულებრივ მიღებული „შემეცნების“ მაგიერ მათ შეთხზეს არ არსებული და ქართულად არაფრის მნიშვნელი „გნობა“, ინდუქციის მაგიერ „აღგნობა“, პედოლოგიისათვის „ბავშვოგნობა“, „ბუნებისმეტყველების“ მაგიერ „ბუნებგნობა“, გეოლოგიისათვის „სივრცგნობა“, ოპტიკისათვის „სხივთგნობა“, ქიმიისათვის „ნივთგნობა“, სპექტრისათვის „შიშუქი“, კუბის მაგიერ „წესვრცი“, პირამიდის მაგიერ „ფერადო“, ცილინდრის მაგიერ „გოდლი“, ეკვატორისთვის „შუამპი“, ელექტრონის მაგიერ „ელვისო“ და მრავალი სხვა ამგვარი სრულებით უვარგისი და ქართულის არაფრის მეტყველის სიტყვებით არის სავსე ეს ლექსიკონი. ამ ტერმინების დასწავლა უეჭველია უფრო ძნელი იქნება, ვიდრე უკვე არსებული საერთაშორისო. ამ ლექსიკონის შემდგენელთ დავიწყებიათ, რომ ჩეხიაში და გერმანიაში ჯერ ერთი ტერმინების გადმომთარგმნელნი თავიანთი ენის ბუნების მცოდნენი იყვნენ და დედა ენას არ ამახინჯებდნენ და მეორეს ის, გერმანელები ასი წლის განმავლობაში სცდილობდნენ ამის განხორციელებას თანდათანობით. მათ კი სრულებით მოუმზადებლებს ამის გაკეთება ერთბაშადა სურთ. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსიკონმა ქართულ ენას და სამეცნიერო მწერლობას უფრო მეტი ვნება და ზიანი მოუტანა, ვიდრე სარგებლობა და ისედაც რთული საქმე უფრო გააძნელა და აწეწა“ (სეა 123:3).[1]

1920 წელს სასწავლო კომიტეტმა გადაწყვიტა მიეღო საერთოდ ყველასთვის სავალდებულო ტერმინოლოგია. ამისთვის კომიტეტის წევრებმა ერთმანეთს შეადარეს და შეაჯერეს სხვადასხვა სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინები და შექმნეს *„საშუალო სასწავლებლების საერთო სამათემატიკო ტერმინოლოგია“.*

ტერმინოლოგიის შექმნა-დამტკიცების პროცედურა რადიკალურად შეიცვალა 1921 წელს საქართველოში რუსეთის მიერ საბჭოთა ხელისუფლების უკანონოდ დამყარების შემდეგ. ახალი იდეოლოგიი-

[1] *დოკუმენტში ხსენებული და-ძმა ნიკოლაძეები იყვნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის შვილები: ქიმიკოსი, ქიმიის ტერმინოლოგიის ერთ-ერთი შემდგენელი, პროფ. რუსუდან ნიკოლაძე (1884-1981 წწ.) და მათემატიკოსი, მეტალურგი, სპორტისა და ალპინიზმის ორგანიზატორი გიორგი ნიკოლაძე (1888-1931 წწ.).* (სიტყვარის შესახებ იხ. ამავე კრებულში: ლია ქაროსანიძე „სიტყვარი – პირველი ქართული ტექნიკური ლექსიკონი 100 წლისაა“).

სა და პოლიტიკური ორიენტაციის მესვეურების მიერ დაგეგმილი რეფორმების ფარგლებში 1921 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომლის პირველი სხდომა გახსნა განათლების სახალხო კომისარმა *დ. კანდელაკმა.*

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს *ივანე ჯავახიშვილი,* მდივნად – *მიხეილ ზანდუკელი,* ხოლო საბჭოს წევრები გახდნენ: *მ. თაქთაქიშვილი, გედევანიშვილი, გიორგი ახვლედიანი, მიხეილ ზანდუკელი, სერგი გორგაძე, ვუკოლ გერიძე, კორნელი კეკელიძე, მ. კონიაშვილი, ალ. ჟორჟოლიანი, დიმიტრი უზნაძე, გ. ჭუმბურიძე, ევ. ჭოლოშვილი, ილ. ყიფშიძე, აკაკი შანიძე, მ. შალამბერიძე, ალ. წერეთელი, სარგის კაკაბაძე, თ. კიკვაძე.* საბჭოში შეიქმნა სამი სექცია: 1. სამეცნიერო-პოლიტიკური; 2. სამეცნიერო-ტექნიკური; 3. სამეცნიერო-პედაგოგიური“. საბჭოს უმთავრესი სტრატეგიული მიმართულება იყო ქართული ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნა-დაკანონება და ტერმინოლოგიური სიჭრელის დაძლევა: „უნდა მოისპოს ის საშინელი ენათა აღრევა, რომელიც არსებობს დღეს. აი, უპირველესი და უახლესი მიზანი ჩვენი მუშაობისა“, – აღინიშნა საბჭოს პირველსავე სხდომაზე (სეა N3).

მართლაც, აღნიშნულ პერიოდში სამეცნიერო საბჭოს მუშაობა აქტიურად და ნაყოფიერად მიმდინარეობდა. სამუშაო პროცესს წარმართავდნენ სხვადასხვა მიმართულების საგანგებო კომისიები, რომელთა მიერ დამუშავებული მასალები და რეკომენდაციები საბოლოდ განიხილებოდა და მტკიცდებოდა სამეცნიერო საბჭოს მიერ.

1921 წელს აღნიშნული ორგანოს წევრებმა, ძირითადად, შეიმუშავეს ქართული სალიტერატურო ენისათვის მისაღები საერთო ფორმები;

1922 წლისთვის დაიწყეს მზადება ტექნიკური ტერმინოლოგიის მისაღებად;

1922-1923 წლებში მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა ახალი ლექსიკური ერთეულების დამუშავების პრინციპები;

1923 წელს სამეცნიერო საბჭომ ცალ-ცალკე განიხილა დარგობრივ და სამეცნიერო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები.

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1921 წლის სხდომების ოქმებში მოცემულია მსჯელობა საერთო სალიტერატურო ენაში დასამკვიდრებელი სწორი გრამატიკული ფორმების შერჩევისა და დაკანონების შესახებ. ყოველი საკითხის განხილვა რთული და შრომატევადი

იყო, ვინაიდან საბჭოს წევრებს ჰქონდათ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მოსაზრებები, რის გამოც ხშირად ვერ ხერხდებოდა საერთო აზრის შეჯერება. მიუხედავად ამისა, 1921 წელს სამეცნიერო საბჭომ ჩაატარა ათეულობით სხდომა, სადაც მწვავე კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინეს ქართულ ენასა და მის დიალექტებში გავრცელებულ ფორმათაგან სალიტერატურო ენაში გამოსაყენებელი სიტყვები. მეცნიერები უმთავრესად დავობდნენ მათი შერჩევის პრინციპებზე, რომლებიც წინასწარ არ იყო შემუშავებული, ამიტომ მუშაობისას იკვეთებოდა ამა თუ იმ შესაბამისი ფორმის მიღების საფუძველი, კერძოდ: 1. ისტორიულად დამკვიდრებული ძველი სიტყვები;

2. ხალხში და მწერლობაში გავრცელებული სიტყვები; 2. პარალელური ფორმები; 3. ტერიტორიულად გავრცელებული ფორმები; 4. ერთი საერთო და სავალდებულო ფორმები; 5. ახალი და მარტივი ფორმები; 6. არარუსული ფორმები და ა. შ.

სამეცნიერო საბჭოს 1922 წლის სხდომების მიხედვით, შეწყდა სალიტერატურო ენისთვის კონკრეტული ლექსიკური ერთეულების შერჩევა. ამ პერიოდში სამეცნიერო საბჭოს წევრებმა დაიწყეს მზადება სხვადასხვა ტიპის ტექნიკური ტერმინოლოგიის მისაღებად: „აღიძრა საკითხი ტერმინოლოგიის შემუშავების შესახებ, რადგანაც მრავალი დარგებისთვის ტერმინოლოგია არ მოგვეპოვება, რის გამოც საშინელი სხვადასხვაობა არის გამეფებული, რაც მეტად სახიფათო და მავნებელია. საბჭომ ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ დაადგინა, რომ ტერმინოლოგიის საქმე გადაუდებელია და საჩქარო მუშაობაა საჭირო. დაევალოს ტექნიკური ტერმინოლოგიის /ფიზიკის, ქიმიისა და სხვა დარგების/ შემუშავება ტექნიკურ სექციას, რომელსაც დაემატება ქართული ენის სპეციალისტები: *აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი და ს. გორგაძე,* ხოლო ლოღიკა-ფსიქოლოგიის ტერმინები – პოლიტიკურ სექციას“ (ოქმი N49). როგორც ვხედავთ, 1922 წელსაც მეცნიერები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ტერმინოლოგიის სიჭრელე საზიანო იყო ენისთვის. ისინი ისევ ხაზგასმით მიუთითებდნენ საქმის გადაუდებლობასა და ჩქარი ტემპით მუშაობის აუცილებლობაზე. ვვარაუდობთ, რომ საბჭოს წევრები სხდომებზე ხმამაღლა არ აღნიშნავდნენ იმას, რომ მათ ცარიზმის პერიოდის მწარე გამოცდილების გათვალისწინებით რუსიფიკაციის ახალი ძალით შემოტევისა ეშინოდათ და სურდათ დაესწროთ ამ ხიფათისათვის და საქმე სწრაფად წაეწიათ წინ.

საბჭოს წევრებს ისიც გათვალისწინებული ჰქონდათ, რომ აუ-

ცილებელი იყო მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რათა დრო არ დაკარგულიყო იმ საკითხებზე ზრუნვაში, რომლებიც ევროპულ ენებში უკვე გადაწყვეტილი იყო.

ერთ-ერთ სხდომაზე მეცნიერმა *ი. მოსეშვილმა* საბჭოს წარუდგინა მოხსენება სათაურით: „ძირითადი პრინციპები ქიმიურ ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის“, რომელშიც მოცემული იყო მეცნიერის ზოგადი ხასიათის შეხედულებები ტერმინთა შერჩევის მეთოდოლოგიაზე. მოგვყავს ძირითადი დებულებები:

1. საჭიროა ტერმინოლოგიის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს, როგორ ვითარდებოდა და სწყდებოდა ტერმინოლოგიის საკითხი სხვა და სხვა კულტურულ სახელმწიფოში;
2. ყურადღება უნდა მიექცეს გარემოებას, რომ ქართულ ენაში გადმოტანილია ბევრი ტერმინი პირდაპირ ბრმულად რუსეთიდან, რომელიც არ შეეფერება ქართული ენის ბუნებას;
3. უნდა აგრეთვე შესწავლილი იყოს ქართული ტერმინოლოგია ძველი დროიდან;
4. ყოველივე ტერმინი სასურველია შეტანილ იქმნას უცხო ენების ტერმინებიდან: ბერძნული, ლათინური, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და იაპონიურ ენებიდან“ (ოქმი N28).

1922 წელს სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე მეცნიერებმა დაამტკიცეს სულ 128 ტექნიკური ტერმინი.

1923 წელს სამეცნიერო საბჭოს 30 სხდომაზე მიიღეს 1623 მათემატიკური და ფიზიკის 48 ტერმინი. აღნიშნული პერიოდის სხდომებზე განიხილეს და მიიღეს ენათმეცნიერების, ბოტანიკისა და დენდროლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის, სამხედრო და ზოგადად, სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგია“ (სეა N64).

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1923 წლის 1-ლი მეოთხედის სხდომის ოქმებში აღწერილია ტერმინოლოგიაზე მომუშავე 2 დამოუკიდებელი გუნდის – სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური კომისიისა (მათემატიკური სატერმინოლოგიო კომისიის კომისიის შემადგენლობა: თავმჯდომარე: *ნ. მუსხელიშვილი*, წევრები: *ან. რაზმაძე, გ. ახვლედიანი, ა. ხარაძე, გ. ნიკოლაძე (მდივანი)* და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მუშაობა. სწორედ აღნიშნულ პერიოდში გრძელდება ყველაზე აქტიურად და ნაყოფიერად წინა წლებში სატერმინოლოგიო მიმართულებით დაწყებული მუშაობა.

მოძიებული საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ზემოთ ხსენებული კომისიების წევრებს მკვეთრად განსხვავებული მოსაზრებები

ჰქონდათ ტერმინოლოგიის მუშაობის მეთოდოლოგიაზე და მათი მიღების სისტემაზე. დაპირისპირებული მხარეები ადვილად არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს. მეცნიერები, ძირითადად, ვერ თანხმდებოდნენ იმაზე, თუ რას უნდა დაფუძნებოდა ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგია – საერთაშორისო ტერმინოლოგიას თუ მათ ქართულ ვარიანტებს; რა იყო უპირატესი – ცნების შინაარსი თუ ენის კანონიერი ფორმები; ვის უნდა გადაემოწმებინა და შეერჩია სწორი, უვარგისი და ძირითადი ტერმინების რაოდენობა; ვის უნდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება ამა თუ იმ ტერმინის დასამკვიდრებლად – უნივერსიტეტის კომისიას თუ სამეცნიერო საბჭოს.

ერთ-ერთ სხდომაზე მათემატიკოსი *ან. რაზმაძე* დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ საუნივერსიტეტო კომისია ტერმინების შემუშავების დროს ძირითად ორიენტირად საერთაშორისო ტერმინოლოგიას იყენებდა, ვინაიდან ასეთი იყო სამეცნიერო საბჭოს დირექტივა. მიუხედავად ამისა, მის მიერ საბჭოს სხდომაზე წარდგენილი თეზისებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულების გარდა, კომისიის წევრებმა სხვა მეთოდებიც გამოიყენეს. კერძოდ, მეცნიერებმა ქართული მათემატიკური ტერმინები შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით მიიღეს:

1. ახალ ტერმინებს საფუძვლად დაედო საერთაშორისო ტერმინოლოგია;
2. პარალელურად დატოვეს საერთაშორისო და ეროვნული ტერმინები;
3. ახალი ტერმინები აწარმოეს ევროპული ენების მსგავსად;
4. ახლებურად აწარმოეს ზოგიერთი ტერმინი;
5. სცადეს ბავშვებისთვის რთულად წარმოსათქმელი ტერმინების გამარტივება;
6. დატოვეს ისტორიულად შენახული ტერმინები.

კომისიის წევრების უკმაყოფილება და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა აგრეთვე ტერმინების დამტკიცების პროცედურას. *ნ. მუსხელიშვილი, მ. და გ. კონიაშვილები* მიიჩნევდნენ, რომ ტერმინების საბოლოოდ მიღება უნივერსიტეტის კომისიის კომპეტენცია იყო და სამეცნიერო საბჭოს მხოლოდ ენობრივი შესწორებები უნდა შეეტანა. ამის საწინააღმდეგოდ, *ს. გორგაძე, გ. ნათაძე, ან. ბენაშვილი, ან. რაზმაძე და ივ. ჯავახიშვილი* მოითხოვდნენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ამა თუ იმ ტერმინის დაკანონების შესახებ სამეცნიერო საბჭოს მიეღო:

„საბჭომ უნდა გაითვალისწინოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს, ტერმინოლოგიის მიღების უფლება აქვს საბჭოს. ასე რომ, შემდეგში ყოველივე ტერმინის შესახებ აღძრულ დავას პასუხი უნდა მისცეს სამეცნიერო საბჭომ. ამისთვის დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ უვარგისი ტერმინი არ გავიტანოთ ხალხში, თორემ წამდაუწუმ ტერმინის შეცვლა მომავალში შეარყევს ტერმინოლოგიის სიმკვიდრეს და არევს კვლავ ენას. ტერმინოლოოგიის ამ დიადი საქმის, საკეთილდღეო დამთავრება გვავალებს უეჭველად მეტის მოფიქრებით გავითვალისწინოთ მდგომარეობა, დეე ცოტა დაგვიანდეს, სამაგიეროდ თავიდან ავიცდენთ ზოგიერთ მცდარ ტერმინს. ეს არავითარი დამცირება და უნდობლობა არ იქნება კომისიისადმი, რომელიც აღჭურვილია ნდობითაც და პატივისცემითაც“ (ოქმი N66).

მეცნიერთა ორივე მხარე თანხმდებოდა, რომ საბჭოს მხოლოდ სადავო ტერმინები უნდა ამოეკრიფა და განეხილა თავიდან, ვინაიდან ყველა ტერმინის ხელახალი გადასინჯვა დიდ დროს წაიღებდა. მართალია, სამეცნიერო საბჭოს წევრები ნდობას უცხადებდნენ უნივერსიტეტის კომისიას, მაგრამ საბოლოოდ მიღების პასუხისმგებლობას არ უთმობდნენ, მიზეზად კი დასაკანონებელი ტერმინოლოგიის ერთგვაროვნების დარღვევასა და უვარგისი ტერმინების ენაში დამკვიდრების საშიშროებას ასახელებდნენ. თავის მხრივ, უნივერსიტეტის კომისია მიიჩნევდა, რომ ამა თუ იმ ცნების შინაარსი მხოლოდ მათემატიკოსებს უნდა გადაეწყვიტათ, ხოლო საბჭოს წევრებს მხოლოდ ენის სწორი ფორმები უნდა შეერჩიათ.

1923 წლის 22 მარტს უნივერსიტეტის კომისიისა და სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე ახალი სადავო საკითხები წამოიჭრა. მეცნიერები მუშაობის გასაადვილებლად ძირითადი ტერმინების დადგენას შეეცადნენ, გარდა ამისა, მასალების გადათვალიერების დროს შენიშნეს, რომ გარკვეული რაოდენობა მათემატიკური ტერმინებისა გამოტოვებული იყო, ასევე არ იყო დაზუსტებული გამოჩენილი მათემატიკოსების სახელებისა და გვარების მართლწერის საკითხები. აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს *ან. რაზმაძემ* და *გ. ნიკოლაძემ. ან. რაზმაძის* აზრით, ძირითადი ტერმინების რაოდენობა 15-25 იყო, ხოლო *გ. ნიკოლაძის* შეხედულებით – 800. *ან. რაზმაძე* მიიჩნევდა, რომ მათემატიკოსთა გვარსახელების გამოყენების დროს იმ ერის მართლწერა უნდა გადმოეღოთ, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებოდნენ, ხოლო. გ. ნიკოლაძის თქმით, ეს საკითხი ფილოლოგებს უნდა გადაეწყვიტათ. მეცნიერთა

ნაწილი ისევ ტერმინოლოგიის განხილვის გარეშე დამტკიცებას მოითხოვდა. ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა საბჭოს თავმჯდომარე ივ. ჯავახიშვილი:

„თავმჯდომარის აზრით, ტერმინოლოგიის მიღების დროს გაუგებრობას იწვევს ორი გარემოება:

1. ტერმინოლოგიის შემუშავების დროს ჩვენ ვთარგმნით მუდამ რუსული ან უცხო ენებიდან, რაც გვბორკავს;

2. ჩვენ გვსურს, რომ ქართულმა ტერმინმა სავსებით ამოსწუროს ცნების შინაარსი, რაც შეუძლებელია და უცხო ენებშიაც, რომელთაც დიდი ხნის მუშაობა აქვთ შესრულებული ამ დარგში, არ არის. ამ ორ გაუგებრობას უნდა უეჭველად თავი დავაღწიოთ და მაშინ შეიძლება უფრო ადვილად ვაწარმოოთ მუშაობა“ (ოქმი N74).

19 აპრილის სხდომაზე მეცნიერები სასწავლო კომიტეტის მიერ შემუშავებული ტერმინოლოგიის მიღება-არმიღების გამო დავობდნენ. გარდა ამისა, პრინციპულად ვერ შეთანხმდნენ, თუ რა იყო უფრო მნიშვნელოვანი – ტერმინთა ენობრივი ფორმის სისწორე თუ მათემატიკური შინაარსი. *ივ. ჯავახიშვილი* და *ან. რაზმაძე* მხარს უჭერდნენ სასწავლო კომიტეტის მიერ მიღებული ტერმინების დატოვებას, რასაც არ ეთანხმებოდა *გ. კონიაშვილი* დანარჩენ კომისიის წევრებთან ერთად.

თავმჯდომარის აზრით, ასეთ პირობებებში, მხოლოდ ერთი გზით სვლა შეიძლება იქმნას მისაღები: შედარებული იქმნას ორივე პროექტი სასწავლო კომიტეტის და მათემატიკური კომისიის:

1. თუ ტერმინებში ორგანვე თანხმობაა, უდავოთ იქმნას მიღებული;

2. სადაც განსხვავებაა და არსებობს ორი ტერმინი საერთაშორისო და ქართული და უკანასკნელი უკანონოთ /ენის მხრივ/ არის წარმოებული, მიღებული იქმნას უდაოდ საერთაშორისო, ქართული კი უარყოფილი;

3. თუ ორი სხვადასხვა ქართული ტერმინია, მაშინ ის იყოს მიღებული, რომელიც ქართული ენის თვალსაზრისით კანონიერად არის ნაწარმოები.

მსჯელობის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით მიიღო ივ. ჯავახიშვილის მიერ ზემოთ წარმოდგენილი პირობები“ (ოქმი N76: 174).

როგორც ვხედავთ, ტერმინოლოგიაზე მომუშავე ორი განსხვავებული გუნდის: უნივერსიტეტის მათემატიკური კომისიისა და სამეცნიერო საბჭოს წევრები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ პოზიციას ამა თუ

იმ საკითხთან დაკავშირებით. *ივ. ჯავახიშვილს* მხარს უჭერდა *ან. რაზმაძე* და ორივე მათგანი ითხოვდა სასწავლო კომიტეტის მიერ მიღებული ტერმინოლოგიის შენარჩუნებას, ვინაიდან სასკოლო სახელმძღვანელოები სწორედ ამ ტერმინების გათვალისწინებით იყო შედგენილი. მათი აზრით, ხელახალი შეცვლა ისევ „ენის აღრევას“ გამოიწვევდა, მით უმეტეს, რომ მეცნიერთა აზრით, მათემატიკოსების მიერ წარმოდგენილი ტერმინები უკეთესი არ იყო. გარდა ამისა, მეცნიერთა უთანხმოებას იწვევა ტერმინთა წარმოების პრინციპები. უნივერსიტეტის კომისიის წევრები: *გ. ნიკოლაძე* და *ნ. მუსხელიშვილი* მოითხოვდნენ ცნების შინაარსი ყოფილიყო ამოსავალი წერტილი და მისი გათვალისწინებით ეწარმოებინათ ენის სპეციალისტებს ტერმინები, ხოლო ერთნაირი ტერმინის არსებობის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილება მათემატიკოსებს მიეღოთ. საბოლოოდ, ხმათა უმრავლესობით, საბჭოს თავმჯდომარის ივ. ჯავახიშვილის მიერ შეთავაზებული პრინციპები იქნა მიღებული, რომლის მიხედვითაც უპირატესობა მიენიჭა საერთაშორისო ტერმინოლოგიას და ტერმინთა ენობრივი თვალსაზრისით კანონიერ წარმოებას.

ვფიქრობთ, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებები ზემოთ ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით უმეტესად მართებული იყო. მეცნიერს არ სურდა სამეცნიერო საბჭოში განხილვის გარეშე დაემტკიცებინათ რომელიმე ტერმინი. ამასთანავე უარი თქვა კომისიის წევრების მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე მხოლოდ მას, როგორც საბჭოს თავმჯდომარეს, ამოეკრიფა უვარგისი ფორმები, ამიტომ ძირითადი და სადავო ტერმინების შერჩევა დაავალა საბჭოს წევრებს. მისი აზრით, სამეცნიერო საბჭო პასუხისმგებელი ორგანო იყო, ამიტომ სწორედ მას უნდა დაემტკიცებინა ტერმინთა საბოლოო ვარიანტი. ივ. ჯავახიშვილის თქმით: „ყოველივე ტერმინის შესახებ აღძრულ დავას პასუხი უნდა მისცეს სამეცნიერო საბჭომ“. გარდა ამისა, მეცნიერი პასუხისმგებლობას გრძნობდა იმ ავტორების წინაშე, რომლებმაც სასწავლო კომიტეტის რეკომენდაციებით შექმნეს ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები. მით უფრო, რომ მისი აზრით, მათემატიკოსთა კომისიის მიერ შერჩეული ტერმინები არ სჭობდა კომიტეტის მიერ მიღებულ ლექსიკურ ერთეულებს. ივ. ჯავახიშვილის მიერ მეცნიერებისთვის წარდგენილი პრინციპები უფრო ლოგიკური იყო და არ ეწინააღმდეგებოდა ენის კანონიერ მოთხოვნებს, კერძოდ: საერთაშორისო ტერმინსა და ქართულად უკანონოდ წარმოებულ სიტყვებს შორის, უპირატესობა უნდა მიენიჭებინათ საერთაშორისოსათვის, ხოლო ქართუ-

ლი პარალელური ფორმებისგან უნდა აერჩიათ ენობრივად სწორად წარმოებული. ამასთანავე, ივ. ჯავახიშვილი ეწინააღმდეგებოდა რუსულიდან და სხვა უცხო ენებიდან ტერმინების პირდაპირ თარგმნას, ვინაიდან ქართული სიტყვა ყოველთვის ზუსტად ვერ ამოწურავდა ცნების შინაარსს. სწორედ ამიტომ უპირისპირდებოდა მათემატიკოსებს (ნ. მუსხელიშვილი, ნ. ნიკოლაძე), რომლებიც მხოლოდ შინაარსის მიხედვით ცდილობდნენ ტერმინთა მიღებასა და დამკვიდრებას.

1923 წლის 3 დეკემბერს ტექნიკური საზოგადოების გამგეობამ განცხადებით მიმართა მთავარ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს და განათლების ახალ კომისარს:

„გამგეობა ფიქრობს, რომ ამ საქმეში, მისი შეძლებისამებრ სისწორით და მიზანშეწონილად გადასაჭრელად, მონაწილეობა უნდა მიიღოს გადამწყვეტი ხმით სხვა და სხვა დარგის სპეციალისტებმა, როგორც სხვა და სხვა ორგანოების არჩევით და დავალებით /მაგალითად, უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტი, ქართული ტეხნიკური საზოგადოება, საშუალო ტეხნიკური სასწავლებლები/ ისე პერსონალურად მოწვეულმა ასე თუ ისე ცნობილმა ტეხნიკოსებმა.

ტეხნიკურ საზოგადოების გამგეობა დარწმუნებულია, რომ სამეცნიერო საბჭო სავსებით გაიზიარებს ამ წინადადებას, ვინაიდან ტეხნიკურ ტერმინოლოგიის სხვა გზით განხილვა აშკარა ანორმალობა იქნებოდა“ (სეა N550).

აღნიშნული მიმართვიდან აშკარად ჩანს, რომ ტექნიკური საზოგადოება უკმაყოფილო იყო სამეცნიერო საბჭოს მუშაობით და ითხოვდა ამ პროცესში სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ კერძო პირების ჩართვას. იმას, რომ ტექნიკური ტერმინოლოგიის მიღების საქმე მიმდინარეობდა ჯგუფური დაპირისპირების ფონზე, ადასტურებს სამეცნიერო საბჭოს შემდეგი სხდომის ოქმიც:

„მოსმენილ იქმნა ამა ოქმს დართული საქართველოს ტექნიკური საზოგადოების გამგეობის მომართვა, რომ სამეცნიერო საბჭომ ტეხნიკური დარგების ტერმინოლოგიის განხილვის დროს მიიწვიოს დაინტერესებული დაწესებულებების, როგორებიც არიან: საქართველოს ტეხნიკური საზოგადოება, უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტი და საშუალო ტეხნიკური სასწავლებელის წარმომადგენელნი, რომლებიც მიიღებენ გადამწყვეტი ხმის უფლებით ტერმინოლოგიის მიღებაში მონაწილეობას.

ამ მომართვამ გამოიწვია ხანგრძლივი კამათი. „აღნიშნული იქმნა, რომ ჩვენი ტერმინოლოგიის დამუშავების საქმე მიმდინარეობს

არა ნორმალურ პირობებში: თავიდანვე იჩინა ორმა მოწინააღმდეგე მიმართულებამ თავი, რომელიც განაგრძობს მუშაობას დამოუკიდებლად. ხდება ძალების დაქსაქსვა. საბჭო იმედს არ კარგავს, რომ ამ ორი მიმართულების მორიგება შეიძლება, რომ შევიკრიბნეთ ერთად, გაუზიაროთ ყოველივე თავთავისი საბუთიანობა ერთმანეთს, შესაძლებელია დავაჯეროთ ბევრში მაინც ერთმანეთი“ (ოქმი N114: 446).

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო საბჭომ გაითვალისწინა ტექნიკური საზოგადოების შენიშვნები და დაადგინა, მათი ყველა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

განსახკომის კომისარიატისადმი გაგზავნილ წერილში საბჭოს თავმჯდომარემ, ფაქტობრივად, ანგარიში ჩააბარა სამეცნიერო საბჭოს 1923 წლის მუშაობის შესახებ და აქაც ხაზი გაუსვა კომისიაში არსებულ შეუთანხმებლობას. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით: „სამეცნიერო საბჭოს დაარსებისთანავე ეს სატერმინოლოგიო მუშაობა კვლავ განახლდა უფრო მეტის სიძლიერით. რომ მათემატიკის ტერმინოლოგია მთლად დამთავრებულიყო, სამეცნიერო საბჭომ გადასწყვიტა, საშუალო სასწავლებლის სამათემატიკო ტერმინებთან ერთად უმაღლეს მათემატიკის ტერმინებიც მოეწესრიგებინა და ამ მიზნით უნივერსიტეტში განსაკუთრებული კომისია შესდგა პროფესორ *ა. რაზმაძის* თავმჯდომარეობით და პროფესორ *ნ. მუსხელიშვილისა, დოც. არჩილ ხარაძისა* და *გ. ნიკოლაძის* მონაწილეობით.

სამეცნიერო საბჭომ მათ მიაშველა პროფესორები *გ. ახვლედიანი* და *დ. უზნაძე.* თუმცა ამ კომისიამ სრულ თანხმობამდე ვერ მიაღწიეს, მაგრამ ტერმინოლოგია მაინც შემუშავებული იქმნა და სამეცნიერო საბჭოში შემოვიდა განსახილველად და დასადასტურებლად. სამეცნიერო საბჭომ უნივერსიტეტის კომისიის წევრების თანდასწრებით განიხილა უმაღლეს-უმდაბლეს მათემატიკის მთელი ტერმინოლოგია და 40 სხდომამდე მოანდომა ამ რთულ საქმეს. იგი თავის მუშაობის დროს ხელმძღვანელობდა სამი ყველა წევრთაგან ერთხმივ მიღებული დებულების მიხედვით:

1. როდესაც ორი ტერმინია, ერთი საერთაშორისო და მეორე ქართულად ნათარგმნი, მაგრამ უვარგისი ენის კანონებისა თუ მნიშვნელობის თვალსაზრისით, რჩება საერთაშორისო, ქართული უარყოფილი უნდა იყოს.

2. როდესაც ორი ქართული ტერმინი წესიერად არის ნაწარმოები და შეეფერება ცნებას, ორივე ტერმინი რჩება.

3. თუ რამდენიმე ქართული ტერმინია, უპირატესობა

ეძლევა იმას, რომელიც ენის კანონების თვალსაზრისით წესიერად არის ნაწარმოები.

ამ სამი დებულების ხელმძღვანელობით სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ განიხილა და მიიღო მათემატიკის ტერმინოლოგია რომელიც 1000 სიტყვას შეიცავს.

მოგახსენებთ, რა სამეცნიერო საბჭოს დავალებით ამ ტერმინოლოგიას, გთხოვთ, იგი სასწრაფოდ დაამტკიცოთ საყოველთაოდ სავალდებულო სახმარებლად. მომავალ სასწავლო წლიდან მაინც მოეღოს ბოლო ამ არეულობას და შეუთანხმებლობას, რომელიც ტერმინოლოგიის მხრივ გამეფებულია საქართველოს სასწავლებლებში. თუ ამას დაუყონებლივ ბოლო არ მოეღო, მთელი ჩვენი კულტურული აღორძინების საქმე უკიდურეს განსაცდელში ჩავარდება“ (სეა N123: 4).

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო საბჭო მაქსიმალურად ითვალისწინებდა სხვადასხვა მიმართულების ტერმინოლოგიაზე მომუშავე კომისიების მოთხოვნებს. სწორედ მათ ეფექტურ და სწრაფ მოქმედებაზე იყო დამოკიდებული სასკოლო და უმაღლეს სასწავლებელთა სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემის პროცესი, სალიტერატურო ქართულისათვის მისაღები საერთო ფორმების დამკვიდრება, ენაში დამკვიდრებული არასწორი სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინების ნაცვლად საერთაშორისო ან ახალი ქართული შესატყვისების შერჩევა-დაკანონება. პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ ნახსენები „სამი ყველა წევრთაგან ერთხმივ მიღებული დებულებები“ მიღებული იყო უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტის, ტექნიკური საზოგადოებისა და სამეცნიერო საბჭოს წევრთა მიერ. ცხადია, რომ დამოუკიდებლად მომუშავე კომისიებს ტერმინოლოგიის შერჩევასთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ. ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამეცნიერო საბჭოს კომპეტენტურ პასუხსა და დასკვნას, რომელსაც უნდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება ამა თუ იმ ტერმინთა მიღების პრინციპებსა და დაკანონებაზე.

ლიტერატურა

სეა N123 – საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 471, ანაწერი 1, N123, მოხსენება განსახკომისადმი ქართული სამათემატიკო ტერმინოლოგიის დამტკიცების შესახებ, 4. VIII. 1923;

სეა N3 – საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 300, ან. N3, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1921 წლის 3 ნოემბრის სხდომის ოქმი N1;

ოქმი N49 – საქართველოს ეროვნული არქივი, , ფ. 300, ან. 3, N23, საბჭოს 1922 წლის 12 სექტემბრის სხდომის ოქმი N49;

ოქმი N28 – საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 300, ან. 3, N23, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1922 წლის 18 მაისის სხდომის ოქმი N28;

სეა N64 – საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 300, ან. 3, N64, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სხდომების ოქმები;

ოქმი N66 – საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 300, ან. 3, N61, სახალხო განათლების კომისარიატი, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1923 წლის 18 იანვრის სხდომის ოქმი N66;

ოქმი N74 – საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 300, ან. 3, N61, სახალხო განათლების კომისარიატი, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1923 წლის 12 აპრილის სხდომის ოქმი N74;

ოქმი N76 – საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 300, ან. 3, N61, სახალხო განათლების კომისარიატი, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1923 წლის 19 აპრილის სხდომის ოქმი N76;

სეა N550 – საქართველოს ეროვნული არქივი,, ფ. 300, ან. 3, N 64, 3 დეკემბერი, 1923, N550;

ოქმი N114 – საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 300, ან. 3, N64. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1923 წლის 5 დეკემბრის სხდომის ოქმი N114;

სეა N63 – საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 300, ან. 3, N63, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სხდომების ოქმები 1923 წლის მე-3 მეოთხედისა;

Sophiko Tchaava
Sokhumi State University, Georgia
geosofikotchaava@gmail.com

Keywords: Georgian terms, international terms, principles of legitimization of terms.

Principles of terminology development and their legitimization procedure in 1918-1923 (according to archival materials)

Summary

The National Archive of Georgia preserves the materials of the fund of the People's Commissariat of education, which describes the provisions of the terms developed by the commissions under the State Scientific Board and various stakeholders in 1918-1923, the list of individual scientific-technical terms and the review processes for the acceptable forms of common literary Georgian.

"As yet In 1918, when the process of the nationalization of the institutions was initiated and teachers' summer courses were organized in Tiflis to prepare teachers for teaching every subject in Georgian. Then teachers' commissions for each field were established and materials were provided for the development of the terms. Soon after this, textbooks, with different authors, were created for various subjects and published as well. In these textbooks, the homogeneity of the terminology was not preserved. In 1919 one group was formed with the aim of establishing technical terminology in Georgian. In this group the main participants were the brother and sister Nikoladze and various technicians. They decided to eliminate all the international words related to scientific terminology in the Georgian language and prepared to instead translate them in Georgian or create and propagate invented words. (f. 471, o. 1, d. 123, "To the U.S.S.R People's commissar of education," l. 3).

The establishment of the terminology-approval procedure changed radically in 1921 after the state scientific council was founded

under the people's commissariat of education, which was tasked with developing the scientific terminology and general literary forms of Georgian. In 1921 the members of the above mentioned body mainly developed the common forms accepted in Georgian literary language. By 1922 they started preparing to adopt technical terminology. In 1922-1923 the principles of processing of new lexical units were more or less identified. And in 1923 the Scientific Council discussed the issues related to specialized and scientific terminology as well as legitimized the specific international, or newly established Georgian terms.

At the 1922 Scientific Council sessions, scientists approved 128 technical terms, and in 1923 they acquired 1,671 terms, including 1,623 mathematical and 48 physical terms. The sessions of this period discussed and approved linguistics, botany and dendrology, physics, mathematics and military terminology as well as scientific technical terminology in general.

The archival materials we have found include the document titled "Circular On Using Terms According to the National Principle", which was prepared in 1928 by Philippe Makharadze, the chairman of the main terminology committee under the central executive committee. The creation and legitimization of the terminology has, not only scientific, but also political significance. According to this document, the terms created according to "extremely nationalist principles" were unacceptable for Mr. Makharadze, who requested the use of international terminology instead.

ეთერ ჭურაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
etosvireli@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ჭური, ქვევრი, მეღვინეობის ისტორია, სალიტერატურო ენა, დიალექტიზმი.

ჭურის მნიშვნელობისათვის ქართულ ენაში

ალექსანდრე ღლონტის მიერ 1974 წელს შედგენილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ ვკითხულობთ, რომ *ჭური* არის იმერულ-გურულ-აჭარული დიალექტური სიტყვა, რომელსაც აქვს *ქვევრის* მნიშვნელობა (ღლონტი 1974:731). ამავე წელს გამოცემულ მონოგრაფიაში მეცნიერი ბიძინა ფოჩხუა განმარტავს, რომ ლექსიკურ დიალექტიზმებს, ანუ დიალექტურ სიტყვებს შორის უნდა გავარჩიოთ როგორც შეუნაცვლებელი სიტყვები, ისე ლექსიკური დუბლეტები (ფოჩხუა 1974:194). სწორედ ლექსიკურ დუბლეტებში მოიაზრებს მეცნიერი *ჭურსა* და *ქვევრს*, *ქვევრს*, როგორც სალიტერატურო ქართული ენის ლექსიკური ფონდის ნაწილს, ხოლო *ჭურს*, როგორც დიალექტურ ლექსიკურ ერთეულს. არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულში მითითებულია, რომ „*ჭური* – იგივეა, რაც *ქვევრი*“. აქვე აღნიშნულია, რომ *ჩასავალი ჭური* არის კუთხური სიტყვა (იმერ., რაჭ.) (ქეგლი), რაც დიდ *ქვევრს* ნიშნავს. ამგვარი განმარტებები მოითხოვს ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიურ გააზრებას და მისი მნიშვნელობის სიღრმისეულ კვლევას. გასათვალისწინებელია, რომ ისტორიული წყაროების მიხედვით დასტურდება *ჭურის*, როგორც სიტყვის, სიძველე *ქვევრთან* შედარებით, რომელიც ჩვენი კვლევის საგანია, ხოლო *ჭურის*, როგორც ტერმინის, საერთო ქართული სალიტერატურო ენიდან განდევნის პირობები კი ცალკე მსჯელობის ობიექტი შეიძლება გახდეს.

ამასთან დაკავშირებით, საღვინე ჭურჭლის აღმნიშვნელი ტერმინის, *ჭურის*, მნიშვნელობისათვის საინტერესო ცნობებს გვაწვდის სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“. ქართველი მოღვაწე *ჭურს* წარმოგვიდგენს მრავალმნიშვნელობიან სიტყვად, რომლის ერთ მნიშვნელობად ასახელებს *აბჯარს* (იგივე იარაღი, საჭურველი), ხოლო მეორე მნიშვნელობას განსაზღვრავს *ქვევრის* სინონიმად: „*ჭური* ეწოდების ტყბილსა საცავსა, ხოლო ტყბილი და ტკბილი მახლო-

ბელ არიან, რამეთუ ერთისა ასოთა განიყოფებიან. და ტყბილი ეწოდების წვენსა ყურძნისასა, ხოლო ტკბილი – თაფლსა და ყოველთა მისთანა(თა) გემოანთა; არამედ არცა ტყბილი და არც(ა) ტკბილი არა არს სულისა უტკბოსი და *ჭური* ეწოდების საცავსა ტყბირისასა და კვალად *ჭური* – ჯაჭვთა და ჯავშანთა, რომელი არს საცავი სხეულისა და სულისა, რომელ არს ყოველთა უტკბოსი. ხოლო ესე *ჭური*, საცავი ტყბილისა, განიყოფებიან, რამეთუ დიდთა ეწოდებიან *ქვევრი* და მისსა შედეგსა – *ყვიბარი* და მისსა უმცროსსა – *ქოცო*, არამედ ყოველი *ჭური* (ორბელიანი 1993: 408). ანუ *ჭურის* მნიშვნელობა არის „საცავი“ როგორც სულისა და სხეულისა, ისე ყურძნის წვენისა. აქვე, *ჭურს*, როგორც ჭურჭელს, სულხან-საბა ასე განმარტავს: „ჭურჭელი ზოგადი სახელი არს ყო(ვ)ელთა ჭურჭელთა, ხოლო ესე ჭურჭელ(ნ)ი განიყოფებიან ათხუთმეტად: იარაღად, გვარდაკად, ლა(ნ)კანად, ჯამად... ჭურად... *ჭური* არს კეცთაგან ჭურჭელი: *ქვევრი*, *ყვიბარი*, *ქოცო*, *ხალანი*, *დერგი*, *ლაგვანი*, *ლაგვინარი* და მისთანანი“ (ორბელიანი 1993: 408). ყველა ამ ჭურჭელში ისხმება „ტყბილი“, ანუ ყურძნის წვენი. ღვინის „საცავი“ თითოეული ჭურჭელი სხვადასხვა ზომისაა და სახელებიც განსხვავებული აქვს, მათ შორისაა დღესდღეობით ყველაზე გავრცელებული *ქვევრი* და *დერგი*. ამავე ლექსიკონში *ქვევრი/ქუევრი* კი განისაზღვრება, როგორც კეცის *ჭური*, იგივე *ჭური* (ორბელიანი 1993: 236). აღსანიშნავია, რომ სულხან-საბას ლექსიკონისეული განმარტება მცირედი ცვლილებით ჯერ კიდევ შემორჩენილია იმერეთის რეგიონში, სადაც დიდი ზომის თიხის საღვინე ჭურჭელს *ჭურს* უწოდებენ, უფრო მცირეს *ქვევრს*, რომელიც ჭურისაგან მხოლოდ ტევადობით განსხვავდება. *ქვევრზე* უფრო პატარა ზომის ჭურჭელს კი *ქოცო* ჰქვია (კაკაბაძე 1982: 63-64).

როგორც ვხედავთ, მე-18 საუკუნეში, *ჭური* ყველა ტიპის, დიდი თუ პატარა ჭურჭლის, „მიწა საჭურჭლისგან“, ანუ თიხისაგან დამზადებული საღვინე ჭურჭლების კრებსითი სახელია, *ქვევრი ჭურის* ერთ-ერთი ნაირსახეობაა. ამასთან, სულხან-საბას განმარტებით, *ჭური* და *ქვევრი* სინონიმური მნიშვნელობისაა. როგორც ჩანს, ლექსიკონის გამოცემისას, *ჭური* და *ქვევრი* უკვე ერთნაირი მნიშვნელობით გამოიყენებოდა, თუმცა *ქვევრის* გამოყენების სიხშირე *ჭურისას* ნამდვილად არ აღემატებოდა. *ჭურის* გამოდევნა საერთო ხმარებიდან უფრო გვიანდელი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

მაშასადამე, *ჭური*, სულ მცირე, მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებამდე მთელ საქართველოში იყო თიხის საღვინე ჭურჭლის აღმნიშ-

ვნელი ყველაზე გავრცელებული ტერმინი, რომლის სიძველესა და ქართულ წარმომავლობას ადასტურებს როგორც მეგრული შესატყვისი და კანონზომიერი ფარდი – *ჭკუჯი*, ანუ ჭურჭელი, ისე კოლხურიდან სომხურში შესული – კჭუჭ, კჭიჭ („თიხის ჭურჭელი“) (დანელია, ცანავა 1991: 593). ლექსიკური ერთეულის – *ჭურის* სიძველეზე მეტყველებს აგრეთვე ნეკრესის ნაქალაქარის გათხრებისას აღმოჩენილი წარწერა ჭურის პირზე: მბ ესე ჭური მე... დავრგე (ჭილაშვილი 2004: 29), რომელიც II-III საუკუნით თარიღდება. ლევან ჭილაშვილის მტკიცებით, დაქარაგმებული წარწერა – მბ აშკარად მიუთითებს მაზდეანობის დროს ჩამოყალიბებულ მიმართვის ფორმულაზე (მბ – მითრა ბაგა, მზეო უფალო) და, შესაბამისად, მის წინაქრისტიანულობაზე (ჭილაშვილი 2004: 32-33). ხოლო IV-V საუკუნით თარიღდება ურბნისის ნაქალაქარის გათხრების დროს აღმოჩენილი ქვევრის პირზე გამოსახული წარწერა – ქჭე, რომელიც იკითხება, როგორც „ქრისტეს ჭური ესე“ (ჭილაშვილი 2004: 30).

ჭური არის ღვინის ჩასასხმელ-შესანახი ჭურჭლის აღმნიშვნელი ერთადერთი უძველესი ქართული ტერმინი, *ქვევრი* კი მხოლოდ შემდგომ გაჩენილი სიტყვა, რომელიც, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, *ჭურთან* ერთად „საბუთებსა და ძეგლებში“ მოგვიანებით გვხვდება (ჯავახიშვილი 1986: 652). *ჭური* გამოყენებულია ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში („კეცის ჭურნი მისნი დაჰმუსრნე“), სოლომონის იგავებში „ჭური განჯურეტილი არს სხჳსა სახლი და ჯურღუმილი იწროჲ უცხოჲ“) და ხელმწიფის კარის გარიგებაში („თვითო ჭური ზვართაგან მეღვინეთ-უხუცესისა“ (ბოჭორიშვილი 1949: 219). საგულისხმოა, რომ სოლომონის იგავში მოხსენიებული *ჭური* ბერძნულ – პითოსს და ლათინურ პუთეუსს შეესაბამება, რაც *ქვევრს*, ღვინის შესანახ ჭურჭელს აღნიშნავს (ჯავახიშვილი 1986: 652), ხოლო ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში მითითებული *ჭური* მეტაფორულად არის გამოყენებული. დღემდე მოღწეულ წყალობისა და ნასყიდობის წიგნებში ტერმინი *ქვევრი* პირველად მხოლოდ XV საუკუნეში გვხვდება. ტერმინ *ქვევრის* წარმომავლობას მეცნიერები განსხვავებულად ხსნიან. ერთნი მიუთითებენ, რომ ის ქართულ ნიადაგზე შექმნილი სიტყვაა და „ქუე-დან“ (დაბლა, ძირს, მიწაზე) იღებს სათავეს (ფხაკაძე 2005: 365). ზოგი მეცნიერი ამ ლექსიკურ ერთეულს უკავშირებს ხათურ სიტყვას, *karam *ქარამს*, რაც ჭურჭელს ნიშნავს (გიორგაძე, ხაზარაძე 2002: 90). განსხვავება *ჭურსა* და *ქვევრს* შორის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში შედგენილ საბუთებს შორის არ არის

(ბოჭორიშვილი 1949: 219), თუმცა ისტორიული წყაროებით ტერმინ *ჭურის* აქტიური გამოყენება არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში დასტურდება XV საუკუნის შემდეგაც, კერძოდ, მეცნიერი ლუბა ბოჭორიშვილი ასახელებს 1400 წლით დათარიღებული ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონის წარწერას, რომელიც მოგვითხრობს ბერად შემდგარი გრიგოლ ავგაროზიშვილის ღვაწლზე, სადაც საუბარია მარნის აგებასა და ჭურების ჩადგმაზე, „და ავაგე მარანი და ჩავდგი ორი ჭური“. ივანე ჯავახიშვილი „თხზულებანის“ მეხუთე ტომში მიუთითებს, რომ XV ს-ში ღვინის შესანახი ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოშიც კი წინანდებურად *ჭური* იყო. მამია ზევდგინიძის მიერ შიო მღვიმისადმი მიცემულ 1475 წლის სიგელში ნათქვამია, რომ „ორი ჭური მე მამიამან ჩავდგა“ (ჯავახიშვილი 1986: 654). მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის 1626 წელს სვიმონ მეფის მიერ პაატა ჯავახიშვილისადმი ბოძებული წყალობის წიგნი, სადაც ნაბოძები მამული მოხსენიებულია *ჭურ-მარნით*. აგრეთვე ბახუტა სააკაძისა (1726 წ.) და ერასტი ორბელიანის (1727 წ.) ნასყიდობის წიგნებში აღნიშნულია *ჭურ-მარანი* და *მამული ჭურითა* (ბოჭორიშვილი 1949: 219-220). ამასთან, *ჭური*, როგორც საერთოქართული სიტყვა, არ დარჩენილა ქართველი პოეტების ყურადღების მიღმა. XVIII საუკუნეში დავით გურამიშვილი „დავითიანში“ *ქვევრთან* ერთად თანაბარი მნიშვნელობით იყენებს *ჭურს*, რომელიც შესიტყვებებში განსაკუთრებული ხატოვანებითა და მხატვრული სრულყოფილებით გამოირჩევა: „მე თიხის კოკა, ზნოანი ჭური, რასაც ვადენდე, შენ უგდე ყური“, „გაფრთხილდით, ძმანო, არ მოკვდეთ, მყრალ-ზნოანითა ჭურითა“, „აღარვინ იყვის ღვინითა აღმავსებელი ჭურისა“, „ჭურსა ზნოვანსა მახმარე საძელ-მაწაწურ-ხაპირი“ (გურამიშვილი 1998).

აღმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის, კახეთში, ტერმინ *ჭურის* გამოყენების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის ქართველი ხალხის შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის 1935 წელს შეკრებილი მასალები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის საერთო რედაქციით დაიბეჭდა. მასალები საინტერესოა მეჭურჭლეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიისა და გამონათქვამების საანალიზოდაც. დასავლეთ საქართველოს გარდა, *ჭური* მოხსენიებულია კახეთის, მესხეთისა და ჯავახეთის მასალებში, კერძოდ, შემდეგ მონათხრობებში: „რაც შეეხება ჭურს, კახეთისაკენ ზოგმა თქვა, ქვევრს ჭურსაც ვეძახითო“ (ქიზიყი), „პატარა ქოთანს *კოჭობა* ჰქვია, მოზრდილს – *ქოთანი*, დიდს – *ქვევრი* და *ჭური*“ (მესხეთი),

„ჭურები უფრო იმერეთიდან მოჰქონდათ“ (ჯავახეთი) (ჯავახიშვილი 1979: 36, 140, 143). ამ მასალების მიხედვით, ვრწმუნდებით, რომ *ჭური* არის მთელ საქართველოში საზოგადოდ გამოყენებული ტერმინი მეოცე საუკუნეშიც, კერძოდ, კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთში, რომლის არანორმატიულ ლექსიკურ ერთეულად ქცევა მრავალი მიზეზის შედეგია, რაც ნამდვილად აღარიბებს ქართულ სალიტერატურო ენას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, *ჭური* იყო თიხის საღვინე ჭურჭლის აღმნიშვნელი ერთადერთი ქართული ლექსიკური ერთეული როგორც ანტიკურ პერიოდში, ისე შუა საუკუნეებში, ვიდრე XV საუკუნემდე, რომელსაც მივყავართ საქართველოში თიხის ჭურჭელში ღვინის დაყენების 8000-წლიან ისტორიამდე. ხოლო *ქვევრმა*, რომელიც დღეს მიწაში ჩასადგმელი საღვინე ჭურჭლის აღმნიშვნელ ერთადერთ ტერმინად ითვლება, დროთა განმავლობაში *ჭური* სხვადასხვა მიზეზის გავლენით ქართული სალიტერატურო ენის საზღვრებიდან თუ არ განდევნა, პერიფერიაში მაინც განათავსა. *ჭურის* გამოყენება შემცირდა და ის მხოლოდ დიალექტურ სიტყვად იქცა. შემზღუდველმა ენობრივმა პირობებმა, აგრეთვე ქართლ-კახურმა დიალექტმა, რომელიც უმთავრესი აღმოჩნდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, დააკნინა ერთ დროს უმნიშვნელოვანესი ქართული ტერმინის გამოყენების არეალი. ამავე დროს, *ქვევრის*, საღვინე ჭურჭლის, აღმნიშვნელი სიტყვის მომძლავრება ხელოვნური პროცესის ნაწილიც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან *ჭური*, როგორც ტერმინი, მეოცე საუკუნეშიც დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს შინამრეწველობაში. თუმცა *ჭური*, როგორც ძირძველი ქართული სიტყვა და მისი რთული და მრავალგვარი მნიშვნელობა, მემკვიდრეობით გადმოვიდა უძველესი დროიდან დღევანდელობაში. შესაბამისად, *ჭური* არ წარმოადგენს ერთი კუთხისა თუ რეგიონის საყოფაცხოვრებო პირობებში გაჩენილ ტერმინს, არამედ ის ძველი ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდისა და ამის კვალობაზე სალიტერატურო და სამწერლო ენის ლექსიკის შემადგენელი ნაწილიც იყო.

დიალექტიზმად ქცეულ *ჭურს*, სხვა მრავალ სიტყვასთან თუ ტერმინთან ერთად, უნდა ჰქონდეს ნორმატიულ სიტყვად ქცევისა და სალიტერატურო ენაში დაბრუნების უფლება. ეს პროცესი გაამდიდრებს და გაამრავალფეროვნებს ქართულ სალიტერატურო ენას, რითაც საქართველოში თიხის ჭურჭელში ღვინის დაყენების მრავალსაუკუნოვანი ისტორია უკეთ წარმოჩნდება. თუმცა ამგვარი შესაძლებლობა აუცილებლად ეხება ექსტრალინგვისტურ მიზეზებს და არ ემორჩი-

ლება ენობრივ კანონზომიერებებს. ყოველი დიალექტის წინ წამოწევა კი განპირობებულია ისტორიული სინამდვილით, სახელმწიფოს განვითარების პროცესში კონკრეტული რეგიონის ხალხის მონაწილეობითა და ჩართულობით, რომელიც კარნახობს სახელმწიფო ენის ნორმებსა და ლექსიკასაც. სავარაუდოდ, ამით შეიძლება აიხსნას ასევე თანამედროვე ქართულში *პაპის* გამოყენების არეალის შეზღუდვა, რომელსაც ნელ-ნელა ენაცვლება მისი სინონიმური დასავლეთქართული სიტყვა *ბაბუა*, რომლის სამწერლო ენის ნაწილად გადაქცევამდე ჯერ დრო კიდევ არის, თუმცა ოფიციალურ ზეპირ მეტყველებაში მან საკუთარი ადგილი უკვე ნამდვილად დაიმკვიდრა.

ლიტერატურა

ბოჭორიშვილი 1949 – ლუბა ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა I, კახური, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

გიორგაძე, ხაზარაძე 2002 – გრიგოლ გიორგაძე, ნანა ხაზარაძე, „ქართველი ხალხის ეთნოგენეზისი და ძველაღმოსავლური ეთნოკულტურული სამყარო“, წიგნში: ქართველი ხალხის ეთნოგენეზისი (რედ. დ. მუსხელიშვილი), გამომცემლობა „მემატიანე“, თბილისი.

გურამიშვილი 1998 – დავით გურამიშვილი, დავითიანი, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი.

დანელია, ცანავა 1991 – კორნელი დანელია, აპოლონ ცანავა, ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), ტომი II, ზღაპრები და მცირე ჟანრები. ნაწილი: მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

კაკაბაძე 1982 – ცისანა კაკაბაძე, შროშული კერამიკა (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ორბელიანი 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

ფოჩხუა 1974 – ბიძინა ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ფხაკაძე 2005 – ნინო ფხაკაძე, მიწაში ჩასაფვლელი საღვინე ჭურჭლის ტერმინები ქართულში, ქართველური მემკვიდრეობა, IX, ქუთაისი.

ღლონტი 1974 – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

ჭილაშვილი 2004 – ლევან ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები. თბილისი.

ჯავახიშვილი 1986 – ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად. ტომი მე-5, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ჯავახიშვილი 1979 – ივანე ჯავახიშვილი (რედ.), მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, 5 ტომად, ტომი II, ნაწილი I, მეჭურჭლეობა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php

Eter Churadze
Tbilisi State University, Georgia
etosvireli@gmail.com

Keywords: Ch'uri, kvevri, winemaking history, literary language, dialectal word.

On the Importance of "Ch'uri" in the Georgian Language

Summary

The purpose of this research is to determine the significance and etymology of the polysemantic word *ch'uri*, which is labeled as a dialectal word. Until the mid-18th century *ch'uri* was one of the terms most widespread in Georgia for denoting a clay vessel used for wine. Its Georgian origin and antiquity are proven by the Megrelian equivalent – *ch'kuji* and the inscription on the edge of the *ch'uri* that was found during the excavations of the former city Nekresi dating back to the 2nd-3rd centuries AD. Accordingly, *ch'uri* must have been the only ancient Georgian word for denoting vessels used for the process of fermentation and storage of wine, while the term *kvevri* has originated

only later on. The earliest surviving documents that mention *kvevri* are dated to the 15th century. Correspondingly, *ch'uri* is not a localism that could have sprung up in the living conditions of a certain area or region, but rather it was part of the basic old Georgian lexicon and the literary language. This fact can serve as tangible proof of the 8000-year-old winemaking history in Georgia evidenced by earthware vessels.

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
mzeshina@mail.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ბოტანიკის ტერმინოლოგია, სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“.

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ დადასტურებული ზოგიერთი ბოტანიკური ტერმინის რაობისათვის

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ხელშესახებად დასტურდება მცენარეთა სახელები და, საზოგადოდ, მცენარეებთან დაკავშირებული ლექსიკა. განსაკუთრებით საინტერესოა კრებითი შინაარსის მქონე ის ლექსემები, რომელთაც შეიძლება პირველი ქართული ბოტანიკური ტერმინებიც კი ეწოდოს, მაგალითად, ასეთია გარკვეული ნიშნით გაერთიანებულ ნაყოფთა სახელები (საზოგადოდ, ნაყოფის ნიშან-თვისებების მიხედვით მცენარის სახელდება უძველესი და უმთავრესი ჩანს, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის მიერ მცენარეთა გამოყენებით დახასიათებასთან).

თავად ლექსემა *ნაყოფი* „სიტყვის კონაში“ ასეა განმარტებული: „ესე იგი არს, მისგან გამონაღები, გინა ხილი, გინა ნაქმარი“ (საბა 1991). ძირითადად ასეთივეა მომდევნო ლექსიკოგრაფთა განმარტებანიც: *„ხილი* გამოღებული მცენარეთაგან განსამრავლებლად ნათესავობისა მათისა და საზრდელად კაცთა... *плод*. //ჩჩვილი მუცელსა შინა დედისასა, გინა შობილი//შედგომილება კეთილთა, ანუ ცუდთა საქმეთაგან //სარგო, შესამატი...“ (ჩუბინაშვილი 1961); *„ხილი* გამოღებული მცენარეთაგან გასამრავლებელად ნათესაობისა მათისა და საზრდელად კაცთა...; ჩჩვილი მუცელსა შინა დედისასა გინა შობილი...; შედეგი, შედგომილება, ბოლო კეთილისა ან ცუდთა საქმეთაგან...; სარგო, შესამატი...“ (ჩუბინაშვილი 1985). ძველი ქართული ენის ლექსიკონების მიხედვით ნაყოფის მნიშვნელობებია: *„ხილი“, „ჯეჯილი“, „იფქლი“, „ნაშრომი“, „მონაგები“, „შესაწირავი“, „ნაქონი“* (აბულაძე 1973); *„ქონება“* (სარჯველაძე 2001); „მოსავალი ყანისა, ხეხილისა და ა. შ.“ (ბიბლ. ლექს. 2009).

მაშასადამე, *ნაყოფის* სემანტიკა გარკვეული ბიოლოგიური პროცესებითა და ადამიანის ქმედებით მიღებულ შედეგს გულისხმობს (რაც ჩანს კიდეც საბას განმარტებაში)[1]. ის წარმატებულად დამკვიდრდა სათანადო ბიოლოგიურ ტერმინად ქართულში, შდრ.: „*ნაყოფი* – 1. *ბოტ.* მცენარის ის ნაწილი, რომელიც ვითარდება ყვავილიდან (მეტწილად ნასკვიდან) განაყოფიერების შემდეგ; 2. *ბიოლ.* ადამიანისა და ძუძუმწოვრის ჩანასახი დედის მუცელში; 3. *გადატ.* რაიმე საქმისა თუ მოღვაწეობის შედეგი“ (ქეგლ 1986).

განვიხილოთ „სიტყვის კონაში“ დადასტურებული მცენარეთა ნაყოფების აღმნიშვნელი რამდენიმე კრებითი სახელი და მათი მიმართება დღევანდელ ბოტანიკურ ტერმინებთან.

ამ მხრივ საინტერესო ჩანს ლექსემა *ხიჩატელის* ვრცელი განმარტება: *„ხიჩატელი – ხილი ეწოდების წალკოტთა მყოფთა ხილთა ხეზე სხმულთა, ქერქ-რბილთა, ვითარცა ვაშლთა. ბროწეულთა, ყურძენთა, ლიმოთა და მისთანათა; ხოლო ხული – ქერქ-მაგართა, ვითარცა ნუშთა, ნიგოზთა, წაბლთა, ნაჟვთა და მისთანათა; ხოლო ხმილი – ბალახთა ზედა მობმულთა, ვითარცა ნესვთა, მელსაპეპონთა, მარწყვთა, კიტრთა და მისთანათა; ხოლო ხიჩატელი – ველურთა ტყეთა შიგან უმუშაკოდ მოსულთა ხის ნაყოფთა“* (საბა 1993). ნათელია, რომ *ხილი, ხული, ხმილი, ხიჩატელი* მსგავსი ნიშან-თვისებების („ქერქრბილიანობა“, „ქერქმაგრობა“, „ბალახთა ზედა მობმულობა“, „კაცთ ნამუშაკევობა“, „ველურთა ტყეთა შიგან უმუშაკოდ მოსულობა“) მქონე ნაყოფთა კრებითი სახელებია, თუმცა, ბოტანიკური თვალსაზრისით, რიგი ამ ჯგუფებში გაერთიანებული მცენარეებისა ერთი ოჯახის წარმომადგენლებიც კი არ არის.

„სიტყვის კონის“ ამ ვრცელი განმარტების მიხედვით, პირველი ლექსემა *ხილი* ადამიანის მიერ ბაღში მოშენებულ სხვადასხვანაირ ხემცენარეთა[2] წვნიანი და „ქერქრბილიანი“ ნაყოფების ზოგადი სახელია[3].

---

[1] *ნა-ყოფ-ი* ნამყო დროის საობიექტო მიღეობაა, განცალკევდება *ყოფ-*ძირი, შდრ., *ყოფა-ჲ* „ქმნა, კეთება; ყოფნა“ (სარჯველაძე 2001).

[2] თუმცა ერთ-ერთ რედაქციაში გვაქვს: „ხის ნაყოფი,ზოგი–რე ბალახთა Cab.“ (საბა 1993).

[3] ჩამონათვალშია, ასევე, *ლიმო* („ლიმონი“), რომელიც ბოტანიკური თვალსაზრისით ციტრუსოვნებს განეკუთვნება, ხოლო სხვა ციტრუსოვნები *(ნარინჯი, თურინჯი/თრუნჯი)* ლექსიკონში ცალ-ცალკეა გამოტანილი ლათინური და თურქული სახელების მითითებით, მათ არ ახლავს აღწერა, მითითებულია მხოლოდ სახელი „ხე“.

როგორია სხვა წყაროთა მონაცემები *ხილის* განმარტებისას?

ძველი ქართული ენის ლექსიკონებში *ხილი* არის, საზოგადოდ, ნაყოფი: „*ხილი* „ნაყოფი“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001), თუმცა, აქვე მოხმობილი ილუსტრაციების მიხედვით, იგი *ხემცენარის* ნაყოფი უფროა, შდრ.: „განვამრავლო ხილი ხეთაი და ნაყოფი ველთაი“; *„ხილოვანი* ხილის მომტანი ბაღი, ხე“ (აბულაძე 1973). ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ ვკითხულობთ: „და არს ლივანის ჴეობა, თჳნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბროწეულით, ლეღჳთ, ვენახით, *ხილით* შემკობილი, და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს...“. ამ ჩამონათვალში არსადაა ჩვენში ყველაზე მეტად გავრცელებული ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ბალი, ატამი, ჭერამი, კომში..., როგორც ჩანს, მეცნიერი *ხილის* მოხსენიებისას („ხილით შემკობილი“) სწორედ მათ გულისხმობს[1]. „ხილთა ქების“ ე. წ. ციკლში (გარსევან ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ მეორე, პაპუნა ორბელიანი...) ნაყოფთა რაიმე ნიშნით დაჯგუფება-კლასიფიკაცია არ ხდება და *ყველაფერი, რაც ადამიანისათვის საკვებად ვარგისია, ხილია* (მარწყვი, ტყემალი, ბალი, ჟოლო, თხილი, ქლიავი, მაყვალი, კიტრი, ნესვი, ატამი, საზამთრო, ვაშლი, ნიგოზი, ბროწეული, შინდი, ზეთისხილი, თურინჯი, ლეღვი, ხურმა, წაბლი...). საინტერესოა, რომ გარსევან ჩოლოყაშვილი ხილთა ერთგვარი პაექრობისას ჩამონათვალში არ ასახელებს ყურძენს, რაც, როგორც შენიშნულია, „...მაშინდელი საზოგადოების ყურძნისადმი დამოკიდებულებას ასახავს, როგორც გამორჩეული პროდუქტისადმი, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ხილი“ (თოფჩიშვილი 2010: 483).

საბას მომდევნო ლექსიკოგრაფთა მიხედვით, *ხილი* არ არის ოდენ ბაღის ხემცენარის ნაყოფი და მისი განმარტებისას რუსულ ენაზე მოხმობილია: *ягода* „კენკრა“, *овощ* „ბოსტნეული“, *плоды* „ნაყოფები“..., შდრ.: *„ягода ხილი* ესრეთ ეწოდების ნაყოფთა, რომელთაცა მოისხამენ საცნაურნი ხენი და მცენარენი და სავსე იქმნებიან წნოვანისა ჴორცითა, თესლებისა თჳს შორის შემცულითა“ (ბაგრატიონი 1986); „*ხილი* მოსავალი ხეთა ანუ ბალახთა; *овощ, ягода, фрукт“* (ჩუბინაშვილი 1961); „ნაყოფი ხეთა ან მცენარეთა, *фрукты, плоды, ягоды“; „ყურძენი* ხილი ვაზისა...“ (ჩუბინაშვილი 1984). ზოგჯერ ის ადა-

[1] ვახუშტი საგანგებოდ განიხილავს საქართველოს მცენარეულ საფარს. აქვე ჩანს მცენარეთა მეცნიერული კლასიფიკაციის ცდაც.

მიანისათვის საჭმელად გამოუსადეგარ ნაყოფსაც აღნიშნავს – *„დაფნის ხილი“*(ბაგრატიონი 1986: 35).

ქართული ენის კილოებში *ხილი* ზოგიერთი გარეული მცენარის ნაყოფის აღმნიშვნელი სახელის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია *(ხილშავა, შავხილა; შავი ხილი*). ხშირად ამგვარ სახელებში ერთ-ერთ კომპონენტად ჩანს რომელიმე ცხოველის სახელი, რომლითაც მითითებულია, რომ მცენარის ნაყოფი (“ხილი“) ადამიანისათვის არაა განკუთვნილი, უვარგისია *(ძაღლხილა, დათვის ხილი...).*

ქეგლ-ის მიხედვით *ხილი* არის: „1.ზოგიერთი მცენარის საჭმელად ვარგისი ნაყოფი (ჩეულებრივ, ტკბილი და წვნიანი)...; // იგივეა, რაც ხმელი ხილი... ფსტა, ნუში, აღჯანაბადი, ნუყლი /ნუღლი/, თხილი, ქიშმიში...; 2. იგივეა, რაც ხეხილი... 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ზეთისხილი. ხეხილი“ (ქეგლ 1964). ვფიქრობთ, აქ *ხილის* ერთ-ერთ მნიშვნელობად *„ხმელი ხილის“* ჩართვა, მიუხედავად იმისა, რომ მწერლობაში ზოგჯერ ამ მნიშვნელობითაც დასტურდება, აუცილებელი არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ ამავე ლექსიკონში ცალკეა გამოტანილი, შდრ.: *„ხმელი ხილი* – აღმოსავლური (სპარსული) ხილი (ფსტა, აღჯანაბადი, ინდისხურმა, ქიშმიში, ნუში და სხვ.) გამშრალ-შენახული“ (ქეგლ 1964).

ამგვარად, წარმოდგენილი განმარტებების მიხედვით, *ხილი არის ადამიანის მიერ გაღში მოშენებულ ხეთა ნაყოფი* (*ბოტ.* თესლოვანი ან კურკოვანი ნაყოფი), *საჭმელად, „საჭმარად“ ვარგისი.* ვფიქრობთ, ის თავდაპირველად მცენარეთა იმგვარ ნაყოფებს აღნიშნავდა, რომელთაც მომზადება არ სჭირდებოდა, ამასთან, ადამიანის ძირითადი საკვები არ იყო, არამედ – ოდენ გემოს ჩასატანებელი, „სახილველი“[1].

სახელი *ხილი* ბოტანიკურ ტერმინად არ დამკვიდრებულა (თუმცა გვაქვს „მეხილეობა“). ბოტანიკური ტერმინია *„ხეხილი“*, შდრ.: „*ხეხილი* – კულტურული და ველური მერქნიანი მცენარეები, რომელთა ნაყოფი გამოყენეულია საკვებად“ (ლაჩაშვილი 1977).

„სიტყვის კონაში“ ცალკე ჯგუფად წარმოდგება „ნაჭუჭმაგარი“, „ქერქმაგარი“ (*ბოტ.* „მშრალი“) ნაყოფები საერთო სახელწოდებით *ხული*, შდრ.: „*ხული* – ჴმელთა ხილთა, ნიგოზთა, თხილთა, წაბლთა და მისთანათა... ნაჭუჭ–მაგარი ხილი: ნუში, ნიგოზი, თხილი, წაბლი, ბუსტუღი და მისთანანი...“

[1] შდრ., „*ხილვა* ნახვა, დანახვა... სინჯვა, ჩხრეკა...“ (ქეგლ 1964);

სახელი *ხული* არ დასტურდება ძველი ქართული ენის ლექსიკონებში. ამ მნიშვნელობით გვაქვს „ნიგუზის-სახე“, შდრ.: *„ნიგუზის-სახე* ნიგვზისნაირი“ (აბულაძე 1973); „*ნიგუზისსახე-ი* კაკლის მსგავსი“ (სარჯველაძე 2001). დ. ჩუბინაშვილი კი მას ასე განმარტავს: „*ხული* ნაჭუჭ მაგარი ხილი, ე.ი. ნუში, ნიგოზი, თხილი, წაბლი, фрукты со скарлупой, напр. Орех и т.“. ქეგლის მიხედვით, „*ხული* 1. ძირნაყოფა ბოსტნეული მცენარე; იხმარება, როგორც მხალეული და საქონლის საკვები[1]; 2. *ძვ. კრებ.* ნაჭუჭიანი ხილი; 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ხილ-ხული (ქეგლ 1964). ზუსტია საბას მიერ წარმოდგენილი ამ ნაყოფთა გამაერთიანებელი ნიშნები: „ქერქმაგარი“, „ჴმელი“, „ნაჭუჭმაგარი“.

დღეს ტერმინი *ხული* არ დასტურდება, ნაცვლად გვაქვს *ნაჭუჭიანები, კაკლოვანები.*

კიდევ ერთ საინტერესო ტერმინს გვთავაზობს სულხან-საბას „სიტყვის კონა“. ეს არის *ხმილი* („ ...ბალახთა მობმულსა *ხილსა – ხმილი,* რომელ არს ნესვი, კიტრი, მარწყვი და მისთანანი“); სახელწოდება *ხმილი* არ ჩანს ძველი ქართული ენის ლექსიკონებში, ჩუბინაშვილებთან დასტურდება ოდენ *მარწყვის* სინონიმად. ქეგლი ეყრდნობა „სიტყვის კონას“: „*ხმილ-ი ძვ.* ბაღჩის კულტურა (ნესვი, კიტრი, მარწყვი...)“; „*ხმილეულ-ი ძვ.* კრებ. ბაღჩის კულტურები“ (ქეგლ 1964).

მიგვაჩნია, რომ საბას ლექსიკონში დადასტურებული *ხმილი* მეტად მოსახერხებელი ტერმინია ბაღჩეული კულტურების აღსანიშნავად. (*ხმილის* წარმომავლობა ასე წარმოგვიდგენია: *ხმილი <*ხამ-ილ-ი* „უმი, დაუმუშავებელი (ნაყოფი)“, შდრ.: „*ხამი* ... ესე გლეხთაგან მოღებულ არს და სახელ-სდებენ პარტახტთა აგარაკთა და გამოუჯაგვავთა ცხენთა და პირუტყვთა... *გამოუხარშავი* აბრეშუმი...“ (საბა 1993).

განსაკუთრებით საინტერესოა ლექსემა *ხიჩატელი (არ ჩანს ძველ ქართულ ენაში). საბას განმარტებით, ხიჩატელი ეწოდება* „ველურთა ტყეთა შიგან უმუშაკოდ მოსულთა ხის ნაყოფთა... ხოლო ველურთა და უმუშავართა – *ხიჩატელი... ხიჩატელად* იწოდებიან ყოველი ხილი ველური“. ეს სახელი დასტურდება ნ. ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართულ ლექსიკონშიც“ და აქაც ველურ ხილს აღნიშნავს, შდრ.:

[1] ეს მცენარე არის *თალგამურა* (Brassica napus). სახელი *ხული* მეგრული მონაცემია ქართულში. ამასთან, ის ქართული *მხალის* შესატყვისად მიიჩნევა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

„Ягода – ხილი, ნაყოფი, უფრორე გარეული, ვითარ ხიჩატელი, კენკრა, კრკო და მისთანანი“. დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში წარმოდგენილი განმარტებით კი, შეიძლება დავასკვნათ, რომ *ხიჩატელი* არის *ხურტკმელი* (Grossularia reclinata), შდრ.: „*ხიჩატელი* ს. კუნკრუხელა крыжевник“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, *ხიჩატელი* არის „ველური ხილი//უხეირო ხილი“ (ქეგლ 1964).

ჩვენი ვარაუდით, ამ სახელის წარმომავლობა ასეთია: *ხიჩატელი* < *ხილ* + *მჩატე-ლი*, შდრ.: „*მჩატე* (მჩატისა) მცირე წონისა, მსუბუქი“ (ქეგლ 1986); *„ხიჩატელი არ აბადია* – ღარიბია, უქონელია, უპოვარია, საწყალია“ (სახოკია 1979).

მიუხედავად იმისა, რომ *ხიჩატელი*[1] ქართულში დღესაც ცოცხალი სიტყვაა, სპეციალურ ლიტერატურაში მას ჩაენაცვლა შესიტყვებები: *„ტყის ხილი“, „ველური ხილი“.* მიგვაჩნია, რომ მისი ტერმინად დამკვიდრება უპრიანია, რადგან: 1. დასტურდება ისტორიულად (ძველ ლექსიკონებში); 2. დასტურდება ქართულ მწერლობასა და ცოცხალ მეტყველებაში; 3. ერთსიტყვიანი სახელწოდებაა; 4. მისი მოტივაცია ნათელი და ზუსტია.

„სიტყვის კონაში“ ცალკე სალექსიკონო ერთეულად გვაქვს კიდევ ერთი საინტერესო ტერმინი *კაკრა*, როგორც არაერთი ნაყოფის კრებითი სახელი. ამ ნაყოფებს თვალშისაცემი საერთო ნიშან-თვისებები გააჩნია: მცირე ზომა, მომრგვალო ფორმა და ადამიანისათვის საჭმელად უვარგისობა, შდრ.: „*კაკრა* რომელთა ხილი არა იჭ(ა)მების კაცთაგან და ფრინველნი ჭამენ, ვითარცა სუროთა, ხეშავთა და მისთანათა ეწოდებიან“[2]; ლექსიკონში ეს სახელი მცენარე *ეკალღიჭის ნაყოფის* (ამავე ნიშან-თვისებების მქონეა) განმარტებისასაც ჩნდება, შდრ: „კინკარუჟა (ხე) ბრწამლის *კაკრა* ZA. (ხე) ბრწამლის ხილი B. (ხე) ბურწუმლის ხილი C“. ეკალს ხილი D“ (საბა 1991).

სახელი *კაკრა* არ დასტურდება ძველი ქართული ენის ლექსიკონებში. საბას შემდგომი ლექსიკოგრაფების ნაშრომებში კი ამგვარი სურათი იკვეთება: ი. ბაგრატიონის ლექსიკონში არ დასტურდება სახელი *კაკრა,* არამედ გვაქვს *კანკრა,* რომლის განმარტებისას დასახე-

[1] შდრ.: *მთისა და ველის ნაწილი* სახელია ადამიანის საკვებად ვარგისი იმ გარეული მცენარეების ნაყოფებისა, რომელთა მოყვანას ადამიანის ზრუნვა არ სჭირდება (მოპ. მასალა; ონის მუნიც.); *„ჭყუნტა* – 1. პანტა; 2. *გადატ. საერთოდ წვრილი ხილის სახელია“* (ფეიქრიშვილი 1992).

[2] „ხმელთა ხილთა, ნიგოზთა, თხილთა, წაბლთა და მისთანათა“ განმარტებისას ერთგან გვაქვს, ასევე, *კაკრა* (საბა 1993).

ლებულია სამი სხვადასხვა მცენარე და ყველა მათგანს აქვს მცირე ზომის, მომრგვალო ფორმის ნაყოფი, შდრ.: *„ანწლი//კანკრა* – იხ. Бирючина“[1]; пищальник[2], ягодки[3]“ (ბაგრატიონი 1986). აქვე პირველად ჩნდება სახელი *კენკრა*. მისი განმარტებისას მოხმობილია ფიტონიმები: დათვისთხილა, ძეძვი, მგლის კაკალა, მგლის ჯღარდალა, крушина, ხოლო აღნიშნული მცენარეების გაცნობა იმის დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ სახელი *კენკრა* მივიჩნიოთ *ხეჭრელის* (Frangula alnus) ან *ხეშავის* (Rhamnus cathartica) ნაყოფის (ასევე მცირე ზომის, ბურთულასებრი და ადამიანისათვის საჭმელად უვარგისი) სახელად.

ამგვარად, ი. ბაგრატიონის „საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონში“ დადასტურებული *კენკრა* და *კანკრა,* ისევე როგორც „სიტყვის კონის“ *კაკრა,* ადამიანისათვის საჭმელად უვარგისი ზოგიერთი ველური მცენარის ბურთულასებრი ნაყოფების სახელებად გვევლინება.

კაკრა გვაქვს ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც. ის აქ *კენკრის* სინონიმია და განმარტებულია, როგორც „ხიჩატელი, გარეულს ხეზედ მოსხმული მარცვალი რამ ხილსავით, ягода“; ამის მიხედვით, *კაკრა* და *კენკრა,* საზოგადოდ, ტყის ხილს (ხიჩატელს) აღნიშნავს, ხოლო აქვე მოხმობილი რუსული *Ягода* იმავე ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონში ასე განიმარტება: „ხილი, ნაყოფი, უფრორე გარეული, ვითარ ხიჩატელი, კენკრა, კრკო და მისთანანი“ (ჩუბინაშვილი 1973).

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც დასტურდება *კაკრა,* როგორც *კენკრის* სინონიმი (შდრ: „*კაკრა* ნახე *კენკრა*“- ჩუბ. 1985). აქვე გვაქვს სინონიმად *კანკრაც,* შდრ.: *„კენკრა, კანკრა* ს. გარეულს ხეზედ მოსხმული მარცვალი, ხიჩატელი, желудь, шишка еловая“ (რკო; ნაძვის გირჩი); „*კანკრა,* ს. *კენკრა* бирючина, жось (раст.)“ (კვიდო, ხეშავი). ამავე ლექსიკონში *კენკრა* სხვადასხვა მცენარეთა განმარტებებშიც გვხვდება და მათ მცირე ზომის ნაყოფს აღნიშნავს (ან, საზოგადოდ, მცირე ზომის ნაყოფს), შდრ: „კარდი – ხაოს მიმცემი ხორკლიანი *კენკრა*“; „კინკრიჟა... – *კენკრა* ღვივისა“; „ კრკო – *კაკრა* ნახე *კენკრა*... მუხის ხე ან ხილი მისი *კენკრა*“).

[1] კვიდო (Ligustrum vulgare) (მაყაშვილი 1961).

[2] ბაღის დიდგულა, Sambucus racemosa (მაყაშვილი 1961).

[3] მაჯაღვერი, Daphne mezereum (მაყაშვილი 1961).

ამგვარად, ჩუბინაშვილების განმარტებების მიხედვით, *კაკრა, კანკრა, კენკრა* სინონიმებად გვევლინება და ისინი მხოლოდ ადამიანისათვის საჭმელად უვარგისი ნაყოფების აღმნიშვნელი სახელები როდია, არამედ, საზოგადოდ, ველურ მცენარეთა მცირე ზომის, მომრგვალო ფორმის ნაყოფებისა (რუსული *Ягода* სახელ *კაკრა/კანკრა/კენკრას* განმარტებებში პირველად ჩნდება ი. ბაგრატიონისა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში) და აქ, ცხადია, არ მოიაზრება მარწყვი, მაყვალი, ჟოლო...

რაფიელ ერისთავის ლექსიკონში არ დასტურდება ჩვენთვის საინტერესო სახელი *კაკრა,* ხოლო სინონიმები *კანკრა* და *კენკრა* ხეჭრელის (Frangula alnus) ან ხეშავის (Rhamnus cathartica)[1] ნაყოფთა სახელებია (ერისთავი 1884)

ქეგლის მიხედვით, *კაკრას* სემანტიკა გაფართოებული ჩანს და საბასეულ განმარტებას ემატება „საერთოდ, მწვანე, უმწიფარი ნაყოფი, რომელიც არ იჭმება“. აქვე მითითებულია, რომ *კაკრა* მცენარე *ფითრისა* და ახლად გამოსული *ლელვის ნაყოფის* სახელიცაა, შდრ.: *კაკრა* (კაკრისა) 1. მცენარე, რომლის ნაყოფი არ იჭმება (სურო, ხეშავი და მისთ.) (საბა). 2. ასეთი მცენარის ნაყოფი (შდრ. კენკრა)... // ფითრის ნაყოფი. 3. კუთხ. (ქიზ.) ახლად გამოსული ლელვის ნაყოფი; გემოთი მწარეა და რძესავით თეთრი წვენი სდის... 4.საერთოდ, მწვანე, უმწიფარი ნაყოფი, რომელიც არ იჭმება“ (ქეგლ 1955) .

დღეს ქართულის კილოებში არაერთი მცენარის ნაყოფის სინონიმურ სახელად დასტურდება *კაკრა, კანკრა, კენკრა* და ძირითადად მცირე ზომის მომრგვალო ფორმის ნაყოფებს აღნიშნავს, მაგ.: „ეს რა საქმე მიყო ტახმა, მომიჭამა *ენდროს კაკრა,* მე რომ თოფი გავუწოდე, იმან ფეხი აიკარკლა“ (ქეგლ 1955); *ქართლ. კანკრა, კენკრა* (=კვიდო); *კახ., ზმ.- იმერ. კანკრა* (=ეკალღიჭი)(მაყ. ძოწ.); *ქართლ. კენკრა* (=შავჯაგა); *კახ. კენკრა* (=ხეშავი) (მაყ.) და სხვ.

ჩვენი დაკვირვებით, *კაკრა, კანკრა, კენკრა*[2] ერთმანეთის მიმართ ფონეტიკური ვარიანტებია. ამოსავალია *კაკრა,* რომელიც დასტურდება „სიტყვის კონაში“. ამ ფორმებში გამოვაცალკევებთ *კაკ-* ძირს სემანტიკით „მარცვლოვანება“[3]. სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ *-რა* სუფიქსს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 376); ასევე, ვარაუდობენ,

[1] ჭირს იმის დაზუსტება, კონკრეტულად რომელ მათგანს გულისხმობს ავტორი.

[2] *მეგრ.*: „*კაკარა* კენკრა, კაკრა“ (ქობალია 2010).

[3] შდრ.: „*კაკალი* იგივეა, რაც მარცვალი“ (ქეგლ); *მეგრ.-ლაზ.: კაკალი – „მარცვალი...“* (ქობ. 2013, თანდილავა 2013); *სვან. გაკ, გაკ-რა* „კაკალი“(სვან. ლექს. 2000). *კაკ-ალ* სახელში არნ. ჩიქობავა გამოყოფს *-ალ* სუფიქსს (ჩიქობავა 1938: 124).

რომ *კენკ-რა* „წარმოშობით სვანური ფორმა უნდა იყოს და იქიდან შემოსული ქართულში, თუმცა სვანურში ფიქსირებული არაა. აგებულება სიტყვისა, კერძოდ, მისი ბოლოკიდური *რა* მიმდევრობა, რომელიც ჩვეულებრივია ხეთა და მცენარეთა სახელწოდებებში სვანურში..., გვაფიქრებინებს ამას“ (გიგინეიშვილი 2016: 243). ჩვენ მიგვაჩნია, რომ სვანურიდან ქართულში შემოსულია არა *კენკ-რა,* არამედ *კაკ-რა* და *-რა (/ლა-)* სუფიქსის მთავარი ფუნქცია სვანურში *მრავლობითობის* აღნიშვნა უნდა ყოფილიყო, რომელიც გარკვეულ ლექსიკურ კონტექსტში სხვადასხვა სემანტიკურ დატვირთვასაც ავლენდა (კრებითობა, წარმომავლობა, კუთვნილება, თვისება, მასალა), ხოლო მცენარეთა სახელებში ის აღსანიშნი მცენარის გამოკვეთილი *ნიშან-თვისების* გამოხატვას გულისხმობდა ფართო გაგებით (ნაყოფის სიხშირე-მსხმოიარობა, თვისების მქონებლობა, მსგავსება, მასალა...), რაც ქართულ *-თ-ა, -იან,*

-ნარ სუფიქსთა გარკვეულ ფუნქციებს ეთანადება (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2018).

წარმოდგენილ ენობრივ მონაცემებზე დაკვირვება და ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ დღეს სახელი *კენკრა/კანკრა (<კაკრა)* და ტერმინი *კენკროვანები* ხშირად არასწორადაა აღქმულ-გამოყენებული არა მხოლოდ ცოცხალ მეტყველებაში, არამედ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. მაგალითად, დაზუსტებას მოითხოვს ქეგლის განმარტება: *„კენკრა* საერთო სახელია წვრილ მცენარეულ ნაყოფთა (როგორიცაა: *მარწყვი, ჟოლო, მაყვალი* და მისთ.)“ (ქეგლ 1955). მიგვაჩნია, რომ საკითხის მოსაგვარებლად უდავოდ გასათვალისწინებელია: 1. ენობრივი ტრადიცია (წვრილი მრგვალი ნაყოფი); 2. სამეცნიერო-ბოტანიკური დეფინიცია. ეს უკანასკნელი კი სპეციალურ ლიტერატურასა და ქართულ ენციკლოპედიაში მკაფიოდაა წარმოდგენილი, შდრ.: *„კენკრა* – მცენარის ნაყოფის ტიპი; წვნიანი, უხსნელი, ერთი ან მრავალთესლიანი ნაყოფი. არჩევენ ორი სახის კენკრას: 1. როდესაც კენკრა მთლიანად ხორცოვანია და ძალიან თხელკანიანია, როგორც, მაგ., ყურძნის, პომიდვრის, მოცხარის და სხვ. ნაყოფი; 2. ქერქიანი კენკრა, რომლის ნაყოფსაფარი სქელქერქიანია, როგორც, მაგ., ციტრუსების ნაყოფი“ (ლაჩაშვილი 1977); „*კენკრა* (bacca, uva) მცენარის უხსნადი მრავალთესლიანი, იშვიათად ერთთესლიანი ნაყოფი. მომწიფებისას მთელი ნაყოფსაფარი წვნიანია, ეგზოკარპიუმი – თხელკანიანი. კენკრა აქვს ვაზს, ხურტკმელს, მოცხარს, შტოშს და სხვა. *ყოველდღიურ ცხოვრებაში მარწყვის (რთული კაკლუჭა), ჟოლოსა (რთული კურკიანი) და ლელვის (ნაყოფედი) ნაყოფს ხშირად უმართებულოდ კენკრას ეძახი-*

აწ“ (ქსე 1980).

ვვარაუდობთ, ქეგლში სათანადო სტატიის მომზადებისას სხვა ენათა მონაცემით (რუსული, ევროპული ენები), იხელმძღვანელეს, იქ კი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, ერთგვარი შეუსაბამობაა ხალხში დამკვიდრებულ სახელსა (ягода, berry) და მის ბოტანიკურ რაობას შორის. ძველ ქართულ ლექსიკონებსა და ქართული ენის კილოებში *კაკრას/კენკრას/კანკრას* მნიშვნელობებში არ მოიაზრება *„მარწყვი“, „მაყვალი“, „ჟოლო“.*

ვფიქრობთ, სალიტერატურო ქართულისათვის გასათვალისწინებელია შემდეგი: 1. წვრილ მცენარეულ ნაყოფთა ზოგადი სახელია დღესაც ცოცხალი *ხიჩატელი* (აქვე მოიაზრება ჟოლო, მაყვალი, მარწყვი..., თუმცა ბოტანიკაში მათ სხვაგვარად აჯგუფებენ ნაყოფთა განსხვავებულობის გამო); 2. *კენკრა* საერთო სახელია ოდენ წვრილ და მომრგვალო ფორმის ნაყოფთა, მეტწილად ხიჩატელთა, როგორებიცაა: მოცვი, მოცხარი, ხურტკმელი, თამელი, კუნელი...; 3. *კაკრა* იმგვარი კენკრაა, რომელიც ადამიანის საკვებად არ გამოდგება. რაც შეეხება ბოტანიკურ ტერმინებს *კენკრა* და *კენკროვანები*, მათი დეფინიცია (იხ. ზმ.) ემყარება მკაცრ მეცნიერულ ანალიზს და ძირითადად შეესაბამება ქართულ ენობრივ ტრადიციას.

ამგვარად, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ დადასტურებულ მცენარეთა სახელებზე, ნაყოფთა სახელწოდებებსა თუ სხვა ბოტანიკურ ტერმინებზე დაკვირვება კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ამ მემკვიდრეობის მნიშვნელობას და ხშირად დაგვაფიქრებს თანამედროვე ტერმინოლოგიაში მათი დამკვიდრების შესაძლებლობებზე.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ბაგრატიონი 1986 – იოანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ბიბლ. ლექს. 2009 – ბიბლიის ლექსიკონი, (მასალები), ტ. II, თბილისი.

გიგინეიშვილი 2016 – ბაქარ გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ერისთავი 1884 – რაფიელ ერისთავი, ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან, თბილისი.

თოფჩიშვილი 2010 – როლანდ თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბილისი.

ლაჩაშვილი 1977 – იოსებ ლაჩაშვილი, მოკლე ბიოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

მაყაშვილი 1961 – ალექსანდრე მაყაშვილი ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი

საბა 1991; 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

სარჯველაძე 2001 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

ფეიქრიშვილი 1992 – ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი,

ქართ. დიალ. 1961 – ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, ახალი ქართული ენის კათედრის შრომები, 3, თბილისი.

ქეგლ 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბილისი.

ქეგლ 1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, თბილისი.

ქეგლ 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

ქსე 1980 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბილისი.

ღლონტი 1984 – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნოლდ ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1961 – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილის 1973 – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, II;

ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბილისი.

Nana Khotcholava-Matchavariani
TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics, Georgia
mzeshina@mail.com

Keywords: Terminology, Botanical Terminology, Sulkhan-Saba Orbeliani, "Sitkvis Kona."

Some Botanical Terms Found in Sulkhan-Saba Orbeliani's Dictionary "Sitkvis Kona"

Summary

Some general terms of fruits and their definitions are worth mentioning in Sulkhan-Saba Orbeliani's „Sitkvis Kona". Compare: The word ხილი is referred to fruit grown in the garden, with a soft peel, like apples, pomegranates, grapes, lemons etc. But ხეილი means a fruit with tough peel like an almond, walnut, chestnut, cedar, etc. The word ხმილი means all the fruits grown at the top of a plant, such as a melon, watermelon, strawberry, cucumber, etc. And the term ხიჩატელი means all the fruits grown on uncultivated, wild plants.

Today the importance of enrooting some of the above-mentioned names is of essential importance (for example: ხიჩატელი (<ხილმჩატელი) – „each wild fruit" (Saba, 1993).

The meanings of some botanical terms in accordance with their peculiar biological characteristics are not defined yet (კაკრა, კენკრა, ნაჟვი).

ქეთევან ხუციშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
ketevan.khutsishvili@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ანთროპოლოგია, ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი, ეთნოგრაფიული ჯგუფი.

ტერმინ *ეთნოგრაფიული ჯგუფის* გაგებისათვის

ეთნიკური ტერმინოლოგია დისკუსიის საგანი იყო და დღემდე რჩება არამხოლოდ ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის დისციპლინარულ ფარგლებში, არამედ სამეცნიერო, პოლიტიკურ თუ უფრო ფართო საზოგადოებრივ წრეებში. ასეთი ვითარება არ არის გასაკვირი, რადგან საკითხი მხოლოდ თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების არჩევანს არ უკავშირდება, არამედ ეს ტერმინები გამოიყენება საზოგადოებრივი დისკურსებისას და პოლიტიკურ დატვირთვას_იძენს.

ნებისმიერი სამეცნიერო დისციპლინის ეტაპობრივი განვითარება შესაბამისი ტერმინოლოგიური აპარატის შემუშავებას გულისხმობს. რაც, თავის მხრივ, თეორიული მიდგომების და სამეცნიერო აზრის განვითარების შესაბამისად იცვლება. ეს დებულება ვრცელდება ეთნოლოგია/ანთროპოლოგიაზეც.

ეთნოლოგიის კვლევის ობიექტს ადამიანთა ჯგუფები, სოციუმები, მათ შორის, ეთნიკური ერთობები წარმოადგენს, საგანს კი – მათი ყოფა და კულტურა. ეთნოგრაფიული კვლევების ადრეული ეტაპიდანვე დაიწყო ეთნოკულტურული ერთობების ტერმინოლოგიური სისტემატიცაზია, მათი მახასიათებლების შესაბამისად. თავად ტერმინი *ეთნოსიც,* რომელიც ბერძნულიდანაა ნასესხები და ახალი მნიშვნელობით აღნიშნავს საერთო წარმომავლობისა და კულტურის მქონე ადამიანთა ჯგუფს, დღემდე დისკუსიის საგანია. ტერმინთა განვითარების პროცესში ბუნებრივად გამახვილდა ყურადღება ეთნიკურ ერთობათა წარმოშობის საკითხზე. ამ მიმართულებით კვლევების შედეგად ჩამოყალიბდა რამდენიმე თეორიული მიდგომა, კეროდ, *პრიმორდიალისტური, კონსტრუქტივისტული* და *ინსტრუმენტალური* მიდგომები.

კონსტრუქტივისტული და *ინსტრუმენტალური* მიდგომები ეთნიკურობას ინდივიდისა და ჯგუფის მიერ იდენტობის გარკვევის

პროცესში ჩამოყალიბებულ თანამედროვე ფენომენად განიხილავენ (იხ. Jenkins 1997). *პრიმორდიალისტური* მიდგომის მიხედვით კი ეთნიკურობა განიხილება ობიექტურ მოცემულობად, კაცობრიობის პრიმორდიალურ მახასიათებლად, რომელიც განპირობებულია ტერიტორიით, ენით, საერთო მენტალობით (იხ. Geertz 1963; Barth (ed.) 1969). ამ მიდგომების ფარგლებში სხვადასხვანაირად იქნა განხილული ეთნიკურ ერთობათა სტრუქტურა თუ იერარქია.

საქართველოში ეთნოლოგიური კვლევის დაწყება თერგდალეულთა მიერ ერის კონსოლიდაციისკენ მიმართულ ძალისხმევას უკავშირდება. ერთიანი ეთნკულტურული იდენტობის განსამტკიცებლად სიძველეების, ფოლკლორის, ხელოვნების, ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული ყოფის აღწერა, შესწავლა და პოპულარიზება იყო საჭირო. ამ საქმეს დიდი ამაგი დასდეს ისეთმა მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ: ბესარიონ ნიჟარაძე, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, იოანე მარგიანი, ეგნატე გაბლიანი, ნიკო ხიზანაშვილი და სხვანი. მოგვიანებით კავკასიის მუზეუმი გახდა ეთნოგრაფიული მასალის დაგროვებისა და ეთნოგრაფიული ხასიათის წერილების გამოქვეყნების კერა. ეთნოლოგიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებით დაიწყო. თუმცა, ქართული ეთნოლოგიური სკოლის დაფუძნება გიორგი ჩიტაიას (1890-1986) სახელს უკავშირდება. მისი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი და ეთნოლოგიის დისციპლინარული განვითარება უკვე საბჭოთა პერიოდს დაემთხვა. საბჭოთა კავშირში ეთნოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბება იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მიმდინარეობდა. 1926 წელს დაბეჭდილ გ. ჩიტაიას საპროგრამო სტატიაში აღწერილია ეთნოლოგიის ამოცანები და მეთოდოლოგია (ჩიტაია 1997:527-534). გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული მიდგომები ეფუძნებოდა მის პრაქტიკულ საქმიანობას და შესაბამისად, დარგის ბუნებრივ განვითარებას პასუხობდა. ამასთან, საერთო იდეოლოგიური პარადიგმისა და ტერმინოლოგიური აპარატის გავლენით, ქართული ეთნოგრაფიული ტერმინოლოგია საბჭოთა მიდგომების საფუძველზე განვითარდა. შედეგად, დღემდე გაუგებრობების მიზეზი ხდება მთელი რიგი ტერმინები, განსაკუთრებით კი ეთნიკურ ერთობათა სახელწოდებები. მათი წარმომავლობის გასაანალიზებლად საჭიროა განვიხილოთ საბჭოთა (რუსულ) ეთნოგრაფიაში განვითარებული ტერმინოლოგიური აპარტი, რომელიც ფორმაციულ-ევოლუციონის-

ტური პარადიგმის ფარგლებში განვითარებულ პრიმორდიალისტურ თეორიებს ეფუძნებოდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში *ეთნოსის* (გვაროვნული კავშირის აღმნიშვნელი ეთნიკური ერთობა) გარდა სხვადასხვა ისტორიული ფორმაციის შესატყვისად განიხილებოდა და გამოიყენებოდა ტერმინები *ხალხი* (მონათმფლობელური საზოგადოებებისთვის), *ტომი* (პირველყოფილი საზოგადოებისათვის) და *ნაცია* (კაპიტალისტური და საოციალისტური საზოგადოებებისთვის), ს. ტოკარევმა სცადა დაემკვიდრებინა ტერმინი *დემოსი*, ი. ბრომლეიმ *პალეოსი*, *მეზოსი* და *ეთნიკოსი* (ეთნოსისი ვიწრო მნიშვნელობით) (Бромлей 1983).

ეთნიკური ტერმინოლოგია ფორმაციულ პერიოდიზაციაზე დაფუძნებული მარქსისტული მეთოდოლოგიური მიდგომის ჩარჩოში, ეთნოსის თეორიის ფარგლებში ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა. თუმცა, ერთიანი შეხედულება ამ მიმართულებით მაინც ვერ ჩამოყალიბდა. ი. ბრომლეის ეთნოსის დუალისტური თეორიის გარდა ეთნიკურ ერთობათა რაობისა და სტრუქტურის შესახებ შეიქმნა ლ. გუმილოვის (ბიოლოგიური თეორია) (იხ. Гумилёв 1993), ნ. ჩებოქსაროვის და ს. არუთიუნოვის (ინფორმაციული კონცეფცია) (იხ. Чебоксаров 1985, Арутюнов 1988) და ვ. პიმენოვისა და ნ. მარკოვის (კომპონენტური თეორია) (იხ. Пименов 1977, Марков 1994) თეორიები.

მათგან წამყვანი პოზიცია იულიან ბრომლეის (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის) თეორიამ დაიკავა, რომლის არსი მდგომარეობდა იმის აღიარებაში, რომ ეთნოსს ახასიათებს უცვლელი ბირთვი და, ამავე დროს, მისი ზოგადი მახასიათებელია ცვლილების უნარი, რაც სხვადსხვა სფეროში გამოიხატება. ი. ბრომლეის მიაჩნდა, რომ კაცობრიობა მისი ბიოლოგიური ერთიანობის მიუხედავად, მაინც განსხვავდება სოციალური კანონების მიხედვით და იყოფა დიდი რაოდენობით, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთობებად, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ეთნოსს, როგორც ადამიანთა ინტეგრაციის განსაკუთრებულ ფორმას. მისი განმასხვავებელი მახასიათებელია სხვა ერთობებთან შედარებით მყარი კავშირები და ურთიერთობები, რომლებიც შენარჩუნებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციის განსხვავებულ ფორმებში (Бромлей 1983). ი. ბრომლეიმ ეთნიკურ ერთობათა გარკვეული იერარქიული კლასიფიკაციაც წამოადგინა, რომლის მიხედვით ძირითადი ეთნიკური ერთობები არის ეთნოსები (ფართო და ვიწრო მნიშვნელობით); ეთნოსის შემადგენელი ნაწილებია ე.წ. ელემენტარული ერ-

თობები ანუ მიკროეთნიკური ერთეულები; მაკროეთნიკური ერთეულები რამდენიმე ეთნიკური ერთეულის მომცველი დიდი გაერთიანებებია (Бромлей 1983: 81-83). იგი გამოყოფს *სუბეთნოსებსაც*, რომლებიც ეთნოგრაფიულ ჯგუფთან ერთად ეთნოსის შიდა ნაწილებად მიაჩნდა (Бромлей 1973).

ამჯერად, ჩვენი ინტერესის სფეროშია ზემოთ ნახსენებ პარადიგმაში განვითარებული ტერმინი *ეთნოგრაფიული ჯგუფი*. ეს კონცეპტი არ გვხვდება დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში და დამკვიდრებული იყო მხოლოდ სსრკ-ის და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებში.

ეთნოგრაფიული ჯგუფი განიხილებოდა, როგორც ხალხის, ერის/ნაციის სპეციფიკური ნაწილი, რომლის კულტურასა და ყოფას ახასიათებს ზოგიერთი თავისებურება (დიალექტი, მეტყველება, სპეციფიკური მატერიალური და სულიერი კულტურა, რელიგიური თავისებურებები და სხვ.). მიიჩნეოდა, რომ იგი ჩვეულებრივ წარმოიშობა ხალხების/ეროვნებების ასიმილაციის ან ნაციაში უცხო ნაციონალური ჯგუფების ან ტომების ეროვნებად ჩამოყალიბების პროცესში, როდესაც ტომები და ჯგუფები ინარჩუნებენ ზოგიერთ მახასიათებელს (Бромлей 1983:81). ს. ბრუკის მიხედვით, ეთნოგრფიული ჯგუფი შეიძლება გაჩენილიყო „ძირითადი ეთნიკური მასივიდან ხალხის გარკვეული ჯგუფის გამოყოფის შედეგად, მაგალითად, მიგრაციების, სახელმწიფო საზღვრების ცვლილების დ სხვა მიზეზით“ (Брук 1986).

ეთნოგრაფიულ ტერმინთა კორპუსში, ი. ბრომლეის თეორიის შესაბამისად, ეთნოგრაფიული ჯგუფი სუბეთნოსებთან ერთად ეთნოსის შემადგენელ ერთეულადაა წარმოდგენილი (Свод 1988:49-50). ი. ბრომლეის მიხედვით, ეთნოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთობები ეთნიკური ერთობის სახეებია. მისი განმარტებით, „ეთნოგრაფიული ჯგუფი არის ეთნოსის – ხალხის ლოკალური (შიდა) ერთეული, რომელსაც გააჩნია კულტურის სპეციფიკური ელემენტები“ (Бромлей 1983). ტაქსონომიურ დონეებზე მსჯელობისას იგი აცხადებს, რომ „ეთნიკური და ეთნოგრაფიული ჯგუფების გასამიჯნად ტერიტორიული კი არა, არამედ თვისებრივი კრიტერიუმებია ასაღები“ (Бромлей 1983: 84).

ი. ბრომლეის განმარტებამდე ჯერ კიდევ 1920-იან წლებში ლ. შერსტოვა ახსენებს ეთნიკურ და ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ეთნოსის შემადგენელ ნაწილებად (იხ. Шерстова 1921). იგი შეეცადა ეთნოგრაფიული ჯგუფის განმარტება შემოეთავაზებინა. კერძოდ, ეთნოგრაფი-

ული ჯგუფი, ლ. შერსტოვას მიხედვით, არის უკვე ფორმირებული ეთნოსის (ხალხის, ნაციის) ახლად წარმოქმნილი, საკმაოდ ჰომოგენური ნაწილი, რომელსაც რიგი მიზეზების გამო – გეოგრაფიული, პოლიტიკური, რელიგიური და სხვ. – შეძენილი აქვს სპეციფიკური კულტურული თავისებურებები (Шерстова 1921: 29-45).

ენციკლოპედიურ გამოცემაში „რუსეთის ხალხები“ (Народы России 1994) ეთნოგრფიული ჯგუფი განმარტებულია, როგორც ეთნოსის ლოკალური გაერთიანება, რომელიც მისგან განსხვავდება ენით (დიალექტით, კილოთი) და კულტურის ცალკეული კომპონენტებით, თუმცა მის წევრებს არ გააჩნიათ ეთნოსისგან განსხვავებული თვითშეგნება (იხ. Народы России 1994).

ლ. გუმილიოვი ტერმინ *ეთნოგრაფიულ ჯგუფს* ტერმინ *სუბეთნოსით* ანაცვლებს, რაც განმარტებული აქვს, როგორც ეთნოსის ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, კონკრეტულ ტერიტორიასთანა დაკავშირებული და საერთო ყოფა აქვს (Гумилёв 1993).

პოსტსაბჭოთა რუსულ სამეცნიერო ლიტერტურაში ისევ გვხვდება ტერმინი *ეთნოგრაფიული ჯგუფი,* რომელიც ასევე განმარტებულია, როგორც სუბეთნიკური ჯგუფი - განსაკუთრებული ნაწილი ეროვნებისა ან ერისა, რომელსაც შენრჩუნებული აქვს ენის, კულტურისა და ყოფის ზოგიერთი მახასიათებელი (Большой Энциклопедический словарь 2000). ენათმეცნიერთა წრეში, *ეთნოგრაფიულ ჯგუფებად* მოიხსენიებიან ისეთი ჯგუფები, რომლებიც „კონკრეტულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და სხვებისგან განსხვავდებიან ეთნოგრაფიული (კულტურულ-ყოფითი) და ენობრივი მახასიათებლებით. ენობრივი სპეციფიკა კი მათ საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული დიალექტიზმებისა და ეთნოგრაფიზმების არსებობაში გამოიხატება“ (Михальченко (ред.) 2006).

მოგვიანებით, 2011 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ვ. ტიშკოვი და ი. შაბაევი საერთოდ აღარ ახსენებენ სიტყვა *ეთნოგრაფიულ ჯგუფს* და *ეთნიკურობასა* და მის მახასიათებლებზე მსჯელობენ (იხ. Тишков, Шабаев 2011).

ამ პერიოდის სტატიაში დ. ტრეგუბოვა წერს, რომ ეთნოსის სტრუქტურის შესახებ მსჯელობა არ არის დასრულებული და არ არსებობს გაზიარებული კონცეფცია (Трегубова 2011: 232). მართლაც, თვალსაჩინოა საბჭოთა პერიოდის შემდგომ რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინოლოგიური განსხვავებები, აღსანიშნავია, რომ ტერმინ *ეთნოგრაფიული ჯგუფის* ნაცვლად ბოლო პერიოდის რუ-

სულ სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ხშირად გვხვდება ტერმინი *ეთნოლოკალური ჯგუფი.*

ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ეთნიკური ტერმინოლოგის საკითხები სპეციალურად აქვს განხილული მ. გეგეშიძეს ნაშრომში „ეთნიკური კულტურა და ტრადიციები“ (1978). მ. გეგეშიძე განიხილავს ეთნიკურ ტერმინთა სახეებს და აცხადებს, რომ „ქართულში დღეს დასაზუსტებელია შესატყვისი ნომენკლატურა“, „გაურკვეველია *ეთნიკური ჯგუფის, ეთნოგრაფიული ჯგუფის* ცნებები და მათი ეთნოსთან მიმართება და სხვ.“ (გეგეშიძე 1978: 20, 40). იგი კრიტიკულად ეხმიანება ლ. გუმილიოვის, ი. ბრომლეისა და სხვათა მოსაზრებებს. ქართული ეთნოსოციალური ერთობის მაგალითზე ასაბუთებს ზოგიერთი ტერმინის მცდარობას. იგი მიმოიხილავს ეთნიკურ ტერმინებთან დაკავშირებულ ვითარებას და აღნიშნავს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გვხვდება ტერმინები: *ძირი, გვარი, ტომი, თემი, ისტორიულ-ტერიტორიული ჯგუფი* და *ისტორიულ-ტერიტორიული კუთხე* (გეგეშიძე 1978: 111-112). მეცნიერი განიხილავს ქართველ ისტორიკოსთა დამოკიდებულებას (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი), რომლებიც ლოკალური თავისებურებების მქონე ჯგუფებს თემებს უწოდებენ (ბერძენიშვილი და სხვ. 1946: 9-10). მ. გეგეშიძესთან ვკითხულობთ: „ყურადღებას იქცევს ის გარემობა, რომ ქართველი წამყვანი ისტორიკოსები ქართველთა კუთხობრივ ტერიტორიული ერთეულების მცოვრებთ არსად *ეთნოგრაფიულ ჯგუფებს* არ უწოდებენ. ამ მხრივ ერთადერთ შემთხვევად გვევლინება გ. მელიქიშვილის მიერ აღნიშნული განსაზღვრების („ეთნოგრაფიული ჯგუფის“) ხმარება, მაგრამ კონტექსტის მიხედვით ადვილი გამოსაცნობია, რომ ეს განსაზღვრება ნახმარია მკვლევრის მიერ არა ეთნიკური შინაარსით და მნიშვნელობით, არამედ უბრალო ტექნიკური აზრით, რომ გახაზოს დროთა ვითარებაში გამოკვეთილი ტერიტორიულ-კუთხობრივი კულტურულ-ყოფითი თავისებურებები“ (გეგეშიძე 1987: 115). თავად მ. გეგეშიძე იყენებს ტერმინს *ლოკალურ-ტერიტორიული ჯგუფები* (გეგეშიძე 1978: 112), რომელთა გაჩენაც ეთნოსის ტერიტორიული განფენის შემდგომ მისი შინაგანი ინვარიაციული ცვლილებების შედეგი უნდა ყოფილიყო (გეგეშიძე 1978: 39)

მ. გეგეშიძე აკრიტიკებს ტერმინ *ეთნოგრაფიული ჯგუფის* გამოყენებას, რაც, მისი აზრით, „ლაპარაკობს პირველყოფილობის გადმონაშთების სიძლიერისა და საქართველოს მთისა და ბარის ისტორიული გათიშულობის იდეის სასარგებლოდ“ (გეგეშიძე 1978: 110). შესაბა-

მისად „შეუფერებელია ტერმინ *ეთნოგრაფიული ჯგუფის* გამოყენება ქართველთა, ქართულ ენაზე მოლაპარაკე „ნათესავით ქართული“ მთლიანობის შიგნით“, - ასკვნის იგი (გეგეშიძე 1978: 115). „საქმე ის არის, რომ ეს სახელწოდებები (ეთნოგრაფიული ჯგუფი, ეთნიკური ჯგუფი ქ. ხ.) ერთმანეთის არც პირდაპირი შესატყვისნი და არც ურთიერთშემცვლელნი არიან, თითოულ მათგანში დამოუკიდებელი შინაარსი დევს და მათი გამოყენება აღნიშნული ერთეულების სახელწოდებად ამ უკანასკნელთ შესაბამის იერს ანიჭებს, ყოველივე ეს კი უზუსტობის გარდა გაუგებრობის წყაროც არის, რაზედაც შეცდომები აღმოცენდება“ (გეგეშიძე 1978: 112). მ. გეგეშიძის ეს მოსაზრება დღესაც აქტუალურია. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ მცდარი დეფინიციები არასწორი დასკვნების საფუძველი ხდება და მეორე მხრივ, იმის გამო, რომ საბჭოთა პერიოდიდან მომდინარე ტერმინთა ნაწილი საერთოდ უცხოა დასავლური სამეცნიერო სივრცისთვის[1] და მათი პირდაპირი, სიტყვასიტყვითი თარგმანი არამხოლოდ სამეცნიერო, არამედ პოლიტიკური გაუგებრობების საფუძველი შეიძლება გახდეს.

ტერმინი *ეთნოგრაფიული ჯგუფი* მხოლოდ საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლისთვისაა დამახასიათებელი. მეტიც, საბჭოთა სივრცეშიც იგი არაერთგვაროვნად იყო აღქმული და გაგებული. რუსულ/საბჭოთა ლიტერტურაში *ეთნოგრაფიული ჯგუფი* განიხილებოდა, როგორც უფრო ფართო ეთნიკურ ჯგუფში შემავალი (მის მიერ ასიმილირებული) ერთეული, რომელსაც აქვს განმასხვავებელი კულტურული მახასიათებლები, როგორიცაა მეტყველება, რელიგია, მატერიალური კულტურა ან კულტურის სხვა ელემენტები. თუ რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში ტერმინ *ეთნოგრაფიულ ჯგუფს* უპირატესად „ეთნიკური პრინციპით და არა ყოფისა და კულტურის ან ენის დიალექტური ლოკალური მიკროთავისებურებების მიხედვით“ (გეგეშიძე 1978: 117) იყენებდნენ, ქართველი ეთნოგრაფებისთვის *„ეთნოგრაფიული ჯგუფები* ეწოდება ეთნოსთა ადგილობრივ მიკროეთნიკურ ერთეულებს, რომელებიც ამ ეთნოსის შემადგენლობაში შედიან და კონკრეტული არეალი აქვთ დაკავებული. როგორც წესი, ეთნოგრაფიული ჯგუფი - ეს არის ერთი ხალხის ან ერთი ერის ტერიტორიულად გამოყოფილი ნაწილი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშანი. ეს ნიშნები გარკვეულწილად კულტურისა და ყო-

[1] იგი არ მოიხსენიება არც საცნობარო ლიტერატურაში, იხ. მაგ. The Routledge Encyclopedia.

ფის ცალკეული ელემენტების სპეციფიკურობის ფარგლებში თავსდება და შეიძლება წარმოდგენილი იყოს განსხვავებული კილოს თუ კილოკავის სახით, მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებური ელემენტებით და სხვ.“ (ჭანტურიშვილი 2005:23). *ეთნოგრაფიული ჯგუფი* ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეთნოსის ორგანულ ნაწილად განიხილებოდა, რომელიც ეთნოსთან საერთო თვითშეგნებით, წარმომავლობით და გაზიარებული კულტურით იყო დაკავშირებული, თუმცა შენარჩუნებული ჰქონდა მატერიალური თუ სულიერი კულტურის ზოგიერთი თავისებური ელემენტი, დიალექტი ან ენა, ან სოციალური ურთიერთობების სპეციფიკური ფორმები (იხ. როგაქიძე 1980). რთულია ერთი და იმავე ტერმინის ამ განსხვავებული მნიშვნელობების ცხადყოფა ფართო საერთაშორისო სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთათვის, მითუმეტეს, თუ ამ ტერმინების გამოყენება სათანადო განმარტებების გარეშე ხდება. ჩვენდაუნებურად, მოძველებული ტერმინოლოგიური აპარატის გამოყენებით ჩვენვე ვუწყობთ ხელს მცდარი მოსაზრებების გავრცელებას ქართული ეთნოსოციალური სტრუქტურის შესახებ. ამ საკითხს ეხება თავის ნაშრომში ვახ. ითონიშვილი (ითონიშვილი 1990). იგი ჯერ კიდევ საბჭოთა მეცნიერების მიერ ტერმინოლოგიის მიზანმიმართულად არამართებულ გამოყნებაზე მიუთითებს და აკრიტიკებს ეთნოტერიტორიული ჯგუფების ხალხებად წარმოჩენის მცდელობებს (ითონიშვილი 1990:36, 51-52). საკითხის პოლიტიკურ ასპექტებზე მსჯელობს ტ. ფუტკარაძე თავის ნაშრომში „ევროპის საბჭოს ორი დოკუმენტის ეთნო-ლინგვისტური ცნებები და ქართველური სინამდვილე“ (ფუტკარაძე 2005).

მიუხედვად იმისა, რომ ეთნიკურ ტერმინთა მართებულობის შესახებ აქტიური მსჯელობა ქართულ ეთნოგრაფიაში 1970-იანი წლებიდან დაიწყო, პროცესი დასრულებული არ არის, ტერმინ *ეთნოგრაფიული ჯგუფის* ნაცვლად გამოყენებული იყო ტერმინები: *თემი* (ივ. ჯავახიშვილი), *ლოკალურ-ტერიტორიული ჯგუფი* (მ. გეგეშიძე) *ეთნოტერიტორიული ჯგუფი* (ვახ. ითონიშვილი). ქართველი ეთნოლოგების მიერ აღწერილ ტერმინს დასავლურ ლიტერატურაში *ეთნიკური ჯგუფის ლოკალურ-ტერიტორიული ერთობა* შეესატყვისება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასავლური სამეცნიერო წრეებისათვის ხშირ შემთხვევაში გაუგებრობების სათავეა ამგვარი ტერმინების გამოყენება. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ უფრო და უფრო იზრდება ეთნიკურ ტერმინთა გამოყენების არეალი, რომე-

ლიც სცილდება დარგობრივ სივრცეს. ვინაიდან ეთნიკური ტერმინები დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან, მათ იყენებენ საზოგადოებრივ დისკურსში, პოლიტიკური ინტერესების ფორმირებისას, იდენტობის საკითხების განხილვისას. ეს განსაკუთრებით პრობლემატურია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას, რამაც შეიძლება პოლიტიკური გაუგებრობებიც გამოიწვიოს. აღნიშნული გვავალდებულებს, ზედმიწევნით ყურადღებით მოვეპყრათ ეთნიკურ ტერმინოლოგიას, თავი ავარიდოთ იდეოლოგიზირებული ტერმინების გამოყენებას და ხელი შევუწყოთ დასავლურ სამეცნიერო წრეებთან დისკუსიის სათანადო ტერმინოლოგიური აპარატით წარმართვას.

ლიტერატურა

ბერძენიშვილი და სხვ. 1946 – ნიკო ბერძენიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, საქართველოს ისტორია 1, თბილისი.

გეგეშიძე 1978 – მიხეილ გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბილისი.

ითონიშვილი 1990 – ვახტანგ ითონიშვილი, ქართველი ხალხის ეთნოსტრუქტურა მრუდე სარკეში, „მეცნიერება“, თბილისი.

რობაქიძე 1980 – ალექსი რობაქიძე, ტერმინ „ეთნოგრაფიული ჯგუფის" მნიშვნელობისათვის, «მაცნე». ისტ. არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 4, თბილისი.

ფუტკარაძე 2005 –ტარიელ ფუტკარაძე, ევროპის საბჭოს ორი დოკუმენტის ეთნო-ლინგვისტური ცნებები და ქართველური სინამდვილე, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი: http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11885

ჩიტაია 1997– გიორგი ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია (1917-1926), ეთნოლოგიის ქრესტომთია, შემდ. სიმონ (სოსო) ჭანტურიშვილი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჭანტურიშვილი 2005 – სიმონ (სოსო) ჭანტურიშვილი, ეთნოლოგიის საფუძვლები, თბილისი.

Barth (ed.) 1969 – Fredrik Barth, Ethnic Groups and Boundaries: The Social Organization of Culture Difference, George Allen & Unwin, London.

Encyclopedia 2010 – The Routledge Encyclopedia of Social and Cultural Anthropology, Barnard A., Spencer J. (eds.).

Geertz 1963 – Clifford James Geertz, Old Societies and New States: The Quest for Modernity in Asia and Africa. Glencoe, Ill.: Free Press.

Jenkins 1997 – R. Jenkins, Rethinking Ethnicity, Sage, London.

Encyclopedia 2010 - The Routledge Encyclopedia of Social and Cultural Anthropology, Barnard A., Spencer J. (eds.).

Арутюнов 1989 – Сергей Александрович Арутюнов Народы и культуры: развитие и взаимодействие, Москва.

Бромлей.1973 - Юлиан Владимирович Бромлей, Этнос и этнография, Наука, Москва.

Бромлей 1983 – Юлиан Владимирович Бромлей, Очерки теории этноса, Наука, Москва.

Брук 1986 – Соломон Ильич Брук, Население мира. Этнодемографический справочник, Москва.

Гумилёв 1993 - Лев Николаевич Гумилёв, Этносфера: история людей и история природы, Москва.

Марков, Пименов (Ред.) 1994 - Геннадий Евгеньевич Марков, Этнология, Наука, Москва.

Михальченко (ред.) 2006 - Вида Юозовна Михальченко, Словарь социолингвистических терминов, Москва.

Народы России 1994 - Народы России: энциклопедия, Москва.

Пименов 1977 - Василий Васильевич Пименов, Удмурты. Опыт компонентного анализа этноса, Ленинградское отделение, Москва.

Свод *1988* – Свод этнографических понятий и терминов, под ред. Ю.В. Бромлея и Г. Штробаха, Наука, Москва.

Словарь 2000 – *Большой Энциклопедический словарь*.

Тишков, Шабаев 2011 - Валерий Александрович Тишков, Юрий Петрович Шабаев, Этнополитология: политические функции этничности: Учебник для вузов, Издательство Московского университета, Москва.

Трегубова 2011 – Да́рья И́горевна Трегу́бова, Субэтнос в литературе, Вестник Бурятско го госуниверситета, N 8.

Чебоксаров 1985 – Никола́й Никола́евич Чебокса́ров, Чебоксарова И. Народы, расы, культуры, Москва.

Шерстова 1921 – Людмила Ивановна Шерстова, Этноконфессиональная общность: к проблеме эволюции субэтносов//Расы и надоды. Вып. 21, Москва.

Ketevan Khutsishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
ketevan.khutsishvili@tsu.ge

Keyword: Ethnology, Ethnological terminology, Ethnographic Group, Ethnic group.

On Consideration of the Term *Ethnographic Group*

Summary

The institutional development (establishment of the Museum of the Caucasus, University, later on the Institute of language, History and Material Culture etc.) of ethnology in Georgia put into the agenda the creation of the appropriate terminological system. The founder of the Georgian ethnological school Giorgi Chitaia was educated in Europe and was well acquainted with the contemporary for that time trends and terminology in the field. In 1926 he wrote the program article, explaining the term ethnology and the aims of the discipline. He together with his pupils has elaborated relevant Georgian ethnological terminology. The natural development was interrupted after the Sovetization of the country. This fact together with the ideological pressure caused the specific way of standardization of the terminology.

In the paper I'll discuss some issues regarding the usage of ethnic concepts in the Soviet and contemporary Georgian academis space. As the Georgian terminology was elaborated in the beginning of the XX c. within the Soviet space, some terms turned not to be relevant for the research and teaching nowadays. There has been created the generational gap between thenational and international scholarly spaces. The concept discussed in the article is "ethnographic group", which was used by the Soviet ethnographers with the slitly different meannings. Despite the fact that active discussion of the validity of ethnic terms in Georgian ethnography began in the 1970s, the process is not finished yet. The term ethnographic group described by Georgian ethnologists in Western literature corresponds to the local-territorial unity of the ethnic group. This differnces in use of ethnic terms is often the reason of

misunderstandings for Western scientific circles. At the same time, it should be noted that the area of use of ethnic termos is extended beyond the academic space, ectoral space. The ethnic terms are used in public discourse, in the formation of political interests, in the discussion on identity issues. Ethnic terms are related to human rights. These issues are especially problematic in dealing with the international organizations as can lead to political misunderstandings.

ცირა ჯანჯღავა
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
cirunaja@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენები, მეგრული, დაავადებათა სახელები.

დაავადებათა სახელები მეგრულში

დაავადების (სნეულების) ზოგადი სახელი მეგრულში არის *ლა-ხარა,* რომლის ფუძე *ლახ-* უკავშირდება არსებით სახელს *ლეხ-ი* „ავადმყოფი“; *-არა* სუფიქსური ელემენტია (მასდარის მაწარმოებელი).

ლახ- ფუძისთვის ამოსავალი *ლეხ-* უნდა იყოს: *ლეხ- > ლახ- (სუფიქსისეული *ა*-ს გავლენით სრული რეგრესული ასიმილაცია).

ლახ- ფუძეს „ცემის“ მნიშვნელობაც აქვს (ამ ფუძეს ანალოგიური მნიშვნელობა აქვს ქართულში).

დაავადებათა აღმნიშვნელი ტერმინების განხილვისას, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს ინფექციურ დაავადებათა საერთო სახელი *პატონეფი* „ბატონები“, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის *ბატონებ-*ის ფონეტიკურად შეცვლილი სახეობაა (ბ > პ რეგრესული ასიმილაციით). თავად ქართული *ბატონი* კი ლათინურიდან შეთვისებულად მიიჩნევა (ქეგლი 1950: 991).

კისერე პატონეფი „ქუნთრუშა“, ზედმიწ. „კისრული (კისრის) ბატონები“; შდრ. *კისერ-ი, -ე* სუფიქსური ელემენტია (ვ. შენგელია), არსებითი სახელისაგან ზედსართავი სახელის მაწარმოებელი.

კორკოცე // კორკოცე პატონეფი „ყივანახველა“. ფუძეა *კორკოც,* რომელიც უნდა უკავშირდებოდეს ა. ქობალიას ლექსიკონში დადასტურებულ *კორკოც* სიტყვას, რომლის მნიშვნელობაა „ჩაბჟირება სიცილისაგან, ხველისაგან“ (ქობალია 2010: 373). მეგრული *კორკოც-*ფუძის შესატყვისია დასავლურქართულ დიალექტებში წარმოდგენილი *კარკაც-* (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 264). მეგრული *კარკაც-*ი „ხარხარი, კისკისი“ ნასესხებია. *კორკოცე-*ში *-ე* სუფიქსი გამოიყოფა.

ჩხვერე პატონეფი „წითურა“, ზედმიწ. „ფეტვისებური ბატონები“; *-ე* სუფიქსია (შდრ. მეგრ. *ჩხვერ-ი* „ფეტვი“).

საინტერესოა სინონიმური ტერმინები *ჭითა პატონეფი* ზედმიწ. „წითელი ბატონები“ და *წითელე პატონეფი;* ეს უკანასკნელი შეიძლება განვიხილოთ როგორც ჰიბრიდული სტრუქტურის ტერმინი, რომლის შემადგენლობაში გვაქვს ქართული *წითელ-* ფუძე, მეგრული *-ე* სუფიქსით გაფორმებული და მეგრ. *პატონეფ-ი.*

ტერმინს *შარტე || შარტე პატონეფი* მეგრულ ლექსიკონებში სხვადასხვაგვარი განმარტება ეძლევა: „ჩხვერა, ფშატა“ (ჭარაია 1997: 151), „ჩუტყვავილა“ (ქაჯაია 2002: 242), „ყვავილი, ფშატა, ჩხვერა“ (ქობალია 2010: 659).

„ყვავილის ავადმყოფობის“ აღსანიშნავად სამი კომპოზიტი გამოიყენება: *დიდპატონეფი,* ზედმიწ. „დიდი ბატონები“ || *იაპატონეფი* **,** ზედმიწ. „ია ბატონები“ || *ვარდ-პატონეფი,* ზედმიწ. „*ვარდ-* ბატონები“.

„ყბაყურის“ მნიშვნელობით მეგრულში გვაქვს *ფიღვაია* და *ყვაყვარე პატონეფი; ფიღვაია*-ს მეორე მნიშვნელობაც აქვს: „გაფუყული, ღაბუა;“ *ყვაყვარე*-ში გამოიყოფა ყვაყვა „ნაზი, რბილი, დონდლო“ და *-რე.*

დავლა // დაჟლა „დამბლა“ ქართული სალიტერატურო ენიდან არის შეთვისებული; ყურადღებას იქცევს ფონეტიკური პროცესი: *მ > ვ || ჟ; ეს პროცესი, როგორც ჩანს, ბ-ს დაკარგვის შედეგად განხორციელდა, ხოლო თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში მ-ს გარდაქმნა მეგრულისათვის დამახასიათებელი თვისებაა (შდრ. ქართ. *სმენა* და მეგრ. *სვენა // სჟენა).*

ხვარცა „მუნი;, ქეცი“; ამავე მნიშვნელობით გვაქვს *ქერცა // ქჯრცა,* რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „ქერცლი“ (ყიფშიძე 2014: 344).

შესიტყვება *ფირტვიშ ხვალა* და კომპოზიტი *ფირტხვალი* გამოიყენება „ჭლექის“ მნიშვნელობით; მათი ზედმიწევნითი მნიშვნელობაა შესაბამისად „ფილტვის ხველა“ და „ფილტვხველა“.

„ასთმის“ მნიშვნელობით მეგრულში გვხვდება *ფიჟვიშ ხუნთუა* ზედმიწ. „ფილტვის ხუთვა“.

გორგილაფა „გაცივება“, *გორგილაფილი* „გაცივებული“

ხვალუა ქართული ხველ-ის ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისია.

„ენაბრგვილისთვის“ ორი სიტყვა გამოიყენება: *ნინამოკა* ზედმიწ. „ენამძიმე“ და *ნინაგებორკილი* ზედმიწ. „ენადაბორკილი“.

ნასესხებია ავადმყოფობის აღმნიშვნელი სახელები:

ტიფა „ტიფი“; მეგრულს ქართული სალიტერატურო ენიდან შემოსული ეს სიტყვა -ა სუფიქსით გაუფორმებია.

ციება „ციება“

წყარმაკი „წყალმანკი“; ქართულში მ-ს წინ წარმოდგენილი *ლ*, მეგრული ფონოტაქტიკის შესაბამისად, *რ*-ში გადასულა.

ცალკე განსახილველია ცხოველთა დაავადებები. შევეხებით ზოგ მათგანს.

ცალა // ბენდელა „ცოფიანი“, მეგრ. *ბენდელა* უკავშირდება, ერთი მხრივ, ქართულ *ბანდალ-* „ბარბაცი, ლასლასი“ სიტყვას და, მეორე მხრივ, ქართულსავე სიტყვას *ბანდალა* „რქოსანი ცხოველის (აგრეთვე) ცხენის დაავადება“ (ქეგლი 1950: 969).

ყვაპუ // ცვაპუ „ღორის დაავადება“ (ჭარაია 1997: 148; ქაჯაია 2002[2]: 208); უკავშირდება ამავე მნიშვნელობის ქართული დიალექტების *ყაპო*-ს.

ჭიჭინა „პირუტყვის სენი“; გვხვდება ქართულ დიალექტებში „კიდურების დამბლის“ მნიშვნელობით. ქეგლ-ის მიხედვით ეს არის „მსხვილი რქოსანი პირუტყვის გადამდები დაავადება“ (ქეგლი 1964: 1269).

ჯილეხი „ციმბირის წყლული“ ქართული სალიტერატურო ენიდან არის შესული.

წყიტუ // წყირტუ „შაქრის ავადმყოფობა“; შდრ. ქართული სალიტერატურო ენის წყურტი || ჭყურტი „შაქრის ავადმყოფობა“ (ქეგლი 1964: 1218, 1308).

ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობას დაავადებათა სახელების შესახებ მეგრულში არა აქვს სისრულის პრეტენზია. ჩვენ მხოლოდ ზოგადი სურათის წარმოდგენა ვცადეთ. საკითხის უფრო ვრცლად დამუშავება სამომავლოდ ივარაუდება.

ლიტერატურა

ელიავა 1997 – გივი ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი-თბილისი.

ქეგლი 1950 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I, თბილისი.

ქეგლი 1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, თბილისი.

ქაჯაია 2001 – ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ქაჯაია 2002₁ – ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

ქაჯაია 2002₂ – ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

ქობალია 2010 – ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ყიფშიძე 2014 – И. Кипшидзе, Мингрельско-русский словарь. – Грамматика мингрельского (иверского) языка, с.-Петербург.

Tsira Janjghava
TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics, Georgia
cirunaja@gmail.com

Keywords: Kartvelian languages, megrelian, disease names.

Disease Names in Megrelian

Summary

In Megrelian the general name for a disease is *laxara* and the common name for infectious diseases is *patonefi.*

A disease name may be a simple base (e.g. *xvarca* "the itch"), a compound (e.g. *didpaṭoncpi* "smallpox") or a syntagm (e.g. *čxvere patonefi* "rubella").

In Megrelian the terms denoting different diseases may be borrowings (e.g. *wqarmaki* "dropsy"). The cases of synonymy can also be found (e.g. *piγvaia//qvaqvarc paṭoncpi* "mumps").

ინგა ჯიბუტი
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
ingajibuti@gmail.com

ომარ შურაძე
ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი
oshuradze@mail.ru

საკვანძო სიტყვები: ლითონი, მეტალი, ტექნიკური ტერმინოლოგია, სინონიმი.

ლითონი თუ მეტალი?

ენა ყოველი ეპოქის სინამდვილეში არსებული ისტორიული და კულტურული „საგნობრივი ძეგლების“ ამსახველი უნიკალური საგანძურია. ხალხს ისტორიული განვითარების პროცესში მჭიდრო კავშირი აქვს ახლო თუ შორეულ მეზობლებთან. ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირები ითხოვს ლექსიკური სისტემის განვითარებას. სხვა ხალხის ყოფასა და კულტურასთან ურთიერთობა უტყუარად ვლინდება ენაში. უცხო ენიდან სიტყვები შემოდის (მსესხებელ ენაში) და მათი ასახვა ხდება მეტყველებასა და წერილობით ძეგლებში. ენა (შე)ივსება უცხო სიტყვებით და მდიდრდება მისი ლექსიკური შედგენილობა. ახალი სიტყვები აზუსტებს ზოგ ცნებას და ავიწროებს მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების გამოყენების სფეროს. შედეგად, ენა ხდება უფრო გამომსახველი და განვითარებული. დროთა განმავლობაში ნასესხებ სიტყვებს მსესხებელი ენა იგუებს და თავის გრამატიკულ კანონებს უქვემდებარებს. გარკვეული ხნის შემდეგ მათი უცხოური წარმოშობა, ფაქტობრივად, არ იგრძნობა.

ანტიკური (ძველბერძნული, რომაული და მათ ორბიტაში მყოფი) კულტურა თანამედროვე საკაცობრიო კულტურის აკვანი და ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი უმძლავრესი საყრდენია. ანტიკური კულტურა ძველი ელადიდან იღებს სათავეს. ელინური ცივილიზაცია კი ჩვ. წ. აღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა. ქართველთა და ბერძენთა ანტიკურ კულტურას შორის კავშირს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ორი უძველესი ხალხის, ბერძნებისა და ქარ-

თველური ტომების, გარკვეული ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის არსებობას ძველ კოლხეთში არგონავტების ლაშქრობაც ადასტურებს.

ქართულ მეტყველებაში/წერილობით ძეგლებში ამ ურთიერთობის ამსახველი ერთ-ერთი ნიშანი ტერმინების *ლითონის* (ბერძნ. lithos – ქვა, მადანი ან ქანი მეტალთა) და *მეტალის* (ბერძნ. métallon – მაღარო, მადანი, მეტალი) არსებობაა. ქართულში ამ ტერმინებს პოლისემიურობა, სავარაუდოდ, თარგმნისას მათი რამდენიმე მნიშვნელობის მქონე უცხო შესატყვისებიდან გადმოჰყვა.

ქართულ *ტექნიკურ ტერმინოლოგიაში* „ლითონ“ და „მეტალ“ ფუძეებიდან, როგორც სინონიმებიდან, ნაწარმოები რამდენიმე ათეული ტერმინია ასახული. სინონიმების საერთო ნიშანი მათი სახელდებითი ფუნქციაა (ისინი ერთსა და იმავე აღსანიშნს აღნიშნავენ) და ტერმინოლოგიაში (საერთო ენისგან განსხვავებით) მათი არსებობა უარყოფითად ფასდება.

თანამედროვე ევროპული (და არამარტო ევროპული) ქვეყნები სიტყვა *მეტალს* და მისგან ნაწარმოებ ტერმინებს იყენებენ. ქართველი ტერმინოლოგებისა და სპეციალისტების მცდელობებს, მიეცათ „კანონიერი აღიარება“ რომელიმე მათგანისთვის, შედეგი არ მოჰყოლია. კითხვას *ლითონი* თუ *მეტალი*? ცალსახა პასუხი არასდროს არ გასცემია... ქართულ ენაში ისინი სინონიმებია.

ტერმინების, *მეტალისა* და *ლითონის*, ისტორიული განვითარების პროცესი სხვადასხვა ქართულ წყაროშია ასახული. ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ გავაანალიზებთ ქართულ წერილობით ძეგლებში, რა მნიშვნელობებით და გამოყენების სიხშირით დასტურდება ტერმინები *ლითონი* და *მეტალი*. განვიხილოთ ასევე ზოგ რუსულ წყაროში ტერმინ *Металл*-ის მნიშვნელობები და შემდეგ შევარჩიოთ „უარსაყოფი“ ტერმინი.

ქეგლის მიხედვით ტერმინები *ლითონი* და *მეტალი* განმარტებულია როგორც:

1. *ლითონი* [ბერძ. lithos-იდან ქვა] – 1. ქიმიურად მარტივი სხეული ან შენადნობი, მეტწილად ჭედვადი, დნობადი, სითბო- და ელექტროგამტარი...

2. ძვ. საუბ. ლითონის ფული – მონეტა; საერთოდ ფული...

3. წყლის წისქვილის ნაწილი – საღვარეში დადებული რკინა (ან ქვა), რომელზედაც დაყრდნობილია და ბრუნავს ბორბლის ფეხი.

4. კუთხ. (ქიზ.) „საყრდენი ქვა თიხის ჭურჭლის საკეთებელი ჩარხის ღერძისა“.

იქვე მოცემულია „ლითონ“ ფუძიდან ნაწარმოები 26 ტერმინი: *ლითონდამმუშავებელი, ლითონდამუშავება, ლითონდასამუშავებელი, ლითონიანი, ლითონისებრი, ლითონკონსტრუქციები, ლითონმსხმელი, ლითონმცოდნეობა, ლითონმწნეხავი, ლითონმჭრელი, ლითონმხერხავი, ლითონმხეხავი, ლითონოვანი, ლითონსაგლინავი, ლითონსადნობი, ლითონსაზიდი, ლითონსამსხმელო, ლითონსაწნეხი, ლითონსაჭრელი, ლითონსახერხი, ლითონსახეხი, ლითონსხმა, ლითონსხმული, ლითონური, ლითონშემდუღებელი* (ქეგლი 1955).

რთულ ფუძეებში ყველგან *ლითონია.*

2. *მეტალი* (მეტალისა) [ბერძ. Métallon - მაღარო; მეტალი] იგივეა, რაც ლითონი.

მეტალ ფუძიდან ნაწარმოებია 11 ტერმინი – *მეტალიზაცია, მეტალისტი, მეტალოგრაფია, მეტალოგრაფიული, მეტალოიდი, მეტალური, მეტალურგი, მეტალურგია, მეტალურგი-მეღუმელე, მეტალურგიული* (ქეგლი 1958).

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით:

1. *ლითონები.* მარტივი ნივთიერებები, რომელთათვისაც ჩვეულებრივ პირობებში დამახასიათებელია მაღალი ელექტრო- და თბოგამტარობა...

ისტორიული ცნობა: ტერმინი *ლითონი* ბერძნული წარმოშობისაა (lithos - ქვა).

შუა საუკუნეებამდე ცნობილი იყო მხოლოდ 7 ლითონი: *ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, კალა, ტყვია, რკინა, ვერცხლისწყალი.* XVIII საუკუნეში ა. ლავუაზიემ დაასაბუთა, რომ ლითონი მარტივი ნივთიერებაა. 1889 წელს მას მიაკუთვნეს იმ დროისთვის ცნობილი 17 მარტივი ნივთიერება.

ლითონებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური შესიტყვებებია: *ლითონების თერმომექანიკური დამუშავება, ლითონების ჟანგვა, ლითონების ჭრით დამუშავება, ლითონთა კარბონილები, ლითონთა კრიზისული წერტილები, ლითონთა ტექნოლოგია, ლითონთა ფიზიკა, ლითონთერმია, ლითონთმცოდნეობა, ლითონთშორისი ნაერთები, ლითონის კონსტრუქციები, ლითონკერამიკული ელექტრონმილაკი, ლითონორგანული ნაერთები, ლითონსაჭრელი იარაღი, ლითონსაჭრელი ჩარხი* (16 შესიტყვება);

2. *მეტალები ამ* ენციკლოპედიაში ცალკე არ განიხილება.

მეტალთან დაკავშირებული ტერმინები და ტერმინოლოგიური შესიტყვებებია: *მეტალოგრაფია, მეტალორგანული ნაერთები, მეტალურგია, მეტალურგიის ინსტიტუტი, მეტალურგიული განათლება, მეტალურგიული ღუმელი* (6 ტერმინი და ტერმინოლოგიური შესიტყვება) (ქსე 1983).

1977 წლის ტექნიკური ტერმინოლოგიის მიხედვით, *Металл – ლითონია.*

რუსულ-ქართულ ვარიანტში *Металл*-თან დაკავშირებულია 39 ტერმინი. აქედან 5 ტერმინი სინონიმადაა წარმოდგენილი. ქართულ-რუსულ ვარიანტში *მეტალთან* მხოლოდ 12 ტერმინია დაკავშირებული (დანარჩენი *ლითონს* უკავშირდება). ტერმინი *მეტალი* დამოუკიდებლად არ დასტურდება (ტექნიკური 1977).

სულხან-საბა ორბელიანი – ლექსიკონი ქართული (განიხილება გაფართოებულად):

ქართული ლექსიკის საგანძურის – „ლექსიკონი ქართულის“ – შედგენისას ავტორი მანამდე არსებულ ლექსიკონ(ებ)ს ვერ ეყრდნობა. მათ საბამდე არ მოუღწევია, რასაც თვითონ ადასტურებს:

„აქ ლექსიკონი არ იყო, და-ცა-(ჰ)კარგოდათ ქართველთა,
უკრძალველობით ფურცელი გაებნიაყე ქართ ველთა,
ახლად შევკრიბე, შევაწყვე, ჩემი ვიშრომე სულ ხანი
საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანი“.

„ახლად შეკრება-შეწყობის“ დროიდან ქართული ლექსიკის ერთ-ერთ ამოსავალ ისტორიულ წყაროდ „ლექსიკონი ქართული“ იქცა. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ლექსიკონის ხელნაწერთა სხვადასხვა ნუსხაში განმარტებების სხვადასხვა ვარიანტია. ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან. მიუხედავად ამისა, ცალკეულ ნუსხაში ასახული პირდაპირი თუ ირიბი მინიშნება ფასდაუდებელია.

საკვლევი ტერმინების შედარებითი ანალიზისას („ლექსიკონი ქართულიდან“ დაწყებული თანამედროვე წერილობითი ძეგლების-ლექსიკონების ჩათვლით), განხილულია, როგორც *ლითონისა* და *მეტალის*, ისე მათ განმარტებებში გამოყენებული სხვა ტერმინებიც.

1. *ლითონი* მას ადგილს ეწოდების, სადა ილეკროს სთხრიან, ანუ მარგალიტი და სპეკალი გამოდის, რომელსა სპარსნი მადანსა და ქანს უხმობენ ZA. უფრო ინფორმაციულია B რედაქციაში მოცემული განმარტება: მ[ა]დანი. ესე ლითონი მას ადგილს ეწოდება, სადა ილეკ-

რო გამოითხრებიან, გინა მარგალიტი, სპეკალნი, რომელ არიან თვალნი პატიოსანი, ანუ აღრალებნი და სხვანიცა ნივთნი რაიც რავე, რომელსაც თურქნი მადანს უწოდებენ (მადანი ხან სპარსულად, ხან თურქულად იხსენება. ო.შ.), რომელ არს ქანი.

2. *ლითონი* წისქვილის (+ საბრუნავი) მრგვალი ქვა ZAB. წისქვილის საბრუნავი Cb. წისქვილისა C aq. განუმარტავია E.

ილეკრო ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბამად ZA. *ილეკრო* ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა, რვალსა, თითბერსა და ყოველსა მისთანათა ერთბამად B. *ილეკრო*, ილიკტრიონი და ლიკტრიონი (ლიკტორი Cq) ერთი არს Caq. *ილეკრო* ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა, ტყვიასა, კალასა, თვითბერსა, რკინასა და ყოველსა მისთანასა Cb. 12 იოსიპოსი: „ბროლი და ილეკროია DE.

ამ განმარტებებს ავსებს ლექსიკონში მოცემული ტერმინები:

ილეკტრო (1, 4 ეზეკია) ილეკრო ZAa.

ილიკტრიონი (1, 4 ეზეკია) ესე იგი არს *ილეკროებთა* (ილეკროების B) ფერი ერთბამად ბრწყინვიდეს ZAB. *ილიკტრიონი* (1, 4 ეზეკია) ესრეთ ითქმის ოქროსფერი და ვეცხლის ფერი, თანნარევად ბრწყინვალედ ჩნდეს ილეკრო და ლიკტორიცა C. *ლიკტორი, ილექტრო* არს ოქროსა და ვეცხლის ფერი თანნარევად. „ვითარცა ხილვა ილიქტრიონისა“ D. განუმარტავია E.

ილეკტრო, ილიკტრიონი და *ლიკტორი* საბას მიხედვით არის „ილეკროებთა ფერი ერთბამად ბრწყინვიდეს“. ეჭვგარეშეა, საბას მხედველობაში აქვს ლითონების, ოქროსა და ვერცხლის, შემცველი მინერალების (ილეკროების) ფერი თანნარევად.

მარგალიტი – (13, 46 მათე ZAa). განუმარტავია – AbBCDE.

ნ. გუჰარი, სამარგალიტე.

გუჰარი (+ როსტომ ZAa) სპარსულია, მარგალიტი ZA. (უხმ) მარგალიტი, სხვათა ენაა B. მარგალიტი და თვალნი C. განუმარტავია E.

(ნ. ქვა).

სამარგალიტე – მარგალიტის ადგილი ZAB.

ქვა – ქვაიცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ სილა არს (+ ქვაი Ab) ვითარცა გაცრილი; ქვიშა – ხვარბალთა ოდენი; კენჭი – ცერცვთა ტოლი და უდიდესი და ა. შ. სპეკალი არს ქვა ყო(ვ)ელივე თვალი პატიოსანი და ძვირფასი ZA (ორბელიანი 1993).

ქართულ ენაში დასტურდება: *ქვანახშირი, ქვამარილი, ჭიათურის შავი ქვის მადანი, ძვირფასი ქვები* და არ უნდა დაგვავიწყდეს ალ-

ქიმიკოსთა მრავალსაუკუნოვანი მცდელობა (ცდუნება) – ეპოვათ განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი „ფილოსოფიური ქვა“, რომლისგანაც „მიიღებდნენ“ ოქროს და, შესაბამისად, მისი მფლობელი მდიდარი და უდიდესი ძალაუფლების პატრონი გახდებოდა.

სპეკალი ყო(ვ)ელი თვალი პატიოსანი ZABCb. ქვა(ა) მნათობი (+ (გინა ჯავაირი) Ca) CaqD. ქვა არს მნათობი E. ნ. *აღრალების ქვა, ქვა.*

აღრალების ქვა (+ აღრალები B) არს: ძოწი, ამარტა, ბროლი, ლაჟვ(ა)რდი, ქარვა და მისთანანი ქვები. ხოლო *სპეკალი* – ალმასი, იაგუნდი, ლალი და მისთანა ქვები ZAB (ორბელიანი 1993).

აღრალების ქვებისა და *სპეკალის* შედარებისას თვალში საცემია ის ფაქტი, რომ უკანასკნელის მინერალოგიური შედგენილობა უფრო ძვირფასია. დაბეჯითებით იმის თქმა, რომ იმ დროს ასეთი დაყოფა მომხდარიყო, ნაკლებად სარწმუნოა.

ლითონის განმარტების პირველი ნაწილი – „მას ადგილს ეწოდების, სადა *ილეკროს* სთხრიან“ – აშკარად საბადოების თანამედროვე გაგებაზე მიუთითებს. ის გეოგრაფიული ადგილია[1].

ლექსიკონში ერთ-ერთ ტერმინს სიცხადე შეაქვს ტერმინ *ილეკროს* მეორე მნიშვნელობის განმარტებაში:

მანკანა მასმორი, საცეცხლურია ილეკროთაგან, ზამთარ წინ სადგმელი ZA. *მასმორი.* ესე არს საცეცხლე ილეკროთაგან, ზამთარ წინ სადგმელი B. *მასმორი.* მანკანა არს რვალთა და რკინათაგან შემზადებული საცეცხლე ფერხედად შექმნილი ნახშირისა საწვავად, ზამთარ წინაშე სადგმელად Cb. *მასმორნი.* მანკანა არს რვალთა და რკინათა მიერ საცეცხლე ფერხედად შემზადებული ნახშირის საწვავად ზამთარ Cq. ნახშირის სანთები D. ნ. *საცეცხლე.*

საცეცხლე (+ესე B) არს სადაც მარადის ცეცხლი ეგზების (ენთების B), გინა ცეცხლთა *ჭურჭელი* ZAB. *საცეცხლე* ეწოდების ყოველსავე ცეცხლის აღსანთებელსა, გინა სახლსა ცეცხლის მსახურთა შესაკრებელსა, გინა სამზარეულოთა და მისთანათა ადგილთა ცეცხლთა აღსანთებელთა, გინა *ჭურჭელთა* ცეცხლის შთასაყრელად.

მანკანა – საცეცხლურთა რკინათა და რვალთაგან შემზადებულსა, საზამთროდ წინაშე დიდებულთა წინა დასადგმელად, სითბოსათვის ნახშირთა აღსაგზებელად;

---

[1] *საბადო* (საბადოსი) გეოლ. ადგილი, სადაც სასარგებლო ნამარხი, კერძოდ, მადნეული მოიპოვება. ოქროს საბადო – ქვანახშირის საბადო – ნავთის (უნდა იყოს ნავთობის - ო.შ.) საბადო (ქეგლი 1955).

მსგავს მისსა და სხვა რიგსა; *რვალი* (I კორინთ. 13, 1) ესე არს სპილენძთა და კალათა შერევენ და მას შთამოასხამენ სარეკელ ზარად, ლინად და ეჟვნად ოხრისა და ხმა-ჟღერისათვის, ვიეთთა ნაცვ(ა)ლად სპილენძთასა აღუწერიათ, გასწორება სჭირდება ZA (ორბელიანი 1993).

მარტივი ანალიზითაც ცხადია, *მანკანა* არს საცეცხლური ილეკროთაგან ანუ რვალთა და რკინათაგან შემზადებული საცეცხლე (გინა ჭურჭელი ცეცხლის შთასაყრელად) ფერხედად შექმნილი, ნახშირისა საწვავად, ზამთარ წინაშე სადგმელად.

საინტერესოა „ლექსიკონი ქართულის“ დამატებებიც. „უცხო შესატყვისობანი (იტალიურ-თურქულ-სომხური) სხვადასხვა რედაქციით:

კერაკნი თ. მანყალ, მაჰყალ, მანყალი.

მანკანა თ. მანყალ, მანღალ, მაყალი.

მასმორნი თ. მანყალი.

იქვეა მითითებული – „სახმარი სახელები ესეცა გარდაცვლილი“:

მაყალი თ. – მასმორი და მანკანი.

ე.ი. ამ დროიდან ქართულ ენაში ტერმინი *მაყალი* მკვიდრდება. „გარდაცვლილი“ ტერმინები *კერაკნი, მანკანა, მანკანი, მასმორი* და *მასმორნი* ფუნქციას „ჰკარგავენ“.

ჩვენთვის ტერმინთა ეს ცვლილებები არ არის მნიშვნელოვანი. მთავარია, რომ ამ შემთხვევებში პირდაპირი მინიშნებაა ლითონურ მასალებზე. თუ შევცლით ამ ტერმინებს მათი ეკვივალენტურ ტერმინ *მაყალით,* შეიძლება ზემოთ მოყვანილი ტექსტებიდან შემდეგი დასკვნა გაკეთდეს: „მაყალი არს საცეცხლური ილეკროთაგან ანუ რვალთა და რკინათაგან შემზადებული საცეცხლე (გინა ჭურჭელი ცეცხლის შთასაყრელად) ფერხედად შექმნილი“. ნათელია, რომ ამ შემთხვევაში ტერმინი *ილეკრო* გულისხმობს რვალსა და რკინას, რომლებიც ცალსახად, ლითონური მასალებია და არავითარი კავშირი არ აქვთ იმ ადგილთან, „სადა ილეკროს სთხრიან“. ე.ი. ამ კონტექსტში *ილეკრო* რვალთა და რკინათა, ლითონური მასალების, საერთო დასახელებაა. თანამედროვე წერილობით ძეგლებში ზემოთ განხილულ ტერმინებს შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

1. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:

მადანი. 1. ლითონის მოსაპოვებლად გამოსადეგი ლითონის შემცველი ქანი.

მარგალიტი (მარგალიტისა) 1. მარცვლისებური ძვირფასი თვალი თეთრი, შავი ან ყვითელი ფერისა; წარმოიშობა ზოგიერთი მოლუსკის სხეულში; ხმარობენ სამკაულად.

მღარო (მაღაროსი) სასარგებლო წიაღისეულის (მთამადნეულის) მოსაპოვებელი მიწისქვეშა საწარმო.

ქანი (ქანისა) [სპარ. ქან. „მადანი“] გეოლ. – დედამიწის წიაღისეული შრე, ფენა; მადანი.

შახტი (შახტისა) [(გერმ. Schacht] 1. სასარგებლო წიაღისეულის (მთამადნეულის) მომპოვებელი საწარმოო-სამეურნეო ერთეული, – *მაღარო.*

წიაღისეული (წიაღისეულისა) 1. წიაღში არსებული (წიაღიდან ამოღებული) *მადანი,* – მთამადნეული.

2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით:

მადანი – ლითონის შემცველი ბუნებრივი მინერალური წარმონაქმნი, რომლისაგან ლითონის მოპოვება ტექნიკურად შესაძლებელი და ეკონომიკურად ხელსაყრელია. არსებობს მონომინერალური მადნები და პოლიმინერალური მადნები.

მარგალიტი (ბერძნ. margaritēs) – მინერალური წარმონაქმნი, რომელიც ვითარდება ზოგიერთი მოლუსკის (ზღვის – გვარი Pinctada ან მტკნარი წყლის – გვარი Margaritifera) სხეულში მოხვედრილი ქვიშის, პარაზიტის და სხვ. ნამცეცების გარშემო სადაფის წარმოქმნით. მარგალიტის ქიმ. შედგენილობაა $CaCO_3$.

მაღარო – სამთო საწარმო, სადაც უმთავრესად მიწისქვეშა დამუშავების ხერხით მოიპოვებენ მადანს.

ქანი – დედამიწის ქერქის ამგებ მინერალთა აგრეგატი (მკვრივი ან ფხვიერი), რომელიც ქმნის დამოუკიდებელ გეოლოგიურ სხეულს. ქანი სხვადასხვა შედგენილობის მინერალების მექანიკური ერთობლიობაა.

შახტი – (გერმ. Schacht) სამთო საწარმოს ერთეული, რომლის დანიშნულებაა სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვება.

მაღაროს, მადნისა და ქანის თანამედროვე მნიშვნელობები საბასეული განმარტებებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. *მარგალიტისა* და *რვალის* შემთხვევაში პრინციპული განსხვავებებია. *რვალისა* (სპილენძისა და კალის შენადნობის, კალიანი ბრინჯაოს) და *მარგალიტის* მადნები /ქანები/ არ არსებობს. პირველი ლითონური შენადნობია და სპეციალური მეტალურგიული პროცესებით მიიღება, ხოლო მეორე ზოგიერთი მოლუსკის სხეულში მოხვედრილი ქვიშის, პარაზიტის და სხვა ნამცეცების გარშემო დანალექი მინანქარია, რომლის ქიმიური შედგენილობაა $CaCO_3$. დავით ჩუბინაშვილის მოცემული განმარტებით, „*მარგალიტი,* რომელიც სიძვირისა გამო აღირიცხების სპეკალად“, ძვირფას ქვებს არ მიეკუთვნება. თანამედროვე გაგე-

ბით მარგალიტი ბიოგენური მყარი სხეულია და იგი სხვადასხვაგვარი გეოლოგიური ასაკის ქანებშია ნაპოვნი.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ ანალიზის შემდეგ, თანამედროვე ქართულ წყაროებში მოცემული, ლითონისა და მეტალის ურთიერთობების კვლევისას ირკვევა:

რუსულ-ქართულ სამტომეულ ლექსიკონში ტერმინ *Металл*-ს შეესატყვისება *ლითონი.* ამასთან „მეტალიდან“ ნაწარმოები 31 ტერმინი განიხილება. მათგან ქართულ ენაში 9 ტერმინი ინარჩუნებს ფუძე „მეტალს“ დანარჩენი 22 „ლითონ“ ფუძიდანაა ნაწარმოები (ლექსიკონი 1956-1958).

1983 წელს გამოსული რუსულ-ქართული ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის განცხადებით, „ლექსიკონში შესულია გავრცელებული ტერმინების გარკვეული რაოდენობა“. მაგალითად მოგვყავს ლექსიკონში მოცემული *მეტალთან* დაკავშირებული ტერმინები და მათი ქართული შესატყვისები:

Металл – ლითონი. შავი ლითონები; ფერადი ლითონები.

Металлизация – მოლითონება, მეტალიზაცია.

Металлизировать – მოლითონება.

Металлист – მელითონე.

Металлический – ლითონისა, ლითონური.

Металлография – მეტალოგრაფია.

Металлоид – მეტალოიდი.

Металлоносний – ლითონისშემცველი.

Металлообрабатывающий – ლითონდასამუშავებელი.

Металлоплавильный – ლითონსადნობი.

Металлопрокатный – ლითონსაგლინავი.

Металлопромышленность – ლითონის მრეწველობა.

Металлопромышленный – ლითონის მრეწველობისა.

Металлорежущий – ლითონსაჭრელი.

Металлург – მეტალურგი.

Металлургический – მეტალურგიისა, მეტალურგიული, სამეტალურგიო.

Металлургия – მეტალურგია.

ლექსიკონში ფუძე *„Металл“*-თან 17 ტერმინია დაკავშირებული. მათგან ქართულ შესატყვისებში 1 ტერმინი სინონიმად, 5 ტერმინი „მეტალ“ ფუძესთან, ხოლო 11 ტერმინი ფუძე „ლითონთანაა“ დაკავშირებული (ლექსიკონი 1983).

ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით: *Металл* (греч.) მეტალი, *ლითონი* მადანთა შინა პოვებული, ვითარ ოქრო, ვერცხლი, რუალი და სხვ.

შემდეგ მეტალისგან ნაწარმოები ტერმინებია მოცემული:

Металлический, მეტალლისა, მეტალლისაგანი. II მეტალლიური, მეტალლებრი. II მეტალლოვანი. – металловый. прил. მეტალლიური.

Металлургия (греч), სწავლა მეტალთა ან ნახევარმეტალლთა პოვნისა, დადნობისა და გამოქმნისა (ჩუბინაშვილი 1971:632).

2006 წელს გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში: *металл* – 1. *ლითონი*

„მეტალიდან“ ლითონად ნაწარმოებია 9 ტერმინი (სამუშია 2006).

დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის მიხედვით:

1. *ლითონი* – მადანი ან ქანი *მეტალთა*, руда, рудник.

2. ლითონი – გრძელი <u>რკინა</u> შუაზედ ამოხვრეტილი, რომელსაც ჩამოაცმენ ბორბლის თავსა და გასჭედენ წისქვილის ზემოთ ქვაში, რომელიც იმითი ბრუნავს. *მეტალლი* (ბერძნ.) *ლითონი*, „რაიცა მიწის ქანთაგან ამოითხრება, ვითარცა <u>ოქრო, ვერცხლი, რვალი, რკინა</u>“. металл.

ლითონისგან ან *მეტალისგან* ნაწარმოები ტერმინები არ არის მოცემული (ჩუბინაშვილი 1984).

საინტერესოდაა წარმოდგენილი კვლევისთვის აუცილებელი დამატებითი ტერმინები:

მარგალიტი, მარგარიტი (ბერძნ.) ს. *მანგი*, ნიჟარათა შინა მოპოვებული მარცვალი, მაგარი და თეთრი, რომელიც სიძვირისა გამო აღირიცხების *სპეკალად*, жемчуг.

მანგი (სპარს.) 1. მთვარე, луна. 2. ს. *მარგალიტი*, жемчуг.

მაღარო ს. ქანი, *ლითონის სათხრელი*, конь, шахта, рудник. ქვის ნახშირის მაღარო, каменноуголный конь.

ქანი (სპარს.) ს. *ლითონი*. ადგილი სადაც იპოვების მეტალლნი ან მარილი, შაბი, გვარჯილა. Рудник.

შრე ს. კლდეთა ძარღვი გრძლად მიდევნებული. слой. мраморний пласт (ჩუბინაშვილი 1984).

1990 წლის ქართულ-რუსული ლექსიკონის მიხედვით: *ლითონი* – металл; *ლითონისა* металлический.

მეტალურგიული металлургический (ახვლედიანი, თოფურია 1990).

ალექსანდრე ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონში *ლითონი* და *მეტალი* ან მათი სინონიმები არ არის მოცემული (ნეიმანი 1978), უცხო სიტყვათა ლექსიკონში *ლითონი* არ არის განხილული, ხოლო *მეტალი* ასეა განმარტებული:

მეტალი – [ბერძ. métallon] – *ლითონი.*

გარდა მეტალისა, განხილულია: *მეტალიდები, მეტალიზაცია, მეტალოგენია, მეტალოგრაფია, მეტალოთერმია, მეტალოიდი, მეტალოფონი, მეტალურგი.* 8 ტერმინი (ჭაბაშვილი 1989).

იოსებ იმედაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, *მეტალი,* ბერძ.-ლათ. (metallum) *ლითონი*: შემდეგ ბუდეში მოცემულია:

მეტალიზაცია, მეტალიზება – გალითონება;

მეტალოგრაფია – ლითონთ-აღწერა;

მეტალოიდი – „ლითონისებრი“ (არალითონი. მაგ., წყალბადი, მჟავბადი და სხვ.);

მეტალოფონი – სამუსიკო ინსტრუმენტი, – წარმოადგენს ლითონის ფირფიტებს, რომელიც გამოსცემს ხმას ჩაქუჩის დარტყმით;

მეტალურგია – მეცნიერება, ლითონთა მოპოებისა და დამუშავების შესახებ. მეტალისგან ნაწარმოები 7 ტერმინი განიხილება. ლითონი და ლითონიდან ნაწარმოები ტერმინები არ არის მოცემული (იმედაშვილი 1928).

გიორგი ახვლედიანის უცხო სიტყვათა ლექსიკონში ლითონი და მეტალი არ არის განხილული. განხილულია მეტალურგია (ახვლედიანი 1933).

სოლომონ თეზელიშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში მეტალი ასეა განხილული - *მეტალი* (ლათ. metallum < ძვ. ბერძნ. μέταλλον საბადო) *ლითონი* 1. რომელიც ჩვეულებრივ პირობებში მაღალი ელექტრ... შემდეგ განხილულია მეტალთან დაკავშირებული 14 ტერმინი (ლექსიკონი).

რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში განხილულია მეტალთან დაკავშირებული 25 ტერმინი და თვითონ მეტალი კი ასეა განმარტებული: *Мета'лл (ал)* [греч. métallon, букв. рудник] химиурад марტივი ნივთიერება (ლექსიკონი 1938).

ოჟეგოვის ლექსიკონში კი *Металл*-თან დაკავშირებულია 12 დასახელების ტერმინი, ხოლო *Металл* – განხილულია, როგორც ქიმიურად მარტივი ნივთიერება (ოჟეგოვი 1988).

ასევე 12 ტერმინია დასახელებული უცხო სიტყვათა რუსულ ლექსიკონში. აქ მეტალი ასეა განმარტებული:

Металл – [лат. metallum, гр. métallon] – шахта, рудник.

რუსულ პოლიტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონის მიხედვით:

Металлы – (нем. Metall; первоисточник: гр. métallon – шахта, руда, металл) (ლექსიკონი 1976).

ჩვენ მიერ შედგენილ ლექსიკონში *ლითონთან* და მის მრავლობით რიცხვთან დაკავშირებულია 38 ტერმინი. *ლითონი* და *მეტალი,* როგორც სინონიმები, მხოლოდ ერთ შემთხვევაშია მოცემული. *მეტალთან* დაკავშირებულია 31 ტერმინი (შურაძე 2008).

1970 წელს გამოცემულ ქიმიის ტერმინოლოგიის ლექსიკონში განხილული 51 ტერმინიდან *Металл*-თან 4 ტერმინია დაკავშირებული:

Металлография – მეტალოგრაფია;

Металлоид – მეტალოიდი;

Металлоидный – მეტალოიდისა; მეტალოიდური;

Металлургия порошковая – ფხვნილთა მეტალურგია.

2 ტერმინი სინონიმურადაა მოცემული. 3 მიგზავნაა, ხოლო დანარჩენი 42 ტერმინი ნაწარმოებია *ლითონიდან* (ტერმინოლოგია 1970).

2004 წელს გამოცემულ ქიმიის ოთხენოვან ლექსიკონში:

Металл, ლითონი. მეტალთან დაკავშირებული 15 ტერმინია წარმოდგენილი. მათგან 8 ტერმინი სინონიმებითაა მოცემული და ყველა მათგანი ტერმინ *ლითონს* უკავშირდება. 5 ტერმინი ცალსახად *მეტალად,* ხოლო 2 *ლითონად* იწოდება (ლექსიკონი 2004).

ფიზიკის ტერმინოლოგიურ ლექსიკონში: *Металл, ლითონი, მეტალი;*

განხილული 14 ტერმინიდან 3 ტერმინია *Металл*-თან დაკავშირებული:

Металлография – მეტალოგრაფია;

Металлоид – მეტალოიდი;

Металлургия – მეტალურგია.

1 ტერმინი სინონიმურადაა მოცემული. დანარჩენი 10 ტერმინი ნაწარმოებია *ლითონიდან* (ტერმინოლოგია 1960).

ინგლისურ-რუსულ-ქართულ საავიაციო ტერმინოლოგიის ლექსიკონში „ლითონ“ ფუძიდან ნაწარმოებია 37 ტერმინი. *მეტალი* არ არის ნახსენები (საავიაციო 2002).

საანალიზო მასალის უკეთ აღსაქმელად საჭიროა ტერმინთა განმარტებებში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობებში გარკვევა. ამ მიზნით განიხილება ტერმინის ავტორისეული და თანამედროვე (დახრილი შრიფტით) განსაზღვრებები. *Залежь, бyдобu.* ბუდობია შემდეგ წყაროებში: ტექნიკური 1977, ლექსიკონი 1983, სამუშია 2006 და ახვლედიანი, თოფურია 1990. მნიშვნელოვნად განსხვავებული განმარტებაა ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში (ჩუბინაშვილი 1971) - *Залежь* собир. ნაყარი, დიდხანს გდებით წამხდარი სავაჭრო.

бyдобu, залежь – ადგილი, დედამიწის ქერქში, სადაც შემცველი ქანებისგან განმხოლოებული, ამა თუ იმ სასარგებლო ბუნებრივი მინერალური ნედლეულის დანაგროვი (ქვანახშირი, ნავთობი, რკინის მადანი და მისთ.) მოიპოვება. ბუდობს ზოგჯერ „საბადოს“ მნიშვნელობითაც ხმარობენ.

Пласт, ფენა (გეოლ.) იხ.: ტექნიკური 1977, ლექსიკონი 1983, სამუშია 2006, ჩუბინაშვილი 1984 და ახვლედიანი, თოფურია 1990 - ამ წყაროებში ცალსახად ფენაა. ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში: *Пласт* პრტყელ-პრტყელი ნაჭერი რისამე... (ჩუბინაშვილი 1971).

ფენა, пласт (გეოლ.) – მრავალი დანალექი და მეტამორფული ქანების (მთის ქანების) ბუდობის განლაგების ძირითადი ფორმა, შედარებით ერთგვაროვანი შედგენილობის, პრაქტიკულად, პარალელური ზედაპირებით – ძირითა და ჭერით, შემოსაზღვრული გეოლოგიური სხეული. ფენის სიგრძე მის სისქეს მრავალჯერ აღემატება.

Порода, ქანი. წყაროებში: ტექნიკური 1977, ლექსიკონი 1983, სამუშია 2006, ახვლედიანი, თოფურია 1990 - ქანია. განსხვავებულია ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში: *Порода* გუაროვნობა, მოდგმა, ნათესავობა. II გუარი, დაგუარებულება ცხოველთა, მცენარეთა და სხვ. (ჩუბინაშვილი 1971).

ქანი, порода – მეტ-ნაკლებად მუდმივი მინერალოგიური და ქიმიური შედგენილობის მინერალების ბუნებრივი წარმონაქმნია, რომელიც დამოუკიდებელ გეოლოგიურ სხეულს ქმნის და დედამიწის ქერქად იკრიბება.

Руда, მადანი. შემდეგ წყაროებში: ტექნიკური 1977, ლექსიკონი 1983, სამუშია 2006 – მოცემული, როგორც მადანი; ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში – *Руда* – ლითონის მადნის ქუა. ბენძღი, ჯავარი. Рудник,

Рудокопная лиτонის ქანი, მაღარო ლითონის სათხრელი... (ჩუბინაშვილი 1971).

მადანი, руда – მინერალური ბუნებრივი წარმონაქმნი, რომელიც რომელიმე (ან რამდენიმე) ლითონს ისეთი კონცენტრაციით შეიცავს, რომ მისი ამოღება ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ტექნიკურად შესაძლებელია. ზოგჯერ ტერმინი მადანი რიგი არალითონური სასარგებლო წიაღისეულის აღსანიშნავადაც გამოიყენება.

Рудник, მაღარო. შემდეგ წყაროებში: ტექნიკური 1977, სამუშია 2006, ახვლედიანი, თოფურია 1990 - Рудник განმარტებული, როგორც მაღარო; ლექსიკონი 1983-ში Рудник მაღარო; სამადნე – დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში: *მაღარო* ს. ქანი, ლითონის სათხრელი, конь, шахта, рудник ქვის ნახშირის მაღარო, каменноуголный конь (ჩუბინაშვილი 1984).

მაღარო, рудник. ღია ან, ძირითადად მიწისქვეშა ხერხით, სასარგებლო წიაღისეულის, უპირატესად მადნის, სამთო-ქიმიური ნედლეულისა და სამშენებლო მასალების მომპოვებელი სამთოსამრეწველო საწარმო.

Шахта, შახტი. წყაროებში: ტექნიკური 1977, ლექსიკონი 1983, სამუშია 2006, ახვლედიანი, თოფურია 1990 – ცალსახად შახტია.

შახტი, шахта. 1. სამთოსამრეწველო საწარმო, რომლის დანიშნულებაა სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვება. იგი მოიცავს მიწისზედა ნაგებობებს, და მიწისქვეშა გვირაბებს საბადოს დასამუშავებლად შახტის ველის ფარგლებში. 2. მიწისქვეშა ვერტიკალური ან დამრეცი მისასვლელები მადნეულის მოპოვების ადგილამდე. 3. ზოგი კონსტრუქციის ვერტიკალური გრძივი სიღრუე (მაგ., თერმული ღუმლების, სივრცე, რომელშიც გადაადგილდება ლიფტის კაბინა).

როგორც ვნახეთ, ქართულენოვან უცხო სიტყვათა ლექსიკონებში ტერმინი *მეტალი* განმარტებულია როგორც *ლითონი.* არცერთ მათგანში ტერმინი *ლითონი* (ან მისგან ნაწარმოები ტერმინი) ცალკე ერთეულად არ არის გამოტანილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლექსიკონების შემდგენთათვის იგი უცხო სიტყვად არ მოიაზრება.

დ. ჩუბინაშვილისეული განმარტება, რომ ლითონი მადანია „ან ქანი მეტალთა“ ემთხვევა რუსულენოვან გამოცემებში მოცემულ *მეტალის* განმარტებებს. ყველა დანარჩენ ქართულ წყაროში *მეტალი* განმარტებულია, როგორც *ლითონი.* დ. ნ. უშაკოვის განმარტებით, *მეტალი* „სიტყვა-სიტყვით“ *рудник*-ია. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ მომზადებულ რუსულ–ქართულ ლექსიკონში *рудник* განმარტე-

ბულია, როგორც – *მაღარო, სამადნე. სამადნე* პირდაპირ მიუთითებს ამა თუ იმ მადნის საბადოზე და არა მადნის მოსაპოვებლად მოწყობილ ნაგებობაზე.

გაურკვევლობას ნათელს ჰფენს *მეტალის* ნიკო და დავით ჩუბინაშვილებისეული განმარტებები:

„*ლითონი* მადანთა შინა პოვებული, ვითარ ოქრო, ვერცხლი, რუალი და სხ.“ (ჩუბინაშვილი 1971).

მეტალლი (ბერძნ.) ლითონი, „რაიცა მიწის ქანთაგან ამოითხრება, ვითარცა ოქრო, ვერცხლი, რვალი, რკინა“. металл (ჩუბინაშვილი 1984).

აქედან გამომდინარეობს მარტივი დასკვნა: *მეტალი* და *ლითონი* ერთი და იმავე ცნების ამსახველი ტერმინებია და ლითონი მადანი არ არის.

აღსანიშნავია, რომ ჩუბინაშვილების ლექსიკონებში მეტალის განმარტებისას იგივე უზუსტობებია დაშვებული, რომელთა გასწორებასაც სულხან-საბა ორბელიანი ითხოვს: „რვალი ვიეთთა ნაცვ(ა)ლად სპილენძთასა აღუწერიათ, გასწორება სჯობს ZA (ორბელიანი 1993).

ქეგლის მიხედვით, *ლითონი* ქიმიურად მარტივი სხეულის - ქიმიური ელემენტისა და ლითონური მასალების (შენადნობების) განმსაზღვრელი ტერმინია. წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოთ მოყვანილ ტერმინთა უმრავლესობის საჭიროება არ იქნებოდა. მარტივი ქიმიური ელემენტებისთვის მსგავსი სამრეწველო დარგების და პროფესიების აუცილებლობა არ არის.

ამ ლექსიკონში *მეტალი* გაიგივებულია *ლითონთან*. ერთ-ერთი კლასიფიკაციით მარტივი ქიმიური ელემენტები *მეტალებად* და *მეტალოიდებად* და არა *ლითონებად* და *ლითონოიდებად* იყოფიან. ჩვენი აზრით, ქართულ ენაში *მეტალი*, ლითონთან შედარებით, უფრო „მოხდენილად“ ასახავს მარტივ ქიმიურ ელემენტს, პროფესიებს, მეცნიერულ და სამრეწველო დარგებს, ხოლო *ლითონი* „მასალებისკენ იხრება“. მაგალითად, როცა ამბობენ *ლითონური ნაკეთობები*, იგულისხმება შავი და ფერადი ლითონების (მეტალების) შენადნობებისგან დამზადებული საგნები და ავტომატურად გამოირიცხება სხვა (ხის, პლასტიკური მასების, ქვის და ა. შ.) მასალები.

ლითონისგან და *მეტალისგან* ნაწარმოები ტერმინების მნიშვნელობებისა და გამოყენების სიხშირეების (იხ. დანართი) ანალიზი საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ ქართულ ენაში ტერმინ *ლითონის* შემოღების სიძველე (პირველობა). იგი უფრო მჭიდროდაა დაკავშირე-

ბული საერთო ენის ფესვებთან (ამას ადასტურებს მისი გამოყენების სიხშირე). *მეტალი* და მისგან ნაწარმოები ტერმინები „უფრო ახალი“ ფაქტების (საგნების, მეცნიერების, დარგის, პროცესების, პროფესიების და სხვ.) აღმნიშვნელებია. ტერმინი *ლითონი* (ნებისმიერი მნიშვნელობით) მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ დატვირთვას იძენს – პირდაპირ მიუთითებს ბერძნულ-ქართული ურთიერთობების ისტორიულ ხანგრძლივობაზე.

„მიუხედავად ნეგატიური დამოკიდებულებისა, სინონიმების არსებობა ტერმინოლოგიურ სისტემებში რეალური ფაქტია“ (ღამბაშიძე 1986). თანამედროვე ქართულ ენაში განსახილველი სინონიმური წყვილი ობიექტურ სინამდვილეს ასახავს და ერთ აღსანიშნზე მიგვანიშნებს. ისინი ერთნაირი მნიშვნელობებისაა და მათ შორის შესამჩნევი შინაარსობრივი ნიუანსი არ არსებობს. მათ ერთი ტერმინოლოგიური ველის ფარგლებში ერთგვარი ლექსიკური მნიშვნელობები აქვთ, ე.ი. ისინი ტოლმნიშვნელოვანი ლექსიკური სინონიმებია და რომელიმე მათგანის დომინანტად გამოყოფა შეუძლებელია.

არსებული რეალობისა (ლითონის გამოყენების სიხშირე 2,78-ჯერ აღემატება მეტალის გამოყენების სიხშირეს, იხ. დანართი) და „შერჩეული“ ტერმინის ერთადერთ საყოველთაო ტერმინად აღიარებისათვის მოსალოდნელი ხანგრძლივი დროის საჭიროება მიგვანიშნებს, რომ რომელიმე მათგანის უგულებელყოფა, ვფიქრობთ, შეუძლებელია. ლითონისა და მეტალის ტოლმნიშვნელოვან სინონიმებად ცნობით კი ბერძნულ კულტურასთან საქართველოს ურთიერთობის დამადასტურებელი, ენაში არსებული, უტყუარი ფაქტები შენარჩუნდება.

დანართი

ცხრილი: ტერმინების, *ლითონისა* და *მეტალის*, გამოყენების სიხშირე ზოგ ქართულ გამოცემაში

ლიტ. წყარო	გამოყენების სიხშირე			მიგზავნა	ლით.+ მეტ. რაოდენობა
	ლითონი	მეტალი	სინონიმი		
ქეგლი	26	11	-	-	37
ქსე	15	6	1	-	21
ტექნიკური 1977	26	8	4	1	34
ლექსიკონი 1956-1958	22	9	-	-	31
ლექსიკონი 1983	11	5	1	-	16
ჩუბინაშვილი 1971	-	2	-	-	2
სამუშია 2006	9	-	-	-	9

ჩუბინაშვილი 1984	2	1	-	-	3
ახვლედიანი, თოფურია 1990	2	2	-	-	4
შურაძე 2008	38	31	1	-	69
ტერმინოლოგია 1970	42	4	2	3	46
ლექსიკონი 2004	2	5	8	-	7
ტერმინოლოგია 1960	10	3	1	-	13
საავიაციო 2002	37	-	-	-	37
სულ:	242	87	18	4	329

ლიტერატურა

ახვლედიანი 1933 – გიორგი ახვლედიანი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ტფილისი.

ახვლედიანი, თოფურია 1990 – გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

თეზელიშვილი 2005 – სოლომონ თეზელიშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

იმედაშვილი 1928 – იოსებ იმედაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ტფილისი.

ლექსიკონი 1938 – Толковый словарь русского языка, Под. ред. Д.Н. Ушакова, т 2. М.

ლექსიკონი 1956-1958 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ლექსიკონი 1959 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ლექსიკონი 1976 – Политехнический словарь, М.

ლექსიკონი 1983 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ლექსიკონი 1988 – Словарь иностранных слов, 17-е изд, М.

ლექსიკონი 2004 –რუსულ-ქართულ-ინგლისურ-გერმანული ქიმიური ლექსიკონი, რედ.: ვლადიმერ დოლიძე, ვლადიმერ ციციშვილი, „უნივერსალი“, თბილისი.

ნეიმანი 1978 – ალექსანდრე ნეიმანი, ქართულ სინონომთა ლექსიკონი, თბილისი.

ოჟეგოვი 1990 – С. И. Ожегов, Словарь русского языка, М.

ორბელიანი 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი.

ორბელიანი 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი.

საავიაციო 2002 – ინგლისურ-რუსულ-ქართული საავიაციო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი, შემდგენლები: სერგო ტეფნაძე, არჩილ ბეთანელი, პანტიკო თორდია, რობერტ ებრალიძე, ლევან გელაშვილი, საქ. მეც. აკად. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტი, საქ. ტექ. უნ-ტის საავიაციო სასწავლო-სამეცნიერო ინ-ტი; თბილისი.

სამუშია 2006 – შოთა სამუშია, რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ტერმინოლოგია 1960 – ფიზიკის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი), თბილისი.

ტერმინოლოგია 1970 – ქიმიის ტერმინოლოგია (რუსულ ქართული), თბილისი.

ტექნიკური 1977 – ტექნიკური ტერმინოლოგია, თბილისი.

ქეგლი 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი.

ქეგლი 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბილისი.

ქსე 1983 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. VI, თბილისი.

ღამბაშიძე 1986 – როგნედა ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

შურაძე 2008 – ომარ შურაძე, არაორგანული მასალათმცოდნეობისა და მეტალურგიის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1971 – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ჭაბაშვილი 1989 – მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

Inga Jibuti
TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics, Georgia
ingajibuti@gmail.com

Omar Shuradze
F. Tavadze Georgian Institute of Metallurgy and Materials Science, Georgia
oshuradze@mail.ru

Keywords: Litoni (metal), Met'ali (metal), Technical terminology, Synonyms.

Litoni (ლითონი, metal) or *met'ali (მეტალი,* metal)?

Summary

In the course of mankind's historical development, the close cultural, economic and political relations of a people with their neighbors near or far bring about the existence of common words or terms in their languages.

As a result of the long historical connection between the Kartvelian tribes and ancient Greek culture, the terms *litoni (ლითონი)* and *met'ali (მეტალი),* which are of Greek origin, exist as synonyms in the Georgian oral and written works. This doubling has introduced some terminological ambiguity into the Georgian technical terminology.

Modern European (and not only European) countries use the term metal and terms derived from it. However, Georgian terminologists and specialists have been unable to decide the question of *litoni (ლითონი)* or *met'ali (მეტალი)* once and for all. There has been no "legal recognition" and there remains a difference of opinion among specialists. These terms are presented as synonyms in common Georgian and specialized dictionaries.

Before Sulkhan-Saba Orbeliani, before the *Dictionary of Georgian* was compiled, the terms did not make it into existing Georgian dictionaries. Consequently, the *Dictionary of Georgian* became one of the major starting points for historical sources of Georgian vocabulary. In its

various manuscripts, the direct or oblique indications depicted in the definitions' various variants are invaluable for the elucidation of the word.

In the comparative analysis of the terms under examination (starting with the *Dictionary of Georgian* and including modern literary Georgian dictionaries), *litoni (ლითონი)* and *met'ali (მეტალი)* are discussed as well as other terms used in their definitions.

An analysis of the meanings (definitions) of the terms produced on the basis of *litoni (ლითონი)* and *met'ali (მეტალი)* found in the modern Georgian sources and The Georgian Dictionary and their usage frequency provides the basis for assigning "precedence of introduction" into the language to the term *litoni (ლითონი)*. It is more closely related to the roots of the common Georgian language and it has a significant cultural-historical bearing, directly indicating the duration of Greek-Georgian relations over a long period of time.

In fact, the synonymous pair discussed reflects an objective reality in the modern Georgian language and points to a single denotatum. They have a single linguistic meaning with no semantic nuance between them. Thus, they are equivalent lexical synonyms, and (despite the lack of synonyms in technical terminology) it is impossible to mark one out as dominant.

მოგონებები

გასული წლის გაზაფხულზე ქალბატონი თამარი ავად გახდა. მოვიკითხე, ჩვეულებისამებრ თბილად მესაუბრა. გავუბედე და ვუკოლ ბერიძის მოგონების დაწერას რომ დამპირდა, შევახსენე. ძალიან გაუხარდა, უცნაურად გახალისდა. რამდენიმე დღეში თავად დამირეკა, უნდა მოხვიდე და წაიღოო. უკვე ჩაწოლილი იყო, თუმცა ისევ საქმიანი, ხალისიანი. მოგონებებს ფურცელ-ფურცელ მაბარებდა (გადაეთეთრებინა კიდეც) და თან მიამბობდა ჩვეული ხუმრობით, სიყვარულით. გულისტკივილით გაიხსენა მოხუც ვუკოლ ბერიძესთან ბოლო შეხვედრაც, გული ვატკინეო, - წუხდა. ის, რაც ბევრისთვის უბრალოდ შეუმჩნეველი დარჩებოდა, ქალბატონ თამარს მთელი ცხოვრება აწუხებდა...

ვინც ქალბატონ თამარ ბეროზაშვილს არ იცნობდა, ვფიქრობ, მის მიერ სიცოცხლის ბოლო დღეებში დაწერილ სტრიქონებშიც დაინახავს მას.

ლია ქაროსანიძე

† თამარ ბეროზაშვილი
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

ვუკოლ ბერიძე

დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის (ყოფ. სტალინის) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა.

უნივერსიტეტის დამთავრების წელს ბატონმა არნოლდმა მე და ლია ლეჟავას (შემთხვევით ვიყავით მეცადინეობაზე ჩვენ ორნი) გამოგვიცხადა: - რიგიანი ახალგაზრდა ახლავე იმეცადინებდა! მე და ლიამ ეს გავიგეთ, როგორც ასპირანტურისთვის გაფრთხილება.

საკონკურსო გამოცდებამდე ორი კვირით ადრე დაგვიბარა შინ ბატონმა არნოლდმა და გულმოდგინე გამოცდის შემდეგ მოგვცა რეკომენდაცია ასპირანტურის საკონკურსო გამოცდებზე გამოსვლისა. კონკურსში გავიმარჯვეთ. მაშინვე ჩაგვრთო სალექსიკონო სამუშოებში. მუშაობდა ექვსი სარედაქციო კომისია.

ბატონმა არნოლდმა ასპირანტურაში ჩარიცხვიდან ორი კვირის შემდეგ გამამწესა ვუკოლ ბერიძის სარედაქციო კომისიაში.

კომისიის ახალგაზრდა წევრს ევალებოდა: ძველი სალექსიკონო ფონდის მიხედვით განმარტებული სიტყვების შემოწმება ახალ ფონდებში, გამოვლენა და განმარტება ახალი სიტყვებისა, ახალი მნიშვნელობებისა. უნდა შეგვევსო ძველი და ახალი სიტყვები ახალი სადოკუმენტაციო მასალით.

სიტყვები უნდა შეგვემოწმებინა და მნიშვნელობები შეგვეჯერებინა საბას და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში, მწერლების ნაწარმოებებს დართულ და დიალექტურ ლექსიკონებში. შემოსვლის გზის გასარკვევად გვერდს ვერ ავუვლიდით ლათინურ, ბერძნულ, დასავლეთ ევროპულ, რუსულ, აღმოსავლურ ენათა ლექსიკონებს. ამ საქმეს ფაქტობრივად სჭირდებოდა გამოცდილი ლექსიკოგრაფი, მაგრამ ჩვენს მასწავლებელს, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას, უყვარდა ახალგაზრდებისათვის საპასუხისმგებლო საქმის მინდობა, ამავე დროს ფხიზლად ადევნებდა თვალს მათს საქმიანობას. ზოგჯერ ღამის თორმეტ საათამდე გვიწევდა ინსტიტუტში ყოფნა, რომ მეორე დღეს სარედაქციო კომისიისთვის მომზადებული მასალა მიგვეწოდებინა.

დაგვირეკავდა ბატონი არნოლდი, გვკითხავდა რამეს, ეს ძალიან გვახალისებდა:

– ჩვენი მასწავლებელი ჩვენთან ერთად მუშაობს და თვალს გვადევნებსო.

კომისიაში მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა, რომ ბატონმა არნოლდმა დამიბარა და მისაყვედურა:

– თქვენ თურმე იქ ხმას არ იღებთ! მე ვერაფერი ვთქვი. - თქვენ იქ ქართლს წარმოადგენთ! - მითხრა ჩვენმა მასწავლებელმა, ამან კიდევ უფრო შემაკრთო! თურმე მე, ოცდასამი წლის გოგოს, პირველი კურსის ასპირანტს, ქართლის სახელით უნდა მელაპარაკა ამ ცნობილ მეცნიერებთან, თანაც ვაჟკაცებთან.

მაშინ გავიგე, სარედაქციო კომისია ისე იყო შედგენილი, რომ წევრები სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ: ბატონი ვუკოლი და ბატონი შოთა გაფრინდაშვილი იმერეთის სხვადასხვა მხრიდან ბრძანდებოდნენ, ბატონი ილია ცერცვაძე გურული გახლდათ.

როგორც ჩანს, ბატონ არნოლდს ჩვენი კომისიის თავმჯდომარისთვისაც უთქვამს, რომ ჩემთვისაც ეკითხათ სიტყვის შესახებ.

როდესაც ეს ღირსეული მეცნიერები თავ-თავის სათქმელს იტყოდნენ, ბატონი ვუკოლი მომიბრუნდებოდა, ომახიანად, განზრახ იმერული კილოთი შემომძახებდა:

– როგორაა მაგ სიტყვა ქართლში? მე ძლივს გასაგონად ვპასუხობდი.

– ვინ თქვა მაგ, თამარ? მაგ არაა ქართული, მაგ სომხურია, მაგ თათრულია! - შესძახებდა ბატონი ვუკოლი და დაამატებდა:

– ჩაწერე, შოთა! ბატონი შოთა გაფრინდაშვილი სარედაქციო კომისიის მდივანი გახლდათ.

ამ შეძახილს მიზნად ჰქონდა ჩემთვის ხმის გამოღებინება გათამამება, რასაც ჩვენი კომისიის თავმჯდომარემ მიაღწია კიდეც.

ბატონი ვუკოლი ბატონ არნოლდ ჩიქობავას მასწავლებელი გახლდათ ქუთაისის გიმნაზიაში. ერთხელ გვითხრა:

– თვითონ ფილოლოგიური საგნებით იყო გატაცებული, მაგრამ გიმნაზიელებს ამეცადინებდა მათემატიკაში და მათგან აღებული საფასურით იხდიდა გიმნაზიაში სწავლის გადასახადს.

ბატონი ვუკოლი ბრძანდებოდა არნ. ჩიქობავას (ყოფ. ნიკო მარის) სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილების გამგე, პროფესორი, რომ მოდიოდა, მოაბიჯებდა ასა-

კოვანი, ბრგე ვაჟკაცი, მას თან მოჰყვებოდა დიდი ცოდნა, ენერგია, საქმისთვის თავდადება და კაცთმოყვარეობა.

ბატონი ვუკოლი გახლდათ რუსთველოლოგი. საუბარში იყენებდა ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან“. ერთხელ სადღაც გამიფრინდა ფიქრი, ბატონმა ვუკოლმა მაშინვე შემნიშნა: „სხვაგან ქრის შენი გონება, შენმან თავისა წონამან“.

ბატონმა ვუკოლმა მასწავლა „ვეფხისტყაოსნის“ სწორი კითხვა. „ვეფხისტყაოსანში“, როგორც იმ დროის პოეზიაში იყო მიღებული, ბოლო სტრიქონის დასაწყისს დართული ჰქონდა *და* ნაწილაკი მხატვრული კითხვისთვის. ბატონმა ვუკოლმა ამიხსნა, რომ ეს *და* ნაწილაკი უნდა წარმოითქვას წინა, მესამე ტაეპის ბოლოს, მაგ.:

„ყველასა გასცემს ასული შენი საბოძვარ ხშირიო *და*,

კვლავცა ნუ დასვი ხელმწიფედ, თავსა რად უგდე ჭირიო?“

მსახიობი ზინა კვერენჩხილაძე სწორად კითხულობდა *და* ნაწილაკს, ნეტავ, ამას ვინ ასწავლა-მეთქი. ბევრი ფიქრის შემდეგ თითქოს მივხვდი: ბატონი ვუკოლის ძე, ვახტანგ ბერიძე, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს ასწავლიდა მხატვრულ კითხვას, ალბათ აუხსნიდა-მეთქი.

ბატონი ვუკოლი ბრძანდებოდა მეტყველების ნორმების დამდგენი კომისიის თავმჯდომარე.

წლების განმავლობაში იმდენი არაქართული სიტყვა დამკვიდრდა, იმდენმა უმართებულო ფორმამ მოიკიდა ფეხი, ზოგჯერ ნორმების დამდგენი კომისიის წევრებს უჭირდათ მიღება წინადადებისა, რომელიც ბატონმა ვუკოლმა შემოსთავაზა. მან სრულიად უმტკივნეულოდ, ვითომ ხუმრობითაც, შემოიღო ასეთი წესი:

– გაიარე ოთახში დიაგონალურად (რომ გზა გაგრძელდეს) ორმოცჯერ და ხმამაღლა იძახე ეს სიტყვა თუ ფორმა, დაჯექი და ბუნებრივად მოგეჩვენება.

ჩვენი სარედაქციო კომისია იკრიბებოდა ყოველდღე (გარდა დასვენებისა). სხდომა გრძელდებოდა 8 საათს. ბატონი ვუკოლი შიგადაშიგ გვასვენებდა, მაგრამ ოთახიდან არ გვიშვებდა, რომ წევრებს დრო არ დაეკარგათ, ან ყურადღება არ გაჰფანტვოდათ.

ქვეყნის ამბები იცოდა და ძალიან მიმზიდველად ყვებოდა.

მოვიგონებ რამდენიმე მონათხრობს:

კუფტინი საქართველოს არქეოლოგიაში მუშაობდა. ერთხელ სახელმწიფო მუზეუმში შეხვდნენ ერთმანეთს კუფტინი და მსოფლიოში ცნობილი სემიტოლოგი - გიორგი წერეთელი. ბატონმა გიორგიმ

შენიშვნა მისცა არაობიექტურობისათვის და გარტყმა დაუპირა. კუფტინმა მოასწრო და გაექცა.

ცნობილი პოეტი ირაკლი აბაშიძე ცოტა ენას უკიდებდა, თურმე. მათი სოფლის ახლოს ტყეში ბინა დაუდიათ დევნილებს. სოფელი თან ინახავდა მათ, თან იფარავდა. ჟანდარმებმა ვერაფერი გააწყეს. ბოლოს აჰყარეს მთელი სოფელი დიდიან-პატარიანად და გაირეკეს ჟანდარმერიაში. ირაკლი აბაშიძეც, მაშინ ბავშვი, სოფლის ხალხში ერია. შიშზე დაერღვა მეტყველება.

ბატონი ვუკოლის საყვარელი ადამიანის მოსაფერებელი სიტყვა იყო „თათარო“. ტერმინოლოგიის განყოფილებაში ხშირად შემოდიოდა ბატონი ივანე გიგინეიშვილი, შემდეგში „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ VIII ტომის ერთ-ერთი რედაქტორი. ბატონი ვუკოლი ბატონ ვანოს მხოლოდ ამ სიტყვით მიმართავდა:

– მოდი, თათარო, მოდი! შემოსულს მხარზე ხელს დაჰკრავდა.

ტერმინოლოგიის განყოფილებაში ჰქონდათ იმ დროს უშოვარ-უპოვარი ლექსიკონები. დროდადრო მობრძანდებოდა ხოლმე ბატონი კონსტანტინე გამსახურდია. ერთ-ერთ ასეთ მოსვლაზე ბატონ ვუკოლს გავუბედე და წავჩურჩულე:

– აბა, ამას დაუძახეთ „თათარო“!

ბატონმა ვუკოლმა შეშინებული სახე მიიღო და ხმადაბლა მიპასუხა: - ოოო!

1937 წლის რეპრესიების დროს ბატონი ვუკოლი დააპატიმრეს, როგორც ხალხის მტერი. მეუღლეც თან მიაყოლეს, მაგრამ ჩქარა დააბრუნეს. გადასახლებაში ქალბატონი ელისაბედი (ლიზიკო) თურმე მხოლოდ წყალსა და ჩაის სვამდა.

რეპრესიების ჩავლის შემდეგ ბატონი ვუკოლი დაბრუნდა.

ბატონი ვუკოლი აღარ მუშაობდა მოხუცებულობის გამო.

დაკრძალვის დანიშნულ დღეს მეუღლე გამხდარა ცუდად, თურმე მომვლელებს ეხვეწებოდა:

– მიშველეთ, ვახტანგი (შვილი) მეცოდებაო!

ყველა ღონისძიება ამაო გამოდგა, ბატონი ვუკოლის დაკრძალვა მეორე დღისთვის გადადეს და მეუღლეები ერთ დღეს გაასვენეს.

ერთ ამბავს გავიხსენებ დიდი გულისტკივილით: ბავშვი გამიხდა ავად და მასთან მივდიოდი სასამართლოს ქუჩაზე საავადმყოფოში. გზის შესამოკლებლად პატარა ქუჩა ავიარე, ამ ქუჩაზე ორსართულიან ფართოაივნიან სახლში ცხოვრობდა ბატონი ვუკოლი. აივანზე

იჯდა. რომ დამინახა, ადგა ეს ღრმად მოხუცებული ადამიანი, მოაჯირთან მოვიდა და სიხარულით მკითხა:

– ჩემთან მოხვედი?

– არა, ბატონო ვუკოლ, ბავშვი მიწევს საავადმყოფოში, მასთან მივდივარ.

მაშინ ხომ ვერ ავედი და არც მერე მივსულვარ, არ შევაწუხო-მეთქი. ეს მიკლავს გულს და მრცხვენია. მას შემდეგ წლები გავიდა და ეს გულისტკივილი, სირცხვილის გრძნობა, დღესაც მთრგუნავს.

თამარ ბეროზაშვილი
2019. 3 მაისი. ორშაბათი

საძიებელი

ტერმინები

აბგა: ბატის ფეხის აბგა, თეძო-ქედის აბგა (მედ.) 206.
აბკატკა 313
აბლაუტი 37
აბროშა 335
აბროშაცრ 337
აბრუპტივი 32, 33
აბსოლუტური სინონიმები 38
აბჯარი, მყესოვანი აბჯარი (მედ.) 206
აგლუტინაცია 36
ადამის ვაშლი 218
ადმინისტრატივ//ადმინისტრატებური //ადმინისტრატიული 181
ადაჟიო 69
ავგაროზი 100, 101, 102, 103
ავესტური ტრადიცია 104
ავტომობილი 22
აზოტი 345
აზრობრივი კატეგორია 37
აირადი// აირი//აირებრი 17
აკანათი 246
ალამრ 441
ალბუმინი 28
ალგებრა // ალჯებრი 19
ალისარჩული 188
ალმასი 400
ალოფონი 37
ალტი 68
ალუდი 335, 337, 340
ალუდრ 441
ამარტა 400
ამინმჟავა//ამინომჟავა 400
ამონის რქა 206
ამულეტი 101, 103
ამჭექი 28
ანაგული / ანაგულა 292
ანალიზი, ანალიზური, ანალიტიკა, ანალიტიკური 74
ანბანი 37
ანგედონია 219
ანგლიციზმები 317, 318
ანგლოამერიკული სამართალი 256
ანილინი 28
ანოდი 24
ანტენა 28
ანტონის ცეცხლი//წმინდა ცეცხლი 213
ანჩხლი 291
აპელატიური სახელდება 194
არაგონიტი 28
არალითონი 405
არამეტალი 284
არტიკულაციის ნიშნები 68
არტიონიმი 196
ასალი 332
ასაყუო//ასაყუოჲ 340, 341
ასთმა 392
ასიმილაცია: დისტანციური ა., კონტაქტური ა., ნაწილობრივი ა., პროგრესული ა., რეგრესული ა., სრული ა. 37
ასპექტი 36
ასპირირებული თანხმოვანი 36
ატლანტი 205
ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტი 36
აფილიაცია//აფილაცია 316
აფრა, ნამგლისებრი აფრა (მედ.) 206, 210
აფრა (არქიტ.) 291
აფრა (გურ.) 291
აფსკი 324
აქილევსის მყესი // აქილევსის რეფლექსი // აქილევსის ქუსლი 217
აქტინიდები //აქტინოიდები 284, 285
აქცია 28
აქციონერი 28

აღგნობა 345
აღვირი 332
აღკაზმა 345
აღკაზმვა 18
აღლევა 18
აღმბეჭდველი 178
აღმნიშვნელი ფონემური გარსი 194
აღრალებნი 399
აღსანიშნი ობიექტი 194
აღჯანაბადი 370
აყალო 291
აწმყო: ზოგადო ა., განგრძობითი ა., მიმდინარეობითი ა., სრული ა., შედეგობითი ა., ხოლმეობითი ა. 231
აწყვირთო 345
აჭექა „დენოტაცია“ 28
ახო 291

ბაბუა 364
ბაგვი 291
ბაგისმიერი 39
ბავშვოგნობა 345
ბაზმა 101
ბაზმაკი 101
ბაზმანდი 101
ბაზო 289
ბაი „კაკაო“ 17
ბაკი 210
ბამბულა 292
ბანდალა 393
ბანი-buffo//ბანი-ბუფო 68
ბანჯგვლი 42
ბანჯვინი//ბანჭვინი 17
ბანჯი ჯამპინგი 318
ბარძიმი 104
ბატის ფეხის აბგა იხ. აბგა
ბატონები//პატონეფი (მეგრ.): დიდი ბ., ვარდ-ბატონები, ია ბ., ფეტვისებური ბ., წითელი ბ., ჭითა პ., ვარდ-პატონეფი, დიდპატონეფი, იაპატონეფი, კისერე პ., კორკოცე //კორკოცე პ., ყვაყვარე პ., შარტე || შარტე პ., ჩხვერე პ., წითელე პა., წითელი ბ. 391-392
ბაცბური ენა 43
ბეისბოლი 318
ბენდელა (ცოფიანი) (მეგრ.) 393
ბეღელი 50
ბეწვი 42, 325
ბიბლიონიმი 196
ბიბლიური ოფლი (მედ.) 218
ბილეთი 28
ბიომეტრიული უსაფრთხოების სისტემა 248
ბიტუმი 28
ბლეფაროპტოზი 212
ბოგანა ჭია (მედ.) 186
ბოვარიზმი (მედ.) 222
ბონდრუღი 50
ბორცვი, საძილე ბორცვი 206
ბოქსიტი 28
ბრაგა 41
ბრელო 291
ბროლი 400
ბრჯენი 28
ბუდე, მყესის ბუდე (მედ.) 206
ბუდობი 40
ბუკეტი 180
ბუნებგნობა 345
ბუნებისმეტყველება 345
ბურკვა'ი 43
ბუჯერი 289

გადაბმულობა 315
გაზი 284
გალა 293
გალითონება 405
გამირი 311
განგრძობითი 231
განსახკომი 343
განფრთხობა 246
გაპურადება 303
გარგოილიზმი 205
გართმა//გართმაჲ 341

გარიგება 275
გასაქანი „ამპლიტუდა“ 26
გასახმარისება 314
გაწარი 246
გელოტოფობია 220
გენიალ//გენიოსებური//გენიოსური 181
გეორტონიმი 192
გვაბანა //გვაბანაკი 46
გველის კანი 211
გვერდი 113
გვირგვინი (მედ.) 113, ვენერას გვირგვინი 116
გზისქვეფენი 23
გირაო 278
გირვანქა 111
გლისანდო 68
გნობა 345
გოდლი 345
გოთური მაგარი სასა 209
გორაკი 210
გორგილაფა// გორგილაფილი (მეგრ.) 392
გრამა 113
გრასმანიანი 76
გრდემლი 206
გრუნტი 23
გულყო 246
გულყრა 209
გუმბათი 206

დაავადება: განგრენოზული დ. 213, წმინდა მავრას დ. 213, ვენერა, ვენერული დ. 217, 221, 216, ჰერკულესის დ. 217, ღორის დ. 393, ძილქუშის დ. 219
დაბაღი 324
დავლა || დაუ̈ლა 392
დათვის ხილი 370
დაკიაპებაჲ 341
დალაობაჲ 341
დამანი „კრისტალი“ 17
დამბლა 392
დამსწორებელაცჳ 339
დანა//დანაკი 101
დანგი 113
დარბაზობა 113
დარიგება „ინსტრუქცია“ 28
დასაკავი 246
დატყეებით 341
დაფეშხოება: დაუფეშხოებელი ნაკლავი, დაფეშხოუებული ნაკლავი 107
დაქტილური წარმოება 275
დედათტირება 338
დედის ძმის ცხენჳ 341
დედისძმანჳ 341
დეზი 210
დემოსი 381
დენთი 28
დენი 28
დერგი 360
დერეფანი: ყურიანი დ., უყურო დ. 292
დეტონატორი 28
დვორნიკი 314
დვრილისებრი მორჩი 207
დიაგონალი, დიაგონალური 74
დიალექტიზმი 360
დიამეტრალური//დიამეტრული 74
დიასპორა 56
დიდაქტიური//დიდაქტიკური 181
დიდპუროზა 298
დიდრაქმა 113
დისკო 103, 104
დიფერენციალი, დიფერენციალური 74
დიხსალ (დიასახლისი) 133
დოკუმენტალური//დოკუმენტური 74
დოკუმენტონიმი 197
დოლაბი 50
დომკრატი
დონჟუანიზმი 205
დოშამა 49
დრამატიზმი 179
დრამი 116
დრამ-ნახევარი 113
დრაჰკანი 113, 115, 116

დრიმონიმი 195
დრომონიმი 196
დროშა//დროშაკი 101
დუღილი: ახდილი დ., დახურული დ., ჩუმი დ. 185
დუტი 293

ეთნოსი 379
ეკვატორი 345
ეკლესიონიმი 196
ეკონომიკა>ეკონომიკური 74
ეკონომია>ეკონომიური 74
ელდენი 28
ელექტრონი 345
ელვისო 22
ელზომი 28
ელიპტიკური// ელიფსური 74
ელრონარა 21
ელფის სახე 220
ენაბრგვილი 392
ენამძიმე 392
ენდოკრინოპათია 211
ენობრივი გარსი 37
ეპიდერმისი 180
ეპილეფსია 217
ერგ- 17
ერგონიმი 196
ერესი 179
ესთეტიკური 179
ექსპერიმენტული//ექსპერიმენტალური 74
ეშმა 104

ვაგონი 26
ვალენტოვნება// ვალენტობა 284
ვარსკვლავთმრიცხველის თავი (მედ.) 212
ვერთერის ეფექტი (მედ.) 221
ვერტიკალი//ვერტიკალური 26, 74
ვერცხლი 397, 404, 409: ცქრია//ცქრიალა ვ. 19, ოქრო-ვერცხლი 329
ვერცხლის ფარი 332
ვერცხლისწყალი 397
ვიზის ფასილიტაცია 316
ვიოლა (მუს.) 68
ვიოლინო (მუს.) 68
ვიოლონჩელო (მუს.) 68
ვიწროლიანდა გზა 21
ვნებითი გვარი 38
ვოლტერის სახე 207

ზარფუში 340
ზედაპირი 19
ზეწნევა 20
ზოგადი აწმყო (present) 231
ზოგადი მომავალი (future) 231
ზოგადი წარსული (past) 231
ზოდი 116
ზღვე 50, 51
ზღვის ცხენი (მედ.) 206
ზღუდარი 308, 309, 310

თავანი 50
თავი კაცი 133
თავსახლი 291
თანანათობა 28
თანახელმოწერა 127
თანგეზი 28
თანტომი 18
თანშეშჯა 18
თანწყობა 28
თანხება 28
თარო 105, 291
თასმა, მყესის თასმა (მედ.) 206
თბო: თბოსადგური, თბოტევადობა 28
თევზის ქერცლი 211
თეთრეული 189
თემთა პალატა 57
თემი 57
თემის ხატი 62
თემ-სოფელი 62
თეონიმი 199
თერმოჩანთა 111
თერძის კუნთი (მედ.) 207
თერძის მკერდი (მედ.) 212
თექა 44, 45, 46

თვალის ჰიპერტელორიზმი (მედ.) 211
თვალსაფარი 332
თვითმოძრავი 22
თვითნათობა 28
თითბერი 399
თითისებრი ჩანაჭდევები 207
თითისტარა კუნთი 207
თითისტარისებრი უჯრედი 210
თიღანი 116
თიხა 291
თიხის კოკა 362
თოქალთო 44
თოში 289
თულუხი 330
თუხტი 116
თხლე 340

იდეონიმი 197
ილეკრო 398
ილეკტრო 399
ილიკტრიონი 399
ილინჯა 246
იმუნიტეტი 125
ინდისხურმა 370
ინტერპელანტი 126
ინტერპელაცია//ინტერპელირება 126
ინფორმაციული უშიშროება 244
იოკასტას კომპლექსი (მედ.) 217
იოსიპოსი 399
იპოთეკა 275
ირეჩი 246
ისხერტი 246
იურიდიული ენა 246
იფქლი 367
იქთიოზი, ფირფიტოვანი იქტიოზი 211
იხვისებრი სიარული (მედ.) 212

კალა 397, 401
კალათა 105
კალათბურთი 318
კამარა 50
კანისთოკი 324
კანის მარმარილოსებრი სახე 209
კანჩაფულა 324
კაპარჭი 333
კარბოლო 14
კარდი 373
კარი, თირკმლის კარი (მედ.) 206
კარიბჭე, შუა გასავლის კარიბჭე 206
კასრისებრი გულმკერდი (მედ.) 210
კატოდი 24
კაფთარა 291
კედები 340
კევკოხა 51
კენკრა 371
კენტინარი 114
კენჭი 399
კერა 50
კერაკნი 401
კერატი 113
კერესი 291
კეფის ძვალი 205
კეცოვანი 324
კვაზიმოდოს კომპლექსი (მედ.) 221
კვამლი 188
კვანძი 210
კიდურების დამბლა (მედ.) 393
კილოური მეტყველება 187
კინკრიჟა 373
კირი 188
კისრის მალა 205
კოდი, კოდის ლოცვაჲ 341
კოდი (kodi - “a special bowl”) 342
კომიკური ბანი (მუს.) 68
კომლი 134
კონტრაბასი (მუს.) 68
კონტრასიგნაცია 127
კოორდინატა 28
კოქსართროზი 212
კოშკისებრი ქალა 209
კრია 17
კრიტიკა 179
კრკო 371
კუბი 345
კუდი, სათესლე დანამატის კუდი 206

კუთრი 23, კუთრი წონა 28
კულუხი 188
კუნძული, ლანგერჰანსის კუნძულები (მედ.) 206
კურდღლის ტუჩი (მედ.) 207
კუწი 23

ლაბარდა 291
ლაბიალური 39
ლაბირინთი 206
ლაგამი, ტუჩის ლაგამი 206
ლაგვანი 360
ლაგვინარი 360
ლალი 400
ლანგარი 104
ლანთანიდები//ლანთანოიდები 285
ლანჩა 324
ლაღა 293
ლეოპტიაზი 211
ლიანდაგი 21
ლიანდი 21
ლითი 20
ლითონი: ლითონდამმუშავებელი, ლითონდამუშავება, ლითონდასამუშავებელი, ლითონიანი, ლითონისებრი, ლითონკონსტრუქციები, ლითონმსხმელი, ლითონმცოდნეობა, ლითონმწნეხავი, ლითონმჭრელი, ლითონმხერხავი, ლითონმხეხავი, ლითონოვანი, ლითონსაგლინავი, ლითონსადნობი, ლითონსაზიდი, ლითონსამსხმელო, ლითონსაწნეხი, ლითონსაჭრელი, ლითონსახერხი, ლითონსახეხი, ლითონსხმა, ლითონსხმული, ლითონურა, ლითონშემდუღებელი 397
ლითონი (შესიტყვებები): ლითონების თერმომექანიკური დამუშავება, ლითონების ჟანგვა, ლითონების ჭრით დამუშავება, ლითონთა კარბონილები, ლითონთა კრისტალური წერტილები, ლითონთა ტექნოლოგია, ლითონთა ფიზიკა, ლითონთერმია, ლითონთმცოდნეობა, ლითონთშორისი ნაერთები, ლითონის კონსტრუქციები, ლითონკერამიკული ელექტრონმილაკი, ლითონორგანული ნაერთები, ლითონსაჭრელი იარაღი, ლითონსაჭრელი ჩარხი 397
ლილვი 289
ლიმნონიმი 195
ლინგვისტიკა: დისკურსული ლ., კოგნიტიური ლ., კორპუსული ლ., კომპიუტერული ლ., სოციოლინგვისტიკა 36
ლინჯა 23
ლინჯი (მეგრ.) 23
ლიტავრები (მუს.) 68
ლიტრა 110-113, ახალი ლ. 120, ძველი ლ. 114, ხევსურული ლ. 111, ფშაური ლ. 111, საწონი ლ. 112, რომაული ლ. 114,
ლიტრი 110, 111, 340
ლიფი 17
ლომის სახე (მედ.) 211
ლოღიკა 179
ლუდი 335-337
ლუდის ზედაშე 340
ლხინი 300

მადანი 396
მალი 290
მალი საღუმელე 291
მამასახლისი 136
მამასახლისის ინსტიტუტი 136
მამლის ბიბილო 206
მამლის დეზი 211
მამლისებრი სიარული 212
მანა 290
მანგი 404
მანინო 404
მანკანა 400

მანსარდა 293
მანუფაქტურა 180
მანქანა 21
მარანი 362
მარგალიტი 398
მართალი 104
მართლიერება 189
მარმარილო 188
მასის საზომი ერთეულები 110
მასმორი 400
მატორი 314
მატყლი: მატყლის თელვა, მატყლის ნაწარმი, „მატყლის შენაბდვა“ 46, 51
მაღარო 396, 402, 404, 407, 408
მაყალი 401
მაშია 324
მახავიკი 314
მგლის კაკალა 373
მგლის ხახა 207
მგლის ჯღარდალა 373
მდაბიონი 102
მდგრადი 28
მეალუდე//მეალუდეი 338, 341
მებოლოე // მებოლოვე 292
მედუზას თავი 206
მეზოსი 381
მეთაური სიტყვა 79
მელითონე 403
მემცენარეობა 292
მენაბდეობა 48
მენაკი 17
მეპრატაკე 326
მეპურმარილე 303
მეპურღვინე 303
მესაქონლება 292
მესტანბე 178
მესტი 51
მესურათე 292
მეტალი 284, 396, მეტალიზაცია, მეტალისტი, მეტალოგრაფია, მეტალოგრაფიული, მეტალოიდი, მეტალური, მეტალურგი, მეტალურგია, მეტალურგი-მეღუმელე, მეტალურგიული 397
მეტალიდები// მეტალოიდები 405
მეტალოგენია 404
მეტალოთერმია 405
მეტალოფონი 405
მეტალურგიული ღუმელი 398
მეტაფორა 202
მეტყავეობა 324
მეფუტკრეობა 184
მექანური// მექანიკური 181
მეში 324
მეცხვარეობა 323
მეცხოველეობა 42
მეწაღე 326
მეწაღის (მეწაღისებური) მკერდი (მედ.) 212
მეწესთვალე 28
მეჭურჭლეობა 365
მეხილეობა 370
მეხონი 50
მზესუმზირის ზეთი 111
მთამადნეული 402
მთვარე 404
მთვარისებრი სახე 209
მთრიმლავი 324
მითონიმი 199
მინამწმენდი 314
მინერალური წარმონაქმნი 402
მინისებრი ნამი 206
მისხალი 117
მიტყალი 117
მნა 113
მნათობა 28
მოგვი 324
მოდალავეი 341
მოდგმა 407
მოთხე (კოლოფი) 17
მოლექსეობა 178
მოლითონება 403
მოლო 311
მომავალი სრული 232
მომავლის განგრძობითი 231

მომავლის მიმდინარეობითი 232
მომავლის შედეგობითი 232
მომავლის ხოლმეობითი 231
მონაგები 367
მონეტა 396
მოსადილე 292
მოშაირობა 178
მოცულობის ერთეული 111
მოჭირებული ფერი 185
მჟავბადი 180
მჟავის მშობი 180
მსაჯული 62
მტკნარი წყალი 402
მუნი 392
მუსიკოლოგია 69
მუხრუჭი 315
მქნევარა 314
მყესი, აქილევსის მყესი 217
მცქრალი ღვინო 185
მძლეოსანი 28
მწევრის სახე (მედ.) 211
მწვალებლობა 179
მწვერვალი 210
მჭადის ქერქი 324
მჭიდა 28

